თავართქილაძის ეკონომიკურ ურთიერთობათა
და სამართლის უნივერსიტეტი

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ია ბერიძე
გურამ თავართქილაძე
თამარ ფანცულაია

ფილოსოფია

არასპეციალური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

თბილისი 2009

რედაქტორები: ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ვალერი ვაშაკიძე

ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ნაპო კვარაცხელია

რეცენზენტი: ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
მამუკა ბიჭაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ლიკა შენგელია, გელა ხაბეიშვილი

© ია ბერიძე

ISBN 978-9941-0-1575-5

დაბეჭდილია შპს „მწიგნობარი XXI“

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

თავი I

ფილოსოფია როგორც ფენომენი 11
ფილოსოფია და მსოფლმხედველობა 17
მითოსური მსოფლმხედველობა 26
რელიგიური მსოფლმხედველობა 33
ფილოსოფია და კერძო მეცნიერებები
ფილოსოფიის საგანი 42
ფილოსოფია და ხელოვნება 45

თავი II

ლოგიკა 50

თავი III

უნივერსალური პრობლემები. პირველსაწყისის იდეა 67
სამყაროს კანონზომიერების პრობლემა ფილოსოფიაში 75
სამყაროს კანონზომიერი კავშირები და მიმართებები 84

თავი IV

გნოსეოლოგიური პრობლემები ფილოსოფიაში
შემეცნების არსი და სტრუქტურა. 92
ინტუიცია 96
რაციონალიზმი 98
ემპირიზმი. 101
აგნოსტიციზმი 105

თავი V

სოციალური და აქსიოლოგიური პრობლემები ფილოსოფიაში.
კულტურა და ცივილიზაცია. 111

ადამიანის ღირებულებით – შეფასებითი
მიმართება სამყაროსადმი 128
ნიჰილიზმი და ღირებულებათა გადაფასების პრობლემა 132

თავი VI
ფილოსოფოსები ადამიანის შესახებ მსჯელობენ... 146
ადამიანის პრობლემა ფილოსოფიაში 151
ადამიანური ექსისტენციალები: სიცოცხლის საზრისი 160
სიკვდილ-სიცოცხლე 164
სიყვარულის ფილოსოფია 172
ადამიანი და თანამედროვე საზოგადოების
თავისებურებანი (გაუცხოების პრობლემა) 189
პიროვნება, მასა და ბრბო 210
დესტრუქციულობა, როგორც ავადმყოფი
ინდივიდისა და ავადმყოფი საზოგადოების ნიშანი 212
XX საუკუნე და ახალი ტექნოლოგიები. ბიოეთიკა 226

თავი VII
ქართული ფილოსოფიის ისტორია (მოკლე ექსკურსი) 249

დანართი (საკითხავი მასალა)
„მოკვდი, რათა არ სცოდო“! 274
„ფილოსოფოსობა სასიკვდილოდ მზადებას ნიშნავს“ 277
იგავნი სოლომონისა (ფრაგმენტები) 281
ეკლესიასტე 287
პლატონი. „ფედონი“ (ფრაგმენტები) 302
მოკლე ბიოგრაფიული ცნობები 308
სახელმძღვანელოში გამოყენებულ ფილოსოფიურ
ტერმინთა მოკლე ლექსიკონი 318



თალესი



სოკრატე



პლატონი



არისტოტელე

ეპიკურე



ჰერაკლიტე

მარკ
ავრელიუსი



სენეკა

პეტრიწი

პეტრე იბერი

გიორგი და ექვთიმე
მთაწმინდელები



დეკარტი

პასკალი

კანტი



ჰეგელი



ნიცშე

ფროიდი

ჰუსერლი



შოპენჰაუერი

იასპერსი



ფრომი



გასეტი



ბერდიაევი

შპენგლერი

სარტრი

ნუცუბეძე



მამარდაშვილი

„ადამიანი ლერწამია, უმწეო ლერწამი, მაგრამ, ეს ლერწამი აზროვნებს. მის გასასრესად სულაც არაა საჭირო სამყაროს რისხვა. საკმარისია ქარის შემობერვა ან უბრალო წვიმის წვეთი, მაგრამ ადამიანი, გასრესილი თუნდაც სამყაროს მიერ, მაინც უფრო ღირებულია, ვინაიდან გრძნობს თავის აღსასრულსაც და თავის უმწეობასაც სამყაროსთან შედარებით.

მაშასადამე, მთელი ჩვენი ღირსება აზროვნებაა. სწორედ აზრი გვამაღლებს ჩვენ და არა დრო და სივრცე, რომელშიც ჩაკარგულნი ვართ“

ბლეზ პასკალი

წინასიტყვაობა

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია არასპეციალური ფაკულტეტის სტუდენტებისთვის და მათთვის, ვინც ფილოსოფიური პრობლემატიკითაა დაინტერესებული. ფილოსოფიის ზღვა მასალიდან მასში წინ წამოწეულია კაცობრიობის განვითარების ყველა ეპოქისათვის საჭირბოროტო პრობლემები, რომლებიც, ბუნებრივია, არც თანამედროვე პერიოდში კარგავს აქტუალობას, თუმცა, ახლებურ გააზრებას საჭიროებს. ყურადღება გამახვილებულია იმ მასალაზე, რომელიც აუცილებელია აზროვნების კულტურის განვითარებისათვის, დასაბუთებითი აზროვნების სრულქმნისათვის.

სახელმძღვანელოს მიზანია ფილოსოფიის სწავლებაში ადრე არსებული ნაკლის შეძლებისდაგვარად დაძლევა; საჭიროა ახლებური ფილოსოფიური თვალსაზრისისა და შესაბამისად ფილოსოფიის კურსის ახალი სტრუქტურის შემუშავება; ამავე დროს, იგი მემკვიდრეობით იღებს ტრადიციული და XX საუკუნის ფილოსოფიის დადებით მიღწევებს.

სახელმძღვანელო ცარიელ ნიადაგზე არ შექმნილა. მისი შედგენისას ვემყარებოდით როგორც უცხოურ ლიტერატურას, ასევე თანა-

მედროვე ქართველი ფილოსოფოსების შრომებს და სახელმძღვანელოებს. წინამდებარე ნაშრომიც დიდად არის დავალებული მათგან.

ვითვალისწინებთ წლების განმავლობაში კურსის სწავლებისას გაჩენილ მოთხოვნას, რომ სახელმძღვანელოში განმსაზღვრელი იყოს ადამიანის პრობლემა, უფრო მეტიც, ეს სურვილი ემყარება თვალსაზრისს, რომ ფილოსოფიური კვლევის ამოსავალს ადამიანი წარმოადგენს.

ჩვენს ერთ-ერთ მიზანს შეადგენს იმის ჩვენება, რომ ფილოსოფია არა მარტო უნდა იკვლევდეს ადამიანს, არამედ თავად ფილოსოფია ჩაყენებული უნდა იყოს ადამიანისა და საზოგადოების სამსახურში. მან მეცნიერული დასაბუთება უნდა მისცეს ადამიანთა და ხალხთა შორის ჰუმანური ურთიერთობების, მათი შემოქმედებითი, თავისუფალი და დემოკრატიული ცხოვრების აუცილებლობას. ამასთანავე, მასში უნდა აისახოს ქართული ფენომენის თვითმყოფადობა, მისი ტოლერანტული, ჰუმანური ბუნება, რომელიც გამომუშავდა გარკვეული პირობებისა და ფაქტორების საფუძველზე.

სახელმძღვანელოში თავმოყრილი მასალა ითვალისწინებს ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული, თავისუფალი და ჰუმანური საზოგადოების აშენების ინტერესებს, ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობის ტრადიციებს. ჩვენი მიზანია დამაჯერებლად ვაჩვენოთ, რომ ფილოსოფიის საგანს შეადგენს ადამიანის ყოფიერების, საზოგადოების, ბუნებისა და მათი ურთიერთმიმართების ზოგადი კანონზომიერებების დადგენა.

სახელმძღვანელოში გამოყენებულია ისტორიული მასალა, რომლის გარეშეც ფილოსოფიის სწავლება ვერ იქნება სრულფასოვანი. ეს საშუალებას გვაძლევს აზროვნების ისტორიიდან ამოვარჩიოთ პრობლემები, რომელებიც აუცილებელია მოცემული მასალის თვალსაჩინოებისათვის.

ადამიანი ბუნებასა და საზოგადოებაში არსებობს. ყოველი ადამიანი ხედავს, რომ ბუნება და საზოგადოება, საერთოდ სამყარო, მას არსებობის პირობად აუცილებელ მოთხოვნათა რიგს უყენებს. ამას ემატება საკუთარი ინტერესები, სურვილები, რომლებიც ხშირად არ ემთხვევა ამ მოთხოვნებს.

ადამიანი ცხოვრობს გარკვეულ პირობებში და რომ იცოცხლოს,

უნდა ჭამოს, სვას, ჩაიცვას, ჰქონდეს თავშესაფარი და ა.შ. ყოველი ადამიანის წინაშე, მართალია, სხვადასხვა სიღრმითა და სიცხადით, მაგრამ ყოველთვის დგას კითხვები: რას წარმოადგენს სამყარო? რას წარმოადგენს თავად ადამიანი? რა ადგილი უჭირავს ადამიანს ამ სამყაროში? რა უნარი აქვს და რა უნდა აკეთოს ადამიანმა? ეს ის კითხვებია, რომლებსაც ფილოსოფიამ უნდა გასცეს პასუხი და რომელთა მიზანიც ადამიანის ცხოვრების საზრისის გარკვევაა. იმისდა მიხედვით, როგორი იქნება პასუხი, განისაზღვრება ადამიანის დამოკიდებულება თავის თავთან, სამყაროსთან.

ფილოსოფიური კითხვები აღეძვრის ყოველ ადამიანს, როგორც კი გონების მზერას მიაპყრობს სიცოცხლეს, ჩაფიქრდება და გავა თავისი ყოველდღიური ცხოვრების ჩარჩოებიდან. მაგრამ ზოგს სულაც არ სურს იფიქროს არაფერზე გარდა იმისა, რომ ჭამოს, სვას, ჩაიცვას და ა.შ. ასეთი ტიპის ადამიანი აუცილებელ ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ცხოვრების უმაღლეს მიზნად სახავს, რითაც ამჟღავნებს სულიერ სიღატაკეს.

ისმის კითხვა: განა ყოველ ადამიანს აქვს თავისი ფილოსოფია? – დიახ! ოღონდ საკითხავია ეს ფილოსოფია შემთხვევითი შეხედულებებისა და აზრთა „ნატეხებისაგან“ არის შეკოწიწებული, თუ კარგად მოფიქრებულია და სამყაროსა და ჩვენი ცხოვრების შეცნობის მცდელობაზეა დამყარებული. ნათელია, რომ ბუნებრივი აუცილებლობა, ბიოლოგიური არსებობის შენარჩუნება არ გვაიძულებს ფილოსოფიურ საკითხებზე ფიქრს, ე.ი. ფილოსოფოსობას. მაგრამ ადამიანი გონიერი არსებაა და მისთვის არსებობა და ღირსეული არსებობა ერთი და იგივე არ არის. თუკი ამ კუთხიდან შევხედავთ ადამიანის სიცოცხლეს, მაშინ ჩვენ, **გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის** მსგავსად, შეგვიძლია „ფილოსოფია მივიჩნიოთ ყველაზე უფრო აუცილებლად“.

იმისათვის რომ იყო, საჭიროა განუწყვეტლივ შეითვისო სხვისეული, რადგან ადამიანისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ საკუთარი ყოფიერება. ადამიანმა უნდა ეძებოს საკუთარი სიცოცხლის აზრი და დანიშნულება, რამეთუ შეუძლებელია ნამდვილი, თავისუფალი, გამთლიანებული არსებობა პიროვნებისა, თუ მან არ იცის, რა არის ადამიანი და არ იცის, ვინ არის ან რა არის თავად.

მარტინ ჰაიდეგერის თქმისა არ იყოს: „თუ გვინდა ჩვენ ჩავწვდეთ ჩვენს სულიერ სამყაროს თავის საფუძველში – ეს კი არის ერთ-ერთი ჩვენი უმაღლესი ამქვეყნიური ცხოვრების მიზანი – ამისათვის უნდა გადავლახოთ თეორიული, მეცნიერულ-ლოგიკური აზროვნების საზღვრები და მისივე შენარჩუნებით შევიდეთ ექსისტენციალური აზროვნების უსასრულო საუფლოში“.

ია ბერიძე

თავი I

ფილოსოფია როგორც ფენომენი

„კულტურის მთელი ისტორიის მანძილზე ფილოსოფიისადმი საკმაოდ არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება აღინიშნება... ფილოსოფია კულტურის ყველაზე დაუცველი მხარეა“ – ეს ცნობილი რუსი ფილოსოფოსის ნიკოლოზ ბერდიაევის თვალსაზრისია, უფრო სწორედ, მისი სულის ამოძახილი. შევეცადოთ გავარკვიოთ, თუ რამ განაპირობა ფილოსოფიისადმი ასეთი დამოკიდებულება.

რელიგია სულის მოთხოვნილებებზე მსჯელობს და აკმაყოფილებს მათ. ადამიანი მზერას უფალს მიაპყრობს: როდესაც სულიერადაა შეჭირვებული, როდესაც მარადისობის წინაშე წარსდგომის შიშითაა შეძრწუნებული, როდესაც მტანჯველი სიმარტოვის გრძნობითაა დათრგუნული. მისტიკა აჯადოვებს მას ღმერთთან მიახლოების შესაძლებლობით, სასწაულის იმედს უღვივებს...

მეცნიერება შემმეცნებელი გონების უდავო მიღწევების დემონსტრირებაა. იგი ცივილიზაციის ბურჯია და არა მარტო გვიხსნის ჭეშმარიტებას, არამედ ბევრად უფრო კომფორტულსა და ხანგრძლივს ხდის ადამიანის სიცოცხლეს.

ფილოსოფია კი, პირიქით. ის შეულამაზებლად თავაზობს ადამიანს სასტიკ სიმართლეს, უკანასკნელ ნუგეშს ართმევს მას. ფილოსოფია უაღრესად ცივი გონების, საღი აზროვნების დამკვიდრების ცდაა, სოციალური ილუზიების აღმოფხვრის პრაქტიკაა. იგი, თავისი მოწოდებითა და დანიშნულებით, „უნგრევს“ ადამიანს ცხოვრების მოწყობის მისეულ წესს, არსებობის ტრაგიზმს „უშიშვლებს“ და გამოსავლის სახით, სხვადასხვა მოსაზრებას სთავაზობს მას; ე.ი. ფილოსოფია არჩევნის თავისუფლებას აძლევს ადამიანს, რათა მან თავად აგოს პასუხი საკუთარ ცხოვრებაზე და არჩევანზე.

რაც შეეხება სამყაროს საიდუმლოებებს, მათ იდუმალ, მისტიკურ ბუნებას, ფილოსოფია, სამყაროს აღქმისა და შემეცნების მისთვის დამახასიათებელი შესაძლებლობებიდან, ცდილობს მათ სიღრმისეულ, პირველსაწყისამდე გააზრებას. ასე ჩნდება კიდევ

ერთი დამოკიდებულება ფილოსოფიისადმი: „სიმართლე რომ ვთქვათ, ფილოსოფია ბუნდოვანი ენით გადმოცემული ადამიანური განსჯაა“. ეს მოსაზრება გერმანელ პოეტსა და მოაზროვნეს **იოჰან გოეთეს** ეკუთვნის. ისევ ჩნდება კითხვები: რატომ არის საჭირო მაინც და მაინც ბუნდოვანი, გაუგებარი ენის გამოყენება? ნუთუ არ არსებობს თვითგამოხატვის სხვა ფორმები? ან იქნებ სწორედ ამ ფორმითაა შესაძლებელი ჭეშმარიტების დადგენა? რა თქმა უნდა, არა. სიბრძნის მოყვარულმა იმ ერთადერთ, საბოლოო ჭეშმარიტებას რომ მიაკვლიოს, მაშინ სამყაროში შესაცნობი აღარაფერი დარჩება და ფილოსოფიაც აღარ იარსებებს. ფილოსოფიის პარადოქსი სწორედ იმაშია, რომ ფილოსოფოსი ისეთ პრობლემებზე ფიქრობს და მსჯელობს, რომელთა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტა, განსხვავებით რელიგიისა და მეცნიერებისაგან, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ პარადოქსის გააზრებისათვის აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: ფილოსოფიას სამყაროს საიდუმლოებების წვდომისა და ახსნის მისეული, სხვათაგან განსხვავებული მეთოდები აქვს.

ადამიანი ფილოსოფოსობს იმიტომ, რომ ეს მისი ბუნებრივი მოთხოვნილებაა, თვითგამოხატვისა და თვითდამკვიდრების ყველაზე მძლავრი საშუალებაა.

ფილოსოფოსი ის ადამიანია, რომელიც ცხოვრებას ფიქრში ატარებს. ფიქრობს როგორც შეუცნობელ, არაჩვეულებრივ, ისე ჩვეულებრივ, ყოფით მოვლენებსა და საგნებზე. მაგრამ მისი ფიქრისა და განსჯის მიმართულება ბევრად უფრო სიღრმისეული და საინტერესოა, ვიდრე სხვა პროფესიის ადამიანის ფიქრი და განსჯა. ფილოსოფოსი ერთდროულად კრიტიკოსიც უნდა იყოს და სკეპტიკოსიც, თავსატეხების ახსნაც უნდა უყვარდეს და მათი მოფიქრებაც შეეძლოს, მორალისტიც უნდა იყოს, წინასწარმეტყველიც და ჭეშმარიტების მაძიებელიც. „ბრმად ნურავის ენდობი, თავად იფიქრე“ - აი, მისი დევიზი.

პლატონი გვირჩევდა: დაკავდით ფილოსოფიით და თქვენზე ახალგაზრდებსაც ამისკენ მოუწოდეთო. ფილოსოფია მოღვაწეობის კეთილშობილურ და ბრძნულ სფეროდ არის მიჩნეული. ფილოსოფოსი კი ყოველთვის მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს.

იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ რას წარმოადგენს ფილოსოფოსის ფიგურა, კითხვა ასე შეგვიძლია დავსვათ: ცხოვრობს კი ფილოსოფოსი თავისი მოძღვრებისა და შეხედულებების მიხედვით? ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: იცავს თუ არა იგი თავის პრინციპებს, მიზნებს, ღირებულებებს ცხოვრებაში?

კაცობრიობის კულტურის ისტორიაში, ალბათ, ვერ მოიძებნება ისეთი პოპულარული მაგალითი, როგორიც სოკრატეს გმირობაა. **სოკრატე** სიბრძნის იდეალი გახლდათ. მის შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს. მისი პიროვნებაც ყოველმხრივ არის შესწავლილი – სიცოცხლე, მოძღვრება, სიკვდილი. მართლაც საინტერესო და ცოტა არ იყოს, უცნაური პიროვნება იყო – სიცოცხლის განმავლობაში ერთი სიტყვაც არ დაუწერია. რაზეც ფიქრობდა, რაც აწუხებდა, როგორ წყვეტდა ურთულეს ფილოსოფიურ პრობლემებს – ამაზე მისი მოწაფეები მოგვითხრობენ. ნუთუ საოცარი არ არის? გამოჩენილი მოაზროვნე, რომელმაც მხოლოდ ზეპირი სიტყვა დაგვიტოვა.

ათენის სასამართლომ სოკრატე დაადანაშაულა იმ ღმერთების გმობაში, რომლებსაც ძველ საბერძნეთში ეთაყვანებოდნენ და კიდევ ახალგაზრდა თაობის შერყვნაში. მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. თავად მოსამართლეებსაც არ ეგონათ, რომ ყველაფერი ასე ტრაგიკულად დამთავრდებოდა. სოკრატეს საშუალება ჰქონდა თავიდან აეცილებინა სიკვდილი. მას შესთავაზეს გაქცეულიყო და ცხოვრების დარჩენილი პერიოდი დევნილობაში გაეტარებინა, მაგრამ სოკრატემ უარყო ეს შესაძლებლობა. მას ბევრი მდიდარი მეგობარი ჰყავდა, რომლებიც მის გამოსყიდვას აპირებდნენ, მაგრამ ფილოსოფოსი ამ შემოთავაზებასაც არ დათანხმდა. და ბოლოს, თავად სასამართლომ შესთავაზა სოკრატეს უარი ეთქვა თავის ღირებულებებსა და შეხედულებებზე და ეღიარებინა დანაშაული. ნუთუ ძალიან რთულია ამისი გაკეთება სიცოცხლის სანაცვლოდ?

მოსამართლეებმა ჩათვალეს, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებული სოკრატე უკან დაიხევდა. მაგრამ, არა! სოკრატემ ათენელებს დაუვიწყარი ზნეობრივი მაგალითი მისცა. უარი თქვა შენს შეხედულებებზე, პრინციპებზე ნიშნავს ხაზი გადაუსვა მთელ შენს ცხოვრებას, შენს მისწრაფებებს, შენს რწმენას. სოკრატემ სულის

არაჩვეულებრივი სიმტკიცე გამოავლინა. მან თავად აღასრულა სასამართლოს განაჩენი და ციკუტით სავსე ფიალა შესვა.

ანტიკური ხანის ფილოსოფოს-მორალისტი **დიოგენე** თურმე კასრში ცხოვრობდა და დღისით, მზისით ათენის ქუჩებში ფარნით ხელში დადიოდა. „ვის ეძებ, და თანაც, ფარნით ხელში?“ – ეკითხებოდნენ გაოცებული თანამოქალაქეები. „ადამიანს!“... უცნაური პასუხია, დამეთანხმებით. გარშემო უამრავი ადამიანია, ის კი, დაუღალავად დადის და მაინც ადამიანს ეძებს... რას უნდა ნიშნავდეს ეს? დიოგენე ადამიანის არსსა და ბუნებაზე ჩაფიქრდა და მიხვდა: ცხოვრების ყოველდღიურობაში ჩაფლული გამვლელ-გამომვლელი ნაკლებად შეესატყვისება ადამიანის ჭეშმარიტ არსს. ნამდვილი ადამიანი სხვაგვარი უნდა იყოს! მაინც როგორი?

ერთხელ დიოგენემ დაინახა, როგორ დალია ბავშვმა პეშვით წყალი. მან იმწამსვე ამოიღო ჩანთიდან სასმისი და გადააგდო: „ბავშვმა ცხოვრების უბრალოებით მაჯობაო“ – აღმოხდა. საქმე იმაშია, რომ დიოგენეს ფილოსოფია ადამიანებს მოუწოდებდა ეცხოვრათ უბრალოდ, ბუნებრივად, ზედმეტი სიამისა და კომფორტის გარეშე. სამყაროში უამრავი მშვენიერება და სიამეა – ამოდის მზე, ბალახი ბიბინებს, წყაროს წყალი ჩუხჩუხებს. მაგრამ ადამიანები არ კმაყოფილდებიან ამით. ისინი თავად ირთულებენ ცხოვრებას: ზოგს პატივისცემა სჭირდება, ზოგს სახელი, ზოგს სიმდიდრე, ზოგს თანამდებობა.

გადმოცემით ვიცით, რომ დიოგენესთან სასაუბროდ **ალექსანდრე დიდი** მისულა. ნებისმიერ თხოვნას შეგისრულებო – უთქვამს მაკედონელს. პასუხად კი მიიღო: „ჩამომეცალე, მზეს ნუ მიჩრდილავ“. რაზე მეტყველებს ფილოსოფოსის პასუხი, უზრდელობაზე? თუ ჭეშმარიტად ბრძენი ადამიანის უცნაურ ხასიათზე? დიოგენესათვის, რომელიც პრაქტიკული ცინიზმის მამად ითვლებოდა, ცხოვრებისეული ორომტრიალი უცხო და მიუღებელი იყო. ყველას საკუთარი თავისათვის სიკეთე და კეთილდღეობა სურს და გამორჩენის მიზნით დიდ ადამიანს ეთაყვანებიან. მაგრამ, ნუთუ ეს არის ცხოვრების მიზანი და ამისათვის უნდა იღწვოდეს ადამიანი? მზის სხივი, რომელიც გვათბობს, ბევრად უფრო ღირებულია, ვიდრე დიდი მხედართმთავრის ნებისმიერი საჩუქარი თუ წყალობა. უფრო

მეტიც! გამოჩენილი მხედართმთავარი ამაყია თავისი დიდებით, ყოვლისშემძლეობით. მაგრამ, განა მართლა ასეთი ყოვლისშემძლეა იგი? მზის სხივები ხომ მისი ბრძანებისა და სურვილის გარეშეც ათბობენ დედამიწას...

დიოგენე ცხოვრობდა საკუთარი პრინციპებისა და შეხედულებების შესაბამისად.

ცხადია, არავინ აიძულებს ფილოსოფოსს მისდიოს თავის სწავლებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი მატყუარები არიან. ფილოსოფიაში ხომ ქცევის იდეალურ გეგმას გვთავაზობენ, რომელიც თავისთავად საინტერესოა. რა თქმა უნდა, ხდება ხოლმე, რომ ეს მიზანი მიუღწეველი და შეუსრულებადია არა მარტო სხვებისათვის, არამედ თავად ავტორისათვის. ამის თაობაზე რომაელმა ფილოსოფოსმა **სენეკამ** ასეთი მოსაზრება დაგვიტოვა: „მსაყვედურობენ, რომ ჩემი ცხოვრების წესი არ ემთხვევა ჩემს მოძღვრებას. ამასვე საყვედურობდნენ პლატონსაც, ეპიკურესაც და ძენონსაც. ყველა ფილოსოფოსი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს თავად, არამედ იმაზეც, როგორ უნდა იცხოვრო. მე ვმსჯელობ სათნოებაზე და არა საკუთარ თავზე; ვებრძვი ნაკლოვანებებსა და ცოდვებს, მათ შორის საკუთარსაც; როცა შევძლებ, ვიცხოვრებ ისე, როგორც საჭიროა“.

კაცობრიობის ისტორიაში არ იყო ისეთი პერიოდი, ფილოსოფიაზე, როგორც სიბრძნის სიყვარულზე მოთხოვნილება რომ გამქრალიყო. სავარაუდოა, იგი არც ახლა გაქრება. ფილოსოფია მარად ისწრაფვის შეიცნოს, გაარკვიოს სამყაროს კანონზომიერებები, ჩასწვდეს ადამიანის რაობას, მისი სულის სიღრმეებს, ღვთაებრივ საიდუმლოებებს. თუმცა მწარე სიმართლეც არსებობს. ფილოსოფიას, ისევე როგორც სინამდვილის, სამყაროს წვდომის ნებისმიერ ფორმას, თავისი განვითარების პერიოდში ბევრი შეცდომაც დაუშვია, ბევრი მცდარი აზრიც დაუმკვიდრებია. მიუხედავად ამისა, ის არსებობს. ისევ არის მასზე მოთხოვნილება და, ალბათ, სწორედ ამაშია ფილოსოფიის, როგორც კაცობრიობის მძლავრი ინტელექტუალური იარაღის, სიდიადე.

თამარ ფანცულაია

• • •

„ფილოსოფია (რადგან იგი ვრცელდება ყველაფერზე, რაც მისაწვდომია ადამიანური შემეცნებისათვის) ერთადერთი რამაა ისეთი, რითაც ველურებისა და ბარბაროსებისაგან განვსხვავდებით და ყოველი ხალხი მით უფრო მოქალაქეობრივი და განათლებულია, რაც უფრო უკეთ ფილოსოფოსობენ ისინი. ამიტომ არა არის რა სახელმწიფოსათვის სხვა რამ უფრო დიდი სიკეთე, ვიდრე ყოლა ჭეშმარიტი ფილოსოფოსებისა.“

რენე დეკარტი

„ფილოსოფიამ გვასწავლა ჩვენ ადამიანების სიყვარული“

ლუციუს ანეუს სენეკა

„ფილოსოფოსობის სიძნელე იმაშია, რომ ადამიანი დარჩე და ადამიანის მიღმურს სწვდე“.

შალვა ნუცუბიძე

„ადამიანურ ხელოვნებათაგან ყველაზე ამაღლებული და კეთილშობილი არის ფილოსოფიის ხელოვნება.“

ალ-ქინდი

„ახალგაზრდობაში ნურვინ დააყოვნებს ფილოსოფოსობას. მოხუცობის ჟამს ნურვინ მოიღლება ფილოსოფოსობაში, რამეთუ სიჯანსაღე სულისა არავისთვისაა არც ნაადრევი და არც ნაგვიანევი“.

ეპიკურე

„ჭეშმარიტი ფილოსოფოსობა არის „ყოფიერების მოსმენა“, დაფარულის გაცხადება, დაუფარაობა, ექსისტენცის შინაგანი აღმავლობით თვითსრულყოფა, შინაგანი ექსისტენციალური თავისუფლების რეალიზაცია“.

მარტინ ჰაიდეგერი

„ფილოსოფია ჰგავს ნოყიერ მინდორს, რომლის ნიადაგი მასზე გაშენებული ხეხილით არის ფიზიკა, მასზე მოწეული ჭირნახული— ეთიკა, ხოლო მინდვრის დამცველი ღობე-მესერი – ლოგიკა“.

(სტოელების ხატოვანი შედარება).

ფილოსოფია და მსოფლმხედველობა

ფილოსოფია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სიბრძნის სიყვარულს. ეს არის სულიერი კულტურის დამოუკიდებელი დარგი, რომელიც აერთიანებს ცოდნას სამყაროზე, ადამიანზე, ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობაზე. ფილოსოფიის დანიშნულებაა იკვლიოს პირველსაწყისი, არსებითი თავისებურებები, სამყაროსეული წესრიგის საფუძვლები, იპოვოს ჭეშმარიტი საზრისი პროცესებისა, რომელთაც სამყაროში, სოციუმში, კულტურასა და ადამიანში აქვს ადგილი. ფილოსოფია მოწოდებულია გახსნას ყოფიერების ბნელი, გამოუცნობი ლაბირინთები.

ფილოსოფიური მსოფლმხედველობა დასაბამს იღებს მითოლოგიიდან და რელიგიიდან. ფილოსოფია იკვლევს იმ რეალობას, რომელიც მხედველობის მიღმა რჩება კონკრეტულ საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ დისციპლინებს. ის ასრულებს სამყაროს სურათის მთლიანობაში წარმოსახვის მძიმე სამუშაოს. ფილოსოფია ღრმად და საფუძვლიანად გაიაზრებს კერძო მეცნიერებების მონაცემებს და მოწოდებულია იყოს ადამიანის ორიენტირი სამყაროში. იგი ენათესავება უმაღლეს სიბრძნეს, რომლის ფუნქცია მარტო ყველაფრის ცოდნა კი არ არის, არამედ მოწოდებულია გაიგოს, შეიმეცნოს ის, რაც მთავარი და არსებითია, რომელიც ეხება პირველსაწყისს, მსოფლიო წესრიგს, რომლის არსის წვდომის გარეშე შეუძლებელია გააზრებული და ღირსეული არსებობა. ადამიანს ბევრი რამ აცდუნებს – ფული, სიმდიდრე, ძალაუფლება, დიდება და ა. შ. ფილოსოფია მოწოდებულია გამოარჩიოს უნივერსალური, საყოველთაო მნიშვნელობის ღირებულებები – ჭეშმარიტება, სიკეთე, სილამაზე, სამართლიანობა, სიყვარული და სხვა.

სოკრატეს (ძვ. წ 469 – 399) თანახმად ფილოსოფია არის არა სიბრძნე, არამედ სიბრძნის სიყვარული და მისი ძიება, წყურვილი სიბრძნისა, ჭეშმარიტების დაუფლებისა, ვინაიდან თავად სიბრძნეს მხოლოდ ღმერთები ფლობენ. ღმერთი შეიძლება იყოს ბრძენი, ადამიანს კი მისი სიყვარული შეუძლია. ამიტომაც ადამიანი უნდა ისწრაფვოდეს ღმერთისაკენ ანუ სიბრძნის დაუფლებისაკენ.

ყველა დროის ფილოსოფია თავისი ეპოქის უმნიშვნელოვანესი პრობლემებით იყო დაინტერესებული. ამდენად, ფილოსოფიური კვლევა თვითმიზანს არასოდეს წარმოადგენდა.

ფილოსოფიის საგნის სხვადასხვა გაგება არსებობს, ზოგი თვლის, რომ ფილოსოფიის საგანია სამყაროს ჭვრეტა; მეორენი თვლიან, რომ ფილოსოფიის საქმეა მეცნიერების ლოგიკური ანალიზი; ხოლო მესამენი – ფილოსოფიის საგნად ადამიანისა და მისი ცხოვრების საზრისის ძიებას აღიარებენ. ჩვენ რომელს ავირჩევთ, ეს ჩვენს მსოფლმხედველობაზეა დამოკიდებული.

ყველა დროის ფილოსოფიაში მიუხედავად ამ მრავალგვაროვნისა, მაინც არსებობს საერთო მომენტი, რომელიც მეტნაკლებად საერთოა ყოველი ფილოსოფიური სისტემისათვის. ეს არის ის, რომ თითოეულს მხედველობაში აქვს სამყარო, როგორც მთელი. ფილოსოფიას შეუძლია კვლევის ობიექტად აქციოს სინამდვილის ნებისმიერი კონკრეტული სახე (მაგალითად, ბუნება, ადამიანი და ა. შ.), მაგრამ იმ პირობით, თუ მათ განიხილავს სამყაროსთან, როგორც მთელთან, მიმართებაში. მიუხედავად განსხვავებული პრობლემებით დაინტერესებისა, ფილოსოფიაში ერთი მთავარი საკითხი ყოველთვის იდგა. ეს არის ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობა.

სიბრძნის სიყვარული ძველბერძნულ ფილოსოფიაში, ძირითადად, ასეთი ურთიერთობის გარკვევას ნიშნავდა. ამიტომ სიბრძნეს და საერთოდ ცოდნას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანთა ყოფიერებისა და ცხოვრების გააზრებაში. სოკრატე სიბრძნის მნიშვნელობის გარკვევის მიზნით, სვამს კითხვას: ვის უნდა ეწოდოს ბრძენი? აქამდე ბრძენი ეწოდებოდა მცოდნეს, მეცნიერს, მაგრამ სოკრატეს მიხედვით ცოდნა და სიბრძნე ერთმანეთს არ ემთხვევა. სიბრძნე და მისი ძიება ემსახურება ჭეშმარიტებისა და სიკეთის დადგენას, ხოლო ჭეშმარიტებისა და სიკეთის დადგენა ნიშნავს

სიბრძნის სიყვარულს. თუ ჩვენ შევადარებთ ერთმანეთს ღმერთს, ადამიანს და ცხოველს აღმოვაჩენთ, რომ ღმერთი შემეცნების პროცესით არ არის შეზღუდული, რადგან იგი მთელ სიბრძნეს ფლობს. არც ცხოველია შეზღუდული ცოდნით, რადგან ის ინსტინქტებით მდიდარია, რაც გარემოში წონასწორობის შესანარჩუნებლად სჭირდება. ერთადერთი არსება დედამიწაზე არის ადამიანი, რომელიც შეზღუდულია ცოდნის, შემეცნების აუცილებლობით, რათა იარსებოს და შეინარჩუნოს წონასწორობა ბუნებასთან. ადამიანს ცხოველთან შედარებით ღარიბი ინსტინქტები აქვს; ცოდნით ღმერთს ემსგავსება, მაგრამ არ უტოლდება მას. ადამიანი შუა რგოლია მათ შორის, ვინც უფრო დიდია, ვიდრე ადამიანური და ვინც უფრო კნინია, ვიდრე ადამიანური. ჩვენს ქვევით წარმავლობაა, ჩვენს ზევით კი ჭეშმარიტება და მარადიულობა.

ცხოველი ადამიანს ინსტინქტებით სჯობს. ამის ნათელი დადასტურებაა ფუტკარი, რომელიც ფიჭას ისეთი სიზუსტით აშენებს, რომ ნებისმიერ არქიტექტორს გააწბილებს. ფრინველები მიფრინავენ თბილ ქვეყნებში და ბრუნდებიან ისე, რომ არც კომპასი სჭირდებათ და არც გეოგრაფიული რუკა. ცხოველები ადამიანებზე გაცილებით ადრე შეიგრძნობენ მიწისძვრის მოახლოებას, ახლობლის გარდაცვალებას და სხვა. მაგრამ ადამიანში არის ის, რაც მას ცხოველზე მაღლა აყენებს. ეს არის აზროვნების, განსჯისა და გონების უნარი. აქედან კი დასკვნა: თუ ადამიანს არა აქვს განვითარებული აზროვნების, განსჯისა და გონების უნარები, იგი ცხოველზე დაბალ საფეხურზე დადის. არჩევანი ადამიანზეა. მან უნდა აირჩიოს: ან იაროს წინ ღმერთისაკენ, ანუ უმაღლესი სიკეთისა და უმაღლესი მშვენიერებისაკენ, ან დაეცეს ცხოველის დონეზე. უდავოა, ადამიანი უნდა ირჩევდეს ღმერთისკენ სწრაფვას, რადგან „ადამიანად ყოფნა ნიშნავს იყო იმაზე მეტი, ვიდრე ადამიანია და თუ ადამიანი იმაზე მეტი არაა, ვიდრე ადამიანი, მაშინ იგი ნაკლებია, ვიდრე ადამიანი“ (აბრაჰამ ჰეშელი).

გონების თვალი გადავავლოთ ამ უკიდეგანო მრავალფეროვან სამყაროს, სადაც ორ ერთნაირ ფოთოლსაც კი ვერ იპოვის კაცი. უწვრილესი ერთუჯრედიანი არსებანი და გიგანტურ ვარსკვლავთა ჯგუფი, ცათაზიდული მთები და უსივრცო ოკეანეები, ბუნებისა და ცხოვრების სასწაულები. შეუძლებელია ადამიანს არ გაუჩნდეს

კითხვა: რა ხელმა შექმნა ეს სილამაზე?! საიდან წარმოიშვა? ვინ არის შემოქმედი? ან თუ არის, რატომ და რისთვის შექმნა? სწორედ აქედან იწყება პირველი გაკვირვება, პირველი გაოცება, აქ ისმება პირველი კითხვა – რატომ? ე. ი. იწყება კრიტიკული აზროვნება. ასე დაიწყო ფილოსოფიური აზრის ისტორია ძველ საბერძნეთში დაახლოებით ძვ. წ. VI საუკუნეში და დაგვიტოვა მდიდარი მემკვიდრეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ევროპულ აზროვნებასა და დაიმკვიდრა კლასიკური ფილოსოფიის სახელი.

ფილოსოფიური შეხედულებები ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ძვ. წ. III ათასწლეულში ჩაისახა. უძველესი ცნობები ინდური ფილოსოფიური აზროვნების შესახებ მოცემულია ვედურ (სანსკრ. „ვედა“ – ცოდნა) ლიტერატურაში, განსაკუთრებით „რიგვედაში“, რომელიც რელიგიური საგალობლების კრებულს წარმოადგენს და, მკვლევართა ვარაუდით, ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში შეიქმნა; გარკვეული ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ჩამოყალიბებულია „უპანიშადებში“ (სანსკრ. „უპანიშად“ – მოძღვრის გვერდით ჯდომა), რომლის შექმნა დაახლოებით ძვ. წ. VIII – VII სს. იწყება. „რიგვედასა“ და „უპანაშადებში“ გამოყენებულია ისეთი რთული კატეგორიები, როგორიცაა „ყოფიერება“, „არაყოფიერება“ და სხვა. ამ მოძღვრებებს, რასაკვირველია, რელიგიურ – იდეალისტური ხასიათი ჰქონდა.

ჩინეთის ფილოსოფიური აზრის ისტორიას ძვ წ. I ათასწლეულის დამდეგიდან ითვლიან. ცხადია, ამ შემთხვევაშიც მხედველობაშია ცალკეული ფილოსოფიური ელემენტები, რომლებიც რელიგიურ მოძღვრებაში იყო მოცემული. მაგალითად, ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII – VII სს. გამოთქმული იყო მოსაზრებანი სამყაროს შემადგენელი ხუთი ელემენტის (წყალი, ცეცხლი, ლითონი, ხე, მიწა) შესახებ; ბუნებაში არსებული მოძრაობისა და ცვალებადობის ასახსნელად დაშვებული იყო ურთიერთდაპირისპირებული ძალების არსებობა. უფრო გვიან (ძვ. წ. VI ს.) ჩამოყალიბდა **კონფუციანელობა,** რომელიც არსებითად ეთიკურ – პოლიტიკურ მოძღვრებას წარმოადგენს.

ფილოსოფიური იდეები გვხვდება ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების მითოლოგიაშიც. მაგალითად, მითში ღმერთი მარდუკის შესახებ, რომელიც ძველი ბაბილონის სახელმწიფოს აყვავების პერიოდს მი-

ეკუთვნება, ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ შექმნა ღმერთმა მარდუკმა სამყარო წყლისაგან და სხვა. ასევე ჰესიოდეს მითოლოგიურ თხზულებაში „თეოგონია“ სამყაროს პირველსაწყისად მიჩნეულია ქაოსი, საიდანაც კოსმოსი წარმოიშვა და სხვა. ცხოვრება მოცემულ შესაძლებლობათა შორის არჩევნის გაკეთებაა, რომელიც ხორციელდება ღირებულებათა და იდეალების საფუძველზე. რომელს მიანიჭებს უპირატესობას, რას დაისახავს ადამიანი მიზნად, ეს მის მსოფლმხედველობაზეა დამოკიდებული.

ადამიანი დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობისა და ევოლუციის ბუნებრივი და კანონზომიერი შედეგია. იგი ბუნებაში არსებობს, მაგრამ მთლიანად მასზე არ არის მიჯაჭვული. იგი ქმნის სრულიად ახალ სამყაროს კულტურის სახით. აშენებს საზოგადოებას მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ამყარებს პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ზნეობრივ, რელიგიურ ურთიერთობებს, ეწევა სულიერ მოღვაწეობას, რომლის შედეგად იქმნება მითოლოგია, რელიგია, ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოვნება და სხვა. ე.ი. ადამიანი ქმნის გონით სამყაროს, რაც უცხოა ნებისმიერი სხვა არსებისათვის.

ფრიდრიხ ნიცშე (1844 –1900 წწ.) წერდა: „ადამიანი არის ხიდი და არა მიზანი... ადამიანი არის რაღაც, რაც უნდა გადაილახოს“. ე.ი. ადამიანად ყოფნა გულისხმობს ზრდას, ცვალებადობას, განვითარებას. ეს კი შეუძლებელია ნათელი ცნობიერებისა და მსოფლმხედველობის გარეშე. ადამიანი ირჩევს, რაღაც მოსწონს, რაღაც არ მოსწონს, რაღაცას კეთილად ან ბოროტად თვლის, იბრძვის, უყვარს ან გულგრილია და ა. შ. ის, რისთვისაც ადამიანი თავს გასწირავს, რისიც მას სწამს, არის მისი ცხოვრების საზრისი. ის, თუ რას მიიჩნევს ადამიანი თავისი ცხოვრების საზრისად, დამოკიდებულია მის მსოფლმხედველობაზე.

მსოფლმხედველობა არის ადამიანის თვითცნობიერებისა და თვითრეფლექსიის ფორმა, შეხედულებათა და ღირებულებათა სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის ცხოვრების საზრისის გარკვევა. მსოფლმხედველობას აქვს რთული სტრუქტურა, რომლის შემადგენელი ელემენტებია: ა) შეხედულებები და წარმოდგენები სამყაროზე, როგორც მთელზე. იგი აძლევს ცოდნას ადამიანს საკუთა-

რი თავისა და სამყაროს შესახებ. ბ) ღირებულებები და იდეალები, რომლებიც ადგენენ იმ ძირითად მიზანს, რასაც ადამიანი უნდა ემსახუროს და რის განსახორციელებლადაც უნდა იბრძოლოს.

მსოფლმხედველობა ორ ძირითად ელემენტს შეიცავს: ცოდნას (საყაროს სურათს) და იდეალს. თუმცა მისთვის მთავარი ცოდნის მოცემა არ არის. ცოდნა მისთვის საშუალებაა იდეალის განსაზღვრისათვის. მსოფლმხედველობის მიზანი ადამიანის ცხოვრების საზრისის გარკვევაა. მან პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს: 1) **რა არის სამყარო? 2) რა არის ადამიანი? ანუ ვინ ვარ მე? 3) როგორია ჩემი დამოკიდებულება სამყაროსადმი? 4) რა უნდა გავაკეთო? და რისი იმედი შეიძლება მქონდეს მე?**

მსოფლმხედველობა ადამიანის ცხოვრების მასწავლებელი, მისი გზამკვლევია. იგი ადამიანს აძლევს ღირებულებით ორიენტაციას – რა აკეთოს, რისთვის იბრძოლოს, რას ემსახუროს. გარდა ამისა, ადამიანს აინტერესებს ისეთი საკითხები, როგორიცაა სულის უკვდავება, საიქიო ცხოვრება, თავისუფლების პრობლემა და უამრავი სხვა რამ. ეს ისეთი საკითხებია, **იმანუელ კანტის** (1724 –1804 წწ.) სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელთა მოცილება ადამიანს არ ძალუძს, რადგან ისინი მისთვის თვით გონებას მოუხვევია თავს, მაგრამ არც გადამჭრელი პასუხის გაცემა შეუძლია, ვინაიდან ისინი აღემატებიან ადამიანის გონების ყველა უნარს. რადგან კითხვები არასოდეს ამოიწურება, მაშასადამე, „ვერც გადაჭრის და ვერც აიცილებს!“– მაშ რა საჭიროა იგი? იმანუელ კანტისათვის მეცნიერული ცოდნის არსებობა ფაქტია, რადგანაც არსებობს მათემატიკა და ფიზიკა, ამგვარი ცოდნის შესაძლებლობის უარყოფა ე. ი. სკეპტიციზმი – ხელოვნური და სწავლული უვიცობაა. ფილოსოფიის ვალია ახსნას ამ ცოდნის შესაძლებლობის პირობები. იმანუელ კანტს ჰქონდა ერთი პრინციპი, რომელიც არისტოტელედან აიღო. ეს პრინციპია: „ღმერთი და ბუნება ტყუილად არაფერს ქმნის, ე. ი. თუ რაიმე არსებობს, მას აქვს საკმაო საფუძველი“. რატომ არის ასე? – აინტერესებს კანტს, ვერც გადაჭრის და ვერც აიცილებს. რატომ? იმიტომ, რომ საინტერესოა. კანტი საჭიროდ თვლიდა შეეზღუდა თეორიული შემეცნების სფერო, საერთოდ მოაზრებადი გაეთიშა ორად – თავისთავადი ნივთების სფეროდ და მოვლენების სფეროდ. მოვლენების

სფერო ეს არის – ნივთები ჩვენთვის, ე. ი. იმანენტური სფერო, რომელზეც მეცნიერება შენდება, ე. ი. ფიზიკის სფერო და თავისთავადი ნივთების სფერო, ანუ ფიზიკის იქით არსებული მეტაფიზიკური, ანუ ტრანსცენდენტური სფერო, რომელზეც მეცნიერება არ შენდება. ეს არის რწმენისა და მსოფლმხედველობის სფერო.

განასხვავებენ თეორიულ და არათეორიულ მსოფლმხედველობას. მითოსი და რელიგია არათეორიული მსოფლმხედველობაა, ფილოსოფია კი – თეორიული. არსებობს მსოფლმხედველობის სამი ძირითადი სახე:

1) მითოსი, როგორც მსოფლმხედველობა.

2) რელიგია, როგორც მსოფლმხედველობა.

3) ფილოსოფია, როგორც მსოფლმხედველობა.

მითოსი წარმოსახვის ძალას და ნათქვამის ავტორიტეტს ემყარება და ასე ახდენს სამყაროს ერთიანობის შესახებ აზრის დაფუძნებას. რელიგია რწმენას ემყარება და ამ გზით მიდის სამყაროს ერთიანობამდე. ფილოსოფია კი არის დასაბუთებული მსოფლმხედველობის მოცემის ცდა. იგი ცნებებისა და კატეგორიების გამოყენებით აყალიბებს მსოფლმხედველობას და ასე ახდენს სამყაროს ერთიანობის დაფუძნებას. იქ, სადაც იწყება ფილოსოფია, იწყება კრიტიკული აზროვნება, ისმება კითხვა – რატომ?

ნათქვამიდან გამომდინარე, მსოფლმხედველობებისათვის საერთოა – სამყაროს ერთიანობის გაგება. ისინი ამას სხვადასხვა მეთოდებითა და ხერხებით აღწევენ. როგორც უკვე ვთქვით, ფილოსოფია არის თეორიული მსოფლმხედველობის მოცემის ცდა, რომელიც მოიაზრებს სამყაროს მთლიანობაში, არკვევს ადამიანის ყოფიერების საზრისს.

რამ გამოიწვია მითოსური აზროვნების სვლა ფილოსოფიური აზროვნებისაკენ? – ცხოვრების ამაღლებამ ცნობიერებამდე. ემპირიული ანუ ცდისეული მასალის აყვანამ ცნობიერებამდე და შეფასების სურვილმა. ეს რთული სამუშაოა, რომელიც კაცობრიობამ შეასრულა ცხოვრების ხედვის განვითარებაში. აქედან ერთი დასკვნა გამოდის: მსოფლმხედველობების განვითარება განპირობებულია სამყაროს სურათის მდგრადობის მოთხოვნილებით. ბლეზ პასკალის აზრით, „ახლა კი დაე, ადამიანი კვლავ

მიუბრუნდეს საკუთარ თავს და შეადაროს თავისი არსება ყოველივე არსებულს. დაე, შეიცნოს, რარიგ დაკარგულია და მივიწყებული სამყაროს ამ მიყრუებულ კუთხეში. ადამიანი მოქცეულია ორ – არარაობისა და უსასრულობის უფსკრულს შორის და მაინც სვამს კითხვას – რა არის ადამიანი? – არარაობა უსასრულობასთან შედარებით და ყველაფერი არარაობასთან შედარებით. ანუ რაღაც საშუალო ყველაფერსა და არაფერს შორის. მას არ შეუძლია არცერთი უკიდურესობის შეცნობა, საგანთა დასაბამი და დასასრული მისთვის სამუდამოდ დაფარულია იდუმალების განუჭვრეტელი უკუნით. ის ერთნაირად უმწეოა შეიცნოს, როგორც არარაობა, რომლისგანაც იშვა, ისე უსასრულობა, რომელშიც არის დანთქმული. ადამიანი ეძებს მყარ საყრდენს, რომელსაც იგი მიენდობა, მაგრამ ვერ პოულობს, რამეთუ ირგვლივ არაფერია ურყევი. ასეთია ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობა და მაინც სრულიად არაბუნებრივად ეჩვენება ის ჩვენს გრძნობებს. ჩვენ ხარბად მიველტვით მკვიდრ სამყოფელს, გვსურს ფეხქვეშ ვგრძნობდეთ მყარ ნიადაგს, რათა ცათაზიდული გოდოლი აღვმართოდ ზედ, მაგრამ საძირკველი ირღვევა.

მე არ ვიცი, რაა სამყარო, არ ვიცი, რაა ჩემი სხეული, ჩემი გრძნობა, ჩემი სული და ჩემი არსების ის ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რასაც ვამბობ, რომელიც ცდილობს აზრით მიწვდეს და შეიცნოს ყველაფერი, შეიცნოს თავისი თავიც, მაგრამ უკეთ როდი იცნობს საკუთარ თავს, ვიდრე სხვა დანარჩენს. მე ვხედავ სამყაროს საშინელ სივრცეს, რომელშიც ვარ ჩაკეტილი. მე ვგრძნობ, რომ მიჯაჭვული ვარ ამ უვრცესი სამყაროს მხოლოდ ერთ კუნჭულს, მაგრამ არ ვიცი, რად მხვდა წილად ეს კუთხე და არა რომელიმე სხვა ადგილი, ან რად მებოძა სასიცოცხლოდ ერთი მსწრაფლ წარმავალი წამი მარადისობის სწორედ ამ და არა რომელიმე სხვა წერტილში. მარადისობისა, რომელიც წინ უსწრებს ჩემს დასაბამს და რომელიც მოსდევს ჩემს დასასრულს.

მე ვერაფერს ვხედავ ჩემს ირგვლივ უსასრულობის გარდა, რომელშიც ატომივით ვარ ჩაკარგული. ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ჩრდილია, რომელიც მხოლოდ წამით ევლინება უსასრულობას, რათა ამ წამის წახდომისთანავე უკვალოდ გაქრეს. მე მხოლოდ ის

ვიცი, რომ მალე მოვკვდები, მაგრამ ყველაზე ნაკლებ ვიცნობ სწორედ ამ სიკვდილს, რომელსაც ვერ გავექცევი და ვერ ავიცილებ“!

მითოლოგიას, რელიგიას, ფილოსოფიას აქვს პრეტენზია იყოს მდგრადი, გავლენიანი, იყოს საყოველთაოდ აღიარებული, მაგრამ იცვლება დრო, იცვლება ადამიანის მსოფლგაგებაც. **მარტინ ჰაიდეგერის** (1889 –1976 წწ.) აზრით, შეუძლებელია მუდამ ერთი და იმავე იდეალის მიმართულებით მოძრაობა. მაგალითად იყო პერიოდი, როცა ევროპული საზოგადოების ცხოვრებაში წინა პლანზე წამოვიდა ცოდნის იდეალი, მაგრამ მუდამ ასე არ იყო და არც მუდამ ასე იქნება. იყო პერიოდი, როცა განსაკუთრებით მწვავედ დადგა ეკონომიკური პრობლემა და მისმა გადაჭრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვა. იყო ისეთი პერიოდიც, როცა სექსუალურმა ლტოლვამ ცივილიზებული ადამიანის ცხოვრების წარმართველ ფაქტორთა შორის ლამის ყველაზე მეტი ძალით იჩინა თავი. ახლა, ფიქრობს ჰაიდეგერი, ცივილიზებული კაცობრიობის ცხოვრებაში ყველაზე მეტ როლს **ფრიდრიხ ნიცშეს** მიერ ნაწინასწარმეტყველები ძალაუფლების იდეალი თამაშობს. კაცობრიობა ამ იდეალის მეოხებით დღეს კატასტროფის წინაშე დგას და თუ კი საბოლოო დაღუპვა არ უწერია, მომავალში უთუოდ დააღწევს მას თავს. ნათქვამიდან გამომდინარე, ადამიანი შეძლებისდაგვარად სრული სახით ყოფნას მიესწრაფვის. ამისათვის კი ყოფნის სისტემის გაგებას ცდილობს, სწორედ ამიტომაც იქცა ადამიანისათვის აუცილებლობად ფილოსოფიური აზროვნება, რომელიც არსებითად განსხვავდება მეცნიერული, მითოლოგიური, რელიგიური აზროვნებისაგან.

მითოსური მსოფლმხედველობა

ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას ისტორიულად წინ უძღოდა მითოლოგიური და რელიგიური მსოფლმხედველობის არსებობა. მითოლოგიური მსოფლმხედველობა შეიქმნა კაცობრიობის წარმოშობის პირველსავე საფეხურზე.

მითოლოგია არის სხვადასხვა ეპოქებისა და ხალხების მითების და ლეგენდების ერთობლიობა. ისინი მოგვითხრობენ სამყაროს, ღმერთების, ფანტასტიკური არსებების და ადამიანების შესახებ. მითოსური აზროვნება ადამიანური ცნობიერების თავდაპირველი ფორმაა. იგი წარმოიშვა ცალკეული მითების და ლეგენდების სახით, თანდათანობით ხდებოდა მათი მოწესრიგება და სისტემატიზაცია.

ბევრი რამ იყო უძველესი ადამიანისათვის იდუმალი და შეუცნობელი, ამასთან შიშის მომგვრელი და შემზარავიც: სტიქიური უბედურება – გვალვა, წყალდიდობა, მიწისძვრა, ქარიშხალი, ქარბორბალა; ბუნების სხვადასხვა მოვლენები – წვიმა, სეტყვა, ჭექა-ქუხილი, მოუსავლიანობა, გამყინვარება, მზისა და მთვარის დაბნელება, წელიწადის დროთა მონაცვლეობა; პირადი ცხოვრებიდანაც კი – ძილი, სიზმარი, ავადმყოფობა, სიკვდილი... ადამიანის ცდები, აეხსნა და ჩასწვდომოდა მათ საიდუმლოებას, უშედეგოდ მთავრდებოდა. თავისი განვითარების დაბალი დონის გამო, მას არ შესწევდა უნარი შეეცნო მოვლენათა არსი და პასუხი გაეცა ისეთ კითხვებზე, რომლებსაც დღეს დაუფიქრებლად უპასუხებს სკოლის მოსწავლე. იმ უხსოვარ დროში კი ყველაფერი ეს უხილავი ღმერთების ნება-სურვილის გამოვლინებად მიაჩნდათ და მითებში ცდილობდნენ ბუნების მოვლენების ახსნას, სიკვდილისა და სიცოცხლის საიდუმლოებათა შეცნობას, ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობის გარკვევას. სწორედ ამიტომ უწოდებენ მითოლოგიას „წინაფილოსოფიას“. არისტოტელეს აზრით, ადამიანებმა ფილოსოფოსობა პირველად გაოცების შედეგად დაიწყეს. იგი თვლიდა, რომ ადამიანი, რომელსაც უყვარს და თვითონაც თხზავს მითებს, გარკვეული აზრით უკვე ფილოსოფოსია, რამეთუ სიბრძნე გულისხმობს მიზეზთა ცოდნას, ხოლო მითები კი ბუნების მოვლენათა მიზეზების ახსნაა.

უძველეს ხალხთა მითებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო და სა-

პატიო ადგილი უკავია **ძველ ბერძნულ მითოლოგიას,** რომელსაც სხვა ხალხების მითოლოგიისაგან, ძირითადად, ორი თავისებურება გამოარჩევს – ანთროპომორფიზმი და ბედისწერის პრინციპი. ძველ ბერძენთა წარმოდგენით, სამყარო ასე შეიქმნა: თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ მარადიული, უსაზღვრო, ბნელი ქაოსი, რომელშიც იყო ქვეყნიერების სიცოცხლის წყარო. ყოველივე, მთელი სამყარო და უკვდავი ღმერთებიც, უსაზღვრო ქაოსიდან წარმოიშვა. ქაოსიდან წარმოიშვა დედამიწის ქალღმერთი **გეა** – ძალუმი, სიცოცხლის მომნიჭებელი ყოველისთვის, რაც მასზე ცოცხლობს და იზრდება. შორს, მიწის ქვეშ კი, ისე შორს, როგორადაც შორსაა ჩვენგან უკიდეგანო, ნათელი ცა, განუზომელ სიღრმეში დაიბადა პირქუში **ტარტაროსი** – საზარელი ქვესკნელი, სავსე მარადიული წყვდიადით. ქაოსიდანვე, სიცოცხლის წყაროდან, იშვა დიადი ძალა, ყოვლის გამაცოცხლებელი სიყვარული – **ეროსი.** დაიწყო ქვეყნიერების შექმნა. უსაზღვრო ქაოსმა შვა მარადიული წყვდიადი – **ერებოსი** და ბნელი ღამე **ნიუქსი.** ღამისა და წყვდიადისაგან წარმოიშვნენ მარადიული შუქი – **ეთერი** და სიხარულის მომგვრელი, ნათელი დღე – **ჰემერა.** სინათლე მოეფინა მთელს ქვეყნიერებას და დაიწყო დღისა და ღამის ცვლა. ყოვლისშემძლე დედამიწამ შვა უნაპირო ლურჯი ცა – **ურანოსი,** და გადაიშალა ზეცა. ამაყად აღიმართნენ ცისაკენ მიწის შვილები – მაღალი მთები და ფართოდ გადაიშალა მარად მღელვარე ზღვა. ქალღმერთმა ღამემ გააჩინა საზარელ ღვთაებათა მთელი დასი: **თანატოსი** – სიკვდილი; **ერიდა** – განხეთქილება; **აპატუ** – სიცრუე; **კერი** – განადგურება; **ჰიპნოსი** – ძილი, საშინელ მოჩვენებათა მთელი გუნდით, რომლებმაც არ იციან შებრალება, **ნემესიდა** – შურისძიება დანაშაულისათვის. საშინელება, განხეთქილება, სიცრუე, ბრძოლა და უბედურება მოიტანეს ამ ღმერთებმა ქვეყნად.

სამყარო შემოსაზღვრული იყო ვრცელი მდინარით, რომელსაც ოკეანეს უწოდებდნენ. ოკეანის აღმოსავლეთით ყოველ დილით ამოდის მზე – ღმერთი **ჰელიოსი,** ხოლო დასავლეთით (იმავე დროს) ჩადის მთვარე – ქალღმერთი **სელენე.** მთელ სამყაროს განაგებს **ზევსი** – ყველა ღმერთისა და ადამიანების მამა და მბრძანებელი. იგი ყოვლისშემძლეა. ზევსი განაგებს ცასა და ციურ მოვლენებს. იგია ჭექა-

ქუხილის ღმერთი – ელვისა და მეხის მფრქვეველი ზევსი. მისი სურვილისამებრ იკრიბება ღრუბელი ცაზე, იგი უგზავნის ადამიანებს წვიმას, მისი ბრძანებით მოძრაობს ქარი, იცვლება წელიწადის დრონი. მან დაამყარა ქვეყნად საზოგადოებრივი წესრიგი და დაუწესა ადამიანებს კანონები. ადამიანთა ბედი ზევსის ნებას ემორჩილება. **ოლიმპოს** მთიდან უგზავნის იგი ადამიანებს წყალობასა და რისხვას. ღმერთები მონაწილეობენ ადამიანთა ცხოვრებაში, ისინი ასწავლიან ადამიანებს გარკვეულ საქმეს და მფარველობენ მათ საქმიანობას. **ათენამ** ასწავლა საფეიქრო ხელოვნება. **ჰეფესტომ** – მჭედლობა და სხვა. ღმერთებს ადამიანისთვის მოაქვთ, როგორც სიკეთე, ისე ბოროტება, როგორც ბედნიერება, ისე უბედურება. ისმის კითხვა: თუ ყველაფერი ღმერთების ნებით ხდება, ხოლო ისინი მრავალია და დამოუკიდებლად მოქმედებენ, მაშინ, ხომ არ სუფევს სამყაროში ქაოსი და განუკითხაობა? მითოლოგია მიიჩნევს, რომ სამყარო მკაცრად მოწესრიგებული მთელია. ამგვარ სამყაროს **კოსმოსი** ეწოდება. მასში ბატონობს ურყევი წესრიგი და გარდაუვალობა, სადაც გამორიცხულია ყოველგვარი შემთხვევითობა და თვითნებობა. რა ძალა უდევს საფუძვლად ამ რკინისებურ აუცილებლობას? ეს არის ბედისწერა, რომელიც წინასწარ, ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს ყოველივე იმას, რაც სამყაროში ხდება. მოხდება მხოლოდ ის, რაც ბედისწერით არის დადგენილი და გადაწყვეტილი. ვერვინ გაექცევა იმას, რაც უწერია. ბედისწერას ბერძნულად **მოირა** ჰქვია, რაც „წილს“, „ხვედრს“ ნიშნავს. ყოველ საგანს, მათ შორის ადამიანსაც, თავისი წილი, ხვედრი აქვს მიჩენილი.

თებეს მეფის მემკვიდრემ **ლაიოსმა,** პისაში მეფე **პელოპთან** სტუმრად ყოფნის დროს, მისი ქალიშვილი **ქრისიპე** მოიტაცა და თავისთან წაიყვანა. განრისხებულმა და დანაღვლიანებულმა მამამ ლაიოსი დაწყევლა – ღმერთებმა ჩემი შვილის გამტაცებელი იმით დასაჯონ, რომ საკუთარმა შვილმა დაღუპოსო. გარკვეული დროის შემდეგ, ლაიოსი მენეკევსის ასულ **იოკასტეზე** დაქორწინდა, მაგრამ შვილი არ ეღირსათ. აპოლონის ქურუმმა ქალმა **პითიამ** ლაიოსს ღმერთების ნება აუწყა: შვილი გეყოლება, მაგრამ პელოპის წყევლა გიწევს და საკუთარი შვილის ხელით სიკვდილი გიწერიაო. თავზარდაცემულმა ლაიოსმა გადაწყვიტა, შვილი დაბადებისთანავე მოეკ-

ლა. ასეც მოიქცა – ახალშობილს ფეხები ღვედით შეუკრა, ტერფებში წვეტიანი რკინა გაუყარა, უხმო მონას და უბრძანა ყრმის დაგდება კითერონის ფერდობზე, რათა იქ გარეულ მხეცებს დაეგლიჯათ. მაგრამ მონამ არ შეასრულა მეფის ბრძანება. ბავშვი შეეცოდა და კორინთოს მეფის მონას გადასცა. კორინთოს მეფე უშვილო იყო და ბავშვის გამოჩენა ღმერთების წყალობად მიიჩნია. მან გადაწყვიტა ყმაწვილი საკუთარი შვილივით აღეზარდა და მემკვიდრედ გამოეცხადებინა. ბავშვს სახელად **ოიდიპოსი** უწოდეს. ერთხელ ნადიმზე ერთმა შეზარხოშებულმა მეგობარმა გაზრდილ და დავაჟკაცებულ ოიდიპოსს ნაშვილები უწოდა. ოიდიპოსმა სიმართლის დადგენის მიზნით დელფოს ორაკულს მიაკითხა. სხივნათელმა აპოლონმა მისან პითიას პირით ოიდიპოსს მისი საზარელი ბედი გაანდო: შენ მოკლავ მამაშენს, შეირთავ საკუთარ დედას და ამ ქორწინებიდან გეყოლება შვილები, დაწყევლილი ღმერთებისაგან და შეძულებული ადამიანთაგან. შეძრწუნებულმა ოიდიპოსმა განიზრახა უთვისტომო, უნათესავო, სამშობლოს მოკლებულ მოხეტიალე ყარიბად დარჩენილიყო. მაგრამ განა შეიძლება ვინმე ბედისწერას გაექცეს? ოიდიპოსმა არ იცოდა, რომ, რაც უფრო შეეცდებოდა გაქცეოდა თავის ბედისწერას, მით უფრო მტკიცედ წავიდოდა იმ გზით, რაც ბედმა განუჩინა. გზად მიმავალს, პარნასის მთის ძირას, შემთხვევით უცნობი ბერიკაცი შემოაკვდა. ოიდიპოსი თავს დამნაშავედ არ გრძნობდა – იგი ხომ მხოლოდ თავს იცავდა. ალალბედზე არჩეულმა გზამ ოიდიპოსი თებეში ჩაიყვანა. ქალაქში გლოვა სუფევდა – სფინგიონეს მთაზე დასახლებული, ტითონისა და ექიდნას ნაშიერი სფინქსი სულ ახალ-ახალ მსხვერპლს ითხოვდა და კიდევ, ვიღაც უცნობს თებეს მეფე ლაიოსი მოეკლა. ოიდიპოსმა მოქალაქეთა დახმარება გადაწყვიტა.

საშინელი სანახავი იყო ქალის თავიანი, უშველებელი ლომის ტანის, ბასრი კლანჭებითა და უზარმაზარი არწივის ფრთებიანი სფინქსი. ღმერთების გადაწყვეტილებით სფინქსი მანამდე უნდა დარჩენილიყო თებეში, ვიდრე ვინმე მის გამოცანას არ ამოხსნიდა. მრავალმა სცადა, მაგრამ ამაოდ, ყველა დაიღუპა. სფინქსმა ოიდიპოსსაც უთხრა თავისი თავსატეხი:

მითხარი, ვინ დადის დილით ოთხ ფეხზე, შუადღისას ორზე და საღამოს სამზე? არცერთი მიწიერი არსება არ იცვლის სახეს მასა-

ვით. როცა ოთხ ფეხზე დადის, მაშინ ნაკლები ძალა აქვს და უფრო ნელაც მოძრაობს, ვიდრე სხვა დროს. წამითაც არ დაფიქრებულა ოიდიპოსი, ისე უპასუხა: – ეს ადამიანია! როცა პატარაა, მხოლოდ დილაა მისი სიცოცხლისა, მაშინ სუსტია და ოთხ ფეხზე დახოხავს. დღისით, ე.ი., სიმწიფის ასაკში, ორ ფეხზე დადის, ხოლო საღამოს, ე.ი. სიბერის დროს, სუსტდება, დასაყრდენი სჭირდება და ჯოხს იყენებს, მაშინ სამ ფეხზე დადის.

შეძლო ოიდიპოსმა ამ თავსატეხის გამოცნობა. სფინქსმა კი ფრთები აიქნია და კლდიდან ზღვაში გადაეშვა. ასეთი იყო ღმერთების ნება – სფინქსი უნდა დაღუპულიყო, თუკი ვინმე მის გამოცანას გამოიცნობდა. ასე გაათავისუფლა ოიდიპოსმა თებე უბედურებებისაგან და მადლიერმა ხალხმა იგი მეფედ გამოაცხადა. ოიდიპოსმა ცოლად შეირთო ქვრივი დედოფალი და მისგან ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი შეეძინა. ბრძნულად მართავდა ოიდიპოსი თებეს, ხალხის სიყვარულიც დაიმსახურა, მაგრამ ვინ გაქცევია ბედისწერას? ისევ დიდი განსაცდელი დაატყდა თავს თებეს – აპოლონმა საშინელი სენი, შავი ჭირი მოუვლინა ქალაქს. უამრავი ადამიანი დაიხოცა. მისანმა **ტირესიამ** უბედურებაში ოიდიპოსი დაადანაშაულა, როგორც საკუთარი მამის მკვლელი და თავისი მშობელი დედის ქმარი. შეძრწუნებულმა, სასოწარკვეთილმა ოიდიპოსმა თვალები დაითხარა – აღარ სურდა ეცქირა მზის სინათლისათვის, აღარ სურდა შვილების ხილვა, რომლებიც მისთვის იმავდროულად დები და ძმებიც იყვნენ. ახლა მისთვის ყოველივე დაიღუპა. ამაოდ ცდილობდა ოიდიპოსი ბედს გაქცეოდა! ვერავინ შეცლის ღმერთების ნებას, თვით ზევსიც კი.

ბერძნულ მითოლოგიაში თავისებური ასახვა ჰპოვა ბუნების კულტმაც. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე მომხიბვლელ მითად მიჩნეულია ძველი ბერძნული თქმულება ნიმფა ექოს შესახებ. მშვენიერი ნიმფა ექო ქალღმერთმა ჰერამ დასაჯა. ამიერიდან ექოს მხოლოდ მასთან მოსაუბრის მიერ წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვის გამეორება შეეძლო... და აი, ექოს შეუყვარდა სახემშვენიერი ჭაბუკი ნარცისი. ვერ შესძლო ექომ თავისი უნუგეშო სიყვარულის განდობა. უარყო იგი ნარცისმა. მარტოდ ცხოვრობდა ამიერიდან უკაცრიელ და მიუვალ გამოქვაბულში ექო, მძიმედ განიცდიდა თავის სიყვარულს. ჩამოხმა და მხოლოდ ძვლები და უწინდელი ხმა-

ღა შემორჩა. ბოლოს ძვლებიც ქვად იქცნენ, მაგრამ დარჩა ექოს ხმა. ვერავინ ხედავს მას უდაბურ ტყეებსა და მაღალ მთებში, თუმცა ყველას ესმის მისი ხმა...

ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ვრცელი და თავისებური ასახვა ჰპოვა ძველი საბერძნეთის ურთიერთობამ ქართულ-კავკასიურ სამყაროსთან: ამორძალები, მეომარ ქალთა მითიური ტომი, ძველ ბერძენთა წარმოდგენით, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ მდ. თერმოდონტის მახლობლად; ბერძენ გმირებს **პოლიდევკესა** და **კასტორს** (დიოსკურებს) **კოლხთა** ქვეყანაში დაუარსებიათ ქალაქი **დიოსკურია;** კავკასიონის ქედზე იყო მიჯაჭვული ბერძენთა გმირი **პრომოთე.** მაგრამ ბერძნულ მითოლოგიაში ძველ საქართველოსთან ურთიერთობა ყველაზე უფრო ნათლად აისახა თქმულებაში **არგონავტთა** კოლხეთში ლაშქრობის შესახებ. **სტრაბონი** გვაწვდის შემდეგ ცნობას: „(კოლხეთში)... მდინარეებს ჩამოაქვთ ოქრო, რასაც ბარბაროსები დახვრეტილი ვარცლებით და ბეწვიანი ტყავებით აგროვებენ. აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისის ტყავზე...“ სხვათაშორის, ოქროს მოპოვების ეს წესი სვანეთში, ე.ი. ისტორიული კოლხეთის მთიან რაიონებში, ყოფილა შემორჩენილი. სვანეთში ასეთი გადმოცემაა შემონახული: – თითქოს **ლეშხვარაზე** მდგარა ორსართულიანი ტაძარი. მიწისქვეშა სართულში ოქროს განძეულობა ინახებოდა. აქვე იყო ოქროს ჯაჭვით დაბმული ოქროს ვერძი...

ახლა ვნახოთ, როგორია ქართული მითოსური პანთეონი: „მთაზე ცხრათვალა, ბედგაუტეხელი, ცასწვერმიბჯენილი ციხე დგას. აქ არის ღვთის კარი: ოქროს ტახტზე მორიგე ღმერთი ზის და ოქროსავე ბაგეებს ძრავს. აქვე დგას ქვესკნელში ფესვგადგმული ალვის ხე, რომლის წვერში ოქროს ცხრაკეცი შიბი ჰკიდია. ალვის რტოებზე „ყურებად სანატრელი“, თეთრმხრიანი ღვთისშვილები სხედან, ხოლო მის ფესვებში უკვდავების ვეშა-წყარო ჩქეფს. ვეშა-წყაროს ღვთაებრივი ვეშაპი პატრონობს. ციხიდან წყარომდე „მიწი-მიწ“ დარანი ჩადის. ამ დარანიდან მოძრაობენ ვარსკვლავთა განმასახიერებელი, ერთმანეთის მოდე-მოძმე ღვთისშვილები“ (თ. ჩხენკელი). ქართველებს მრავალი ღმერთი ჰყავდათ. ღმერთთა მამამთავარს

ერქვა „მორიგე“, ანუ წესისა და რიგის გამრიგებელ-გამკანონებელი. ის იყო ქართველთა ზევსი. მას ჰყავდა ღვთისშვილები, იგივე ნახევარღმერთები – კოპალა, იასახარი, ლაშარელა, პირქუში და სხვანი; ქალღმერთები – დალი, ხელსამძივარი, პირიმზე და მზექალა; მათზე დაბლა დგანან გმირები, იგივე პიროფლიანები – ამირანი, ხოგაის მინდი, სულკალმახი და სხვანი.

ყველას საკუთარი ადგილი და თვისებები გააჩნია. მაგრამ მითოსურ ფანტაზიას თავისუფლება უყვარს და ხშირად სახეს უცვლიდა ღმერთებს. ღმერთები თუ ნახევარღმერთები ადამიანურად იქცეოდნენ: უყვარდათ, იბრძოდნენ, მხიარულებას თუ მწუხარებას ეძლეოდნენ. გმირები კი ზოგჯერ ღვთაებრივ ძალას ავლენდნენ და ღმერთსაც კი ეჭიდებოდნენ. ღვთისმებრძოლი გახდა ამირანი, როგორც პრომეთე. პრომეთემ ხომ ადამიანებს ცეცხლი მოუპოვა, ღვთაებრივი ცეცხლი, რომელსაც მანამდე მხოლოდ ღმერთები ფლობდნენ. ამიტომ იგი კავკასიონზე მიაჯაჭვეს. მითოსის თანახმად, იგი სულ გათავისუფლებას ელის. ასეთია ამირანიც. ამირანში ადამიანურიც არის და ღვთაებრივიც. იგი მხატვრული სახეა და მასში სხვადასხვა აზრი შეიძლება ამოვიკითხოთ. აკაკიმ ხომ მიჯაჭვული ამირანი თავისუფლების მომლოდინე ტყვედქმნილ საქართველოდ წარმოიდგინა. ძველ მითოლოგიურ სახეებს უნარი აქვთ ახალი დროის იდეებიც გამოხატონ.

ერთი შეხედვით, მითოსური თქმულებანი ფანტასტიკურ ამბებს შეიცავს. ეს ამბები დაუჯერებელია, ზღაპრულია. მაგრამ, სულხან-საბა ორბელიანისა არ იყოს, ამ სიცრუეში სიბრძნეა. ჩვენ იგი უნდა ამოვიცნოთ.

რელიგიური მსოფლმხედველობა

რელიგია (ლათ. რელიგიო – კეთილმსახურება, ღვთისმოშიშება, ღვთისმოსაობა, სიწმინდე) შეიძლება განისაზღვროს, როგორც მსოფლმხედველობა და მსოფლშეგრძნება, აგრეთვე ადამიანის შესაბამისი გრძნობები, ქცევები და სპეციფიკური მოქმედებები, რომელიც ემყარება ზებუნებრივი ძალის რწმენას.

რელიგია სულიერი კულტურის ფენომენია, რომელიც მხოლოდ ადამიანებს, მოაზროვნე არსებებს აქვთ. ისმის კითხვა: არსებობს თუ არა ღმერთი? შეიძლება ვუპასუხოთ ერთმნიშვნელოვნად – დიახ! არსებობს, მაგრამ რატომაა საკამათო ეს კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე? საქმე იმაშია, რომ ღმერთი მათთვის არსებობს, ვისაც იგი სწამს, და არ არსებობს მათთვის, ვისაც არ სწამს. ათეისტი მოითხოვს დასაბუთდეს ღმერთის არსებობა და მისი მოქმედებები. არის კი სამართლიანი ეს მოთხოვნა? რატომ ავიწყდებათ მათ, რომ ცოდნა და რწმენა, მეცნიერება და რელიგია სულ სხვადასხვა ფენომენებია. რატომ არ იხსენებენ **პავლე მოციქულის** სიტყვებს: „ამქვეყნიური სიბრძნე ღვთის წინაშე არის უგუნურება“. ეს ხომ ქრისტიანობის ამოსავალი დებულებაა. რწმენა მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ რწმენის ობიექტის შესახებ ცოდნა შეუძლებელია. იმას, რაც ვიცით, რწმენა არ სჭირდება; რაც არ ვიცით, რწმენაც სწორედ მას ეხება. სამყაროში განა ყველა მოვლენა შეიმეცნება და დასაბუთდება? ამიტომ სწორია დებულება: „იწამეთ ღმერთი ზებუნებრივი (საწინააღმდეგოდ ბუნებრივისა, რომელიც დროსა და სივრცეში არსებობს, შეგრძნებებში გვეძლევა და ამდენად შემეცნებადია), რადგანაც თქვენ არ შეგიძლიათ გაიგოთ, იცოდეთ ის“. განვიხილოთ იმანუელ კანტის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი წერს: „შევზღუდე ცოდნა, რათა ადგილი დამეთმო რწმენისთვის“. როგორც უკვე ვიცით, კანტმა მოაზრებადი სამყარო გაყო ორ ნაწილად, თავისთავადი ნივთების სფეროდ და მოვლენებად. მოვლენები ეს ფიზიკის სფეროა, რომელზეც მეცნიერება შენდება, ე. ი. ცდაში გვეძლევა. ეს იმანენტური სფეროა. თავისთავადი ნივთების სფერო კი ფიზიკის იქით არსებული სფეროა, ე. ი. ტრანსცენდენტური სფერო, რომელიც ცდაში არ გვეძლევა და რომელზეც

მეცნიერება არ შენდება. ეს რწმენის სფეროა. კანტმა ისიც გვიჩვენა, რომ დასაბუთების თვალსაზრისით, რამდენი არგუმენტიცაა ღმერთის არსებობის დამადასტურებელი, ზუსტად იმდენივეა მისი უარმყოფელი. ასეთ შემთხვევაში, არცერთი არაა დასაბუთებული. მიუხედავად იმისა, თუ რომელს მიიღებენ ადამიანები, ამით ღმერთის არსებობას არაფერი დააკლდება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს ერთი დასკვნა: ცოდნა და ცოდნის სფერო სხვაა (ის ეხება ბუნებრივ მოვლენებს, დროსა და სივრცეში რომ არსებობენ), ხოლო რწმენა და რწმენის სფერო სხვა. ეს უკანასკნელი ეხება ზებუნებრივს, ღმერთს, რომელიც არ ექვემდებარება დასაბუთებას. იგი რწმენით უნდა მივიღოთ. მათთვის, ვისაც სწამს ღმერთი, იგი ისეთივე არსებულად ითვლება, როგორც ათეისტისათვის ბუნებრივი მოვლენების არსებობა. ხომ არ ვეჭვობთ იმაზე, რომ არსებობს ჩვენს გარშემო მოვლენები? არა, იმიტომ რომ მათ ვხედავთ, ისინი შეგრძნებებში გვეძლევა. ასევე არ ეჭვდება მორწმუნე ღმერთის არსებობაზე, ისიც „ხედავს“, ოღონდ არა შეგრძნებებით, არამედ მისდამი გარკვეული სულიერ - ხედვით მდგომარეობაში ჩადგომით. თუ როგორ ხდება ეს, ამის აღწერა ისევე შეუძლებელია, როგორც ღმერთისა და მასთან დაკავშირებული ზებუნებრივი მოვლენების დასაბუთება – გადმოცემა. ე.ი. მოვლენების წვდომა – შემეცნება უფრო ადვილია, ვიდრე ზებუნებრივის, ღმერთის წვდომა.

ადამიანები ყოველთვის ესწრაფვოდნენ ჩასწვდომოდნენ და შეეცნოთ საოცრად იდუმალი და ამაღლებული ფენომენის – რელიგიის – არსი. რა განაპირობებს ადამიანის რწმენას – დაუცველობის გრძნობა? სიყვარულისა და თანაზიარების ნაკლებობა ცხოვრებაში? სიკვდილის წინაშე შიში? ან უკვდავებისაკენ მარადიული სწრაფვა? თუ... ? უფალი უხილავია, ჩვენ კი, თანამედროვე ადამიანები, ვაზროვნებთ მხოლოდ კონკრეტული კატეგორიებით, აღვიქვამთ მხოლოდ კონკრეტულ მოვლენებსა და საგნებს და „გვიჭირს“ მათი განზოგადება. მაშ, როგორღა გვწამს ღმერთის, თუ კი მას ვერ ვხედავთ, ვერ აღვიქვამთ, არ გვესმის მისი ხმა? მიტროპოლიტ ანტონ სუროჟელს საუბრების ციკლში — „შეხვედრები ღმერთთან ცხოველთან“ — მეტად საგულისხმო მოსაზრება აქვს გამოთქმული,

რათა აგვიხსნას, მიგვახვედროს, რას ნიშნავს რელიგიური გრძნობა, უხილავი ღმერთის სიყვარული: „სასტუმრო „უკრაინასთან“ ტაქსს ველოდებოდი. ახალგაზრდა კაცი მომიახლოვდა და მკითხა: „თქვენი სამოსი მიმანიშნებს, რომ მორწმუნე ხართ. სასულიერო პირი ბრძანდებით?“ „დიახ“ – ვუპასუხე მე“. „აი, მე კი, ღმერთის არ მჯერა...“ „ძალიან სამწუხაროა!“ – ვუპასუხე. – „როგორ დამიმტკიცებთ ღმერთის არსებობას?“ – „როგორი, რა სახის დამტკიცება გჭირდებათ?“ – „ხელის გულზე მაჩვენეთ თქვენი ღმერთი და ვიწამებ...“ მან ხელი გამომიწოდა და მე მის თითზე საქორწილო ბეჭედი შევამჩნიე. „დაოჯახებული ხართ?“ – ვკითხე. „დიახ“. – „ბავშვები გყავთ?“ – „დიახ, მყავს“. – მეუღლე გიყვართ?“ – „რა თქმა უნდა, მიყვარს“. – „ბავშვები?“ – „ბავშვებიც“. „აი, მე კი, ამისი არ მჯერა!“ – „როგორ თუ, არ გჯერათ? მე ხომ გეუბნებით...“ – „დიახ, მაგრამ მე მაინც არ მჯერა. დამიდეთ თქვენი სიყვარული ხელის გულზე, მე მას შევხედავ და დავიჯერებ...“

ფ. დოსტოევსკის გმირი, ივანე კარამაზოვი ერთი ათეისტის ისტორიას მოგვითხრობს, რომელსაც საიქიო ცხოვრების არ სწამდა და რომელსაც სიკვდილის შემდეგ ღმერთმა მოსანანიებლად მილიარდი მილის გავლა მიუსაჯა. ათეისტი გზაზე დაწვა და მილიონი წლის მანძილზე უარს ამბობდა ამ გზის გავლაზე. მაგრამ, ერთხელ იგი წამოდგა და საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, გაიარა ეს მანძილი. და როდესაც მას, ბოლოს და ბოლოს, ნება დართეს წარმსდგარიყო უფლის წინაშე, იმწამსვე აღიარა, რომ საუფლოში 5 წუთის ყოფნაც კი ღირს იმად, რომ ათჯერ მეტი სიგრძის გზა განვლო.

საკმარისია ჩავიძიროთ საკუთარ „მე“-ში, ჩავუღრმავდეთ ჩვენი სულის იდუმალ, გაუცნობიერებელ სიღრმეებს, სადაც აზრი და სინდისი ერთმანეთს ემთხვევა („სვინდისი – მამხილებელი გონება“, სულხან საბა ორბელიანი), რომ ვიგრძნოთ, როგორი დაუცველები ვართ, როგორ ვართ დამოკიდებული გარემომცველ სამყაროზე, უსასრულო ყოფიერებაზე და რაოდენ დიდია მასთან ერთიანობის განცდის სურვილი. ეს გრძნობა ჩვენი, ადამიანური ბუნებიდან გამომდინარეობს, რამეთუ თითოეული ჩვენგანი აბსოლუტური საწყისის მატარებლები ვართ და არა აქვს მნიშვნელობა, განათლებული ხარ, თუ ნაკლებად ნაზიარები ცოდნას, შეუძლებელია არ იგრძნო ამ საწყისის არსებობა შენში და არ

დაგეუფლოს მასთან მიახლების, ურთიერთობის მოთხოვნილება. ეს განცდა მხოლოდ გონიერ არსებას უჩნდება, რადგანადაც მხოლოდ იგი აცნობიერებს საკუთარ სასრულობასა და არასრულყოფილებას და მიისწრაფვის, ცდილობს შეუერთდეს უსასრულობას და ეზიაროს მარადიულ ჭეშმარიტებას.

რელიგია ადამიანისათვის აბსოლუტთან უშუალო ურთიერთობისაკენ სწრაფვა და მოთხოვნილებაა. ადამიანი მუდამ ეძებს ღმერთს, დალხინებული და შეჭირვებულიც, იმედიანი და ნუგეშის მაძიებელიც და არასოდეს რჩება გაცრუებული – სულიერ საზრდოს იღებს, ზნეობრივად იხვეწება, შვებას, ნუგეშსა და იმედს პოვებს მასში. ანუ, ეს არის ცოცხალი ურთიერთობა ღმერთსა და ადამიანს შორის და სწორედ ამაშია რწმენის არსი და ძალა.

ყოველი რელიგია მსოფლმხედველობაა, ე.ი. ჩამოყალიბებულია გარკვეული წარმოდგენები ღმერთზე, სამყაროსა და მასში მიმდინარე პროცესებზე, განსაზღვრულია ადამიანის რაობა, ცხოვრებისეული მიზანი და მისი ამქვეყნიური დანიშნულება. ამ აზრით, რელიგია ემთხვევა ფილოსოფიას, მათი შინაარსი იგივეობრივია. რელიგია და ფილოსოფია არ ემთხვევა ერთმანეთს კერძო აღმოჩენებში, მიდგომებსა და დამოკიდებულებაში. აბსოლუტის ცნობიერება, რომელიც ფილოსოფიაში ვითარდება განყენებული ფორმით, რელიგიაში მოცემულია ღმერთთან ცოცხალი ურთიერთობის ფორმით, რაც მთელ ადამიანურ ცხოვრებას მოიცავს. თუ ფილოსოფია აბსოლუტის განყენებული შემეცნებაა, ხოლო რელიგია კი აბსოლუტთან ცოცხალი ურთიერთობა, მაშინ ფილოსოფია რელიგიაზე უპირატესი ვერ იქნება. თუმცა, ეს არც არის საჭირო. ფილოსოფია ვერასოდეს შეუცვლის ადამიანს რელიგიას, ისევე, როგორც რელიგია ვერ უგულებელყოფს ფილოსოფიის მნიშვნელობასა და დანიშნულებას ადამიანისათვის. როგორც ფ. ბეკონი აღნიშნავდა, ზერელედ მიწოდებული ფილოსოფია გვაშორებს რელიგიას, სიღრმისეული ფილოსოფია კი გვაბრუნებს მის წიაღში.

მაგრამ, ვისაც ღმერთის შესახებ წარმოდგენა ჩამოყალიბებული არა აქვს, იგი მის სიახლოვეს ვერ იგრძნობს. უფალი ადამიანებს იმდენად აძლევს მისი შეცნობის საშუალებას, რა ხარისხი-

თაც ადამიანის გონებას შეუძლია მისი არსის წვდომა და გაგება.

რელიგია ვითარდება არა იმიტომ, რომ რელიგიური გრძნობები და შეხედულებები იცვლება, არამედ იმიტომ, რომ ადამიანის გონება ვითარდება, უფრო სიღრმისეული ხდება მისი დამოკიდებულება სამყაროს, მასში მიმდინარე პროცესებისა და საკუთარი თავისადმი.

კაცობრიობის ისტორია მრავალ რელიგიას იცნობს, პრიმიტიული შეხედულებებიდან დაწყებული განვითარებული მსოფლიო რელიგიებით დამთავრებული:

1) პირველყოფილი რელიგიური ფორმები:

ანიმიზმის (ლათ. ანიმა – სული) მიხედვით, ყველა მატერიალურ ობიექტსა და პროცესს ბუნებაში თავისი ზებუნებრივი ორეული ჰყავს. ეს ტერმინი მეცნიერებაში დაამკვიდრა ე. ტეილორმა. ტეილორს რელიგია, ძირითადად, ესმოდა, როგორც სულიერი არსებების რწმენა, ანუ ანიმიზმი, რომელსაც იგი „რელიგიის მინიმუმს“ უწოდებდა. ანიმისტური რწმენა, მისი მოსაზრებით, განპირობებულია ადამიანის ცოდნის დაბალი დონით. ამ პერიოდის ადამიანი ახსნას ვერ უძებნიდა ისეთ ბიოლოგიურ მოვლენებს, როგორიცაა ძილი, სიზმარი, გულყრა, სიკვდილი. ცდილობდა რა აეხსნა ეს მოვლენები, „ველური-ფილოსოფოსი“ მივიდა სულის, პატარა ორეულის იდეამდე, რომელიც ყველა ადამიანშია ჩასახლებული და ტოვებს მას ძილის, სიზმრებისა (ამ დროს სული მოგზაურობს და ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები აისახება ადამიანის სიზმრებში) და სიკვდილის (ამ შემთხვევაში სული ადამიანის სხეულს აღარ უბრუნდება) შემთხვევაში.

მაგია (ბერძ. მაგია – ჯადოქრობა) გულისხმობს ბუნებასა და ადამიანზე ზემოქმედების ზებუნებრივი საშუალებების არსებობას (მაგალითად, რიტუალური წეს-ჩვეულებები, სპეციფიკური მოქმედებები და სხვა). მაგიის სახეები მრავალფეროვანია: თეთრი მაგია, შავი მაგია, სასიყვარულო მაგია, სამკურნალი მაგია, სასოფლო-სამეურნეო მაგია და ა.შ.

ფეტიშიზმი – „მოჯადოებული საგანი“, „გაკეთებული“, ასე უწოდებდნენ პორტუგალიელი მოგზაურები იმ მატერიალურ ობიექტებს, რომლებსაც თაყვანს სცემდა და აღმერთებდა მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიების აბორიგენი მოსახლეობა. ეს არის ბუნების

გარკვეული მოვლენებისა და საგნების რელიგიური თაყვანისცემა და გაღმერთება. ფეტიშებს მიეწერებოდათ ზებუნებრივი თვისებები. მაგალითად, ჩვ. წ. პირველ საუკუნეში ძველი გერმანელებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ყოვლისშემძლე ფეტიში იყო ნაძვი. ზამთარში ისინი განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ მას, ფერად-ფერადი საჩუქრებით რთავდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ მისთვის, თხოვდნენ დახმარებასა და შემწეობას. ჩვენი საახალწლო ნაძვის ხის ტრადიცია სწორედ ამ ძველი წეს- ჩვეულების თავისებური გაგრძელებაა.

ტოტემიზმი („მისი გვარი", სიტყვა „ტოტემი" – აღებულია ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ენიდან). ტოტემიზმის მიხედვით, ცხოველთა და მცენარეთა გარკვეული სახეობები ამა თუ იმ თემის ან ტომის მფარველ-წინაპრებს წარმოადგენენ. მათი მოკვლა აკრძალული იყო, მაგრამ წელიწადში ერთხელ, რელიგიური მიზნით, ადამიანები ვალდებული იყვნენ მოეკლათ თავისი ტოტემი და შეეჭამათ მისი ხორცი. ითვლებოდა, რომ ეს რიტუალი სასარგებლო იყო როგორც ადამიანისათვის, ასევე ცხოველისათვის – ადამიანზე გადადიოდა ტოტემის ძალა და ყოვლისშემძლეობა, ხოლო ცხოველს კი გამრავლებაში უწყობდა ხელს.

2) პოლითეიზმი ანუ მრავალღმერთიანობა. პოლითეიზმი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო პირველყოფილ რელიგიურ ფორმებთან შედარებით. თუ პირველყოფილ რელიგიებში ადამიანი ემორჩილება ბუნების ბრმა ძალებს, ახლა ემორჩილება ადამიანური სახისა და მოქმედების ღმერთებს.

3) თანამედროვე განვითარებული მონოთეისტური რელიგიები, რომელთა შორის განასხვავებენ მსოფლიო და ნაციონალურ რელიგიებს.

ა) იუდაიზმი – ნაციონალური მონოთეისტური რელიგია, რომელიც, ძირითადად, მხოლოდ ებრაელი ერის რელიგიური მსოფლმხედველობას, იდეოლოგიას წარმოადგენს.

ბ) ბუდიზმი – საფუძველი ჩაეყარა ძვ. წ. VI–V საუკუნეებში ინდოეთში. იგი ხუთი საუკუნით „უფროსია" ქრიატიანობაზე, ხოლო ისლამი კი თორმეტი საუკუნით ახალგაზრდაა მასზე. მისი წარმოშობა უკავშირდება მოგზაურ-მქადაგებლის სიდხარტხას სახელს,

რომელიც თავის თავს ბუდას („ჭეშმარიტებით გასხივოსნებულს“) უწოდებდა. მრავალჯერადი ხელახალი დაბადების შემდეგ, ბუდამ აირჩია შაკიამუნთა გვარის უფლისწულ სიდხარტხას სახე და ერთადერთი მიზნით მოევლინა დედამიწას – ასწავლოს ცოცხალ არსებებს ტანჯვისაგან გათავისუფლების, ხსნის გზა. ამ რელიგიის ქვაკუთხედია ბუდას სწავლება და ოთხი კეთილშობილი ჭეშმარიტება: ტანჯვა, ტანჯვის მიზეზი, ტანჯვისაგან განკურნება (მოსპობა) და განკურნების საშუალებები. განკურნება (გათავისუფლება) ამ შემთხვევაში ნიშნავს ნირვანას. ბუდიზმში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი კარმის ცნებას, რომელიც გაგებულია, როგორც განსაკუთრებული მენტალური სტრუქტურა.

ბ) ქრისტიანობა – მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული რელიგიაა, რომელიც წარმოიშვა რომის იმპერიაში, პალესტინაში.

ძვ.წ. VII საუკუნეში წინასწარმეტყველმა იერემიამ თქვა: ასე ამბობს უფალი: მე დავდებ ადამიანებთან ახალ აღთქმას, ახალ კავშირს,... იგი ამოტვიფრული იქნება გულებში... და, აი, 700 წლის შემდეგ, პატარა ოთახში შეიკრიბა 12 ადამიანი და აღსრულდა მსხვერპლთშეწირვა. ეს რიტუალი უწინ ყოველთვის სისხლის თანხლებით სრულდებოდა. სისხლი ხომ სიცოცხლის სიმბოლოა, სიცოცხლე კი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. ასე იყო მოსეს დროსაც. იმ ღამეს კი, ჩვ.წ. 30 წლის გაზაფხულზე, იესო ნაზარეველმა აღასრულა ეს წესი, მაგრამ აქ სისხლი არ იყო, იყო ღვინო და პური. მან გატეხა პური, დაურიგა თითოეულ იქ მყოფს და უთხრა: აი, ჩემი ხორცი ხორცთაგანი, როგორც სამსხვერპლო კრავი ადამიანებისათვის. ჩამოასხა ღვინო ფიალაში, ჩამოატარა და დასძინა: აი, ჩემი სისხლი, რომელიც მე ადამიანებისათვის გავიღე. ეს ახალი აღთქმაა ჩემს სისხლში. ამგვარად, ამ წმინდა ტრაპეზში ღმერთი და ადამიანი შეერთდა არა რეალურ, ფიზიკურ სისხლში, არამედ მიწის სიმბოლურ სისხლში, რამეთუ ყურძნის წვენი, ღვინო მიწის სისხლია, პური კი მიწის ხორცი. ეს ღმერთია, რომელიც ჩვენთვის თავს წირავს. „გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“ (იოან. 15.12) – ეს სიყვარულის უმაღლესი, მიუწვდომელი ფორმულაა, იდეალია, რომელიც იესო ქრისტემ სამოქმედოდ დაგვიტოვა და ამიტომაც გვთხოვს ჩვენ, ადამიანებს, ვისაც მასთან ყოფნა სურს, უკუაგდოს

თავისი სიამაყე, დიდებისმოყვარეობა, ამპარტავნება, იტვირთოს თავისი ჯვარი და გაჰყვეს ქრისტეს გზას.

ქრისტიანობა ახალი ეთიკა არ არის. ქრისტიანობა ახალი ცხოვრებაა, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს უშუალოდ იურთიერთოს ღმერთთან. სად არის აქ საიდუმლო? რატომ იზიდავს ანდამატივით ეს რელიგია ადამიანებს? განსაკუთრებით იესო ქრისტეს პიროვნება? მის სიტყვებში ხომ არ იყო აღმოსავლეთის პოეტებისა და ფილოსოფოსებისათვის დამახასიათებელი ბუნდოვანება, მაღალფარდოვნება? მაცხოვარი ყოველთვის მარტივად და გასაგებად საუბრობდა. მისი იგავებიც ჩვენი ცხოვრებისეული მაგალითები იყო. ეს საიდუმლო, მღვდელ ალექსანდრე მენის აზრით, ირკვევა ასეთივე მარტივ სიტყვებში: ფილიპე ეკითხება: გვიჩვენე მამა, მამა ყოველივესი, ბერძნები რომ არხეს უწოდებენ. სად არის იგი? და იესო პასუხობს, როგორც არ უპასუხია არცერთ ფილოსოფოსს: ამდენი ხანია თქვენთან ვარ და შენ არ მიცნობ? ვინც მე მნახა, მან მამაც ნახა. იესო ქრისტე არის უსასრულოს, აუხსნელის, შეუცნობელის ადამიანური სახე, ჩვენთვის მოვლენილი, ვინც ჩვენთან ერთად ტვირთულობს ჩვენი ცხოვრების სიმძიმეს, ვინც მსხვერპლად შეეწირა ადამიანებს და გამოისყიდა კაცობრიობის ცოდვები, ჩვენთვის რომ ახალი ცხოვრების დაწყების საშუალება მოეცა.

ქრისტიანობის გავრცელება, ძველი აღთქმისა და წმინდა წერილების საფუძველზე, არ იყო მხოლოდ რელიგიური ფენომენი. ქრისტიანობით დაიწყო კაცობრიობის თვისობრივად ახალი ერა, რომელიც დღეს ევროპული და დასავლური ცივილიზაციის სახელით არის ცნობილი.

დ) ისლამის მიმდევრს მუსულმანი ჰქვია, რაც არაბული სიტყვაა (მუსლიმი) და ნიშნავს „მინდობილს“, „მორჩილს“. ისლამი ყველაზე ახალგაზრდაა განვითარებულ მონოთეისტურ რელიგიათა შორის. იგი ასევე წარმოიშვა ახლო აღმოსავლეთში, ეყრდნობოდა იგივე იდეებს, ეფუძნებოდა იმავე კულტურულ ტრადიციებს, რასაც ქრისტიანობა და იუდაიზმი. ეს რელიგიური სისტემა, თავისი უაღრესად მკაცრი და დასრულებული, შეიძლება ითქვას, უკიდურესობამდე მიყვანილი მონოთეიზმით, ჩამოყალიბდა მისი ორი წინამორბედის ნიადაგზე. ასე, რომ მათი გავლენა იგრძნობა რწმენის

სიმბოლოში, კულტის პრინციპებში, მორალურ მცნებებში და ა.შ. და, მაინც, მიუხედავად ამისა, ისლამი, როგორც მსოფლიო რელიგია თვითმყოფადი და განუმეორებელია. ამ რელიგიის როლისა და ადგილის შეფასებისას ბევრად უფრო არსებითია ის, რომ პრაქტიკაში, აზიისა და აფრიკის ხალხთა ყოველდღიურ ყოფასა და კულტურაზე კოლოსალურ ზემოქმედებაში, ისლამს გააჩნია არა მარტო თავისი განუმეორებელი სახე, არამედ საკმაოდ სპეციფიკური ხასიათიც. ეს სპეციფიკა იმდენად დიდი და საგრძნობია, რომ შემთხვევით არ საუბრობენ „ისლამურ სამყაროზე“, ისლამურ (არაბულ-ისლამურ) ცივილიზაციაზე.

ასეთია მოკლედ რელიგიის ისტორიაში ცნობილი ძირითადი მსოფლმხედველობანი. რა თქმა უნდა, ეს არ არის სრული სურათი. ყოველი მსოფლიო რელიგია თავის თავში შეიცავს მრავალ მიმდინარეობას, რომლებიც ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებიან თავიანთი შეხედულებებით.

ფილოსოფიისა და რელიგიის მიმართება პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებაში ნორმალურია. რა თქმა უნდა, ისინი როგორც სულიერი კულტურის ფორმები, ერთმანეთზე ზემოქმედებენ, ურთიერთს ამდიდრებენ და საერთო ჯამში ემსახურებიან ადამიანის სულიერ და ზნეობრივ სრულყოფას.

ფილოსოფია და კერძო მეცნიერებები
ფილოსოფიის საგანი

ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, როგორც უკვე ვთქვით, უნივერსალური მსოფლმხედველობაა, მთელი სინამდვილის შესახებ შეხედულებათა სისტემაა. კერძო მეცნიერებები სწავლობენ თვალხილულ, დაკვირვებად, დროსა და სივრცეში არსებულ სინამდვილეს. ფილოსოფია არ არის ერთ-ერთი კერძო მეცნიერება სხვა მეცნიერებათა შორის. იგი სპეციფიკური მსოფლმხედველობაა, რომელიც ტვირთად იღებს კერძო მეცნიერებათა მიღწევების გათვალისწინებას, რათა შექმნას სინამდვილის, როგორც მთელის სრულყოფილი სურათი.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ ფილოსოფიისა და სხვა მეცნიერებათა ურთიერთმიმართება, საჭიროა გავაანალიზოთ მეცნიერებისა და მსოფლმხედველობის ცნებები.

მეცნიერების ზოგადი განსაზღვრება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან არ არსებობს ერთი მეცნიერება. არსებობს მეცნიერების რამდენიმე ტიპი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ცოდნის ხასიათით, შინაარსითა და კრიტერიუმებით. თანამედროვე გაგებით, არსებობს მხოლოდ კერძო მეცნიერება, სხვა ე. წ. ფილოსოფიური მეცნიერება არ არსებობს. მეცნიერების არსი ზოგადად ასეთია: მეცნიერება არის ინტერსუბიექტური მეთოდებით დასაბუთებული ობიექტური ცოდნის სისტემა. იგი იყენებს ისეთ პრობლემებს, რომელთა დადებითი და უარყოფითი გადაწყვეტა ხდება ერთმნიშვნელოვნად. მეცნიერება ადგენს უტყუარ და უეჭველ დებულებებს, რომელთაც ახასიათებს ჭეშმარიტება, მათი საპირისპირო დებულებები მცდარია.

ძველ საბერძნეთში ფილოსოფია მეცნიერულ ცოდნასთან ერთად დაიბადა და მასთან იყო გაიგივებული. ამ დროისათვის მეცნიერება და ფილოსოფია გაყოფილი არ იყო. ამიტომ ყველა დიდი მეცნიერი ამავე დროს დიდი ფილოსოფოსიც იყო. ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ასევე იყვნენ მათემატიკოსები, ასტრონომები, ფიზიკოსები, ფსიქოლოგები, ლოგიკოსები და სხვა. მეცნიერებისა და ფილოსოფიის ასეთი დამოკიდებულება თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. დიდი მათემატიკოსები და ფიზიკოსები **დეკარტი** (1596

– 1650 წწ.), ლაიბნიცი (1646 –1716 წწ.), პასკალი (1623 – 1662 წწ.) და სხვები დიდი ფილოსოფოსებიც იყვნენ. როდესაც მეცნიერებაში დამკვიდრდა ექსპერიმენტული მეთოდი, დაიწყო კონკრეტულ მეცნიერებათა დიფერენციაცია. გაჩნდა მრავალი საბუნებისმეტყველო, სოციალური და ფსიქოლოგიურ-ექსპერიმენტალური მეცნიერება; ამას მოჰყვა მეცნიერებათა ფუნქციების დაყოფა. ამრიგად, მთელი სამყაროს შემადგენელი სფეროები დანაწილდა კონკრეტულ მეცნიერებებზე, მაგრამ ეს დანაწილება თვითნებურად არ მომხდარა. ის საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკული მოთხოვნილებების საფუძველზე წარმოიშვა. ყველა კონკრეტული მეცნიერება შეისწავლის რა რომელიმე კონკრეტული სფეროს კანონზომიერებას, ამ ცოდნის საფუძველზე ახორციელებს ამ სფეროს მოვლენებისა და პროცესების წინასწარხედვას და პროგნოზირებას, ანალიზს უკეთებს მიღებული შედეგების მნიშვნელობას. ეს არის ყველა კონკრეტული მეცნიერების პრაქტიკული დანიშნულება. ეს ითქმის არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებაზე, არამედ ფსიქოლოგიაზეც. ექსპერიმენტული ფსიქოლოგია შეისწავლის რა ქცევებს, მის ხასიათს, ნებისყოფას, ტემპერამენტს და სხვა ფსიქოლოგიურ თვისებას, ამის საფუძველზე ახდენს იმის პროგნოზირებას, თუ როგორ მოიქცევა ესა თუ ის ადამიანი ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში. ასეთ გამოკვლევებს ფართო პრაქტიკული გამოყენება აქვს მედიცინაში, პედაგოგიკაში, იურისპრუდენციაში და სხვა სფეროში. იბადება კითხვა: რადგან მთელი სამყაროს სფეროები დანაწილდა კონკრეტულ მეცნიერებებზე, რა დარჩა ფილოსოფიას შესასწავლი და რა პრაქტიკული დანიშნულება აქვს მას?

ფილოსოფიურმა კვლევა-ძიებამ სწორედ მაშინ მონახა თავისი ნამდვილი შესასწავლი საგანი, როდესაც სამყარო კონკრეტულმა მეცნიერებებმა დაინაწილეს. მეცნიერებათა ასეთმა დიფერენციაციამ ფილოსოფიას საშუალება მისცა ეპოვნა მისთვის მნიშვნელოვანი, წმინდა ფილოსოფიური პრობლემები. დარჩა ისეთი კითხვები, რომელსაც არც ერთი კონკრეტული მეცნიერება არ შეისწავლის. მას მხოლოდ ფილოსოფია იკვლევს. ეს კითხვებია: რა კავშირია მატერიალურ და სულიერ სამყაროს შორის? რა არის სულიერი და მატერიალური სამყაროს საფუძველი ანუ საწყისი? რას წარმოადგენს ამ სამყაროში საზოგადო-

ებრივი ყოფიერება? გააჩნია თუ არა საზოგადოებრივ ყოფიერებას კანონზომიერება? შეიძლება თუ არა საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ისტორიის მართვა? რას წარმოადგენს ამ სამყაროში ადამიანი? რა არის ადამიანის სიცოცხლის აზრი და ცხოვრების მიზანი? და სხვა. ამ კითხვებზე სხვადასხვა ფილოსოფიურ სისტემებში განსხვავებული პასუხები არსებობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა პასუხს აქვს თავისი ღირებულება, რადგან ის გარკვეულ მსოფლმხედველობას წარმოადგენს და ადამიანთა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება. მთავარი კი მაინც ის არის, რომ დღეისთვის არსებობს ფილოსოფიის დარგი, რომელსაც მეცნიერების ფილოსოფია ეწოდება. თავის მხრივ, ეს იყოფა ბუნებათმეცნიერების ფილოსოფიად და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფილოსოფიად. არსებობს ტექნიკის ფილოსოფია, კიბერნეტიკის ფილოსოფია, ფსიქოლოგიის ფილოსოფია, ისტორიის ფილოსოფია, სამართლის ფილოსოფია, კულტურის ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია და სხვა.

ამრიგად, ფილოსოფია არ ემიჯნება არც მეცნიერებას და არც რელიგიას. ფილოსოფია იმ კუთხით აწარმოებს აღნიშნულ სფეროებში თავის კვლევა-ძიებას, რაც აუცილებლობით სჭირდება ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. აქედან კარგად ჩანს ფილოსოფიის პრაქტიკული დანიშნულება. ყველა პრობლემა ადამიანის სულიერი მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს და ამდენად თავად ადამიანი არის სულიერი კულტურის ერთ-ერთი ფენომენი. გარდა ამისა, ფილოსოფია თვითონ იკვლევს კულტურას და კულტურულ ღირებულებებს და ეს არის მისი უმთავრესი დანიშნულება. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ფილოსოფია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკაცობრიო ღირებულებებისა და კულტურის განვითარებაში. ეს არის მისი საზოგადოებრივი ფუნქცია და პრაქტიკული დანიშნულება. ამიტომ ფილოსოფიის ყოფნა-არყოფნის საკითხი საბოლოოდ მოხსნილია და ის არასოდეს არ დაისმება სანამ კაცობრიობა და მისი კულტურა იარსებებს. აქ დასაშვებია პოზიციის არჩევის შესაძლებლობა. პოზიციაში ჩამოყალიბებული იდეები, შეხედულებები და პრინციპები წარმოადგენენ კულტურულ ღირებულებებს, რომელებიც საფუძვლად უდევს ადამიანთა ცხოვრების წესს და მას ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ეწოდება.

ფილოსოფია და ხელოვნება

ხელოვნება სულიერი კულტურის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც სინამდვილეს მხატვრულ სახეებში ასახავს. ხელოვნება არის სინამდვილის ესთეტიკური დაუფლების უმნიშვნელოვანესი ხერხი. ადამიანი დღიდან მისი წარმოშობისა უპირისპირდება მისთვის უცხო სინამდვილეს. ამ სინამდვილესთან ურთიერთობის მოგვარების სხვადასხვა ფორმათა შორის ხელოვნებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ხელოვნებას, როგორც სულიერი კულტურის ერთ-ერთ ფორმას, მჭიდრო ურთიერთობა აქვს ფილოსოფიასთან. ხელოვნება გარკვეული სულიერი ინფორმაციის წყაროა, რომელიც შინაარსით და ფორმით რელიგიის, მეცნიერების და ფილოსოფიის იდენტური არ არის.

ხელოვნება სხვადასხვა ფორმით არსებობს (ლექსი, პროზა, ქანდაკება, მუსიკა, ფერწერა და სხვა). იგი გრძნობადი ფორმებისაგან შედგება. უნდა დავინახოთ და მოვისმინოთ, რომ დავტკბეთ ხელოვნების ნაწარმოებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელოვნება დანახულით და მოსმენილით ამოიწურება. მაგალითად: ფერწერული ნაწარმოები გადმოგვცემს ამა თუ იმ ობიექტის გრძნობად-კონკრეტულ ხატს, მაგრამ ამავე დროს ამ ნაწარმოებში ვხედავთ მხატვრის, ხელოვანის დამოკიდებულებას ობიექტთან, ობიექტის განწყობილებას და ბედსაც. ამგვარ დამოკიდებულებას ხელოვნების ნაწარმოებში ვერ დაინახავ და ვერც მოისმენ. ამიტომ ხელოვნების ნაწარმოები ორი შრისაგან შედგება. პირველის ელემენტებია გრძნობად არსებული ფორმები, ფერები, ბგერები, რითაც ვხედავთ, შევიგრძნობთ და ვისმენთ. მეორისა – სულიერი ცხოვრების ელემენტები და ფაქტები, რომელთაც გრძნობადი ხატი არა აქვთ (სიწმინდე, უბრალოება, ერთგულება, სიყვარული, სიძულვილი, შიში, შური, და სხვა). ხელოვნებაში არსებობს გრძნობადი და ზეგრძნობადი ფენები. ხელოვნების ფენათა შინაარსის გახსნა იწყება გრძნობადით. აღნიშნულ ფენათა ურთიერთმიმართება თავისებურია. გრძნობადი ფენა არის საფუძველი, საიდანაც არაგრძნობადი ფენები აღმოცენდებიან.

ხელოვნების შინაარსი არასოდეს არის ნეიტრალური. იგი ან

მშვენიერია, ან ამაღლებული, ან ტრაგიკული, ან კომიკური, ან ერთდროულად მშვენიერიც და ამაღლებულიც, ტრაგიკულიც და კომიკურიც. ხელოვნების შინაარსი უდიდესი ემოციური ზემოქმედების ძალისაა. რა აძლევს ხელოვნებას, მის შინაარსს ემოციურობას? საიდან აქვს მას თვალწარმტაცი, „ჯადოსნური“ მომხიბვლელობა? რა ელემენტებისაგან შედგება იგი? ხელოვნების შინაარსის ელემენტებს, უწინარეს ყოვლისა, შეადგენენ ბუნებისა და ადმიანთა ყოფა-ცხოვრების ფაქტები. მასში ჩვენთვის ცნობილი სინამდვილეა ასახული. ხელოვნების ზოგიერთი დარგი, მაგალითად მხატვრული ლიტერატურა, არა მარტო ასახავს სინამდვილეს, არამედ ამა თუ იმ მოვლენის შესახებ გარკვეულ ცოდნასაც შეიცავს. ხელოვნება არა მარტო იმეცნებს სინამდვილის კონკრეტულ მოვლენებს, არამედ აფასებს კიდეც მათ. ხელოვნების ნაწარმოებს თუ დავუკვირდებით, ის არა მარტო იმას გვიჩვენებს რაც არის, არამედ შემოქმედებაცაა, ახლის ქმნაცაა.

ხელოვნების შემოქმედებითი ბუნება არაა ღვთაებრივი ქმნადობის იგივეობრივი. ღმერთი სამყაროს ქმნის არარადან, თავისუფლებიდან. იგი, როგორც უმაღლესი შემოქმედი არაფრით არ არის განსაზღვრული, გარდა შინაგანი აუცილებლობისა; ხელოვანი ქმნის მხოლოდ ახალ კომპოზიციებს. ზოგჯერ ბუნებრივად დაუკავშირებელსაც კი აკავშირებს ერთმანეთთან მხატვრული სახისა და შემოქმედების მეშვეობით.

ხელოვნება შემოქმედებაა. იგი ახალ კომპოზიციებს, ახალ კავშირებს ქმნის. მაგრამ, აქვს კი რაიმე მიზანი ამ საქმიანობას, თუ იგი უბრალო გართობაა? იქნებ უცნაური მხატვრული სახეების შექმნის თავისუფლებით ტკბობაა? ნაწილობრივ ეს სწორია. ხელოვნებაში, რადგანაც იგი შემოქმედებაა, არის თამაშის მომენტიც, მაგრამ მოტივი, რომელიც ახალი სინამდვილის შესაქმნელად ამზადებს ხელოვანს, არის ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, თავისი იდეალების მიხედვით გარდაქმნას სამყარო, ყველასათვის მისაწვდომი გახადოს იგი. ხელოვნებას ქმნის ადამიანი, რომელიც საზოგადოების პროდუქტია. კაცობრიობის სხვადასხვა ტიპის საზოგადოებებს სხვადასხვა საზრუნავი და საოცნებო ჰქონდათ. ამიტომ ხელოვნების ისტორიაში არსებობს განსხვავებული იდეალებითა და იდეე-

ბით სულჩადგმული სხვადასხვა ეპოქის ხელოვნება. მაგალითად: ანტიკური, შუა საუკუნეების, აღორძინების ეპოქის და სხვა.

ხელოვნება წარმოადგენს შემოქმედების ერთ-ერთ სპეციფიკურ სფეროს. გასაგებია ის, რომ შემოქმედება ვერ დაემთხვევა ხელოვნებას, რადგანაც შემოქმედება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ხელოვნება. ყოველგვარი შემოქმედება არ არის ხელოვნება, ხოლო ყოველგვარი ხელოვნება შემოქმედებაა. არის შემთხვევა, როცა ხელოვანი გვევლინება როგორც ფორმის, ისე შინაარსის შემოქმედად. რა თქმა უნდა, თვისობრივად ახალი შინაარსი ახალ ფორმას მოითხოვს. ეს კი ყოველ საუკუნეში არ ხდება. მას სჭირდება გარკვეული ეპოქები, რომელთა მომზადებასაც ახდენს საზოგადოების რთული შინაგანი წინააღმდეგობანი და მათი გადალახვა. ასეთ დროს საჭიროა გენიოსი ხელოვანი, რომელსაც შემოქმედება ხელოვნებაში აჰყავს ფილოსოფიური მსოფლმხედველობის სიმაღლეზე. ასეთი ხელოვანის შეფასებისას ყოველთვის იყენებენ ცნება „ფილოსოფიურს“. ფილოსოფოსი ცნებების მეშვეობით აღწევს შემოქმედებით წარმატებას, ხელოვანი – მხატვრული სახეებით. შინაარსი ორივე შემთხვევაში უზოგადესია, მაგრამ დიდ ეპოქებს შორის არსებობენ ტალანტები ხელოვნებაშიც და ფილოსოფიაშიც, რომლებიც „ბაძავენ“ გენიოსების მიერ შექმნილ სინამდვილეს ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით. მაგალითად: ფილოსოფიაში პლატონი – ნეოპლატონიკოსები, კანტი - ნეოკანტიანელები და სხვა. ხელოვნებაში **-კლასიციზმი, რომანტიზმი, ფორმალიზმი, რეალიზმი, აბსტრაქციონიზმი** და სხვა. ამ სახის ხელოვანთა მეშვეობით ეპოქის ფილოსოფიური გააზრება გასაგები ხდება მათთვის, ვისთვისაც იგი ფილოსოფიურად გაუგებარია. ასეთია მოკლედ ხელოვნების სპეციფიკა. ფილოსოფიასა და ხელოვნებას შორის კავშირი რომ არსებობს, ეს უდავოა. ფილოსოფია უზოგადესი მსოფლმხედველობაა, თეორიულად გააზრებული და ამ მსოფლმხედველობამ ანგარიში უნდა გაუწიოს ამ „მსოფლიოში“ კანონიერი ადგილის მქონე ხელოვნების მიერ შექმნილ სინამდვილეს, რომელიც მთელი სინამდვილის ნაწილია. ნაწილის გარეშე კი მთელი არ იქნება, ხოლო მსოფლმხედველობა — სრულყოფილი.

სულიერი კულტურის სხვა ფორმებთან შედარებით ხელოვნება

ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასთან ყველაზე ახლოს იმყოფება. როგორც აღნიშნული იყო, ხელოვნება შემოქმედებაა. შემოქმედება გულისხმობს ახალი სინამდვილის შექმნას სუბიექტის, შემოქმედის მიერ. ფილოსოფიაც შემოქმედებაა, იგი სინამდვილის ახალი სურათის შექმნაა, რომელიც არ დაიყვანება სინამდვილეზე. ფილოსოფია რომ შემოქმედება არ იყოს, მაშინ ერთ ფილოსოფიურ პრობლემაზე ერთი ჭეშმარიტება იარსებებდა, ისევე როგორც ეს კერძო მეცნიერებებშია მოცემული, მაგრამ ერთ და იმავე პრობლემაზე ფილოსოფიაში იმდენი აზრი არსებობს, რამდენი ფილოსოფიური მსოფლმხედველობაცაა ფილოსოფიის ისტორიაში. როგორც ვიცით, ფილოსოფია მსოფლმხედველობაა და „მხედველი“, სუბიექტი განსხვავდება ადგილსამყოფელით, რაც განაპირობებს შეხედულებათა სხვადასხვაობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი სუბიექტურია. ესა თუ ის შეხედულება მაინც ობიექტითაა განსაზღვრული. ხელოვნებაშიც ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ფილოსოფიასა და ხელოვნებაში რაც უფრო მეტია შემოქმედისეული, პიროვნებისეული, მით უფრო დიდია ესა თუ ის ნაწარმოები. მეცნიერებებში ეს პროცესი საწინააღმდეგოა. მეცნიერული აზრი რაც ნაკლებ სუბიექტურია, შეიძლება ითქვას, მაშინ ითვლება მეტად ღირებულად.

ფილოსოფიასა და ხელოვნებას შორის განსხვავებაც ძალიან დიდია. ხელოვანის მიერ ქმნადობა ხორციელდება მხატვრული სახეების მეშვეობით, ფილოსოფოსი კი, ძირითადად, ცნებებით ოპერირებს. იყენებს როგორც ფორმალურ, ისე ფილოსოფიურ ლოგიკას, რომელიც რაციონალურ აზროვნებასთან ერთად ირაციონალურ აზროვნებასაც გულისხმობს. ხელოვნების ინტერესის ობიექტი არის ბუნებისა და საზოგადოების ესა თუ ის მოვლენა. ხელოვნების დანიშნულებაა ამ მოვლენების მხატვრული განზოგადება, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის. ფილოსოფიის სფერო კი ვრცელდება მთელს სინამდვილეზე, არსებულზე მთლიანად, რომელშიც შედის ხელოვნების მიერ განზოგადებული, შექმნილი სინამდვილეც.

ასეთია ხელოვნებისა და ფილოსოფიის მსგავსება – განსხვავების ზოგიერთი ასპექტი. ეს უფრო კარგად გამოჩნდება ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებათა მიმართების გარკვევის შემდეგ.

საკონტროლო კითხვები

რას შეისწავლის ფილოსოფია?

რა არის მსოფლმხედველობა?

დაასახელეთ მსოფლმხედველობრივი კითხვები.

რამ გამოიწვია მითოსური აზროვნების სვლა ფილოსოფიური აზროვნებისაკენ?

რით განსხვავდება ფილოსოფიური მსოფლმხედველობა მითოსური და რელიგიური მსოფლმხედველობებისაგან?

რა არის საერთო მსოფლმხედველობებისათვის?

რა არის პოლითეიზმი? მონოთეიზმი?

გაანალიზეთ იმანუელ კანტის მოსაზრება: „შევზღუდე ცოდნა, რათა ადგილი დამეთმო რწმენისათვის“?

რა პრობლემებს იკვლევს ფილოსოფია?

რა ურთიერთმიმართებაა ფილოსოფიასა და კერძო მეცნიერებებს შორის?

როგორ გესმით – „ფილოსოფია აზროვნების ავანტიურაა“?

თავი II
ლოგიკა

**ფილოსოფია ჰგავს ნაყოფიერ
მინდორს, რომლის ნიადაგი მასზე
გაშენებული ხეხილით არის ფიზიკა,
მასზე მოწეული ჭირნახული – ეთიკა,
ხოლო დამცველი ღობე – მესერი
– ლოგიკა.**

სტოელები

ლოგიკა არის მეცნიერება მწყობრი, თანმიმდევრული, სწორი აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ.

ამ განმარტებაში იგულისხმება, რომ აზროვნების სიმწყობრე, მისი თანმიმდევრულობა ანუ სისწორე, სხვა რამაა და მისი ჭეშმარიტება, სინამდვილესთან მისი შესაბამისობა, სხვა. ის იმეცნებს გარკვეული ტიპის ობიექტებს, რომელთაც თავისი შინაარსი და სტრუქტურა აქვთ. ის განყენებას ახდენს არა შინაარსისაგან, არამედ მატერიისაგან (მასალისაგან).

ავიღოთ ორი წინადადება: „ყოველი ადამიანი მოკვდავია“ და „ყოველი ხე მცენარეა“. ლოგიკას არ აინტერესებს ამ წინადადებათა კონკრეტული შინაარსი, რომელიც ეხება „ადამიანს, „ხეს“, „მცენარეს“ და ა. შ. მათი კვლევა შესაბამის მეცნიერებათა (ანატომიის, ფიზიოლოგიის, ბოტანიკის და ა. შ.) და არა ლოგიკის საქმეა. ამ უკანასკნელს აინტერესებს ამ წინადადებათა ზოგადი სტრუქტურა, რომელსაც გამოხატავს სქემა: „ყოველი **A** არის **B**“. წინადადება უშინაარსო როდია. მას თავისი ლოგიკური შინაარსი აქვს, რომელიც განყენებულია კონკრეტული მასალისაგან ანუ, მატერიისაგან. შემდეგი მაგალითი კი ასეთია: „ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია და რკინა ლითონია, მაშასადამე, რკინაც ელექტრობის გამტარია“. ზემოთქმული სწორია, თანმიმდევრულია და ამავე დროს მასში შემავალი აზრიც (წინადადებაც) ეთანხმება სინამდვილეს, ჭეშმარიტია.

მოცემული განმარტება არის ლოგიკის ყველაზე გავრცელებუ-

ლი, ოღონდ მხოლოდ მიახლოებითი და ამასთანავე არასაკმარისად მკაფიო დახასიათება.

ლოგიკის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის შემქმნელია არისტოტელე. სიტყვა „ლოგიკა“ მეცნიერების ამ დარგის სახელად უფრო მოგვიანებით შემოიღეს. იგი ბერძნული სიტყვაა („ლოგოს“), რაც ნიშნავს სიტყვასაც, სიტყვით გამოხატულ აზრსაც და გონებასაც საერთოდ.

ჭეშმარიტება და მცდარობა. აზროვნების ერთ-ერთი მიზანია სინამდვილის შემეცნება, ჭეშმარიტების დადგენა, მაგრამ რაზე და რა პირობებში ვამბობთ, რომ ჭეშმარიტია ან მცდარია?

თხრობით წინადადებაში გამოთქმულ აზრს ვახასიათებთ, როგორც ჭეშმარიტს ან მცდარს. სიტყვა „აზრი“ კი ნიშნავს რაიმე ვითარების, საგნობრივი ვითარების მოსაზრებას, ცნობიერებაში მის წარმოდგენას (რეპრეზენტაციას), ცნობიერების შინაარსად გადაქცევას. ცნობიერების შინაარსად მისი გადაქცევა მსჯელობით ხდება. მსჯელობა არის თხრობით წინადადებაში გამოთქმული აზრი, რომლითაც ცნობიერებაში მოცემულია რაიმე საგნობრივი ვითარება და ამ ვითარების სინამდვილეში განხორციელების დასტური ან უარყოფა. მაგალითად: „ეს ვარდი წითელია“ ადასტურებს სინამდვილეში ამ ვარდის სიწითლეს; ხოლო მსჯელობა: „მზე არ ბრუნავს დედამიწის გარშემო“ უარყოფს დედამიწის გარშემო მზის ბრუნვას.

თუ მსჯელობა ადასტურებს რაიმე საგნობრივი ვითარების განხორციელებას სინამდვილეში და ეს ვითარება მართლაც არსებობს, ან თუ უარყოფს ამ ვითარების არსებობას და ეს ვითარება მართლაც არ არსებობს, მაშინ მსჯელობა ჭეშმარიტია. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მცდარია.

ბჭობა და დასკვნა. როგორ ახერხებს ადამიანი იმის დადგენას, რომ ესა თუ ის წინადადება არის ჭეშმარიტი თუ მცდარი? ამის დასადგენად ორი გზა არსებობს: სინამდვილეზე უშუალო დაკვირვება და განსჯა ანუ ბჭობა.

ჭეშმარიტება წინადადებისა – „ფანქარი, რომელიც ჯიბეში მიდევს, არის მწვანე“, შეიძლება დავადგინოთ სინამდვილის ჭვრეტის, აღქმის, განცდის გზით: შეხედავ ფანქარს და შევიგრძნობ, ის მართლა მწვანეა, თუ არა. თუმცა ყველა შემთხვევაში ასე ვერ მოიქცე-

ვი. მეცნიერების კანონების, მაგალითად, მიზიდულობის კანონის ჭეშმარიტებას დაკვირვების, აღქმის გზით ვერ დავადგენთ. შეიძლება დაინახო, როგორ ვარდება ძირს ქვა, მაგრამ მიზიდულობის კანონს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაინახავ. მეცნიერების კანონები, ჯერ ერთი, ეხება უსასრულოდ ბევრ საგანს, ხოლო უსასრულოდ ბევრი საგნის აღქმა შეუძლებელია და მეტიც, იმას, რასაც ეს კანონები ადგენს, არც ფერი აქვს და არც გემო, რომ შევიგრძნოთ. ასეთი წინადადებების ჭეშმარიტებასა და მცდარობას მხოლოდ განსჯა, ბჭობა ადგენს.

ბჭობის, განსჯის პროცესში ადამიანი ცდილობს უკვე ცნობილი ჭეშმარიტი წინადადებების გამოყენებით სარწმუნო გახადოს სხვა წინადადებების ჭეშმარიტება. ბჭობა წინადადებების სასრული მიმდევრობაა. ის იწყება და მთავრდება. მასში, ერთის მხრივ, გამოიყოფა წინადადებები, რომელთა ჭეშმარიტება ჩვენთვის ბჭობამდე იყო ცნობილი, მათ ბჭობის წანამძღვრები, საბუთები, არგუმენტები ეწოდებათ. მეორეს მხრივ, ბჭობაში გვაქვს წინადადება, რომლის ჭეშმარიტების დასადგენად ტარდება ეს ბჭობა. მას ბჭობის თეზისები ეწოდება. ბჭობის პროცესში წანამძღვრებიდან თეზისებზე გადასვლა და მისი ჭეშმარიტების დადგენა თანდათანობით ხდება. ჯერ ერთი წინადადების ჭეშმარიტებას დავადგენთ, შემდეგ მეორისას და ა. შ. ყოველი ასეთი გადასვლა და ამით ცოდნისთვის კიდევ ერთი ახალი წინადადების შემატება, დასკვნით ხორციელდება.

მაგალითად: **A** ან დურგალია, ან მჭედელი, ან კალატოზი.

A არ არის არც დურგალი და არც კალატოზი.

A არის მჭედელი.

პირველი და მეორე წინადადება წანამძღვრებია,

A არის მჭედელი – დასკვნაა.

ლოგიკის ღირებულება განსაკუთრებით კარგად ჩანს ადამიანთა საქმიანობის ისეთ სფეროებში, როგორიცაა კამათი (დისკუსია) და დასაბუთება. ბჭობის წანამძღვრებში შესაძლოა, ჩვენდა უნებურად, მცდარი წინადადება გაგვეპაროს, ხოლო მცდარმა წანამძღვრებმა შეიძლება მოგვცეს მცდარი დასკვნა. ამ შემთხვევაში ვიტყვით, რომ დაშვებულია ძირითადი შეცდომა.

თუ წანამძღვრად გამოვიყენეთ თვითონ ბჭობის თეზისი ან წინა-

დადება, რომლის ჭეშმარიტების დასადგენად ბჭობის თეზისი გამოიყენება, ეს დაუსაბუთებელი წანამძღვრის კერძო შემთხვევაა და მას მანკიერი წრის შეცდომა ჰქვია.

აზროვნების ძირითადი კანონები. არსებობს უზოგადესი მოთხოვნები (მათ აზროვნების ძირითად კანონებს უწოდებენ), რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყოველგვარი ბჭობა, თუკი გვინდა, რომ ის უსაგნო, უფრო მეტიც, უაზრო ლაპარაკი კი არა, მართლაც ჩვენს ხელთ არსებული ცოდნის გამართული, თანმიმდევრული გაფართოების ცდა იყოს. მათი დაცვა აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი პირობაა ბჭობის სისწორისა. ბჭობის სისწორეს მათ გარდა საკუთარი კანონებიც აქვს. ეს კანონებია: იგივეობის კანონი, წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი, გამორიცხული მესამის კანონი, საკმაო საფუძვლის კანონი. დავახასიათოთ თითოეული ცალ-ცალკე.

იგივეობის კანონი. იგი აზროვნების, ბჭობის გარკვეულობის მოთხოვნაა. ბჭობის პროცესში ყოველი ცნება, ყოველი სიტყვა უნდა ვიხმაროთ ერთი და იმავე მნიშვნელობით. იგივეობის კანონს თუ დავარღვევთ და ტერმინებში ხან ერთ მნიშვნელობას ჩავდებთ, ხან მეორეს, გაქრება აზრებს შორის კავშირი, შეუძლებელი გახდება ურთიერთგაგებინება, რაიმეს დასაბუთება. იგივეობის კანონის დარღვევის ტიპიური შემთხვევა გვაქვს შემდეგ გამოთქმაში: „ურემს აქვს თვალი, თვალი კი მხედველობის ორგანოა“. არსებობს იგივეობის კანონის სხვაგვარი გაგებაც: „**A** არის **A**“, ანუ ყოველი საგანი დროის ყოველ მომენტში თავისი თავის იგივეობრივია.

წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. იგი აზროვნების, ბჭობის, თვითთავსებადობის, თავის თავთან თანხმობის მოთხოვნაა. ჩვენს აზრებს შორის, ბჭობაში შემავალ წინადადებებს შორის არ უნდა იყოს წინააღმდეგობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი რაღაც საგანზე ვამტკიცებთ რაიმეს, იგივე იმავე საგნის შესახებ არ უნდა უარვყოთ კიდეც (იმავე დროს, იმავე აზრით). მაგალითად: თუკი ჩვენთვის ცნობილია, რომ ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია და სპილენძი ლითონია, არ შეიძლება ჭეშმარიტად ვირწმუნოთ ისიც, რომ სპილენძის ნაჭერი, რომელიც მე ახლა ხელში მიჭირავს, არ ატარებს ელექტრობას, რადგან ეს დებულება ეწინააღმდეგება პირველ ორს.

წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი ამტკიცებს, რომ არც-

ერთი თხრობითი წინადადება, არცერთი მსჯელობა არ შეიძლება ერთდროულად ჭეშმარიტიც იყოს და მცდარიც.

გამორიცხული მესამის კანონი. ეს კანონიც აზროვნების, ბჭობის, თავის თავთან თანხმობის მოთხოვნაა. თუკი წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი მოითხოვს, რომ არ ვამტკიცოთ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო, ერთმანეთის უარმყოფელი წინადადება, გამორიცხული მესამის კანონის თანახმად, დაუშვებელია ერთმანეთის საწინააღმდეგო წინადადებებიდან უარვყოთ ერთიც და მეორეც. რადგან ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო წინადადებიდან ერთი აუცილებლად ჭეშმარიტია. სპილენძი ან ატარებს ელექტრობას, ან არ ატარებს; ეს ვარდი ან წითელია, ან არ არის წითელი. მესამე შემთხვევა გამორიცხულია.

ამრიგად, გამორიცხული მესამის კანონი ამტკიცებს, რომ ყოველი თხრობითი წინადადება ან ჭეშმარიტია, ან მცდარი. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონსა და გამორიცხული მესამის კანონებს ერთობლივად ორფასობის პრინციპი ეწოდება. იგი ამტკიცებს, რომ ყოველი თხრობითი წინადადება ან ჭეშმარიტია (და არ არის მცდარი) ან მცდარია (და არ არის ჭეშმარიტი).

საკმაო საფუძვლის კანონი. ამ კანონის თანახმად, არცერთი წინადადება არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, თუ არ არსებობს საკმაო საფუძველი იმისა, რატომ არის ამ წინადადებაში აღწერილი ვითარება სწორედ ასეთი და არა სხვაგვარი. ხშირად ეს კანონი გაგებულია, როგორც მოთხოვნა, ჭეშმარიტად არ მივიჩნიოთ წინადადება მისი დასაბუთების გარეშე. საკმაო საფუძვლის კანონი დაუფიქრებელი და ზერელე ბჭობის წინააღმდეგია. მაგალითი: „**A** იმყოფებოდა ქუთაისში იმ დროს, როცა **B** მოკლეს თბილისში“, საკმაო საფუძველია იმისათვის, რომ ჭეშმარიტად მივიჩნიოთ დებულება: „**A**-ს არ მოუკლავს **B**“.

დედუქციური დასკვნები. დასკვნას, რომლის წანამძღვრების ჭეშმარიტება აუცილებლობით განაპირობებს დასკვნის ჭეშმარიტებას, დედუქციური დასკვნა ეწოდება. მაგალითად: თუ მანქანას საწვავი გაუთავდა, მაშინ მისი ძრავა გაჩერდება. მანქანის ძრავა არ არის გაჩერებული. მაშასადამე, მანქანას საწვავი არ გაუთავდა.

დედუქცია ზოგადიდან კერძოზე გადასვლაა.

დედუქციური დასკვნა ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

1) თუ დედუქციური დასკვნის წანამძღვარი ჭეშმარიტია, მაშინ მისი დანასკვიც ჭეშმარიტია. ან კიდევ, დედუქციური დასკვნის წანამძღვრებიდან დანასკვი ლოგიკურად გამომდინარეობს.

2) თუ დედუქციური დასკვნის წანამძღვრებიდან ერთ-ერთი მაინც მცდარია, მაშინ დანასკვი შეიძლება მცდარიც იყოს და ჭეშმარიტიც. მაშასადამე, მცდარი წანამძღვრებიდან შეიძლება ლოგიკურად გამომდინარეობდეს როგორც ჭეშმარიტი, ისე მცდარი დანასკვი.

3) თუ დედუქციური დასკვნის დანასკვი მცდარია, მაშინ მისი წანამძღვრებიდან ერთი მაინც (შესაძლოა ყველა) მცდარია.

4) თუ დედუქციური დასკვნის დანასკვი ჭეშმარიტია, მაშინ მისი წანამძღვრებიდან ყველა, ზოგიერთი ან არცერთი ჭეშმარიტი არაა.

მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დასკვნის მაგალითია: ყველა ცხენი არის ადამიანი. ყველა ადამიანს აქვს ფაფარი, მაშასადამე, ყველა ცხენს აქვს ფაფარი.

ინდუქციური დასკვნები. დასკვნას, რომლის წანამძღვრებიდან დანასკვი ლოგიკურად არ გამომდინარეობს, მაგრამ რომლის წანამძღვრებიც გარკვეული ხარისხით ადასტურებენ დანასკვს, ინდუქციური დასკვნა ეწოდება.

ინდუქცია არის კერძოობითი ან ერთეულოვანი წინადადებებიდან ზოგად წინადადებაზე გადასვლა (ე.ი. კერძოდან ზოგადზე გადასვლა).

A დროს გაიხსნა ონკანი და წამოვიდა წყალი.

B დროს გაიხსნა ონკანი და წამოვიდა წყალი.

G დროს გაიხსნა ონკანი და წამოვიდა წყალი.

ყოველთვის (ნებისმიერ დროს), როცა გაიხსნება ონკანი, წამოვა წყალი. თუკი არ შეგვხვედრია შემთხვევა, რომ გავხსენით ონკანი და არ წამოვიდა წყალი, მაშინ ჩვენი მოლოდინი ზოგად ხასიათს მიიღებს და სარწმუნოდ გვეჩვენება, რომ ყოველთვის, როცა გაიხსნება ონკანი, წამოვა წყალი. ჩვენს მაგალითში რწმენის ხარისხი საკმაოდ დაბალია. მათი წანამძღვრების ჭეშმარიტების სრული რწმენა შედეგად არ გვაძლევს დანასკვის ჭეშმარიტების სრულ რწმენას.

მიჩნეულია, რომ დედუქციური დასკვნა არ იძლევა ახალ ცოდნას, ხოლო ინდუქციური დასკვნა ჩვენს ცოდნას აფართოებს.

ლოგიკა იყოფა ორ ნაწილად: დედუქციური ლოგიკა და ინდუქციური ლოგიკა. დედუქციური ლოგიკა თავისი მნიშვნელობით უფრო ფუნდამენტურია და საფუძვლად უდევს ინდუქციურ ლოგიკას.

ცნება, მსჯელობა, დასკვნა. მსჯელობა თხრობითი წინადადების ისეთი შინაარსია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს გარკვეული საგნობრივი ვითარების განხორციელებას.

დასკვნა მსჯელობების (ან მათი გამომთქმელი თხრობითი წინადადებების) ერთობლიობაა.

ცნება არის სამყაროს ასახვის ერთ-ერთი ფორმა შემეცნების იმ საფეხურზე, რომელიც დაკავშირებულია ენის გამოყენებასთან. ის საგნებისა და მოვლენების განზოგადების ფორმაა (ხერხია). ცნება საგნის არებით ნიშნებს ასახავს.

შეცდომები დასაბუთებაში

რაიმეს გაკეთების ცდა არ ნიშნავს იმას, რომ ეს ცდა წარმატებით დამთავრდება. ეს ასეა ადამიანის ყოველნაირ საქმიანობაში. მათ შორის ბჭობაშიც. ბჭობა ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს, რადგან ზოგჯერ ბჭობის პროცესში რაღაც ისე არ ან ვერ ხდება. ე. ი. ბჭობაში უშვებენ შეცდომებს. ბჭობაში დაშვებული შეცდომების წყარო შესაძლებელია იყოს გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობებისა და მათი ხმარების ხარვეზები (ენის შეცდომები) და ბჭობის თეზისისა და არგუმენტების შერჩევა ან საკუთრივ ბჭობის მსვლელობაში დაშვებული უზუსტობანი (ენისგარე შეცდომები). თუ შეცდომა ბჭობის მსვლელობაში, დემონსტრაციაშია დაშვებული, მას ფორმალური შეცდომა ეწოდება.

დედუქციურ ბჭობაში ფორმალური შეცდომა მხოლოდ მაშინ არის დაშვებული, როდესაც ამ ბჭობის წანამძღვრებიდან მისი თეზისი არ გამომდინარეობს. ფორმალურ შეცდომას ყოველთვის იწვევს რომელიმე არასწორი დასკვნის სწორ დასკვნად მიჩნევა. თუ შეცდომა დაშვებულია იმის გამო, რომ საკმარისი ყურადღებით არ მოვეკიდეთ ბჭობის წანამძღვრების (არგუმენტების, საბუთების) და თეზისის შერჩევას, მაშინ მას არაფორმალური (მატერიალური) შეცდომა

ეწოდება. არაფორმალური შეცდომების ოთხი უმნიშვნელოვანესი სახე – ძირითადი შეცდომა, დაუსაბუთებელი წანამძღვრის შეცდომა, მანკიერი წრე და თეზისის შეცვლა – ენობრივ გამოსახულებათა ორაზროვნება (ომონიმია, მათი სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარება) შეიძლება იქცეს არასწორი, გაუმართავი ბჭობის წყაროდ, უსაგნო კამათის მიზეზად.

თუ მთელი გამოსახულების, იქნება ეს ცალკეული ფრაზა, წინადადება თუ დასკვნა, ორაზროვნება გამოწვეულია რომელიმე სიტყვის ორაზროვნებით, მას **ეკვივოკაცია** ეწოდება, ხოლო თუ ეს გამოსახულების სტრუქტურის ორაზროვნებითაა გამოწვეული – **ამფიბოლია.**

პირველი სახის შეცდომის ტრადიციული მაგალითია შემდეგი დასკვნა: „რაიმეს დასრულება მისი სრულყოფაა. სიკვდილი სიცოცხლის დასრულებაა, მაშასადამე, სიკვდილი სიცოცხლის სრულყოფაა“. ბჭობა არ არის გამართული, რადგან პირველ წანამძღვარში სიტყვა „დასრულება“ ნახმარია ხორცშესხმის, ჩანაფიქრის მთლიანად განხორციელების, მეორეში – დაბოლოება-დამთავრების აზრით.

შეცდომების მიმოხილვის საფუძველზე შემუშავებულია გარკვეული წესები (სიფრთხილის ზომები), რომელთა დაცვა აუცილებელია იმისათვის, რომ ბჭობა იყოს დასაბუთება და არა მხოლოდ დასაბუთების წარუმატებელი მცდელობა. დასაბუთების ეს წესებია:

1) თეზისი უნდა იყოს ზუსტად და ნათლად ჩამოყალიბებული;

2) თეზისი მთელი ბჭობის მანძილზე არ უნდა იცვლებოდეს;

3) არგუმენტები ჭეშმარიტი, ან საკმაოდ კარგად დადასტურებული დებულებები უნდა იყოს;

4) არგუმენტების ჭეშმარიტება დადგენილი უნდა იყოს თეზისის გამოუყენებლად;

5) არგუმენტებიდან თეზისი უნდა გამოდიოდეს (არ არის გამორიცხული, რომ ეს მხოლოდ ალბათობის გარკვეული ხარისხით დაფუძნება იყოს).

კამათი (პოლემიკა) და მისი სახეები

მოკამათეთა ურთიერთობის პრინციპები

დასაბუთებას კომუნიკაციური ფუნქციაც აქვს. იგი განისაზღვრება შემეცნების სოციალური ხასიათით, რათა არა მხოლოდ ეფექტურად ვიაზროვნოთ და მოვიპოვოთ ცოდნა, არამედ სხვაც დავარწმუნოთ შემეცნების შედეგების სისწორეში. მეცნიერების ფარგლებს გარეთ დასაბუთების კომუნიკაციური ფუნქცია მჟღავნდება ადამიანთა ინტელექტუალურ ურთიერთობაში. იგი აქ საკუთარი მოსაზრების ჭეშმარიტებაში ან გადაწყვეტილებათა სისწორეში სხვების დარწმუნების საშუალებაა.

ადამიანთა ინტელექტუალური ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა კამათი ანუ პოლემიკა. კამათის თეორიის, მისი ლოგიკური ასპექტის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან კამათში შეიძლება ჩავებათ ცხოვრების ნებისმიერ საკითხზე. დავა მეზობლებს ან პოლიტიკურ ძალებს (პარტიებს) შორის, საპარლამენტო დებატები, მოლაპარაკება, სამეცნიერო დისკუსია, სასამართლო პროცესი, ექიმთა კონსილიუმი და სხვა, კამათის ტიპიური ნიმუშებია. გარდა ამისა, თანამედროვე მსოფლიოში არსებობს უამრავი ტექნიკური საშუალება (რადიო, პრესა, ტელევიზია, ფილმები, რეკლამა და ა.შ), რომელთა გამოყენებითაც ადამიანებს არწმუნებენ სხვადასხვა, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებების შეფასებებისა და თვალსაზრისების სამართლიანობაში. ადამიანს უნდა ჰქონდეს უნარი, მის ფსიქიკაზე ხელოვნურად თავსმოხვეული ზემოქმედებისაგან გაარჩიოს გონიერი, რაციონალური განსჯა; მიიღოს შემოთავაზებული დასაბუთება ან წინ აღუდგეს მას, დაარღვიოს ის. ამისთვის აუცილებელია კამათში დასაბუთებისა და უკუგდების ხერხების, კამათის წარმართვის ელემენტარული წესების ცოდნა.

კამათი (პოლემიკა) არის ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების – საკუთარი აზრის გამოთქმისა და დაცვის – რეალიზაცია. უფრო მეტიც, დიალოგში, საუბარში, რომლის კერძო სახესაც წარმოადგენს კამათი, ვლინდება ადამიანის ჭეშმარიტი არსი. საზოგადოებრივ ძალებს შორის პოლემიკის უსაფრთხოების გარანტიები, საზოგადოებაში დემოკრატიის საყრდენია.

კამათში ჩაბმის მოტივების მიხედვით შეიძლება გამოიყოს კამათის (პოლემიკის) სამი ტიპი: 1) თეორიული პოლემიკა; 2) პრაქტიკული პოლემიკა; 3) კამათი – შეჯიბრი;

1) თეორიული პოლემიკის მიზანია რაიმე საკითხზე ჭეშმარიტების დადგენა;

2) პრაქტიკული პოლემიკა, რომელიც მიზნად ისახავს სამოქმედო გადაწყვეტილების მიღებას ან მოქმედების შეფასებას;

3) კამათი – შეჯიბრი, თუნდაც სხვა ადამიანთა თვალის ასახვევად, მიზნად ისახავს მოწინააღმდეგეზე გამარჯვებას.

პირველსა და მეორეს დიალექტიკური კამათი ეწოდება. მესამეს – ერისტიკული.

დიალექტიკა არის კამათის (ან უფრო ზოგადად დიალოგის) წარმართვის ოსტატობა და მოძღვრება მის შესახებ. **ერისტიკაც** ანალოგიური დისციპლინაა, ოღონდაც მისი ობიექტი, შეჯიბრი – პოლემიკა, ყველა საშუალებით კამათში მოწინააღმდეგის დამარცხების ხელოვნებაა. ორივე ეს დისციპლინა შეიქმნა და ფართოდ გავრცელდა ძველ საბერძნეთში. ამის საფუძველი იყო ის უდიდესი როლი, რასაც ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში საჯარო პოლემიკა და დისკუსიები თამაშობდა. პოლემიკის უმაღლესი სახეა დისკუსია – აზრთა თემატურად მკაფიო და ფორმით კორექტული ურთიერთგაცვლა რაიმე საკითხის ერთობლივი ძალებით გადაჭრის მიზნით.

თუ კამათი მიმდინარეობს ზნეობრივი ნორმების დარღვევით, მოწინააღმდეგეთა დასარწმუნებლად არარაციონალური, ლოგიკურად გაუმართავი საშუალებების მოშველიებით, ის ჩხუბი, ცილობაა. ასეთ კამათს ძველი ბერძნები **ლოგომახიას** უწოდებდნენ. კამათი რომ ჩხუბში, ლოგომახიაში ან დოგმატურ მონოლოგში არ გადაიზარდოს, საჭიროა დავიცვათ რამდენიმე მარტივი ცნება, რომლებიც ხელს უწყობენ კამათის ზნეობრივად ჯანსაღი და ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული კალაპოტით წარმართვას:

- **პატივი** ეცი ოპონენტს! პირადი ურთიერთობა მასთან, შენი აზრი მის შესახებ, არ არის არგუმენტი მისი თვალსაზრისის დასარღვევად. მას ისევე აინტერესებს საკამათო საკითხების გადაწყვეტა, როგორც შენ (ზნეობრივი ტოლერანტობის მოთხოვნა).

- **ოპონენტის** აზრი არ მიიჩნიო მიუღებლად, თუკი არა გაქვს საამისო არგუმენტები! არავითარი აზრი არ შეიძლება იყოს მცდარი მხოლოდ იმის გამო, რომ შენ მას არ იზიარებ (გნოსეოლოგიური ტოლერანტობის მოთხოვნა);
- **არ გამოიყენო** არავითარი იარაღი, გარდა კამათის თემასთან დაკავშირებული ცოდნისა, განსჯისა და წარმოსახვის უნარისა (კამათის რაციონალურობის მოთხოვნა).
- **კამათის** ყოველ მონაწილეს აქვს საკუთარი მოსაზრების დაცვისა და მოწინააღმდეგის ნააზრევში შეცდომების მხილების თანაბარი უფლება, მიუხედავად იმისა როგორია თითოეული მათგანის პირადი თვისებები, საზოგადოებრივი მდგომარეობა, თუ პრესტიჟი (კამათის დემოკრატიულობის მოთხოვნა).
- **მოთოკე** ემოციები! პოლემიკა მეტოქეთა პაექრობაა და მაშინაც კი, როდესაც ის მხოლოდ ჭეშმარიტების მოპოვებას ისახავს მიზნად, შეუძლებელია გრძნობებისაგან სრული გათავისუფლება. მარჯვედ მოძებნილი არგუმენტი სიხარულის წყაროა, მოწინააღმდეგის მიერ მხილებული შეცდომა, უნებლიე გულისტკივილს იწვევს, მაგრამ ამ გრძნობებს გასაქანი არ უნდა მისცე. აღელვებული მოკამათე სუსტი მოკამათეა, იგი არგუმენტების ნაცვლად ლოზუნგებს ისვრის, ყვირის, ყვირილი კი მის დებულებებს არ ასაბუთებს (ემოციური ზომიერების მოთხოვნა).
- **დაივიწყე** ჯიბრი! არ ითაკილო უკან დახევა, თუკი დარწმუნდი, რომ სიმართლე მოწინააღმდეგის მხარეზეა! კამათი თანამშრომლობის სახეა (გონიერი კომპრომისის მოთხოვნა).

კამათის წარმართვის ხერხები

რადგან კამათის მიზანია არა მხოლოდ დებულების დასაბუთება, არამედ დასაბუთების მეშვეობით დარწმუნებაც, არგუმენტებისა და არგუმენტებით თეზისის ლოგიკური დაფუძნების გარდა მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კამათის ხერხებს, ანუ კამათში თავის დაცვის და მოწინააღმდეგეზე შეტევის ილეთებს. მართალია ეს ხერხები ერთს უადვილებენ, ხოლო მეორეს უძნელებენ კამათს, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს უსამართლოდ, მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის ხარჯზე: პატიოსან დიალექტიკურ კამათში ამ ხერხების გამოყენების მიზანია საკუთარი პოზიციის ძლიერი და მოწინააღმდეგის სუსტი მხარეების წინ წამოწევა.

განვიხილოთ კამათის წარმართვის რამდენიმე ხერხი.

1) დასაბუთების ტვირთი. როდესაც ორი მხარე კამათობს, ის მხარე, რომელიც ვალდებულია დაასაბუთოს რაიმე დებულება, ან გაამართლოს საკუთარი მოთხოვნები, უარეს მდგომარეობაშია მეორესთან შედარებით. რადგან მეორე მხარე მხოლოდ შემმოწმებლის როლში გამოდის. მაგალითად, თუ ვინმე ფაქტობრივად ფლობს საკუთრებას, ხოლო მეორე პრეტენზიას აცხადებს მასზე, ფაქტობრივი მფლობელის უფლება საკუთრებაზე ავტომატურად იქნება ცნობილი, თუკი პრეტენდენტი ვერ შესძლებს საკუთარი პრეტენზიების სამართლიანობის დამტკიცებას. ამიტომ სწორედ მას აწვება დასაბუთების ტვირთი. ასევეა ბრალმდებლისა და ბრალდებულის „დავაში“. დასაბუთების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ამდენად ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, თუკი ბრალმდებელი ვერ დაასაბუთებს მის ბრალეულობას. აქედან გამომდინარე, მოკამათისათვის სასარგებლოა ისე წარმართოს კამათი, რომ დასაბუთების ტვირთი მის მოწინააღმდეგეს დაეკისროს.

2) ყურადღების კონცენტრაცია მოწინააღმდეგის არგუმენტების, განსაკუთრებით მისი დასაბუთების ძარღვის კრიტიკაზე ხდება. თუ დასაბუთება დედუქციურია, მოწინააღმდეგის არგუმენტების უკუგდება არღვევს მის დასაბუთებას, მაგრამ საკმარისი არ არის თეზისის მცდარობის დასამტკიცებლად. ინდუქციური დასაბუთების დროს, ირღვევა თეზისი ანდა მცირდება მისი სარწმუნოების ხარისხი.

3) იმანენტური კრიტიკა, ანუ დასაბუთება „იქიდან, რასაც მოწინააღმდეგე ეთანხმება“. მოწინააღმდეგის მიერ წამოყენებული არგუმენტებიდან ისეთი დასკვნის გამოტანა, რომლებიც შეიცავენ წინააღმდეგობას, ეწინააღმდეგებიან ოპონენტის თეზისს, ანდა უშუალოდ ადასტურებენ შენი დებულების სამართლიანობას. გადმოცემის თანახმად, ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე პოლემიკის დიდოსტატი იყო. მის მეთოდს იგი ბებიაქალის ხელოვნებას ადარებდა და ვარაუდობდა, რომ იგი ისევე ეხმარებოდა მოკამათეს ჭეშმარიტი აზრის დაბადებაში, როგორც ბებიაქალი ეხმარება მშობიარეს შვილის შობაში.

4) დაზუსტების და ნათელყოფის მოთხოვნა. კამათში წამოყენებული ყოველი დებულება რაც შეიძლება მკაფიოდ და არაორაზროვნად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. მოწინააღმდეგეს უნდა მოეთხოვოს მის მიერ წამოყენებულ დებულებაში გამოყენებული საეჭვო შინაარსის ცნებების განსაზღვრა, მთელი წინადადების სრული ფორმულირება. ასეთ მოთხოვნაზე პასუხის შემდეგ შეიძლება მოწინააღმდეგემ თვითონვე მოხსნას თავისი თეზისი, ან ისეთი სახე მისცეს მას, რომელიც საკამათო აღარ იქნება.

სოფიზმები

კამათში წარმატების მიღწევისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მოწინააღმდეგის მიერ ბჭობაში დაშვებული შეცდომების აღმოჩენას. ყოველი ამოცნობილი შეცდომა არის მოწინააღმდეგის ბჭობაში სუსტი ადგილის გამოვლენა, ხოლო მისი დაძლევა, კიდევ ერთი ნაბიჯია ჭეშმარიტების ძიებისაკენ. ზოგჯერ დასაბუთებისას შეცდომას უნებლიედ უშვებენ. ბჭობაში უნებლიე შეცდომას **პარალოგიზმი** ეწოდება. მაგრამ კამათი – პოლემიკა გონების გარდა, გრძნობებისა და ლტოლვების სარბიელიცაა. წარმატების მიღწევის მიზნით, ზოგიერთი მოკამათე განზრახ უშვებს შეცდომას, ანდა მიმართავს არასერიოზულ ხერხს, რომლის მეშვეობითაც ცდილობს მოწინააღმდეგეს სინამდვილე თავისთვის სასურველად მოაჩვენოს და ასე დაარწმუნოს გარკვეული დებულების ჭეშმარიტებაში. ეს არ არის დარწმუნება დასაბუთების მეშვეობით, დარწმუნება რაციონა-

ლური საშუალებებით. ბჭობაში განზრახ დაშვებულ შეცდომას, ან მასში არარაციონალური ხერხების გამოყენებას, **სოფიზმი** ეწოდება. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

1) ძალისადმი მიმართვის (ჯოხის) არგუმენტი. თუ ერთი ვერ არწმუნებს მეორეს – ან სუსტი არგუმენტებია, ან მათ დამაჯერებლობა არ აქვთ, ბჭობა გაუმართავია. კამათის გაგრძელება მოითხოვს საკითხში ჩაღრმავებას, განსჯის დახვეწას, მოწინააღმდეგის ინტერესისა და ხასიათის გათვალისწინებას. ამაზე კი ყველას არ მიუწვდება ხელი. ამიტომ პირველი მიმართავს ძალას ან ძალის მუქარას (შესაძლოა ფარულს), რათა მეორე აიძულოს მიიღოს, აღიაროს მისი წინადადება. ეს „უგუნური არგუმენტი“ ძალიან გავრცელებულია პოლიტიკაში ჩაბმულ, დოგმატურად მოაზროვნე და პატივმოყვარე ადამიანებში. პოლიტიკური რეპრესიებიც ძალისადმი მიმართვის არგუმენტის გამოვლენაა.

2) პიროვნებისადმი (ადამიანისადმი) მიმართვის არგუმენტი. ამ შეცდომას უშვებენ მაშინ, როდესაც რაიმე დებულების მცდარობაში ან ჭეშმარიტებაში დასარწმუნებლად შესაბამისი დასაბუთების მოტანის ნაცვლად, უტევენ და განაქიქებენ ან აქებენ და ხოტბას ასხამენ პიროვნებას, ვინც ეს დებულება წამოაყენა. ამ ხერხს ოპოზიციასთან დავაში ხშირად მიმართავენ ავტორიტარული ხელისუფლების წარმომადგენლები. იმისათვის, რომ უკუაგდონ ოპოზიციის მოთხოვნები (მაგალითად, ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების, ადამიანის უფლებების დაცვის, ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და კერძო საკუთრებაზე გადასვლის აუცილებლობის და სხვა), ლანძღავენ ოპოზიციას, პიროვნულ შეურაცხყოფას აყენებენ მის ცალკეულ წარმომადგენელს. ბჭობა, რომელშიც გამოყენებულია პიროვნებისადმი მიმართვის არგუმენტი, სწორი არ არის, რადგან პიროვნების თვისებებს არავითარი ლოგიკური კავშირი არა აქვს იმასთან, რასაც ის ამტკიცებს. რაც უფრო დაბალია ადამიანის აზროვნების კულტურა, მით უფრო ნაკლებად შესწევს მას უნარი გამოყოს ბჭობის ძალა სიმპათიისა და ანტიპათიის გრძნობებისაგან, რომლებსაც მას „ძლიერნი ამა ქვეყნისა“ უნერგავენ. ამიტომაც

ის უფრო იოლად ექცევა ასეთი „არგუმენტის“ გავლენის ქვეშ და მას ჭეშმარიტად მიიჩნევს.

3) ხალხისადმი მიმართვის არგუმენტი. ამ დროს ცდილობენ წამოყენებული დებულებისადმი ბრბოს მხარდაჭერას მიაღწიონ ისეთი ვნებებისა და გრძნობების გაღვივებით, რომლებიც ადამიანებს აკარგვინებენ ბჭობის მიმდინარეობისადმი კონტროლის უნარს. ამ გზით ხდება რწმენის თავს მოხვევა და არა რწმენის აღმოცენება დასაბუთების საფუძველზე. ამ სოფიზმს ხშირად მიმართავენ პროპაგანდისტები და დემაგოგი პოლიტიკოსები, რომლებიც არგუმენტად იშველიებენ „ყველას აზრს“. ასეთი მსჯელობა არასწორია, რადგან ყველას თანხმობა არ არის ჭეშმარიტების გარანტია. სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც კამათისას დაცვის მხარე, საკუთარი მოსაზრების სისწორის დამტკიცებისათვის, ცდილობს მოწინააღმდეგეს განსასჯელის მიმართ აღუძრას სიბრალული და თანაგრძნობა. ესეც ამგვარი სოფიზმის ერთ-ერთი სახეა.

4) **ავტორიტეტისადმი მიმართვის არგუმენტი** გულისხმობს რაიმე დებულების ჭეშმარიტებაში მოწინააღმდეგის დარწმუნებას გამოჩენილი ადამიანის შეხედულების დამოწმებით. ამ არგუმენტს ძალა არა აქვს, რადგან აზრი ჭეშმარიტი ვერ იქნება მხოლოდ იმის გამო, რომ მას ვიღაც, თუნდაც გამოჩენილი ადამიანი (ხელმძღვანელი, ბელადი და ა.შ) ეთანხმება. ჭეშმარიტების გარანტია სინამდვილესთან შესაბამისობაა. მიუხედავად ამ არგუმენტის სოფისტური ხასიათისა, მაინც უნდა გავარჩიოთ მისი გამოყენების ის შემთხვევა. როცა მიუთითებენ ცოდნის მოცემულ სფეროში აღიარებული სპეციალისტის შეხედულებებზე. მართალია ასეთი მითითება დასაბუთება არაა, მაგრამ მას საკმაო დამარწმუნებელი ძალა აქვს.

5) **არცოდნისადმი მიმართვის არგუმენტი** არის დებულების ჭეშმარიტად მიჩნევა იმის გამო, რომ მისი მცდარობა დასაბუთებული არ არის. ეს სოფიზმი მკაფიოდ ვლინდება უჩვეულო ფენომენებთან (მაგალითად, ტელეპატიის, ტელეკინეზის ან ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან) დაკავშირებულ ბჭობაში. ამ სოფიზმის გამოყენების

სფეროში ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისია: ადამიანი ითვლება უდანაშაულოდ, თუკი მისი დანაშაული სასამართლოს მიერ დამტკიცებული არ არის.

6) **ადამიანის მდგომარეობისადმი მიმართვის არგუმენტი** სახეზეა, როდესაც ერთი ადამიანი კი არ უსაბუთებს მეორეს რაიმე დებულების ჭეშმარიტებას, არამედ ცდილობს უჩვენოს მას, რომ იგი ვალდებულია დაეთანხმოს ამ დებულებას საკუთარი მდგომარეობის გამო. ეს სოფიზმია, რადგან დებულების ჭეშმარიტება არ არის დამოკიდებული ადამიანის მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, ეს არგუმენტი ძალიან ჭრის. მაგალითად, მონადირეს კიცხავენ იმის გამო, რომ ის უმოწყალოდ ხოცავს ნადირს. ის კი პასუხობს – რატომ მაშინ არ გაწუხებთ სინდისი, როდესაც უწყინარი საქონლის ხორცს შეექცევითო? აქ მონადირე არ ასაბუთებს საკუთარი მოქმედების სამართლიანობას, არამედ ცდილობს უჩვენოს, რომ მისი მოწინააღმდეგის სიტყვა და მდგომარეობა ეწინააღმდეგება ერთმანეთს. მონადირის შეპასუხების უსუსურობას მაშინვე დავინახავთ, როგორც კი წარმოვიდგენთ, რომ მას ვეგეტარიანელი აკრიტიკებს.

7) **მრავლობითი კითხვა.** უძველესი დროიდან ცნობილია ეშმაკური კითხვები, რომლებიც თითქოს მოითხოვენ მკაფიო „ჰო“ ან „არა“ პასუხს, მაგრამ მოპასუხეს ჩიხში აქცევენ, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში იგი გარკვეულ პასუხს აძლევს აგრეთვე სხვა, ფარულად ნაგულისხმევ კითხვასაც. მაგალითად, „გაანებე თავი ავი გზებით სიარულს“? „კიდევ სცემ ცოლს“? როგორი პასუხიც არ უნდა გაეცეს ამ კითხვებს, ორივე შემთხვევაში დადასტურდება, რომ პასუხის გამცემი ადრე ან ავი გზებით დადიოდა, ან ცოლს სცემდა. ამ სოფიზმს ხშირად მიმართავენ არაობიექტური გამომძიებლები და დემაგოგი პოლიტიკოსები.

საკონტროლო კითხვები

რას შეისწავლის ლოგიკა?

დაახასიათეთ აზროვნების ძირითადი კანონები.

რომელი დასკვნა აფართოებს ჩვენს ცოდნას — ინდუქციური თუ დედუქციური?

რა სახის შეცდომები შეიძლება იქნას დაშვებული ბჭობაში?

როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ შეცდომები დასაბუთებაში?

რას ნიშნავს დიალექტიკური და ერისტიკული კამათი?

რას ნიშნავს კამათის ზნეობრივად ჯანსაღი და ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული მეთოდით წარმართვა?

რა არის სოფიზმი?

რა არის ჭეშმარიტება და მცდარობა?

თავი III

უნივერსალური პრობლემები პირველსაწყისის იდეა

ფილოსოფიური პრობლემები უნივერსალური ხასიათისაა. მათში მოიაზრება ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური და აქსიოლოგიური პრობლემები. ამჯერად პირველს განვიხილავთ, შემდეგ კი შევეხებით გნოსეოლოგიურ და აქსიოლოგიურ საკითხებს.

ონტოლოგია (ონტოს – არსებული) არის მოძღვრება სამყაროს არსის შესახებ. სამყაროს არსში იგულისხმება როგორც საზოგადოებრივი, ისე თავად ადამიანის პიროვნული ყოფიერებაც. ონტოლოგიის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს სუბსტანციის ანუ პირველსაწყისის პრობლემა. აქედან გამომდინარე, ყველა ფილოსოფია თავისებურად წყვეტს სამყაროს კანონზომიერების საკითხს.

ძველ საბერძნეთში ანტიკური ფილოსოფია ონტოლოგიური პრობლემებით დაიწყო. საკითხი დადგა ყოველივეს განმსაზღვრელი ერთის აღმოჩენისა და დასაბუთების შესახებ. ამიტომ პირველი ფილოსოფიური პრობლემა ჩამოყალიბდა როგორც ერთისა და სიმრავლის დამოკიდებულების პრობლემა. პირველი ფილოსოფოსები ეძებდნენ ერთს, როგორც სამყაროს საწყისს. ბერძნული ფილოსოფიის განვითარების პირველ პერიოდს **კოსმოლოგიური** პერიოდი ეწოდება, ხოლო სამყაროს პირველსაწყისის პრობლემას **სუბსტანციის** პრობლემა ჰქვია.

სუბსტანცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს **ქვემდებარეს,** ანუ იმას, რაც საფუძვლად დევს, ანუ არხეს. სუბსტანციის პრობლემას სხვაგვრად **„არხეს“** პრობლემა ჰქვია. სწორედ ამიტომ მას არისტოტელე „ქვემდებარეს“ უწოდებდა.

ონტოლოგია არის მოძღვრება სუბსტანციის შესახებ. სუბსტანცია მთელი სინამდვილის პირველსაფუძველია. **ბენედიქტ სპინოზას** (1682 –1677 წწ.) აზრით, იგი არის „**kau sa sui**“ –„მიზეზი თავისი თავისა“.

ისმის კითხვა: ხომ არ არსებობს ამ მრავალფეროვნების ერთი ძირი, საფუძველი, არხე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემით დაიწყო ფი-

ლოსოფიური აზროვნება ძველ საბერძნეთში. სუბსტანციის პრობლემა ფილოსოფიაში ერთ-ერთი ძირითადია, რომელიც შემდგომ ორი ასპექტით დაისვა: 1) მთლიანად სამყაროს და 2) ინდივიდუალური საგნის მიმართ.

შექმნილია სამყარო თუ არა? ამ კითხვაზე ორი თვალსაზრისი არსებობს: 1) რელიგიური და 2) არარელიგიური. რელიგია შესაქმიდან ამოდის. არარელიგიური მიიჩნევს, რომ სამყარო მარადიულად არსებობდა, არსებობს და მომავალშიც იარსებებს. აქ ორგვარი პასუხია: პოზიტივისტური და მეტაფიზიკური. პოზიტივისტური – სხვადასხვა მეცნიერების მონაცემებზე დაყრდნობით თვლის, რომ სუბსტანციის პრობლემა არამეცნიერული, უსაზრისო პრობლემაა. მისი მეცნიერული, დასაბუთებული, ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა არ არსებობს. იგი მეტაფიზიკური შინაარსის მქონეა. შემოვიფარგლოთ მხოლოდ იმით, რაც ცდაში გვეძლევა.

მეტაფიზიკური თვალსაზრისი აღიარებს სუბსტანციის არსებობას, მაგრამ მის შიგნით აზრთა სხვადასხვაობაა, იმის მიხედვით, თუ რამდენი სუბსტანციაა – ერთი, ორი თუ მრავალი. შესაბამისად, ჩამოყალიბდა სამი მიმართულება – **მონიზმი, დუალიზმი და პლურალიზმი.**

ონტოლოგიურ პრობლემებზე საერთოდ უარს ამბობს ნეოპოზიტივისტური ფილოსოფია. ამისაგან განსხვავებით აღნიშნულ საკითხზე შეიქმნა რამდენიმე სერიოზული გამოკვლევა: **ჰუსერლის** (1859 –1938 წწ.) „ტრანსცენდენტალური ონტოლოგია“; **ჰარტმანის** (1859 –1938 წწ.) „კრიტიკული ონტოლოგია;“ **ჰაიდეგერის** (1889 – 1976 წწ.) „ფუნდამენტური ონტოლოგია;“ და სხვა. ამდენად, თუ ტრადიციული ონტოლოგიური სისტემები ძირითადად სამყაროს, სუბსტანციისა და კანონზომიერების პრობლემებს იკვლევდნენ, თანამედროვე ფილოსოფიაში კვლევის ობიექტი გახდა თვითონ ადამიანი, მისი შემადგენელი უნარები, ემოციები, განცდები და საერთოდ სულიერი ფენომენები.

ბერძნული ფილოსოფია **თალესით** (ძვ. წ. VII) იწყება. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი მილეთის ფიზიკის სკოლას და დასვა საკითხი, თუ რა არის მრავალფეროვანი მოვლენების საწყისი. მისი აზრით, სამყაროს მრავალფეროვნებას ერთი და ყველასათვის საერთო

საწყისი უნდა ჰქონდეს. თალესი მას ბუნებაში ეძებს. მისი აზრით, სამყაროს საწყისი უნდა იყოს წყალი, რადგან ყველაფერი წყლისაგან წარმოიშობა და წყლად იქცევა. კითხვაზე თუ რა ამოძრავებს წყალს, თალესი პასუხობს: წყალი თვითმოძრავია, რადგან სულიერია. ასეთ თვალსაზრისს ფილოსოფიაში **ჰილოძოიზმი** ეწოდება.

თალესის შეხედულებას არ ეთანხმება მისი მოწაფე **ანაქსიმანდრე** (610 – 546 ძვ. წ.). მისი ამოსავალი დებულებაა: „არაფრისაგან რაიმე არ წარმოიშობა და რაიმე არაფერში არ გადავა“. ამ დებულებას ვერ უძლებს თალესის აზრი, რადგან ბუნებაში არის ისეთი საგნები, რომლებიც წყალს არ შეიცავენ. ასეთია მაგალითად: რკინა, ცეცხლი და სხვა. ანაქსიმანდრეს აზრით, წყალი განსაზღვრული სტიქიაა და ამიტომ ის ყველაფრის ძირი ვერ იქნება, არხედ არ გამოდგება. არხე უნდა იყოს განუსაზღვრელი, რომელიც ყველაფერს შეიცავს. განსაზღვრულ მოვლენათა საწყისი უნდა იყოს თვითონ განუსაზღვრელი, რასაც ანაქსიმანდრემ **აპეირონი** (ბერძნულად განუსაზღვრელი) უწოდა. მისი აზრით, აპეირონი უსაზღვროა თვისობრივადაც და რაოდენობრივადაც. ის არც მაგარია, არც თხიერი, არც ჰაეროვანი, არც თბილი და სხვა. აპეირონი მოცულობითაც უსაზღვროა და დროშიც უსასრულო. აპეირონს შეუძლია თავისი თავიდან წარმოშვას ყველაფერი, ამიტომ ის ყოვლად ძლიერია, ის უსაზღვროდ გასულიერებული ნივთიერებაა. რაც შეეხება საგნების წარმოშობას, ეს ნიშნავს აპეირონიდან მის გამოყოფას. ეს საგნები აპეირონში მზამზარეულად არსებობენ და დროდადრო ახორციელებენ გამოყოფას და მასში უკან დაბრუნებას.

ანაქსიმანდრეს შეხედულებას არ იზიარებს ასევე მილეთის სკოლის შემდეგი წარმომადგენელი **ანაქსიმენე** (ძვ.წ. 588 – 525). ანაქსიმენეს აზრით, ანაქსიმანდრე თალესის საპირისპირო უკიდურესობაში გადავიდა. თალესისათვის ეს იყო განსაზღვრული სუბსტანციის დაშვება, ხოლო ანაქსიმანდრესთვის – სუბსტანციის გაურკვევლობა. ანაქსიმენეს მიხედვით, გაურკვევლობიდან მზამზარეული საგნის წარმოშობა ნიშნავს არარაობიდან რაიმეს წარმოქმნას. ეს კი შეუძლებელია. ანაქსიმენემ ამ სიძნელის დაძლევა რაოდენობრივი პრინციპით სცადა. ის ფიქრობს, რომ არხე საწყისი ნივთიერებაა, სადაც არ არის საგანთა განსხვავებანი. საგნები ერ-

თი მეორისაგან განსხვავდება მხოლოდ ამ პირველი, საწყისი ნივთიერების რაოდენობრიობით. საგანთა თვისობრიობას პირველი ნივთიერების რაოდენობრივი მოცულობა განსაზღვრავს. ანაქსიმენეს აზრით, ჰაერი არის ის პირველი ნივთიერება, რომლის გასქელება და გათხელება იძლევა სამყაროს მრავალფეროვნებას. ჰაერი რაოდენობრივად და თვისობრივადაც განუსაზღვრელი კოსმოსია. ის არის მსოფლიო სული, რომლის გარეშე მსოფლიო დაიშლებოდა და ქაოსად გადაიქცეოდა.

მილეთის სკოლის გულუბრყვილო და სტიქიური მატერიალიზმი განავითარა **ჰერაკლიტე ეფესელმა** (ძვ. წ. 530 – 470). ჰერაკლიტემ, მილეთელებისაგან განსხვავებით, სამყაროს სუბსტანციად მარად უცვლელის ნაცვლად მარადცვალებადი ცეცხლი აღიარა. იგი ამბობს: „ეს კოსმოსი, რომელიც ერთი და იგივეა მთელი არსებულისათვის, არ შეუქმნია არავითარ ღმერთს და არავითარ ადამიანს, არამედ იგი მუდამ იყო, არის და იქნება მარად ცოცხალი, რომელიც კანონზომიერად ინთება და კანონზომიერად ქრება“. მთელი ეს პროცესი **ლოგოსს (კანონს)** ემორჩილება, რომელიც ობიექტურია. ჰერაკლიტეს მიხედვით, სამყაროს საგნები არა მხოლოდ რაოდენობრიობის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ ისინი თვისობრივადაც ერთიმეორეს უპირისპირდებიან და ებრძვიან. მიუხედავად ამისა, ამ საგნებს სწორედ ეს დაპირისპირება და ბრძოლა აერთიანებს. სიცოცხლეს აზრი აქვს სიკვდილით, სიკვდილს კი – სიცოცხლით. ყველაფერში წინააღმდეგობა და ცვალებადობაა, ყველაფერი იცვლება, როგორც ცეცხლი. ხოლო თვითონ ცვალებადობა მარადიულია. ცეცხლი მარადიული ცვალებადობაა.

ძველბერძნულ გულუბრყვილო მატერიალიზმს დაუპირისპირდა ძველი ბერძნული იდეალისტური ფილოსოფია, რომელიც ელეატური მეტაფიზიკის სახელით არის ცნობილი. მისი წარმომადგენლები არიან **ქსენოფანე კოლოფონელი, პარმენიდე, ძენონი და მელისო.** ელეატური მეტაფიზიკა წარმოადგენს მილეთის ფიზიკოსების საპირისპირო თეორიას. მეტაფიზიკა ბერძნულ ფილოსოფიაში ნიშნავდა არაგრძნობად სინამდვილეს. ის შეგრძნებაში არ ეძლევა ადამიანს, არამედ მისი შემეცნება მხოლოდ გააზრებით

შეიძლება. ელეატური მეტაფიზიკის მთავარ არგუმენტს წარმოადგენს სწორედ ის დებულება, რომ ფიზიკური სინამდვილე, რომელიც გრძნობაში ეძლევა ადამიანს, მუდამ იცვლება. აქ საგნები მუდმივად წარმოიშვებიან და ისპობიან. ამიტომ ფიზიკურ სინამდვილეში სუბსტანციის ძიება უაზრობაა. მათი აზრით, სუბსტანცია უნდა იყოს ისეთი რამ, რაც არ წარმოიშობა და არც ისპობა, რაც თვითონ არ მოძრაობს, მაგრამ სხვას ამოძრავებს. ის, რაც მოძრაობს მოჩვენებითობაა, ჭეშმარიტება მხოლოდ უძრავს და მარადიულ სინამდვილეს აქვს.

ელეატური მეტაფიზიკის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი **პარმენიდე** (ძვ. წ. 540 – 480) თავის ფილოსოფიას აფუძნებს ასეთ აქსიომაზე: „რაც არის, ის არის და რაც არ არის, ის არ არის; ანუ, არსი არის და არარსი არ არის„. მისი აზრით, ჭეშმარიტების მიღება მხოლოდ ამ დებულებაზე დაყრდნობით შეიძლება. ჰერაკლიტეს ფილოსოფია ამ დებულებას ვერ უძლებს, რადგან ჰერაკლიტეს მიხედვით, საგნები წარმოიშვებიან და ქრებიან, ე. ი. ისინი არიან და არც არიან. დებულებიდან – არსი არის და არარსი არ არის – გამომდინარეობს ის, რომ არსი არის ერთი. იგი ერთზე მეტი არ შეიძლება იყოს. არსი რომ ორი ან მეტი იყოს, მაშინ მათ შორის იქნებოდა საზღვარი. საზღვარი ნიშნავს არარსს. არარსის დაშვება კი შეცდომაა, რადგან არარსი არ არსებობს. ე. ი. არსი უნდა იყოს სიმრავლე. არსი არის სრული, უნაკლო, უცვლელი, მარადიული, განუყოფელი. ეს არსი დროისა და სივრცის გარეშეა. დროში და სივრცეში მხოლოდ ფიზიკურად ცვალებადი საგნებია. პარმენიდეს ფილოსოფიამ საფუძველი მოუმზადა დიდი ბერძენი მოაზროვნეების **პლატონის** (ძვ.წ. 427 – 347) და **არისტოტელეს** (ძვ.წ. 384 – 322) ფილოსოფიას.

სანამ პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებებს განვიხილავდეთ სუბსტანციის შესახებ, უნდა შევეხოთ კვლავ ბერძნულ მატერიალისტურ ფილოსოფიას, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა ელეატურ მეტაფიზიკას. მილეთის მატერიალისტებისა და ფიზიკოსების ნააზრევი განავითარეს **ემპედოკლემ** (ძვ. წ. 487 – 424) და **ანაქსაგორამ** (ძვ.წ. 500 – 428). ემპედოკლეს მიხედვით, ერთი სუბსტანციიდან მრავლის ახსნა სასწაულს ნიშნავს. მისი აზრით,

სამყაროს მრავალფეროვნებას აქვს ოთხი სუბსტანცია. ესენია: წყალი, ჰაერი, ცეცხლი და მიწა. ყველაფერი ამ ოთხი ელემენტიდან იწყება და ამ ოთხ ელემენტად იშლება. სხვადასხვა საგნების არსებობას განაპირობებს ამ ოთხი ელემენტის სხვადასხვა ზომით შერწყმა. ამით ემპედოკლემ საფუძველი ჩაუყარა პლურალისტურ მატერიალიზმს.

ემპედოკლესგან განსხვავებით, ანაქსაგორამ სამყაროს სუბსტანციად ბუნების უსასრულო მცირე ნაწილაკები მიიჩნია. ისინი სუბსტანციებია იმ გაგებით, რომ დაყოფას არ ექვემდებარებიან და მათი შეერთება უსასრულო მრავალფეროვან სამყაროს იძლევა.

ემპედოკლესა და ანაქსაგორას პლურალისტური მატერიალიზმი უფრო მაღალ დონეზე აიყვანა **დემოკრიტემ** (ძვ.წ. 460 – 371). დემოკრიტეს მატერიალისტური მოძღვრების ამოსავალს წარმოადგენს ბუნება. მისი აზრით, საჭიროა ბუნების მრავალფეროვანი საგნების ახსნა და არა უარყოფა, როგორც ამას ელეატელები აკეთებდნენ. პარმენიდეს საწინააღმდეგოდ, რომელიც სამყაროს განუყოფელ ერთ არსს აღიარებდა, დემოკრიტემ სიმრავლის არსებობა დაუშვა. პარმენიდესათვის მიუღებელი და დაუშვებელი იყო სიმრავლე, რადგან ის თავისთავად მოითხოვდა საზღვრის არსებობას, რომელიც პარმენიდესთან ნიშნავდა არაარსებობას, სიცარიელეს. დემოკრიტემ სწორედ ეს სიცარიელე გამოიყენა სიმრავლის ასახსნელად. პარმენიდესთან ბუნება უსასრულოდ დაყოფილია და ქრება. დემოკრიტეს მიხედვით, ეს დაუშვებელია, რადგან ბუნების არსებობა ფაქტია და მისი გაქრობა შეუძლებელია. ამის გამო, დემოკრიტემ დაუშვა განუყოფელი ნაწილების ანუ ატომების (ატომი ბერძნულად განუყოფელს ნიშნავს) არსებობა, ხოლო ამ ატომების მოძრაობის პირობად სიცარიელე აღიარა. დემოკრიტეს აზრით, ვინაიდან ატომი განუყოფელია და შეუვალია, უნდა არსებობდეს სიცარიელე, რათა ატომების დაჯახების დროს შესაძლებელი იყოს გადაადგილება. დემოკრიტემ ატომებს სუბსტანციები უწოდა. მან მთელი სამყარო ატომებით, მოძრაობით და სიცარიელის ცნებებით ახსნა. რაც შეეხება სამყაროს მრავალფეროვნებას, ეს გამოწვეულია განსხვავებული ფორმის, სიდიდის ატომების შეერთებით. დემოკრიტეს აზრით, ადამიანის აზროვნებაც ატომებისგან შედ-

გება. მხოლოდ ეს ატომები თავისი ფორმით და თვისებებით სხვა ატომებთან შედარებით ცეცხლოვანი და დახვეწილია. ე.ი. მთელი სამყარო მხოლოდ უსასრულოდ მრავალი განსხვავებული მატერიალური ატომისგან შედგება. ატომს სივრცითი განზომილებაც აქვს. ასე რომ არ იყოს, მაშინ უნდა დაგვეშვა არარაობიდან რაიმეს წარმოშობა. დემოკრიტემ ატომისტური შეხედულებებით ააგო თავისი კოსმოგონია. მისი აზრით, მსოფლიოს არა აქვს დასაწყისი და დასასრული, ხოლო კოსმოსი კი წარმოშობადია. კოსმოსი წარმოიშვა გაბნეული ატომების მოძრაობის პროცესში შეერთებით. ასე წარმოიქმნება არა ერთი, არამედ მრავალი კოსმოსი. დემოკრიტეს ფილოსოფიამ, და საერთოდ ბერძნულმა გულუბრყვილო მატერიალიზმმა, საფუძველი მოუმზადა მე-XVII-XVIII საუკუნეების მექანისტურ და მეტაფიზიკურ მატერიალიზმს.

ბერძნულ მატერიალისტურ ფილოსოფიას მკვეთრად დაუპირისპირდა იდეალისტური მოძღვრება. პლატონმა განსაკუთრებით კრიტიკულად შეაფასა და უარყო ჰერაკლიტეს ფილოსოფია, რომელიც მოძრაობის მარადიულობას აღიარებდა, ხოლო ელეატური ფილოსოფია, რომელიც მოძრაობის მოჩვენებითობას ასაბუთებდა, მთლიანად გაიზიარა. პლატონმა ამის გამო სამყარო ორად დაყო: 1) ფიზიკური, მოძრავი, მოჩვენებითი, ამქვეყნიური მოვლენების სამყაროდ და 2) მარადიული, უძრავი, სრულყოფილი იდეების იმქვეყნიურ სამყაროდ. მისი აზრით, ამქვეყნიური მოვლენების მოძრაობას იწვევს იმქვეყნიური იდეებისაკენ სწრაფვა, ე.ი. მოვლენებს ამოძრავებს მიზანი. ეს მიზანი მდგომარეობს სრულყოფილებისკენ სწრაფვაში. ამიტომ მოძრაობს მხოლოდ ის, რაც ნაკლოვანია, ხოლო იდეებს მათი სრულყოფილების გამო არავითარი მოძრაობა არ სჭირდებათ. ელეატური მეტაფიზიკისაგან განსხვავებით, პლატონმა დაუშვა მიზნის ცნება. ამით სამყაროს მოძრაობას კანონზომიერი ხასიათი მისცა. პლატონის აზრით, ამქვეყნიურ სამყაროს ჰყავს შემქმნელი მიზეზი ანუ დემიურგი, რომელიც აწესრიგებს ყველაფერს. ეს არის ღმერთი. ღმერთი არის უმაღლესი სიკეთეც და შემოქმედიც. ღმერთი აბსოლუტური სუბსტანციაა. პლატონის აზრით, ღმერთმა ამქვეყნიური სამყარო ანუ მოვლენების სამყარო იდეების სამყაროსთან დააკავშირა მსოფლიო სულის საშუალებით.

პლატონის აზრით, ობიექტურად და ჭეშმარიტად არსებობს მხოლოდ ის, რაც უცვლელი და მარადიულია, რაც ზოგადია ყველა ერთეულისათვის, ხოლო ის, რაც დროში და სივრცეში მოძრაობს და ცვალებადობს, არის არანამდვილი მოჩვენებითი არსებობა. ამის გამო პლატონის ფილოსოფიას ობიექტური იდეალიზმი ეწოდება. პლატონის ობიექტური იდეალიზმის თეორია კრიტიკულად გაიზიარა და განავითარა არისტოტელემ.

არისტოტელემ საფუძველი ჩაუყარა მრავალ მეცნიერებას: ფიზიკას, ასტრონომიას, ლოგიკას, ფსიქოლოგიას, ეთიკას, ესთეტიკას, რიტორიკას, პოლიტიკას და სხვ. კითხვაზე – რა არის მეცნიერების საგანი? – არისტოტელე პასუხობს: ეს არის სიბრძნე, ხოლო სიბრძნე არის პასუხი კითხვაზე – „რატომ?“ არისტოტელე პირველ ფილოსოფიას უწოდებს მეცნიერების იმ დარგს, რომელიც სამყაროს პირველმიზეზს ანუ სუბსტანციას იკვლევს. სუბსტანცია არის დამოუკიდებლად არსებული პირველი მიზეზი, რომელზედაც ყველაფერია დამოკიდებული, ეს არის ყველაფრის არსება ანუ „უსია“. მეცნიერების იმ დარგს, რომელიც სხვაზე დამოკიდებულ საგნებს ანუ ბუნებას შეისწავლის, არისტოტელე „მეორე ფილოსოფიას“ ანუ ფიზიკას უწოდებს.

არისტოტელეს მიხედვით, პლატონის უმთავრესი შეცდომა მდგომარეობს მოვლენათა და იდეათა სამყაროების ერთიმეორისაგან მოწყვეტაში. მისი აზრით, არ შეიძლება გრძნობადი და კონკრეტული საგნები დავაშოროთ იდეებს ანუ ზოგადობას; არ შეიძლება იდეები საგნების მიღმა არსებობდეს. ზოგადი იდეა ყოველთვის ერთეულებში არსებობს ფორმის სახით. შეუძლებელია არსებობდეს ადამიანობის იდეა ადამიანების გარეშე. არისტოტელეს აზრით, ყოველ არსებულს აქვს ოთხი მიზეზი: ფორმალური, მატერიალური, მოქმედი და ბოლოვადი მიზეზი ანუ მიზანი. მატერია მხოლოდ შესაძლებლობის სახით არსებობს, მისი გაფორმება და მოქმედება ნიშნავს განვითარებას პირველმიზეზისაკენ, ანუ მიზნისკენ, რომელიც სინამდვილეა. შესაძლებლობა არის სინამდვილის შესაძლებლობა და ის ყოველთვის სინამდვილეზეა დამოკიდებული. სინამდვილე კი დამოუკიდებელია. სინამდვილე მიზანია და ის წინ უსწრებს იმას, რისი მიზანიც არის.

არისტოტელეს მიხედვით, სამყარო სამ სფეროდ არის დაყოფილი: მატერია, ბუნება და ღმერთი. რაც არ მოძრაობს და იმოძრავებს, არის მატერია, რაც მოძრაობს და იმოძრავებს, არის ბუნება და რაც მხოლოდ ამოძრავებს და არ მოძრაობს, არის ღმერთი. ღმერთი არის სამყაროს მამოძრავებელი მიზეზიც და მიზანიც. მთელი ბუნება მოძრაობის პროცესში ფორმისა და მატერიის სხვადასხვა დონით შეერთების „იერარქიულ კიბეს" წარმოადგენს. თუ ფორმათა განსხვავების კიბეს დაბლა დავყვებით, მაშინ უფრო მეტი მატერიისა და ნაკლები ფორმის მქონე საგნებთან გვექნება საქმე. სულ ბოლოს იქნება უფორმო მატერია; თუ პირიქით, კიბეს მაღლა ავყვებით, მეტი ფორმისა და ნაკლები მატერიის საგნებს ვიხილავთ. სულ ბოლოს კი იქნება უმატერიო ფორმა, ანუ ფორმის ფორმა. სწორედ ამ ფორმის ფორმას უწოდებს არისტოტელე საბოლოო მიზანს, სუბსტანციას ანუ ღმერთს.

ფორმათა განსხვავების მიხედვით, სამყარო ასე ლაგდება: არაცოცხალი ბუნება (უფორმო მატერია), მცენარეთა სამყარო, ცხოველთა სამყარო, ადამიანი და ბოლოს – ღმერთი. სამყაროსა და სუბსტანციის ასეთ დამოკიდებულებას, სადაც ყველაფერი საბოლოო მიზნით განისაზღვრება, **ტელეოლოგია ეწოდება.**

სამყაროს კანონზომიერების პრობლემა ფილოსოფიაში

გარდა სუბსტანციის პრობლემისა, ონტოლოგიაში შემდეგი ძირითადი კითხვები დგას: როგორი კანონზომიერების არის სამყარო? რა კანონებში გამოიხატება სამყაროს მოძრაობა – ცვალებადობა? რა არის მისი ფორმა და შინაარსი? აქვს თუ არა მოძრაობა – ცვალებადობას მიზეზ – შედეგობრივი კავშირი? რა არის სინამდვილე და შესაძლებლობა? რა კავშირია აუცილებლობასა და შემთხვევითობას შორის? და სხვა. ყველა ეს კითხვა და მასზე გაცემული პასუხი სამყაროს **კანონზომიერების** პრობლემას ეხება.

კანონის ცნება. ზემოთ დასმული კითხვები რომ გაირკვეს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავიგოთ რა არის კანონი. ამ შემთხვევაში

საქმე ეხება ობიექტურ მეცნიერულ კანონს და არა ნორმატიულ კანონს, რომელსაც სახელმწიფო ადგენს ან აუქმებს. ობიექტური იმას ნიშნავს, რომ ის არაა დამოკიდებული ადამიანის ცნობიერებაზე, ის თავისთავადია. ე.ი. კანონის პირველი ნიშანი არის ობიექტურობა. გარდა ობიექტურობისა, კანონი უნდა იყოს ზოგადი ხასიათის. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ სფეროში, სადაც კანონი მოქმედებს, იგი ყველა საგანს ეხება. ასხვავებენ სპეციფიკურ, განსაკუთრებულ და უზოგადეს კანონებს. უზოგადესი კანონი მთელ სამყაროში მოქმედებს, განსაკუთრებული – რამდენიმე სფეროში, ხოლო სპეციფიკური – მხოლოდ ერთ სფეროში. ზოგადობასთან და ობიექტურობასთან ერთად, კანონი ვრცელდება რომელიმე სფეროს ყველა მოვლენაზე. ეს პრინციპი ასე გამოითქმის: ერთი და იგივე მოვლენა ერთსა და იმავე პირობებში ერთსა და იმავე შედეგს იძლევა.

კანონის შემდეგი ნიშანია არსებითობა. კანონი უხილავია, შეგრძნებებში არ გვეძლევა, კანონის არსება მხოლოდ მოვლენებში ვლინდება. მისი შემეცნება აზროვნებით ხდება. ყველა ამ ნიშანს, რითაც კანონი ხასიათდება, უნდა დაემატოს მიზეზობრიობის ნიშან-თვისება. მოვლენათა მიზეზობრივი კავშირის გარეშე არავითარი კანონი რეალურად არ ვლინდება.

ამდენად, კანონი შეიძლება ასე განვსაზღვროთ: **კანონი არის მოვლენათა ისეთი კავშირის წესი, რომელიც ხასიათდება ობიექტურობით, ზოგადობით, არსებითობით, აუცილებლობით, საყოველთაობით და აჩვენებს მოვლენათა განვითარების ტენდენციას ანუ მიმართულებას.** კანონის გამოყენებითი მნიშვნელობა სწორედ იმაშია, რომ ის მოვლენებისა და პროცესების მიმართულებას აჩვენებს; სწორედ ამის საფუძველზე ხდება სამყაროს მეცნიერული სურათის შექმნა და მეცნიერული პროგნოზირება. ამ გაგებით, მეცნიერული კანონები წარმოადგენენ სამყაროს შემეცნებისა და მისი გარდაქმნის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. ფილოსოფია, როგორც მსოფლმხედველობრივი მეცნიერება, ცხადია, ემყარება და ითვალისწინებს ბუნების და საზოგადოების ობიექტურ კანონზომიერებას, მაგრამ ფილოსოფიურ კვლევა – ძიებას თავისი მეთოდოლოგია აქვს.

მეთოდის პრობლემა. მეთოდის განხილვა უნდა დავიწყოთ, უწინარეს ყოვლისა, კითხვის დასმით, რა არის ფილოსოფია? ამ სტრუქ-

ტურული ანალიზით იწყება აღნიშნული პრობლემის განმარტების პირობა. კითხვა, რა არის ფილოსოფია? – ეხება ფილოსოფიის რაობას, მის არსს. ეს კი ნიშნავს, დადგინდეს რა არის ფილოსოფია თავისი საგნის მიხედვით. ე. ი. განისაზღვროს სფერო, რომელთანაც მას საქმე აქვს. ეს კი მოითხოვს ნაჩვენები იყოს ის წესები, რომლითაც ფილოსოფია კვლევას აწარმოებს თავის სფეროში, ე. ი. როგორ სწავლობს ის თავისი საკვლევი საგნის რაობას, რა წესით, რა ხერხით, რა მიდგომით ანუ რა მეთოდით. მეთოდი დამოკიდებულია ფილოსოფიის სფეროსადმი მიდგომის ამოცანაზე. მაშასადამე, კითხვა – რა არის ეს? მოითხოვს კითხვას – როგორ გავიგოთ ეს?

ყოველ ფილოსოფიურ სისტემას თავისი მეთოდი აქვს. არ არსებობს ფილოსოფიაში ერთი უნივერსალური მეთოდი, ისევე როგორც არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი პასუხი ფილოსოფიის საგნის შესახებ. რამდენი ფილოსოფიური სისტემაცაა, იმდენი მეთოდი არსებობს. ამიტომ არასწორია, როცა ფილოსოფიაში ორ ძირითად მეთოდს ასახელებენ: დიალექტიკისა და მეტაფიზიკის.

გარდა **დიალექტიკისა** და **მეტაფიზიკისა,** არსებობს **ლოგიკური ანალიზის** მეთოდი, რომელსაც იყენებს ლოგიკური პოზიტივიზმი, **ეკლექტიკური** მეთოდი ციცერონთან, **ინტუიციური** მეთოდი – ბერგსონთან, მატერიალიზმში – **დიალექტიკური** მეთოდი, რომელიც უპირისპირდება მეტაფიზიკურ მეთოდს, ჰუსერლის **ფენომენოლოგიური** მეთოდი, **ტრანსცენდენტალური** მეთოდი და ა. შ.

ზოგადად მოკლედ მიმოვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

მეტაფიზიკა. მეტაფიზიკის ცნება ფილოსოფიაში ორი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება. მეტაფიზიკა როგორც ფილოსოფიის სინონიმი და მეტაფიზიკა, როგორც ერთ-ერთი მეთოდის აღმნიშვნელი ცნებაა.

ტერმინი „მეტაფიზიკა“ პირველად გამოიყენეს არისტოტელეს პირველი ფილოსოფიის მიმართ. იმის გამო, რომ ამ შრომას სათაური არ აღმოაჩნდა და იდო არისტოტელეს შრომის „ფიზიკის“ შემდეგ, მას ეწოდა **meta ta fizika,** „ის, რაც ფიზიკის მიღმაა“. დროთა განმავლობაში ამ ტერმინმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. მეტაფიზიკით აღნიშნავდნენ ყველა ფილოსოფიურ მოძღვრებას ყოფიერებისა და შემეცნების საწყისებზე. უფრო ზუსტად, ონტოლოგიისა და გნო-

სეოლოგიის უმთავრეს საკითხებზე. იმანუელ კანტის მიერ დასმული კითხვა, როგორაა შესაძლებელი მეტაფიზიკა როგორც მეცნიერება, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, როგორაა შესაძლებელი ფილოსოფია. კანტმა, გამიჯნა რა, ტრანსცენდენტური და იმანენტური, ცოდნა და რწმენა, უარყო მეტაფიზიკის, როგორც ზეგრძნობადის, ტრანსცენდენტურის შესახებ მეცნიერების შესაძლებლობა. კანტის მიხედვით, მეტაფიზიკა არსებობს როგორც ადამიანის გონების მოთხოვნილება. იგი არ არსებობს, როგორც მეცნიერება. ადამიანს აწუხებს ისეთი საკითხები, რომელთა მოცილება არ ძალუძს, რადგან ისინი თვით გონებას მოუხვევია თავს მისთვის, მაგრამ არც პასუხის გაცემა შეუძლია, ვინაიდან ისინი აღემატებიან ადამიანის გონების ყველა უნარს. ადამიანი მას ვერც გადაჭრის და ვერც აიცილებს. მაშ რა საჭიროა? როგორც უკვე ვიცით, მას ჰქონდა ერთი პრინციპი, რომელიც არისტოტელედან აიღო: , „ღმერთი და ბუნება ტყუილად არაფერს ქმნის, ე. ი. თუ რაიმე არსებობს მას აქვს საკმაო საფუძველი.“ თანამედროვე პოზიტივიზმის მიხედვით, მეტაფიზიკა არის უსაზრისო სპეკულატური აზროვნება. მას მეცნიერული შინაარსი არ გააჩნია. ამიტომ თანამედროვე პოზიტივიზმი მეტაფიზიკას საერთოდ უარყოფს –„აბაკაბადრა“ – აბსურდია, უსაზრისოა, სისულელეა – ასე უყურებს პოზიტივიზმი მეტაფიზიკას.

მეტაფიზიკა, როგორც მეთოდი, ამტკიცებს, რომ სამყაროში არავითარი ახლის წარმოშობა და განვითარება არ ხდება, ყველაფერი მოცემულია ერთხელ და სამუდამოდ. სამყაროში მარტო მოძრაობა – ცვალებადობაა, რომელიც მხოლოდ რაოდენობრივ ზრდას ან კლებას ნიშნავს. ამ მოძრაობა – ცვალებადობაში ადგილი აქვს ძველის გამეორებას და წრეში ტრიალს. ამიტომ სამყაროს მოვლენები ვერავითარ გავლენას ვერ ახდენენ ახლის წარმოშობაზე; ე. ი. მოვლენებს შორის არ არსებობს საყოველთაო კავშირები. ეს არის ძველი მეტაფიზიკური თეორია, რომლის მიხედვითაც მარად უცვლელი ტელეოლოგიური მიზნით სამყაროში ყველაფერი განსაზღვრულია. ამ თეორიის მიხედვით, ღმერთმა ისე შექმნა სამყარო, რომ შემდეგში არავითარი ახლის წარმოშობა და შემოქმედება არ ხორციელდება.

მეტაფიზიკის ასეთ თეორიას არ ეთანხმება **ბერგსონის** (1859 –1941 წწ.) „შემოქმედებითი ევოლუციის თეორია“. ბერგსონი არის

სიცოცხლის ფილოსოფიის წარმომადგენელი, რომელიც ეწინააღმდეგება ტელეოლოგიურ პრინციპებს და ასაბუთებს, რომ ღმერთს სამყარო არ მოუცია ერთხელ და სამუდამოდ უცვლელი პრინციპების მიხედვით; ის შემოქმედების შესაძლებლობას უტოვებს ბუნებას და ადამიანს. ბერგსონის აზრით, ღმერთი თვითონ არის შემოქმედი, მაგრამ ბუნებასაც ანიჭებს შემოქმედების ნიჭს, ბუნების საგნებს აძლევს სასიცოცხლო სწრაფვის უნარს და ამ სწრაფვის პროცესში ადგილი აქვს ახლის წარმოშობას. ამ სასიცოცხლო სწრაფვას აქვს თავისი მიმართულება. ბუნებაში ყველაფერი მიისწრაფვის სრულყოფილებისაკენ ანუ ღმერთისაკენ. ასეთი გაგება ტელეოლოგიისგან ვერ თავისუფლდება, რადგან ღმერთის დაშვებით, მიზნის წინასწარ დაშვებაც ხდება, ხოლო ახლის წარმოშობა – აუხსნელი რჩება.

ამდენად, სამყაროს განვითარებისა და ახლის წარმოშობის პრობლემა მატერიალიზმშიც და იდეალიზმშიც მხოლოდ დაშვების და არა მტკიცების დონეზე წყდება. მატერიალიზმი უშვებს, რომ სამყაროს განვითარების და ახლის წარმოშობის შესაძლებლობა დევს მატერიაში, ხოლო იდეალიზმის მიხედვით – ღმერთში. ეს დაშვებები ფილოსოფიის სადავო პრობლემებს განეკუთვნება და მისი ერთმნიშვნელოვნად მტკიცება მეცნიერებას არ შეუძლია. მიუხედავად ამისა, ფილოსოფიური მსოფლმხედველობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელ გადაწყვეტილებას ავირჩევთ, ანუ რომელ პოზიციაზე დავდგებით, რადგან პოზიციაზე დგომის გარეშე არავითარი შემოქმედება არ არსებობს. პოზიციაზე დგომა ცხოვრების წესის არჩევას ნიშნავს. აქ თავისუფლებასთან გვაქვს საქმე. ადამიანი ათეისტური წესით იცხოვრებს თუ ღმერთის რწმენით, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მსოფლმხედველობისათვის.

მეტაფიზიკური მეთოდის საპირისპირო მეთოდია დიალექტიკა. სიტყვა დიალექტიკა ბერძნულია და საუბარს, მსჯლობას ნიშნავს. ძველბერძნულ ფილოსოფიაში **„დიალეგო“** – კამათის ხელოვნებას ნიშნავდა. კამათი იყო ის მეთოდი და საშუალება, რითაც ჭეშმარიტება უნდა დაედგინათ. შემდეგში დიალექტიკის ცნება გაფართოვდა.

ჰეგელმა დიალექტიკა სამყაროს შემეცნებისა და აზროვნების განვითარების საყოველთაო პრინციპად მიიჩნია. ჰეგელის მიხედ-

ვით, შემეცნების პროცესი იწყება აზრისა და არსის დაპირისპირებით. ეს არის ის პირველი საფუძველი, რომელიც ადამიანს უბიძგებს თვითშემეცნებისაკენ. თავისუფლება ყოველ ეტაპზე აწყდება წინააღმდეგობას ცოდნასა და არცოდნას შორის. ამ აღმავალ პროცესში, ეს შინაგანი წინააღმდეგობა წარმოშობს ცოდნის სულ ახალ-ახალ კატეგორიებს და კანონებს. ამ გზით ხდება აბსოლუტური სულის ანუ ღმერთის თვითშემეცნება. ეს აზროვნების განვითარების პროცესი შეწყდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აბსოლუტური სული თავისთავს ბოლომდე შეიცნობს. ამის შემდეგ არავითარი განვითარება აზროვნებას აღარ სჭირდება. ე. ი. დიალექტიკური პროცესი და საერთოდ დიალექტიკა მხოლოდ აზროვნებისთვის არის დამახასიათებელი. არავითარი განვითარება ბუნებას არ სჭირდება და არც არსებობს ბუნებაში განვითარება. რაც შეეხება ღმერთს, ის აბსოლუტური სრულყოფილებაა და სრულყოფილებას განვითარება არ სჭირდება. აზროვნების დიალექტიკური სწრაფვა მხოლოდ ადამიანისთვის არის დამახასიათებელი. ამდენად, ჰეგელთან განვითარება ეხება მხოლოდ აზროვნების პროცესს. განვითარება გულისხმობს ძველის უარყოფით ახლის წარმოშობას. ხოლო ეს ახალი აზრები და ცნებები კვლავ უარიყოფა საკუთარი წინააღმდეგობების საფუძველზე და ა. შ. აზროვნების თვითშემეცნების პროცესის დიალექტიკური მეთოდი ნიშნავს იმას, რომ ამ პროცესში ყველაფერი ყველაფერთან კავშირშია. არ არსებობს არავითარი იზოლირებული და თავისთავადი ცნებები. თუ გვინდა გავიგოთ რომელიმე ცნება, უნდა გავითვალისწინოთ ყველა დანარჩენი. ამიტომ დიალექტიკური აზროვნების წესი ამავე დროს სამყაროს შემეცნების და გაგების მეთოდიც არის. ჰეგელის მიხედვით, მთელი სამყარო აბსოლუტური გონის გამოვლენაა. მისი შემოქმედებაა ბუნებაც, საზოგადოების ისტორიაც და ადამიანური აზროვნებაც. ამათგან განვითარებადია მხოლოდ აზროვნება, რადგანაც მხოლოდ მას შეუძლია ჰქონდეს აბსოლუტური გონის თვითშემეცნების სურვილიც და უნარიც.

ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკა მატერიალისტურად გადაამუშავეს **მარქსმა** (1818 – 1883 წწ.) და **ენგელსმა** (1820 – 1895 წწ). მათ ჰეგელის მოძღვრებიდან ღმერთის ცნება უარყვეს და მის ნაცვლად სამყაროს საწყისად მატერია გამოაცხადეს, ხოლო ჰეგელის

დიალექტიკური მეთოდი თავისი ფილოსოფიის მეთოდად აღიარეს. ამის გამო მარქსისტულ ფილოსოფიას დიალექტიკური მატერიალიზმი ეწოდა.

ჰუსერლის (1859 – 1938 წწ.) ფენომენოლოგიური მეთოდი ფილოსოფიური კვლევის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ინსტრუმენტია. მან განვითარება ჰპოვა ჰაიდეგერთან, შელერთან, სარტრთან და ა.შ. ჰუსერლის მიერ შექმნილმა სუბიექტურ - იდეალისტურმა მიმართულებამ დიდი გავლენა მოახდინა ახალი დროის ფილოსოფიაზე. ფენომენოლოგიის ცნება – ცნობიერების „ინტენციონალურობა“ (მისი მიმართულობა ობიექტზე) – გამიზნულია განამტკიცოს სუბიექტურ – იდეალისტური პრინციპი: „რა არის ობიექტი სუბიექტის გარეშე“. ფენომენოლოგიური მეთოდის ძირითადი მოთხოვნაა: ფენომენოლოგიური რედუქცია, ე. ი. შემეცნების სუბიექტის განხილვა არა როგორც რეალური, ემპირიული, სოციალური და ფსიქოფიზიოლოგიური არსებისა, არამედ როგორც „წმინდა“ ტრანსცენდენტალური ცნობიერებისა.

დეტერმინიზმი და ინდეტერმინიზმი. აქ საკითხი ეხება კანონზომიერების ობიექტურად არსებობას. ახასიათებს თუ არა იგი სამყაროს? სამყაროში წესრიგია თუ ქაოსი, კანონზომიერებაა თუ შემთხვევითობა? პროცესები დეტერმინირებულია (განპირობებულია), თუ თვითნებურია (განუპირობებელია)? ფილოსოფიის ისტორიაში ამ კითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. ამან განაპირობა ორი დაპირისპირებული მიმართულების – დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის წარმოშობა. მეორე პირველის ფუნქციაა, რადგან მას საკუთარი დადებითი შინაარსი არ გააჩნია. იგი განისაზღვრება დეტერმინიზმთან დაპირისპირებით. ინდეტერმინიზმი უარყოფს იმას, რასაც ამტკიცებს დეტერმინიზმი. ამის გამო, უპირველეს ყოვლისა, დეტერმინიზმი უნდა განვსაზღვროთ.

ეს მიმართულება სხვადასხვაგვარად იყო გაგებული ფილოსოფიის ისტორიაში. ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი გაგება: დეტერმინიზმი არის თეორია, რომელიც ამტკიცებს კანონზომიერების ობიექტურად არსებობას. მოვლენებისა და პროცესების მიმდინარეობა სამყაროში კანონზომიერია. არაფერი არ ხდება თვითნებურად და მხოლოდ შემთხვევით. ყველაფერი გან-

პირობებულია და დეტერმინირებული. ინდეტერმინიზმი კი არის თეორია, რომელიც კანონზომიერების ობიექტურად არსებობას უარყოფს და ამტკიცებს, რომ ყველაფერი, რაც სამყაროში ხდება თვითნებური და შემთხვევითია.

მაშასადამე, დეტერმინიზმის ძირითადი პრინციპია კანონზომიერების ობიექტურობის აღიარება, ხოლო ინდეტერმინიზმის – მისი უარყოფა.

ყველა თეორია, რომელიც სამყაროს კანონზომიერებას აღიარებს, დეტერმინისტულია. მაგრამ სხვაგვარად ხდება კანონზომიერების არსის გაგება და მისი დაფუძნება. რა განაპირობებს კანონზომიერებას? რა არის მისი საფუძველი? ამ კითხვაზე პასუხი არაერთგვაროვანია, რის შედეგად საქმე გვაქვს დეტერმინიზმის განსხვავებულ სახეებთან.

უპირველეს ყოვლისა, უნდა განვასხვაოთ მეცნიერული და არამეცნიერული დეტერმინიზმი. ორივეს მიაჩნია, რომ სამყარო კანონზომიერია, მაგრამ სხვაგვარად ესმით მისი საფუძველი. პირველს კანონზომიერების საფუძვლად მიაჩნია თვით სამყაროსათვის დამახასიათებელი შინაგანი და ობიექტური კავშირები, რომლებიც გამოიხატება შესაბამისი კანონების მეშვეობით. მეორე კანონზომიერებას აფუძნებს რაღაც ზებუნებრივ ძალაზე, რომელიც სამყაროსათვის მიღმური და გარეგანია. არამეცნიერული დეტერმინიზმის მაგალითებია ფატალიზმი და პროვიდენციალიზმი. ფატალიზმი აღიარებს, რომ ბედისწერა სწორედ ის ზებუნებრივი ძალაა, რომელიც განსაზღვრავს სამყაროში არსებულ მკაცრ კანონზომიერებას ანუ გარდაუვალობას. პროვინდენციალიზმი მიიჩნევს, რომ ღვთის ნება – განგებაა ის საფუძველი, რომელიც მკაცრად განსაზღვრავს სამყაროს კანონზომიერებას.

ფატალიზმი და პროვიდენციალიზმი არამეცნიერული შინაარსის დეტერმინისტული მოძღვრებებია. მეცნიერების საფუძველი დეტერმინიზმია. სხვაგვარად არსებობა მას არ შეუძლია. იქ, სადაც კანონზომიერება და მოვლენათა განპირობებულობა არ არსებობს, მეცნიერების ადგილი არ არის. იგი ქმნის თავისებურ დეტერმინისტულ თეორიას, რომელიც სხვა ანალოგიური

თეორიებისაგან იმით განსხვავდება, რომ კანონზომიერების საფუძვლად მიაჩნია რეალობა და მისი შინაგანი კანონები.

სამყაროს კანონზომიერების ახსნა და დაფუძნება თვით მასში მოქმედი კანონების მეშვეობით – აი მეცნიერული დეტერმინიზმის ძირითადი თავისებურება. მეცნიერების მიზანიც სხვა არაფერია, თუ არა ამ კანონების აღმოჩენა, მათ საფუძველზე ცნობილ მოვლენათა ახსნა და უცნობ მოვლენათა წინასწარმეტყველება.

მეცნიერება განასხვავებს კანონთა ორ სახეს – დინამიკურს და სტატიკურს. შესაბამისად, არსებობს მეცნიერული დეტერმინიზმის ორი ფორმა – დინამიკური და სტატისტიკური. დინამიკური დეტერმინიზმი მკაცრი და ერთმნიშვნელოვანია. იგი კანონზომიერებას აიგივებს გარდაუვალობასთან, რომელიც გამორიცხავს შემთხვევითობის შესაძლებლობას, ალბათობის და თავისუფლების ობიექტურობას. სტატისტიკური დეტერმინიზმი არამკაცრი და ალბათურია. მას კანონზომიერება ესმის როგორც აუცილებლობისა და შემთხვევითობის ერთიანობა, რომელიც უშვებს შესაძლებლობის, ალბათობის და თავისუფლების ობიექტურობას. დინამიკური დეტერმინიზმის მიერ მოვლენათა ახსნა და წინასწარმეტყველება აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველია, ხოლო სტატისტიკური დეტერმინიზმის მიერ – მხოლოდ ალბათური.

ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში დინამიკურ დეტერმინიზმს დასაბამი მისცა დემოკრიტემ. იგი აღორძინდა კლასიკური მექანიკის საფუძველზე XVII–XVIII საუკუნეებში, რამაც გამოხატულება ჰპოვა სპინოზას, ჰობსის, ჰოლბახის კონცეფციებში. სტატისტიკური დეტერმინიზმი ჩამოყალიბდა XX საუკუნეში და საფუძვლად უდევს თანამედროვე მეცნიერებას. იგი მიიჩნევს, რომ სამყაროს ფუნდამენტური კანონები ალბათურ – სტატისტიკური ხასიათისაა.

სამყაროს კანონზომიერი კავშირები და მიმართებები

სამყარო მრავალფეროვანია. იგი შედგება სხვადასხვა მოვლენისა და პროცესისაგან, რომელთა შორის უშუალო და გაშუალებული, ფარული თუ აშკარა, დეტერმინირებული თუ არადეტერმინირებული კავშირები და ურთიერთობებია. ფილოსოფია მათ უზოგადეს და ძირეულ ტიპებს კატეგორიების მეშვეობით ახასიათებს. საზოგადოდ, კატეგორია არის ის ძირეული და ფუნდამენტური ცნება, რომელსაც ფილოსოფიური აზროვნება ემყარება. იგი კატეგორიათა საფუძველზე აყალიბებს სისტემას.

კატეგორიის არსი. ვინაიდან ფილოსოფია ცნებებით და კატეგორიებით მოაზრებული და დასაბუთებული მსოფლმხედველობის მოცემის ცდაა, ამიტომ მიზანშეწონილია განვმარტოთ, რა არის ცნება და კატეგორია.

სიტყვა „კატეგორიას“ მრავალი მნიშვნელობა აქვს. ფილოსოფიური მნიშვნელობა მას პირველად არისტოტელემ მიანიჭა. ეს სიტყვა ბერძნული წარმოშობისაა და თავდაპირველად ნიშნავდა დადანაშაულებას, მსჯავრის გამოტანას. არისტოტელემ ამ სიტყვას ახალი, ფილოსოფიური დატვირთვა მისცა. ის მხილებაა არა ადამიანისა, არამედ არსებულისა საერთოდ. კატეგორია არის ცნება, რომელიც გამოხატავს არსებულის ძირეულ ნიშანს. კატეგორიას განსაზღვრავენ, როგორც უზოგადეს ცნებას. კატეგორიის ცნებას არ მოეპოვება მასზე „მაღლა“ მდგომი ცნება. კატეგორიები არსებულის ძირეულ, საფუძველმდებარე მხარეებს გამოხატავენ, მაგრამ ეს ძირეული სხვადასხვაგვარია. ზოგი მათგანი ყველა არსებულს ახასიათებს, ზოგი კი – მხოლოდ არსებულთა გარკვეულ სახეს. პირველი ტიპის კატეგორიებს შეიძლება ვუწოდოთ უნივერსალური კატეგორიები, მეორე ტიპისას – სპეციფიკური.

კატეგორიებს ადამიანები იყენებდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როცა არაფერი იცოდნენ მათი არსებობის შესახებ. ყოველი კატეგორია ცნებაა, ე. ი. აზრის გარკვეული ფორმაა. როგორც ჰეგელი ამბობდა: სწორედ ყოველდღიური ენაა კატეგორიების თავდაპირველი ადგილსამყოფელი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში კიდევ უფრო გამდიდრდა კატეგორიათა სისტემა. იგი შეივსო ახალი შემეცნების თეორიული, აქსიოლოგიური, ანთროპოლოგიური და სხვა ტიპის კატეგორიებით. ყურადღება მიექცა ისეთ ცნებებს, როგორიცაა ღირებულება, მნიშვნელობა, საზრისი, იდეალი, ნორმა, ადამიანი, სიცოცხლე და ა. შ.

XX საუკუნეში ყველაზე დიდი წვლილი კატეგორიათა მოძღვრებაში შეიტანეს ნ. ჰარტმანმა და მ. ჰაიდეგერმა. არ არსებობს კატეგორიის ბუნების ერთი გაგება, შესაბამისად, არც კატეგორიათა ერთი სისტემა. თითქმის ყველა დიდ ფილოსოფოსს კატეგორიათა თავისი სისტემა აქვს, რომლის მეშვეობით იგი ცდილობს გადაწყვიტოს მის წინაშე მდგარი პრობლემები. მიუხედავად ამგვარი განსხვავებისა, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე იგივეობრივი მომენტი.

კატეგორია არის ფუნდამენტური, ძირითადი ცნება, რომლის გამოყენებით ამა თუ იმ ფილოსოფიურ სისტემაში ხდება გარკვეული ობიექტის გააზრება და დახასიათება. კატეგორიათა სისტემა ქმნის იმ კატეგორიალურ აპარატს, რომლის მეშვეობით ფილოსოფოსი აზროვნებს და იმეცნებს თავის საგანს. ყოველ ფილოსოფიურ მოძღვრებას თავისი შინაარსი და საგნის შესატყვისი კატეგორიათა სისტემა აქვს. ამდენად, ფილოსოფიური თეორიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კატეგორიათა კონკრეტული შინაარსით, მაგრამ არცერთი მათგანი არ არსებობს კატეგორიალური აპარატის გარეშე. ფილოსოფიური აზროვნება კატეგორიებით აზროვნებაა. ფილოსოფოსობა შეუძლებელია კატეგორიების გარეშე.

ფილოსოფიურ კატეგორიათა თავისებურება ისაა, რომ ისინი საგნებს ახასიათებენ სამყაროსთან, როგორც მთელთან, მიმართებაში. ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის გამოყოფენ განსხვავებულ ტიპებს. ეს შეიძლება მოხდეს სხვადასხვა პრინციპის საფუძველზე. შესაბამისად, მივიღებთ კატეგორიათა განსხვავებულ ტიპებს. ერთ-ერთ პრინციპად შეიძლება გამოვიყენოთ ფილოსოფიურ დისციპლინათა გამიჯვნა. ყოველ მათგანს თავისი სპეციალური კატეგორიები აქვს. შესაბამისად, არსებობს შემდეგი ტიპის კატეგორიები:

1) ონტოლოგიური (ყოფიერება, რეალობა, დრო, სივრცე, მიზეზობრიობა, შემთხვევითობა, შესაძლებლობა, სინამდვილე და სხვა);

2) გნოსეოლოგიური (შემეცნება, სუბიექტი, ობიექტი, ჭეშმარი-

ტება, ჭეშმარიტების კრიტერიუმი, ცდა, დაკვირვება, აბსტრაქტული აზროვნება, ინტუიცია და სხვა);

3) სოციალური (საზოგადოება, ცივილიზაცია, კულტურა, შრომა, პოლიტიკა, ეკონომიკა, სახელმწიფო, სამართალი, ზნეობა და ა. შ).

ანალოგიურად შეგვიძლია ვიმსჯელოთ სხვა ფილოსოფიურ დისციპლინათა კატეგორიებზე. მოცემულ თავში საგანგებო ბჭობის საგანია ონტოლოგიურ კატეგორიათა ის ჯგუფი, რომელიც გამოხატავს სამყაროს კანონზომიერ კავშირებსა და მიმართებებს. მათ რიცხვს მიეკუთვნება შემდეგი: მიზეზი და შედეგი, აუცილებლობა და შემთხვევითობა, შესაძლებლობა და სინამდვილე, ერთეული და ზოგადი, არსება და მოვლენა, შინაარსი და ფორმა, სისტემა და სტრუქტურა.

მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

მიზეზი და შედეგი. მიზეზობრივი კავშირი არის მიმართება მოვლენათა ორ რიგს შორის, რომელთაგან ერთი მიზეზია, ხოლო მეორე – შედეგი. ცხადია, რომ ყოველგვარი კავშირი მოვლენებს შორის არ არის მიზეზობრივი. იგი თავისებური კავშირია, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1) დროში თანმიმდევრობა და სივრცეში მეზობლობა. მიზეზი წინ უსწრებს შედეგს. ჯერ მიზეზია, შემდეგ კი შედეგი. შეუძლებელია იყოს პირიქით, შედეგი წინ უსწრებდეს მიზეზს. ასევე შეუძლებელია მათი ერთდროულად არსებობა. თუნდაც მცირე, მაგრამ დროის რაღაც ინტერვალში მიზეზი წინ უსწრებს შედეგს.

მაშასადამე, სივრცესა და დროში დაშორებულ მოვლენებს შორის მიზეზობრივი კავშირი მყარდება შუალედური რგოლების საშუალებით. მათი მეშვეობით ეს მოვლენები ერთმანეთს ხვდება სივრცისა და დროის რომელიღაც მონაკვეთში. ამგვარი შეხვედრის გარეშე მიზეზ – შედეგობრივი კავშირი არ ხორციელდება.

2) გენეზისური კავშირი. მიზეზი წარმოქმნის, წარმოშობს, იწვევს შედეგს. ის რომ შედეგი მოხდა, ამის ძირი მიზეზშია საძიებელი. მიზეზს მიუძღვის „ბრალი“, რომ მოხდა შედეგი. მის გარეშე იგი არ მოხდებოდა. მიზეზობრივი მიმართება არსებობს მხოლოდ იქ, სადაც ადგილი აქვს ერთი მოვლენის მიერ მეორის წარმოქმნას, გამოწვევას. სწორედ ესაა მიზეზობრივი კავშირის თავისებურება.

3) აუცილებლობა. მიზეზი შედეგს იწვევს აუცილებლობით და არა შემთხვევით. ის რომ შედეგი მოხდა, აუცილებლობით განაპირობა მი-

სი გამომწვევი მიზეზის არსებობამ. შედეგი ხდება არა შემთხვევით, თვითნებურად, არამედ მიზეზის გამო – აუცილებლობის ძალით.

აღნიშნული ნიშნები აუცილებელი და საკმარისია იმისათვის, რომ განვსაზღვროთ მიზეზობრივი კავშირი. მიზეზი არის მოვლენა, რომელიც სივრცეში მეზობლობს და დროში წინ უსწრებს მეორე მოვლენას და აუცილებლობით იწვევს მას. მიზეზობრიობის ძირითადი პრინციპია შემდეგი დებულება: ერთი და იგივე მიზეზი ერთსა და იმავე პირობებში იწვევს ერთსა და იმავე შედეგს.

აუცილებლობა და შემთხვევითობა. აუცილებლობის და შემთხვევითობის კლასიკური განსაზღვრება მოგვცა არისტოტელემ. იგი ასე ჟღერს: აუცილებლობა არის ის, რაც ხდება ასე და არა სხვაგვარად. იგი თავის თავში გამორიცხავს სხვაგვარად მოხდენის შესაძლებლობას. მოვლენა შემთხვევითია ნიშნავს, რომ იგი კი მოხდა ასე, მაგრამ შეიძლებოდა სხვაგვარად მომხდარიყო. მასში მოცემულია ალტერნატივა – „ან-ან“. ამასთან არცერთი მხარე წინასწარ განსაზღვრული არ არის.

თანამედროვე მეცნიერების მიხედვით, შემთხვევითობა ობიექტურია და იგი ემორჩილება სტატისტიკურ კანონზომიერებას. მისი შემეცნება მეცნიერებას შეუძლია, მაგრამ მხოლოდ ალბათური ცოდნის ფარგლებში.

ახლა განვიხილოთ ფორმულა: მეცნიერება შემთხვევითობის მტერია. იგი სამართლიანია მეცნიერებისათვის, რომელიც არსებობდა XX საუკუნემდე, რადგან მას სამყაროს ფუნდამენტურ კანონზომიერებად მიაჩნდა დინამიკური აუცილებლობა. XX საუკუნის მეცნიერება არ არის შემთხვევითობის მტერი, რადგან იგი სამყაროს ფუნდამენტურ კანონზომიერებად აღიარებს სტატისტიკურ აუცილებლობას. დინამიკური აუცილებლობა გარდაუვალობაა, ამიტომ იგი შემთხვევითობას გამორიცხავს, სტატისტიკური – არა. თანამედროვე მეცნიერების თანახმად, როგორც აუცილებლობა, ისე შემთხვევითობა სტატისტიკურ – ალბათური ბუნებისაა.

შესაძლებლობა და სინამდვილე. შესაძლებლობა და სინამდვილე გამოხატავს არსებობის ორ განსხვავებულ ტიპს – შესაძლებლობისა და სინამდვილის სახით არსებობას. პირველი არის ჩანასახის ტენდენციის, მიდრეკილების, ხოლო მეორე – უკვე რეალიზებული, განხორციელებული, მზა სახით არსებობა.

სინამდვილის ცნება იხმარება ფართო და ვიწრო აზრით. პირველი აღნიშნავს ყოველგვარ, ნებისმიერ არსებობას. სინამდვილე მოიცავს არა მხოლოდ განხორციელებულ, არამედ ტენდენციის სახით არსებობასაც. სინამდვილე ფართო აზრით, არ უპირისპირდება შესაძლებლობას, არამედ მოიცავს მას როგორც არსებობის ერთ-ერთ ტიპს. შესაძლებლობას უპირისპირდება მხოლოდ ვიწრო აზრით გაგებული სინამდვილე. იგი აღნიშნავს არსებობის მხოლოდ ერთ ტიპს, უკვე რეალიზებული, განხორციელებული სახით არსებობას. იგი აღიარებს მხოლოდ იმას, რაც შესაძლებლობის სინამდვილედ გარდაქმნის შედეგად მიიღება. შესაძლებლობა გამოხატავს მხოლოდ იმას, რაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ ასევე შეიძლება არ მოხდეს. იგი ყოველთვის ეხება შემთხვევითს. შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ იქ, სადაც შემთხვევითობას აქვს ადგილი. მას გამორიცხავს გარდაუვალობა. თუ მოვლენა გარდაუვალია, მაშინ აუცილებლად მოხდება, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია. შეუძლებელი კი აუცილებლად არ მოხდება, რადგან მისი მოხდენა გამორიცხულია. შესაძლებელი მოთავსებულია გარდაუვალსა და შეუძლებელს შორის. მისი მოხდენა შესაძლებელია, ამიტომ არც გარდაუვალია და არც შეუძლებელი. იგი უსათუოდ შეიცავს ალტერნატივას – „ან-ან“, რაც ნიშნავს, რომ რაღაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ ასევე შეიძლება არ მოხდეს.

სინამდვილე არის განხორციელებული, რეალიზებული შესაძლებლობა. განასხვავებენ შესაძლებლობის რამდენიმე სახეს: ფორმალურ და რეალურ შესაძლებლობას.

ფორმალურია შესაძლებლობა, თუ მისი მოაზრება და დაშვება არ შეიცავს ლოგიკურ წინააღმდეგობას. მას მოეთხოვება შესაბამისობა ლოგიკის კანონებთან. მნიშვნელობა არ აქვს იმას, იგი შეესატყვისება თუ არა რეალობას.

რეალურია შესაძლებლობა, თუ მისი განხორციელება განპირობებულია რეალობის კანონზომიერებით. მისი კრიტერიუმია შესაბამისობა რეალობის კანონებთან. მას მოეთხოვება აუცილებლი შესაბამისობა რეალობასთან. ამის გარეშე რეალური შესაძლებლობა არ არსებობს.

ერთეული და ზოგადი. ერთეულისა და ზოგადის კლასიკური განმარტება მოგვცა არისტოტელემ.

ერთეული არის ინდივიდუალური ერთი საგანი, თვისება, მოვლენა, პროცესი და ა. შ., რომელიც დროსა და სივრცეში ლოკალიზებულია. იგი „აქ“ და „ახლა“ არსებობს; ერთჯერადი, განუმეორებელი და ამიტომ უნიკალურია.

ზოგადია ის, რაც ახასიათებს სიმრავლეს. იგი არ არის დროსა და სივრცეში ლოკალიზებული. არ არსებობს „აქ“ და „ახლა“. ზოგადი ახასიათებს სიმრავლის ნებისმიერ ელემენტს, ამიტომ საერთო და განმეორებადია. ამრიგად, ერთეული დამახასიათებელია ერთისათვის, ხოლო ზოგადი – სიმრავლისათვის. მაგალითად: თბილისი, მტკვარი, შოთა — ერთეულია, ხოლო ქალაქი, მდინარე, პოეტი – ზოგადი. ერთეულისა და ზოგადის ერთმანეთთან შეფარდებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობაში.

არსება და მოვლენა. არსება და მოვლენა გამოხატავს სინამდვილის ორ განსხვავებულ მხარეს. არსება არის შინაგანი, რომელიც დაფარული და მიუწვდომელია გრძნობადი აღქმისათვის. ხოლო მოვლენა გარეგანია, გრძნობად – აღქმადია და გვეძლევა უშუალოდ.

არსება არის საგნის ის შინაგანი, დაფარული, გრძნობადად მიუწვდომელი მხარე, რომელიც მის თავისებურებას განსაზღვრავს.

მოვლენა არის საგნის გარეგანი, პრინციპულად უშუალოდ მოცემული გრძნობად – აღქმადი მხარე, რომელიც არსების გამოვლენა და გამჟღავნებაა.

საგნის აღქმა უშუალოდ ხორციელდება შესაბამისი გრძნობის ორგანოს საშუალებით. მაგალითად: ვხედავთ თვალით, ვისმენთ ყურით და ა. შ., მაგრამ აღქმა შეიძლება განხორციელდეს სათანადო ხელსაწყოების გამოყენებით და დახმარებით. მაგალითად: ექიმმა დიაგნოზი შეიძლება დასვას სამედიცინო აპარატის მეშვეობით, მაგრამ სამედიცინო აპარატის მეშვეობით დაფიქსირებული შედეგი ექიმმა უნდა აღიქვას.

ფორმა და შინაარსი. სისტემა და სტრუქტურა. განასხვავებენ ორი სახის მიმართებას: მატერიას და ფორმას ერთი მხრივ, ხოლო შინაარსსა და ფორმას, მეორე მხრივ. პირველი გარეგანია, ხოლო მეორე – შინაგანი.

მატერიასა და ფორმას შორის მიმართება არის მასალასა და მის გაფორმებას შორის მიმართება. მატერია არის ის მასალა, რომელიც გაფორმების მეშვეობით იძენს გარკვეულ სახეს. ფორმა გარკვეულობაა, რომელიც შესაბამისად აფორმებს მას. მაგალითად, მიმართება სითხესა და ჭურჭელს შორის არის ამგვარი დამოკიდებულების ნიმუში. სითხე იღებს იმ ჭურჭლის ფორმას, რომელშიც ის ასხია. ჭურჭელი სითხის მიმართ გარეგანია. იგი არ განსაზღვრავს მის თვისებებს, ინდიფერენტულია მისი შინაარსის მიმართ. ჭურჭელი განაპირობებს არა სითხის შინაარსს, არამედ მის არსებობას გარკვეული სახით. ფორმა მასალის მიმართ გარეგანია იმ აზრით, რომ ერთსა და იმავე მასალას შეუძლია მიიღოს სრულიად სხვადასხვა ფორმა.

სულ სხვაგვარია მიმართება შინაარსსა და ფორმას შორის. იგი შინაგანი და არსებითია. შინაარსი განსაზღვრავს ფორმას და პირიქით. მათ შორის მიმართება ერთმნიშვნელოვანია. ყოველ შინაარსს თავისი შესატყვისი ფორმა აქვს. მან არ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს.

ახლა ზოგადად განვმარტოთ შინაარსის და ფორმის ცნებები. შინაარსი არის საგნის ელემენტების ორგანიზაცია, ერთიანობა; ფორმა არის საგნის ელემენტების ორგანიზაციის წესი. დავახასიათოთ საგნის შინაარსი ნიშნავს დავახასიათოთ ერთიანობა იმ ელემენტებისა, რომელთაგან იგი შედგება. საგნის ფორმის დახასიათება კი გულისხმობს იმ წესის გარკვევას, რომელიც მის შემადგენელ ელემენტებს აერთიანებს.

ყოველი საგანი შინაარსისა და ფორმის ერთიანობაა. ისინი მისი მხარეებია. მათ შორის განუყრელი და ორგანული კავშირია. ერთ შინაარსს ერთი ფორმა აქვს და პირიქით. არ შეიძლება, რომ ერთსა და იმავე შინაარსს სხვადასხვა ფორმა ან სხვადასხვა ფორმას ერთი და იგივე შინაარსი ჰქონდეს. ერთის შეცვლა აუცილებლობით იწვევს მეორის შეცვლას.

შინაარსისა და ფორმის მონათესავე ცნებებია სტრუქტურა და სისტემა.

სტრუქტურა გამოხატავს საგნის შედგენილობას, აღნაგობას. იგი მისი ელემენტების ერთობლიობაა. სტრუქტურა შინაარსის მონათესავე ცნებაა, მაგრამ მისი იგივეობრივი არ არის. სისტემა გუ-

ლისხმობს წესრიგს ელემენტების სიმრავლეში. იგი ორი მომენტის შემცველია. ერთი მხრივ, რაღაც ელემენტების სიმრავლე, ხოლო, მეორე მხრივ, წესი, რომელიც ამ ელემენტებს ერთმანეთთან აკავშირებს. სისტემა მოწესრიგებული სიმრავლეა. მას თავისი შინაარსი და ფორმა აქვს. სისტემა მთლიანობაა, რომლის შემადგენელი ელემენტები მისი ნაწილებია. აქ მყარდება მთელისა და ნაწილის მიმართება. ისინი არ არსებობენ ერთმანეთის გარეშე. მაგალითად, ცოცხალი ორგანიზმი სისტემაა, რომელიც მისი შემადგენელი ნაწილების მთლიანობაა. ყოველი ნაწილი თავის ფუნქციას ასრულებს მხოლოდ მთელში და მისი მეშვეობით. მისგან დამოუკიდებლად და მოწყვეტით იგი უკვე სიცოცხლის უნარს კარგავს და კვდება. მაგალითად, ადამიანის რომელიმე ორგანო თავის ფუნქციას ასრულებს მხოლოდ მთლიანი ორგანიზმის ნორმალური არსებობის ფარგლებში.

საკონტროლო კითხვები

რას შეისწავლის ონტოლოგია?

რა ეწოდება სამყაროს პირველსაწყისის პრობლემას ფილოსოფიაში?

რა არის მონიზმი? დუალიზმი? პლურალიზმი?

როგორ ესმოდათ მილეთის სკოლის წარმომადგენლებს სუბსტანციის პრობლემა?

რა მნიშვნელობით იხმარება ფილოსოფიაში მეტაფიზიკის ცნება?

რა ძირითადი ნიშნებით ხასიათდება კანონი?

შესაძლებელია თუ არა განვითარება მოძრაობის გარეშე?

რა ძირითადი პრინციპი ახასიათებს დეტერმინიზმსა და ინდეტერმინიზმს?

რომელი კატეგორიები გამოხატავენ სამყაროს კანონზომიერ კავშირებსა და მიმართებებს?

რა ნიშნები ახასიათებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს?

თავი IV

გნოსეოლოგიური პრობლემები ფილოსოფიაში შემეცნების არსი და სტრუქტურა.

ჩვენს გარშემო მრავალი საგანი და მოვლენა არსებობს. თუ დაკვირვებიხართ, რომ მათი უმრავლესობისადმი ჩვენი დამოკიდებულება გაუცნობიერებლად „ავტომატურია“? - ვრთავთ ტელევიზორს, ვუყურებთ გადაცემებს; ვიღებთ ტელეფონს, ვკრეფთ ნომერს და ვსაუბრობთ უხილავ, მაგრამ ნაცნობ ადამიანთან. ნუთუ ეს საოცარი არ არის? ყოველთვის გვახსოვს, როგორ და რა სახით ფარავენ სივრცეს ეს უხილავი ტალღები? ვსხდებით თვითმფრინავში და რამდენიმე საათის ფრენის შემდეგ ჩავდივართ სხვა ქალაქში, სახელმწიფოში, კონტინენტზე. ყოველთვის ვაცნობიერებთ, ბუნების რომელი კანონები უზრუნველყოფენ ჩვენ წარმატებულ ფრენას? უამრავ ინფორმაციას ვფლობთ, მათ შორის მეცნიერულსაც. ვიცით ან ყოველთვის გვაინტერესებს ვინ, როგორ და როდის მოგვიგროვა ის? სამყაროს საიდუმლოებებიდან ბევრი რამ ჩვენთვის ცხადი და ნათელია. მაგრამ დგება მომენტი, როდესაც თითქოსდა სრულიად ჩვეულებრივი რამ გაგვაოცებს – ნეტავ რა არის ეს? – ვიკითხავთ და ადამიანის ყოვლისმცოდნეობის პრეტენზიის მქონე გონება იწყებს ამ „რაღაცის“ წვდომას, შემეცნებას. შევეცადოთ, გავარკვიოთ, რა არის გონება.

ადამიანებს არაჩვეულებრივი უნარი გვაქვს: როცა მოვისურვებთ, საკუთარ წარმოდგენაში ნებისმიერი რამ, მაგალითად, უხსოვარი დროის მოვლენები და ფაქტები შეგვიძლია „გავაცოცხლოთ“. უნარი შეგვწევს სიღრმისეულად „ჩავიძიროთ“ და კრიტიკულად გავაანალიზოთ ჩვენი ფიქრები, ვიმსჯელოთ, შევიცნოთ, შევაფასოთ, გავაკეთოთ ლოგიკური დასკვნები. ადამიანი მარტო ინსტინქტებს არ უგდებს ყურს. იგი გაცნობიერებულად მოქმედებს კიდეც, რაც განპირობებულია მისი გონებრივი შესაძლებლობებით. სწორედ ეს გაცნობიერებული მოქმედება არის ადამიანის გასაოცარი ნიჭი და უნარი, ანუ გონება. გონება გაგებისა და გააზრების საშუალებაა. გონების მეშვეობით ვწვდებით მოვლენათა უნივერსალურ კავ-

შირებს. ეს იმდენად ბუნებრივ და ორგანულ თვისებად მიგვაჩნია, რომ არც კი გვახსენდება, რომ სწორედ გონების ძალა გვანსხვავებს ცოცხალი ბუნების სხვა წარმომადგენლებისაგან.

გონება შეიმუშავებს სიღრმისეულ და განზოგადებულ ცოდნას, უზრუნველყოფს არატრივიალური, არასტანდარტული, შემოქმედებითი გადაწყვეტილებების მიღებას. მისთვის აზრის მოქნილობა და სისხარტეა დამახასიათებელი. გონების ძალას შეუძლია გააანალიზოს არა მარტო გრძნობადი ცდის შედეგები, არამედ გააკრიტიკოს საკუთარი გადაწყვეტილებები. გონებას შესწევს უნარი გასცდეს შესამეცნებელი ამოცანის ფარგლებს და ახალი, მოულოდნელი იდეები, თვალსაზრისები და შედეგები შეიმუშაოს.

შემეცნების პროცესში გონებას განსჯა და აზროვნება ეხმარება. განსჯა გონივრული მოღვაწეობის საწყისი საფეხურია. იგი შეიძლება ასე განვმარტოთ: განსჯა არის ფსიქიკური აქტი, რომლის დროსაც ხდება მსჯელობის, დასკვნის ცნებების შემუშავება და ამ მასალით გონების „მომარაგება“. განსჯის საფუძველზე ადამიანი თანმიმდევრულად და ნათლად მსჯელობს, ახდენს მოვლენათა კლასიფიკაციას და აზრობრივად აწესრიგებს მიღებულ ცოდნას.

აზროვნება არის შემეცნებითი პროცესი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სინამდვილის განზოგადებული, გაშუალებული სახეების შექმნა. ადამიანი კონკრეტული მოვლენების განყენების გზით ავლენს მათთვის დამახასიათებელ ზოგად და არსებით თვისებებს. აზროვნება ხორციელდება ენისა და მეტყველების მეშვეობით. მისი ძირითადი ფორმებია: ცნება, მსჯელობა, დასკვნა.

რისთვის გვჭირდება საერთოდ ცოდნა? ვთქვათ, პირადად მე, კონკრეტულ ადამიანს, მჭირდება კი ვიცოდე, არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე, როგორ ვითარდება ისტორია, შესაძლებელია თუ არა მატერიის უმცირესი ნაწილაკების აღმოჩენა და სხვა? ასეთ ცოდნას პრაქტიკულ გამოყენებას ხომ ვერ მოვუძებნით? და, თანაც, ეკლესიასტეს რჩევას თუ გავიზიარებთ, „მრავლის შეცნობა ადამიანს წუხილს უმრავლებს“. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ცოდნის წყურვილი ადამიანის მარადიული მოთხოვნილებაა. ყველა ცოცხალი არსება სამყაროს იღებს ისეთს, როგორიც არის. მხოლოდ ადამიანი ცდილობს გაარკვიოს, როგორ არის სამყარო მოწყობილი, რა

კანონებს ექვემდებარება მისი განვითარება, რა განსაზღვრავს მის დინამიკას. რატომ სჭირდება ამისი ცოდნა ადამიანს? რთული კითხვაა, მითუმეტეს, რომ ბოლომდე სამყარო თავისი არსით შეუმეცნებელია. რა თქმა უნდა, ჩვენ ვაგროვებთ ცოდნას, ვწვდებით სიცოცხლის პროცესებს, ვხსნით ყოფიერების ახალ საიდუმლოებებს, მაგრამ უკანასკნელი, დასაბამისეული საიდუმლო საიდუმლოდვე რჩება. საბოლოო ჭეშმარიტება ჩვენთვის მიუწვდომელია.

ფილოსოფიაში არის ასეთი ტერმინი – „გნოსეოლოგია“.

გნოსეოლოგია ბერძნული სიტყვაა („გნოსის“ – ნიშნავს ცოდნას) და არის მოძღვრება შემეცნების ბუნების და კანონზომიერების შესახებ. შემეცნება ნიშნავს ცოდნის მიღებას და ცნობიერების შინაარსის გაფართოებას. ცხადია, ამის გარეშე არავითარი აქტიური მოქმედება არ სრულდება. მაგრამ ფილოსოფიის მიზანს თავად ცოდნის შინაარსის კვლევა კი არ წარმოადგენს, არამედ მას აინტერესებს ცოდნის შესაძლებლობისა და სინამდვილესთან მისი შესაბამისობის საკითხი. ცოდნა, რომელიც ჩამოყალიბებულია მეცნიერულ კანონებში, კატეგორიებში და თეორიებში ფაქტია და ამაზე მეცნიერება მსჯელობს, მაგრამ ფილოსოფიას აინტერესებს, როგორ არის შესაძლებელი ამ ცოდნის საყოველთაობა.

გნოსეოლოგიაში შემდეგი კითხვები დგას: რა არის შემეცნების სუბიექტი და ობიექტი? შეუძლია თუ არა სუბიექტს შეიმეცნოს ობიექტი? რა უნარებით და მეთოდებით ხდება ეს შემეცნება? რა არის ჭეშმარიტება? და სხვა. ამ საკითხების კვლევა თვითმიზანს არ ემსახურება, არამედ მისი მიზანია მატერიალური და სულიერი პროცესების ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა და ამის საფუძველზე პრაქტიკული საქმიანობა.

საკითხი ცოდნის კანონზომიერების შესახებ ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში დაისვა. სოკრატემ ცოდნა ორად დაყო: 1) ცოდნა საგნების შესახებ და 2) ცოდნა თვითონ ცოდნის შესახებ (ანუ ცოდნის ცოდნა). მისი აზრით, ადამიანისათვის უფრო მნიშვნელოვანია მეორე რიგის ცოდნა, რომელიც თვითშემეცნებით ხორციელდება. ფილოსოფიის მიზანს სწორედ ასეთი თვითშემეცნება წარმოადგენს. სოკრატემ ამგვარი მოთხოვნა წამოაყენა: „შეიცან თავი შენი“, რათა გაიგო რა შეგიძლია, რა იცი. ამით ცოდნას კი არ

უარყოფ, პირიქით, ამით მოუწოდებ საკუთარ თავს ახალი ცოდნის შემეცნებისაკენ.

ზემოთ დასმულ კითხვებს პასუხი რომ გაეცეს, საჭიროა ვიცოდეთ რა არის შემეცნების სუბიექტი და ობიექტი. შემეცნების ობიექტი ორგვარია: 1) ის, რაც სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებობს და 2) თვითონ სუბიექტის შინაგანი სულიერი სამყარო. მთლიანობაში, შემეცნების ობიექტს წარმოადგენს მატერიალური და სულიერი სამყარო. რაც შეეხება შემეცნების სუბიექტს, ეს არის პიროვნება, რომელიც შეიმეცნებს. ამდენად, სუბიექტი შემეცნებას მიმართავს მის გარეთ, ტრანსცენდენტურ და მის შიგნით, იმანენტურ სინამდვილეში.

ახლა ვუპასუხოთ კითხვას: რა უნარები აქვს ადამიანს შემეცნების განსახორციელებლად? ადამიანი სამყაროს და საკუთარ თავს სამი უნარით შეიცნობს. ეს უნარებია: ა) გრძნობადობა; ბ) განსჯა ანუ ლოგიკური აზროვნება; გ) ინტუიცია. სამყაროს და მის საგნებს აქვს როგორც გარეგანი, ისე შინაგანი კანონზომიერება. გრძნობადობა სინამდვილის გარეგან მხარეს იმეცნებს, ხოლო ლოგიკური აზროვნება – შინაგან კანონზომიერებას. რაც შეეხება ინტუიციას, ის ორივე შემთხვევაში არაცნობიერად ფუნქციონირებს.

გრძნობადობას აქვს სამი ფორმა: შეგრძნება, აღქმა და წარმოდგენა. შეგრძნებებში მიღებულ საგანთა სხვადასხვა თვისებას აღქმა ამთლიანებს. ამიტომ აღქმა არის საგნის მთლიანობითი ასახვა, ხოლო წარმოდგენა – ადრე აღქმულის ცნობიერებაში გახსენება. გრძნობადობა სინამდვილის უშუალო შემეცნებას წარმოადგენს, ხოლო ლოგიკური აზროვნება, გაშუალებულია გრძნობადი შემეცნებით.

ინტუიცია

ინტუიცია, როგორც არაცნობიერი უნარი, დიდ როლს ასრულებს არა მხოლოდ ხელოვნებაში, არამედ მეცნიერებაშიც და ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაშიც. არავინ დავობს იმაზე, რომ დიდი მეცნიერები თავიანთ აღმოჩენებს არაცნობიერ ინტუიციას უკავშირებენ. ინტუიციის უნარი ასევე მნიშვნელოვანია სულიერი ფენომენების შემეცნებაში.

ფილოსოფიის ისტორიაში გნოსეოლოგიური თეორიები ერთმანეთისაგან სწორედ იმით განსხვავდებიან, თუ ვინ რომელ უნარს ანიჭებს უპირატესობას შემეცნებაში და ჭეშმარიტი ცოდნის მიღებაში. იმ თეორიას, რომელიც ასაბუთებს, რომ ჭეშმარიტი ცოდნა მხოლოდ ლოგიკური აზროვნებით მიიღება, რაციონალიზმი ეწოდება; ხოლო თეორიას, რომელიც ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტი ცოდნა მხოლოდ შეგრძნებებში და ცდაში გვეძლევა, ემპირიზმი ეწოდება. თეორიას, რომელიც არ იზიარებს არცერთ წარმოდგენილ შეხედულებას და ამტკიცებს ინტუიციით მიღებული ცოდნის უპირატესობას, ირაციონალიზმი და ინტუიტივიზმი ეწოდება, ხოლო აგნოსტიციზმი საერთოდ უარყოფს სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას. განვიხილოთ ყველა ცალ-ცალკე.

სიტყვა „ინტუიცია“ ჩვეულებრივ მეტყველებაში ხშირად იხმარება. მასში უმეტესად გულისხმობენ წინათგრძნობის დაფარულ უნარს, რომელიც ამა თუ იმ სიტუაციაში გარკვევის უტყუარ გეზს იძლევა.

სიტყვა „ინტუიციის“ ქართული შესატყვისებია „ალღო“, „გუმანი“. ინტუიციის ე. წ. „ყოველდღიური“ შინაარსი ადამიანის ფსიქიკური სამყაროს კიდევ ერთ თავისებურებაზე მიანიშნებს. ამიტომ ინტუიცია, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური მეცნიერების „ველში“ უნდა შესულიყო, რამაც ძალაუნებურად შექმნა ინტუიციის ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის პრიორიტეტი და მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიური აზროვნების ისტორიამ ჩამოაყალიბა აღნიშნული პრობლემის ფილოსოფიური სახე, ბევრი მკვლევარი ვერ პოულობს საზღვარს ინტუიციის ფილოსოფიურსა და ფსიქოლოგიურ გაგებას შორის. არადა ეს აუცილებელია.

ფსიქოლოგიისთვის, რომელსაც ადამიანის ფსიქიკა აინტერესებს, ინტუიცია გარკვეული ფაქტია. ფილოსოფიას აინტერესებს ობიექტის შესწავლა მეტაფიზიკურ ჭრილში, ანუ მისი ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური და აქსიოლოგიური სურათის მოცემა.

ინტუიცია ესმით როგორც უშუალო წვდომა. თუმცა, ერთია უშუალო წვდომა, როგორც ამა თუ იმ პიროვნების ინდივიდუალური თავისებურება, ფსიქიკური მახასიათებელი (ასეთი ინტუიცია გვევლინება დროში მიმდინარე ფსიქიკურ პროცესად და მეცნიერებაში ახალ იდეათა აღმოჩენის, შემოქმედების იარაღია); მეორეა, უშუალო წვდომა, რომელიც არ არის ადამიანის ინდივიდუალობის უნარი. პირველის კვლევა ფსიქოლოგიის საქმეა, მეორისა – ფილოსოფიის. როგორც უკვე ვთქვით, ის მიმართულება ფილოსოფიაში, რომელიც გონების სამსჯავროს წინაშე წყვეტს ყველა პრობლემას – რაციონალიზმია. ინტელექტუალური ინტუიციის ცნება სწორედ XV საუკუნის რაციონალიზმში იღებს სათავეს დეკარტესთან, სპინოზასთან და ლაიბნიცთან. ბერგსონის ინტუიტივიზმი გაცილებით გვიან ყალიბდება. ეს არის მიმდინარეობა, რომელშიც ინტელექტუალური სამყაროს ადეკვატური შემეცნების იარაღად თავიდან ბოლომდე ინტუიცია ცხადდება. აქ ინტელექტუალური და გრძნობადი ინტუიციის ცნებებს შორის საზღვარი მოშლილია. ინტუიტივიზმმა თავად ფილოსოფიური ცოდნა გაიგო როგორც ინტუიციური შემეცნება. აღნიშნული მიმდინარეობის მიხედვით, ინტელექტით მეცნიერება მუშაობს, ფილოსოფიისთვის ამოსავალი უნდა იყოს ინტუიცია. ინტუიტივიზმი არის ირაციონალიზმი.

რაციონალიზმი

რაციონალიზმი არის ისეთი ფილოსოფიური თეორია, რომელიც ჭეშმარიტი ცოდნის მიღების ერთადერთ უნარად გონებას მიიჩნევს, ხოლო შეგრძნებებით მიღებულ ცოდნას, არასარწმუნო ცოდნად თვლის. რაციონალიზმის მიხედვით, ცდიდან მიღებული ცოდნა, მხოლოდ ერთეულ ცვალებად საგნებს ეხება და თვითონაც ცვალებადია. მათი აზრით, ნამდვილ ცოდნას უნდა ახასიათებდეს მარადიულობა და საყოველთაობა.

ეს პრობლემა ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში დაისვა და პლატონმა ის რაცონალისტურად გადაწყვიტა. პლატონის მიხედვით, საყოველთაობის და ზოგადობის მატარებელ ცოდნას მხოლოდ ობიექტური იდეების შემეცნება იძლევა. კითხვაზე, საიდან მოვიდა ცნობიერებაში ცოდნა? პლატონი პასუხობს: ცოდნა თანშობილია ადამიანში, რადგან თვითონ ადამიანიც იდეათა სამყაროს გამოვლენაა. მაშ, რას ნიშნავს შემეცნება? პლატონის აზრით, შემეცნების მიზანს წარმოადგენს თანშობილი იდეების გაცნობიერება. გაცნობიერება ანუ შემეცნება კი ნიშნავს ამ იდეების გონებიდან დაბადებას. პლატონის აზრით, გონებიდან იდეების დაბადება ხორციელდება კამათის ანუ დიალოგის საშუალებით. ამდენად, ნამდვილი ცოდნა მხოლოდ თანშობილ იდეებს ახასიათებს, ხოლო რაც შეეხება გრძნობადობით მიღებულ ცოდნას, ის წარმავალი და მოჩვენებითია.

რაციონალიზმის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ფრანგი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი **რენე დეკარტი** (1596 –1650 წწ.). დეკარტი თავის რაციონალისტურ ფილოსოფიას აფუძნებდა ღმერთის არსებობის მტკიცებაზე. დეკარტი ასე მსჯელობს: რადგანაც ჩვენ გონებაში გვაქვს ყოვლად სრულის, ყოვლად ძლიერის ანუ ღმერთის იდეა, საჭიროა გაირკვეს, საიდან მოვიდა ჩვენს გონებაში ეს ყოვლადსრულის იდეა? მისი აზრით, დაუშვებელია იდეის წარმოშობის მიზეზი იყოს ცდა, რომელსაც შეგრძნებებით ვუკავშირდებით. ასეთი იდეის შექმნა არც ადამიანს შეუძლია, რადგან ადამიანი არ არის ყოვლად სრული, ამიტომ ის ვერ შექმნის მასზე უფრო სრულ იდეას; არ შეიძლება მიზეზი ნაკლები იყოს შედეგზე. ამიტომ ადამიანმა უნდა დაუშვას ღმერთის არსებობა.

ამის შემდეგ დეკარტი სვამს ასეთ კითხვას: როგორ ვარსებობ მე? რა არის იმის დამამტკიცებელი, რომ მე ვარსებობ? ე. ი. მე ეჭვი მიჩნდება ჩემს არსებობა – არარსებობაზე, მაგრამ ჩემს არსებობას ამტკიცებს ის, რომ მე ვეჭვობ. რადგან ვეჭვობ, ე. ი. ვაზროვნებ და რადგანაც ვაზროვნებ, ე. ი. ვარსებობ. რადგანაც ვაზროვნებ და ვარსებობ, ჩემი მიზეზი ანუ შემქმნელი უნდა იყოს ჩემზე ძლიერი, ყველაფრის შემძლე სუბსტანცია ანუ ღმერთი. ამიტომ ღმერთის იდეა ჩადებულია ჩემში ღმერთის მიერ. სხვაგვარად მე ღმერთის იდეას ვერ გავიგებდი. საიდან ხდება ის, რომ ადამიანი უშვებს შეცდომებს? – სვამს კითხვას დეკარტი და პასუხობს: ადამიანს, გარდა გონებისა, აქვს ნებისყოფა ანუ არჩევნის შესაძლებლობა. ნებისყოფა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე გონება. ის ვრცელდება ისეთ საგნებზეც, რაც გონებას არ აქვს ცხადად მოაზრებული. ადამიანი მსჯელობის პროცესში უშვებს შეცდომებს, თორემ გონებაში არსებული იდეები ყოველთვის ჭეშმარიტია. ხოლო, როდესაც იდეები ცხადად ეძლევა ადამიანს, მაშინ იგი შეცდომებს აღარ უშვებს. ამიტომ სიცხადე არის ჭეშმარიტების კრიტერიუმი. ყველაზე ცხადი დებულებაა: ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ. ეს დებულება დეკარტის ფილოსოფიის ამოსავალი პრინციპია, რომელიც ლოგიკური დასაბუთებიდან კი არ გამოდის, არამედ ინტუიციურად მიიღება. ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ, ეს არ არის ორი ან მეტი განსხვავებული ცოდნიდან მიღებული ახალი ცოდნა, არამედ ის არის მხოლოდ ერთი მსჯელობიდან მიღებული ცხადი აზრი ანუ აქსიომა. დეკარტი ასეთ ცხად აქსიომებზე დაყრდნობით აყალიბებს მათემატიკისა და ფილოსოფიის თეორიას. შემეცნების მეთოდის როლს დეკარტთან დაეჭვება ასრულებს. დაეჭვების გზით სიცხადეზე გადასვლას მივყავართ ჭეშმარიტებამდე.

ამდენად, დეკარტის შემეცნების თეორია ადამიანის გონებაში ჩაკეტილ იმანენტურ ფოლოსოფიას წარმოადგენს. მაგრამ, თუ მატერია და სული ორი დამოუკიდებელი სინამდვილეა, როგორ იმეცნებს ადამიანი ბუნების წესრიგს? ამ კითხვაზე დეკარტი ასე პასუხობს: ღმერთმა ისეთივე წესი და რიგი ჩადო ბუნებაში, როგორც ჩვენს გონებაში, ამიტომ ჩვენი გონების წესრიგს შეესაბამება ბუნების წესრიგი. ამით მან შემეცნების შესაძლებლობის საკითხიც დადებითად გადაწყვიტა.

დეკარტის რაციონალისტური ფილოსოფია განავითარა გერმანელმა ფილოსოფოსმა და მათემატიკოსმა **ლაიბნიცმა.** დეკარტის მსგავსად, ლაიბნიციც იდეების თანდაყოლილობას აღიარებს. მისი აზრით, ფაქტების შემეცნება უმნიშვნელოა, რადგან იქედან არავითარი ჭეშმარიტების მიღება არ შეიძლება. ლაიბნიცმა ჯონ ლოკის ემპირისტულ დებულებას – გონებაში არაფერია ისეთი, რასაც შეგრძნებებში არ გაევლოს – უპასუხა: გონებაში არაფერია ისეთი, რასაც შეგრძნებებში არ გაევლოს, გარდა თავად გონებისა. ამით ლაიბნიცი უარყოფს ლოკის აზრს, იმის შესახებ, რომ გონება არის დაუწერელი დაფა. თუ ლოკისათვის გონების შინაარსი სხვა არაფერია თუ არა შეგრძნებებით მიღებული ცოდნა, ლაიბნიცისათვის გონებაში არსებული ცოდნის შინაარსი ისევ გონებით განისაზღვრება.

რაციონალიზმის მიხედვით, სამყაროს შემეცნების შესაძლებლობა ადამიანის გონებისათვის, უპირველეს ყოვლისა, შეუზღუდავია იმის გამო, რომ შესამეცნებელი სამყაროს მარადიული იდეები ანუ პრინციპები თვითონ გონებაშია მოცემული. ამდენად, გონება საკუთარი იმანენტური შესაძლებლობით ამ პრობლემას შეუზღუდავად წყვეტს. ასეთი რაციონალისტური გნოსეოლოგია თავისებურად განავითარა **ჰეგელმა.** როგორც ყველა რაციონალისტი, ჰეგელიც აღიარებს აბსოლუტური გონის ანუ ღმერთის არსებობას და აქედან გამოჰყავს მთელი სამყარო. ჰეგელის მიხედვით, ყველა მოვლენის საფუძველია აბსოლუტი, სულიერი და გონიერი საწყისი – „აბსოლუტური იდეა“, „მსოფლიო გონება“. თვით ადამიანი და ადამიანთა ისტორიაც სწორედ მისი გამოვლენაა. ამიტომ ადამიანის აზროვნებას თვითშემეცნების გზით შეუძლია ამაღლდეს აბსოლუტური იდეის ცნებამდე და ამით გაიგოს და ჩაწვდეს იმას, რამაც ის გამოავლინა. ეს პროცესი, მართალია, რთული დიალექტიკური პროცესია, მაგრამ მასში არ არსებობს გადაულახავი საზღვარი ცოდნასა და არცოდნას შორის. რაციონალიზმის შემეცნების თეორიას უპირისპირდება ემპირიზმი.

ემპირიზმი

ემპირიზმი (ბერძ. ემპირია – ცდა) არის რაციონალიზმის საპირისპირო გნოსეოლოგიური თეორია. მათი განმასხვავებელი ნიშნებია: 1. რაციონალიზმი ემყარება გონების მარადიულ პრინციპებს, ხოლო ემპირიზმი – ცდას და შეგრძნებებს; 2. რაციონალიზმი თავის თეორიას დედუქციური მეთოდით აყალიბებს, ხოლო ემპირიზმი – ინდუქციურ მეთოდს იყენებს; 3. ემპირიზმის არგუმენტი რაციონალიზმის წინააღმდეგ შემდეგია: რაციონალიზმი ემყარება ისეთ ზოგად პრინციპებს, რომელიც თვითონ მოითხოვს კრიტიკულ გადასინჯვას; მცდარი საფუძვლიდან ყოველთვის მცდარი ცოდნა მიიღება. რაციონალიზმის ზოგად პრინციპებს ემპირიზმი დოგმებს (ბერძნულად დაუსაბუთებელი) უწოდებს, რომელიც არაფრით განსხვავდება რელიგიური სქოლასტიკისაგან.

არსებობს ორგვარი ემპირიზმი: მატერიალისტური და იდეალისტური. მატერიალისტური ემპირიზმის მიხედვით, ცოდნა, რომელიც შეგრძნებებით და აღქმებით მიიღება, შეესაბამება ობიექტურ სინამდვილეს, სადაც ობიექტური სინამდვილე განსაზღვრავს ცოდნას. ხოლო იდეალისტური ემპირიზმის მიხედვით, შეგრძნებებს თვითონ აქვთ სპეციფიკური სუბიექტური თვისებები, რითაც ადამიანი უკავშირდება სინამდვილეს. ამიტომ აქ შეგრძნებები თვითონ განსაზღვრავენ ობიექტურ სინამდვილეს. რაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ ბუნების ექსპერიმენტული კვლევის შემდეგ დაიწყო.

ინგლისელმა მატერიალისტმა **ფრენსის ბეკონმა** (1561–1626 წწ.) გააკრიტიკა რაციონალისტური ფილოსოფია, რომელსაც უცვლელ დოგმებზე დაყრდნობით, დედუქციური მეთოდით გამოყავდა მცდარი ანუ ყალბი ცოდნა. მისი აზრით, ასეთი ყალბი ცოდნით დანაგვიანებულია ადამიანთა ცნობიერება, რომელიც გაწმენდას მოითხოვს. ცნობიერებაში არსებულ ყალბ ცოდნას ბეკონი იდოლებს უწოდებს. ეს იდოლები მცდარი ტრადიციებიდან მომდინარეობს და საჭიროა მისგან გათავისუფლება, რის ერთადერთ საშუალებად ბეკონი ინდუქციურ მეთოდს მიიჩნევს. მისი აზრით, მხოლოდ ინდუქციის გზით მიღებული ზოგადი ცოდნა იძლევა ჭეშმარიტებას.

ბეკონი მხოლოდ ინდუქციურ მეთოდს ემყარებოდა და რაციონალიზმის მსგავსად, მეორე უკიდურესობაში გადავიდა. თუ რაციონალიზმში ერთადერთ დასაყრდენ მეთოდს დედუქცია წარმოადგენს, ბეკონმა ასევე ერთადერთ მეთოდად ინდუქცია გამოაცხადა. როგორც კონკრეტულ მეცნიერებებში, ასევე ფილოსოფიაშიც ასეთი უკიდურესობის დაშვება მიუღებელია, რადგან ინდუქცია და დედუქცია ერთიმეორის გარეშე ჭეშმარიტებას ვერ ადგენენ.

მატერიალისტური ემპირიზმის გნოსეოლოგიური თეორია ჩამოაყალიბა ინგლისელმა ფილოსოფოსმა **ჯონ ლოკმა** (1632 –1704 წწ.). ლოკი იცავს ბეკონის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ადამიანის ბუნებაზე გაბატონების მთავარ დასაყრდენს თვითონ ბუნების კანონების ცოდნა იძლევა. იგი აკრიტიკებს დეკარტის მტკიცებას ღმერთის არსებობის შესახებ. დეკარტის საწინააღმდეგოდ, ლოკი ამტკიცებს, რომ ღმერთის იდეა ყველა ადამიანს არ გააჩნია. ათეისტებს ღმერთის იდეა არ გააჩნიათ და ამიტომ იდეების არსებობიდან რეალური არსებობის გამოყვანა შეცდომაა. ადამიანის სული არის დაუწერელი დაფა, სუფთა ფურცელი, სადაც თავდაპირველად ვერ იპოვით ვერავითარ იდეას, ვერავითარ პრინციპს, არამედ იდეებს ადამიანი აყალიბებს ცდაზე დამყარებული და ცდიდან მოპოვებული მასალის საფუძველზე. ამით ლოკმა უარყო თანდაყოლილი იდეების არსებობა. ლოკი სრულიად სხვაგვარად წყვეტს ცოდნის და საერთოდ იდეების წარმოშობის საკითხს. ის ასე მსჯელობს: რაკი არ არსებობს თანდაყოლილი იდეები, მაშინ უნდა დამტკიცდეს, როგორ არიან ისინი მიღებული გარე სამყაროდან. ლოკის აზრით, იდეების მიღების ერთადერთი საფუძველი არის ცდა, მაგრამ ცდა ორგვარია, გარეგანი და შინაგანი. გარეგან ცდას წარმოადგენს შეგრძნებების კავშირი საგნებთან, ხოლო შინაგანი ცდა არის გარედან მიღებულ იდეებზე რეფლექსია. ადამიანის გონებაში გარედან შემოდის მარტივი იდეები, ხოლო რეფლექსიით მიიღება რთული იდეები. მარტივი და რთული იდეების დაყოფის საფუძველს ლოკი ობიექტურ სინამდვილეში ეძებს. მისი აზრით, საგნებს აქვთ პირველადი და მეორადი თვისებები. საგნის პირველადი თვისებები დაკავშირებულია თვითონ საგანთან, მათი ჩამოშორება საგნიდან შეუძლებელია. ასეთი თვისებებია: განფენილობა, მოძრაობა, სიმძიმე და სხვა.

ხოლო მეორადი თვისებები, მართალია საგანთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ ის არ არსებობს შემმეცნებელი სუბიექტის გარეშე, ის არ შეესაბამება მის გამომწვევ მიზეზებს და უშუალოდ სუბიექტთან არის დაკავშირებული. ასეთებია: ფერი, გემო, სუნი, ხმა და სხვა. მაგრამ ლოკს არ აქვს პასუხი კითხვაზე: რა არის მეორადი თვისებების გამომწვევი მიზეზი.

ლოკის მიერ საგნების პირველად და მეორად თვისებებად დაყოფამ ხელი შეუწყო სენსუალიზმისა და აგნოსტიციზმის წარმოშობას. სენსუალიზმს მთელი სინამდვილე შეგრძნებებზე დაჰყავს, ხოლო აგნოსტიციზმს შემეცნების საგნად მხოლოდ მოვლენების სამყარო მიაჩნია; რაც შეეხება მოვლენების მიზეზობრივ კავშირს, ის შეუმეცნებად სამყაროდ ცხადდება.

სენსუალიზმი არის იდეალისტური ემპირიზმი. მისი ტიპიური წარმომადგენელია ინგლისელი ფილოსოფოსი **ჯორჯ ბერკლი (1684 – 1753 წწ.)**. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, როგორ უარყო ბერკლმა მატერიის არსებობა შეგრძნებების საფუძველზე. აქედან ცხადია, რომ ბერკლი შემეცნების ერთადერთ წყაროდ შეგრძნებებს მიიჩნევს. ის არ ეთანხმება ლოკის აზრს საგნის პირველად და მეორად თვისებებად დაყოფის შესახებ. მისი აზრით, საგანში არაფერი არ რჩება ისეთი, რაც თავისთავად არსებობდეს, არამედ საგნები უნაშთოდ იშლებიან შეგრძნებებზე. ამიტომ ცოდნა, რომელიც ჩვენ გვაქვს, არის სუბიექტის შეგრძნებათა თვისება, კომპლექსი. ამ თვისებათა იქეთ არაფერი არ არსებობს. მაშ, რა უნდა დაისახოს მიზნად ადამიანმა შემეცნების თვალსაზრისით? ამ კითხვაზე ბერკლი პასუხობს: ადამიანმა უნდა შეიმეცნოს თვითონ შეგრძნებების და გრძნობების კანონზომიერება. მაგრამ კითხვას – საიდან ჩნდება ჩვენში ასეთი შეგრძნებები? – ბერკლი ღმერთის არსებობით ხსნის: ღმერთმა ჩვენ ასეთი შეგრძნებები მოგვანიჭა და ასე ვხედავთ სამყაროს, ღმერთს რომ ჩვენთვის სხვანაირი შეგრძნებები მოენიჭებინა, მაშინ სხვაგვარად დავინახავდით სამყაროს.

ემპირისტული ფილოსოფია ბერკლის შემდეგ სხვადასხვა ფორმით გაგრძელდა პოზიტივიზმში, ნეოპოზიტივიზმში და პოსტპოზიტივიზმში. მართალია, ამ ფილოსოფიურ მიმდინარეობებში აზროვნების როლის უარყოფა არ ხდება (პირიქით აზროვნება აწარმოებს

მნიშვნელოვან შემეცნებით ლოგიკურ ოპერაციებს), მაგრამ შემეცნების ერთადერთ წყაროდ ცდა და ექსპერიმენტი ცხადდება. მათი აზრით, ლოგიკურად ჩამოყალიბებული დებულების ჭეშმარიტება დამოკიდებულია ცდაზე; თუ ცდაში არ ხერხდება რომელიმე დებულების შემოწმება ანუ ვერიფიკაცია, მაშინ ეს დებულება ჭეშმარიტების მნიშვნელობას კარგავს. ე. ი. ნეოპოზიტივიზმში შემეცნების ერთადერთ დასაყრდენს ცდა წარმოადგენს და ცდა განსაზღვრავს შემეცნების მიზანსაც. ამიტომ, მეცნიერებამ უნდა წამოაყენოს ისეთი დებულებები, რომელიც ცდაში შემოწმებადია. თუ დებულებები ამ მოთხოვნას ვერ ასრულებენ, მაშინ მათი უარყოფა ხდება. აქ შემეცნების მიზანს და მის პრაქტიკულ დანიშნულებას სარგებლიანობის პრინციპი განსაზღვრავს. ის, რაც არ ემსახურება ამ პრინციპს, მეცნიერებისათვის მიუღებელია. სწორედ ამის გამოა მიუღებელი ნეოპოზიტივიზმში იმგვარი მსოფლმხედველობრივი საკითხების კვლევა, რომელიც ცდის გარეთ გადის; ასეთებია სამყაროს სასრულობა – უსასრულობის, მიზეზობრიობის, სუბსტანციის და სხვა საკითხები. მათი აზრით, ეს არ არის ფილოსოფიის კვლევის საგანი. ეს მეტაფიზიკური პრობლემაა, რომელზეც მხოლოდ რელიგიამ უნდა იმსჯელოს. ამის გამო მიიჩნევენ, რომ ემპირიზმი არის ცალმხრივი გნოსეოლოგიური თეორია. ემპირიზმმა ვერ შეძლო იმანენტურისა და ტრანსცენდენტურის დაკავშირება, ვერ შეძლო ხიდის გადება იმანენტურსა და ტრანსცენდენტურ სამყაროს შორის. ამის გარეშე კი არავითარი სრულყოფილი გნოსეოლოგიური თეორია არ ყალიბდება. ის დღესაც გნოსეოლოგიის გადაუწყვეტელ პრობლემას წარმოადგენს.

ტრანსცენდენტურისა და იმანენტურის ცნებები კარგად გამოიკვეთა აგნოსტიციზმის თეორიაში.

აგნოსტიციზმი

აგნოსტიციზმი ცოდნის ანუ შემეცნების უარყოფას ნიშნავს.

მისთვის დამახასიათებელია ადამიანის შემმეცნებელი უნარების შეზღუდულობის აღიარება, რის გამოც შემეცნება მთავრდება იქ, სადაც ეს უნარები ძალას კარგავენ. ამიტომ ონტოლოგიური კანონზომიერების კვლევა შემეცნების კომპეტენციას არ შეადგენს. რა კავშირია მიზეზსა და შედეგს შორის, მოვლენასა და არსებას შორის, ერთეულსა და ზოგადს შორის, შემთხვევითობასა და აუცილებლობას შორის და სხვა ონტოლოგიურ პრობლემებზე მსჯელობა შეუძლებელია. ფილოსოფია თუ მაინც იმსჯელებს ამ საკითხებზე, მხოლოდ ალბათურ ცოდნასთან გვექნება საქმე.

აგნოსტიციზმი სუბიექტურ – იდეალისტურ ფილოსოფიას წარმოადგენს. ბერკლის სუბიექტური იდეალიზმი აგნოსტიციზმის მიმართულებით **დევიდ იუმმა (1711 – 1776 წწ.).** განავითარა. იუმის აზრით, ადამიანის ცნობიერებაში არაფერია, გარდა შთაბეჭდილებებისა და იდეებისა. შთაბეჭდილებები მიიღება შეგრძნებების საფუძველზე, ხოლო იდეები არის ამ შთაბეჭდილებათა წარმოსახვა. იუმი ამტკიცებს, რომ შთაბეჭდილებები უფრო მკაფიო ხასიათისაა, ხოლო იდეები ამ შთაბეჭდილებათა სუსტ ასლებს წარმოადგენენ. იდეებს ყოველთვის წინ უსწრებს შთაბეჭდილებები, ამიტომ არ არსებობს იდეები შთაბეჭდილებების გარეშე. ყველა შთაბეჭდილებას იმეორებს მარტივი იდეა. მაგრამ არსებობს რთული იდეებიც. რთულ იდეებს წარმოადგენს მარტივ იდეათა შეერთება და წარმოსახვა. იუმისათვის მიუღებელია მთელი სინამდვილის შეგრძნებებზე დაყვანა, რადგან არსებობს სუბიექტისაგან დამოუკიდებელი ტრანსცენდენტალური სამყაროც, მაგრამ მის შესახებ ჭეშმარიტების თვალსაზრისით ვერაფერს დავამტკიცებთ. იუმი ასე მსჯელობს: ჩვენი შემეცნების ობიექტი არ შეიძლება ჩვენს გარეთ იყოს, ჩვენს გარეშე არაფერი არ წარმოიდგინება, არ შეიძლება მსჯელობა იმაზე, რაც არ ვიცით. შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით და იდეათა კავშირით, ჩვენ გარემოს მხოლოდ წარმოვსახავთ, მაგრამ რა არის თავისთავად ეს გარემო, ამის შესახებ ვერაფერს გავიგებთ.

დევიდ იუმის დასმული კითხვა, თუ როგორ შეიძლება მიღებული

იქნას ახალი ცოდნა, რომელიც ობიექტურიც იქნება და საყოველთაობის მატარებელიც, გერმანელმა ფილოსოფოსმა **იმანუელ კანტმა** განსხვავებულად გადაწყვიტა.

კანტი არის გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ფუძემდებელი. ის თავდაპირველად ბუნებათმეცნიერი იყო. მან შექმნა მზის სისტემის აგებულებისა და მისი წარმოშობა – განვითარების მექანიკური თეორია, რომელსაც იმ დროისათვის გარკვეული მეცნიერული ღირებულება ჰქონდა, მაგრამ კანტს მსოფლიო აღიარება მისმა ფილოსოფიამ მოუტანა. ვინაიდან იუმმა ვერ მონახა ცოდნის ობიექტურობისა და საყოველთაობის საფუძვლები, კანტმა ფილოსოფიის გადაუდებელ და უმნიშვნელოვანეს პრობლემად მათი ძიება დაისახა. კანტი ასე მსჯელობს: არსებობს ფიზიკა და მათემატიკა და არსებობს მეცნიერული ცოდნა, ეს უდავოა, მაგრამ საჭიროა გაირკვეს, როგორ არის შესაძლებელი მეცნიერული ცოდნა, როგორია ის ლოგიკური პირობები, რითაც უნდა გავამართლოთ მეცნიერული ცოდნის საყოველთაობა და აუცილებლობა. კანტი კარგად ხედავს ემპირიზმისა და რაციონალიზმის ცალმხრივობას და ცდილობს ამ ცალმხრივობის გადალახვას. მისი აზრით, რადგან მეცნიერული ცოდნა ვერ აშენდება ვერც მხოლოდ ცდის საფუძველზე და ვერც მხოლოდ გონების საშუალებით, ამიტომ უნდა მოხერხდეს მათი შეერთება ანუ სინთეზი. კანტის მიხედვით მეცნიერული ცოდნა ღირებულია მაშინ, თუ ის სიახლეს იძლევა. მისი აზრით, ბუნებისმეცნიერება სინთეზური და ახალი ცოდნის მატარებელია, მაგრამ ასეთი ცოდნა შემთხვევითობაზეა დამყარებული. ხოლო მათემატიკა აპრიორული და ანალიზური მეცნიერებაა, რომელიც არ საჭიროებს არავითარ ცდისეულ შემოწმებას, მასში მოცემულია აუცილებლობა და საყოველთაობა, მაგრამ ასეთი ცოდნა არავითარ სიახლეს არ შეიცავს. კანტის ამ მსჯელობიდან ჩანს ემპირიზმისა და რაციონალიზმის ნაკლის შევსების აუცილებლობა. ეს ორმხრივი ნაკლი რომ დაიძლიოს, კანტის აზრით, შესაძლებელი უნდა გახდეს ისეთი მსჯელობების მიღება, რომელიც ერთდროულად აპრიორულიც იქნება და სინთეზურიც, ე.ი. უნდა მივაღწიოთ სინთეზურ – აპრიორული მსჯელობების მიღების და გამართლების შესაძლებლობას.

კანტი ეთანხმება იუმისა და საერთოდ ემპირიზმის დასკვნას, რომ

ცდა თავისთავად არავითარ აუცილებლობას და საყოველთაობას არ იძლევა. მაგრამ აუცილებლობის არსებობა მეცნიერული ფაქტია და საჭიროა მისი ახსნა. კანტის აზრით, რადგან ცდა აუცილებლობას არ იძლევა, ის უნდა მოიძებნოს თვით ადამიანის ცნობიერებაში. სწორედ ასეთ ძიებას მან მიუძღვნა თავისი ფუნდამენტური ნაშრომი, რომელსაც „წმინდა გონების კრიტიკა“ უწოდა. კანტი, კვლევა – ძიებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მეცნიერული ცოდნის ობიექტურობის, აუცილებლობისა და საყოველთაობის საფუძველი ადამიანის ცნობიერებაშია მოცემული. მისი აზრით, ცნობიერებას აქვს სამი უნარი: გრძნობადობა, განსჯა და გონება. გრძნობადობა წარმოიშობა მაშინ, როდესაც ადამიანის ცნობიერება უკავშირდება მის გარეთ არსებულ საგნებს, რასაც კანტი მოვლენებს უწოდებს. მოვლენების მოქმედება ადამიანის გრძნობადობაზე იძლევა სააზროვნო მასალას, რომელიც თავისთავად გაუფორმებელია. მას აფორმებს, აწესრიგებს გრძნობადობის აპრიორული უნარი, რომელსაც კანტი წმინდა დროსა და წმინდა სივრცეს უწოდებს. ე.ი. ცდის საგნებში წესრიგი შეაქვს სუბიექტში არსებულ აპრიორულ დროსა და სივრცეს, ხოლო სივრცისა და დროის აპრიორული ფორმებით მოწესრიგებულ ფენომენებს განსჯის უნარი აკავშირებს და ამ კავშირს წმინდა კატეგორიებში გამოხატავს. ეს კატეგორიებია: აუცილებლობა, მიზეზობრიობა, საყოველთაობა, სუბსტანციურობა და სხვა. ამრიგად, იუმის მიერ წამოჭრილი პრობლემა, რომ ცდა არ იძლევა აუცილებლობასა და საყოველთაობის კანონს, კანტმა ასე გადაწყვიტა: აუცილებლობა და საყოველთაობა არსებობს არა ტრანსცენდენტურის სფეროში, არამედ ის სუბიექტის იმანენტურ კანონზომიერებაშია მოცემული. აქედან გამომდინარე, კანტი ასკვნის: კანონები, რომლებზეც მეცნიერება მსჯელობს, ბუნების კანონებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ბუნებაში კანონები თვითონ ცნობიერებას შეაქვს, ე. ი. ცნობიერების აპრიორული ფორმები განსაზღვრავენ ბუნების კანონებს და საერთოდ ბუნებას. ამიტომ შემეცნება ნიშნავს არა ბუნების შემეცნებას, არამედ სუბიექტში არსებული კანონზომიერების შემეცნებას. კანტს ცნობიერების აპრიორული უნარებიდან გამოყავს არა მხოლოდ აუცილებლობა და საყოველთაობა, არამედ ის ამტკიცებს, რომ ეს აუცილებლობა და საყოველთაობა ობიექტურიც არის. რას ნიშნავს ობიექტურობა?

კანტის აზრით, ის რაც ყველა ადამიანისთვის საყოველთაოა, ობიექ-ტურიც არის. თუ მოიძებნება სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც არ ექნება საყოველთაო სტრუქტურის აპრიორული ცნობიერება, მაშინ ობიექტურობა მისთვის სრულიად სხვა იქნება, მაგრამ ადამიანთა მოდგმას ერთნაირი „სტრუქტურის“ ცნობიერება აქვს და ამიტომ საყოველთაო ცოდნა ობიექტურია; ადამიანი ასე რომ მსჯელობს და არა სხვანაირად, ეს ცოდნის ობიექტურობის მაჩვენებელია.

კანტის ფილოსოფიაში ცნობიერების სამ უნარს – გრძნობადობას, განსჯას და გონებას – სამი დონე შეესაბამება: ემპირიული ცნობიერება, ტრანსცენდენტალური ცნობიერება და იდეები. შემეცნების მიზანია ემპირიული დონიდან ტრანსცენდენტალურ დონეზე ამაღლება. ამ პროცესს ადამიანი გრძნობადობაში მიღებული ცოდნის გააზრებისა და კატეგორიებში დაკავშირების საფუძველზე ახორციელებს.

მაშ, რაში მდგომარეობს კანტის აგნოსტიციზმის არსი? კანტის მიხედვით, შემმეცნებელი სუბიექტი ჭეშმარიტებას ადგენს მხოლოდ მოვლენათა სფეროს მიმართ. ცნობიერებაში გაფორმებულ მოვლენებს კანტი ფენომენებს უწოდებს. მისი აზრით, სწორედ ფენომენებზე შეიძლება ჭეშმარიტება – მცდარობის მტკიცება. ხოლო, რაც შეეხება მოვლენების მიღმა არსებულ „ნივთს თავისთავადს“, რომელიც სუბიექტს გრძნობადობაში არ ეძლევა, მის შესახებ გონების მსჯელობა იძლევა არა ფენომენებს, არამედ ნოუმენებს. ნოუმენებზე გამოთქმული მსჯელობები არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, ის არ ეკუთვნის მეცნიერული შემეცნების სფეროს, არამედ მეტაფიზიკის საგანია. მეტაფიზიკა კანტის აზრით, არ არის მეცნიერება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფილოსოფიამ ის უარყო. პირიქით, მეტაფიზიკური პრობლემები ფილოსოფიისათვის მოუცილებადია. ისეთი პრობლემები, როგორიც არის ღმერთის არსებობა – არარსებობის, სასრულობა – უსასრულობის, აუცილებლობა – თავისუფლების და სხვა, ადამიანისათვის რეგულატურ ფუნქციას ასრულებენ. კანტის აზრით, შეუძლებელია ყოვლად სრული იდეის არსებობით ღმერთის არსებობა ვამტკიცოთ, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ღმერთის შესახებ მსჯელობას. ის ამტკიცებს, რომ ღმერთის არსებობის ონტოლოგიური დასაბუთება შეუძლებელია, მაგრამ მისი დაშვება ან არდაშვება შესაძლებელია. ეს თავისუფლებისა და ნებელობის სფეროს განე-

კუთვნება, რომელიც ადამიანს პრაქტიკული მოქმედებისთვის სჭირდება და არანაკლებ მნიშვნელოვანია. კანტი ნებელობასა და ადამიანის პრაქტიკულ მოქმედებას ზნეობის სფეროს აკუთვნებს.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ კანტმა თავისი გნოსეოლოგიური თეორიით ვერ შეძლო იმანენტური და ტრანსცენდენტური სამყაროს დაკავშირება, რადგან მან შემეცნება შემოსაზღვრა მხოლოდ მოვლენების სფეროთი, ხოლო „ნივთი თავისთავადი" შეუმეცნებად ტრანსცენდენტურ სინამდვილედ გამოაცხადა. სწორედ ამის გამო ეწოდა კანტის შემეცნების თეორიას აგნოსტიციზმი და იმანენტიზმი.

კანტმა თავისი იმანენტური ფილოსოფია, რომლის მიხედვითაც, ადამიანი შემეცნების პროცესში თვითონ ქმნის ბუნებას, კოპერნიკისეულ გადატრიალებას შეადარა. როგორც ცნობილია, კოპერნიკამდე ჩვენი გალაქტიკის ცენტრად დედამიწა მიაჩნდათ, ხოლო კოპერნიკმა დაამტკიცა, რომ გალაქტიკის ცენტრში მზე იმყოფება. ამ გადატრიალების მნიშვნელობას კანტი შემდეგში ხედავს: მისი აზრით, აქამდე მეცნიერებასა და ფილოსოფიას გულუბრყვილოდ მიაჩნდა, რომ ცოდნა შეესაბამება რეალობას, ამიტომ ცოდნის ასახსნელად სინამდვილეს მიმართავდნენ. კანტის აზრით ეს პირიქითაა. თუ გვინდა გავიგოთ მეცნიერული ცოდნა რა კანონზომიერებისაა, ამისათვის უნდა მივმართოთ საკუთარ იმანენტურ ცნობიერებას და არა ბუნებას. კანტის აზრით, იმანენტური და ტრანსცენდენტური ცნობიერება თვითონ განსაზღვრავს ბუნების კანონზომიერებას.

კანტის ფილოსოფიური მოძღვრება მრავალი პრობლემის მომცველია, მის საფუძველზე განვითარდა არა მხოლოდ გერმანული კლასიკური ფილოსოფია, არამედ მისი გავლენა ბევრმა ფილოსოფიურმა მიმდინარეობამ განიცადა. ყველამ სხვადასხვაგვარად გაიგო კანტის ფილოსოფია და ყველა კანტს თვლიდა თავის წინამორბედად. კანტის კრიტიკული ფილოსოფია, ძირითადად, რაციონალისტურ მოძღვრებას წარმოადგენს. მისი რაციონალიზმი ვრცელდება მხოლოდ მოვლენათა სფეროზე. ხოლო როცა გონება მოვლენების სფეროდან „ნივთი თავისთავადის" სამყაროში გასვლას ცდილობს, მაშინ გონება, მართალია ჭეშმარიტებას ვერ ადგენს, მაგრამ ის დიალექტიკურ აზროვნებას ემყარება და არა ემოციურ ან მისტიკურ ინტუიციას, როგორც ეს ინტუიტივიზმშია.

საკონტროლო კითხვები

რას შეისწავლის გნოსეოლოგია?

რა მოიაზრება ცნებებში „შემეცნების ობიექტი“ და „შემეცნების სუბიექტი“?

რომელი შემეცნებითი უნარები ახასიათებს ადამიანს? რა მიმართებაა მათ შორის შემეცნების პროცესში?

რა მსგავსება-განსხვავებაა ემპირიზმს, სენსუალიზმსა და რაციონალიზმს შორის ?

რა არის ჭეშმარიტება?

რა არის ინტუიცია?

რა საერთო დამახასიათებელი ნიშანი ახასიათებს აგნოსტიციზმს?

გააანალიზეთ სოკრატეს გამონათქვამები: „შეიცან თავი შენი“ და „მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“.

თავი V

სოციალური და აქსიოლოგიური პრობლემები ფილოსოფიაში. კულტურა და ცივილიზაცია

კულტურის ფილოსოფია კულტურის, როგორც უნივერსალურ და ყოვლისმომცველ ფენომენზე ორიენტირებული ფილოსოფიური დისციპლინაა. იგი ჩამოყალიბდა ორი საუკუნის მიჯნაზე – XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში. ტერმინი „კულტურფილოსოფია' პირველად იხმარა გერმანელმა რომანტიკოსმა ა. მიულერმა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის შესახებ ცალკეული მოსაზრებები ბევრად უფრო ადრე, ევროპული ცნობიერების განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე აღინიშნებოდა. კულტურის ფილოსოფია იკვლევს შემდეგ პრობლემებს: რა არის კულტურა? როგორია მისი დამოკიდებულება ბუნებასთან? რა განაპირობებს სხვადასხვა კულტურების არსებობას? რა კავშირია კულტურასა და ცივილიზაციას შორის? რა უდევს საფუძვლად კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებას? და სხვა.

საზოგადოება მრავალი ქვესისტემის შემცველი მთლიანი წარმონაქმნია. საინტერესოა: არის კი მათ შორის რომელიმე განმსაზღვრელი და განმაპირობებელი? ყოველი საზოგადოება, ყოველი ქვეყანა განუმეორებლად თავისებური და თვითმყოფადია – თავისი უნიკალური ისტორიით, კულტურით, ტრადიციებით. ეს თავისთავად გულისხმობს გარკვეული ფაქტორების არსებობას, რომლებიც განცალკევებულ სოციალურ ქვესისტემებს აერთიანებენ რაღაც ხარისხობრივად განსაზღვრულ მთლიანობაში. თანამედროვე ფილოსოფიაში საზოგადოების მთლიანობის დასახასიათებლად იყენებენ კულტურისა და ცივილიზაციის ცნებებს.

არსებობს მოსაზრება, რომ კულტურა „მეორე ბუნებაა". ასე თვლიდნენ ძველ საბერძნეთში (მაგალითად, დემოკრიტე მიიჩნევდა, რომ ადამიანი ყოველთვის ბაძავდა ბუნებას და სწავლობდა მისგან. ცხოველებისაგან იგი ბევრით არის დავალებული – ობობამ ქსოვა და კერვა ასწავლა, მერცხალმა საბუდარის აშენება, მომღე-

რალმა ჩიტებმა სიმღერა და სხვა). რამდენად სწორი და მისაღებია ეს განსაზღვრება? ზოგადი თვალსაზრისით, ალბათ, შეიძლება დავეთანხმოთ. მაგრამ, იმავდროულად, აუცილებლად უნდა გავერკვიოთ – უპირისპირდება კულტურა ბუნებას, თუ არა?

საზოგადოდ მიჩნეულია, რომ ყოველივე, რაც ადამიანის ხელითაა შექმნილი, კულტურის სფეროს განეკუთნება: ბუნება ადამიანისთვისაა შექმნილი. იგი კი, თავდაუზოგავად შრომობს და ქმნის „მეორე ბუნებას“ – კულტურის სივრცეს. თუ დავუკვირდებით, კულტურა, უპირველეს ყოვლისა, ბუნებითი ფენომენია, თუნდაც იმიტომ, რომ მისი შემოქმედი ადამიანია, ანუ ბიოლოგიური არსება. გარდა ამისა, ბუნების გარეშე არც კულტურა იქნებოდა, რადგან ადამიანი, ქმნის რა ხელოვნურ სამყაროს, ბუნების რესურსებს იყენებს. ქმნადობის ამ პროცესში იგი საკუთარ ბუნებრივ პოტენციალს ამჟღავნებს და წარმოაჩენს. კულტურა, უწინარესად, ინსტინქტების გადალახვა და ბუნების დაძლევის აქტია. ცნობილია, რომ ცხოველსაც შეუძლია შექმნას კულტურის მსგავსი რაღაც: ფუტკრები, მაგალითად, უმშვენიერეს არქიტექტურულ ნაგებობას, ფიჭებს აკეთებენ; ობობას ქსელი, ნადირობის იარაღი, გვაოცებს თავისი სრულყოფილებით; თახვები კაშხალს აგებენ. გამოდის, რომ ცხოველებიც ქმნიან რაღაც ისეთს, რაც ბუნებაში არ იყო. ნუთუ, ესეც კულტურაა?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ყველა ცოცხალი არსების (რა თქმა უნდა, ადამიანის გარდა) მოღვაწეობა დაპროგრამირებულია ინსტინქტებით. თუმცა, მოღვაწეობასაც ვერ დავარქმევთ ამ საქმიანობას, რადგან მხოლოდ იმის შექმნა შეუძლიათ, რაც მათ ბუნებით განპირობებულ პროგრამაშია ჩადებული. თავისუფალი შემოქმედებითი მოღვაწეობა მათთვის უცხო და მიუწვდომელია. ფუტკარს ძალა არ შესწევს მოქსოვოს ქსელი, ობობა კი ვერ შესძლებს ყვავილებისაგან ნექტარის აღებას. იმისათვის რომ შექმნას კულტურა, ადამიანი დასაჩუქრებული უნდა იყოს რაღაც განსაკუთრებული ნიჭით, მადლით, უნარით, რომელიც არ არის ჩადებული მის სახეობით პროგრამაში. ასეთ მოულოდნელ მონაპოვარზეა საუბარი უძველეს მითში ცეცხლზე, როგორც კულტურის პირველსაწყისზე.

პრომეთე ტიტან იაპეტისა და ქალღმერთ თემიდას შვილი იყო.

იგი სიმამაცისა და სიმტკიცის, თავისუფლებისა და ადამიანებისადმი სიყვარულის, პროგრესისა და კაცობრიობის კეთილდღეობისათვის მებრძოლის მარადიულ სიმბოლოდ არის მიჩნეული. მითი მოგვითხრობს, რომ პრომოთე მტკიცედ დაუდგა გვერდში ზევს, როცა მან ახალი, უფრო სამართლიანი წესრიგის დამყარება დაისახა მიზნად და დაუფიქრებლად განუდგა, როდესაც ზევსი სასტიკ ტირანად ჩამოყალიბდა და უმწეო კაცთა მოდგმის განადგურებაც კი განიზრახა. პრომეთეს უყვარდა ადამიანები, ყოველთვის თანაუგრძნობდა მასზე სუსტებსა და უმწეოებს. იგი არ შეუშინდა ყოვლისშემძლე ღმერთის რისხვას და ადამიანთა გადარჩენა გადაწყვიტა. მან ადამიანებს იმედი გაუღვივა და ოლიმპოს წმინდა კერიდან ცეცხლიც აჩუქა. მისი წყალობით ადამიანები მიხვდნენ, რომ ცეცხლი მარტო საშიშროება კი არ იყო, არამედ ხსნა და დახმარებაც იმავდროულად. პრომეთემ ასწავლა მათ ლითონის გამოდნობა და ხელსაწყოების დამზადება; წერა, კითხვა, ანგარიში; მიაჩვია შრომას; მან ადამიანებისათვის მოაშინაურა გარეული ხარი და უღელი დაადგა კისერზე, რათა მათ მიწა დაემუშავებინათ; პრომეთემ გახედნა ცხენი და აიძულა ის ადამიანს დამორჩილებოდა; პირველი ხომალდიც მან აუგო ადამიანებს; ასწავლა მკურნალობის მეთოდები და წამლების მოხმარება; და ბოლოს, კეთილმეზობლობასა და მშვიდობიან თანაცხოვრებას მიაჩვია.

ამრიგად, პრომეთე ადამიანს „ჭეშმარიტ შემოქმედად“ მოევლინა: გამოიყვანა ბუნებითი, ველური მდგომარეობიდან და გონიერ არსებად აღზარდა და ჩამოაყალიბა. მაგრამ პრომეთემ დაშვებულის ზღვარს გადააჭარბა და ზევსმა სამარადჟამოდ დასაჯა კიდეც იგი. მიუხედავად სასტიკი სასჯელისა, ამაყი და მამაცი პრომეთე არ ნანობდა ადამიანებისათვის გაწეულ დახმარებას.

ფილოსოფიური კუთხით როგორი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ჩვენი თემისათვის ამ მითიდან? უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მითში წარმოჩენილია ჩვენთვის უკვე ცნობილი ფაქტი – კულტურა სხვა რეალობაა, ვიდრე ბუნება. იგი, შეიძლება ითქვას, საჩუქარია, რომლის მეშვეობითაც ადამიანები, ბუნების შვილები, ეზიარენ სრულიად განსხვავებულ ცხოვრებას. ეს გარკვეული ამხედრებაც არის ბუნების წინააღმდეგ. ტყუილად ხომ არ არის მიჩნეული ევროპულ კულტურაში კულტურის

სათავეებთან მდგარი პრომოთე გმირის, მებრძოლისა და მეამბოხის სიმბოლოდ.

გასათვალისწინებელია მითში მოცემული კიდევ ერთი შტრიხი. ადამიანისათვის კულტურა სულაც არ არის უბრალო და უვნებელი მონაპოვარი. ეს „საჩუქარი“ საშიშროებასაც შეიცავს. მითი გვაფრთხილებს კიდეც, რომ მისი განვითარება გარკვეულ დრამატიზმთან არის დაკავშირებული. კულტურას ადამიანისათვის მარტო სიკეთე არ მოაქვს, არამედ სამაგიეროსაც აზღვევინებს დაუფიქრებელი მოქმედებისათვის.

პრომეთეს მითიდან ჩვენთვის მთავარი შემდეგია: კულტურა ბუნება არ არის, იგი ხელოვნური შემოქმედების ნაყოფია; კულტურა გარკვეული რადიკალური შემობრუნებაა სამყაროს ორგანულ განვითარებაში.

და მაინც, რა არის კულტურა? კულტურა ლათინურად დამუშავებას, მოვლას ნიშნავს. პირველად ეს ტერმინი გამოიყენა ძვ. წ. III – II საუკუნის რომაელმა მოღვაწემ კატონმა. მან დაწერა წიგნი სოფლის მეურნეობის შესახებ, სადაც სიტყვა „კულტურა“ იხმარა მიწის, ნიადაგის დამუშავების, მოვლა – პატრონობის აღსანიშნავად. შემდგომ ამ ტერმინმა შეიცვალა თავისი მნიშვნელობა და გამოყენებულ იქნა ადამიანის სულიერი საქმიანობის მიმართ. ამის დასტურია ცნობილი გამოთქმა „ფილოსოფია არის სულის კულტურა“, რომელიც ეკუთვნის ძვ. წ. I საუკუნის მოზროვნეს **ციცერონს** (ძვ. წ. 106 –143). ე.ი. მას მხედველობაში ქონდა უკვე არა მიწის დამუშავება, არამედ სულიერება, სულის კულტურა ანუ ფილოსოფია. ანტიკურ ცნობიერებაში ცნება კულტურა გაიგივებული იყო ცნება „პაიდეია“-სთან, ე.ი. განათლებულობასთან. პლატონის აზრით, პაიდეია ადამიანის, მთელი მისი არსების შეცვლის სახელმძღვანელო პრინციპია.

შუა საუკუნეებში უფრო ხშირად იხმარებოდა სიტყვა „კულტი“, ვიდრე „კულტურა“. იგი გულისხმობდა და ასახავდა ადამიანის უნარს, მისწრაფებას ღმერთის სიყვარულში წარმოეჩინა და განეხორციელებინა საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი.

რენესანსის ეპოქაში ხდება კულტურაზე ანტიკურობის შეხედულებების აღორძინება. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს

ადამიანის აქტიური შემოქმედებითი საწყისის წარმოჩინებას, რაც ამაღლებული, ჰარმონიული განვითარებისაკენ სწრაფვაში გამოიხატება. ამ პერიოდში საფუძველი ეყრება კულტურის გაიგივების ტენდენციას სულიერი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებთან: მორალთან, ხელოვნებასთან, ფილოსოფიასთან, რელიგიასთან.

განმანათლებლობის ეპოქის ფილოსოფოსები კულტურას განიხილავდნენ, როგორც ადამიანური მოღვაწეობის ავტონომიურ და ღირებულებით სფეროს. კულტურის უმნიშვნელოვანესი ასპექტი, მათი აზრით, გონების ტაძრის აგებაა. მათვე შეიმუშავეს კულტურული მოღვაწეობის კრიტერიუმების სისტემა: კულტურული მოღვაწეობა უნდა იყოს ინტელექტუალური, შემოქმედებითი, პროდუქტიული, ნოვატორული.

XIX საუკუნეში კულტურა, უპირველეს ყოვლისა, გაგებული იყო, როგორც ღირებულებათა და იდეების სისტემა.

კულტურა წარმოუდგენელია ადამიანის გარეშე: მან შექმნა იგი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ბუნებაა, რომელსაც ადამიანი „ხელმეორედ ქმნის“ და ამით იმკვიდრებს თავს, როგორც ადამიანი. გარდაქმნის რა მის გარემომცველ ბუნებას, ადამიანი საკუთარ თავსაც, ე.ი. თავის შინაგან ადამიანურ ბუნებასაც გარდაქმნის. მაშასადამე, ადამიანისათვის მთავარი მარტო ბუნების ათვისება და მისი გარდაქმნა არ არის, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია შინაგანი ბუნების წვდომა და სრულყოფისაკენ სწრაფვა. ამ აზრით უწოდებდნენ ადამიანს ყოველთვის „კულტურულ ადამიანს“, ე.ი. „შემოქმედებით ადამიანს“. ფრანგი კულტუროლოგის ჟან მარი ბენუას აზრით, კულტურა ადამიანური მოღვაწეობის სპეციფიკაა, ის, რაც ახასიათებს ადამიანს, როგორც სახეობას. ამაოა ადამიანის ძიება კულტურამდელ პერიოდში. მისი გამოჩენა ისტორიის არენაზე უკვე კულტურის ფენომენად უნდა განვიხილოთ. იგი სიღრმისეულადაა დაკავშირებული ადამიანის არსთან და ადამიანის, როგორც ადამიანად განსაზღვრის აუცილებელ ნიუანს წარმოადგენს.

კულტურა ადამიანის მიერ შექმნილი ობიექტების ნამდვილი საგანძურია. მაგრამ, საინტერესოა, რამ განაპირობა ეს არაჩვეულებრივი გადასვლა ბუნებრივიდან არაბუნებრივზე? გერმანელი ფილოსოფოსი კარლ იასპერსი, მსჯელობდა რა კულტურის წინა

ისტორიულ პერიოდზე, აღნიშნავდა: „ჩვენ არაფერი ვიცით არც ისტორიის შემოქმედებით მომენტებზე, არც სულიერი სრულყოფის ფორმებზე, ჩვენთვის მხოლოდ შედეგებია ცნობილი და ამ შედეგების საფუძველზე გვიხდება დასკვნების გაკეთება“. არსებითი ამ თვისობრივ ნახტომში, ალბათ, მაინც შემდეგი მომენტებია: ცეცხლისა და ხელსაწყოების გამოყენება; მეტყველების წარმოშობა; ადამიანთა ჯგუფებისა და ერთობების ჩამოყალიბება, რომლებიც საფუძველშივე განსხვავდებიან სხვა ცოცხალი არსებების ჯგუფებისა და ერთობებისაგან, რამდენადაც ემყარებიან გაცნობიერებულ ურთიერთობებს.

ადამიანი ბუნებას მხოლოდ იმ აზრით გაემიჯნა, რომ საკუთარი ადამიანური სამყარო შეექმნა – კულტურის, როგორც მსოფლიო ევოლუციის შემდგომი საფეხურის, სამყარო. მაგრამ, იმავდროულად, იგი აკავშირებს კიდეც ბუნებასა და კულტურას. კულტურის, როგორც ადამიანის შემოქმედების ნაყოფსა და ბუნებას შორის დამაკავშირებელი რგოლის როლს ასრულებს მოღვაწეობა, ე.ი. ადამიანის მრავალმხრივი, თავისუფალი აქტივობა, რომელსაც გარკვეული შედეგი მოაქვს. იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბევრად უფრო ფართო მოვლენაა, ვიდრე ის, რაც ინსტინქტებშია „ჩაწერილი“. ასეთ აქტივობას ადამიანის გონება, ნებისყოფა და გრძნობები განაპირობებენ. ადამიანის მოღვაწეობა, უპირველეს ყოვლისა, მისი ცნობიერების აქტივობაა, ცნობიერება კი კულტურული მოვლენაც არის და კულტურული შემოქმედების საშუალებაც. ამ აზრით კულტურა განისაზღვრება, როგორც მთელი კაცობრიობის მოღვაწეობის შედეგი, სულიერიც და მატერიალურიც.

ადამიანი უნიკალური შემოქმედია. იგი მიისწრაფვის არა მარტო ნახევრადგაცნობიერებული ოპერაციების შესრულებისაკენ, არამედ გააზრებული საქმიანობის, მოღვაწეობისაკენ. სწორედ ეს არის მთავარი და სწორედ ამით განსხვავდება მისი მოღვაწეობა, ვთქვათ, ობობას ინსტინქტური რეაქციებისაგან. გააზრებულ საქმიანობას წინ უსწრებს იდეალური პროექტი (ბორბლის იდეა უფრო ადრე დაიბადა, ვიდრე შეიქმნა თავად ბორბალი). სწორედ აქ იბადება შემოქმედებითი მოღვაწეობა, რომელიც შეუძლებელია გონების, წინასწარ დასახული მიზნების გააზრებისა და შედეგების გათვალისწინების,

შემფასებლური პოზიციის გარეშე. ეს არის ადამიანის შემოქმედებითი, თავისუფალი მოღვაწეობა.

ერთი რამ არის გასათვალისწინებელი. ადამიანის მოღვაწეობა მრავალმხრივია. მრავალფეროვანია მისი შედეგებიც, ადამიანური აქტივობის პროდუქტები. ყველა მათგანი განეკუთვნება კულტურის სფეროს? მაგალითად, არის თუ არა გუთნის შექმნა კულტურის აქტი? შექმნის მიზანი და იდეა, კონკრეტული მოქმედებების გეგმა და ა.შ., ადამიანის გონებისა და სულის მუშაობის ელემენტებია, გამზადებული გუთანი კი ცივილიზაციის მონაპოვარია. ე.ი. ადამიანის ხელით შექმნილი ყველა საგანი არ განეკუთვნება კულტურის სფეროს. ვერც იმას ვიტყვით, რომ ყველა ადამიანი კულტურულია. უკულტურობა, ანუ კულტურის დაბალი დონე, ერთ რამეზე მიგვანიშნებს – მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჩამოშორდა თავის კულტურას. უწიგნურობა, უზნეობა, კულტურის ნორმების შესაბამისი ქცევების, ურთიერთობის ჩვევების არქონა, ბუნებისადმი გულგრილი, დაუფიქრებელი, გაუაზრებელი დამოკიდებულება და დაბალი კულტურული დონის სხვა მსგავსი გამოვლინებები, არასწორი, ცუდი პოლიტიკის, ან სულაც მისი არარსებობის შედეგია. უკულტურობა შეგნებული პოლიტიკის შედეგიც შეიძლება იყოს, რომელსაც, ალბათ, ანტიკულტურას თუ ვუწოდებთ და რასაც, როგორც წესი, საუკუნების განმავლობაში შექმნილი და ჩამოყალიბებული კულტურული ღირებულებების გაუფასურება-განადგურება მოსდევს (ჩვენი ახალი ისტორიისათვისაც იყო დამახასიათებელი კულტურისადმი მსგავსი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რაც, მაგალითად, ე.წ. „პროლეტარული კულტურის“ ზეობის პერიოდში გამოიხატებოდა ტაძრების ნგრევით, ხატების შებილწვით, სხვაგვარად მოაზროვნე ცნობილი კულტურული და საზოგადო მოღვაწეების წიგნების აკრძალვით, მწერლების, ხელოვანი ადამიანების, სასულიერო პირების ფიზიკური განადგურებით).

გარდა ამისა, არსებობს საქმიანობის ისეთი სახეები, რომლებიც შორს არიან შემოქმედებითი წვის პროცესისაგან. ამ შემთხვევაში შემოქმედებაზე საუბარი მართებული არ იქნება. ეს, ერთხელ უკვე აღმოჩენილის, შექმნილის აღდგენაა, როგორც ჩვენს მაგალითში: გუთნის იდეაც და მისი გადამუშავება-სრულყოფაც კულტურის სფეროა, ხო-

ლო თავად გუთანი – ცივილიზაციის. რაღა თქმა უნდა, ასეთი გამიჯვნა პირობითია, მაგრამ აუცილებელია საკითხის უკეთ გააზრებისათვის.

კულტურის ცნებაში მოიაზრება მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა სისტემა, მათი შექმნის საშუალებები, ადამიანის ფორმირება, რომელსაც ძალა შესწევს აითვისოს წინამორბედი და თანამედროვე თაობების გამოცდილება და გამოიყენოს იგი ახალი ღირებულებითი სისტემის შესაქმნელად. თითოეული კულტურა შეიცავს მდგრად, უცვლელ ელემენტებს, ე.ი. კულტურულ უნივერსალიებს (საზოგადოებრივი წარმოება, შრომა, თავისუფალი დრო და ურთიერთობა, საზოგადოებრივი წესრიგი და მართვა, განათლება და აღზრდა, სულიერი ცხოვრება – რელიგია, ზნეობრივი ცნობიერება, ხელოვნება, ლიტერატურა და სხვა) და წარმავალ ელემენტებს, რომლებიც წარმოიშვებიან და ქრებიან კონკრეტულ ისტორიულ პირობებში.

კულტურის მთლიანობა, რომელსაც ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდება, ესაა ადამიანის მატერიალური და სულიერი ცხოვრების, საერთოდ მატერიალური და სულიერი კულტურის მთლიანობა. მათ შორის ზღვარი პირობითია.

მატერიალური კულტურა. მატერიალურ კულტურაში შედის მატერიალური წარმოების საშუალებანი, არქიტექტურული ძეგლები, შენობა – ნაგებობანი, კომუნიკაციისა და სატრანსპორტო საშუალებანი, პარკები, ადამიანის მიერ სახეცვლილი ლანდშაფტი და ა.შ. გარდა ამისა, მატერიალური კულტურა მოიცავს წარსულის ძეგლებს, არქეოლოგიურ ობიექტებს და სხვა.

სულიერი კულტურა მოიცავს, ერთი მხრივ, სულიერი მოღვაწეობის შედეგებს, მეორე მხრივ, თვით ამ მოღვაწეობას. სულიერი კულტურის არტეფაქტები სხვადასხვა ფორმით არსებობს. ესენია: ზნე-ჩვეულებანი და ადამიანის ქცევის ფორმები, ჩამოყალიბებული კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში; ზნეობრივი, ესთეტიკური, რელიგიური და პოლიტიკური იდეალები, მეცნიერული ცოდნა და სხვა. ეს არის ინტელექტუალური, სულიერი მოღვაწეობის შედეგები.

კულტურის სუბიექტია ინდივიდი (პიროვნება), სოციალური ჯგუფი ან მთლიანად საზოგადოება. განასხვავებენ ჯგუფურ (ეროვნული, დიდი და პატარა ქალაქის, მეგაპოლისის, სოფლის, კლასის,

პროფესიული ჯგუფის და ა.შ.) და ინდივიდუალურ კულტურას. თანამედროვე საზოგადოებაში ჯგუფური კულტურის ფარგლებში ანსხვავებენ მასობრივ და ელიტარულ კულტურას.

ელიტარული კულტურა შეიძლება განვმარტოთ, როგორც პიროვნული საწყისის ძიება და დამკვიდრება. იგი რთული, სერიოზული და დახვეწილია და გამოირჩევა ნოვატორული ხასიათით. მისი პროდუქცია გათვლილია საზოგადოების დახვეწილ ინტელექტუალურ ელიტაზე.

მასობრივი კულტურის წარმოშობას ხელი შეუწყო მასობრივი კომუნიკაციების საშუალებათა განვითარებამ – გაზეთები, პოპულარული ჟურნალები, რადიო, ტელევიზია, კინემატოგრაფი, კომპიუტერი, ინტერნეტი. ამ საშუალებათა წყალობით სამომხმარებლო ბაზარი გადავსებულია მრვალრიცხოვანი „ბოევიკებით“, „საპნის ოპერებით“, დეტექტივებით, ბესტსელერებით. არსებული მდგომარეობა არაერთგვაროვნად შეიძლება შეფასდეს. ერთის მხრივ, კულტურა ბევრად უფრო დემოკრატიული ხასიათის გახდა, ანუ კულტურას ეზიარა საზოგადოების ფართო აუდიტორია; მეორე მხრივ, ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა კომერციალიზაციამ განაპირობა ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებიც აქვეითებენ მის შემოქმედებით პოტენციალს, ამდაბლებენ და უხამს ხდიან მაღალ, დახვეწილ კულტურას.

და ბოლოს, ინდივიდუალური კულტურა. იგი ადამიანის სოციალურობის საზომია. როგორიც ადამიანია, ისეთივეა მისი კულტურაც. ადამიანი კულტურულია იმდენად, რა ზომითაც ითავისებს და ახორციელებს საზოგადოების უმაღლეს ღირებულებებს. ადამიანის ზოგადი შეხედულებები კულტურაზე ნაკლებ მნიშვნელოვანია. მასზე, ადამიანზე, როგორც პიროვნებაზე, ბევრად უფრო მეტყველებს ის, თუ როგორ და რა ხარისხით ითავისებს და ახორციელებს ცხოვრებაში იგი ამ შეხედულებებს (ლიონ ფოიხტვანგერს მოთხრობაში „სახლი მწვანე ქუჩაზე“ მეტად საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული: უამრავ თავისებურ რიტუალს შორის ჩვენ, ებრაელებს, გვაქვს ერთი, რომელმაც მე, ჩავწვდი რა მის ჭეშმარიტ არსს, ამაღელვა: პასექის პირველ საღამოს, ვდღესასწაულობთ რა ეგვიპტელების მონობისაგან გათავისუფლებას, ღვი-

ნოს ვსვამთ. მაგრამ, ვიდრე შევსვავთ, ათ წვეთს გადმოვასხამთ სასმისიდან, იმ ათი სასჯელის მოსაგონებლად, ღმერთმა ეგვიპტელებს რომ მოუვლინა. ჩვენი მტრების ტანჯვის გახსენება ათი წვეთით ამცირებს სიხარულით სავსე სასმისს. ამ ჩვეულების საფუძველზე პატარაობიდანვე მივხვდი, რომ ჩემი მტრებიც ადამიანები არიან და არასოდეს ბრმად აღარ მიხაროდა არც მათი წარუმატებლობა და არც სიკვდილი). ამრიგად, კულტურა არის ადამიანური მოღვაწეობის შედეგად რეალიზებული, განხორციელებული ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცნობიერება, იდეალები და გემოვნება, ზნეობრივი მითითებები და პოლიტიკური მისწრაფებები.

„კულტურა მარადიულობის დასაწყისია“ (ნ. ბერდიაევი), ამ მარადიულობას კი განაპირობებს ადამიანის მხოლოდ ისეთი მოღვაწეობა, რომელიც გულისხმობს შემოქმედებით ნახტომს, სულის შემოქმედებით წვას, აღმაფრენას, ახალ სულიერ სივრცეში გარღვევას, ახლის ქმნადობას. ადამიანის ეს უნარი უნიკალური და ჭეშმარიტად ღვთაებრივია. მაგრამ, როდესაც კულტურაში ცოცხალი შემოქმედებითი სული ქრება, იგი ცივილიზაციაში გადადის.

კულტურა, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროს მოიცავს, საზოგადოების ყველა ქვესისტემას (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სულიერი) აკავშირებს და ერთ მთლიანობაში აერთიანებს. მაგრამ კულტურული პროცესის კოორდინატებს ცივილიზაცია და მისი ნორმები განსაზღვრავენ. ერთი და იგივე ცივილიზაციის ფარგლებში შეიძლება არსებობდეს მრავალი კულტურა, მაგალითად, ევროპული ცივილიზაცია აერთიანებს ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და ა.შ. კულტურებს. სწორედ კულტურით განსხვავდებიან ეს ხალხები ერთმანეთისგან – ქცევის ნორმებით, ჩვევებითა და ჩვეულებებით, ენით, ისტორიით, რელიგიით და ა.შ., ანუ იმით, რაც მათ ეთნო-სოციალურ ინდივიდუალობას ასახავს.

კულტურას სიღრმისეულად აქვს გადგმული ფესვები ცივილიზაციაში, იგი მისი „სისხლი და ხორცია“. მათი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება იმდენად ღრმა და შესამჩნევია, რომ სპეციალისტების გარკვეული ნაწილი ამ ცნებებს აიგივებს. ეს არ არის შემთხვევითი: საზოგადოების განვითარების ნორმალურ მდგომა-

რეობაში მათი ერთმანეთისაგან გარჩევა პრაქტიკულად შეუძლებელია. ცივილიზაცია და კულტურა განუყოფელია: ცივილიზაცია არ არსებობს კულტურის გარეშე, არც კულტურა არსებობს ცივილიზაციის გარეშე. განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ ცივილიზაცია ქმნის კულტურული პროცესის წანამძღვრებს და ამ პროცესის რეგლამენტირებას ახდენს. კულტურა კი, როგორც ახლის შემოქმედი, თავის მხრივ ქმნის ცივილიზაციის განვითარების პირობებს. კულტურა თავისუფალი მოღვაწეობაა, რომელიც გულისხმობს ცივილიზაციის მიერ წამოყენებული, ნაკარნახევი სოციალური ნორმების რეალიზაციას. იგი საზოგადოების სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა ერთობლიობაა, ე.ი. საზოგადოების ღირებულებითი მონაპოვარია.

კულტურას, როგორც ცივილიზაციის ერთ-ერთ ელემენტს, დამოუკიდებლად განვითარების უნარი აქვს. მას შეუძლია დაუპირისპირდეს კიდეც ცივილიზაციას. სწორედ ეს არის როგორც კულტურის, ისე ცივილიზაციის განვითარების საფუძველი. კულტურასა და ცივილიზაციას შორის იგივეობრიობაზე საუბარი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცივილიზაცია მთლიანად დათრგუნავს და გადაფარავს კულტურას. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ცხოვრების ტექნიკურ – მექანიკური, არასულიერი ფორმების ბატონობა და პიროვნების შემოქმედებითი ინიციატივის ჩახშობა. ადამიანის ქცევის (მნიშვნელობა არ აქვს, რომელი სფერო იქნება) მკაცრი რეგლამენტირება საზოგადოებას უძრაობის მდგომარეობაში აყენებს და განვითარების საშუალებას არ აძლევს – საზოგადოება კარგავს ახალ, ცვალებად მოთხოვნებთან, რეალობებთან შეგუების, ადაპტაციის უნარს. ამიტომ კულტურის „სიკვდილი“ მთელი სოციუმის დაღუპვის ტოლფასია. ამის მაგალითები მრავლადაა ცივილიზაციების ისტორიაში – ოდესღაც მძლავრი ცივილიზაციების დაღუპვის შემდეგ აყვავებული კულტურების მხოლოდ ნანგრევებიღა რჩებოდა.

ცივილიზაცია ხასიათდება ადამიანის არსებობისათვის შექმნილი როგორც დადებითი, ისე ნეგატიური პირობებით. მისგან განსხვავებით კულტურა ღირებულებათა სფეროა. ყოველივე, რაც ცივილიზაციის ჩარჩოებშია შექმნილი, მასაც ეკუთვნის. თუმცა,

ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ, რაც, მაგალითად, საზოგადოებრივი წარმოების სფეროში იქმნება, არ შეიძლება ყოველთვის კულტურას მივაკუთვნოთ, ე.ი. ყველაფერი, რაც ცივილიზაციის მიერაა შექმნილი, არ არის კულტურული. ვთქვათ, ადამიანების მასობრივი განადგურების საშუალებები. ჩვენ ვიცით, რომ ეს საშუალებები XX საუკუნის ევროპული ცივილიზაციის პროდუქტია, მაგრამ შეიძლება კი ისინი კულტურის სფეროს მივაკუთვნოთ? იგი ხომ თავისი არსით ეწინააღმდეგება, უპირისპირდება და რეალურ საფრთხეს უქმნის კულტურას და მთელ კაცობრიობას. XX საუკუნის ცივილიზაციამ მემკვიდრეობით დაგვიტოვა გახრწნილი, მკვდარი ხელოვნური ზღვები, კალაპოტები შეუცვალა მდინარეებს – ყველაფერი ეს გაკეთდა ადამიანის მიერ, ინჟინერული გათვლებისა და მშენებლობის ნორმებისა და წესების საფუძველზე. შედეგად კი დაიტბორა და კვლავ იტბორება კულტურის ობიექტები, იცვლება კლიმატი. სამწუხაროდ, რეალობაა ადამიანსა და ბუნებას შორის კონფლიქტი. ადამიანი აღარ ელოდება ბუნებისაგან წყალობას, თავად იღებს მისგან რაც სჭირდება და რაც არ სჭირდება და არ ფიქრობს, რომ ასეთი დაუფიქრებელი მოქმედებით ზიანს აყენებს ან სულაც ანადგურებს ბუნებას და მერე საკუთარ თავს. გამორიცხული არ არის, რომ ბუნებისადმი გაუაზრებელმა დამოკიდებულებამ მსოფლიო მასშტაბის ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს.

შეჯამების მიზნით, შევეცადოთ ვუპასუხოთ შემდეგ კითხვას: არის თუ არა სინამდვილეში კულტურა სულის ზეობა? სხვადასხვა ეპოქის მოაზროვნეებს არაერთხელ უცდიათ გაემიჯნათ ერთმანეთისაგან ადამიანის სულის ჭეშმარიტი აღმაფრენა (კულტურა) და ადამიანური მოღვაწეობის გაქვავებული ფორმების აღდგენა-რეპროდუქცია (ცივილიზაცია). აი, რას წერდა რუსი ფილოსოფოსი **ნ. ბერდიაევი** (1874 – 1968 წწ.)წიგნში „კულტურა და ცივილიზაცია“: კეთილშობილება ყოველნაირი ჭეშმარიტი კულტურისა განისაზღვრება იმით, რომ კულტურა არის წინაპართა კულტი, თაყვანისცემა საფლავებისა და ძეგლებისადმი, შვილების მამებთან კავშირი. კულტურა დაფუძნებულია წმინდა თქმულებებზე და რაც უფრო ძველია კულტურა, იგი მით უფრო მნიშვნელოვანი და მშვენიერია.

კულტურა ყოველთვის ამაყობს თავისი ძველი წარმოშობით, დიად წარსულთან უწყვეტი კავშირით და კულტურაზე სუფევს განსაკუთრებული სახის ღვთიური მადლი. კულტურა, მსგავსად ეკლესიისა, ყველაზე მეტად აფასებს თავის მემკვიდრეობითობას. კულტურაში არ არის სიხეპრე, არ არის უპატივცემულო დამოკიდებულება მამათა საფლავებისადმი. მეტისმეტად ახალ, გადმოცემულ კულტურას არ აქვს თქმულებები და ეუხერხულება თავისი ასეთი ყოფა. ამას ვერ ვიტყვით ცივილიზაციაზე. ცივილიზაცია აფასებს თავის ახალ წარმოშობას, იგი არ ეძებს ძველ და ღრმა სათავეებს და ამაყობს დღევანდელი გამოგონებით. მას არა ჰყავს წინაპრები და არ უყვარს საფლავები. ცივილიზაციას ყოველთვის ისეთი სახე აქვს, თითქოს იგი დღეს ან გუშინ წარმოიშვა. მასში ყველაფერი ახალთახალია, ყველაფერი დღევანდელი დღის მოხერხებულ პირობებთანაა შეგუებული. კულტურაში მიმდინარეობს მარადიულობის დიდი ბრძოლა დროსთან, დიდი წინააღმდეგობა დროის დამანგრეველ ძალასთან. კულტურა სიკვდილს ებრძვის, თუმცა უძლურია მასზე რეალური გამარჯვებისათვის. მისთვის ძვირფასია უკვდავყოფა, განუწყვეტლობა, მემკვიდრეობითობა, სიმტკიცე კულტურული ქმნილებებისა და ძეგლებისა. კულტურა, რომელშიც არის რელიგიური სიღრმე, ყოველთვის მიისწრაფვის მკვდრეთით აღდგომისაკენ. ამ მხრივ რელიგიური კულტურის უდიდეს ნიმუშს წარმოადგენს ძველი ეგვიპტის კულტურა. იგი მთლიანად ეფუძნებოდა მარადიულობის წყურვილს, მთლიანად სიკვდილთან ბრძოლაში იყო. და ეგვიპტის პირამიდებმა გადაიტანეს ათასწლეულები და შემორჩნენ ჩვენს დრომდე. თანამედროვე ცივილიზაცია სწორედ რომ არ აშენებს პირამიდებს და არ ზრუნავს იმისათვის, რათა მის ძეგლებს ათასწლოვანი სიმტკიცე ჰქონდეს. თანამედროვე ცივილიზაციაში ყველაფერი სწრაფწარმავალია.

ცივილიზაცია, კულტურისაგან განსხვავებით, არ ებრძვის სიკვდილს, არ სურს მარადიულობა. იგი არა მხოლოდ ურიგდება დროის მომაკვდინებელ ძალას, არამედ ამ მომაკვდინებელი დროით ზღვარზე აფუძნებს თავის ყველა წარმატებასა და მონაპოვარს. ცივილიზაცია, ივიწყებს რა მიცვალებულებს, ძალზე საამურად და მხიარულად მოეწყობა სასაფლაოზე. ცივილიზაცია ფუტურისტუ-

ლია. ცივილიზაციაში არის სიხეპრე, გაყოყოჩებული **parvenu**. ეს სიხეპრე გადაეცემა კულტურასაც, რომელსაც სურს იყოს სავსებით არარელიგიური“.

საინტერესოა, თანამედროვე პირობებშიც თუ შეიძლება ამ განსხვავებაზე საუბარი, გვაქვს კი ამისათვის რაიმე საფუძველი? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით **ოსუალდ შპენგლერის** (1880 – 1936 წწ.) თვალსაზრისს, რომელიც დღესაც საინტერესო, აქტუალური და გარკვეულწილად წინასწარმეტყველურიცაა.

შპენგლერის კვლევის საგანს მსოფლიო კულტურების (ანუ „სულიერი ეპოქების“) თავისებურება შეადგენს. მისთვის მიუღებელია ისტორიის საზოგადოდ აღიარებული პირობითი პერიოდიზაცია – ძველი სამყარო, შუა საუკუნეები, ახალი დრო. შპენგლერისათვის ისტორია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კულტურების თანმიმდევრობაა. ყოველი კულტურა საკუთარი სულის მატარებელია და თავისი გზით ხორციელდება. მსოფლიო ისტორია, რომელიც მოიცავს ექვსი ათას წელს, წარმოადგენს რვა ერთიმეორისაგან იზოლირებულ და თანაბარმნიშნელოვან კულტურათა ისტორიას. ეს კულტურებია: ეგვიპტური, ინდური, ბაბილონური, ჩინური, ბერძნულ-რომაული („აპოლონური“), ბიზანტიურ-არაბული („მაგიური“), მაიას კულტურა, დასავლეთევროპული („ფაუსტისეული“). მათ გარდა შპენგლერი უშვებს ჩანასახოვან კულტურათა არსებობას, რომლებიც არ განვითარდნენ და მომწიფებას ვერ მიაღწიეს. ასეთებად ის თვლის სპარსულ, ხეთურ და კიტშუას კულტურებს. შპენგლერი ეხება აგრეთვე, „აღმოცენებად“ კულტურას რუსული კულტურის სახით. თითოეული მათგანი, ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად, გადის დაბადების, ბავშვობის, ახალგაზრდობის, სიმწიფის, მოხუცებულობის პერიოდებს და შედის ჩასვენების, სიკვდილის ფაზაში, რომელსაც შპენგლერი ცივილიზაციას უწოდებს.

შპენგლერთან მსოფლიო ისტორიის რვა იზოლორებული და მნიშვნელობით ექვივალენტური კულტურები მხოლოდ დროში არსებობენ ერთიმეორის შემდეგ და მათ შორის არავითარი მემკვიდრეობა არ არის. ყოველი კულტურა თავის მიერ გაშლილ შესაძლებლობებს და საკუთარი სულის გამოვლინებებს აბსოლუტურად თავის თავში ინახავს. ყოველივე ეს კვდება მის კვდომასთან

ერთად, მკვდარი კულტურიდან არაფერი რჩება და არც გადადის ახლად შექმნილ კულტურაში, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ შორის მსგავსებაა. ყოველი კულტურა თავისთავშია ჩაკეტილი.

შპენგლერის მიხედვით, კულტურისა და ცივილიზაციის დაპირისპირება ვლინდება მათ ძირითად ნიშნებში: კულტურის საფეხური წარმოადგენს სულის შესაძლებლობათა გამოვლინებას და გაშლას. ეს არის სიცოცხლის ეტაპი. ცივილიზაცია კი იწყება სულის შესაძლებლობათა ამოწურვით. ის სიკვდილის ეტაპია. კულტურა სულის ბატონობაა. ცივილიზაცია – ინტელექტის. ამდენად, კულტურაში ღმერთისადმი სიყვარულია, ცივილიზაციაში კი უღმერთობა ბატონობს. კულტურაში გაბატონებულ სულიერ ძალებსა და ინტერესებს ცივილიზაციაში ცვლის მატერიალური ძალები და ინტერესები. კულტურა აყვავების საფეხურია, ცივილიზაცია ბარბაროსობის. თუ კულტურაში სოფელი სიყვარულს იმსახურებს და მნიშვნელობის მქონეა, ცივილიზაციაში იგი მნიშვნელობას კარგავს. ცივილიზაცია ხასიათდება ქალაქისადმი ლტოლვით. გარდა ამისა, ცივილიზაციის ნიშანია პიროვნების გაუფასურება და მასაში გათქვეფა. საერთოდ ადამიანი კარგავს ღირებულებას. ძირითადი ღირებულება ფული ხდება. ფული ყველაფერია, სხვა ყოველივე არაფერი. ფული ხდება ყოვლისშემძლე ძალა. ამას მოყვება ადამიანის დამონება მანქანის მიერ. მანქანა ადამიანს არა მარტო ცვლის, არამედ იმორჩილებს კიდეც და ადამიანის ყოველგვარ თავისუფლებას ბოლო ეღება. ფულის და მანქანის როლი იმდენად დიდია, რომ ცივილიზაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფულის დიქტატურა. კრიზისის ფაზა, ცივილიზაცია, შპენგლერის აზრით, წარმოშობს ახალ ადამიანს. კრიზისული ეპოქის ადამიანი თვითონაც კრიზისშია, მისი ცნობიერება შეპყრობილია დასასრულის და სიკვდილის პრობლემებით. შპენგლერის აზრით, ცხოველმა არ იცის სიკვდილი, თუმცა ხედავს მას. ადამიანმა იცის სიკვდილი და მის წინაშე შიში აიძულებს მას შექმნას მსოფლმხედველობა, რომელიც სიკვდილის პრობლემატიკის გააზრებაა. ახალი ეპოქის ძირითად ნიშნად შპენგლერი ტექნიკას მიიჩნევს (ტექნიკა მასთან არ არის იარაღის ტოლფასი, ტექნიკა შპენგლერს ესმის როგორც მოქმედების ტაქტიკა, როგორც მთელი ცხოვრების ტაქტიკა).

ტექნიკამ გათიშა ადამიანები მმართველებად და მორჩილებად, ბატონებად და მონებად, დაუკარგა მათ ერთმანეთის გაგების უნარი. ეს ადამიანის ტრაგედიის წანამძღვარია. შპენგლერი ვერ ხედავს გამოსავალს ტექნიკისაგან შექმნილი ტრაგედიიდან. მისი აზრით, ტექნიკა ვითარდება მიუხედავად იმისა, თუ რა მოაქვს მას ადამიანისათვის. ტექნიკა, ადამიანის ქმნილების სახით, აღსდგა ადამიანის, მისი შემქმნელის წინააღმდეგ, როგორც თავის დროზე ადამიანი ბუნების წინააღმდეგ. ტექნიკა იმონებს ბუნების დამმორჩილებელ ადამიანს. ეს ნიშნავს, რომ ტრაგედია ბოლომდე უნდა მივიდეს, კულტურა ტრაგიკულად უნდა დასრულდეს.

შპენგლერის აზრით, სამყაროს მექანიზება საშიშ ფაზაში შევიდა. შეიცვალა სამყაროს ორგანული სახე (ტყეების გადაქცევა ქაღალდად, კლიმატის შეცვლა და სხვა), ცივილიზაცია თვითონ გახდა მანქანა. შემოქმედთა ადგილი დაიკავა მანქანამ. გადამწყვეტი გახდა რაოდენობა, ამ რაოდენობას კი მანქანა აწარმოებს. შპენგლერი ამტკიცებს, რომ ფაუსტისეული ტექნიკის ისტორია დასასრულს უახლოვდება. მისი დამსხვრევა გარდუვალია. თუმცა არავინ იცის, როდის და როგორ მოხდება ეს. ასეთი მსხვრევა ბედის გარდუვალობაა და ასეთ შემთხვევაში ოპტიმიზმი სულმოკლეობაა. იგი მოითხოვს დასასრულის გზაზე სიმამაცის გამოჩენას და თანამედროვე ადამიანის ბედს ადარებს რომაელი ჯარისკაცის ხვედრს, რომელმაც იცოდა, რომ მას გარდუვალი დაღუპვა ელოდა, მაგრამ მაინც იდგა თავის პოსტზე. ადამიანს შეუძლია ხედავდეს კულტურის მზის ჩასვენებას, მაგრამ არ შეუძლია ხელი შეუშალოს მას. ამ ვითარებაში, შპენგლერის აზრით, შეუძლებელია ისტორიას მივაწეროთ რაიმე საზრისი, ისტორია უსაზრისოა, რადგან ის გარდამავალია.

აი, როგორ ესმის ოსუალდ შპენგლერს კულტურისა და ცივილიზაციის განსხვავება: „კულტურაში სული ბატონობს, ცივილიზაციაში – ინტელექტი; კულტურაში ღმერთის თაყვანისცემაა, ცივილიზაციაში კი უღმერთობაა გაბატონებული; კულტურაში ადამიანები ცდილობენ სულიერ უნართა განვითარებას, ხოლო ცივილიზაციაში – მატერიალური ძალების. კულტურის საფეხურზე ადამიანები პატრიოტები არიან, ცივილიზაციის საფეხურზე კი

კოსმოპოლიტები. კულტურაში – მორალი აქვთ, ცივილიზაციაში კი მას ეძებენ“.

შპენგლერის მიერ გასული საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, გარკვეულწილად, წინასწარმეტყველურად ჟღერს. ბევრად უფრო ადრე, ვიდრე კომპიუტერი „გამოთვლიდა“ ტექნიკური ცივილიზაციის განწირულობას, შპენგლერმა მისტიკურ ჟანრში წარმოგვიჩინა „ევროპული კულტურის ჩასვენება“. „ფაუსტისეული“ სულით გამსჭვალულ ცივილიზაციას მომავალი არ აქვს. იგი ადამიანზე „გათვლილმა“ ცივილიზაციამ, ანთროპოგენურმა ცივილიზაციამ უნდა ჩაანაცვლოს. მაგრამ როდის მოხდება ეს, არც ეს იცის არავინ. მთავარია, არსებობდეს, თუნდაც თეორიული მოთხოვნილება, შევიმეცნოთ და აღმოვაჩინოთ კულტურული პროცესის გარკვეული ერთიანობა, არქეტიპური სიტუაციები, კულტურის უცვლელი კომპონენტების განმეორებადობის კანონზომიერებები და ფილოსოფიური ჭვრეტის საფუძველზე ავითვისოთ კაცობრიობის განსხვავებული გამოცდილება.

ადამიანის ღირებულებით – შეფასებითი მიმართება სამყაროსადმი

შემეცნება და შეფასება. ეს ადამიანის სამყაროსთან დამოკიდებულების ორი ერთმანეთისგან განსხვავებული სახეა. არსებობს ადამიანის სამყაროსთან მიმართების რამდენიმე ასპექტი: 1) პრაქტიკული, რაც სამყაროსთან მომხმარებლურ – უტილიტარულ დამოკიდებულებას ნიშნავს. ეს არის ადამიანის ანგარებითი დამოკიდებულება სამყაროსთან და სარგებლიანობის მიღებას ისახავს მიზნად; 2) ემოციური, რომელიც გულისხმობს სამყაროს განცდას ადამიანის მიერ. მაგალითად, ადამიანი ტკბება ბუნების სიმშვენიერით, ან შეძრწუნებულია მოსალოდნელი მიწისძვრის გამო; 3) აქსიოლოგიური ანუ შეფასებითი, ღირებულებითი დამოკიდებულება სამყაროსთან. ადამიანს რაღაც მოსწონს ან არ მოსწონს, რის გამოც, დადებით ან უარყოფით შეფასებას აძლევს მოვლენებს. 4) თეორიული, რომელიც გულისხმობს რაღაც საგნობრივი ვითარების გარკვევას, მისი თვისებების დადგენას. ადამიანს აინტერესებს თვითონ საგანი, ცდილობს გაარკვიოს მისი არსი, რათა უპასუხოს კითხვას, თუ რა არის იგი. ამის შედეგად ყალიბდება ცოდნა საგნის შესახებ. სწორედ ესაა შემეცნების მიზანი.

მაშასადამე, შემეცნება არის სუბიექტის ობიექტთან ანუ ადამიანის სინამდვილესთან თეორიული დამოკიდებულება, რომლის შედეგად ყალიბდება ცოდნა მის შესახებ. ადამიანის შემეცნებითი მიმართება სამყაროსადმი სერიოზულ როლს თამაშობს მის საქმიანობაში, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის მიერ სამყაროს მოვლენათა შეფასება, რომელიც არსებითად განსხვავდება შემეცნებისაგან.

შემეცნების პროცესში ადამიანი ცდილობს გამოიკვლიოს არსებული, დაადგინოს მისი არსი და ნიშან-თვისებები. ამ დროს ყალიბდება ცოდნა ყოფიერების ანუ არსის შესახებ, რომელიც არის ის, რაც არის ან ის, რაც არ არის.

შეფასების პროცესში ადამიანი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას საგნისადმი. ამ დროს იგი მას კი არ ახასიათებს, არამედ

აფასებს. შეფასება სუბიექტურია, რადგან იგი არ არის საგნობრივი ვითარების დადგენა. ადამიანის მიერ სამყაროს მოვლენათა შეფასება ხორციელდება ორ, ემოციურ და თეორიულ დონეზე. იგი მათ უშუალოდ განიცდის, ამიტომ თავის დამოკიდებულებას გამოხატავს სიყვარულით და სიძულვილით, სიხარულით და მწუხარებით, უშფოთველობით და შეშფოთებით, იმედით ან შიშით და ა. შ. მათ საფუძველზე ადამიანს უყალიბდება შესაბამისი გუნება-განწყობილება, რომელიც სამყაროსადმი მისი ემოციური დამოკიდებულების შედეგია. იგი სუბიექტურ-ინდივიდუალურია, რადგან განპირობებულია ინდივიდის ბიო-ფსიქიკური ორგანიზაციის თავისებურებით. ყოველ ინდივიდს სამყაროს პირადი, საკუთარი განცდა აქვს.

სამყაროს ემოციური განცდის ანალიზი ფსიქოლოგიის და არა ფილოსოფიის ამოცანაა. ფილოსოფიას აინტერესებს ადამიანის სამყაროსთან მიმართების რაციონალურ-თეორიული ასპექტი. მაშასადამე, ემოციურ და თეორიულ შეფასებას საერთო აქვს ის, რომ ორივე გამოხატავს მოვლენათა მიმართ ადამიანისეულ, სუბიექტურ დამოკიდებულებას, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა. პირველი ემოციურია, ამიტომ განცდისეული, ხოლო მეორე – რაციონალური, ამიტომ აზრისეული. რა განაპირობებს სუბიექტური შეფასების ობიექტურობას? მას საფუძვლად უდევს ღირებულება, შეფასება, რომელიც გამოხატავს ადამიანის სუბიექტურ დამოკიდებულებას საგნისადმი. შეფასება ობიექტური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაეფუძება ღირებულებას.

ადამიანის საქმიანობის ყოველ სფეროს თავისი ღირებულება აქვს. მეცნიერებას – ჭეშმარიტება და მცდარობა, ხელოვნებას – მშვენიერება და სიმახინჯე, ზნეობას – სიკეთე და ბოროტება, პოლიტიკას – სამართლიანობა და უსამართლობა, სამართალს – კანონიერება და უკანონობა და ა. შ. მათ ბაზაზე ყალიბდება შესატყვის ღირებულებათა მთელი სპექტრი.

ფილოსოფია სხვა პრობლემებთან ერთად შეისწავლის კულტურულ ღირებულებებს და ამდენად ის თავადაც სულიერი კულტურის ფენომენია. კულტურასა და ფილოსოფიას შორის კავშირი ღირებულებების გააზრების საფუძველზე მყარდება. აქსიოლოგიური კვლევის პრობლემები სწორედ იქეთკენაა მიმართული, რომ ახ-

სნას კულტურისა და ღირებულებების საკითხი, რათა აჩვენოს, რა ფაქტორები, რა სტიმულები და მოტივები განაპირობს ადამიანთა ცხოვრების წესს. ამ ახსნამ უნდა აჩვენოს ის ტენდენციები, საითკენაც ადამიანი და საზოგადოების ისტორია უნდა მიისწრაფვოდეს, რათა გაუცხოებას თავი დააღწიოს და ნამდვილ თავისუფლებას ეზიაროს. გაუცხოება სწორედ იმას ნიშნავს, რომ ადამიანი და საზოგადოება, შეგნებულად თუ შეუგნებლად, აკეთებს იმას, რაც მას თავისუფლებას ართმევს. ამიტომ, ადამიანი ცდილობს დაემყაროს იმ ღირებულებებს, რომელიც მას მომავალში სიკეთეს და წარმატებას მოუტანს. აქ საქმე ეხება იმას, რაც ჯერ არ არის, მაგრამ უნდა დადგეს, უნდა განხორციელდეს. ამას ფილოსოფიაში ჯერარსის პრობლემა ჰქვია. იმას, რაც უნდა მოხდეს და ჯერ არ არის, არეგულირებს ღირებულების მატარებელი იდეა ან იდეალი. ამ გაგებით ღირებულებები გვევლინებიან იდეების და იდეალების როლში. ნებისყოფის თავისუფლება სწორედ იმას ნიშნავს, რომ მას არჩევნის შესაძლებლობა აქვს. მაგრამ რომ აირჩიოს, ამისათვის საჭიროა გონება, რომელმაც უნდა შეაფასოს მისი არჩევანი და იფიქროს იმ ჯერარსზე და იმ შედეგებზე, რასაც ამ არჩევნისაგან ელოდება. ამიტომ ადამიანი, როგორც შემფასებელი, არეგულირებს გრძნობების, ემოციების, ნებისყოფის და გონების ურთიერთობებს.

ასეთი გაგებით, ადამიანის სიცოცხლის აზრს და ცხოვრების მიზანს, მის შემოქმედებით აქტივობას და თავისუფლებას, ღირებულებითი ხედვა და სწორი არჩევანი განსაზღვრავს. გერმანელი ფილოსოფოსი, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის და აქსიოლოგიის პრობლემების ყველაზე თვალსაჩინო მკვლევარი, **მაქს შელერი** (1874 – 1928 წწ.) სიბრმავედ თვლის, თუ ღირებულებებს ვერ აღიქვამ და სწორ არჩევანს ვერ აკეთებ. მისი აზრით, ღირებულებათა წვდომა ანუ ხედვა ემოციურ ინტუიციაზეა დამყარებული, ხოლო სწორი არჩევნის საფუძველს ინტუიციური სიცხადე წარმოადგენს. შელერს ღირებულებების წვდომის და გაგების ერთადერთ საშუალებად ფენომენოლოგიური რედუქციის მეთოდი მიაჩნია. ამ მეთოდით ადამიანი უღრმავდება თავის სულიერ სამყაროს, განცდებს და ემოციებს, ინტერესებს და მისწრაფებებს. ამ მეთოდის თავისებურება იმაშია, რომ ის განცდის ფაქტებიდან ანუ შედეგებიდან მიზე-

ზების ძიებას აწარმოებს. ფენომენოლოგია მეცნიერებათა მეთოდი კი არ არის, არამედ იმგვარი ინტუიციური ხედვაა, რომელიც სულიერ ფენომენებში, ღირებულებებში დაგვანახვებს ისეთ რაიმეს, რაც მის გარეშე სრულიად დაფარული დარჩებოდა. ასეთ ხედვას შელერი ფენომენოლოგიურ განწყობას უწოდებს.

შელერის მიხედვით, ინტუიციური ხედვა აღმოაჩენს ღირებულებათა რანგობრივ წესრიგს, დაბალ და მაღალ ღირებულებებს. ერთ ღირებულებას მეორესთან მიმართებაში უპირატესობა აქვს სიყვარულის სიძლიერის გამო. ღირებულებანი სიძულვილისა და სიყვარულის ხარისხის მიხედვით განსხვავდებიან, ხოლო ამ განსხვავებისა და უპირატესობის ხედვა ინტუიციური სიცხადით მიიწვდომება. შელერის მიხედვით, სიყვარულის უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს უმაღლესი სიკეთე ანუ ღმერთი, ხოლო ყველა დანარჩენი ღირებულება გასხივოსნებულია ღმერთის იდეით. ამიტომ, ადამიანის სიცოცხლეს აზრს აძლევს უმაღლესი ღირებულებებისკენ სწრაფვა.

ფილოსოფიაში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ როგორ, რა ფორმით არსებობენ ღირებულებანი. სხვადასხვა ფილოსოფიურ სისტემაში ეს საკითხი განსხვავებულად წყდება. ერთნი ამტკიცებენ, რომ ღირებულებანი არსებობენ მხოლოდ სუბიექტურად, ხოლო მეორენი ამტკიცებენ, რომ ღირებულებები ობიექტურია და არ არის დამოკიდებული სუბიექტზე, სუბიექტურ ემოციებზე და სხვა. მაგრამ ყველა აღიარებს, რომ ღირებულებებს აქვთ მნიშვნელობა და საზრისს აძლევენ ადამიანის ცხოვრებას. ეს უდავოა, რადგან თუ კაცობრიობის კულტურა ღირებულებათა ხორცშესხმაა და მთელი ადამიანური შემოქმედება მასზეა აგებული, მაშინ ფილოსოფიისათვის იმაზე მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს, ვიდრე ღირებულებათა გააზრება და ამის საფუძველზე ჯერარსის განსაზღვრა. ეს არის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის უპირველესი ამოცანა და დანიშნულება. ყველა ფილოსოფიური პრობლემა – ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური და აქსიოლოგიური – სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება.

თანამედროვე ფილოსოფიაში ღირებულებებთან დაკავშირებულ პრობლემებზე დავა არც ახლაა განელებული და ის ალბათ უსასრულოდ გაგრძელდება, რადგან აქ საქმე ეხება ისეთ მსოფ-

ლმხედველობრივ საკითხებს, რომელთა ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტა რომ შეიძლებოდეს, ფილოსოფია საჭირო არ იქნებოდა. ფილოსოფია, უპირველეს ყოვლისა, ძიებას ნიშნავს და არა დამთავრებულ დოქტრინას. ფილოსოფიური ძიების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ადამიანის პრობლემა.

ნიჰილიზმი და ღირებულებათა გადაფასების პრობლემა

ყველა ეპოქას თავისი შესატყვისი ღირებულებები აქვს, რაც განპირობებულია ეპოქის ხასიათით. ანტიკურ პერიოდში მას მითოლოგია და ფილოსოფია განსაზღვრავდა. შუა საუკუნეებში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა რელიგიამ, რამაც განაპირობა შესაბამის ღირებულებათა წარმოქმნა; აღორძინების ეპოქაში უპირატესობა ჰუმანისტურმა და საერო იდეალებმა მოიპოვეს; ახალ დროში კაპიტალიზმის ჩამოყალიბებას და დამკვიდრებას თან მოჰყვა საბაზრო ეკონომიკის და დემოკრატიის შესაბამისი ღირებულებები. მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესის ეპოქაში წამყვანი ფასეულობა გახდა მეცნიერება და ტექნიკა.

როგორც ვნახეთ, ეპოქათა ცვალებადობის კვალდაკვალ ხდება ღირებულებათა შეცვლა. იმსხვრევა ძველი და მის ადგილს თანდათანობით იკავებს ახალი. ეს არის ღირებულებათა გადაფასების პროცესი, რომლის შედეგად მიმდინარეობს ძველი ეპოქის გამომხატველი ღირებულებების შეცვლა ახალი ეპოქის შესატყვისი იდეალებით. ეს ნორმალური პროცესია, რადგან მას აუცილებლობით მოითხოვს საზოგადოებრივი პროგრესი.

სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ბჭობა ეხება ნიჰილიზმს. იგი წარმოდგება ლათინური სიტყვიდან „ნიჰილ“, რაც ნიშნავს არარას. ნიჰილიზმი არის თეორია, რომელიც მოითხოვს არა ღირებულებათა გადაფასებას, არამედ საერთოდ უარყოფს ყოველგვარი ღირებულების მნიშვნელობას. იგი არ ატარებს პრინციპულ განსხვავებას დადებით და უარყოფით ღირებულებებს შორის. რომელს დაამ-

კვიდრებს ადამიანი – ჭეშმარიტებას თუ სიცრუეს, სამართლიანობას თუ უსამართლობას, კანონიერებას თუ უკანონობას, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ნიჰილიზმისათვის დადებით და უარყოფით ღირებულებებს ერთნაირი ფასი აქვს. ამიტომ სულერთია მათგან რომელს განახორციელებს ადამიანი. ეს არის ღირებულებათა გაუფასურების, დევალვაციის პროცესი, რადგან თუ ჭეშმარიტებასა და მცდარობას, ზნეობასა და უზნეობას ერთნაირი მნიშვნელობა აქვს, მაშინ რა ფასი აქვს მათ შორის განსხვავებას? ყველაფერი დამოკიდებულია პიროვნების ნებაზე. ყოველ ინდივიდს შეუძლია აირჩიოს ის, რაც მას მოესურვება. ვისაც უნდა სიკეთე, შეუძლია განახორციელოს იგი, მაგრამ ვისაც უნდა ბოროტება, იმავე უფლებით შეუძლია მისი განხორციელება. ყველაფერი შესაძლებელია, ამიტომ ნებადართულია.

ნიჰილიზმის პრაქტიკული შედეგია ვოლუნტარიზმი – თვითნებობა და განუკითხაობა. არავის არაფერი ეკისრება, ვისაც რა უნდა, ის აკეთოს. არ არსებობს ობიექტური კრიტერიუმები, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა ვინმეს ქმედების შეფასება და განსჯა, რადგან არ არსებობს სავალდებულო და საყოველთაო მნიშვნელობის ღირებულებანი. ყველა ღირებულება სუბიექტურია, ასე ვთქვათ, ერთნაირად ფასობს. ამიტომ ვისაც რა უნდა, იმას აირჩევს და გააკეთებს. ამ მხრივ ადამიანს აქვს აბსოლუტური, შეუზღუდავი თავისუფლება.

ნიჰილიზმი იგივე სკეპტიციზმია, ოღონდ ღირებულებათა სფეროს მიმართ. არცერთ მორალს უპირატესობა არ გააჩნია. ყოველ ინდივიდს თავისი მორალი აქვს, ამიტომ ვერავინ სხვას ვერ განსჯის. არ არსებობს საყოველთაო და სავალდებულო მორალი, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა ობიექტური განსჯა და შეფასება.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა **ფრიდრიხ ნიცშეს** თვალსაზრისი. ნიცშეს ფილოსოფია აღსავსეა ნგრევის პათოსით. მას სურს დაამხოს ევროპული ცივილიზაციის ყველა კერპი, მოარღვიოს ფუძე იმ ღირებულებებისა, რომლებიც მრავალი საუკუნის მანძილზე ითვლებოდნენ ადამიანთა მოქმედების უმაღლეს და მყარ საზომად. ტრადიციულ მორალსა და ქრისტიანულ რელიგიაში ის ხედავს დაცემის სიმპტომებს, თანამედროვე ადამიანში – გადაგვარებას. სფერო, რომელიც ხდება ნიცშეს უკომპრომისო კრიტიკის ობიექტი, არის ევროპული კულტურა, მისი ყველა ძირითადი ასპექტი.

საკუთრივ ნიცშეს ფილოსოფია იწყება ცნობილი თეზიდან – „ღმერთი მოკვდა“. ამის საფუძველია ტრადიციული უმაღლესი ღირებულებების უაზრობად, გამოგონილად გამოცხადება და მათი გაუფასურება. მაგრამ მალევე „ღმერთის სიკვდილი“ და ტრადიციულ ღირებულებათა გაუფასურება ნიცშეში წარმოშობს ამბივალენტურ გრძნობას. ტრადიციულ ღირებულებათა დამხობის შედეგად მოპოვებული თავისუფლებით აღფრთოვანებას თან ერთვის სულიერი სიცარიელის, რაღაც აუნაზღაურებელი დანაკარგის შეგრძნება, რაც გამოწვეული იყო სწორედ „ღმერთის სიკვდილით“. არსებობს მოსაზრება, რომ ნიცშეს მთელი დარჩენილი ცხოვრება იყო ამაო სწრაფვა რაღაცით ამოევსო ის სიცარიელე, ის ვაკუუმი, რომელიც „ღმერთის სიკვდილის“ შემდეგ გაჩნდა. ნიცშე მოკლებული იყო როგორც რელიგიურ, ასევე სხვა სულიერ ორიენტირებს და თვლიდა, რომ თავად ის და მთელი მისი ეპოქა სულიერი კრიზისის, ნიჰილიზმის ტყვეობაში იმყოფება. ამისი მიზეზი, მისი აზრით, მხოლოდ ქრისტიანული რელიგიაა. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ შურისძიების გრძნობით აღსავსე ნიცშე მთელი მრისხანებით თავს დაატყდა ქრისტიანობას. ნიცშე თვლის, რომ სწორედ ქრისტიანულმა რელიგიამ დაამხო ათასწლოვანი პერსპექტივის მქონე რომის იმპერია, დაასამარა ჯანსაღი ანტიკურობა და გადაიქცა კაცობრიობის სულიერი დაავადების – ნიჰილიზმის – წყაროდ. ქრისტიანობის სახით გაიმარჯვეს სუსტებმა და დაცემულებმა, ავადმყოფებმა და სიცოცხლის მოძულეებმა და იმისათვის, რომ თავი დაეღწიათ, გაქცეოდნენ საკუთარ არარაობას, მათმა ავადმყოფურმა წარმოსახვამ მოიგონა „იმქვეყნიური ცხოვრება“, „სულის უკვდავება“... ქრისტიანული რელიგია მოუწოდებს მორწმუნეებს თავი მსხვერპლად გაიღონ, მონებად გადაიქცნენ; ქრისტიანობა ემსახურება ევროპული რასის შერყვნას. სწორედ ქრისტიანულ რელიგიას ადანაშაულებს ნიცშე ღირებულებათა პირველ, რადიკალურ და საბედისწერო გადაფასებაში – ძლიერი, ჯანსაღი კასტის მორალის, არისტოკრატიული მორალის დამხობაში და სუსტებისა და ავადმყოფების მორალის ანუ ყალბი ღირებულებების დაკანონებაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ქრისტიანობის ასეთი მძაფრი კრიტიკისა, ნიცშეს დამოკიდებულება ამ რელიგიისადმი არ იყო მარტოოდენ

უარყოფითი. ამის დასტურია მისი აშკარა გულწრფელი სიმპათიები იესო ქრისტეს პიროვნებისადმი. ნიცშეს აზრით, იესო ქრისტე „უკეთილშობილესი, სიყვარულით აღსავსე“ ადამიანია, იგი „თავისუფალი გონია“, მისი სწავლება „შინაგანი სხივითაა“ განათებული და რასაც ამბობდა, რასაც მოუწოდებდა, რასაც ქადაგებდა, ყველაფერს საკუთარ ცხოვრებაში შეასხა ხორცი - თავისი სიცოცხლით და სიკვდილით.

უკეთ რომ გავერკვეთ ნიცშეს პოზიციაში, ერთ რამეს უნდა გაესვას ხაზი – იმისათვის, რომ სიცხადე შეიტანოს ქრისტიანობისადმი გაორებულ დამოკიდებულებაში, რომ შეათავსოს იესო ქრისტესადმი უდიდესი სიმპათიები ქრისტიანობის აშკარა სიძულვილთან, ნიცშე თავის „ანტიქრისტეში“ დგამს საოცარ ნაბიჯს: იგი ერთმანეთს უპირისპირებს იესო ქრისტესა და ქრისტიანობას, ქრისტეს სწავლებასა და ქრისტიანულ რელიგიას.

ნიცშეს მიხედვით, თავად სიტყვა ქრისტიანობა გაუგებრობაა. სინამდვილეში არსებობდა მხოლოდ ერთი ქრისტიანი და მან თავისი სიცოცხლე ჯვარზე დაასრულა. „სახარება“ ჯვარზე აღესრულა. ნიცშეს მიხედვით, იესო ქრისტეს სწავლება სხვა არაფერია, თუ არა მისი პირადი მოწამეობრივი სიცოცხლე და აღსასრული. და ამ „პრაქტიკულ სახარებაში“ სიტყვაც არ არის ნათქვამი „მეორედ მოსვლაზე“, „განკითხვის დღეზე“, „იმქვეყნიურ ცხოვრებასა და სულის უკვდავებაზე“. უფრო მეტიც, ნიცშეს თანახმად, იესო ქრისტემ თავისი სიკვდილითაც კი მიწიერი ცხოვრების მაგალითი უჩვენა ადამიანებს და არა რაღაც გადარჩენის, ხსნის გზა, როგორც ამას ეკლესია ვარაუდობს. „ის, რაც იესო ქრისტემ კაცობრიობას დაუტოვა, მხოლოდ პრაქტიკაა“. ესაა მისი ქცევა მსაჯულების, ჯალათების, ბრალმდებლების წინაშე, ქცევა ჯვარზე. იგი არ ეწინააღმდეგება, თავს არ იცავს, არაფერს აკეთებს საშიშროების თავიდან ასაცილებლად. უფრო მეტიც, იგი იწვევს მას... და რაც მთავარია, ქრისტე ლოცულობს მათზე, ეწამება მათთვის და უყვარს ისინი, ვინც მას მტრობს. ნიცშე თვლის, რომ ქრისტეს სიკვდილის შემდეგ მისი სწავლება დავიწყებას ეძლევა. „სახარება“ ქრისტესთან ერთად კვდება ჯვარზე.

ძველი ღმერთი კვდება, ბატონობას იწყებს ნიჰილიზმი. ნიჰილიზმი, ძველი ღირებულებების გადაფასების პროცესი, შინაგანად

დაკავშირებულია სკეპსისთან, უიმედობასთან, პესიმიზმთან, პასიურობასთან. პასიური ნიჰილიზმი, ნიცშეს მიხედვით, დამღუპველია კაცობრიობისათვის. ის მხოლოდ ნგრევაა. ამიტომ მის საფეხურზე გაჩერება ისტორიისათვის საბედისწერო იქნებოდა. ნიჰილიზმით წერტილი უნდა დაესვას ძველს, მაგრამ ნიჰილიზმივე უნდა გახდეს ახლის შენების საფუძველი. ნიჰილიზმი უნდა იყოს არა დასასრული, არამედ გარდამავალი ფაზა. ღირებულებათა გაუფასურების პროცესი უნდა გადაიზარდოს ძველი ღირებულებების გადაფასების, ე.ი. ახალი ღირებულებების დადგენის პროცესში. ამით ნიჰილიზმი ბოლომდე მიიყვანს თავის საქმეს, გადალახავს თავის თავს და კაცობრიობას გამოიყვანს კრიზისული სიტუაციიდან. ამდენად, ღმერთის სიკვდილის ტრაგიკულ განცდას თან უნდა ახლდეს სიხარულით და იმედით აღსავსე გრძნობა ახალი ღირებულებების მოძიება-დამკვიდრებისა.

ძალაუფლების ნება. ღმერთი მკვდარია. ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა გადაფასდეს სამყაროს ძველი გაგება, უნდა შეიცვალოს ადამიანის ხედვის მიმართულება: ადამიანი უნდა ერთგულებდეს მიწას და არა ზეცას. მიწა ნიცშესთან გაგებულია, როგორც ამქვეყნიური სამყაროს შინაგანი ძალა, ანტიპოდი ტრადიციული ღმერთის შემოქმედებითი ძალისა. მიწა დინამიური მიწიერი ენერგიაა, სიცოცხლეა.

რაშია სიცოცხლის არსი? სიცოცხლე ყოველთვის ნებაა. სიცოცხლის არსებობა არ არის არც თვითშენახვა, საკუთარი თავის შენარჩუნება და არც გარემოსთან შეგუება. ყოველი არსებული ისწრაფვის გააფართოოს თავისი ბატონობის არე, მბრძანებლობდეს, დაიმორჩილოს რაც შეიძლება მეტი, დაძლიოს სხვისი ნება; სიცოცხლე არის საკუთარი თავის დამკვიდრება, განმტკიცება, გაფართოება, ზრდა ... მოკლედ, სიცოცხლე არის სწრაფვა ძალაუფლებისაკენ, ნება ძალაუფლებისა.

სიცოცხლე შეიძლება იყოს აღმავალი, ძლიერი, ომის წყურვილით სავსე და შეიძლება იყოს დაღმავალი, სუსტი, ავადმყოფური. სიცოცხლის ორთავე სახეცვლილებას საფუძვლად უდევს ძალაუფლების ნება. სუსტი სიცოცხლეც ესწრაფვის ბატონობას. ამიტომ ის ადგენს ისეთ ღირებულებებს, რომლებიც შესაძლებელს გახდიან მის განმტკიცებას.

რა არის ღირებულება? ღირებულება ნიცშეს ესმის, როგორც სიცოცხლის განმტკიცებისა და ზრდის პირობა. ღირებულება სიცოცხლეშია ფესვგადგმული. ღირებულია ის, რაც აფართოებს ჩემი ბატონობის საზღვრებს, რაც საშუალებას მაძლევს მტკიცე გახადოს ჩემი არსებობა. ასეთი სიცოცხლისათვის მიწიერი სამყარო აუტანელი ტანჯვაა, უმძიმესი უღლის ზიდვაა. ძლიერი, აღმავლობის გზაზე დამდგარი სიცოცხლე არ გაურბის ქმნადობა-მოძრაობას, პირიქით, ქმნადობა, მარადიული შენება და ნგრევა, მარადიული ომი მისი სტიქიაა. სიმყარე, უშფოთველობა, უმოძრაობა, ნეტარება მხოლოდ იმ სიცოცხლის იდეალია, რომელიც სუსტია, დაღმავალია. სწორედ ასეთი სიცოცხლისათვისაა დამახასიათებელი ტრადიციული მორალური და რელიგიური ღირებულებები და სწორედ ამ ღირებულებებში ვლინდება უძლურთა ძალაუფლების ნება. უძლურ სიცოცხლეს არსებითად სურს „არარა“. „ღმერთი“, „იდეალური სამყარო“, „უმაღლესი ღირებულებები“, მორალი მხოლოდ ნიღაბია, რომლის უკან „არარა“ იმალება.

ნიცშეს აზრით, მორალი, ძირითადად, ორი სახისაა: მორალური შეფასებები ყალიბდება ან იმ ადამიანთა მიერ, რომლებიც მოწოდებულნი არიან იბატონონ, ან იმ ადამიანთა მიერ, რომელთა ხვედრი მორჩილებაა. ამდენად, მორალურ შეფასებებს საყოველთაო მნიშვნელობა არ აქვთ. ისინი დამოკიდებულნი არიან იმაზე, თუ ვინ ადგენს ღირებულებებს. არსებობენ მაღალი რასის ადამიანები, რომელთა მიმართ შეიძლება გვქონდეს გარკვეული ვალდებულებები და არსებობს „ჯოგი“, ბრბო, რომლის მიმართ ბატონს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ზიზღის გრძნობა.

ბატონთა მორალში ბატონი, უპირველეს ყოვლისა, თავის კასტას ასხამს ქება-დიდებას – ჯანსაღი, სასიცოცხლო ენერგიით აღსავსე, ღონიერი „გარეული ცხოველი“, „მტაცებელი ფრინველი“, მეომარი, „ქერა ბესტია“. ასეთი რაინდი დიდებით მოსავს თავის თავს, დიდებით მოსავს ომს, სიმტკიცეს, დაუნდობლობას, სიმკაცრეს.

სულ სხვა ბუნებისაა მონათა მორალი. წოდებრივად მაღალი ადამიანი და მისი შეფასებები აქ კვალიფიცირებულია როგორც „ბოროტება“; „კეთილია“ უძლური, ტანჯული, ღატაკი, ავადმყოფი. მონათა მორალი ქებას ასხამს თანაგრძნობას, თვინიერებას, სიყვარულს, მშვიდობას.

თანამედროვე მორალი, ნიცშეს აზრით, სწორედ მონათა ჯოგური მორალია. ჯოგისათვის დამახასიათებელია პიროვნულის ნიველირება. ადამიანი ვალდებულია იზრუნოს საზოგადოებრივ ინტერესებზე, საყოველთაო ბედნიერებაზე, დაუმორჩილოს თავისი ინტერესები მასის ინტერესებს ანუ ჩაკლას თავისი საკუთარი პიროვნება, იცხოვროს სხვისი ცხოვრებით, გააუქმოს „მე“ და იყოს ისეთი, როგორიცაა ყველა სხვა. ადამიანში პიროვნულის გაქრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, ნიცშეს აზრით, ქრისტიანობის ძირითადი მცნებებია. უპირველეს ყოვლისა, ეს თანაგრძნობას ეხება. თანაგრძნობის აქტში ადამიანი აუქმებს საკუთარ თავს და სხვისი ტანჯვის მორჩილი ხდება. თანაგრძნობა უნარჩუნებს არსებობას სუსტს, უძლურს, ვინც იღუპება და უნდა დაიღუპოს. უძლურის თანამგრძნობი თვითონვე იქცევა უძლურად. ამით კი სიცოცხლე ხდება დუნე და საეჭვო. ეს დეკადანსის იდეალებია. თანამედროვე ადამიანი ასეთ სულიერ ატმოსფეროში კნინდება. მას აშინებს ძლიერი ვნებები, ძლიერი განცდები, ჭიდილი, ტანჯვა, რომელთა გარეშე სიცოცხლე ჭაობად იქცევა. თანამედროვე ევროპელი ცხოვრობს ყოველდღიური პატარა საქმეებით, ის „კეთილია“, „სამართლიანია“, „დამჯერია“, „თვინიერია“. მისი მთავარი საზრუნავია პირადი კეთილდღეობა, პაწია ბედნიერება. ის მშიშარაა და სიკეთეს ჩადის მხოლოდ იმიტომ, რომ სხვამ ვნება, ტანჯვა, ბოროტება არ მიაყენოს. თანამედროვე ადამიანი გაურბის თავის თავს. ის აზროვნებს და მოქმედებს საყოველთაოდ მიღებული შაბლონებით, დაკანონებული სტანდარტებით. მისი ცხოვრება სიყალბეა.

ნიცშეს აზრით, არისტოკრატიულ „კარგსა“ და „ცუდს“ უპირისპირდება დემოკრატიული, გათანასწორების ნებით აღბეჭდილი „კეთილი“ და „ბოროტი“. მისი იდეალია არა თანასწორუფლებიანი საზოგადოება, არამედ საზოგადოება, რომელსაც მართავს რჩეული, ზეკაცთა ძლიერი ელიტა.

ზეკაცი. ნიცშეს მზერა მომავლისკენაა მიპყრობილი. ადამიანი უნდა დაძლეულ იქნას. ადამიანის სიდიადე იმაშია, რომ იგი ხიდია და არა მიზანი. მას შემდეგ რაც ღმერთი მოკვდა, ადამიანის ცხოვრების წესიც უნდა შეიცვალოს. ძველი ღირებულებები უნდა გადაფასდეს ახალი პრინციპის საფუძველზე. ეს პრინციპია სიცოცხლე, ძალაუფ-

ლების ნება. ქმნადი, მოძრავი, მშფოთვარე, ჭეშმარიტი სიცოცხლის ერთგულება გზას გაუხსნის ადამიანს ზეკაცისაკენ, იმ ერთადერთი დიადი მიზნისაკენ, რომელსაც შეუძლია მისცეს საზრისი ცხოვრებას ღმერთის სიკვდილის შემდეგ. ზეკაცი არის ანტიპოდი თანამედროვე ადამიანისა, ის ასახიერებს სიცოცხლის სავსეობას, ცხოვრების უმაღლეს, სრულყოფილ წესს და ადამიანის უმაღლეს ტიპს, რომელიც დგას ტრადიციული „ბოროტისა“ და „კეთილის“ მიღმა, თვითონ ქმნის ღირებულებებს და თვითონვე ადგენს თავისი მოქმედების ნორმებს.

ზეკაცის გზაზე ადამიანმა სახეცვლილება უნდა განიცადოს. ადამიანს, რომელიც მინდობილია ღმერთს, ნიცშე ადარებს აქლემს. ის მძიმე ტვირთი, რომელსაც ადამიანი ამ მდგომარეობაში ატარებს, არის ტრანსცენდენტური იდეალური სამყარო, ის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ღირებულებები და იმპერატივები, რომლებიც ბოჭავენ ადამიანის თავისუფალ შემოქმედებას. ადამიანი უდრტვინველად, უღრმესი მოწიწებით და სიხარულით ემორჩილება ურჩხულს, რომელსაც ეწოდება – „შენ უნდა“. შემდეგი ეტაპია ლომი – ლომი ნიშნავს მეამბოხე სულს, რომელიც „არას“ ეუბნება ძველ ღირებულებებს და იკაფავს გზას ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ. ლომის „მე მსურს“ უპირისპირდება საფუძველგამოცლილ მოთხოვნას – „შენ უნდა“. მაგრამ ლომი მგრეველია და არა აღმშენებელი. ადამიანის სულმა კიდევ ერთი ნაბიჯი უნდა გადადგას, რომ მიაღწიოს ჭეშმარიტ თავისუფლებას. ის უნდა იქცეს ბავშვად. ბავშვი ნიცშესათვის სიმბოლოა ახალი დასაწყისისა, მოძრაობისა, შემოქმედების, აღშენების. ბავშვი არის „თამაში“. თამაში ნიშნავს შემოქმედებას. თუ ადრე ღირებულებების საფუძვლად ღმერთი მოიაზრებოდა, ახლა თვითონ ძლიერი პიროვნება ქმნის ღირებულებებს. ადამიანი უნდა გახდეს შემოქმედი – ეს არის ერთ-ერთი ძირითადი პირობა ჭეშმარიტი არსებობის წესისა. შემოქმედება გულისხმობს ყოველი მიღწეულის სიძულვილს, დაძლევას, ახალი მიზნების დასახვას, თავისთავის მარადიულ ნგრევასა და აღშენებას. სამყაროსა და თავის თავს თვითონ პიროვნებამ უნდა მისცეს სახე. შემოქმედება მარადიული ბრძოლაა, ომი სხვასთან და თავის თავთან. ზეკაცის სიცოცხლე სავსეა ფათერაკებით, მაგრამ ის იღებს ამ სიცოცხლეს, მას სურს ასეთი სიცოცხლე, იგი ეთანხმება მას.

ნიცშეს მოსაზრებებმა, კერძოდ, ნებისმიერი ავტორიტეტის, მორალის, ღირებულებების გაუფასურება-უგულველყოფამ, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა თანამედროვე ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე.

თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთი ამოცანაა საშუალო ადამიანის გარშემო შექმნას ისეთი სამყარო, რეალობა, რომელშიც იგი თავს თვითდაჯერებულად და თვითკმაყოფილად იგრძნობს. ეს რომ განხორციელდეს, საჭიროა ყველა სულიერი მწვერვალი გაუფასურდეს, ყოველივე საკრალური პროფანაციად წარმოჩინდეს, ყოველივე არაჩვეულებრივი ბანალური გახდეს, ყოველივე რეალური პაროდირებულ იქნას, ე.ი. ადამიანისათვის აღარ იარსებობს არავითარი ტაბუ, რამეთუ „ყველაფერი ნებადართულია“. პრობლემის უკეთ გააზრებისათვის, ერთი რამ უნდა გავიხსენოთ: თანამედროვე ცივილიზაციის სათავეებთან, ე.წ. განათლებულ საზოგადოებაში (XIX ს. მე-2 ნახ.) დამკვიდრებული იყო ადამიანის შემდეგი გაგება: 1) ადამიანი – მზაკვარი, გრძნობადი და ეგოისტური მაიმუნია; 2) ადამიანი კეთილია, სიყვარულით აღსავსეა, შეუძლია თავი მსხვერპლად გაიღოს. ყველა ცუდი თვისება, რომელსაც ადამიანში ვამჩნევთ, მისი ბუნებიდან არ გამომდინარეობს. ეს ცივილიზაციის განვითარების შედეგია, რომელმაც ადამიანში დისჰარმონია შეიტანა და ბუნებას, ნამდვილ ცხოვრებას დააშორა; 3)ადამიანი ბუნებით არც კეთილია და არც ბოროტი, იგი ცარიელი დაფაა, რომელზედაც შესაბამის კვალს და ანაბეჭდს მხოლოდ სოციალური გარემო ტოვებს. ამ დამკვიდრებულ და გავრცელებულ აზრს საფუძველშივე უარყოფს რუსი მწერალი ფ. დოსტოევსკი. იგი არ ეთანხმება პირველ მოსაზრებას, თუმცა მან, ისე როგორც არავინ, შეძლო ადამიანის სულის ძირების წარმოჩენა. იგი არ იზიარებს მეორე მოსაზრებასაც, მიუხედავად იმისა, რომ თავად სიკეთის იდეა, როგორც მარადიული და უკვდავი, მისი თხზულებების წამყვანი იდეა იყო. არ იღებს იგი მესამე მოსაზრებასაც. დოსტოევსკი ღრმად არის დარწმუნებული, რომ საზოგადოების ნორმალურად მოწყობის შემთხვევაშიც კი, დანაშაული ერთბაშად არ გაქრება და ყველა ადამიანი უცებ წმინდანი არ გახდება. მისთვის ადამიანი არც მაიმუნია და არც ანგელოზი. იგი ღვთის ხატი და სახეა, რომელიც, მართალია ღვთის მიერ ბო-

ძებული თავისი ბუნებით კეთილი, სუფთა და მშვენიერია, მაგრამ ცოდვათდაცემის შედეგად დამახინჯდა. მაშასადამე, დაცემულ ადამიანში ერთდროულად თანაარსებობენ სიკეთის მარცვლები და ბოროტების სარეველა. მაგრამ როგორ უნდა გადარჩეს ადამიანი, რომელ გზას მივყევართ ტაძრამდე? მხოლოდ ქრისტეს რწმენას – ცოცხალ, სიცოცხლის მიმნიჭებელ რწმენას, რომელიც მიიღწევა საკუთარი ცოდვილი ბუნების თვითშემეცნებით, ბოროტების საკუთარი ძალებით აღმოფხვრის შეუძლებლობის გაცნობიერებით და ქრისტეს, როგორც ერთადერთი მხსნელის, აღიარებით - ასე ფიქრობს ფ. დოსტოევსკი. მწერლის ეს მსოფლმხედველობრივი პოზიცია ლეიტმოტივად გასდევს მის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნაწარმოებს - „ძმები კარამაზოვები“.

ამ რომანში მთელი სისავსით არის წარმოჩენილი მწერლის რელიგიურ-ეთიკური და ფილოსოფიურ-სამართლებრივი შეხედულებები. რომან-ტრაგედიის ცენტრალური საკითხია მამის მკვლელობის ისტორია. მკვლელობის ადგილია ქალაქი სკოტოპრიგონიევსკი. „შემთხვევითი ოჯახი“ – დარღვეული ნათესაობრივი და ზნეობრივი კავშირები, ერთმანეთის მიმართ გაუცხოებული ოჯახის წევრები. მამა – თედორე პავლეს ძე – აბსოლუტური იმორალისტი, ცინიკოსი; იგი გვარის უფროსია. მისი შვილები კრიზისულ-კატასტროფული ცნობიერების მატარებლები არიან და შეუძლიათ ერთდროულად ეთაყვანებოდნენ „მადონას იდეალს“ და „სოდომის იდეალსაც“. დიმიტრი, უფროსი ვაჟი, მანკიერებაში ჩაფლული, თავისი ვნებების, გრძნობებისა და აფექტების ტყვეა. მან საკუთარ თავში თითქმის ჩაკლა კეთილი საწყისი და შინაგანად უკვე მზად არის მამის მკვლელობისათვის. საშუალო შვილი, ივანე – ინტელექტუალი, ფილოსოფოსი, სკეპტიკოსი, რომელმაც ყველაფრის ნებადართულობის საკუთარი იმორალისტურ-კრიმინალური თეორია ჩამოაყალიბა. მას სიამოვნებას გვრის სხვა, მასზე „ინტელექტუალურად“ დაბლა მდგარ ადამიანებზე საკუთარი გონების ძალის გამოცდა, თავისი ნებისათვის სხვების დამორჩილება, თავისი მსოფლმხედველობის სისწორის შემოწმება, ადამიანებით მანიპულირება. უმცროსი ძმა ალიოშა ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, ეკლესიაში მორჩილია, შინაგანად ვერ იღებს და ეწინააღმდეგება კარამაზოვებისეული ხასიათის

შემოტევებს. მეოთხე ძმა, თედორე კარამაზოვის არაკანონიერი შვილი, სმერდიაკოვი – ლაქია, საშუალო, ერთგანზომილებიანი ადამიანია (ლამპე), მაგრამ იმავდროულად სხვათა ნების თვინიერად დამყოლი, შემსრულებელი. ოთხივე ძმა, თითოეული თავისებურად, მონაწილე აღმოჩნდა მამის მკვლელობის. მაგრამ მთავარ დამნაშავედ დიმიტრი მიიჩნიეს. შემდეგ თითქოს ირკვევა, რომ მკვლელობა სმერდიაკოვს ჩაუდენია. მაგრამ რაღაც მაინც რჩება გაურკვეველი. სმერდიაკოვი უარყოფს, რომ ის არის მკვლელი, რომ მარტო ის არის მთავარი დამნაშავე. იგი ეუბნება ივანეს – „თქვენ მოკალით, სწორედ თქვენ ხართ მთავარი მკვლელი. მე კი მხოლოდ თქვენი დამქაში ვიყავი“. „მთავარი მკვლელი აქ თქვენ ხართ, თუმცა კი მე მოვკალი“. ივანეც ბოლოს და ბოლოს ეთანხმება და სასამართლოს წინაშე აღიარებს დანაშაულს. როგორ უნდა გავიგოთ ეს? რაშია ივანეს დანაშაული? სმერდიაკოვი ეუბნება ივანეს – „თქვენი სიტყვების მიხედვით ჩავიდინე მე ეს, სწორედ თქვენი სიტყვების წყალობით“. მაგრამ ივანეს სმერდიაკოვისათვის არ უთქვამს პირდაპირ, რომ მამა მოეკლა; მაშ, რას ნიშნავს, რომ მან ასწავლა მოეკლა მამა? რა უთხრა ასეთი? „მაშინ ერთობ გაბედული იყავით, „ყველაფერი დაშვებულიაო“ ამბობდით“ – ეუბნება სმერდიაკოვი. სწორედ ეს სიტყვები – „ყველაფერი დაშვებულია“, ე.ი. „ყველაფერი ნებადართულია“ – გამხდარა მკვლელობის მიზეზი. ეს შემთხვევითი აზრი არ არის. იგი გარკვეული მსოფლმხედველობის ორგანული მომენტია. როგორია ეს მსოფლმხედველობა?

უკეთ რომ გავერკვეთ საქმის ვითარებაში, დიმიტრის შეხედულებებსაც უნდა გავეცნოთ, რომელიც მან ალიოშას, უმცროს ძმას სატუსაღოში გაანდო: მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა განაჩენს გამოუტანს მას სასამართლო. ეს „წვრილმანია“. მთავარი კი სხვაა და ახსენა რაღაც მეცნიერება, ახსენა ვიღაც რაკიტინი და უცხოელი მეცნიერი კლოდ ბერნარი, რომელთა მიმდევარიც თავად ყოფილა. აი, მათი თვალსაზრისი: ადამიანის აზრები, წარმოდგენები, მისწრაფებები და ა.შ. სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა ტვინში მიმდინარე ფიზიკური და ქიმიური პროცესები; არ არსებობს ამისაგან განსხვავებული რაღაც სული, რაც მთავარია, არ არსებობს არავითარი აბსოლუტი, ღმერთი; ღმერთი „ხელოვნური იდეა“ ყოფილა. „ქიმია,

ძმაო, ქიმია! ვერაფერს გააწყობთ, თქვენო უდიდებულესობავ, ცოტა ჩაიწიეთ, ქიმია მოდის“. დიმიტრი ფიქრობს, რომ თუკი „ქიმიამ“, ანუ ზოგადად მეცნიერებამ, ადამიანის ცნობიერებიდან განდევნა ღმერთი, თუკი ღმერთი აღარ არსებობს, მაშინ ყველაფერი ნებადართულია, „ყველაფერი დაშვებულია“. ე.ი. ამ თვალსაზრისის მიხედვით, სამყაროს ფიზიკურ-ქიმიური, საბუნებისმეტყველო ახსნა ერთადერთი და საბოლოო ახსნაა, ანუ ეს ყოფილა მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც ყოველივე დაიყვანება ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებზე. ღმერთი განდევნილია და აღარ არსებობს არავითარი საფუძველი მორალური ნორმებისათვის, ე.ი. „ყველაფერი დაშვებულია“. ასე ფიქრობს დამიტრი კარამაზოვი.

განაჩენი, რომელიც დიმიტრის გამოუტანეს, სასამართლო (იურიდიული) შეცდომა აღმოჩნდა, ვინაიდან დამნაშავედ სცნეს ის, ვისაც მკვლელობა რეალურად არ ჩაუდენია, თუმცა ზნეობრივი თვალსაზრისით, სწორი განაჩენი იყო: დიმიტრი დასჯას იმსახურებს უკვე იმის გამო, რომ მრავალჯერ ემუქრებოდა მამას მოკვლით და, რაც მთავარია, სურდა მამის სიკვდილი. სწორედ ამან განაპირობა თავად დიმიტრის გაორებული დამოკიდებულება განაჩენისადმი: არ ეთანხმება რა მის იურიდიულ ფორმულირებას, დიმიტრის ესმის წაყენებული ბრალის ზნეობრივი სიმართლე, იგი აღიარებს თავის მორალურ ბრალეულობას და თავსდატეხილ უბედურებაში, გადარჩენის ერთადერთ საშუალებას ხედავს: იტვირთოს ეს ჯვარი, იტანჯოს და მოინანიოს ის ცოდვიანი გზა, რომელსაც მისი უზნეო, ქარაფშუტა, გარყვნილი ცხოვრება ერქვა.

ივანე კარამაზოვი განათლებული და მოაზროვნე ადამიანია. მან ღმერთის შესახებ ტრადიციულ წარმოდგენაში შეუსაბამობა აღმოაჩინა. მეორეს მხრივ, საბუნებისმეტყველო აზროვნების ძალით უარყო ღმერთის არსებობის „საბუთი“ და ვეღარ დაიჯერა ღმერთის არსებობა. მაგრამ ღმერთის არარსებობიდან ნიჰილისტურ-ეთიკური დასკვნები გამოიტანა და ამის საფუძველზე დანაშაულიც ჩაიდინა. ბოლოს, თვითონვე ვერ გაუძლო ყოველივე ამას და გაგიჟდა.

მოხუცი კარამაზოვის სიკვდილი არ არის ერთადერთი უბედურება, რომელიც რომანში ხდება: სმერდიაკოვმა თავი მოიკლა, ივანე გაგიჟდა, დიმიტრი კატორღაში გაგზავნეს. ყოველივე ამაში

კი დამნაშავეა უღმერთობა, უღმერთო ცნობიერება, რაც, ერთის მხრივ, ღმერთზე ტრადაციული წარმოდგენის უკმარისობის და, მეორე მხრივ, საბუნებისმეტყველო აზროვნების უნივერსალურობის პრეტენზიის შედეგია. თავისუფლებამოპოვებულ ადამიანს მისი მოხმარების, განხორციელების უფლება აქვს – შეუძლია საკუთარი მოსაზრებით განკარგოს სული ანუ ემსახუროს ნებისმიერ ღმერთს, კერპს, დემონს, თავის თავს ანდა საერთოდ არავის; სულის გაყიდვის, დაგირავების უფლებაც აქვს; ადამიანს უფლება აქვს საკუთარი სხეულიც გაყიდოს, ფერად-ფერადი ტატუებით მოხატოს; შეცვალოს სექსუალური ორიენტაცია, სქესიც კი; ხელყოს საკუთარი და სხვისი სიცოცხლე. ყოველივე ეს მისი, „თავისუფალი ადამიანის“, კერძო საქმეა. ასეთ „კულტურულ სივრცეში“ არავითარი ვერტიკალი აღარ არსებობს: საკრალური მართლაც პროფანირებული ხდება, ბანალური ესთეტიკურის სახეს იმკვიდრებს, მდარე კი ნორმალურის სტატუსს იძენს. ეს სხვა არაფერია, თუ არა ყველა ღირებულებითი იერარქიის – კულტურულის, ეთიკურის, ესთეტიკურის, რელიგიურის შეცვლა და ყალბი, თავისუფალი საზოგადოების „თავისუფალი ადამიანისათვის“ მისაღები ახალი, „მოდური, ელიტარული“ მსოფლმხედველობისა და მისთვის დამახასიათებელი ღირებულებების დამკვიდრების ცდა.

ეს ნიჰილისტურ-იმორალისტური მსოფლმხედველობა ცივილიზაციისათვის დამღუპველი დესტრუქციული საწყისების სახე-სიმბოლოა, რომელიც აიძულებს ადამიანს მორალური და ბუნებითსამართლებრივი მოთხოვნების საწინააღმდეგოდ იცხოვროს და იმოქმედოს, არღვევს მის შინაგან სამყაროს და ართმევს მას ადამიანურ სახეს.

საკონტროლო კითხვები

რა მოიაზრება კულტურის ცნებაში?

ახსენით, რატომ თვლიან „კულტურას ბუნებით ფენომენად“ ?

ფილოსოფიური კუთხით რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს კულტურის წარმოშობის თაობაზე პრომეთეს მითიდან?

რა როლს თამაშობს მიზნის დასახვა და გააზრებული საქმიანობა კულტურაში?

ადამიანის მრავალმხრივი მოღვაწეობის ყველა შედეგი განეკუთნება კულტურის სფეროს?

რა ურთიერთმიმართებაა კულტურასა და ცივილიზაციას შორის?

შპენგლერის მიხედვით, რა განსხვავებაა კულტურასა და ცივილიზაციას შორის?

დაასახელეთ სამყაროსთან ადამიანის მიმართების ასპექტები. როგორ გესმით „ობიექტური შეფასება“ ?

რა ფორმით არსებობენ ღირებულებები?

რა არის ნიჰილიზმი? ვოლუნტარიზმი? იმორალიზმი?

ნიცშეს მიხედვით რამ განაპირობა თანამედროვე ეპოქის სულიერი კრიზისი?

გააანალიზეთ ნიცშეს ამბივალენტური დამოკიდებულება ქრისტიანული რელიგიის მიმართ.

ნიცშეს აზრით, რა არის ნიჰილიზმი – ძველი ღირებულებების გადაფასება თუ ახალი ღირებულებების დამკვიდრების პროცესი?

როგორ ესმის ნიცშეს სიცოცხლის არსი? ღირებულებები? თანამედროვე მორალი?

რა მოიაზრება ნიცშეს “ზეკაცის“ ცნებაში?

თავი VI

ფილოსოფოსები ადამიანის შესახებ მსჯელობენ...

„ადამიანის სიცოცხლე წამია მხოლოდ; მისი არსება – მარად მედინი, შეგრძნება ბუნდოვანი; აღნაგობა სხეულისა – ხრწნადი; სული – ცდომილივით მოხეტიალე; ბედი – იდუმალი; დიდება – ფუჭი; ერთი სიტყვით, ყველაფერი სხეულისეული ნაკადს წააგავს, სულისეული – სიზმარს, კვამლსა და ნისლს; სიცოცხლე ბრძოლაა და ხეტიალი უცხო მხარეში, სიკვდილის შემდგომი სახელი – დავიწყება. მაშ, რაღას მივყვეთ, რა გვიწინამძღვრებს? – სიბრძნის სიყვარული (ფილოსოფია) მხოლოდ და მხოლოდ“.

მარკუს ავრელიუსი

„ახლა კი დაე, ადამიანი კვლავ მიუბრუნდეს საკუთარ თავს და შეადაროს თავისი არსება ყოველივე არსებულს. დაე, შეიცნოს, რარიგ დაკარგულია სამყაროს ამ მივიწყებულსა და მიყრუებულ კუთხეში. ადამიანი მოქცეულია ორ – არარაობისა და უსასრულობის უფსკრულს შორის.

და მაინც რა არის ადამიანი? – არარაობა უსასრულობასთან შედარებით და ყველაფერი არარაობასთან შედარებით, ანუ რაღაც საშუალო ყველაფერსა და არაფერს შორის. მას არ შეუძლია არც ერთი უკიდურესობის შეცნობა, საგანთა დასაბამი და დასასრული მისთვის სამუდამოდ დაფარულია იდუმალების განუჭვრეტელი უკუნით. ის ერთნაირად უმწეოა შეიცნოს როგორც არარაობა, რომლისგანაც იშვა, ისე უსასრულობა, რომელშიც არის დანთქმული.

ადამიანი ეძებს მყარ საყრდენს, რომელსაც იგი მიენდობა, მაგრამ ვერ პოულობს, რამეთუ, ირგვლივ არაფერია ურყევი. ასეთია ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობა და მაინც, სრულიად არაბუნებრივად ეჩვენება ჩვენს გრძნობებს. ჩვენ ხარბად მიველტვით მკვიდრ სამყოფელს, გვსურს ფეხქვეშ ვგრძნობდეთ მყარ ნიადაგს, რათა ცათაზიდული გოდოლი ავღმართოდ ზედ, მაგრამ საძირკველი ირღვევა.

მე არ ვიცი რაა სამყარო, არ ვიცი რა არის ჩემი სხეული, ჩემი გრძნობა, ჩემი სული და ჩემი არსების ის ნაწილი, რომელიც ფიქ-

რობს იმას, რასაც ვამბობ, რომელიც ცდილობს აზრით მიწვდეს და შეიცნოს ყველაფერი, შეიცნოს თავისი თავიც, მაგრამ უკეთ როდი იცნობს საკუთარ თავს, ვიდრე სხვა დანარჩენს. მე ვხედავ სამყაროს საშინელ სივრცეს, რომელშიც ვარ ჩაკეტილი. მე ვგრძნობ, რომ მიჯაჭვული ვარ ამ უვრცესი სამყაროს მხოლოდ ერთ კუნჭულს, მაგრამ არ ვიცი რად მხვდა წილად სწორედ ეს კუთხე და არა რომელიმე სხვა ადგილი, ან რად მებოძა სასიცოცხლოდ ერთი მსწრაფლწარმავალი წამი მარადისობის სწორედ ამ და არა რომელიმე სხვა წერტილში. მარადისობისა, რომელიც წინ უსწრებს ჩემს დასაბამს და, რომელიც მოსდევს ჩემს დასასრულს.

მე ვერაფერს ვხედავ ჩემს ირგვლივ უსასრულობის გარდა, რომელშიც ატომივით ვარ ჩაკარგული. ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ჩრდილია, რომელიც მხოლოდ წამით ევლინება უსასრულობას, რათა ამ წამის წახდომისთანავე უკვალოდ გაქრეს.

მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მალე მოვკვდები, მაგრამ ყველაზე ნაკლებ ვიცნობ სწორედ ამ სიკვდილს, რომელსაც ვერ გავექცევი, ვერ ავიცილებ“.

ბლეზ პასკალი

„როგორც ლაგამი ვერ მოთოკავს აწყვეტილ ცხენს, ასევე ვერ მოთოკავს ინტელექტი და ცნობიერება ადამიანის ნებას“.

არტურ შოპენჰაუერი

„ადამიანად ყოფნა ნიშნავს იყო იმაზე მეტი ვიდრე ადამიანია, და თუ ადამიანი იმაზე მეტი არაა, ვიდრე ადამიანი, მაშინ იგი ნაკლებია, ვიდრე ადამიანი“.

აბრაჰამ ჰეშელი

„ღმერთი და მე, ჩვენ, ერთსა და იმავე საქმეს ვაკეთებთ და ღმერთი ვერ განხორციელდება სულის გარეშე“.

მაისტერ ეკჰარტი

„ის, რადაც ვიცი ჩემი თავი არა ვარ სინამდვილეში თვით მე“.

კარლ იასპერსი

„ადამიანი თავად ქმნის თავის ღმერთს და თან მორალური გაგებით. ამგვარი რამ თვით უნდა შექმნას კიდეც, რათა მასში ეთაყვანებოდეს მას, რომელმაც თავად ის შექმნა“.

„მოიქეცი ისე, რომ კაცობრიობა, როგორც საკუთარი ისე ნებისმიერი პიროვნების სახით, არასდროს გამოიყენო როგორც მხოლოდ საშუალება, არამედ როგორც მიზანი“.

„ყოველი ადამიანი ინდივიდუალური, უნიკალური და შეუცვლელია თავისი ბუნებით“.

„ადამიანის გარეშე ყველა ქმნილება უდაბნო იქნებოდა, რომელიც მოკლებულია საბოლოო მიზანს და უსარგებლოა“.

იმანუელ კანტი

„საოცრად მოუსვენარი, ჭეშმარიტად მერყევი და მარადცვალებადი არსებაა ადამიანი, იოლი არაა მასზე მტკიცე და ერთგვარი წარმოდგენის შექმნა“.

მონტენი

„გამოცანაა ღიმილი ყოველი ადამიანისა – არავის არ შეუძლია ზუსტად აღწეროს ინტერესის გამოხატულება, ენთუზიაზმი, ცხოვრების სიყვარული, სიძულვილი თუ ნარცისიზმი, რომელიც შეიძლება სხვა ადამიანის თვალებში, სიარულში, პოზასა და ინტონაციაში დავინახოთ“.

„ადამიანი უკმაყოფილოა, უბედურია, დეზორიენტირებულია, შეცდომაშია შეყვანილი, სათამაშოა ბედის ხელში, სანამ თავის ადგილს იპოვიდეს ამ სამყაროში“.

ერიხ ფრომი

„შეიძულეთ ადამიანის საქმეები და არა თვითონ ადამიანი, ცოდვები და არა ცოდვილი. ეს ორი რამ სხვადასხვა რამეა. თუ თავად ადამიანს შევიძულებთ, სიძულვილისა და ზიზღის შხამი დაახრჩობს კაცთა მოდგმას“.

მაჰატმა განდი

„როდესაც ჩაუღრმავდები და შეიცნობ ქცევების მოტივებსა და პრინციპებს, სიკეთესა და ბოროტებაზე შეხედულებები (ზნეობრივი შემეცნება) სრულყოფის უმაღლეს საფეხურს მიაღწევს. ხოლო, როდესაც სიკეთესა და ბოროტებაზე შეხედულებები (ზნეობრივი შემეცნება) სრულყოფის უმაღლეს საფეხურს მიაღწევს, სურვილები ხალასი და წრფელი იქნება. ხოლო, როდესაც სურვილები ხალასი და წრფელია, გული ალალმართალი და პატიოსანია. ხოლო, როდესაც გული ალალმართალი და პატიოსანია, ადამიანიც უკეთესი ხდება. ხოლო, როდესაც ადამიანი უკეთესია, ოჯახშიც წესრიგი და სიმშვიდე სუფევს. ხოლო, როდესაც ოჯახში წესრიგი და სიმშვიდეა, ხალხის მართვა იოლია. ხოლო, როდესაც ხალხი ადვილად იმართება, მთელი სამყარო მშვიდობაში და თანხმობაში იცხოვრებს“.

კონფუცი

„ვინც სხვა შეიცნო – ჭკვიანია, ვინც საკუთარი თავი – ბრძენი“.

ლაო ძი

„ადამიანის ცხოვრების მეხუთედი თუ მესამედი, ან იქნებ ნახევარიც კი, არაცნობიერ მდგომარეობაში მიმდინარეობს. ჩვენი ბავშვობის პირველი ხანა არაცნობიერად გადის, ყოველ ღამით არაცნობიერში ვიძირებით და მხოლოდ განსაზღვრულ შუალედებში ვფლობთ მეტ-ნაკლებად ნათელ ცნობიერებას და კაცმა რომ თქვას, ისიც საკითხავია, თუ რამდენად ნათელია ეს ცნობიერება“.

„ჩვენ ყველას მოგვსვლია – გვსურვებია ერთი, შეგვსრულებია მეორე, გამოგვსვლია მესამე. აქ აზროვნებაზე მეტად გრძნობა პრიორიტეტობს, ჩვენ გრძნობათა მიმართ ისე ავტომატურნი არა ვართ, როგორც აზროვნების, აღქმისა და წარმოდგენის მიმართ. გრძნობა გვევლინება როგორც უცხო ძალა... მე შემიძლია ნებისმიერ თემაზე ვიფიქრო, მაგრამ მე არ შემიძლია ჩემი ნების და მიუხედავად რაიმე გრძნობა ვიგრძნო!...

P.S. ეს რომ ასე ყოფილიყო, ცხოვრება ბევრად უფრო იოლი იქნებოდა. ჩვენ ძალგვიძს ახალი ცნებების ჩამოყალიბება, მაგრამ ახალი გრძნობების შექმნა კი, არა. ეს იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ადამიანს ამოძრავებს რაღაც „არა მე“, რასაც ფსიქოლოგიაში

„არაცნობიერს“ უწოდებენ და რომლის წინაშეც ადამიანი უძლურია. თუმცა ეს არ ათავისუფლებს ადამიანს პასუხისმგებლობისა და მოვალეობებისაგან“

იუნგი

„სინდისის ხმა, რომელიც მხოლოდ ჩემგან მოდის (და არა რაიმე სხვა ძალისაგან, ვთქვათ ღმერთისაგან) იმ უცნაურობით ხასიათდება, რომ მე არ მემორჩილება და პირიქით, ჩემზე ბატონობს. იგი ჩემში, ჩემზე მაღალია“.

ჰაიდეგერი

„თუ მე არ ვდგევარ ჩემს თავთან, ვინ დადგება ჩემთან? თუ მე მხოლოდ ჩემთვის ვარ, ვინ ვარ მე? თუ არა ახლა, აბა, როდის?“

თალმუდი

„თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა ხომ არ გვაქცევს თავისუფლების მონებად? იქნებ სჯობდა ყოველ კაცს მთელი მეცადინეობა მიემართა საკუთარი თავის პოვნისაკენ? იქნებ სჯობდა მთელ ერსაც ეფიქრა ამაზე . ეს ხომ უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ის თავისუფლება, რომელიც დღეს ყველა ქართველს პირზე აკერია, ვინაიდან თავისუფლებისათვის მებრძოლი მუდამ გარეთ იცქირება და ვიღაცისაგან გარედან მოელის მას. საკუთარი თავის მაძიებელი კი, თავისსავე სულში იმზირება მთელი ჩაღრმავებით. მარტოოდენ გარეთ მაცქერალი ვერც თავის თავს იპოვნის და ვერც თავისუფალი გახდება. თავისუფლების გარეთ მაძიებელი ვიღაცას მისსავე მსგავსს ეჯახება და ყოველი ასეთი დაჯახება კონფლიქტით და თავისუფლების დაკარგვით მთავრდება, ვიდრე პოვნით!“

კარლო გოგსაძე

ადამიანის პრობლემა ფილოსოფიაში

როგორც არაერთხელ აგვიღნიშნავს, ფილოსოფია მეცნიერების სპეციფიკური დარგია. ე.წ. „მარადიული პრობლემების“ წვდომისა და კვლევის პროცესში, იგი, რაღა თქმა უნდა, მიისწრაფვის დაადგინოს უცვლელი, მარადიული ღირებულებები, მაგრამ, იმავდროულად, მიზნად არ ისახავს მოიძიოს საყოველთაოდ მიღებული, ერთმნიშვნელოვანი პასუხები. შემოწმებული, მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტების არარსებობა სულაც არ არის ფილოსოფიის ნაკლი. მისთვის უფრო დამახასიათებელია ინტუიციაზე, ზეშთაგონებაზე, ლოგიკურ ანალიზზე დაფუძნებული ვარაუდები, მიხვედრები, რაც საშუალებას აძლევს ფილოსოფიას გაარღვიოს არსებული ცოდნის საზღვრები, გასცდეს მას და მოგვცეს განსხვავებული ახსნა ყოველივე იმისა, რაც ჯერ-ჯერობით მეცნიერულად დასაბუთებული არ არის. ამგვარად, ჭეშმარიტი ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი არ არის ერთგვაროვნება, თანმხვედრი პოზიცია ნებისმიერ საკითხზე. აღნიშნული ეხება ისეთ რთულ საკითხსაც, როგორიცაა ადამიანის პრობლემა.

„სახე და ხატი ღვთისა“, „გონიერი არსება“, „ბუნების გვირგვინი“, „მოაზროვნე ცხოველი“, „პოლიტიკური ცხოველი“, „ცხოვრების ჩიხი“, „ცხოვრების შეცდომა“, „მორალური და თავისუფალი არსება“ – აი, არასრული ჩამონათვალი იმ ეპითეტებისა, რითაც შეამკეს ადამიანი ფილოსოფიის არსებობის 2500 წლის განმავლობაში. და მაინც, რა არის ადამიანი? უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიაში, ალბათ, არ არსებობს ამ კითხვაზე რთული კითხვა. ადამიანი ის საიდუმლოა, რომელიც „მარადიულ პრობლემათა“ რიცხვს განეკუთვნება. ნიშანდობლივია, რომ ყოველთვის, როცა კი ადამიანი ყურადღების ცენტრში ექცეოდა, თავიდან იწყებოდა მისი არსის გარკვევა, წვდომა, შეფასება, თითქოსდა აქამდე არაფერი იცოდნენ მასზე. ეს, თავის მხრივ, მიუთითებს მხოლოდ ერთ გარემოებაზე – ფილოსოფიაში ადამიანზე რთული და წინააღმდეგობრივი „საგანი“ არ არსებობს, რომლის წვდომისა და შეფასების დროს იკვეთება მრავალი პოზიცია – გულუბრყვილო, ოპტიმიზმით გამსჭვალული და პესიმიზმით აღსავსეც.

ადამიანმა თავისი თავის გაცნობიერება მას შემდეგ დაიწყო, რაც გაუჩნდა თვითცნობიერება. ამის ნათელი დასტურია პირველყოფილი მითები და რელიგიები. ადამიანის თვითშემეცნების ფილოსოფიური გააზრება გაცილებით გვიან მოხდა, რადგან ფილოსოფია, როგორც კულტურის დამოუკიდებელი ფორმა, ცივილიზაციის განვითარების გვიანდელ ხანას მიეკუთვნება. თვით ფილოსოფიის წიაღში ადამიანის პრობლემა გვიან დადგა. დასაწყისში იგი მიმართული იყო სამყაროს საიდულოებების ამოხსნაზე. სოფისტებმა პირველად, დაახლოებით ძვ. წ. V საუკუნეში, დაიწყეს მობრუნება ადამიანისაკენ. პროტაგორამ წამოაყენა თეზისი იმის თაობაზე, რომ ადამიანი არის ყველაფრის საზომი. მაგრამ ადამიანის საკითხი, როგორც ფილოსოფიის ძირითადი პრობლემა, სოკრატემ დასვა. მან დელფოს ტაძრის შესასვლელის წარწერა – „შეიცან თავი შენი“ – აქცია ფილოსოფიური განსჯის ღერძად. ეს იყო გარდატეხის მომენტი. ამით დამთავრდა ძველბერძნული ფილოსოფიის ევოლუციის კოსმოლოგიური პერიოდი და დაიწყო ახალი ანთროპოლოგიური პერიოდი. ადამიანის არსის გარკვევა და დადგენა ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი წამყვანი თემა გახდა. ძნელია ადამიანური გონის ფსიქიკაზე, მისი ცხოვრების საზრისსა და მიმართულებაზე დაბეჯითებით, კატეგორიულად რაიმეს თქმა. ამ პრობლემის მოხსნა არ შეუძლია არც მეცნიერებას, არც კაცობრიობის მიერ დაგროვილ მრავალსაუკუნოვან ცოდნას და ზუსტ დაკვირვებებს; არც ზედმიწევნით გაანგარიშებულ თანამედროვე თეორიებს ძალუძთ ნათელი მოჰფინონ, ადამიანთან დაკავშირებულ პრობლემებს, რადგან, თუ იმანუელ კანტს დავესესხებით, „ყოველი ადამიანი ინდივიდუალური და შეუცვლელია თავისი ბუნებით“.

ამ პრობლემის შესახებ ანტიკურ ფილოსოფიაში პოლარულად განსხვავებულ შეხედულებებს ვხვდებით. ჩინელი ფილოსოფოსი მენ-ძი ამბობდა, რომ ადამიანი დასაბამიდან არის კეთილი. ვაიძულოთ მას ჩაიდინოს ბოროტება – ეს ნიშნავს განვახორციელებინოთ თავისი ბუნების საწინააღმდეგო ქმედება. „ადამიანურობა – ეს არის ადამიანის გული“. სუნ-ძი კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მისი თქმით, „ადამიანს აქვს ბოროტი ბუნება“. არისტოტელესათვის დასაშვებია არსებობდეს ადამიანი მონა, მეტყველი იარაღი, რომ-

ლის გათავისუფლება მან შემცვლელი იარაღის შექმნასთან დააკავშირა. მაისტერ ეკჰარტი ანტიკურობისათვის მკრეხელური ფორმულით გამოხატავს ადამიანის ადგილს სამყაროში – „ღმერთი და მე, ჩვენ ერთსა და იმავე საქმეს ვაკეთებთ და ღმერთი ვერ განხორციელდება სულის გარეშე“. ხმამაღლა ნათქვამი სიტყვებია, ეჭვი რომ არ ერეოდეს. თუმცა, არანაკლებია იმანუელ კანტის განცხადება: „ადამიანი თავად ქმნის თავის ღმერთს და თან მორალური გაგებით, ამგვარი რამ თვით უნდა შექმნას კიდეც, რათა მასში ეთაყვანებოდეს მას, რომელმაც თავად ის შექმნა“. აქ საკითხი უფრო რთულად დგას. თუკი ამოდენა ნდობაა, მაშ რა საჭიროა „კატეგორიული იმპერატივი“? რას ნიშნავს კატეგორიული იმპერატივი და თავისუფლება ერთდროულად? ამ კითხვაზე პასუხს სცემს კაცობრიობის განვითარების გზა, სადაც ადამიანმა იმდენჯერ მოიპოვა ნდობა თავისი ადამიანობით, რამდენიც უნდობლობა თავისი არაადამიანურობით. ჩვენი სიცოცხლე ხომ მერყეობს ცხოველურ და ღვთაებრივ საწყისს შორის, მათ შორის, რაც უფრო დიდია, ვიდრე ადამიანური და რაც უფრო კნინია, ვიდრე ადამიანური. ჩვენს ქვევით წარმავლობა და ამაოებაა, ჩვენს ზევით – სულიერება და კეთილმსახურება. ადამიანი ხომ მუყაითიცაა, რომელიც სასწაულებს ახდენს და უზარმაცესიც, რომელიც გაწვდილი ხელით ელოდება მოწყალებას.

ადამიანის ორგვარ ბუნებას კარგად გამოხატავს კარლ იასპერსის ცნობილი სიტყვები – „ის, რადაც ვიცი ჩემი თავი, არა ვარ სინამდვილეში თვით მე“. მართლაც და, რა არის „ცხოველური“ და რა „წმინდა“ სპეციფიკურ-პიროვნული ადამიანში. როგორია ჩემი დამოკიდებულება სამყაროსადმი, რა ადგილი უჭირავს ამ სამყაროში ერთი შეხედვით უძლურსა და პატარას, მაგრამ სინამდვილეში გრანდიოზული ძალებისა და უნარების მქონე არსებას, ძნელი ამოსაცნობია, უფრო მეტიც – ამოუცნობია. ცოცხალი ადამიანი არ არის რაღაც გაყინული სახე და ამიტომ არ შეიძლება იყოს აღწერილი როგორც ნივთი, საგანი. ფაქტობრივად შეიძლება ბევრი ითქვას ჩემზე, ჩემს ხასიათზე, ჩემს საერთო ცხოვრებისეულ ორიენტაციაზე; გამჭრიახმა გონებამ შეიძლება მიაღწიოს დიდ სიღრმეებს ჩემი ფსიქოლოგიური სტრუქტურის აღწერაში, მაგრამ მე მთლიანობაში, მთელი ჩემი ინდივიდუალობა, ჩემი თვითგამოხატულება, რომელიც

იმდენად უნიკალურია, როგორც ჩემი თითების ანაბეჭდი, არასდროს შეიძლება იყოს სრულად შეცნობილი. ორი იდენტური ადამიანი არ არსებობს. არცერთი ქცევის აქტი არ შეიძლება იყოს აღწერილი ამომწურავი სახით. „გამოცანაა ღიმილი ყოველი ადამიანისა – არავის შეუძლია ზუსტად აღწეროს ინტერესის გამოხატულება, ენთუზიაზმი, ცხოვრების სიყვარული, სიძულვილი თუ ნარცისიზმი, რომელიც შეიძლება სხვა ადამიანის თვალებში, სიარულში, პოზასა და ინტონაციაში დავინახოთ“ (ე. ფრომი).

სოკრატედან მოყოლებული, მთელი ფილოსოფიის ისტორიის მანძილზე არ შენელებულა ადამიანის რაობის კვლევა, მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ამ პრობლემას კანტის ფილოსოფიაში მიეცა. კანტმა მთელი სიღრმით გააანალიზა ადამიანის თეორიული და პრაქტიკული უნარების შესაძლებლობანი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადამიანის არსებას მხოლოდ აუცილებლობა და თეორიული მოღვაწეობა არ განსაზღვრავს; ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, არის თავისუფალი ავტონომიური არსება. თავისუფლება არის ის, რითაც ადამიანი ახორციელებს ნამდვილ ყოფიერებას. ამდენად ადამიანად ყოფნის უპირველესი ნიშანია თავისუფლება. კანტის მიხედვით, თავისუფლება ნიშნავს კატეგორიული იმპერატივით ცხოვრებას. კატეგორიული იმპერატივი, წარმოადგენს ნებისყოფისა და გონების ისეთ ურთიერთობას, სადაც ნება გონების მოთხოვნებს ემორჩილება. გავიხსენოთ ეს მოთხოვნები – ადამიანი ყოველთვის მიზანია და არა საშუალება, ე. ი. სხვა ადამიანს ნუ გაიხდი შენი მიზნის მიღწევის საშუალებად; მოიქეცი ისე, რომ შენი ნებისყოფის მაქსიმას შეეძლოს გახდეს ამავე დროს საყოველთაო კანონმდებლობის პრინციპი. ამრიგად, ნებისყოფის მოვალეობაა დაიცვას გონების ის მოთხოვნები, რომელიც საზოგადოებისათვის მისაღებია. ამ შემთხვევაში თავისუფლება ასე განისაზღვრება: თავისუფლება არის გაცნობიერებული მორალური კანონი და მის საფუძველზე მოქმედება.

კანტის მიერ აღიარებული ნებისყოფის თავისუფლების კანონი, რომელიც გონების უპირატესობაზე იყო დამყარებული, ჰეგელმა კიდევ უფრო გააფართოვა. თუ კანტს გონების ცნებაში ტრანსცენდენტალური და იმანენტური გონება ჰქონდა გააზრებული, ჰეგელ-

მა ის აბსოლუტური გონით შეცვალა. ჰეგელთან თავისუფლების ცნების განმარტება იგივე დარჩა, რაც კანტთან იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კანტთან კანონმდებელია ტრანსცენდენტალური გონი, ხოლო ჰეგელთან – აბსოლუტური გონი. ჰეგელთან თავისუფლება ნიშნავს აბსოლუტური გონის გაცნობიერებას და ამის საფუძველზე მოქმედებას. აქ უმაღლესი მიზანია აბსოლუტური გონი, რამაც ყველაფერი გამოავლინა სამყაროში და რითაც ყველაფერი ისევ მისკენ მიისწრაფვის. ასეთმა გაგებამ წარმოშვა მოთხოვნა – მიზანი ამართლებს საშუალებას, სადაც ადამიანი მიზნის ნაცვლად, საშუალებად გადაიქცა.

ირაციონალისტური ფილოსოფია, კანტისაგან განსხვავებით, ამტკიცებს, რომ გონებისა და ნებისყოფის ურთიერთობის გარკვევის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნებას, ნებისყოფის თავისუფლებას და არა გონებას. მათი აზრით, ადამიანის ნამდვილ თავისუფლებასთან მხოლოდ ამ შემთხვევაში გვექნება საქმე, რადგან გონება და ცნობიერება თავისუფლებას კი არ ანიჭებს ადამიანს, პირიქით, ის ბორკავს ადამიანის თავისუფლებას. ირაციონალიზმის წარმომადგენელი, გერმანელი ფილოსოფოსის **არტურ შოპენჰაუერის** (1788 – 1860 წწ.) მიხედვით, ნებისყოფის არაცნობიერი ძალა განსაზღვრავს ცნობიერებას და გონებას, ის იმორჩილებს ინტელექტს, რადგან არაცნობიერ სტიქიურ ძალასთან ჭიდილში ცნობიერება უძლურია. ამის ნათელსაყოფად შოპენჰაუერი ამბობს: „როგორც ლაგამი ვერ მოთოკავს აწყვეტილ ცხენს, ასევე ვერ მოთოკავს ინტელექტი და ცნობიერება ადამიანის ნებას“. მისი აზრით, სამყაროში ყველაფერს მსოფლიო ნება მართავს და არა გონება. ამიტომ ადამიანი თავისუფალია მაშინ, როდესაც მოქმედებს და ცხოვრობს ნების კარნახით და არა გონების ამკრძალავი პრინციპებით. იგივე პოზიციას იცავს ფრიდრიხ ნიცშე. მისი აზრით, ადამიანს წარმართავს არაცნობიერი ძალა, რომელიც მას ძალაუფლების მოპოვებისაკენ მოუწოდებს. ნიცშე სიცოცხლის ფილოსოფიის წარმომადგენელია და როგორც უკვე ვიცით, მისთვის მიუღებელია კატეგორიული იმპერატივით ცხოვრება. მისი აზრით, კატეგორიული იმპერატივი მონად და მორჩილად ხდის ადამიანებს. მოთხოვნა „შენ უნდა!“ ადამიანს ართმევს თავისუფლებას. ის კლავს ნამდვილ

სიცოცხლეს. ამის საპირისპიროდ ნიცშე აყენებს თავის იმპერატივს „მე მსურს“, რომელიც არაფრად აგდებს არსებულ ღირებულებებს და იბრძვის აბსოლუტური თავისუფლებისათვის. „მე მსურს“ არის ზეკაცის იმპერატივი და უმაღლესი ღირებულება. ნიცშემ საზოგადოებას მოუწოდა იბრძოლოს საკუთარი თავისუფლების დამკვიდრებისთვის. მაგრამ მისი ზეკაცი გაურკვეველ ვითარებაში ვარდება, რადგან ღმერთს უარყოფს და ღმერთის ფუნქციებს კისრულობს. რაკი ეს ასეა, მაშინ ზეკაცმა ყველაფერზე თვითონ უნდა აგოს პასუხი. ასეთ ვითარებაში ადამიანის თავისუფლება ჩიხში შედის და გამოსავალს ვერ პოულობს. ეს არის ნიჰილისტური მსოფლმხედველობა, რომელიც საზოგადოებაში ანარქიას უშვებს.

გერმანელი ფილოსოფოსის **ვილჰელმ დილთაის** (1833 – 1911 წწ.) მიხედვით, ღმერთი აძლევს ადამიანს თავისუფლებას, არ ბოჭავს მის შემოქმედებას და არ ადგენს საბოლოო უცვლელ მიზანს. მისი აზრით, ადამიანის სიცოცხლის მიზანი თვითონ ადამიანშია, ის არ არის გარედან თავსმოხვეული იძულება. სიცოცხლის სწრაფვა ადამიანის შინაგანი იმპულსია. ვინაიდან ცხოვრება უსასრულოდ მრავალმხრივია თავის შესაძლებლობებით, ადამიანი ამ შესაძლებლობებს მისი შინაგანი თავისუფლების, მისი ინტუიციური ალღოს მიხედვით ირჩევს. დილთაის აზრით, ადამიანის სულიერ სამყაროს მეცნიერული ახსნის მეთოდებით ვერ შევიცნობთ. ადამიანის სულიერ მისწრაფებებს, ლტოლვებს და თავისუფლებას მხოლოდ გაგების უნარი წვდება. დილთაი ფილოსოფიის ამოცანად მიიჩნევს სიცოცხლის საიდუმლოების ამოხსნას. სულმა თავის თავში უნდა ჰპოვოს განხორციელების შესაძლებლობა და არა საბოლოო მიზანში. აქ თვითონ მოძრაობაა ღირებულება და არა საბოლოო მიზანი, რადგან სიცოცხლე ვერ ეგუება გაჩერებას და საზღვარს. ამიტომ, ადამიანის შემოქმედებითი თავისუფლება განუსაზღვრელია, მან თავისი თავი უნდა იპოვოს ისევ თავის თავში და ამით გახდეს თავისუფალი არსება.

ექსისტენციალიზმი სიცოცხლის ფილოსოფიის გაგრძელებაა. მას საფუძველი ჩაუყარა XIX საუკუნის დანიელმა ფილოსოფოსმა **სორენ კირკეგორმა** (1813 – 1855 წწ.), რომელიც დაუპირისპირდა ჰეგელის ფილოსოფიას. მისი აზრით, ჰეგელთან ლაპარაკია მხოლოდ

კაცობრიობაზე, სახელმწიფოზე და სხვა ზოგად პრობლემებზე, მაგრამ არაფერია მოცემული პიროვნების ონტოლოგიურ საწყისებზე. კირკეგორის მიხედვით, შეუძლებელია ლოგიკური აზროვნებით ამ საწყისების ძიება, რადგან ასეთ მსჯელობას პარადოქსამდე მივყავართ და აუხსნელი რჩება ადამიანის არსება. მისი აზრით, ადამიანი უნდა დაემყაროს ღმერთის რწმენას, მხოლოდ რწმენას შეუძლია იხსნას ადამიანი აუხსნელი პრობლემებისაგან, რომლებიც ადამიანში შიშსა და სასოწარკვეთას იწვევს. შიში არის ადამიანური ყოფიერების ყველაზე მნიშვნელოვანი ექსისტენცია, მის გარეშე არავითარი გადაწყვეტილების მიღება არ არსებობს, ის მუდამ თან სდევს ადამიანურ ცხოვრებას. შიშის განცდას მრავალი ვითარება იწვევს, მაგრამ ყველაზე მთავარია სიკვდილის შიში. ამიტომ ადამიანმა გამოსავალი რელიგიურ რწმენაში უნდა ჰპოვოს. კირკეგორმა ამით რელიგიურ ექსისტენციალიზმს ჩაუყარა საფუძველი.

რელიგიურ ექსისტენციალიზმს ავითარებს XX საუკუნის ფილოსოფოსი **კარლ იასპერსი** (1883 – 1969 წწ.). მისი აზრით, ადამიანი თავის სულიერ ყოფიერებაში ღრმად მაშინ იყურება, როდესაც იგი შიშსა და სასოწარკვეთაში ვარდება. სწორედ ამ დროს ხდება გამოუცნობი ექსისტენციების ხედვა და ადამიანი თავისუფლდება ყოველგვარი საზრუნავისაგან, რომელიც ტვირთად აწევს მას. ამ განცდაში ხდება ექსისტენციალური გაცისკროვნება, ადამიანი თავიდან იცილებს სხვა წარმოდგენებს და გადადის ღმერთის განცდაზე. ადამიანს მხოლოდ ღმერთის რწმენა აძლევს საშუალებას გავიდეს თავისი იმანენტური სამყაროდან ტრანსცენდენტურ სამყაროში და ეზიაროს ჭეშმარიტებას. რწმენა არის ადამიანის შინაგანი თავისუფლების გამომხატველი. ღმერთი და თავისუფლება განუყოფელია. ადამიანი თავისუფლებას ავლენს არჩევნის შესაძლებლობაში, რაც განპირობებულია შინაგანი ექსისტენციის კარნახით. მაგრამ ადამიანი თავისი ყოფიერებით კავშირს ამყარებს საზოგადოებრივ ყოფიერებასთან ანუ მუნყოფიერებასთან. თუ მოქმედება მუნყოფიერებით იქნება განპირობებული, მაშინ არავითარ თავისუფლებასთან არ გვექნება საქმე. იასპერსის მიხედვით, მუნყოფიერებაში მიზნის მისაღწევად ყველაფერი (მტრობა, ვერაგობა, სიცრუე...) დასაშვებია, მაგრამ ექსისტენცია გამორიცხავს

ასეთ მისწრაფებებს. ექსისტენცია ნიშნავს სიყვარულისკენ, ღვთაებრივისაკენ სწრაფვას. სწორედ ასეთი სწრაფვა აქცევს ადამიანს თავისუფალ არსებად. ღვთაებრივისაკენ სწრაფვა არის შიშის დაძლევისა და სიმშვიდის დამკვიდრების ერთადერთი გამოსავალი.

არარელიგიური ექსისტენციალიზმი ჩამოაყალიბა გერმანელმა ფილოსოფოსმა **მარტინ ჰაიდეგერმა** (1889 – 1976 წწ.). არარელიგიური არა ნიცშეს გაგებით, არამედ იმ გაგებით, რომ ფილოსოფია უნდა ემყარებოდეს თავის თავს, ის თავისი თავიდან უნდა გამოვიდეს და არა სხვისგან, რადგან ადამიანი თავისუფლებას მხოლოდ საკუთარ ყოფიერებაზე მიმართული რეფლექსიის გზით აღწევს. მისი აზრით, რეფლექსიისა და საკუთარი ყოფიერების ღრმა განცდის საშუალებაა დრო. დრო არის ყოფიერებისა და მუნყოფიერების შემაკავშირებელი. საკუთარი ყოფიერებიდან მუნყოფიერებაში გასვლა და იქედან დაბრუნება საკუთარ თავში დროის განცდით შეიძლება. ამიტომ დრო არის ისტორიის ჰორიზონტი. ჰაიდეგერის აზრით, პიროვნული ყოფიერების ძირითადი ექსისტენციებია შიში, შეშფოთება, ზრუნვა და სხვა. ეს ექსისტენციები ყოველთვის თან ახლავს ადამიანის განწყობას. განწყობა არის პიროვნული ყოფიერების ფუნდამენტური ექსისტენციალი. ყოფიერებაზე მოძღვრებას ჰაიდეგერმა ფუნდამენტური ონტოლოგია უწოდა. საკუთარი თავი რომ იპოვოს, საჭიროა პიროვნება განერიდოს პრაქტიკულ და პრაგმატულ მეცნიერულ განწყობას, განიწმინდოს მისგან და გადავიდეს მისი არსებობის ძირითად ექსისტენციებზე. ადამიანი ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს, თუ გააცნობიერებს თავის მოკვდაობას და წარმავლობას. მხოლოდ სიკვდილის შეცნობა იძლევა ნამდვილი სიცოცხლის გააზრების საშუალებას. სიცოცხლის გააზრება მხოლოდ გაგებით შეიძლება, მისი მეცნიერული ახსნა შეუძლებელია. ამიტომ გაგება ადამიანური ყოფიერების ძირითადი მახასიათებელია. პიროვნული თავისუფლების საზრისი იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა უნდა აირჩიოს გზა მომავლისაკენ, ანუ აირჩიოს საკუთარი მომავალი.

ჰაიდეგერის მიხედვით, გაგება არც ფსიქოლოგიურია და არც ლოგიკური, ის არც გარედან მოდის და არც შიგნიდან, არამედ ის არის სამყაროში ყოფნის წესი. ადამიანი მაშინ ხდება პიროვნება,

როცა ის გადაწყვეტილებას იღებს. გადაწყვეტილება კი ნიშნავს ნახტომს მომავალ ყოფნაში.

არარელიგიური და ათეისტური ექსისტენციალიზმის პოზიციაზე დგას ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი **ჟან პოლ სარტრიც** (1905 –1980 წწ.). სარტრის ფილოსოფიის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების საკითხი. მისი აზრით, ადამიანი ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას, რადგან თავისუფალია. სწორედ თავისუფლებაა ადამიანისთვის ისეთი რამ, რომელიც მისგან მოითხოვს ყველაფერზე, ყველა მოქმედებაზე პასუხისმგებლობას. ამიტომ მისთვის მიუღებელია რელიგიური ექსისტენციალიზმის ამოსავალი დებულება, რომლის მიხედვითაც ღმერთი არის ადამიანის თავისუფლების გარანტი, რომ ღმერთისკენ სწრაფვა არის ადამიანის თავისუფლების განხორციელება. თავისუფლების ასეთი გაგება, ადამიანს უხსნის პასუხისმგებლობას საკუთარ მოქმედებაზე და ეს პასუხისმგებლობა ღმერთზე გადადის.

სარტრის აზრით, ღმერთი რომ არსებობდეს, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მომავლის განსაზღვრა, მაგრამ, რადგანაც ის არ არსებობს, მომავლის განსაზღვრა შეუძლებელია. ამიტომ ადამიანი ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში თვითონ იღებს გადაწყვეტილებას და თავადვე უნდა აგოს პასუხი მასზე. პასუხისმგებლობის გადატანა არც საზოგადოებაზე და არც ღმერთზე არ შეიძლება. არ არსებობს რაიმე სხვა ღირებულება, რომელიც ადამიანზე მაღლა დგას. ამდენად თავისუფლება ადამიანისთვის არის მძიმე ტვირთი, რადგან ყველაფერზე თვითონ უნდა აგოს პასუხი. სარტრის აზრით, ძალიან ძნელია იყო ადამიანი, რადგან „ადამიანი დაწყევლილია თავისუფლებით“. სარტრის მიხედვით, არ არსებობს ობიექტური და საყოველთაო ღირებულებები, არამედ ყველა ღირებულებას ადამიანი თვითონ ქმნის.

ადამიანური ექსისტენციალები: სიცოცხლის საზრისი, სიკვდილ-სიცოცხლე, სიყვარულის ფილოსოფია

სიცოცხლის საზრისი. ცხოვრების მიზნისა და ადამიანური არსებობის დანიშნულების პრობლემები თითოეული ჩვენგანის ყველაზე რთული და მტკივნეული საფიქრალია, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს ყველა დროსა და ეპოქაში აღელვებდათ ეს საკითხები, მაინც XX საუკუნემ მისცა მათ განსაკუთრებული, დრამატული დატვირთვა და აქტუალობა. წინა პლანზე წამოწეულმა გლობალურმა პრობლემებმა უკვე არა მარტო ცალკეული ადამიანის, არამედ მთელი კაცობრიობის წინაშე დასვა საბედისწერო კითხვა – „ყოფნა-არ-ყოფნა“.

სიცოცხლე ყველასათვის უნივერსალური ღირებულებაა. ე. ფრომი აღნიშნავდა, რომ ადამიანში ბიოლოგიურად არის ჩადებული სიცოცხლის სურვილი. მნიშვნელობა არ აქვს, ბედნიერები ვართ თუ უბედურები, მარადიულობა, უკვდავება მაინც გვსურს, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით – ადამიანი სასრული არსებაა. სწორედ საკუთარი არსებობის სასრულობას განიცდის იგი ყველაზე მტკივნეულად და არამარტო სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, მარადიულობასთან შეყრის ჟამს, არამედ მთელი ცხოვრების განმავლობაში. ადამიანი იბრძვის სიცოცხლისა და უკვდავებისათვის. ტანჯვა, ტკივილი, განცდები მხოლოდ უბიძგებს მას ფიქრისაკენ სიცოცხლესა და უკვდავებაზე. საკუთარ თავში ჩაღრმავების დროსაც იგივე კითხვები აწუხებს – რა არის სიკვდილი – მარადიული ცხოვრება, თუ უკვალოდ გაქრობა? რა არის სიცოცხლე? რაშია სიცოცხლის აზრი და მიზანი? და საერთოდ, რისთვის ვცხოვრობ? ეს ურთულესი კითხვებია. ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რამეთუ არ არსებობს ყველასათვის მისაღები აბსოლუტური მნიშვნელობის იდეალი, საზომი, რომელთან მიმართებაშიც განისაზღვრებოდა ადამიანის საქციელის სიმაღლე თუ სიმდაბლე. ერთისათვის ერთ საზომს აქვს მნიშვნელობა, მეორისათვის – მეორეს. მაშინ რა გამოდის? თუკი არ არსებობს ერთადერთი ჭეშმარიტი და ურყევი კრიტერიუმი, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი

იქნება ერთხელ და სამუდამოდ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან კარგი და ცუდი, სიკეთე და ბოროტება, რა ვქნათ? თუკი ეს შეუძლებელია, ეგებ უკეთესია ვიცხოვროთ ისე, როგორც ვცხოვრობთ – დღევანდელი დღით, მხოლოდ ჩვენთვის და მივყვეთ მდინარებას?

მაქს ფრიშის რომანის „**Homo faber**“ („მწარმოებელი ადამიანი“) მთავარი გმირის, ინჟინრის, ცხოვრების წესი სამყაროსადმი ტექნიცისტურ, საოცრად პრაქტიკულ და მომხმარებლურ დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა. იგი ყოველივეს განიხილავდა, როგორც მხოლოდ და მხოლოდ რაოდენობრივ ერთეულს, როგორც გამოსათვლელსა და გამოსაანგარიშებელ ვითარებას; ყურადღების გარეშე რჩებოდა სიცოცხლე, როგორც განცდა; სიყვარულისა და მეგობრობის ღირსი ქალი ყავდა, რომელსაც გულრწრფელად უყვარდა იგი, მაგრამ ადვილად შეელია, რადგან „ანგარიშისათვის“ სულერთი იყო, ამ ქალთან იმეგობრებდა, თუ სხვასთან; ქალიშვილით არც დაინტერესებულა, არც შეუტყვია, რომ ის არსებობს, რადგან „ანგარიშში“ ამით არაფერი შეიცვლებოდა. ამ პრინციპებით იცხოვრა მთავარმა გმირმა მანამ, სანამ განუკურნებელი სენით დაავადებული არ წარსდგა სიკვდილის წინაშე. ამას წინ უსწრებდა სისხლის აღრევა საკუთარ ქალიშვილთან, ამ უკანასკნელის გარდაცვალება და ინჟინრის მიერ იმის გაგება, რომ ეს ქალი მისი შვილი ყოფილა. აი, მხოლოდ მაშინ მიხვდა ის, რომ მისი ცხოვრების გზა ყალბი ყოფილა.

სამწუხაროდ, ყველაზე ხშირად მხოლოდ მარადიულობასთან პირისპირ შეყრის დროს იწყება განვლილი ცხოვრების კრიტიკული გააზრება, რაც, როგორც წესი, დაჟინებულ თავისმართლებას უფრო ჰგავს, ანუ მონანიებას განვლილი ცხოვრების გამამართლებელი მტკიცებულებები ახლავს თან. მაშასადამე, ამ დაჟინებულ თავისმართლებაში საკუთარი თავის გამტყუნების განცდა იმალება.

მაგრამ ხომ შესაძლებელია, რომ არსებობდეს სულ სხვა ღირებულების სიცოცხლე, უფრო მაღალი დანიშნულება ადამიანური არსებობისა, რომლისთვისაც ღირს სამსხვერპლოზე მივიტანოთ ყოველივე ის, რაც ღირებული და ძვირფასია ჩვენთვის, თვით სიცოცხლეც კი? როგორი ცხოვრება მიმაჩნია კარგად და მისაბაძად? რაშია ჩემი არსებობის არსი და დანიშნულება? – ვეკითხებით საკუთარ თავს და დროთა განმავლობაში ვხვდებით, რომ თავად მე თუ

არ გავეცი პასუხი ამ კითხვებს, თავად მე თუ არ შევმატე აზრი საკუთარ ცხოვრებას, არავინ გააკეთებს ამას ჩემს მაგიერ. უნდა გვახსოვდეს, რომ სიკვდილის პირისპირ, მარადიულობის წინაშე ყველა მარტო რჩება საკუთარ თავთან.

ამ ექსისტენციალური სიტუაციის უკეთ გააზრებისათვის, ამერიკელი ფილოსოფოსი ვ. ერხარდი ადამიანებს ოკეანის უკაცრიელ ნაპირთან ღამით მარტო მისვლას სთავაზობს. შეხედეთ კაშკაშა, მოციმციმე ვარსკვლავებს მოწმენდილ ცაზე, გაუზიარეთ მათ თქვენი წუხილი და სიხარული, შიში და განცდები, სურვილები და ეჭვები, გაანდეთ ყველაზე პირადული და იდუმალი, რაც გაღელვებთ და გაწუხებთ სულის სიღრმემდე და დაინახავთ, როგორი გულგრილები არიან ოკეანე და ვარსკვლავები თქვენი განცდების, სურვილების, ეჭვების მიმართ, თქვენ რომ ასე გიღრღნით გულს და გტანჯავთ.

„განა ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ მათზე, ვინც მოკვდა?“– კითხულობს ექსისტენციალიზმის წარმომადგენელი ჟან პოლ სარტრი – ჩვენ დრო არ გვყოფნიდა. არა. მე არსად მელოდებიან. მე არ დავტოვებ სიცარიელეს. მეტრო სავსეა. რესტორნები გადატენილი. თავი გისკდება უამრავი წვრილ-წვრილი საზრუნავისაგან. მე გამოვუსხლტი ცხოვრებას. იგი კი დარჩა უცვლელი, სავსე, როგორც კვერცხი. მე უნდა მახსოვდეს, რომ შეუცვლელი არ ვარ. მე კი მინდოდა, რომ შეუცვლელი ვყოფილიყავი, რაღაცისთვის და ვიღაცისთვის“.

რა თქმა უნდა, საზოგადოებაში ადამიანი თავს ესოდენ მარტოსულად არ აღიქვამს, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ დრომდე, ვიდრე არ მიხვდება, რომ სხვებსაც, მის მსგავსად, საკუთარი ცხოვრება აქვთ და ასევე დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტონ უაღრესად პირადული, საკუთარი ცხოვრების საზრისისა და დანიშნულების პრობლემები. ადამიანი გულგრილი და განურჩეველი არ არის საკუთარი არსებობის სხვადასხვა შესაძლებლობებისადმი, ყოველთვის ირჩევს რომელიმე მათგანს. მისი ცხოვრება ყოველთვის ამ მიზნის განხორციელების პროცესს წარმოადგენს და ამიტომაც გარემოსადმი ინდივიდუალური და განსხვავებული დამოკიდებულებით ხასიათდება. და კიდევ ერთი, თავის განსაკუთრებულ მიზანს რომ ისახავს და ახორციელებს, ადამიანი იმავდროულად იზიარებს ხოლმე მოცემულ საზოგადოებასა და ეპოქაში მოქმედ საყოველთაო იდე-

ალს; ან, შესაძლოა, კრიტიკულად ეკიდება ამ უკანასკნელს და მის გადალახვას ცდილობს. სულერთია, ასეთ შემთხვევაშიც ადამიანი თავის ცხოვრების მიზანს საყოველთაო იდეალის მიხედვით სახავს. თუმცა ყოველი ახალი ოდესმე მოძველდება და ადგილს სხვა ახალ იდეალს უთმობს.

ცდილობს რა გაიაზროს თავისი დანიშნულება, ადამიანი აუცილებლობით მიდის უკვდავების იდეამდე, სულის, შთამომავლობის დატოვების, თავისი საქმეების უკვდავების იდეამდე. მართალია, ადამიანი მოკვდავია, მაგრამ მას არ უნდა, უფრო მეტიც, არ შეუძლია შეეგუოს იმ აზრს, რომ ყველაფერი, რაც მასთან არის დაკავშირებული, შემოფარგლულია დროის პატარა მონაკვეთით – მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებით. სწორედ აქედან გამომდინარეობს ადამიანის მცდელობა დაუკავშიროს თავისი ბედი სოციალურად მნიშვნელოვან მიზნებს, სულიერ აღორძინებას. „სულისა და მისი უკვდავების რწმენის გარეშე ადამიანის არსებობა არაბუნებრივი, წარმოუდგენელი და რაც ყველაზე მთავარია, აუტანელია“, აღნიშნავდა ფ. დოსტოევსკი. სწორედ ამაში ხედავდა იგი თვითმკვლელობის უმთავრეს პრობლემას. ამისი მიზეზი კი, მისი აზრით, ერთადერთია – უკვდავების რწმენის დაკარგვა.

ყველაზე მისაღებ გზას რელიგია გვთავაზობს: უფალთან ცოცხალი, უშუალო ურთიერთობა, ღმერთის მსახურება. ბრმა, მონური დაქვემდებარება კი არა, არამედ შეგნებული, გაცნობიერებული მორჩილება, ანუ პირადი, თავისუფალი არჩევანი, ეკლესიური ცხოვრების წესი და მარადიული ცხოვრება, რომელსაც თითოეული ჩვენგანი საკუთარი მიწიერი ცხოვრების წესის მიხედვით დაიმსახურებს.

მეორე შესაძლებლობა, რომელიც პირველს არ გამორიცხავს, მდგომარეობს იმაში, რომ რეალურ სამყაროში თავი მიუძღვნა ადამიანებს, სიკეთისა და სამართლიანობის სამსახურს. როდესაც ადამიანი ღრმად ჩაუფიქრდება საკუთარი ცხოვრების საიდუმლოს, გაიაზრებს თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას, გააცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას, თუნდაც მხოლოდ უახლოესი ადამიანების წინაშე, მისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი აუცილებლად შეიცვლება. ეს ნაბიჯია მორალური თვითდამკვიდრებისაკენ, ზნეობრივი ცხოვრებისაკენ. ამ დროს, სრულიად შესაძლებელია,

ცხოვრება უფრო გართულდეს, ვიდრე მაშინ, როდესაც მხოლოდ საკუთარი თავისთვის ვცხოვრობთ, პირადი ინტერესებით ვართ შემოფარგლული. მაგრამ ეს გზა ცხოვრებას უფრო აზრიანს, სავსეს, ბედნიერს, მშვენიერს ხდის. ამ დროს კი არ ვარსებობთ, სისხლსავსე ცხოვრებით ვცხოვრობთ, განვიცდით, შევიგრძნობთ სიცოცხლეს და ვაცნობიერებთ, რომ მარტო მე კი არ მჭირდება სიყვარული, მხარში დადგომა, დახმარება, მეც ვჭირდები სხვას და თავს ბედნიერად ვგრძნობ, როდესაც შემიძლია თანადგომა და დახმარების ხელს ვუწვდი სხვა ადამიანს. რომელ გზას აირჩევს ადამიანი, ამ ორიდან ერთს, თუ რომელიმე სხვას, მხოლოდ მისი გადასაწყვეტია და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. პასუხსაც თავადვე აგებს საკუთარ არჩევანზე. მარკუს ავრელიუსი აღნიშნავდა: „ჩვენი ცხოვრება ის არის, რასაც ჩვენ მასზე ვფიქრობთ“.

სიკვდილ – სიცოცხლის პრობლემა. „არავინ იცის, რა არის სიკვდილი, და არის თუ არა იგი უდიდესი სიკეთე ადამიანისათვის, მიუხედავად ამისა, მისი ეშინიათ, თითქოსდა იციან, რომ იგი უდიდესი ბოროტებაა“

პლატონი

„ყველამ იცის, რომ სიკვდილი გარდაუვალია, მაგრამ რაკი ის მოახლოებული არ არის, არავინ მის შესახებ არ ფიქრობს“

არისტოტელე

„ბოროტებათაგან უსაშინლესი – სიკვდილი – ჩვენ სრულიად არ გვეხება, რადგან როცა ჩვენ ვართ, სიკვდილი არ არის, ხოლო როდესაც სიკვდილი არის, ჩვენ აღარ ვართ. ასე რომ, იგი სრულებით არ ეხება არც ცოცხლებს , არც მკვდრებს, რადგან პირველთათვის იგი არ არსებობს, მეორენი კი უკვე აღარ არსებობენ“.

ეპიკურე

„სიცოცხლე სევდაა, ადამიანად ყოფნის სევდა... სიკვდილიც სევდაა, ადამიანად არყოფნის სევდა“.

გოდერძი ჩოხელი

„სიცოცხლე ცვლაა... ყველაფერი ცვლაა... ამ ცვლაში არა რჩება რა... რჩება?! მაგრამ მისი ხელშეხება ძნელია... სიცოცხლის სიტკბო კი ეს ხელშეხებაა“.

გრიგოლ რობაქიძე

„ყველაფერი შეიძლება წავართვათ ადამიანს, სიმდიდრე, ნიჭი, სამშობლო, სიცოცხლე და ა.შ., მაგრამ ვერვინ ვერ წაართმევს სხვას მის სიკვდილს“.

ჰაიდეგერი

„უმაღლესი და დიადი სიბრძნე, რომელსაც ადამის ძემ შეიძლება მიაღწიოს, ისაა, რომ ყოფნას არავითარი უპირატესობა არ გააჩნია არყოფნასთან, სიცოცხლეს – სიკვდილთან“.

„ეჭვი და გაკვირვება ფილოსოფიის დასაბამია, სიკვდილი კი – მისი მარადიული მუზა“.

ნაპო კვარაცხელია

გურამ რჩეულიშვილის ფილოსოფიურ-ექსისტენციალური ესსეს „სიკვდილი მთებში“, მთავარი გმირი ალფრედ კურელა ცოლ-შვილთან ერთად ხევსურეთში მოგზაურობს. ტრაგიკული შემთხვევის შედეგად მისი მეუღლე იღუპება. ალფრედ კურელა „თხემით-ტერფამდე“ ჭეშმარიტი გერმანელია, თავდაჭერილი, გაწონასწორებული. მას სიკვდილი არ აშინებს და ცივი გონებით აღიქვამს მომხდარს: „ჰო, სამწუხაროდ, არ იყო ავად, არ იყო მოხუცი, იჯდა ცხენზე ბედნიერი, მხიარული, თავის საყვარელ ქმარ-შვილთან ახლოს, საუბრობდა და უცებ მოხდა ყველაფერი. ეს უკვე მოხდა. ამას ვთვლი მე ერთ-ერთ ბედნიერ სიკვდილად, თუ შეიძლება ასე დაერქვას სიკვდილს“. სულ

რამდენიმე წუთის წინ მისი სიცოცხლით სავსე მეუღლე მასთან ერთად ტკბებოდა ცადაზიდული, ბუმბერაზი მთების მკაცრი სილამაზით, მასთან ერთად სახავდა მომავალი მოგზაურობის გეგმებს და ასეთი სიმშვიდე? „რა ყოჩაღი ხალხია, კაცო, ქართველი ალბათ თავს მოიკლავდა მის ადგილას“, უკვირთ ქართველებს, „ვინც დარდი არ იცის, მან არც მხიარულება იცის, არც რაიმე ძლიერი გრძნობა; მან მხოლოდ გონებით იცის, რომ არის ძლიერი და სუსტი განცდები“. უფრო საკვირველი ის იყო, რომ მათი პატარა შვილიც არ განიცდიდა დედის სიკვდილს: „ჩვენ ასე გავზარდეთ შვილები; მოკვდა, ესე იგი მოკვდა... მკვდარს რას უშველი მაგითი? ვერაფერს. სიკვდილი ხომ სიცოცხლესთან ერთად იბადება. მე ასე მწამს, შვილები უფრო მკაცრად აღზარდეთ, მაგ პრინციპით“. ავტორს გარკვეულწილად მოსწონს მომხდარისადმი გერმანელი მწერლის დამოკიდებულება, რომელიც ყველანაირად იკავებს თავს, რომ თავისი დარდით სხვა არ შეაწუხოს. შესამოწმებელია მხოლოდ ერთი რამ: როდესაც კურელა მარტო დარჩება საკუთარ თავთან, საყვარელი მეუღლის მოგონებასთან, მის სულთან, როდესაც მოიხსნის ნიცშესეულ ნიღაბს, რას იზამს მაშინ, გაუმკლავდება კი სიკვდილის ძალას? ქალაქში დაბრუნებული ალფრედ კურელა სასტუმროს ნომერში „იდგა გაშეშებული, მარტოკა, და იმ საწოლს უყურებდა, რომელზედაც ქალის კაბა და ყვითელყვავილებიანი ხალათი იყო გადაკიდებული. გურამმა რაღაც იგრძნო ტკივილივით: იქით ოთახიდან ხმამაღლა ქვითინი მოისმა. სარკეში ჩანდა: ალფრედი დაეცა საწოლზე, აღრიალდა. ის ტიროდა, ხმამაღლა ქვითინებდა და ზორბა მხრები უძაგძაგებდა“.

სიკვდილს ვერაფერი დაამარცხებს! მის წინაშე ყველა თანასწორია.

სიკვდილის პრობლემა ფილოსოფიაში ერთ–ერთი უმთავრესი, შეიძლება ითქვას, კლასიკური თემაა. ანტიკურ ფილოსოფიაში უკვალოდ გაქრობის საშიშროების, სიკვდილის გონივრული გააზრების ცდა სოკრატესთანაა მოცემული. იგი რადიკალურად უდგება სიკვდილს და თვლის, რომ სიკვდილი სიცოცხლის უარყოფა არ არის. სიკვდილი სულის გაყრაა სხეულთან, მისი გათავისუფლებაა საპყრობილედან, სადაც იგი მიწიერი ცხოვრების მანძილზე იმყოფებოდა. ეს მართლაც რომ სიკეთეა, ან ტკბილი მარადიული ძილი.

პლატონის კონცეფციაში სიკვდილი ძილი არ არის; ძილი სი-

ცოცხლეა. თავისუფლდება რა სხეულისაგან, სული ჭეშმარიტებას სწვდება, ბევრად უკეთ აზროვნებს, ესმის და გრძნობს, ვიდრე სხეულის ტყვეობაში ყოფნის დროს. ადამიანს შეუძლია „ბედნიერად დაასრულოს თავისი დღენი“, ანუ მოიპოვოს უკვდავება, თუკი ჩაუღრმავდება, მიმართავს თავის სულს და თავად შექმნის ისეთ წანამძღვრებს, სულს რომ მისცემს შესაძლებლობას დაუბრუნდეს ღვთაებრივ ბუნებას.

სიკვდილის განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს სტოიციზმი. სტოელების აზრით, ყოველ დღეს სიკვდილისაკენ მივყავართ. მაგრამ ეს ტრაგიკული წამი მიზნად არ უნდა დავისახოთ, არ უნდა მივისწრაფვოდეთ მისკენ. ადამიანს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ თავად სიცოცხლე შეიცავს სიკვდილს. ამიტომ საბედისწერო ჟამთან მიახლოება მხოლოდ პროცესია, რომლის დროსაც სიკვდილმა თავი აუცილებლად უნდა იჩინოს. იგი ისევე აღმოცენდება სიცოცხლისაგან, როგორც კოკორიდან ყვავილი.

„სიკვდილი – ჭეშმარიტად გენიოსი – სულის ჩამდგმელია, ან ფილოსოფიის მუზაგეტია“, აღნიშნავდა არტურ შოპენჰაუერი. მისი აზრით, მარადიული განსვენება რომ არ იყოს, ფილოსოფიაც არ იარსებებდა – საკუთარი არსებობის სასრულობას რომ განიცდის ადამიანი, იგი თავისთავს უღრმავდება და ყოფიერების საიდუმლოებებზეც ფიქრდება.

ნეტარი ავგუსტინე ასე ახასიათებს ადამიანის არსებობას სიკვდილის წინაშე: დაწყებული იმ წამიდან, როდესაც ჩვენ მოკვდავ სხეულში აღვმოჩნდებით, ადამიანი მიდის იმ გზით, რომელსაც სიკვდილთან მივყევართ. სიკვდილი მისთვის ერთი წლის შემდეგ უფრო ახლოს იქნება, ვიდრე ერთი წლის წინ, ხვალ უფრო ახლოს იქნება, ვიდრე გუშინ ან დღეს, რამოდენიმე ხნის შემდეგ უფრო ახლოს, ვიდრე ახლა და ახლა უფრო ახლოს, ვიდრე ერთი წუთის წინ. ყოველდღე მცირდება მანძილი ადამიანსა და სიკვდილს შორის.

რატომ ეშინია ადამიანს სიკვდილის? სიკვდილის შიშის ახსნისას მიშელ მონტენი წიგნში „ცდები“ იშველიებს მითოლოგიური პერსონაჟის ტანტალოსის მაგალითს. ტანტალოსი ღმერთებმა იმით დასაჯეს, რომ იგი თოკზე მობმული მოათავსეს დიდი კლდის ქვეშ. ტანტალოსი ყოველ წამს განიცდიდა შიშს, რომ თოკი გაწყდებოდა და

იგი გაიჭყლიტებოდა. ასეთივე მდგომარეობაშია, მონტენის აზრით, ადამიანი – იგი მთელი ცხოვრება სიკვდილის შიშის ქვეშ იმყოფება და არ იცის როდის გაიჭყლიტება მისი სიმძიმით. რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომ თავი დააღწიოს ამ შიშს, გათავისუფლდეს ამ შიშზე ფიქრისაგან? მონტენი შემდეგ გამოსავალს გვთავაზობს: „ჩვენს დაბადებასთან ერთად დაიბადა ჩვენთვის მთელი სამყარო და, ზუსტად ასევე, მთელი სამყარო ჩვენს სიკვდილთან ერთად მოკვდება. ამიტომ ჩვენთვის ტირილი იმის გამო, რომ ასი წლის შემდეგ აღარ ვიქნებით, ისეთივე სიბრიყვეა, როგორც მოთქმა-გოდება იმის გამო, რატომ ასი წლის წინ არ ვცხოვრობდითო. სიკვდილი ახალი სიცოცხლის დასაბამია“. ე.ი. სიკვდილი სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია და სწორედ მასში უნდა გამჟღავნდეს ცხოვრების საზრისი? „დაუჩოქა სამგზის სანატრელმა, სთხოვა დიდოსტატს სული. ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთაგან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რადგან სვეტიცხოველისთვის შეეწირა იგი“ (კონსტანტინე გამსახურდია, „დიდოსტატის მარჯვენა“).

კონსტანტინე გამსახურდიამ ნოველაში „ზარები გრიგალში“ იდეალური სიკვდილის“ გენიალური სურათი დახატა: მნათე ოქროპირას მთელი ცხოვრება იმედში ცხოვრება იყო, რადგან არასოდეს ქონია იგი. მნათე ნებაყოფლობითი მგლოვიარეც იყო, რადგან არ ეკუთვნოდა იგი ამ ქვეყანას, ამ სინამდვილეს. იმ დიდ ხუთშაბათს, როდესაც ყოფილი მნათე სამრეკლოზე ავიდა, რათა ზარები ჩამოერეკა, მოვარდა ქარი, ეძგერა სამრეკლოს, შეარყია, შეატორტმანა და მნათესთან ერთად მიწაზე დაანარცხა. „ეს იყო: მოვიდნენ მეზარის საფლავზე ათასი წლების მიცვალებულნი. იტირეს, იგლოვეს, ვინც გლოვად არ ღირდა და ვისი სიცოცხლე მთლად იყო გლოვა... არ ვიცი, სად წაიყვანეს მნათე ოქროპირას საბრალო სული. ჩემთვის ეკითხათ. მე ვიტყოდი: ასწიეთ ადამიანი მაღლა, სულ მაღლა და დასვით მნათე ოქროპირ შემოქმედის მარჯვენა მხარეს, რადგან სიბნელეში დაბრმავებულმა ერთხელ მაინც იგრძნო აღტაცება და ექსტაზში დაიღუპა“. „იდეისათვის სიცოცხლე-სიკვდილი ადამიანს ბედნიერს ხდის“, აღნიშნავდა გოეთე.

ლევ ტოლსტოის აზრით, „თუ სიცოცხლე სიკეთეა, სიკვდილიც სიკეთეა, რადგან იგი აუცილებელი პირობაა სიცოცხლისა“; ან „თუ

სიკვდილი საშინელია, ამის მიზეზი ჩვენშია და არა სიკვდილში, რამდენადაც უკეთესია ადამიანი, მით უფრო ნაკლებად ეშინია მას სიკვდილისა“. ეშინოდა თუ არა თავად ტოლსტოის სიკვდილის? თომას მანს ამის თაობაზე მეტად საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული: ტოლსტოი იასნაია პოლიანადან სიკვდილს გაექცა, რადგან იგრძნო, რომ მიქელ გაბრიელმა მოაკითხაო. გაექცა, მაგრამ მას სიკვდილი გზაში, რკინიგზის ერთ პატარა სადგურში მაინც დაეწია.

სიკვდილის ფენომენი მეტად თავისებურად და საინტერესოდ არის გააზრებული ექსისტენციალიზმში, თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ფილოსოფიურ მიმდინარეობაში. ექსისტენციალიზმის ყველა წარმომადგენლისათვის ფილოსოფიის მთავარ პრობლემას არსებობის პრობლემა წარმოადგენს. გამოყოფენ პრობლემათა რიგს, რომლებიც ექსისტენციასთან ანუ ჭეშმარიტ არსებობასთან არის დაკავშირებული: მარტოობა, უიმედობა, ადამიანური არსებობის „კრახი“, მისი ყოფიერება სიკვდილისათვის და სხვა. ამ მიმდინარეობისათვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ის, თუ როგორ აღვიქვამ საკუთარ თავს „მე“ და აქედან – სამყაროს, რომელიც ყოველთვის ჩემია და უჩემოდ უაზრობაა. არსებობა არის ყოფიერება სამყაროში, სამყარო კი არსებობის ჩარჩოებია.

ადამიანის სტრუქტურა, როგორც „სამყაროში ყოფნა“ არის შიში. შიში ჩვეულებრივი მდგომარეობაა, განსაკუთრებით შიში სიკვდილის წინაშე. ადამიანი არასოდეს განიცდის სხვის სიკვდილს. სიკვდილი, ისევე როგორც არსებობა, ყოველთვის ჩემია. ადამიანის არსებობა არის სიკვდილის წინა ყოფნა. ადამიანი განიცდის შიშს იმიტომ, რომ ის არ არის თავის „სახლში“, იგი არის „სამყაროს ყოფნაში“, სადაც ძრწოლვას განიცდის. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჰაიდეგერის გაგებით, ადამიანი კი არ განიცდის შიშს, არამედ მისი (ადამიანის) არსებობა თვით არის შიში. ე.ი. ადამიანისათვის შიში გარეგანი რამ კი არ არის, არამედ შინაგანი. ანალოგიურია სიკვდილიც. იგი ყოფიერების თავისებური ფორმაა და არსებობას თავიდანვე ახასიათებს – „დაიბადა თუ არა ადამიანი, ის უკვე საკმაოდ მოზრდილია სიკვდილისათვის“. ამიტომ ადამიანი ვერ გაექცევა სიკვდილს, იგი თავიდანვე გადასროლილია სიკვდილში. სიკვდილი არ ემართება ადამიანს, იგი მისი არსებითი მომენტია.

როგორ ცდილობს ადამიანი სიკვდილის შიშისაგან თავის დაღწევას? იგი გარბის თავის თავიდან და თავშესაფარს საზოგადოებაში ეძებს. აქ იგი ხდება ისეთივე, როგორც ყველა, არაფრით გამოირჩევა სხვებისაგან; ისევე როგორც ყველა სხვა, ისიც დადის სამსახურში, კითხულობს გაზეთებს, ესწრება კინოსეანსებს, სპექტაკლებს და სხვების დარად ისიც მსჯელობს მათზე; სტუმრობს მეგობრებს, უყურებს ტელევიზორს; როგორც ყველა სხვა, განიცდის სიამოვნებას, კმაყოფილებას ან უკმაყოფილებას, ანუ ადამიანი ითქვიფება სხვა ადამიანებში, კარგავს ინდივიდუალობას და გადაიქცევა ჩვეულებრივ საშუალო, უპიროვნო ადამიანად. ასეთი არსებობა ადამიანისათვის დამამშვიდებელია, მაგრამ სიკვდილის წინაშე შიშს მაინც ვერ ძლევს და უბრალოდ თავს იქცევს, ვიდრე სიკვდილი ეწვევა. საიდუმლოება კარგავს მნიშვნელობას. ადამიანი უკვე აღარ გრძნობს პასუხისმგებლობას საკუთარი არსებობის წინაშე. იგი თავისუფლდება თავისი არსებობისაგან. ყველა არის „სხვები“ და არავინ არის „ის თავად“. ლაყბობა, ცნობისმოყვარეობა, თვალთვალი, დასმენა... სწორედ ეს არის ადამიანის ყოველდღიური არსებობა საზოდადოებაში. ეს ამშვიდებს ადამიანს. ყოველდღიური ადამიანური არსებობისათვის სიკვდილი მხოლოდ და მხოლოდ „შემთხვევაა“. სამყაროში ყოველ წუთს, ყოველ წამს ვიღაც კვდება. სიკვდილი ყველაზე ხშირი ფაქტია ამ ქვეყანაზე. ექსისტენციალისტები თვლიან, რომ სწორედ სიკვდილის მომენტში ვლინდება ადამიანის ჭეშმარიტი „მე“, სწორედ მაშინ შეიცნობს იგი სიღრმისეულად საკუთარ თავს და სამყაროს მთლიანად. უპიროვნო ადამიანი სხვის სიკვდილს არ განიცდის, ეს მას არ ეხება. მან იცის, რომ „სხვები“ კვდებიან, მაგრამ „ვიღაცა, მე ხომ ჯერ არა, მე მერე, ოდესმე“. ეს „მე ჯერ არა“, გარკვეულწილად, არის თავის დამშვიდება სიკვდილის წინაშე. ექსისტენციალიზმის წარმომადგენლები მიუთითებენ ლევ ტოლსტოის მოთხრობაზე „ივან ილიას ძის სიკვდილი“, სადაც სიღრმისეულად არის განხილული ადამიანის ძრწოლვა სიკვდილის წინაშე. ლოგინად ჩავარდნილმა, განუკურნებელი სენით დაავადებულმა ივან ილიას ძემ იცის, რომ მალე უნდა მოკვდეს, მაგრამ მაინც არ უნდა. ის ვერ იჯერებს ამ რეალობას. მას ახსენდება გიმნაზიაში ნასწავლი სილოგიზმი – „ყველა ადამიანი მოკვდავია; კაიუსი

ადამიანია, ე.ი. კაიუსი მოკვდავია“. იგი ამ სილოგიზმს ყოველთვის ჭეშმარიტებად თვლიდა, მაგრამ მხოლოდ ვიღაც კაიუსისათვის და არა მისთვის, ივან ილიას ძისათვის. ასე გაურბოდა სიკვდილთან შეხვედრას ივან ილიას ძე, მაგრამ სიკვდილმა მასაც მიაკითხა და დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ იგი „კაიუსი“ ხდებოდა. ეს კი ტანჯავდა მასაც და მის ახლობლებსაც. იგი ვერ ხვდებოდა, ვერ აცნობიერებდა, როგორ იარსებებს სამყარო მის გარეშე, ვისთვის ამოვა მზე, ვისთვის გაიშლება ყვავილი, ისე, როგორც მას ვის ეყვარება დედა, ცოლი, შვილები... ეს შეუძლებელია! ანუ „სამყარო ყოველთვის ჩემია და ჩემს გარეშე უაზრობაა!“ მაგრამ რეალობა იმარჯვებს – სიცოცხლე შობს სიკვდილს. ადამიანი სიკვდილს ვერ გაექცევა, ეს მისი ცხოვრების ლოგიკური დასასრულია. ესაა მხოლოდ, რომ იგი ვერ ეგუება ამ აზრს, მის გარეშე ცხოვრებას იგონებს და ამით თავს იმშვიდებს, რადგან სიკვდილი ისეთი ღირებულებაა, რომელზე დაფიქრებაც კი აგონიას, დარდს, შეშფოთებას იწვევს. ძნელია სძლიო მას. მაგრამ, ალბათ, აუცილებელია, გავითავისოთ და გავაცნობიეროთ, რომ „ყოველივეს თავის დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში“ **(ეკლესიასტე, 3.1).**

გოდერძი ჩოხელი „სიკვდილთან ღრეობა“

ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავში დღესასწაულზე „საუცხოო გარეგნობის ყმაწვილი კაცის სახით“, „ტანზე გაზაფხულის პეპელაის ფერის სამოსელით“ მოსული სიკვდილი ადამიანებს მის სიკეთესა და აუცილებლობაში არწმუნებს: „იცი რა, დედი, მე კი არ გკლავთ, თვითონ ვკვდები თქვენში, თვითონ ვიტანჯები სულის გაყრისას. მე ვასრულებ იმას, რაც უნდა მოხდეს, ანდა ყოველთვის ხდება ის, რაც მოსახდენია ... აუცილებლობა კი სრულიად არ გამორიცხავს შემთხვევითობას... მოდი, მანამ ცოცხალი ვარ, დაივიწყეთ სიკვდილი; იცით, თუ გინდათ, ერთ საიდუმლოს გეტყვით: დღეს მარტო ჩემი

მოკვლა შეგიძლიათ, თუ მომკლავთ, აღარასოდეს მოკვდებით, მაგრამ ამას ნუ იზამთ, უჩემოდ გაგიჭირდებათ სიცოცხლე. აღარც სიყვარული გექნებათ, აღარც სიხარული...“

თემის ერთ-ერთი წევრის ჯღუნას მიერ ცეკვის დროს სიკვდილის მოკვლამ ადამიანებში დიდი წუხილი და სინანული გამოიწვია. ბერი ტირილით დაეკონა სიკვდილს და გულიდან ფრთხილად ამოაძრო ხანჯალი... შავოსანმა დედაბერმა კი ხმით დაიტირა... სასწრაფოდ გათხარეს მიწა და ფიცრების მაგიერ მინდვრის ყვავილებში ჩაასვენეს სიკვდილი, მერე ზემოდანაც ყვავილები დააყარეს და დიდხანს ვერავინ ბედავდა მიწის მიყრას.

„მეორე დღით კი ამოვიდა მზე, ოღონდ იქიდან კი არა, საიდანაც ამოდიოდა ხოლმე, გუშინდელი საფლავიდან ამოვიდა, აიწია, აიწია და საშუადღეოდ დაჯდა ცაზე“.

გოდერძი ჩოხელი კითხვებზე რა არის სიცოცხლე? რა არის სიკვდილი? პასუხობს: სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის სევდა, სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა.

ასეთი სიკვდილი აღდგომის ტოლფასია, ასეთია მწერლის დასკვნა.

„თუ სიყვარული უბრალო ცხოველობაა, მაშინ იგი არ არის ლამაზი, მშვენიერი. თუ იგი უსხეულო ვნებაა, მაშინ იგი არაა ცოცხალი, ხორცშესხმული. იგი ერთსა და იმავე დროს მშვენიერი სულის სურვილიცაა და ლამაზი სხეულის წყურვილიც... მშვენიერი სული ლამაზი სხეულისათვის ლტოლვილი და ლამაზი სხეული მშვენიერი სულისათვის ვნებული“.

გრიგოლ რობაქიძე

სიყვარულის ფილოსოფია. „მე ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური უცხო არ არის ჩემთვის!“ – ეს გამონათქვამი ისეთივე ძველია, როგორც თავად ადამიანი. როგორ გგონიათ, რა ჰქონდათ მხედველობაში ძველ მოაზროვნეებს? ალბათ, ემოციები და აღ-

ტკინება, ქვენა გრძნობები და ვნებები. ეს უნიკალური თვისებებია, მათ ცხოველურ სამყაროში ვერ მოიძიებთ. ადამიანური არსებობის დრამატულობა სწორედ რომ „ვნებებით თრობაში“ ვლინდება და უმთავრესი მათ შორის სიყვარულია... კაცობრიობა ერთ დღესაც ვერ იცხოვრებს მის გარეშე...

სიყვარულის საზოგადოდ მიღებული განმარტება, ისევე როგორც მრავალი ფილოსოფიურ-ეთიკური კატეგორიისა, არ არსებობს. სიყვარული სიკეთისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვაში გამოვლენილი უზოგადესი პრინციპია – თვლიდა პლატონი და სწორედ მან აამაღლა სიყვარულის ცნება ფილოსოფიური განსჯის დონემდე. პლატონმა სიყვარულის სახეების იერარქია შემოგვთავაზა: უმდაბლესი დონე – ფიზიკური სიამოვნების მიღებაა (ეს დონე, მისი აზრით, შეუფერებელია ადამიანისათვის, განცხრომა და სიტკბოება, რომლისკენაც ასე მიილტვის ადამიანი, დათრგუნვას საჭიროებს); შემდეგი საფეხური ფიზიკური სილამაზის კონკრეტული ნიმუშისადმი სიყვარულია, ამას წმინდა სილამაზისადმი სიყვარული მოსდევს და, ბოლოს, აღაპე (ძმური სიყვარული); აგრეთვე, არსებობს სიბრძნისადმი სიყვარული, რომელიც, ისევე როგორც რელიგიური განცდები, შესაძლებლობას იძლევა ჩავწვდეთ და შევიცნოთ აბსოლუტური ჭეშმრიტება. არისტოტელე მიიჩნევდა, რომ სხეულის განცხრომა, ხორციელი სიტკბოება მაინც სიკეთეა. მართალია, სიყვარულის საფუძველი სექსუალური გრძნობაა, თუმცა მისი დაყვანა მარტოოდენ სექსუალურ ლტოლვაზე არ შეიძლება. სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, სულთა კავშირი, პიროვნების თვითგამომჟღავნებისა და თვითდამკვიდრების საშუალება უნდა იყოს.

ძველი ბერძნები ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ სიყვარულის სხვადასხვა სახეს: ეროსი, გაღმერთებული ეროსი – ეროტი, სიყვარული – ვნება, სიყვარული, როგორც თავისუფალი ლტოლვა.

ეროსი – თავდაპირველად, ადამიანური ვნება, ადამიანის სიღრმისეული, ძლიერი სექსუალური ლტოლვა; ძველბერძნულ მითოლოგიაში – სიყვარულის ღმერთი. უკვე ჰომეროსთან გვხვდება სიტყვა „ეროსი“, მაგრამ იხმარება არა როგორც ღმერთის სახელი, არამედ როგორც „სურვილის“ აღმნიშვნელი არსებითი სახელი. სოფოკლეს „ანტიგონეში“ ეროსი გვევლინება დამანგრეველი ძალის

მქონე, დაუმარცხებელ ღმერთად. მითოლოგიაში ეროსს შთამომავლობა არ ჰყავს, ღმერთების გამრავლებაში არ მონაწილეობს, მაგრამ მის ნებას წინ მაინც ვერავინ აღუდგება – ვერც ღმერთები და ვერც ადამიანები. ეროსს შეუძლია ღმერთებისა და ადამიანების გონება საკუთარ ნებას დაუმორჩილოს, მას ძალა შესწევს გააგიჟოს თავისი მსხვერპლი, სიკეთე ბოროტებად მოაჩვენოს.

პლატონი დიალოგში „ნადიმი“ მოგვითხრობს, რომ უძველეს დროში ადამიანები ცხოვრობდნენ როგორც უკვდავი ჰერმოფროდიტები, ანუ მათ სქესი არ ქონდათ. ზევსმა დასაჯა ისინი და ორ საწყისად გაყო. ამდენად, ეროსი მასთან გაგებულია, როგორც აუტანელი მოლოდინი იმ მთლიანობის აღდგენისა, რომელიც ადამიანებს ადრე ჰქონდათ; როგორც სასიკვდილოდ განწირული ადამიანების დაუოკებელი სწრაფვა შთამომავლობაში მოიპოვონ უკვდავება; როგორც დაბადება სილამაზეში.

სქესის წარმოშობა თავდაპირველი ერთიანი და ძლიერი ბუნების დარღვევაა ადამიანში. რას ემსახურება სქესობრივი ცხოვრების ცენტრალური ფენომენი, სქესობრივი ლტოლვა და რა მოიაზრება მასში? პლატონი გვთავაზობს შემდეგ მითოლოგემას: ერთ დროს ადამიანები იყოფოდნენ არა ორი სქესის, არამედ სამი სქესის მიხედვით – მამრობითი, მდედრობითი და ე.წ. მესამე სქესი, რომელიც ერთ არსებაში აერთიანებდა ორივე სქესისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. ეს უკანასკნელნი წარმოადგენდნენ ჭეშმარიტ ანდროგინებს (ბერძ. – ორსქესა არსება). ადამიანებმა ღმერთების დამხობა განიზრახეს. განრისხებულმა ღმერთებმა დასაჯეს ისინი – თითოეული ინდივიდი შუაზე გაყვეს, რის შედეგადაც ყოველი მათგანი სქესობრივად ნაკლული აღმოჩნდა. სწორედ ამით არის განპირობებული ადამიანის დაუოკებელი სწრაფვა იპოვოს თავისი ნახევარი და აღადგინოს ოდესღაც დაკარგული მთლიანობა. ეს სწრაფვა წარმოადგენს ეროსის, სქესობრივი სიყვარულის გამოხატულებას. ამ მითის საფუძველზე პლატონი გვიხსნის არა მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ერთმანეთისადმი სექსუალურ ლტოლვას, არამედ სქესობრივი ცხოვრების ჰომოსექსუალურ და ლესბოსურ გამოვლინებებსაც. ის ქალური და მამაკაცური ბუნების ინდივიდები, რომლებიც ანდროგინის გაყოფის შედეგად წარმოიშვნენ, ერ-

თმანეთს ეძებენ და ერთმანეთისკენ მიილტვიან, რაც, თავის მხრივ, გამოხატულებას პოვებს მამაკაცისა და ქალის სიყვარულში. ის ინდივიდები, რომლებიც მდედრობითი სქესის არსებების გაყოფით წარმოიშვნენ, პირველსაწყისი მდგომარეობის აღსადგენად ერთმანეთისაკენ მიისწრფვიან და ლესბოსური სიყვარულის მიმდევრები ხდებიან. ხოლო მამკაცური სქესის არსებების გახლეჩილი ნაწილების ლტოლვა პირველქმნილი საწყისის აღსადგენად, ჰომოსექსუალურ სწრაფვას აძლევს სათავეს.

პლატონის აზრით, სქესობრივი მიმართების (ეროსის) საზრისი, არ ამოიწურება მხოლოდ ადამიანის ანდროგინული პირველსახის აღდგენით. ეროსი, სქესობრივი სიყვარული, არ დაიყვანება მხოლოდ ერთიანობისაკენ ლტოლვაზე. ეროსს სხვა მისიაც აქვს მინიჭებული. ადამიანი, პლატონის აზრით, ორ საწყისს აერთიანებს: მარადიული, ზეგრძნობადი იდეების მჭვრეტელი გონება და გრძნობად-სხეულებრივი საწყისი. ეროსიც ამ ორი საწყისის ზეგავლენას განიცდის და ამდენად მასში მჟღავნდება ორმხრივი სწრაფვა ადამიანის უკვდავებისაკენ. როგორც სხეულებრივ, მოკვდავ არსებას, ადამიანს უკვდავებასთან ზიარება მხოლოდ სხეულებრივი გარდასახვის გზით შეუძლია. ამისათვის კი აუცილებელია შთამომავლობის შექმნის მიზნით დედაკაცური და მამაკაცური არსებების შეერთება. შთამომავლობაში ადამიანი სხეულებრივ უკვდავებას მოიპოვებს. ამ უკვდავებას გზას უკაფავს ეროსის ერთი, მდაბალი ასპექტი. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, პლატონისათვის ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, გონითი არსებაა და სწორედ გონის უკვდავებაა მისთვის მთავარი და გადამწყვეტი. გონითი საწყისის უკვდავსაყოფად კი ადამიანმა თავისი ეროსის ძალა გონისაკენ უნდა მოაბრუნოს, გონითი შემოქმედების საშუალებით თაყვანი სცეს თავის შეყვარებულს. ლამაზი სხეულისაკენ ეროტიული ლტოლვა მან თანდათან უნდა აამაღლოს და მიმართოს სილამაზის სულ უფრო გონითი ფორმებისაკენ. მან უნდა იაროს სილამაზის გზით მანამ, სანამ არ მიადგება სილამაზის უმაღლეს საფეხურს – თვითონ წმინდა სილამაზეს. თუ ვინმეს, დასძენს პლატონი, მოუხდება იხილოს ეს უმაღლესი სილამაზე ადამიანის სხეულისა, ყოველგვარი ადამიანური ფერებისაგან თავისუფალი, ანუ წმინდა, ყოველგვარი შენარევების

გარეშე არსებული სილამაზე, ის შეძლებს შექმნას, გონით დაბადოს სილამაზის ისეთი სრულყოფილი შედევრები, რომლებიც ადამიანის გონის უკვდავების ჭეშმარიტი საწინდარია. მაშასადამე, ეროსი, სქესობრივი სიყვარული, პლატონის მიხედვით, ადამიანში მოქმედი ისეთი ლტოლვაა, რომელიც აკავშირებს, აერთიანებს სხვადასხვა სქესის ადამიანებს და ამით ხელს უწყობს მთლიანი ადამიანის აღდგენის პროცესს. ეროსი, ამავე დროს, არის თაობათა დამაკავშირებელი ხიდი, როგორც სხეულებრივი, ასევე გონითი უკვდავების მოპოვების საშუალება და სამყაროში სილამაზის განხორციელების აუცილებელი პირობა.

მითები ადამიანური გრძნობების სიძლიერეზე მოგვითხრობენ. ამ დრომდე ვსაუბრობდით ადამიანებს შორის სიყვარულზე, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეროსი ბევრად უფრო ფართო ცნებაა. მითოლოგია მოგვითხრობს ღმერთებისა და ადამიანების სიყვარულზეც. უძველეს შუმერულ მითოლოგიაში გილგამეში ერთდროულად მიწიერ და ზეციურ არსებად არის წარმოდგენილი. ღმერთების ყურადღება სასიამოვნო უნდა ყოფილიყო ნახევარღმერთისათვის, იგი ხომ ქალღმერთ იშტარს შეუყვარდა უსაზღვროდ. მაგრამ გილგამეშმა უარყო მისი სიყვარული და სასწაულებრივ გადაურჩა შეურაცხყოფილი ქალღმერთის შურისძიებას.

ძველი ბერძნების უმაღლეს ღვთაებას ზევსს უამრავი შვილი ჰყავს, მათ შორის დედამიწის მკვიდრი ქალბატონებისგანაც. მეხისმტყორცნელის ოქროს ტახტის ქვეშ მეხი გრგვინავს. კლდის ორი ნაპრალიდან ზევსამდე მოკვდავთა ლოცვა, აღსარება და ერთგულების ფიცის ღაღადი აღწევს. ღმერთი ყურს უგდებს და გადაწყვეტილებებს იღებს. მაგრამ თავადაც საკმაოდ ხშირად ამჟღავნებს და ემორჩილება ადამიანურ გრძნობებსა და ვნებებს. მოეწონება მოკვდავი ქალი? უჩვეულოდ შემოსილი ზევსი მყისვე ტოვებს ოლიმპოს მთას და თავისი ვნების ობიექტს ეუფლება...

გარდაცვლილ სულთა სამეფოს ღმერთმა ჰადესმა ზევსისა და ნაყოფიერების ქალღმერთის დემეტრას ქალიშვილი მოიტაცა – პერსეფონე. ერთხელ იგი მინდორში ყვავილებს აგროვებდა და თან ცდილობდა ნარცისებისათვის არც კი შეეხედა, რადგან დედამ მკაცრად აუკრძალა მათი მოწყვეტა. გოგონას თვალი მაინც გაექცა და სი-

ქათქათითა და სიდიდით გამორჩეული ნარცისი დაინახა, ცდუნებამ სძლია, ხელი გასწია ყვავილისაკენ და... უცებ, მიწა გაიხსნა, ჰადესის შავი ცხენებით შებმული ოთხთვალა ეტლი გამოჩნდა და პერსეფონე მიწისქვეშა სამეფოში აღმოჩნდა. მისი ღვთაებრივი სილამაზით ჰადესი დატყვევებულა, ეროსს მასზეც გამოუცდია თავისი ძალა.

ძველი ეგვიპტური მისტერია: სეთმა, ბოროტმა ძალამ, თავისი ძმის, ღვთაებრივი ოსირისის დაღუპვა გადაწყვიტა. ნადიმზე მან დიდოსტატურად ნაჭედი კიდობანი გამოიტანა და მოტყუებით აიძულა ოსირისი შიგ ჩაწოლილიყო. სეთმა კიდობანი დახურა, დაჭედა, გამდნარი ტყვია ჩაასხა და ნილოსში შეაცურა. კიდობანმა იცურა და ფინიკიაში, ბიბლოსთან გაირიყა. იქ იგი თავისი ქერქით დაფარა მიწიდან ამოზრდილმა უზარმაზარმა ხემ, რომელიც ბიბლოსის მეფემ მოჭრა და თავისი სასახლის სვეტად გამოიყენა. ისიდა ყველგან ეძებდა ძმასა და მეუღლეს. ბოლოს იპოვა და მეფესაგან მისი სხეული გამოითხოვა. ქალღმერთმა დაბრუნებული კიდობანი ქალაქის კედელში დამალა, მაგრამ სეთმა მაინც მოახერხა მისი მალულად მოტაცება. მან ძმის სხეული 14 ნაწილად დაჭრა და მთელ ეგვიპტეში მიმოაბნია. ერთგულმა მეუღლემ, დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ, მოძებნა და შეაკავშირა საყვარელი ქმრის სხეულის ყველა ნაწილი.

ძველ ეგვიპტეში ორგიები ისიდას მსახურების კულტის შემადგენელი ნაწილი იყო. ეს მისტერია გასაგებს ხდიდა ყოველივეს: თეთრ სამოსელში გამოწყობილი ათი ქურუმი საკურთხევლის ცენტრში იყრიდა თავს. ორიც, ქალის ტანსაცმლით შემოსილი, ნეფთისსა და ისიდას განასახიერებდნენ, რომლებიც გულდათუთქულნი დასტიროდნენ ოსირისს... მისტერია გულისხმობდა დასაჭურისების რიტუალს – ისიდას ერთგული თაყვანისმცემლები ნებაყოფლობით იკოდებოდნენ, რამეთუ ეს სისხლიანი მსხვერპლი ღმერთის დანაწევრებულ სხეულზე მიანიშნებდათ.

კიდევ ერთი მისტერია, რომელიც ძაგრევსის (ბერძ. „დიდი მონადირე“) მკვლელობის ისტორიას აღადგენს. თქმულების გადმოცემა, ძაგრევსის მკვლელობასა და სიკვდილის შემდგომ აღდგომაზე (წმინდა ვაცის სახით), რიტუალური მოქმედებების თანხლებით სრულდებოდა. აქ სისხლიანი ორგია თამაშდებოდა. გამძვინვარე-

ბული, ცხოველური, ავხორცული ჟინით შეპყრობილი ადამიანები ავკაცობას ჩადიოდნენ – ეროსი აშიშვლებდა თავის ბუნებრივ სტიქიას. ყოველივეს სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. ამის საფუძველზე კათარსისი მიიღწეოდა. დრამა გულწრფელი და სიღრმისეული მონანიებით სრულდებოდა – მსხვერპლს დასტიროდნენ, ტანსაცმელს იგლეჯდნენ, თავზე ნაცარს იყრიდნენ, საკუთარ სხეულს დანით ისერავდნენ. და, ბოლოს, მესამე აქტის დროც დგებოდა – განახლებული ღმერთის სამყაროში დაბრუნების დრო. ეროსი მარტო დამანგრეველი სტიქია არ არის. მას ძალა შესწევს განწმინდოს, გაანათლოს სული, გააღვიძოს სინდისი ადამიანში; მოუწოდოს ადამიანს, არ მისცეს თავს უფლება ჩვეული გახადოს ეს საშინელება. გამოფხიზლდეს, დაწყევლოს და დათრგუნოს დამანგრეველი, შემმუსვრელი ვნებები. ასეთია ძველი მისტერიების აზრი.

ამრიგად, ეროსი, უპირველეს ყოვლისა, ერთ-ერთი ადამიანური ვნებათაგანია, რომელიც ადამიანის ბუნების ფილოსოფიურ წვდომაში გვეხმარება. სიყვარულის ფენომენში გარკვევა ადამიანის არსში გარკვევის ტოლფასია.

ძველი დროის მოაზროვნეები თვლიდნენ, რომ სულიერი სიყვარული პირველადი და უმთავრესია ხორციელ სიყვარულთან შედარებით. სიყვარულის არსი მისტერიებში პოვებდა ახსნას. ეს ღმერთისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა იყო. სიყვარულს ზეციური საწყისი აქვს. ხორციელი სიყვარული მხოლოდ მაშინ არის წმინდა და ამაღლებული, როცა იგი სულიერი სიყვარულის შედეგი და ნაყოფია.

ანტიკური ეპოქის ბერძენი, ეძლეოდა რა თავდავიწყებასა და განცხრომას, თავადვე ადგენდა საკუთარი ასკეზის, თავშეკავების, დაშვებულობის საზღვრებს. სულ სხვა ვითარებაშია თანამედროვე ადამიანი. მან იცის, რა არის საზოგადოების მიერ დადგენილი ნორმა და რა – ნორმიდან გადახვევა. ამდენად, იგი უკვე სათანადოდ ვეღარ უწევს ანგარიშს საკუთარ გამოცდილებასა და სპონტანურად აღძრულ გრძნობებს. მისთვის ბევრად მნიშვნელოვანია მეცნიერული თვალსაზრისი და საზოგადოებაში ჩამოყალიბებული, მიღებული შეზღუდვათა სისტემა.

აღაპე (ბერძ. ძმური სიყვარული) – სიყვარულის ძირითადი შინაარსია ქრისტიანობაში, აღნიშნავს მოყვასისადმი სიყვარულს. ეროსის, ანუ ვნებიანი სიყვარულის, საპირისპიროდ აღაპე ალტრუისტული სიყვარულის სინონიმია. ქრისტიანობამ რადიკალურად შეცვალა სიყვარულის შინაარსი. ამიერიდან იგი მარტოოდენ ადამიანურ ვნებებს აღარ ნიშნავდა. მან ბევრად უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვა მიიღო – ადამიანური არსებობის საფუძველი და საყრდენი. ძმური სიყვარული ყველა ადამიანისადმი სიყვარულს გულისხმობს. შემთხვევითი არ არის, რომ ძველ აღთქმაში ადამიანური სიყვარულის მთავარი ობიექტია ღატაკი, უცხოელი, ქვრივი, ობოლი, თვით ებრაელების დაუძინებელი მტერი – ეგვიპტელიც კი.

პიროვნება ქრისტიანობაში შემოქმედის მფარველობის ქვეშაა – მისი მადლისა და მოწყალების საფუძველზე. იგი გარკვეული ღირებულების მქონეა – ამიერიდან მიწიერი ადამიანი, მთელი მისი განუმეორებლობით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფიზიკური და ფსიქიკური ნიშან-თვისებებით, აღიარებულია როგორც წარუვალი და უდავო ღირებულება. სხეული, რომელსაც ეთაყვანებოდნენ ძველი ელინელები, ქრისტიანობაში მიჩნეულია სულიერების ჭურჭლად. სიყვარული სიწმინდეა. ვნებებში ჩაფლულ ადამიანს მათი დათრგუნვა მოეთხოვება, რათა შეძლოს და წარმოაჩინოს თავისი პიროვნული სიმდიდრე – სათნოებანი. სასიყვარულო განცდები უნიკალური და ყოვლისმომცველი ხასიათისაა, რადგან ამ გრძნობის ობიექტებია ღმერთი, მოყვასი, უცხოტომელი...

ქრისტიანობის საფუძველი სიყვარულია. სიყვარული ღმერთის არსია. ღმერთისადმი სიყვარული განპირობებულია საკუთარი თავისა და სხვათა სიყვარულით. „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (გალ. 5.14). უმთავრესია შეიყვარო ის, ვინც არ მოგწონს. სწორედ ასეთი სიყვარულის საფუძველზე ვაცნობიერებთ, რომ სულიერად ახლობელი ადამიანის სიყვარული დიდ ძალისხმევას არ საჭიროებს. უფრო მნიშვნელოვანია „გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მაწყევარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თვენსავ მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის“ (მათ. 5.44), რამეთუ „სრულყოფილი ჭეშმარიტი სიყვარული მათდამი სიყვარულია, ვისაც ვნება მოაქვს ჩვენთვის“ (სორენ კირკეგორი). „სიყ-

ვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს, არ სჩადის უწესობას, თავისას არ ეძიებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს, არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს; ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს“ (1 კორ., 14, 4-7). ჭეშმარიტი ქრისტიანია, ვინც ბოროტებას სიკეთით პასუხობს. აუცილებელია შურისძიების მანკიერი წრის გარღვევა; საჭიროა სიყვარული შევათავსოთ ტანჯვასა და მიმტევებლობასთან. „აცხოვნე, უფალო, და შეიწყალენ მოძულენი და მაჭირვებელნი ჩემნი... ნუ დასჯი ცოდვათა და უსჯულებათა შინა მათთა ჩემთვის“... ეს მიუწვდომელი იდეა, რომელმაც განხორციელება ქრისტეს ვნებებში პოვა, ღმერთის ადამიანებისადმი სიყვარულის სიმბოლოა – „გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“(იოან. 15.12).

სავარაუდო იყო, რომ ქრისტიანული ღირებულებები, რომლებიც სიყვარულის, გულმოწყალების, დათმენის, მორჩილებისა და უბიწოების პრინციპებს ეყრდნობა, უნდა დამკვიდრებულიყო და შეეცვალა ადამიანების ცხოვრება. ესოდენ მგზნებარე სიყვარული, რომელსაც ახალი რელიგია ქადაგებდა, მკვეთრად გაიმიჯნა სექსისგან. მან აკრძალა სიყვარულისა და სექსისგან სიამოვნების მიღება. დაგმო პროსტიტუცია, მეუღლეების ღალატი, გაუკუღმართებული სქესობრივი ურთიერთობები. ქალწულობის აღთქმა და უმანკოება ცხოვრების წესის იდეალად გამოცხადდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფარგლებში სქესის პრობლემის გააზრების განსხვავებული თვალსაზრისები გვხვდება. ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, ღმერთმა ადამიანი უსქესო არსებად შექმნა. იგი თავისი პირველქმნილი ფორმით ანგელოზისმაგვარი და, მაშასადამე, სქესისაგან თავისუფალი არსებაა. სქესის აღმოცენება ადამიანში პირველყოფილ ცოდვას უკავშირდება. ამ თვალსაზრისის მიხედვით, სამოთხეში ევა არ იყო ადამისადმი დაპირისპირებული სქესობრივი საწყისი, ამიტომ ადამიც მოკლებული იყო სქესს და სქესობრივ ლტოლვას (ორიგენი, იაკობ ბიომე და სხვები). ადამიანი არ იყო გახლეჩილი მამაკაცურ და ქალურ საწყისებად, არ არსებობდა ავხორცული ვნება და ამ ვნების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი სასქესო ორგანოები. ევას

გამოყოფა ადამისაგან და ამის საფუძველზე ადამის მიერ საკუთარი მამრობითი სქესის გაცნობიერება, აღმოცენდა პირველყოფილი ცოდვის საფუძველზე სწორედ იმ მომენტში, როდესაც ადამიანი სქესობრივი ლტოლვის მონა გახდა. ამას შედეგად მოყვა ადამისა და ევას გაძევება სამოთხიდან. რადგან სქესი ნეგატიურ კვალიფიკაციას იმსახურებს, ამიტომ ამ მოაზროვნეთა მიერ უარყოფითად არის დახასიათებული ყველაფერი ის, რაც სქესობრივ საწყისს უკავშირდება: ოჯახი, გვარის გაგრძელება და საზოგადოდ, ყოველივე ამქვეყიურ, სექსუალურ გრძნობასთან დაკავშირებული აქტივობა.

ამ თვალსაზრისის მომხრეების აზრით, ადამიანის ხსნისათვის აუცილებელია სქესის არა განწმენდა-განსულიერება, მისი გათავისუფლება წმინდა ცხოველური ან გამრუდებულ-ადამიანური ფორმების გამოვლინებისაგან, არამედ ადამიანის გათავისუფლება სქესისაგან, ამ უკანასკნელის დათრგუნვის, საბოლოო ჯამში კი, მისი სრული განადგურების გზით.

სქესის მიუღებლობამ ქრისტიანობაში, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, საპირისპირო შედეგი გამოიღო – სიყვარულმა და სექსმა ჯერ არნახული ხიბლი შეიძინა. ზ. ფროიდის აზრით, საკმარისია, ეროტიკული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზები გამარტივდეს, მათი ფსიქიკური მნიშვნელობაც კლებულობს. ლიბიდოს გაძლიერებისათვის წინააღმდეგობების დაძლევაა საჭირო... ამდენად, ასკეტურმა მიმართულებამ ქრისტიანობაში სიყვარულს ისეთი ფსიქიკური დატვირთვა და მნიშვნელობა შესძინა, როგორიც მას არასდროს, თვით წარმართობის პერიოდშიც კი, არ ქონია...

ქრისტიანული მსოფლმხედველობის პოზიციებიდან ადამიანის ცხოვრებაში სქესისა და სქესობრივი სიყვარულის პოზიტიური მნიშვნელობის იდეას ავითარებდა ნეტარი ავგუსტინე. მისი აზრით, ვიდრე ადამიანი შესცოდებდა, სქესი და სქესობრივი ცხოვრება (ქორწინება, ოჯახი), გამრავლება სქესობრივი გზით, მართალია, განსხვავებული ფორმით, მაგრამ უკვე არსებობდა სამოთხეში. პირველყოფილ ცოდვამდე ადამიანის ნებელობა, მისი გონითი ბუნება გაბატონებული იყო მის გრძნობად-სხეულებრივ საწყისზე. გამრავლების მიზნით სასქესო ორგანოების ასამოქმედებლად საჭირო არ იყო ავხორცული ვნების აღძვრა, რადგან ეს ორგანოები მთლიანად

ადამიანის ნებელობას ემორჩილებოდნენ და მისი მოსაზრების მიხედვით მოქმედებდნენ. როგორც კი ცოდვის შედეგად ადამიანის მთლიანობა დაირღვა, ადამიანის გონმა დაკარგა სხეულზე აბსოლუტური კონტროლი. სასქესო ორგანოები უკვე აღარ ემორჩილებიან ნებელობას და მოქმედებაში მოდიან ნებისათვის უცხო, ავხორცული ვნების აღძვრის საფუძველზე. ადამიანის გონი, როგორც უმაღლესი საწყისი, სირცხვილს განიცდის, რადგან მას ძალა აღარ შესწევს მისდამი მტრულად მიმართული სხეულიდან მომდინარე ვნებები და სხეულის შესაბამისი აქტივობა მართოს.

რომის იმპერიის დაცემისა და პირველი ქრისტიანული სახელმწიფოების წარმოშობის შემდეგ ნაწილობრივ იცვლება ღირებულებები. გარკვეული უპირატესობა ქორწინებას ენიჭება, რომელიც, ანტიკური ეპოქის ქორწინებისაგან განსხვავებით, ურღვევად ცხადდება. მეგობრული ურთიერთობები, ურთიერთპატივისცემა, თანასწორობა და ერთგულება – აი, ის სათნოებები, რომლებისკენაც უნდა მიისწრაფვოდეს ოჯახი. ეს იდეა გადმოცემულია პავლე მოციქულის სიტყვებში: „ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია“ (ეფეს. 5. 25).

აღაპე თანასწორთა სიყვარულია. თუმცა, რაოდენ თანასწორებიც არ უნდა ვიყოთ, განსხვავება მაინც არსებობს. ჩვენ ადამიანები ვართ. თუ ყოველთვის არა, ზოგჯერ მაინც გვჭირდება დახმარება – დღეს მე, ხვალ – თქვენ. მაგრამ დახმარება და მხარში დგომა რომ გვჭირდება, სულაც არ ნიშნავს, რომ ზოგი უმწეოა, ზოგი კი ძლიერი. უმწეობა წარმავალი მდგომარეობაა. სწორედ სუსტის, უმწეოს, ღატაკისა და უცხო ტომის ადამიანის სიყვარული უდევს საფუძვლად ძმურ სიყვარულს – აღაპეს. გიყვარდეს საკუთარი სისხლი და ხორცი, დიდი მიღწევა არ არის. ეს ბუნებრივია. ცხოველსაც უყვარს თავისი ნაშიერი და ზრუნავს მასზე. უმწეოსაც უყვარს თავისი პატრონი – მასზე ხომ მისი სიცოცხლე და კეთილდღეობაა დამოკიდებული. ბავშვსაც უყვარს თავისი მშობლები – ისინი მას სჭირდება. სიყვარული მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტი, როცა არავითარ მიზანს არ ემსახურება და ანგარება არ უდევს საფუძვლად. თანაუგრძნობს რა უმწეოს, ღატაკს, უცხოს, ადამიანი თავის სულში ძმისადმი, მოყვასისადმი სიყვარულს უყრის საფუძველს. „მდგმურებს

ნუ შეავიწროებ; თავად იცით მდგმურების ყოფა, რადგან მდგმურები იყავით ეგვიპტელთა ქვეყანაში“ (გამ. 23. 9).

ამორე (კურტუაზული სიყვარული) – XI და XIV საუკუნეებს შორის, დასავლეთ ევროპაში სიყვარულის პრინციპულად ახალი გაგება დამკვიდრდა – კურტუაზული სიყვარული ანუ ამორე. მამაკაცი ქალისადმი უნაზესს გრძნობას განიცდიდა, აღმერთებდა თავის რჩეულს, მზად იყო მისი სახელით საგმირო საქმეები ჩაედინა, ამ დროს პირადად, შეიძლება, არც კი იცნობდა სატრფოს. მსოფლიო ისტორია არ იცნობს მსგავს ფენომენს. არც მანამადე, არც შემდეგ არცერთ ქვეყანაში მსგავს სიყვარულს არ ცნობდნენ –შორით წვა და დაგვა, სიყვარულის ობიექტის უსაზღვრო გაიდეალება, მიუწვდომელი, განუხორციელებელი გრძნობის მღელვარე განცდა და მოლოდინი. ამორე იმდენად კონკრეტული ქალის სიყვარული არ იყო, რამდენადაც გამოგონილი, სრულქმნილი ხატების, იდეალური არქეტიპის სიყვარული, რომლის გარეშე მიწიერი ბედნიერება წარმოუდგენელი და მიუღწეველი იყო, მაგალითად, დონ კიხოტის სიყვარული დულცინეა ტობოსელის მიმართ. მსგავსს რომანებში ქებას ასხამდნენ სასიყვარულო ტანჯვას, განცდებს. უმაღლეს ბედნიერებად დაუკმაყოფილებელი ვნება იყო მიჩნეული. შეიქმნა სიყვარულის თავისებური კულტი. სიყვარულის ობიექტს გულდასმით ირჩევდნენ, სამარადჟამოდ. თაყვანისცემის ღირსი რომ გამხდარიყო, ქალი სათნოებით შემკული, აუცილებლად გათხოვილი და მიუწვდომელი უნდა ყოფილიყო. რატომ არ ითვლებოდა ეს ღალატად? სიყვარული თავისუფალ არჩევანს გულისხმობს. შუა საუკუნეებში ოჯახი სულ სხვა ღირებულებების გათვალისწინებით იქმნებოდა – გვარის გაგრძელება, სიმდიდრის დაგროვება-გამრავლება, პოლიტიკური ამბიციები. ოჯახის შექმნისათვის სიყვარული აუცილებელი პირობა არ იყო. ღრმა და წმინდა გრძნობა მხოლოდ ოჯახის მიღმა შეიძლება გაღვივებულიყო.

ამორეს წესები გულისხმობდა, რომ რაინდი თავისი შეყვარებულის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო – ქალის ნებისმიერი სურვილი, მოთხოვნა, ყოველი კაპრიზი, სახიფათო დავალებები ყოველგვარი განსჯისა და შეპასუხების გარეშე სრულდებოდა. ტანჯვა-წამება,

რომელსაც რაინდი განიცდიდა, ყოველი საფრთხე, რომელსაც იგი შეგნებულად არ ერიდებოდა, უფრო მეტიც, იწვევდა კიდეც მას, რათა სატრფოს გული მოეგო, მისი კეთილგანწყობა დაემსახურებინა, მონანიე ცოდვილის თვითგვემას უფრო გავდა. ითვლებოდა, რომ ყოველი წარმატებით გავლილი გამოცდა შეყვარებულებს ერთმანეთთან აახლოებდა.

ქალსა და მამაკაცს შორის ამაღლებული სიყვარულის უკეთ გააზრებისათვის, მიზანშეწონილი იქნება ერთი პარალელის გავლება. იმავე პერიოდში, როდესაც დასავლეთ ევროპაში სიყვარულის ერთობ თავისებური ფორმა – ამორე დამკვიდრდა, საქართველოში თაობები იზრდებოდნენ რუსთაველის ჰუმანისტური იდეების საფუძველზე. „ვეფხისტყაოსანი“ აპოლოგიაა ადამიანისა. ეს მშვენიერი ამქვეყნიური სამყარო ადამიანთა საკეთილდღეოდ არის შექმნილი. ადამიანებმა სწორედ ამ ქვეყანაზე უნდა დაამყარონ საამური, ბედნიერი ცხოვრება, აქ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი, აქ უნდა შექმნან ოჯახი, რომლის საფუძველიც სიყვარული და ერთგულებაა. სიცოცხლე ხომ დიდი სიკეთეა, სიყვარული კი მისი გვირგვინი. „სიყვარული აგვამაღლებს“ და მთელი პოემაც ამქვეყნიური ზნემაღალი სიყვარულის საგალობელია. „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში“. პოემის გმირების მრავალ განსაცდელგამოვლილი სიყვარული უსაზღვრო და ამაღლებული, უანგარო და წმინდაა. მაღალზნეობრივი რაინდები, ერთგული სატრფოები და თავდადებული მიჯნურები – ასეთია მამაკაცის რუსთაველისეული იდეალი. ევროპული ამორეს ფენომენისაგან განსხვავებით, არც თინათინი და არც ნესტან-დარეჯანი დაოჯახებულნი არ არიან. სულიერად და სხეულებრივად სრულქმნილი ქალბატონებისათვის სატრფოს ღალატი წარმოუდგენელი და დაუშვებელია. მათთვის სიყვარულის ერთადერთი ლოგიკური დაბოლოვება ერთგულებასა და ურთიერთსიყვარულზე დაფუძნებული ოჯახის შექმნაა.

ევროპულ რენესანსამდე დიდი ხნით ადრე, რუსთაველმა კაცობრიობას ახალი ჰუმანისტური მორალი შესთავაზა და გამოამჟღავნა ის სულიერი განწყობილებანი და ღირებულებები, რაც, ჩვეულებრივ, ევროპული რენესანსის დამახასიათებელ თვისებად ითვლება.

დედაშვილური სიყვარული – სიყვარულის ყველა ფორმისაგან გამორჩეული, შეუცნობელი, დამაფიქრებელი. ეს ფენომენი არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი. ბუნებრივია, არც ქართული სინამდვილე დარჩენილა გულგრილი ამ საკითხისადმი. აქ, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, ოთარაანთ ქვრივისა და თავსაფრიანი დედაკაცის გახსენება გვმართებს.

საყურადღებოა, რომ ილია ჭავჭავაძე თავისი გმირის სახელს არ გვიმხელს. ასევე იქცევა ნიკო ლორთქიფანიძეც. სავარაუდოა, რომ ისინი ძერწავენ არა კონკრეტულ პერსონაჟთა ტიპებს, არამედ ქმნიან დედის სახე-სიმბოლოებს.

„ოცდაოთხი წლისა ძლივს იქნებოდა, როცა დაქვრივდა და ერთი წლის შვილი დარჩა. ის დღეა და ის დღე, ჩაიცვა ლურჯი შილის პერანგი, შავი კაბა, თავზედ შავი მანდილი მოიხვია და აი, ეს ოცი წელიწადია, მხიარული ფერი არ მიუკარებია ტანზედ. თუმცა ბევრი მთხოვნელიცა ჰყავდა, ბევრი ეხარბებოდა ოთარაანთ ქვრივის ოჯახში შესვლას, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, არ გათხოვდა და არა. – აი, უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქვრივსა, მინამ მამინაცვალს სახლში დაუსვამდეს თავის პატარა გიორგისა“.

ახლა ყური ნიკო ლორთქიფანიძეს დავუგდოთ: „ქართველი ქვრივი დედაკაცი თავსაფრიდან წუღებამდის... წინდაც კი შავი... ბევრი ეარშიყებოდა... შორიდან მაჭანკლებიც გაუგზავნეს. – როგორ ვუმტყუვნო ობლებს?!“

ორივე ნაწყვეტში ქართველი ქვრივი ქალის „ზნეობრივი კოდექსია“ ჩამოყალიბებული. „თავსაფრიანის“ კრედო ერთი ფრაზითაა გადმოცემული“ – „როგორ ვუმტყუვნო ობლებს?!“ ოთარაანთ ქვრივის მრწამსს ილია გმირის მონოლოგით წარმოაჩენს, თუმცა, ერთი და იგივეა ნათქვამი.

ოთარაანთ ქვრივის, როგორც დედისა და აღმზრდელის, თავისებურებად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი თავის უსაზღვრო სიყვარულს შვილისადმი გარეგნულად არასოდეს ამჟღავნებს. არც სხვამ და არც თვით გიორგიმ არ იცის, რომ ქვრივი მზად არის მტლად დაედოს თავის პირმშოს. „შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენთვის დავიცემ დანასაო“, – იტყოდა ხოლმე თავის გულში დედა, როცა შვილს სამუშაოდან მომავალს დაინახავდა. შვილისადმი უსაზღვრო თავდა-

დება იგრძნობა ოთარაანთ ქვრივის მთელ ცხოვრებაში. მაგრამ განსაკუთრებული სიდიადით მაინც თხზულების უკანასკნელ ნაწილში, როდესაც ზამთრის თოვლიან ღამეში ავადმყოფი ოთარაანთ ქვრივი ლოგინიდან წამოდგება, მომვლელ დედაბერს გაეპარება, სოფელს ტანჯვითა და ვაი-ვაგლახით გაივლის, რათა განთიადისას თავისი სიცოცხლე შვილის საფლავზე დაამთავროს. სწორედ გიორგის დაბადების დღეს, ოცდახუთ დეკემბერს, სასაფლაოზე იპოვეს ოთარაანთ ქვრივი, რომელიც შვილის საფლავზე „გარდი-გარდმო გადაქცეულიყო, ფეხები აქეთ პირას მიწაზედ ებჯინა თითის წვერებითა და ორივე ხელი იქით პირას გადაეკიდნა, თითქოს სდომებია მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთის ხვევნით გულში ჩაეკრაო“.

„თავსაფრიანი დედაკაცი“ უფრო სათუთი ბუნებისაა. უმადური შვილისაგან ნათქვამმა ერთმა სიტყვამ ერთი ხელის მოსმით დაუნგრია მთელი სამყარო. მიუხედავად ამისა, მაინც შვილების სახელზე იზრუნა და სიცოცხლეში პირველად იცრუა, როცა ვიღაცას წერილი მიაწერინა შვილებთან, თითქოს სალოცავში წავიდა და „ჩემზე არ იდარდოთ, არც მეძებოთო...“

ნიკო ლორთქიფანიძეს ამაყი სულის თავსაფრიანი დედაკაცი დიდებულ ადამიანად მიაჩნია და იქვე დასძენს, რომ „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“. თუმცა, ვფიქრობთ, ორივე მწერალმა თავად დაუდგა ძეგლი ქართველ დედას.

სიყვარული შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ჩვეულებრივად, რატომღაც გვგონია, რომ სიყვარული, როგორც გრძნობა, როგორც ვნება, ყოველთვის და ყველასათვის ერთნაირად ვლინდება. გარკვეული აზრით, შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ განსხვავებულ კულტურებში ის სხვადასხვაგვარად განიცდება. სექსზეც კი ახდენს კულტურა გავლენას. სიყვარული შეიძლება წარმოჩენილი იყოს სექსუალურ-ცხოველურ ვარიანტებში და პირიქით, რომანტიული გრძნობის სახით. ერთ კულტურაში დომინირებს უმანკოება, პლატონური გრძნობა, მეორეში კი ეროსი, როგორც საწყისი, სტიქიური, ძლიერი ადამიანური ვნება... არც თუ დიდი ხნის წინ ჩვენს ქვეყანაში სიყვარული ცენზურის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ასეა ყველა ტოტალიტარულ სახელმწიფოში. ცნობილია, რომ ეროტიკულ მისწრაფებებში ადამიანი ინდი-

ვიდუალური და თავისუფალია. სწორედ ამიტომ ზღუდავდნენ და აკონტროლებდნენ, ალბათ, ადამიანის ინტიმურ ცხოვრებას „ძლიერნი ამა ქვეყნისა“. დღეს სულ სხვა მდგომარეობაა... თავისუფლად იყიდება „კამასუტრა“, ჩინური ტრაქტატები სექსზე, ჰოროსკოპები, რეკომენდაციები. პურიტანობის დაძლევის მცდელობისას, გამორიცხული არ არის მეორე უკიდურესობაში აღვმოჩნდეთ. სიყვარული მარადიული და უცვლელი გრძნობაა. მაგრამ კულტურა, გაბატონებული სტანდარტები უდავოდ ახდენენ გავლენას ეროტიკულ ნორმებზე. და მაინც, ამ გრძნობაში, ყველა დროს, ყველა ეპოქაში, უფრო მეტი საერთოა, ვიდრე განსხვავება. სწორედ ამიტომ გვესმის და განვიცდით ჩვენ დღესაც დაფნასა და ქლოას, ტრისტანისა და იზოლდას, რომეოსა და ჯულიეტას, თამარისა და თარაშის, ონისესა და ძიძიას დრამას.

საკონტროლო კითხვები

რა არის „კატეგორიული იმპერატივი“ ?

შესაძლებელია კატეგორიული იმპერატივისა და თავისუფლების შეთავსება?

ირაციონალიზმის მიხედვით, შეუძლია თუ არა გონებასა და ცნობიერებას მიანიჭოს ადამიანს თავისუფლება?

გააანალიზეთ ნიცშესეული იმპერატივები „მე მსურს“ და „შენ უნდა“.

პლატონის მიხედვით, რა არის სიკვდილი? როდის წვდება სული ჭეშმარიტებას?

როგორ გესმით გამოთქმა: ფილოსოფოსობა სიკვდილისათვის მზადებას ნიშნავს?

რა მოიაზრება სიკვდილის მორალურ ღირებულებაში?

რისი ეშინია ადამიანს – სიკვდილის როგორც სიცოცხლის შეწყვეტის ფაქტის თუ მასზე დაფიქრებისა და მისი ექსისტენციალური განცდის?

ექსისტენციალიზმის მიხედვით, როგორ ცდილობს ადამიანი სიკვდილის შიშისაგან თავის დაღწევას?

პლატონისეულ მითოლოგემაში სქესის წარმოშობის თაობაზე, რას ემსახურება სქესობრივი ცხოვრების ცენტრალური ფენომენი – სქესობრივი ლტოლვა და რა მოიაზრება მასში?

რა უდევს საფუძვლად აღაპეს – ძმურ სიყვარულს?

გააანალიზეთ აღაპეს ძირითადი მოთხოვნა: „გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მაწყევარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავ მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის“.

რა თავისებურებებით გამოირჩევა ამორე – კურტუაზული სიყვარული?

ადამიანი და თანამედროვე საზოგადოების თავისებურებანი (გაუცხოების პრობლემა)

საზოგადოების განვითარების ისტორიაში ყოველი დიდი შემობრუნება ტრადიციულ ღირებულებათა გადაფასებით ხასიათდება, ანუ ყოველი ახალი ეპოქა ძველი ღირებულებების გადაფასებითა და საკუთარი ფასეულობების დამკვიდრების მცდელობით იწყება. გავიხსენოთ, ნიცშეს ფილოსოფიაში უარი ითქვა ყველა ტრადიციულ ღირებულებაზე. ადამიანი აღარ ცნობდა თავს ვალდებულად არც ღმერთის, არც მოყვასის, არც საზოგადოების წინაშე. ყოველივე ეს უარყოფილ იქნა პიროვნების თავისუფლების სახელით. ნიცშეს მიხედვით პიროვნებად მხოლოდ დიდი პიროვნება, ზეკაცი ითვლება, რომელიც განსაზღვრავს როგორც იდეალთა სამყაროს, ასევე უპიროვნო მასას. ადამიანის ამგვარი სრული „გათავისუფლება“ დასრულებული სახით გამოიხატა თეზაში – „ღმერთი მოკვდა“. ამას კი შედეგად მოჰყვა ის, რომ ტრადიციული ღირებულებების უარყოფით ადამიანი მართლაც გათავისუფლდა ყოველგვარი მაიძულებელი იდეალებისაგან, თუმცა მან ორიენტირებიც დაკარგა სამყაროში. ახლა მას თავად უნდა ეტვირთა ის სამუშაო, რასაც ადრე ღმერთის ან იდეის სახელით და მათი დახმარების იმედით აკეთებდა. „გარედან“ დახმარების იმედი მას ხომ ძალას აძლევდა. ახლა კი, საკუთარი სურვილებისა და ქმედებებისათვის მთელი პასუხისმგებლობა თავად ეკისრებოდა. ე.ი. ადამიანი სრული ქაოსის წინაშე აღმოჩნდა. მას თავად უნდა მოეწესრიგებინა ეს სამყარო. სწორედ ამგვარი თავისუფლების გაცნობიერების სირთულემ ათქმევინა ჟან პოლ სარტრს: „ადამიანი დაწყევლილია თავისუფლებით“. შევეცადოთ სწორად გავიგოთ, რისი თქმა სურდა მას. მართალია, ადამიანი ღმერთის მფარველობისაგან გათავისუფლდა, მაგრამ სამაგიეროდ დაკარგა მიზანი, აღარ იცის რა უყოს ამ „თავისუფლებას“ და მყისვე მისგან გაქცევას ცდილობს.

XX საუკუნის თითქმის ვერცერთი მოაზროვნე გვერდს ვერ უვლის იმ ფაქტს, რომ თანამედროვე ადამიანი ცდილობს საზოგადოებაში გათქვეფას. თუ ანტიკურობა ბედისწერის წინაშე შიშს დიონისეებში იცილებდა, დღევანდელი ადამიანი სენსაციებში ივიწყებს

სიკვდილისა და მარტოობის შიშს. იგი ცდილობს უპიროვნოს, საერთოს, საშუალოს ამოეფაროს, თუმცა არის მცდელობები, რომ ზოგიერთმა სიკეთისა თუ არა, ბოროტების საფუძველზე მაინც შეინარჩუნოს საკუთარი ინდივიდუალობა, რათა „სხვაში“ არ გაითქვიფოს, არ გახდეს „როგორც ყველა სხვა“. „სხვებში“ გათქვეფა, საკუთარი ინდივიდუალობის დაკარგვა ძალიან მტკივნეული და აუტანელია თითოეული ჩვენგანისათვის. სწორედ ამ პრობლემას ასახავს სარტრის სიტყვები – „ჯოჯოხეთი ეს არის სხვები“ – ვიაზროვნო, ვიფიქრო, როგორც „სხვებმა“; ვიმოქმედო, როგორც „სხვებმა“; ჩავიცვა, როგორც „სხვებმა“; სიკეთედ ჩავთვალო ის, რასაც „სხვები“, ჩემგან განსხვავებით სიკეთედ თვლიან, რადგან „სხვები“, საზოგადოება ფიქრობს ასე. ეს ხომ საკუთარ თავზე უარის თქმას ნიშნავს. თუმცა მეორე გზაც არსებობს. გავექცე რეალობას, თავი შევაფარო გამოგონილს, ილუზორულს, ვირტუალურს და ბოლოს და ბოლოს დავიჯერებ, რომ ჩემი ნამდვილი ცხოვრება იქ მიმდინარეობს და არა აქ.

გაუცხოება, ადამიანის მიერ საკუთარი არსების დაკარგვა, არასდროს ყოფილა ასე აშკარა. XX საუკუნეს ზოგიერთმა მკვლევარმა გაცნობიერებული კრიზისის ეპოქა უწოდა, ხოლო მის ფილოსოფიას – გაცნობიერებული კრიზისის ეპოქის ფილოსოფია. კრიზისიდან თავის დაღწევის სხვადასხვა გზა არსებობს, მაგრამ ყველასათვის ძირითადი და საერთო მაინც მათ მიერვე ზარზეიმით უარყოფილი ტრადიციული ღირებულებებისაკენ შემობრუნებაა.

უკეთ რომ ჩავწვდეთ საკითხის არსს, ჩვენ რეალობასაც შევეხოთ. საზოგადოდ მიჩნეულია, რომ თანამედროვე ადამიანი „მოწყენილია’. მოწყენილობა ის თავისებური მდგომარეობაა, როცა ადამიანი წუხს და ვერ ისვენებს, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიოლოგიურ-მატერიალური მოთხოვნილებების მხრივ საკმაოდ დაკმაყოფილებული და მოსვენებულია. უფრო მეტიც, „მოწყენილობა“ სწორედ მაშინ ეუფლება ადამიანს, როცა საკუთარ ბიოლოგიურ არსებობაზე ზრუნვისაგან თავისუფალია. რას ვაკეთებთ, როცა მოწყენილები ვართ? – ზოგი ნარდს თამაშობს, ზოგი ბანქოს ან დომინოს, იშვიათად ჭადრაკს, ზოგი კროსვორდს ხსნის, ზოგი კომპიუტერთან ათენებს და აღამებს, ზოგიც სვამს და ა.შ. მაგრამ, თუკი დიდხანს გაგრძელდა გართობა საქმესთან შეთავსების გარეშე, მაშინ, როგორც ცნობილია, გართობაც მოსაწყენი ხდება და ზოგიერთი ჩვენგანი ისევ საქ-

მეს უბრუნდება, ზოგიც კი ამ „მოსაწყენი გართობიდან“ თავის დაღწევას ცდილობს, რაღაც ახლისკენ მიისწაფის, რათა თავი იქ მაინც დაიმკვიდროს, იქ, სადღაც, თუნდაც ილუზორულ სამყაროში, ანუ „სხვა არსებობაში“. ამისი ტიპიური მაგალითებია ალკოჰოლიზმი და ნარკომანია. მოგეხსენებათ, რომ ალკოჰოლისა და ნარკოტიკის ეფექტი, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ ინდივიდი კონტროლისა და რეალობის გრძნობას კარგავს და უფრო „მაღალ დონეზე არსებობის“ ილუზიას ექვემდებარება. ცნობილია ლოთი კაცის თავისებური თავმომწონეობა, კომპლექსებიდან გათავისუფლება, მისი პრეტენზია განსაკუთრებულობაზე. ისიც ცნობილია, რომ ლოთობასა და ნარკომანიას განსაკუთრებით დიდი გასაქანი სწორედ მაშინ ეძლევა, როდესაც ეპოქალური იდეალი საყოველთაოდ კარგავს დამაჯერებლობას და იმსხვრევა, ახალი კი ჯერ არ ჩანს. უდაოა, რომ ეს გზა „სხვა არსებობაში“ გადასვლის, ამაღლებისა და დამკვიდრების სუროგატული, ილუზორული გზაა. ე.ი. ადამიანი გაურბის რეალობას და ილუზორულს აფარებს თავს (სხვათა შორის, „ილუზორულობის“ უამრავი ფარული სახე არსებობს. თუნდაც ჩვენთვის ყველაზე ნაცნობი და ჩვეული: ნაცნობ-მეგობრები ხშირად იკრიბებიან ხოლმე. ყავას ხარშავენ, მიირთმევენ, თამბაქოს აბოლებენ და საუბრობენ, მათ შორის პოლიტიკაზე და უმეტესწილად, ოპოზიციურ თვალსაზრისს უჭერენ მხარს... თუმცა კი ცხოვრებაში მშვენივრად ეგუებიან და თავისი პირადი კეთილდღეობის სასარგებლოდ იყენებენ „პოზიციასა“ და „პოზიციონერებსაც“. ყოველივე ეს რაღაც „მსუბუქ გართობას“ გავს, რაღაც „რიტუალს“, მოდას, „კარგ ტონს“, რომლის საბოლოო მიზანი ჩვეულებრივ ბანალურ ყოფაზე ამაღლების პრეტენზია და უფრო მაღალ რეალობასთან შეხებაა), ანუ არსებული რეალობიდან გაქცევა და რაღაც სხვა, სულაც გამოგონილი რეალობისათვის თავის შეფარების მცდელობა, თავის მოტყუებაც არის და ხსნაც იმავდროულად.

არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ფილოსოფია ცხოვრებას მოწყვეტილი ფენომენი არ არის. ყველაფერი, რაც ჩვენ გვაწუხებს, რაზეც ვფიქრობთ და განვიცდით, რა კითხვებიც გვიჩნდება და პასუხს ვეძებთ, ყველაფრის მოძიება ფილოსოფიაში შეიძლება. რაღა თქმა უნდა, არა ერთმნიშვნელოვანი, უტყუარი პასუხის სახით, არამედ ჩვენზე ბევრად ჭკვიანი და გამოცდილი ადამიანების მოსაზრება-

თა გათვალისწინებით, ჩვენი და მათი შეხედულებების შეჯერებით, აქედან კი შესაძლებელი ხდება ჭეშმარიტებისაკენ სვლა. ამ რთულ გზაზე ფილოსოფიას ლიტერატურა უდგას გვერდით და მისთვის დამახასიათებელი ხერხებითა და ფორმით ცდილობს, უფრო გასაგები ენით ესაუბროს ადამიანს მის სატკივარზე, მიანიშნოს, როგორი ცხოვრების წესია მისთვის ღირსეული და როგორი შეუფერებელი, დააფიქროს ცხოვრების წარმავლობასა და ამაოებაზე და სანიმუშო იდეალიც შესთავაზოს. ამჯერად ლიტერატურულ სიმბოლიზმს მოვიშველიებთ.

ლიტერატურული სიმბოლოზმისათვის იმთავითვე საინტერესო და მნიშვნელოვანია უმთავრესი მსოფლმხედველობრივი პრობლემები: არსებობს თუ არა სამყარო, თუ იგი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია? რა არის ჩვენი სინამდვილე, მოჩვენებითი, თუ ნამდვილი? სად გადის ზღვარი მათ შორის? როგორია იგი თავისთავად და როგორია იგი, როგორც ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი?

ლეო ქიაჩელის მოთხრობაში „**Ecalade**“ მოქმედება შვეიცარიაში ხდება, დღესასწაულზე. კარნავალში ახალგაზრდა ქართველი კაციც მონაწილეობს. ირგვლივ უამრავი ნიღბიანი ქალი და კაცია. ერთ-ერთი მათგანი, ქალი შავი ნიღბითა და წითელ-ყვითელი მოსასხამით, სხვებისაგან გამოარჩევს ქართველს და ეუბნება: „ყოველი სანამდვილე წარმოდგენაა და ყოველი წარმოდგენა სინამდვილე“. უეცრად ეს ნიღბიანი ქალი ელვის სისწრაფით შეხტება ხეზე, კენწეროზე მოექცევა და გამომწვევად უხმობს ყველას: ამოდით, დამიჭირეთ, ვინც ვაჟკაცი ხართო. ქართველი პირველი შეეცდება ასვლას, მაგრამ მიხვდება, რომ კენწერომდე ვერ მიაღწევს, ტოტი ვერ გაუძლებს. უცებ ქალი ნირწამხდარი ქართველის გვერდით აღმოჩნდება. წითელ-ყვითელი მოსასხამი კი ისევ ხის კენწეროზე კიდია. ქალი სეირს უყურებს, თუ როგორ მიიჩნევს მოტყუებული ბრბო ხის კენწეროზე ჩამოკიდებულ ნიღაბსა და მოსასხამს რეალურ ქალად. დაუფარავად ეუბნება კიდეც მამაკაცს: „ხა-ხა-ხა! მეგობარო, არ გეცინება? როგორ მოგწონს ჩემი იდეა? არ გაგონებს განა ეს სურათი თვით კაცობრიობას, მის ბრძოლას, მის ცხოვრებას? რა კარგია! განა ასე ტყუილად არ იბრძვის კაცობრიობა? განა ასე თავდავიწყებით არ ეპოტინება რაღაც იდეალს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისეთივე სისულელეა, როგორც ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ნიღაბი

და წითელ-ყვითელი მოსასხამი!... „ „Ecalade“ ერთხელ კიდევ გვიდასტურებს ჩვენი ცნობიერების უმწეობას – წარმოსახულს რეალობად რომ მიიჩნევს.

როგორია სინამდვილე თავისთავად და როგორია იგი, როგორც ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი?

კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ლილ“ თავიდან პიკანტური თავგადასავალის თხრობას წააგავს. ახალგაზრდა კაცი ჰყვება, თუ როგორ აენთო ექიმ შარუხიას ულამაზესი ცოლის ტრფობით. უცნაური ის იყო, რომ ამ ტრფობას ქმარიც გრძნობდა და ხელს არ უშლიდა. ოღონდ, მკითხველი ხვდება, რაღაც მზაკვრობა აქვს ჩაფიქრებული შარუხიას... ქალის სიყვარულით თავდავიწყებამდე მისული ახალგაზრდა კაცი ერთბაშად აღმოჩნდება შემზარავი რეალობის წინაშე. შარუხია თვითონ წაიყვანს ზღვის სანაპიროზე ჯამლეთს შიშველი ცოლის სანახავად. უმშვენიერესი ქალის ნაცვლად სიმახინჯე წარმოსდგება ტრფობით აღვსილი ვაჟის წინაშე: „ლილ მთლად შიშველი იდგა და მღელვარე ზღვას გაჰყურებდა. ელვის სისწრაფით შემოევლო მის სხეულს ჩემი ხარბი თვალი. და ვნახე – ორივე ფერდებიდან მოხრილი, საშუალო თითის სისხოდ ამობურცული ძვლები უჩანდა“. გამაოგნებელ სურათს ექიმ შარუხიას მეფისტოფელური ხითხითი აბოლოვებს: „ახლა ხომ ხედავთ, რა ძნელია რახიტიანი ცოლის ქმრობა და როგორ გვატყუებს ჩვენ თვალი?“ „მე რომ ის კაცი, ბუნება, თუ ღმერთი შეგირდად მომაბარონ, რომელმაც ეგზომ ზადიანი ორგანო მიანიჭა ადამიანს, როგორიცაა თვალი, უთოოდ ორს დავუწერდიო მას, რადგან არაფერი ისე უმგვანოდ მოწყობილი არ არისო ჩვენს აგებულებაში, როგორც თვალი. არაფერი ისე არ გვატყუებსო, როგორც თვალი“. თვალხილული სინამდვილე მირაჟი და მოჩვენებაა, ასეთი დასკვნა გამოაქვს კონსტანტინე გამსახურდიას.

რა განაპირობებს ადამიანის მოთხოვნილებას იცხოვროს ილუზორულ, გამოგონილ სინამდვილეში? შემოგთავაზებთ ქართველი ფილოსოფოსის ზურაბ კაკაბაძის ჰაიდეგერისეული თვალსაზრისის ანალიზს. „... პატარა ბავშვს მშობლები ხელმძღვანელობენ, გეზსა და მიმართულებას აძლევენ მის საქციელს და ამგვარად, უზრუნველყოფენ მისი ბავშვური ცხოვრების პრობლემების წარმატებით გადაწყვეტას. ხოლო, როცა გაიზრდება და მოზრდილი შეიქნება, ერთბაშად „მოზრდილი ცხოვრების“ რთული პრობლემების წინაშე

აღმოჩნდება ყოველგვარი ხელმძღვანელისა და სახელმძღვანელოს გარეშე, საიმედო ორიენტირსა და გზის მაჩვენებელს მოკლებულ სამყაროში, როგორც „უცხო ქვეყანასა“ და სხვის სახლში“ თავის ანაბარა მიტოვებული... მიტოვებულობისა და „უსახლკარობის“ ეს „პეიზაჟი“ რომ აშინებს, ადამიანი ზურგს აქცევს და ახშობს მას – თავდავიწყებით ეძლევა „საჯარო ცხოვრებას“ და თავს იკატუნებს, ვითომცდა ასეთი ცხოვრების სამყაროში ჰპოვა მან „მამული“ და „მშობლიური კერა“. ამ სამყაროს გამგებელად ანუ „მშობელ მამად“ კი ევლინება მასობრივად გავრცელებულ ტენდენციებში გამოვლენილი რაღაც ანონიმური ინსტანცია, რომელიც მას საიმედო ხელმძღვანელობას უწევს... ყოველდღიური ცხოვრების წესი, გარემომცველ სამყაროში ჩაძირვითა და მასაში გათქვეფით რომ ხასიათდება, სხვა არაფერია, თუ არა „უსახლკარობიდან“ საჯარო ცხოვრების ილუზორულ „სახლში“ გაქცევა. მაგრამ საჯარო ცხოვრების ორომტრიალში თავდავიწყებით ჩართულ ადამიანს ზოგჯერ ერთბაშად დაეუფლება ხოლმე ამგვარი ცხოვრების უაზრობის გრძნობა და შესატყვისი „ძრწოლა“, თითქოსდა ერთბაშად გაირღვა საფარველი და იქიდან საშინელმა ჭეშმარიტებამ გამოიხედა: საჯარო ცხოვრების ორომტრიალში ჩართულობა, ამ ცხოვრების გამგებელი „ანონიმური სხვის“ ხელმძღვანელობით ცხოვრება, რეალიზაციის გარეშე ტოვებს მის არსებით მისწრაფებებს და, მაშასადამე, გზიდან აცდენას მოასწავებს; ეს ანონიმური სუბიექტი სრულებითაც არ არის მისი საიმედო ხელმძღვანელი და „პატრონი“, იგი საერთოდ „უპატრონოა“ იმ აზრით, რომ მისი ცხოვრება მას და მხოლოდ მას აბარია, მასზე და მხოლოდ მასზეა მინდობილი, მას და მხოლოდ მას შეუძლია, დამოუკიდებელი ფიქრისა და მედიტაციის მეშვეობით, საკუთარი არსებითი მისწრაფებებისა და ტენდენციების მარეალიზებელი გზა დასახოს და განვლოს. მსგავსი ძრწოლა, თავს რომ ესხმის და თვალს რომ უხელს ადამიანს, შესაძლებლობას აძლევს მას გარესამყაროში გაფანტულობიდან თავის თავს დაუბრუნდეს და საკუთარი ყოფიერების რეალიზება, ნამდვილი ცხოვრების „მშენებლობა“ სცადოს... მაგრამ უფრო ხშირად ისე ხდება, რომ ადამიანი ამგვარი ძრწოლიდან ისევ შემამსუბუქებელ ილუზიაში გარბის“.

დასავლეთის აზროვნება ყოფიერებისა და საზრისის თეორიათა სიმრავლით ხასიათდება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანს გაუძ-

ნელდა თავისი მდგომარეობის გაგება. მან დაკარგა სიმშვიდე. იასპერსის თქმით, „ტოტალური მოსპობის შიში უკან, მუნყოფიერების საზრისის გააზრებისაკენ გვიბიძგებს“.

მარქსიზმის თანახმად, აწმყოსა და წარსულის გააზრება ორი თვალსაზრისით ხდება. ერთი იმედიანი განწყობით არიან აღვსილნი, მეორენი კი უიმედობას მოუცავთ. შესაბამისად, ორივე მათგანს **ვლადიმერ ლენინი** (1870 –1924 წწ.) ახასიათებს, როგორც „ისტორიულ ოპტიმიზმსა“ და „ისტორიულ პესიმიზმს“. ფილოსოფიის განვითარების ისტორია ნათლად აჩვენებს, რომ ყოველი მოაზროვნე საბოლოო ჯამში ან ერთ ბანაკს მიეკუთვნება ან მეორეს. დასავლეთის მოაზროვნეები ხაზს უსვამენ ადამიანის მარტოობას და სიცარიელეს ტექნიკის არნახული აღმავლობის ეპოქაში. მთელს ქვეყანაში სულიერი მარტოობა და უშინაარსობა ბატონობს.

„ტექნიკური გაუცხოების“ პრობლემის სიღრმეში ქრისტიანობის კრიზისის, უფრო ფართოდ, იდეალებისა და აქედან ცხოვრების საზრისის და ღირებულებების დაკარგვის პირმშოა თანამედროვე ადამიანი. როცა იკარგება მიზანი, უფასურდება უმაღლესი ღირებულებანი, ანგარიში არ ეწევა არავის და არაფერს; აღარ ეძებენ პასუხს კითხვაზე რატომ? და რისთვის? ფრიდრიხ ნიცშეს აზრით, ეს ე. წ. „ნიჰილიზმია – ყველაზე საშინელი სტუმარი ყველა სტუმართაგან“. იდეალისაგან დაცლილობისა და ამგვარად, სიცარიელის განცდით შეპყრობილი კაცი მუდამ ხალხმრავალ საკრებულოთა მსმენელი და ბრმა მონაწილეა. მათი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებული, გაუცნობიერებელი, დაუსაბუთებელი შეხედულებების გამზიარებელია. ეს უკვე გზაა საზარელი სიცარიელისაკენ, არარაობისაკენ მიმავალი. ამ შემთხვევაში მათთან ყოფნა არ ნიშნავს რაიმე მიზნის მიგნებას და ამ მიზნით გაერთიანებას, არამედ ეს არის სტიქიური კავშირი და ამ დროს ხდება ამ საშუალო, დაბალი მასის გარკვეული ჯგუფის, კერძოდ, ბრბოს გამოყენება დამანგრეველ ძალად, რომელსაც მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია კაცობრიობისათვის. ადამიანი მარიონეტი ხდება ბრმა ემოციისა. აქ მარადიული მნიშვნელობის იდეალი უარყოფილია. ადამიანები უსახონი ხდებიან, ყველა ერთმანეთს ჰგავს და ყველა „ერთ ხმაზე მომღერალი“ ქუხილით მიიწევს წინ, გაურკვეველი მიმართულებით.

შინაგანი და გარეგანი სამყაროს შერყევა ნიშნავს მთელი სამყა-

როს ტრაგიკულობას. სამყარო არა მარტო შეგრძნებით არის ტრაგიკული, არამედ თავისი ყოფიერებითაც. თანამედროვე დეჰუმანიზაციას ადამიანი მიჰყავს დაცემამდე. ჩვენ განვიცდით მთელი კულტურის ღრმა კრიზისს. აქ ლაპარაკია ადამიანისა და კულტურის კრიზისზე. განვიხილოთ ზოგიერთი მოაზროვნის შეხედულება აღნიშნულ საკითხებზე, როგორ აფასებს ის ადამიანის მდგომარეობას დღევანდელ სამყაროში.

ძირითადი ცნება, რომლითაც ესპანელი ფილოსოფოსი **ხოსე ორტეგა – ი – გასეტი** (1883 –1955 წწ.) ახასიათებს ადამიანის და ისტორიის თანამედროვე მდგომარეობას, არის კრიზისის ცნება. კრიზისის ფენომენი მრავალი მოაზროვნის კვლევის ობიექტი იყო გასეტამდე, მაგრამ მან მოუძებნა სპეციფიკური ასპექტი და განსაზღვრა ის, როგორც „ისტორიული კრიზისი“. განვმარტოთ როგორ ესმის ხ. გასეტს კრიზისი. კრიზისი არის განსაკუთრებული ისტორიული ცვლილება. ისტორია, მოაზროვნის გაგებით, არის ქმნადობა. ისეთი ქმნადობა, რომელიც მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, ადამიანი როგორც ისტორიის ცენტრი, შეიძლება იცვლებოდეს. ეს არის ადამიანის მსოფლმხედველობის ცვლილებით გამოწვეული ცვლილება. ადამიანის მსოფლმხედველობა განსაზღვრავს, გამოხატავს მის ადამიანობას, ამოძრავებს და აძლევს მას მიზანს. თუ იცვლება ადამიანი, იცვლება მისი მსოფლხედვაც. ამიტომ ისტორიული კრიზისი მაშინ დგება, როცა ადამიანი მსოფლმხედველობის გარეშეა. ადამიანი დეზორიენტირებული ხდება. ის კარგავს სამყაროს, რომელშიც ცხოვრობდა ისე, რომ არ აქვს შექმნილი ახალი. ეს ცვლილება გადადის კრიზისში და იღებს კატასტროფის სახეს. ცვლილებათა მეორე სახე მდგომარეობს სოციალური სტრუქტურის ცვლილებებში. ხოლო ცვლილებათა მესამე სახე ეხება ადამიანის „მე“- ობას. ე. ი. როცა ადამიანის „მე“- ში ხდება ცვლილება ისე, რომ არ იკარგება მისი „მე“. მაგრამ არის ცვლილება, როდესაც „მე“ კარგავს „მე“- ობას. ის გაუცხოვდება. სწორედ კრიზისის ეს მესამე სახეა ჩვენი კვლევის ობიექტი. ესპანელ მოაზროვნეს ამ კრიზისის საფუძვლად მიაჩნია „მასების ამბოხი“.

სიტყვა „ამბოხი“ არ ნიშნავს ბრძოლას იარაღით ხელში. მასში პოლიტიკურთან ერთად მოცემულია გონითი, მორალურ – ეკო-

ნომიკური და რელიგიური ცხოვრებაც. ეს არის ყველაზე დრამატული პერიოდი, რომელიც ოდესმე საზოგადეობას გადაუტანია. მთელი ძალაუფლება საზოგადოებაში ხელთ იგდეს მასებმა. გასეტის თქმით, „მასები არ უნდა მართავდნენ და არც შეუძლიათ მართონ საკუთარი ბედიც კი, რომ არაფერი ვთქვათ საზოგადოებაზე მთლიანად. აქედან გამომდინარეობს, რომ ევროპა ამჟამად განიცდის ყველაზე მძიმე კრიზისს, რომელიც შეიძლება თავს დაატყდეს ხალხს, ერს, კულტურას“.

სხვადასხვა პრინციპით ხდება უმცირესობისა და ურავლესობის გაერთიანება. უმრავლესობად წარმოქმნის წანამძღვარია მისი წევრების გემოვნების, იდეების, ცხოვრების წესისა და სტილის ერთიანობა. უმცირესობის წევრები ინდივიდებია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სწორედ აღნიშნული ნიშნებით. მათ აერთიანებთ უმრავლესობისაგან განსხვავებულობა.

ადამიანის მასისადმი მიკუთვნება განისაზღვრება ფსიქოლოგიური ნიშნის მიხედვით. „მასის ადამიანი ეს ისაა, ვინც არ გრძნობს თავის თავში არავითარ განსაკუთრებულ უნარს ან განსხვავებულობას სხვებისაგან – კარგს ან ცუდს. ვინც გრძნობს, რომ იგი ზუსტად ისეთივეა, როგორც დანარჩენები და ამასთან ამით სულ არ არის შეწუხებული, პირიქით, ბედნიერია იგრძნოს თავისი თავი ისეთივედ, როგორც ყველა“.

თუ არსებითად განვიხილავთ მასების ამბოხს, მაშინ მას ახასიათებს შემდეგი ორი გარემოება: 1) მასები ამჟამად ასრულებენ იმ საზოგადოებრივ ფუნქციებს, რაც ადრე მარტოოდენ გამორჩეულ უმცირესობათა პრეროგატივა იყო; 2) ამავე დროს მასები უკვე აღარ არიან ამ უცირესობათა მორჩილნი. ისინი არა თუ ემორჩილებიან, მისდევენ და პატივს სცემენ, არამედ თავიდან იშორებენ და ავიწროვებენ მათ. არაფერი არ ახასიათებს ჩვენ ეპოქას ისე, როგორც ის, რომ თითქმის ყველგან, ერთგვაროვანი მასები ახდენენ ზემოქმედებას ხელისუფლებაზე და შეურაცხყოფენ ყველა ოპოზიციურ ჯგუფს. წინათ დემოკრატია არ იყო გაყოფილი. დღეს კი ჩვენ მოვესწარით ჰიპერდემოკრატიის ტრიუმფს, როდესაც მასები თვლიან, რომ მათ უფლება აქვთ მსვლელობა მისცენ და სახელმწიფო კანონად აქციონ თავიანთი საუბრები კაფეში. გასეტის აზრით, „პრობლემა ის არის, რომ ევროპა დარჩა მორალის გარეშე. მასის

ადამიანმა უკუაგდო მოძველებული მცნებები არა იმისთვის, რომ ისინი ახლით, უკეთესით შეეცვალა, – არა! მისი სასიცოცხლო წესების არსია იცხოვროს მცნებებისადმი დამორჩილების გარეშე“. ის იჭრება ყველაფერში მიუხედავად თავისი უგვანო აზრებისა, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ არავის და არაფერს. მასის ადამიანს არ უნდა დარჩენა მტკიცე ბედის მყარ ნიადაგზე, ის უპირატესობას ანიჭებს ჰაერში დაკიდებულ ფიქტიურ არსებობას, რაც რადიკალურად განსხვავდება ელიტარული ადამიანის ცხოვრებისა და მისწრაფებებისაგან. გასეტის აზრით, ეს ახალი ტიპის ადამიანი შექმნილია თანამედროვე ევროპული კულტურის ძირეული შეცდომებისაგან, რომელსაც ასწავლეს ტექნიკის ტრფიალი და სარგებლობა, ხოლო ცხოვრებისა კი არა ასწავლეს რა.

„მასების“ ცნებაში გასეტი არ გულისხმობს საზოგადოების რომელიმე კლასს. „მასა – ეს არის ხალხის უმრავლესობა განსაკუთრებული, გამორჩეული თვისებების გარეშე. ეს სრულებით არ არის ვთქვათ, მუშები, პროლეტერიატი. მასა – ეს არის საშუალო, უფერული ადამიანი“. გასეტი არ განასხვავებს და ერთი და იმავე ცნებით აღნიშნავს მასასა და ბრბოს, რომელსაც პიროვნებების მცირერიცხოვან ელიტას უპირისპირებს. ეს უკანასკნელიც არ წარმოადგენს კლასს, არ წარმოადგენს წოდებას, არამედ ადამიანთა ტიპს, რომლის სახელია არაერთფეროვნება, პიროვნება.

საზოგადოების დაყოფა არა სოციალურ კლასად, არამედ ხალხის ტიპებად – მასებად და რჩეულებად – სრულებით არ არის უბრალოდ დაყოფა „უმაღლესობად“ და „უმცირესობად“. გვინდა თუ არა ეს, ავტორის აზრით, საზოგადოება უნდა იყოს არისტოკრატული. აღსანიშნავია, რომ ავტორი ელიტაში არა არისტოკრატულ წარმომავლობასა და კეთილშობილი გვარის უპირატესობას გულისხმობს, რაც ჩვეულებრივ ესმით ამ ცნების ქვეშ, არამედ წმინდა გონებრივ გამორჩეულობას; ელიტა სწორედ წმინდა ინტელექტუალური უმცირესობაა. ესაა ადამიანი, რომელიც ქმნის კულტურას, აჩქარებს პროგრესს და ამაღლებს ცივილიზაციის დონეს. მას ახასიათებს პასუხისმგებლობის გაძლიერებული გრძნობა, განსაკუთრებული მომთხოვნელობა საკუთარი პერსონისადმი. ეს უცხოა საშუალო მასის ადამიანისათვის. მისი პრინციპი სრულიად განსხვავებულია – „სწრაფად გააკეთე ყველაფერი, რაც გსურს! არ არსებობს არც

შეუძლებელი და არც საშიში, არც უმაღლესობა და არც უმცირესობა“. ის ყოველთვის კმაყოფილია და აღფრთოვანებული თავისი თავით. ცხოვრება თვითკმაყოფილებაში – ეს არის ხვედრი პლებეისა. მასის ადამიანი არ ცნობს დიალოგს, როგორც ურთიერთობის უმაღლეს ფორმას. წავიდეს დიალოგზე, მისთვის ეს პირველ მარცხს ნიშნავს. აქედან ჩნდება მოთხოვნა: „კმარა დისკუსიები“! ამას შედეგად კი მოსდევს უარყოფა ყოველგვარი სულიერი ურთიერთობისა, რაც ეფუძნება ობიექტური ნორმების ცნობას, დაწყებული უბრალო საუბრიდან, დამთავრებული პარლამენტით და სამეცნიერო საზოგადოებით. ის მოითხოვს „პირდაპირი მოქმედების“ ერთადერთ მეთოდს. ეს ნორმაა, რომელიც ხსნის ყველა დანარჩენ ნორმას, ხსნის ყველა შუა ეტაპს მიზანსა და მონაპოვარს შორის. ევროპის ისტორიაში პლებეი არასდროს წარმოიდგენდა თავს რაიმე იდეების მქონედ. მას ჰქონდა თავისი რწმენა, ტრადიციები, ცხოვრებისეული გამოცდილება, გაცვეთილი აზრი, მაგრამ ის არ ერეოდა თეორიულ გამოკვლევებში და განზოგადებებში, რომლებსაც მოითხოვს პოლიტიკა, ლიტერატურა და ა. შ. ახლა კი დაანება თავი სხვის მოსმენას. ახლა მან უნდა განსაჯოს, დაგეგმოს, გადაწყვიტოს. ამიტომ ამ დროს ადამიანები ცხოვრობენ ცხოვრებისეული პროგრამების გარეშე, უგეგმოდ. მთავრობა არაფერს ლაპარაკობს მომავალზე. მან არ იცის საით მიისწრაფვის, მიდის მიზნის გაცნობიერების გარეშე, ამიტომ მის საქმიანობაში არ იხსნება პრობლემები, პირიქით – ფართოვდება და რთულდება კონფლიქტური სიტუაციები. ყოველთვის ასეთი იყო საზოგადოება, რომელსაც მართავდნენ საშუალო მასები – ის იყო ყოვლისშემძლე და ეფემერული. ეს იმიტომ, რომ საშუალო ადამიანის იდეები არ არის ნამდვილი იდეები. ისინი კულტურულობით არ დასტურდებიან. მასების ამბოხებამ შეიძლება მიგვიყვანოს კატასტროფამდე, რადგან მმართველობა ხელში ჩაუვარდათ განსაზღვრული ტიპის ხალხს, რომელთათვისაც არ არის ძვირფასი ცივილიზაციის ფუძე. პარადოქსია, რომ მსოფლიოს ეხლანდელი გამგებელი პრიმიტიულია, შემთხვევით მოვლინებულია ცივილიზებულ სამყაროში. მაშინ, როცა პიროვნების ცხოვრება, მისი ყოველდღიურობა – ეს არის მუდმივი დაძაბულობა, შეუსვენებელი ვარჯიში, ვარჯიში ასკეტისა. ღირშესანიშნავი – დამახასიათებელი კეთილშობილებისა – ეს არის არა ძალაუფლება, არა პრივილეგიები, არამედ მოვალეობები,

მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი. ელიტის ადამიანმა იცის რა ადვილია სისულელის ჩადენა; რა ახლოსაა საშიშროება ყოველ წამს. თუ ელიტას ახასიათებს აზრის თავისუფლება და წარსულთან ურთიერთობა, რაც აუცილებელი პირობაა განვითარებისათვის, მასის ადამიანისათვის ეს სფეროები უგულვებელყოფილია. ის იღებს მმართველობას წარსულის გათვალისწინების გარეშე ისე, თითქოს ის არც არსებულიყო. გასეტის ფილოსოფიის დასახასიათებლად საჭიროა მრავალი კატეგორია: ცხოვრება, სუბიექტი, ყოფიერება, სინამდვილე, ჭეშმარიტება, მიმართება „მესა“ და „შენს“ შორის, ელიტა, მასა, ხალხი, „მანი“, გაუცხოება, ისტორიული კრიზისი და სხვა. მაგრამ ყველა ეს კატეგორია ერთი ცენტრალური ფიგურის, ერთი ძირითადი კატეგორიის გარშემო მოძრაობს. ეს არის ადამიანური ყოფიერების კრიზისი და მისი გაუცხოება. მისთვის ერთადერთი სინამდვილე, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, არის ჩვენი სინამდვილე, ჩვენი სამყარო, ჩვენი ცხოვრება. ადამიანი არ უნდა დაკმაყოფილდეს ნივთთა ყოფიერებით, თუკი ეს ყოფიერება ნივთებს ადამიანისაგან დამოუკიდებლად აქვთ.

ადამიანის ფენომენი გასეტის ფილოსოფიაში შეიცავს ორმხრივობას – ადამიანი მეგობარი და ადამიანი მტერი. ამის საფუძველიც სოციალურობაა. სიტყვა „საზოგადოებრივი“ თავის თავში აერთიანებს პოზიტიურ და ნეგატიურ საწყისს. რომ შევიქმნათ ნათელი წარმოდგენა სახელმწიფოზე, უნდა გავიგოთ ის მსოფლმხედველობრივი სისტემა ჩვეულებებისა, რომელსაც „საზოგადოებრივ აზრს“ ვუწოდებთ. ხოსე ორტეგა – ი – გასეტს შესანიშნავად აქვს მიგნებული მასების ხასიათში ყველაზე უმნიშვნელო თვისებაც კი, თვალნათლივ და ზუსტად აღწერს ადამიანის მიერ ყოველდღიურობაში, სხვადასხვა სიტუაციაში ამ ნიშან-თვისებათა გამოვლენას, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას უთმობს იმ სოციალური მიზეზების კვლევას, რომელიც საშუალებას მისცემს ადამიანს გაექცეს საშუალოობას. ამავე დროს, არ არის გამოყოფილი, გამიჯნული ბრბოსა და მასის ცნებები. ჩვენი აზრით კი, ზოგიერთი თვისება, რომელსაც გასეტი მასას მიაწერს, ბრბოს მახასიათებელი უფროა, ვიდრე საშუალო ადამიანისა.

ფრანგმა ექიმმა და პუბლიცისტმა **გუსტავ ლებონმა** (1841 – 1931 წწ.) თავის ერთ-ერთ ნაშრომში „ხალხებისა და მასების ფსიქოლოგია“,

თავის საუკუნეს „ბრბოს საუკუნე“ უწოდა. ბრბოს პრობლემის წინა პლანზე წამოწევა ამ ეპოქის დამახასიათებელი ძირითადი ნიშანია. ბრბოს ფენომენის ჩვეულებრივი გაგება, რომელშიც იგულისხმება ადამიანთა ჩვეულებრივი თავმოყრა, ერთიანი მისწრაფებებით, მიზნებით, ლებონმა განასხვავა ბრბოს ფსიქოლოგიური ცნებისაგან. აქ ადამიანთა ისეთი თავმოყრა იგულისხმება, როდესაც ადამიანთა თავშეყრა არ ხდება ფიზიკურად. ე. ი. ისინი ფაქტობრივად დაშორებულნი არიან ერთმანეთს, მაგრამ მაინც ერთნაირად გრძნობენ, ერთნაირად ფიქრობენ და მოქმედებენ. მათ ახასიათებთ ინდივიდუალურისაგან განსხვავებული კოლექტიური, მასობრივი სული. ჩვენი აზრით, აქ ლებონი გულისხმობს სწორედ იმას, რასაც გასეტი საშუალო ადამიანთა მასებს უწოდებს. უბრალოდ ლებონი მასებისა და ბრბოს აღსანიშნავად ერთსა და იმავე ტერმინს – „ბრბოს“ იყენებს. ფსიქოლოგიაში მეტ – ნაკლებად შესწავლილია ადამიანის თავდაპირველი მოთხოვნილებებიდან მომდინარე იმპულსები და მიდრეკილებები, მისი მოქმედების მოტივები და სხვა ადამიანებთან ურთიერთობები. ამრიგად, შესაძლებელია მიახლოებითი სიზუსტით მაინც განვსაზღვროთ ადამიანთა მოსალოდნელი რეაქცია ამა თუ იმ მოვლენაზე, მაგრამ უტყუარია ის ფაქტიც, რომ გარკვეულ პირობებში ადამიანი ფიქრობს და იქცევა მოსალოდნელისაგან სრულიად განსხვავებულად და ხშირად საპირისპიროდაც. ასე ხდება მაშინ, როცა ადამიანი ჩართულია ბრბოს შემადგენლობაში, იქცევა მასის ორგანულ ნაწილად. ლებონი წერს: „ფსიქოლოგიურ მასაში ყველაზე უცნაურია შემდეგი. როგორიც არ უნდა იყოს მათი ცხოვრების წესი, საქმიანობა, მათი ხასიათი და ინტელიგენტურობის ხარისხი, მასად ქცევისას ისინი იძენენ კოლექტიურ სულს, რომლის ძალით სრულიად სხვაგვარად გრძნობენ, ფიქრობენ და იქცევიან, ვიდრე თითოეული მათგანი ცალკე იგრძნობდა, იფიქრებდა, მოიქცეოდა. არსებობენ იდეები და გრძნობები, რომლებიც გამოვლინდებიან ან მოქმედებად იქცევიან მხოლოდ მასად გაერთიანებულ ინდივიდებში“. მასას ლებონი ადარებს ორგანიზმს, რომელიც შედგება მრავალი უჯრედისაგან და რომელსაც აქვს სრულიად ახალი თვისებები, ვიდრე ცალკეულ უჯრედებს. აქ ლებონი საუბრობს ამა თუ იმ ადამიანის ინტელიგენტურობის ხარისხზე, რაც, ჩვენი აზრით, ზუსტი არ არის. ადამიანის ინტელიგენტურობას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა-

დასხვა ხარისხი. იგი ან არის, ან არ არის ინტელიგენტი. პიროვნება, თუკი ის მართლა ინტელიგენტია, არ შეიძლება გაითქვიფოს უპიროვნო მასაში ისე, რომ მან აბსოლუტურად დაკარგოს საღი გონებით განსჯის, კრიტიკული ანალიზის უნარი. ლებონს მოჰყავს მისი თანამედროვე ფსიქოლოგიის მიერ დადგენილი ფაქტი, რომ ადამიანის ცხოვრებაში უდიდეს როლს ქვეცნობიერი მისწრაფებები ასრულებს. მისი ყოველდღიური მოქმედების უკან, რომელსაც პიროვნება აღიარებს, უეჭველად არსებობს კიდევ რაღაც დაფარული მიზეზები, რომელსაც იგი არ აღიარებს, ხოლო ყოველივე ამის უკან კი ძევს კიდევ უფრო ფარული მიზეზები, რომელთა არსებობის შესახებაც კი ადამიანმა არაფერი იცის. მისი ყოველდღიური მოქმედებები სწორედ ამ ფარული, არაცნობიერი მოტივების გავლენის შედეგია. აქედან გამომდინარე გ. ლებონი ცდილობს ახსნას ბრბოში ადამიანის ცვალებადობის მიზეზები და მათ სამ გამოვლინებაში ეძებს.

ადამიანს, გარშემორტყმულს მრავალი ადამიანით და მათთან მიზნების საერთოობით დაკავშირებულს, ეუფლება განუსაზღვრელი ძლევამოსილების გრძნობა. ეს გრძნობა აძლევს მას საშუალებას თავისუფლად გამოავლინოს თავდაპირველი სურვილები, რომლებიც იზოლირებულად არსებობის პერიოდში იძულებული იყო დაეთრგუნა. ბრბოში აღარ არსებობენ ინდივიდები, იგი უპიროვნო და ანონიმურია, ამდენად მასში მყოფ ადამიანს სრულიად უქრება პასუხისმგებლობის გრძნობა. გრძნობა, რომელიც ჩეულებრივ ყოველთვის თან ახლავს პიროვნებას და აიძულებს იმოქმედოს გააზრებულად. ეს არის ბრბოში ცვალებადობის პირველი მიზეზი. **ზიგმუნდ ფროიდი** (1859 –1939 წწ.), რომელიც, თავისი მოძღვრებიდან გამომდინარე, კომენტარს უკეთებს გუსტავ ლებონის ნააზრევს, აღნიშნავს, რომ „ეს თითქოს ახალი თვისებები, რომლებსაც ის აღმოაჩენს ახლა, სინამდვილეში წარმოადგენს იმ არაცნობიერის გამოვლენას, რომელშიც ჩანასახშივე ჩადებულია ადამიანის სულის ყველა სიბოროტე“.

მეორე მიზეზი ცვალებადობისა მეტად უცნაური და ამოუცნობი ფენომენი – გადამდებლობაა. გ. ლებონი მას ჰიპნოზურ ფენომენთა რიცხვს მიაკუთვნებს. ბრბოში ადამიანის ყოველი მოქმედება თუ გრძნობა გადამდებია. იგი უმალვე გადაეცემა მასის დანარჩენ წევრებს. ასეთი გადამდებლობა შეიძლება მივიდეს იმ ზომამდე,

როდესაც ადამიანს პირადი ინტერესი საერთოს, მასის ინტერსების სამსხვერპლოზე მიაქვს. ეს კი მისი ბუნებისათვის სრულიად საწინააღმდეგო თვისებაა.

ცვალებადობის მესამე მიზეზს შთაგონებადობა წარმოადგენს. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია. სწორედ იგი განაპირობებს მასაში გაერთიანებული ადამიანების თვისებათა განსხვავებას ცალკეულ ინდივიდთა თვისებებისაგან. ამასთან, გადამდებლობა გუსტავ ლებონს შთაგონებადობის მოქმედების შედეგად გაჩენილ ფენომენად მიაჩნია. ადამიანი, როცა მასაში იმყოფება, ვარდება „მონუსხვის“ მსგავს მდგომარეობაში, კარგავს კონტროლს თავის თავზე, ვეღარ აცნობიერებს საკუთარ ქმედებებს. ასეთ ვითარებაში მისი მოქმედება შთაგონების შედეგად შეიძლება ნებისმიერი მიმართულებით წარიმართოს. იგი ძლიერი აღტკინებით იწყებს შთაგონებული მოქმედების შესრულებას. ეს აღტკინება ძლიერი და გადაულახავია.

გუსტავ ლებონი აჯამებს ბრბოში პიროვნების სრული ნიველირებისა და ცვალებადობის კვლევის შედეგებს და მიიჩნევს, რომ მასის ადამიანისათვის ტიპიურ დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენს ცნობიერი პიროვნების გაქრობა, არაცნობიერის მოჭარბება, შთაგონებისა და გადამდებლობის შედეგად აზრებისა და გრძნობების ორიენტაცია ერთი და იმავე მიმართულებით, შთაგონებული იდეების უსწრაფესად შესრულების ტენდენცია. ინდივიდი უკვე აღარ ეკუთვნის საკუთარ თავს, იგი უნებისყოფო ავტომატად იქცა. მეცნიერი მიმართავს მასობრივი, კოლექტიური სულისათვის დამახასიათებელ ტიპიურ თვისებათა განხილვას. მასა იმპულსური და ადვილად აღგზნებადია. იგი თითქმის მთლიანად თავდაპირველ იმპულსებს ექვემდებარება. ეს იმპულსები იმდენად ძლიერია, რომ ინდივიდს არ ეძლევა თავისი ინტერესების გამოვლენის არავითარი საშუალება. კერძო ინტერესს ბრბოს საერთო ინტერესი ნთქავს. ბრბო ცვალებადია, არამყარია. თუ მას რაიმე სურს, მხოლოდ მოკლე დროით, თუმცა ეს სურვილი მაშინვე უნდა იყოს დაკმაყოფილებული. მასა აუცილებლობით მოითხოვს აღიარებულ ლიდერ – ბელადს. ბრბო თავისი ბუნებით კერპთაყვანისმცემელია. იგი მთლიანად ენდობა თავის ავტორიტეტს, აბსოლუტურად უკრიტიკოა ბელადის მიმართ. ბრბოს არ გააჩნია საკუთარი აზრი, მისი აზრი

იგივე ბელადის აზრია. სხვაგვარ შეხედულებებს იგი არ იღებს, მათ მიმართ არა თუ შემწყნარებელი, არამედ აგრესიულია. მასთან პაექრობა შეუძლებელია, რადგან იგი არავითარ არგუმენტს ანგარიშს არ უწევს. მასას უყვარს თავისი კერპი, ხოლო ვინც მას უპირისპირდება, სიძულვილით და მტრობით პასუხობს.

მასა მეტად დამყოლია და ადვილად იჯერებს ყველაზე დაუჯერებელ ამბავსაც კი. იგი მოკლებულია კრიტიკის უნარს. მასას ყველაფერში უკიდურესობის გრძნობა ახასიათებს. ანტიპათიის პატარა მარცვალიც კი უცებ გადაიქცევა ველურ, დაუოკებელ სიძულვილად. მას, ვისაც სურს გავლენა მოიპოვოს მასაზე, სრულიად არ მოეთხოვება იყოს თანმიმდევრული და ლოგიკური თავის არგუმენტაციაში. საკმარისია შეეძლოს მაღალფარდოვანი და ემოციური საუბარი და მასაც დაპყრობილია. ბრბოს, თავისი მრავალრიცხოვნობის გამო, უძლეველობის გრძნობა ეუფლება. თუმცა მასები დაუფიქრებლად მიჰყვებიან თავის ლიდერს, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს გარკვეული თვისებები, რომლითაც მოხიბლავს ბრბოს და გაიყოლებს მას.

უნდა აღინიშნოს, რომ გუსტავ ლებონის მთელი ეს მსჯელობა ეხება არა ხანგრძლივი ხასიათის მასებს, არამედ ბრბოს, რომელიც წარმოიქმნება მხოლოდ გარკვეული დროით ერთმანეთისაგან განსხვავებული ინდივიდების თავშეყრის შედეგად და რომელთაც ამ მომენტისათვის ერთი საერთო, მაგრამ წარმავალი ინტერესი აერთიანებთ. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ინტერესი კარგავს თავის აქტუალობას, დაკმაყოფილებულია ან მოხსნილია რაიმე მიზეზის გამო, ბრბო იშლება.

მასების ფსიქოლოგიის, ადამიანთა სხვადასხვაგვარი სოციალური ჯგუფებისა თუ წარმონაქმნების კვლევაში, გუსტავ ლებონთან ერთად, დიდი დამსახურება მიუძღვის ფრანგ იურისტს და სოციოლოგს **გაბრიელ ტარდს** (1843 –1904 წწ.). ამ თემას მიუძღვნა მან თავისი ერთ-ერთი მთავარი შრომა „აზრი და ბრბო“. ტარდი ერთმანეთისაგან მიჯნავს „ბრბოსა“ და „პუბლიკის ცნებებს“. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბრბოს ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მისი შემადგენელი ინდივიდების ფიზიკურ სიახლოვეს. ის ერთ ტერიტორიაზე თავშეყრაა. ამისგან განსხვავებით, პუბლიკა არ საჭიროებს თავისი წევრების აუცილებელ ფი-

ზიკურ კავშირს. ტარდის აზრით, პუბლიკის ჩამოყალიბება იწყება XVI საუკუნიდან, რაც დაკავშირებულია წიგნების ბეჭდვის ფართო გავრცელებასთან. ამ უდიდესი სიახლით – გაზეთებისა და წიგნების ყოველდღიური და ერთობლივი კითხვით გაერთიანებულმა მკითხველთა მასამ თავი სრულიად ახალ სოციალურ ძალად, სხეულად იგრძნო. ყალიბდება სხვადასხვა სახის ლიტერატურული, პოლიტიკური და ა. შ. პუბლიკა, რომლებიც ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს მოიცავს. ეს პროცესი გრძელდება შემდგომ საუკუნეებშიც. ამიტომ გაბრიელ ტარდი არ ეთანხმება გუსტავ ლებონის მოსაზრებას, რომ XX საუკუნე არის ბრბოს საუკუნე.

გ. ტარდი ახდენს ბრბოს ნაირსახეობათა კლასიფიკაციას, მაგალითად, ასაკის, სქესის და სხვა ნიშნებით. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ქუჩაში თავმოყრილ ქალთა ბრბოზე, რომელიც ასე ნაცნობია ჩვენთვისაც და რომელიც თავისი უკიდურესი აღგზნებადობით, აგრესიულობით და სისასტიკით ადამიანის გაოცებას იწვევს. ამგვარ ქალთა თავყრილობებში ხდება ყველაზე აღვირახსნილი და თავხედური ინსტინქტების გამოვლენა. ავტორი ყურადღებას ბრბოში რწმენისა და მიზნის ხარისხზე ამახვილებს. ამის შესაბამისად მორწმუნე ბრბო დარწმუნებული და ფანატიკურია, ხოლო ბრბო, რომელსაც რაიმე მიზნის მიღწევა სურს, ჟინიანი და დესპოტურია. რელიგიური ბრბო ყველაზე მშვიდი და წყნარია, თუმცა ზოგჯერ ისიც სჩადის დანაშაულს.

პოლიტიკური ბრბო უფრო მეტად აგრესიული და გაღიზიანებულია, ვიდრე რელიგიური. იგი არამყარია, ცვალებადია, შეუძლია ადვილად მიეცეს უკიდურესი სიძულვილიდან დიდ აღტაცებასა და სიხარულს. მიუხედავად ბრბოთა ასეთი მრავალფეროვნებისა, არსებობს რამდენიმე ყველასათვის საერთო ნიშანი. ეს თვისებებია: უკიდურესი მოუთმენლობა, სასაცილო ამპარტავნობა, ავადმყოფური მგრძნობიარობა, უპასუხისმგებლობის გრძნობა, ყოვლისშემძლეობის ილუზიური განცდა, ტაქტის, ზომიერების გრძნობის სრული დაკარგვა. ის გარბის, იფანტება, როცა მტერი მასზე ძლიერია, ხოლო თუ საკუთარი უპირატესობა იგრძნო, მაშინვე შეტევაზე გადადის. ბრბო იოლად ეძლევა კოლექტიური ჰალუცინაციების გრძნობას. მას ხშირად ეჩვენება, რომ მოსდევს წარმოსახვითი მტერი. ასეთი რწმენა ემყარება იმავე მოსაზრებებს, როგორიც შეშლილებს აქვთ.

აქტიურობის და პასიურობის ხარისხის შესაბამისად გაბრიელ ტარდი ბრბოს ოთხ ძირითად სახედ ყოფს: 1) მომლოდინე; 2) ყურადღებიანი; 3) თავის შესახებ განმცხადებელი და 4) მოქმედი. ავტორი დაწვრილებით ახასიათებს თითოეულ მათგანს და მოჰყავს შესაბამისი მაგალითები. მაშინაც კი, როცა ბრბო ველური ოვაციებით გარს ერტყმის რომელიმე მომავალ გმირს, ბრბოს ძალუძს მხოლოდ მოამზადოს მისი დამარცხება, აღაგზნებს რა უკიდურესობამდე მის სიამაყეს და მის გენიას სიგიჟედ გადააქცევს. გაბრიელ ტარდს მოჰყავს მრავალი მაგალითი ბრბოს მიერ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულისა, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ კრებით ერთეულებს, ამ შემთხვევაში ბრბოს, შეუძლია მოიმოქმედოს არა მარტო გაუგონარი და საშინელი დანაშაული, არამედ ძალუძს დიდი გმირობის ჩადენაც. ეს ეხება მხოლოდ ზნეობრიობის სფეროს. გონებრივ ასპექტში კი ბრბოს არ შეუძლია ამაღლდეს ერთი საფეხურითაც კი. ზნეობრიობის სფეროში მათ ძალუძთ დაეცნენ ძლიერ დაბლა და აიწიონ ძლიერ მაღლა; გონების სფეროში კი მათ ძალუძთ იდგნენ მხოლოდ ძალიან დაბალ დონეზე.

ჩვენს მიერ განხილულ მეცნიერთა ნაშრომებში გამოთქმული შეხედულებები უცხო არ არის ჩვენი სინამდვილისათვის. სწორედ, ბრბოს მახასიათებელმა ამ და სხვა თვისებებმა ჩვენს მეხსიერებაში ამ რამდენიმე ხნის წინ დატოვა კვალი. მრავალწლიანი ტოტალიტარული რეჟიმის არსებობის პერიოდში მთლიანად წართმეული გვქონდა საკუთარი ნების და აზრის თავისუფლად გამოხატვის ელემენტარული საშუალება. ადამიანთა ფართო ფენები რეპრესიული, დამსჯელი აპარატის ზეგავლენით მუდმივი ფსიქოლოგიური დათრგუნვის ქვეშ იმყოფებოდნენ. ტოტალიტარული რეჟიმის თანდათანობით მსხვრევას თან მოჰყვა ხალხის ფართო მასების აღტკინება, ფართო ფენების უკიდურესი გააქტიურება, რამაც აგრესიული და დამანგრეველი შედეგები გამოიწვია.

ჩვენს თვალწინ, რუსთაველის პროსპექტზე აბობოქრებულმა ბრბომ მოაწყო საშინელი დეკორაციები. ბრბო „ღმუოდა“, „გრგვინავდა“, გაიძახოდა „ძირს“, „მაღლა“, „მოვსპოთ“ და ა. შ. ბრბოს ამოძახილები, სიმღერებიც კი შიშის მომგვრელი, ავის მომასწავებელი, თავზარდამცემი იყო. ბრბოს სიჩუმეშიც კი წყვდიადის ხმა ისმოდა, რომელმაც მსახვრალი ხელი დაატყო რუსთაველის პროსპექტს, და-

სავლეთ საქართველოს, სამაჩაბლოს, აფხაზეთს, შეიწირა ადამიანები. ასეთი შედეგი მოსდევს ყოველთვის ამორფული ჯგუფების თავაშვებულ თარეშს. რას მიჰყავს ადამიანი ამგვარ ქმედებებამდე? განა არ იცის ადამიანმა, შენობების ნგრევით, შუშების მსხვრევით, ძეგლების ჩამოგდებით მიზანი რომ არ ხორციელდება?! ნუთუ არ იცის, რომ ეს დაუნდობელი ნგრევა თაობების წინააღმდეგ არის მიმართული და ნამდვილი იდეის შესრულებასთან ვერ გვაახლოებს?! ადამიანთა ტანჯვის მიზეზი ხომ ხელუხლებელი რჩება და პორტრეტების დაწვით მიღებული სიამოვნება თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი!

კონი აღნიშნავს, რომ „ინდივიდის გამოცალკევება და მასში საკუთარი განსაკუთრებულობის ცნობიერების განვითარება ისტორიული პროცესია„. ამავე ისტორიული განვითარების შედეგია ემოციურ – ექსპრესიული (სულიერი სიახლოვე, გაგება, ინტიმურობა), ინსტრუმენტული (ერთობლივი მოვალეობები, და დახმარება) უნარები და ამავე დროს სულიერება, თავისუფალი რწმენა, იდეალების ქონა და ა. შ. საოცარია, წლების განმავლობაში დაუოკებელი მეცადინეობით მოპოვებულ პიროვნულობას და ღირებულებებს როგორ თმობს ადამიანი ერთ წამში, ერთი ხელის მოსმით როგორ კარგავს მას, თუ ის მართლაც ჰქონდა ადამიანს?!

ზემოხსენებული რიგი უნარის ნაკლებობა იწვევს პიროვნების დეფიციტსა და პიროვნების დეფორმაციას. ყველაფერი ხდება ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, შეუმჩნევლად და ადამიანი ერთ დღეს აღმოჩნდება ბრბოს წევრად. გამოდის, რომ ეს არ არის წუთიერი დატვირთვის ბრალი, არამედ ესეც ისტორიული გზა ყოფილა.

უნდა აღინიშნოს, რომ, როცა ადამიანი რაიმე მოქმედებას ახორციელებს, ვთქვათ, წვავს ან არბევს მთავრობის სახლს, ამ მოქმედებაში გადახლართულია ორი შინაგანი სფეროს – გრძნობისა და აზროვნების აქტივობა. ამ სფეროში კიდევ უფრო მეტად უნდა ერიოს ხელი არაცნობიერს. აქ ხომ ზემოხსენებული ორი სფეროს აქტივობას ერთვის თავად ნების, როგორც ასეთის, კიდევ უფრო მეტად არაცნობიერი ხასიათი. სწორედ აქ არის გამორიცხული – რატომ? რისთვის? ამ კითხვებზე პასუხს ხომ მოტივი სჭირდება. ბრბოს ქცევას კი მოტივი არასდროს აქვს. ასეთ სიტუაციაში ადამიანის მოქმედებიდან ამორთულია სინდისის კონტროლი და სრულიად არ

არის გასაკვირი ადამიანის მოქმედება, რომელსაც ის ჩვეულებრივ პირობებში არ ჩაიდენდა. განა ეს ქცევა, როგორც ე. წ. იმპულსური ქცევა, ჩვენი არაცნობიერი ნების გამოხატულება არ არის? მიუხედავად იმისა, რას მივიჩნევთ მის ამხსნელ მექანიზმად – მასის ფსიქოლოგიას (გ. ლებონი, ზ. ფროიდი), კოლექტიური არაცნობიერის არქეტიპს (კ. იუნგი), თუ განწყობას (დ. უზნაძე). აქვე მოვიშველიებთ კ. იუნგს: „ადამიანის ცხოვრების მეხუთედი თუ მესამედი, ან იქნებ ნახევარიც კი, არაცნობიერ მდგომარეობაში მიმდინარეობს. ჩვენი ბავშვობის პირველი ხანა არაცნობიერად გადის, ყოველ ღამით არაცნობიერში ვიძირებით და მხოლოდ განსაზღვრულ შუალედებში ვფლობთ მეტ-ნაკლებად ნათელ ცნობიერებას და კაცმა რომ თქვას, ისიც საკითხავია, თუ რამდენად ნათელია ეს ცნობიერება“.

მართლაცდა, ყველას მოგვსვლია – გვსურს ერთი, გაგვიკეთებია მეორე და გამოგვსვლია მესამე. აქ აზროვნებაზე მეტად გრძნობა პრიორიტეტობს და მართლაც, გრძნობათა მიმართ ჩვენ ისე ავტომატურნი არა ვართ, როგორც აზროვნების, აღქმისა და წარმოდგენის მიმართ. გრძნობა გვევლინება, როგორც უცხო ძალა. მე შემიძლია ნებისმიერ თემაზე ვიფიქრო, მაგრამ მე არ შემიძლია ჩემი ნებისდა მიუხედავად რაიმე გრძნობა შევიგრძნო. ეს ასე რომ ყოფილიყო, ცხოვრება ბევრად უფრო იოლი იქნებოდა.

ნათქვამს თუ ჩავუკვირდებით, გასაგები გახდება, რომ ჩვენ, როგორც იუნგი ამბობს, ძალგვიძს ახალი ცნებების ჩამოყალიბება, მაგრამ ახალი გრძნობების შექმნა კი არა. ეს იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ადამიანს ამოძრავებს რაღაც „არა მე“, რასაც ფსიქოლოგიაში „არაცნობიერს“ უწოდებენ და რომლის წინაშეც ადამიანი უძლურია. თუმცა ეს ადამიანს არ ათავისუფლებს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობისაგან, რადგან ეს ერთ-ერთი იმ ნიშანთაგანია, რომელიც ადამიანს გამოჰყოფს ცხოველთა სამყაროსაგან. სწორედ ამის გაცნობიერებას აქვს მნიშვნელოვანი ფუნქცია. ე. ი. საკუთარი თავის დანახვას სარკეში და გონებითი ქცევის პრიმატს ადამიანის მოქმედების არსენალსა თუ არეალში. ეს ნიშნავს თვითცნობიერების დონის ამაღლებას, რაც ასე საჭიროა დღეს ჩვენთვის.

გაუცხოების დაძლევის მექანიზმების დადგენით ფსიქოლოგიას საზოგადოების ჰუმანიზაციაში თავისი წვლილის შეტანა შეუძლია. დანაშაულის ზრდა, ვანდალიზმი, ნარკომანია, თვითმკვლელობა,

ზოგადად დეჰუმანიზაცია და მისი ცალკეული სიმპტომები, დიდი ხანია შეისწავლება სოციალური ფსიქოლოგიის მიერ, მაგრამ ერთიანი თვალსაზრისი ამ მოვლენის მიმართ ჯერ არ შემუშავებულა, რაც აფერხებს დაძლევის მექანიზმების კვლევასაც.

დეინდივიდუალიზაციის პრობლემის კვლევა არანაკლებ მნიშვნელოვანია ბრბოს ფსიქოლოგიის კვლევისას. ვითარებას ართულებს ის, რომ გვაქვს დეინდივიდუალიზაციის ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი. ერთი მხრივ, ადამიანი ეძებს გამოკვეთილ და უნიკალურ იდენტობას, მეორე მხრივ, ანონიმურობა, მასაში გათქვეფა (რადგან თვითცნობიერება მინიმუმამდეა დასული) და მისწრაფებების უარყოფა დიდ ზიანს აყენებს მის შემოქმედებით უნარიანობას, რაც პიროვნების მოშლას, დეფორმაციას იწვევს.

დეინდივიდუალიზაციის შესახებ სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის გამოკვლევათა უდიდესი ნაწილი იმოწმებს ჰიპოთეზას, რომ იდენტობის დაკარგვა უბიძგებს შეუზღუდველ, იმპულსურ, უკონტროლო ქცევას. დეინდივიდუალიზაცია ხსნის ზღუდეებს იმით, რომ აქვეითებს პიროვნების ყურადღებას საკუთარი „მე“ - სადმი. მას ასევე ნაკლებად აინტერესებს, თუ როგორ გამოიყურება ის სხვების თვალში, რადგან დაქვეითებული აქვს თვითცნობიერება, რაც კონტროლის საშუალებაა. ექსპერიმენტებმა დაადასტურა აგრეთვე „მე“-ს გაშიშვლება ანონიმურობის ვითარებაში, როცა ადამიანს, როგორც კონკრეტულს ვერ ხედავენ. ამას ემატება ისიც, რომ ადამიანი ცდილობს არც მან დაინახოს საკუთარი „მე“, ხდება სტიქიური ბრბოს წარმომადგენელი და შეუძლია დადგეს „თავდაყირაც“ კი.

ქართული სინამდვილის გათვალისწინებით დღეს აუცილებელია გადავლახოთ ბრბოს მოძალების ეს ეტაპი, უნდა შევეჩვიოთ თავისუფალ, დამოუკიდებელ და პრაქტიკულ აზროვნებას, უნდა შევძლოთ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება, ვიკისროთ პასუხისმგებლობა საკუთარი მოქმედებისათვის, რამეთუ თავისუფლება და პასუხისმგებლობა განუყრელია ერთმანეთისაგან. მხოლოდ პიროვნული გათავისუფლების ამ მეტად რთული და ეკლიანი გზით მივაღწევთ ჭეშმარიტად სულიერად ამაღლებულსა და თავისუფალ, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და ევროპული ღირებულებების ერთგულ საქართველოს, რომელსაც ასე ვესწრაფვით.

პიროვნება, მასა და ბრბო

მასა არც ეთნიკური და არც ისტორიული ერთობა არ არის. იგი გარკვეული ტიპის ადამიანთა სიმრავლეა. ამ ადამიანებს აერთიანებთ არა ეროვნულობა, არა რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება ან პროფესიული საქმიანობა, არამედ აზროვნების გარკვეული დონე და ხასიათი. თუ მასას რაოდენობრივად დავახასიათებთ, მაშინ იგი საზოგადოების უმრავლესობაა. თვისებრივი მახასიათებლის მიხედვით, იგი გამოხატავს ადამიანის საშუალო დონეს. ეს არის ადამიანი მის ყოველდღიურობაში, რომელსაც არ აქვს თავისი „მე“, დაკარგული აქვს თავისი ინდივიდუალობა და პიროვნულობა. მასის ყოველი წარმომადგენელი ერთმანეთს ჰგავს, ისინი არაფრით არ განირჩევიან ერთმანეთისაგან. მასა არ არის ცალკეულ ადამიანთა ჯამი, იგი საშუალოობა, უსახობა და უპიროვნობაა. ეს არის ადამიანი, რომელიც მარტინ ჰაიდეგერმა აღნიშნა ტერმინით „მან“- ი. ეს არის სხვებისაგან განურჩეველი ადამიანი. მოკლედ, მასა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც საშუალო ადამიანი – „მან“- ი, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი ინდივიდუალობა.

ვინ არის პიროვნება? პიროვნება ადამიანური ინდივიდია, მაგრამ არა ყოველი ინდივიდი. იგი ისეთი ინდივიდია, რომელიც სხვებისაგან გამოირჩევა თავისი ცნობიერებით და თვითცნობიერებით, ნიჭით და უნარებით. იგი მკვეთრად გამორჩეული ინდივიდუალობაა, რომელსაც თვითმყოფადი და დამოუკიდებელი სახე აქვს.

მოკლედ, პიროვნება შეიძლება შემდეგნაირად დავახასიათოთ: პიროვნება არის ადამიანური ინდივიდი, რომელსაც სხვებისაგან გამორჩეული, თვითმყოფადი სახე აქვს და აქტიურად იბრძვის საკუთარი „მე“-ს დასამკვიდრებლად. როგორც ვნახეთ, მასისა და პიროვნების გამიჯვნის კრიტერიუმი არც ეროვნულობა, არც სოციალური წარმომავლობა და არც პროფესიული საქმიანობაა. ყოველ ფენას თავისი მასა და პიროვნება ჰყავს. ნებისმიერი მისი წარმომადგენელი შეიძლება მიეკუთვნებოდეს ან ერთს, ან მეორეს.

ბრბო სოციალური ჯგუფია, რომლის წევრები გაერთიანებულნი

არიან ერთი იდეით და მოქმედებენ ერთნაირად. მათთვის დამახასიათებელია უკიდურესი ეგზალტირება და აღტკინება. იგი ემოციურად დამუხტულია, აღგზნებულია და მზადაა წალეკოს ყველაფერი, რაც წინ გადაეღობება.

ბრბო არ არის მყარი სოციალური ერთობა და მისი წევრები ხანგრძლივად ვერ იქნებიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ეს ისეთი ჯგუფია, რომლის წარმოშობა შემთხვევით და მოულოდნელად ხდება. პროფესორ ვახტანგ ერქომაიშვილის აზრით,ამის მიზეზი შეიძლება იყოს შიში, უკმაყოფილება, შიმშილი, პროტესტი, სიხარბე, მოქრთამვა, ფანატიზმი და სხვა. ბრბოს წარმოშობას სჭირდება შესაფერისი ფონი, რომელიც ხელშემწყობი გარემოა. ეს არის კრიზისული სიტუაციის არსებობა საზოგადოებაში. ამიტომ ბრბო შეიძლება უეცრად წარმოიქმნას და ასევე უეცრად დაიშალოს.

მასა ბრბო არ არის. მათ შორის არსებითი განსხვავებაა. იგი შეიძლება დახასიათდეს შემდეგი ძირითადი ნიშნებით: 1) ბრბო სოციალური ჯგუფია; მასა – არა; ბრბო შემთხვევით და მოულოდნელად წარმოიქმნება და იშლება; მასა – არა; 2) ბრბო ერთი აზრით და გრძნობით დამუხტული ჯგუფია. მის წევრებს მთლიანად იპყრობს რაღაც გრძნობა, რომელიც ემოციურად აღაგზნებს და ერთ მუშტად კრავს მათ, რათა ენერგიულად იმოქმედონ; 3) ბრბო ეგზალტირებულია, ხოლო მასა – ნეიტრალური; 4) ბრბოს ცნობიერება ფსიქოზურია.

ამრიგად, ბრბო არ არის მყარი სოციალური ერთობა, რომელიც ხანგრძლივად არსებობს. იგი სიტუაციების მიხედვით წარმოიქმნება და იშლება.

დესტრუქციულობა, როგორც ავადმყოფი ინდივიდისა და ავადმყოფი საზოგადოების ნიშანი

ძველბერძნული ფილოსოფიიდან მოყოლებული ითვლებოდა, რომ ადამიანს აქვს ისეთი რამ, რაც მის არსებას შეადგენს. ამ „რაღაცას“ ყოველთვის „ადამიანის ბუნებას“ უწოდებდნენ. განსხვავება ეხებოდა იმას, თუ რა იყო ის „რაღაც“, რაც ადამიანს წარმოადგენდა. ასე წარმოიშვა შეხედულებები: ადამიანი არის გონიერი არსება, საზოგადოებრივი ცხოველი, იარაღის შემქმნელი არსება და ა. შ. მოგვიანებით ეს შეხედულებები ეჭვის ქვეშ დადგა. ახალი მიდგომა ადამიანის ბუნების, მისი წარმოშობის ისტორიის სიღრმისეულმა კვლევამ განაპირობა. მან გვიჩვენა, რომ თანამედროვე ადამიანი ისე ძლიერ განსხვავდება პირველყოფილი ადამიანისაგან, რომ ჰიპოთეზა „ადამიანის ბუნების“ მარადიულობის შესახებ, შორს არის რეალობისაგან. ადამიანთა წეს-ჩვეულებების შესწავლამ ბევრი ანთროპოლოგი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ადამიანი იბადება, როგორც სუფთა ფურცელი, რომელზეც კულტურა ტოვებს თავის ხელწერას. მოსაზრება ადამიანის ბუნების უცვლელობის შესახებ უარყოფილ იქნა ასევე იმიტომაც, რომ ამ პოზიციას ბოროტად იყენებდნენ და მის საფუძველზე ადამიანის არაკეთილსინდისიერ საქციელს ამართლებდნენ.

არისტოტელედან დაწყებული, ვიდრე XVII საუკუნემდე, ბევრი მოაზროვნე ამართლებდა მონობას (გამონაკლისები იყვნენ სტოელები, რენესანსის ეპოქის ჰუმანისტები, ერაზმი, თომას მორი და ვივესი და სხვ.); იმ მოძღვრებებმა, რომლებმაც სიხარბე, სიძუნწე, მეტოქეობისაკენ სწრაფვა და ეგოიზმი ადამიანის თანშობილ თვისებებად მიიჩნიეს, სცადეს დაესაბუთებინათ ისეთი საზოგადოებრივ – ეკონომიკური ფორმაციის აუცილებლობა, როგორიც კაპიტალიზმია. დღესდღეობითაც მავანი ცდილობს „ადამიანის ბუნებით“ ახსნას და გაამართლოს საშინელი ქმედებები – სიხარბე, თაღლითობა, სიცრუე, ძალადობა, მკვლელობაც კი.

ჩარლზ დარვინმა (1899 – 1882 წწ.) აჩვენა, რომ ადამიანი სხვა ცოცხალი არსებებისაგან განსხვავდება არა მხოლოდ სხეულის სპეციფიკური აგებულებით, არამედ ფსიქიკის განსაკუთრებულობით.

მან თავისი ძირითადი შეხედულებები ჩამოაყალიბა წიგნში „ადამიანის წარმოშობა და სქესობრივი გადარჩევა“. მასში ნათქვამია: „ადამიანის ქმედება განპირობებულია მისი მაღალგანვითარებული ინტელექტით, ის მცირედ არის დაკავშირებული რეფლექსებზე და ინსტინქტებზე და გამოირჩევა დიდი მოქნილობით; ადამიანს, როგორც მაღალგანვითარებულ არსებას, აქვს ისეთი რთული ემოციები, როგორიცაა ცნობისმოყვარეობა, მიბაძვის ინსტინქტი, ყურადღება, მეხსიერება, ფანტაზია, ადამიანს ახასიათებს სიტუაციის გააზრება და ლოგიკური აზროვნების დახმარებით მას შეუძლია უკეთ გამოიყენოს გარემომცველი პირობები. ადამიანი გამუდმებით გამოიყენებს ურიცხვ შრომის იარაღს და აწარმოებს მას. ადამიანს აქვს თვითცნობიერება. ის აცნობიერებს თავის წარსულს, მომავალს, სიცოცხლეს, სიკვდილს და ა. შ. ადამიანი აბსტრაქტულად აზროვნებს და ავითარებს სიმბოლურ აზროვნებას. მთავარი და რთული რეზულტატი ამ მოღვაწეობისა გახდა ენისა და მეტყველების ფორმირება. ნაწილი ადამიანებისა ფლობს მშვენიერების გრძნობას. ადამიანების გარკვეულ ნაწილს კი განვითარებული აქვს რელიგიური გრძნობა, რომელიც გულისხმობს ღმერთთან ცოცხალი ურთიერთობის განცდასა და მოთხოვნილებას, ზნეობრივი სრულყოფის მოღწევის მცდელობას, მოყვასისადმი სიყვარულს და ა. შ. ნორმალურ ადამიანს აქვს ყოველთვის ზნეობრივი გრძნობა ან თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, მასში „სინდისი ლაპარაკობს“. ადამიანი კულტურული და საზოგადოებრივი არსებაა. მან განავრცო კულტურული და საზოგადოებრივი სისტემები, რომლებიც თავისი მრავალფეროვნებით უნიკალურია. ბევრ ამ თვისებას, რომელიც ადამიანს ახასიათებს, ჩვენ წმინდა ადამიანურ თვისებად ვთვლით. ადამიანს აქვს გონება, მაგრამ ამავე დროს სუსტი და არასაიმედო ინსტინქტი. ის უთვისტომო და გადაგდებულია ამ სამყაროში. ადამიანი იძულებულია იცხოვროს შემთხვევის წყალობით და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ დატოვოს ეს სამყარო. ის ცხოვრობს მუდმივ გაორებაში.“

ერიხ ფრომის (1900 –1980 წწ.) მრავალრიცხოვან თხზულებათა შორის, მეტად საინტერესოა „ადამიანის დესტრუქციულობის ანატომია“ და „ადამიანის სული“. აღნიშნულ გამოკვლევებში, იგი იკვლევს პრობლემის ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ანთროპოლოგიურ

ასპექტებს. ერიხ ფრომს ადამიანში არსებული გამანადგურებელი ინსტინქტი – ბოროტება ინდივიდში, სოციუმში, ისტორიაში – ფილოსოფიურად აქვს გააზრებული. თუმცა უნდა ითქვას, რომ ბევრად უფრო ადრე, ბოროტების განმარტება უძველეს ქრისტიანულ, ფილოსოფიურ ტრადიციებშია მოცემული.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველა ადამიანს, ძირითადად, მსგავსი ანთროპოლოგიური და ფიზიოლოგიური თვისებები ახასიათებს. ნებისმიერმა ექიმმა იცის, რომ ყველა ინდივიდი, მიუხედავად რასისა და კანის ფერისა, შეიძლება განიკურნოს ერთი და იმავე მეთოდით. მაგრამ აქვთ კი ადამიანებს ერთი და იგივე ადამიანური ბუნება? არსებობს კი ასეთი ცნება – „ადამიანური ბუნება“? ეს ის კითხვებია, რომლებზეც ე. ფრომი პასუხობს თავის ნაშრომში „ადამიანის სული“. თუკი ადამიანები განსხვავდებიან თავიანთი ფსიქიკური და სულიერი საფუძვლით, როგორ შევძლებდით საერთოდ გვესაუბრა კაცობრიობაზე, მით უფრო, ადამიანის ფიზიოლოგიასა და ანატომიაზე; როგორ გავუგებდით „უცხოს“, თუ ის ჩვენგან პრინციპულად განსხვავებული იქნებოდა; ვერ ჩავწვდებოდით სხვადასხვა ხალხის ხელოვნებას, მითებს, ლიტერატურას, მათ კულტურას საერთოდ. ეს იმას ადასტურებს, რომ ადამიანებს გვაქვს ერთი და იგივე „ადამიანური ბუნება“. ადამიანურობისა და ჰუმანიზმის ყველა კონცეფცია ეფუძნება ადამიანური ბუნების იდეას, რომელიც არსებითია ადამიანებისათვის. ეს არის ამოსავალი დებულება, როგორც ბუდიზმის, ასევე იუდაიზმისა და ქრისტიანული ტრადიციებისათვის. პირველად ამ მოძღვრებებში განისაზღვრა ადამიანი ექსისტენციალური და ანთროპოლოგიური ცნებებით. ყველა ადამიანში ერთი და იგივე ფსიქიკური კანონი მოქმედებს, რამდენადაც „ადამიანური სიტუაცია“ ერთი და იგივეა ყველა ჩვენგანისათვის. ჩვენ ყველანი ვცდილობთ ვიპოვოთ პასუხი კითხვაზე, რომელიც არსებობას ეხება, მაგრამ ვიტანჯებით, რამდენადაც ასეთ კითხვებზე პასუხი მცდარია. ჩვენ შევძლებთ გავექცეთ ამ ტანჯვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავცემთ სწორ პასუხს აღნიშნულ კითხვებს, თუ გადავლახავთ მარტოობის ილუზიას, დავძლევთ სიხარბეს და ვისწრაფვით ფუნდამენტური ჭეშმარიტების შესახვედრად, რაც მართავს ჩვენს ცხოვრებას – ამტკიცებენ ბუდისტები.

იუდაურ – ქრისტიანული ტრადიცია ადამიანს სხვაგვარად განსაზღვრავდა, რამდენადაც ეფუძნებოდა ღმერთის, როგორც უმაღლესი შემოქმედისა და მმართველის აღიარებას. მამაკაცი და დედაკაცი – წინაპარია მთელი ადამიანთა მოდგმისა და ეს წინაპრები, როგორც ყველა მომავალი თაობა, შექმნილია „მსგავსად და ხატად ღვთისად“. ყოველი მათგანისათვის დამახასიათებელია ერთი და იგივე ძირითადი თვისება, რაც ადამიანებად აქცევს მათ და აძლევთ შესაძლებლობას შეიცნონ და უყვარდეთ ერთმანეთი. ადამიანი თავისუფალია თავის არჩევანში და, ამდენად, თავადვე აგებს პასუხს საკუთარ ქმედებებზე.

თავისი მოღვაწეობის მეორე პერიოდში ზიგმუნდ ფროიდმა შექმნა ახალი თეორია, რომელშიც დესტრუქციულობის არსების გაგებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული. მან გამოავლინა, რომ „ცხოვრებას მართავს არა ორი ეგოისტური ინსტინქტი – შიმშილი და სექსუალობა, არამედ ორი ლტოლვა – სიყვარული და დესტრუქციულობა და რომ ორივე მათგანი ფიზიოლოგიურ არსებობას ემსახურება“. ამ ორ კატეგორიას, ზ. ფროიდმა, შესაბამისად, „სიცოცხლის ინსტინქტი“ და „სიკვდილის ინსტინქტი“ უწოდა. დესტრუქციულობისა და სიყვარულისათვის ასეთი სერიოზული მნიშვნელობის მინიჭებით, ორივე მათგანი აღიარებული იყო, როგორც ადამიანის ორი ფუნდამენტური ლტოლვა. ისინი ადამიანის სიცოცხლით დაინტერესების საფუძველს, სიხარულისა და აღტაცების საშუალებებს წარმოადგენენ. ეს ორი ლტოლვა მხოლოდ ფიქრისა და სიზმრების საგანი არ არის. მათგან წარმოიშობა ხელოვნება, რელიგია, მითები, ლიტერატურა და თეატრი – მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერი, რისთვისაც ღირს ამ ქვეყნად ცხოვრება, რაც ღირსეულს ხდის ჩვენს ცხოვრებას. ადამიანს არ შეუძლია არსებობა, როგორც უბრალო საგანს.

ეს ლტოლვები და ვნებები მნიშვნელოვანი და სერიოზულია ადამიანისათვის. ადამიანები სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებენ იმიტომ, რომ ვერ შეძლეს დაეკმაყოფილებინათ თავისი სასიყვარულო ვნებები, ძალაუფლების ჟინი და შურისძიების მანია. ვნებები აღელვებენ ადამიანს, აღანთებენ და მის ცხოვრებას სრულფასოვანს ხდიან. როგორც ერთმა ფრანგმა ფილოსოფოსმა და განმანათლებლმა აღნიშნა: „წაართვი ადამიანს სურვილები და ლტოლვები – ადა-

მიანი წყვეტს ადამიანად ყოფნას“. ლტოლვებსა და მისწრაფებებს ადამიანი შეუმჩნეველი არსებობიდან გმირობამდე აჰყავს. მას სურს თავისი თავის შემოქმედი იყოს, სურს თავისი არასრულყოფილი ცხოვრება სრულყოფილი, აზრიანი და მიზანსწრაფული გახადოს, რაც საშუალებას აძლევს მიაღწიოს თავისი პიროვნების სრულყოფასა და მთლიანობას. ადამიანის პიროვნების შეცვლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ იგი ცხოვრების გააზრების ახალ საშუალებებს მიმართავს.

აგრესია, ისე როგორც ქცევის სხვა ფორმები, შეძენილია და განისაზღვრება ადამიანის სწრაფვით, მიაღწიოს მაქსიმალურ უპირატესობას. აგრესია, ეს არის მოქმედება, რომელიც იწვევს სხვა ორგანიზმების გაღიზიანებას და დაზარალებას. ადამიანის, ასევე ცხოველის, თავდაცვითი აგრესიის მექანიზმი, განპირობებულია ცხოვრებისეული სიტუაციებით. მან უნდა დაიფაროს, გადაარჩინოს ცოცხალი არსების მთავარი სასიცოცხლი ინტერესები იმ საშიშროებისაგან, რაც მას ყოველ წუთს ემუქრება. ადამიანური აგრესია იმ დონეზე რომ პოულობდეს გამოხატულებას, როგორც ცხოველთა აგრესია, მაშინ ადამიანთა საზოგადოება უფრო მშვიდობისმოყვარე იქნებოდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. კაცობრიობის ისტორია სავსეა გაუგონარი სისასტიკისა და დესტრუქციულობის მაგალითებით.

როგორ ავხსნათ ეს ჰიპერაგრესიულობა? როგორი წარმოშობისაა იგი, ისეთივეა როგორიც ცხოველთა აგრესია, თუ ადამიანში არის სპეციფიკური დესტრუქციული პოტენციალი?

ცხოველები განსაკუთრებულად გამოხატულ დესტრუქციულობას ავლენენ მაშინ, როცა ირღვევა წონასწორობა გარემომცველ სამყაროსთან, მაგრამ ეს იშვიათად ხდება. ადამიანის ფსიქოლოგია გაცილებით დესტრუქციული აღმოჩნდა. იგი თავად ქმნის ცხოვრების პირობებს, რომელიც აგრესიულობით არის განპირობებული. ეს გამონაკლისის სახით არ ხდება და თითქმის ცხოვრების ნორმაა. უფრო მეტიც, არსებობს ფაქტები, როდესაც სისასტიკე ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს, ზოგჯერ ხალხის გააფრთებულ, აღტკინებულ მასას სისხლის დაღვრის სურვილი ეუფლება ხოლმე. ინდივიდები ან ჯგუფები მოუთმენლად ელიან სიტუაციას, როცა შესაძლებლობა მიეცემათ „დაიცალონ“ თავისი დესტრუქციული ენერგიისაგან და თუ ასეთი დრო არ დადგა, ისინი თავად ხელოვნურად

ქმნიან ამის პირობებს. ცხოველები არასდროს კლავენ „ისე უბრალოდ“. სურვილი – დაანგრიო მხოლოდ ნგრევისათვის, სრულიად სხვა რამაა. მხოლოდ ადამიანი იღებს სიამოვნებას ცოცხალი არსებების უაზრო და უმიზეზო განადგურებით. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი, თვითშენახვით განპირობებული საშიშროებიდან დამოუკიდებლად, დესტრუქციულია და მისი ქმედება არ არის დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან, როგორც ეს ცხოველებში ხდება.

როგორც მგელი უყურებს ცხვარს, ისე მიყურებს მე სხვა ადამიანი. განსხვავება იმაშია, რომ მგელს, გარკვეული აზრით, „უყვარს“ ცხვარი, ამიტომ უყურებს მას ასე და ამდენად გამართლებაც შეიძლება მოეძებნოს; მაგრამ მე ეს ადამიანი მგელზე უფრო უარესად მიყურებს, რადგან მას მე არ ვუყვარვარ და უმიზეზოდ, ტყუილუბრალოდ სურს მომისწრაფოს სიცოცხლე, გამანადგუროს და ქარს გაატანოს ჩემი ფერფლი. რატომ სურს ეს ადამიანს? ამით ის იკმაყოფილებს იმ საწყისს, რომელსაც მტაცებლობის ინსტინქტი ჰქვია.

ყოველი ინდივიდი იძულებულია გადალახოს სამყაროში საკუთარი შემოსაზღვრული არსებობის შიში, დასძლიოს თავისი უსუსურობა და მოძებნოს სამყაროსთან კავშირის ახალი ფორმები, სადაც უსაფრთხოდ და მშვიდად შესძლებს ცხოვრებას. ამ ფსიქიკურ მოთხოვნილებებს ე. ფრომი „ექსისტენციალურ მოთხოვნილებებს“ უწოდებს. ისინი ყველა ადამიანს ახასიათებს და მათი დაკმაყოფილება სულიერი ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვისაა აუცილებელი. ამ მოთხოვნილებების მასშტაბები დამოკიდებულია ადამიანის მდგომარეობაზე საზოგადოებაში. ექსისტენციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოყენებული სხვადასხვა საშუალებები აისახებიან ისეთ მისწრაფებებში, როგორიცაა სიყვარული, სინაზე, სამართლიანობა, დამოუკიდებლობა, სიძულვილი, სადიზმი, მაზოხიზმი, დესტრუქციულობა და ნარცისიზმი. ავტორი მათ ადამიანის ხასიათის საძირკველმდებარე მისწრაფებებს უწოდებს, რამდენადაც ისინი ერთობლივად განსაზღვრავენ და წარმოაჩენენ ადამიანის ხასიათს (პიროვნებას).

ადამიანმა რომ იცხოვროს, სიამოვნება უნდა მიიღოს თავისი ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით, ხოლო ინსტინქტი მას იძულებულს ხდის ამ მიმართულებით იმოქმედოს. მაგრამ მისი მოქ-

მედება მხოლოდ ინსტინქტებით რომ განისაზღვრებოდეს, მაშინ მას არ ექნებოდა განსაკუთრებული ცხოვრებისეული პრობლემები. საკმარისი საკვების მიღების ან მოპოვების შემთხვევაში, ის ყოველთვის „კმაყოფილი“ იქნებოდა.

სხვადასხვა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც არ აბედნიერებს ადამიანს და არ აძლევს მას ღირსეული არსებობის გარანტიას. თუ ჩვენ ყურადღებით გადავხედავთ მასობრივ და ინდივიდუალურ მოქმედებებს, ნათელი გახდება, რომ სექსუალური გრძნობები და შიმშილი მათ შორის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს. ადამიანის მოტივაციის ღერძს რაციონალურ და ირაციონალურ დონეზე წარმოშობილი მისწრაფებები წარმოადგენს, რაც სიყვარულის, სინაზის, სოლიდარობის, თავისუფლების, სინდისის, პატიოსნების შენარჩუნების მოთხოვნილებებს მოიცავს. ადამიანი მმართველობის წყურვილს, ნგრევის, ვინმეზე ბატონობის სურვილებსაც ფლობს. მას ახასიათებს ისეთი სისუსტეები, როგორიცაა: ნარცისიზმი, სიხარბე, სიძუნწე, სიძულვილი, პატივმოყვარეობა და სხვა; ეს მისწრაფებები ხდება მისი მღელვარებისა და შინაგანი განგაშის მიზეზი.

შემთხვევითი არაა, რომ ენაში არსებობს გამოთქმა: „შურისძიების წყურვილი“. განა საჭიროა ავხსნათ, რამდენად ფართოდაა გავრცელებული ის, როგორც ცალკეულ პიროვნებებში, ისე ჯგუფებს შორის? ცნობილია, რომ სისხლისმიერი შურისგება არსებობს თითქმის მთელ დედამიწაზე. იგი გამონაკლისის სახით, ძალიან მშვიდობისმოყვარე ხალხებს შორისაც გვხვდება, მაგალითად, გრენლანდიელებში, რომლებმაც არ იციან, რა არის ომი, მაგრამ სისხლისმიერი შურისგების ტრადიცია აქვთ.

დასჯის ყველა სახე, დაწყებული ყველაზე პრიმიტიულით და დამთავრებული ყველაზე სრულყოფილით, შურისძიების გამოხატულებაა. კლასიკური ფორმით იგი მისაგებლის კანონს ესადაგება: „კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ“. გარკვეულწილად, შეუძლებელია, არ გაიზიარო შეხედულება, რომ სისხლისმიერი შურისძიება და სადამსჯელო კანონები საზოგადოების სტაბილურობაში განსაზღვრულ როლს ასრულებენ.

ცივილიზებულ საზოგადოებაში ბოროტებას ადამიანმა ბოროტებით არ უნდა უპასუხოს, რადგან ბოროტება ბოროტების წილ კვლა-

ვაც ახალ ბოროტებას შობს და ასე უსასრულოდ. სიკეთის თესლი ველარ იხარებს. კაენმა ვერ აიტანა, რომ ძმისგან განსხვავებით ის უარყვეს. ამ, მისი აზრით, უსამართლობამ ისეთი შური აღუძრა, რომ აბელის მკვლელობის გარდა, სამაგიეროს გადახდის სხვა საშუალება ვერ იპოვა. ის თავად იყო „უმაღლესი მოსამართლე“ და „განაჩენის გამოტანისას“ სხვა ავტორიტეტები მას არ დასჭირვებია. შურისძიების აქტის განხორციელებით მან ღმერთად იგრძნო თავი. შურისძიების წყურვილი, როგორც პიროვნების სიღრმისეული გრძნობა, დამახასიათებელია ყველა ადამიანისათვის. შურისძიების გამოვლენის ფორმები სხვადასხვა კულტურებში ხასიათითა და ინტენსივობით არსებითად განსხვავდება. ეს განპირობებულია მრავალი ფაქტორით და მიზეზით. ერთ-ერთია დამოკიდებულება საკუთრებისადმი, სიმდიდრისა და სიღარიბისადმი. პირობითად, ერთ მხარეზე შეიძლება დავაჯგუფოთ ის ადამიანები, რომელთაც სრულიად არ ახასიათებთ შურისძიების გრძნობა, ვინც თავის სულიერი განვითარებით ადამიანობის იდეალს მიუახლოვდა. მეორე მხარეს დაიკავებენ მომხვეჭელი ბუნების ადამიანები, მაღალი რანგის ნარცისები, რომლებშიც საკუთარი პერსონის ინტერესების მცირეოდენი შევიწროება-შეზღუდვაც კი ქარიშხლისმაგვარ შურისძიების გრძნობას იწვევს.

დესტრუქციულობის გამოვლენის სპონტანურ, წარმავალ ხასიათს ბევრი ასპექტი აქვს. მაგალითად, ჩვენთვის ცნობილია სადიზმის რაობის ორი გავრცელებული გაგება. პირველმა გამოხატულება ჰპოვა ალგოლაგნიაში (ტკივილის სურვილი). ამ თვალსაზრისის ავტორია შრენკ-ნოტცინგი. იგი ალგოლაგნიას ყოფს ორ: აქტიურ (სადიზმი) და პასიურ (მაზოხიზმი) ტიპად. ამ კლასიფიკაციის მიხედვით, სადიზმის არსება მდგომარეობს ტკივილის მიყენების სურვილში, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა სექსუალური მოტივები.

ზემოქმულიდან განსხვავებით, ზ. ფროიდი სადიზმში, უპირველეს ყოვლისა, სექსუალურ ფენომენს ხედავს. ამ შეხედულების თანახმად, იმ სადისტურ სურვილებსაც კი, რომლებიც გარეგნულად სექსთან დაკავშირებული არ არიან, მაინც აქვთ სექსუალური მოტივაცია, თუმცა არაცნობიერ დონეზე. ხანდახან სადისტს სურვილი აქვს პარტნიორს ძლიერი ტკივილი მიაყენოს, ხოლო ხანდახან მცირედი ტკივილის მიყენებაც კი კმაყოფილებას ანიჭებს.

სექსუალური ლტოლვა, ზ. ფროიდის თანახმად, მაშინაც კი, როცა ის მიმდინარეობს სიყვარულის თანხლებით, ნებისმიერ შემთხვევაში სიცოცხლის ორმხრივი სიხარულისა და თვითკმაყოფილების დასტურია. ამისაგან განსხვავებით, სექსუალურ მოქმედებას, რომელსაც ახასიათებს ადამიანის სწრაფვა ტკივილი მიაყენოს მეორე ადამიანს, აიძულოს იტანჯოს და დაამციროს პარტნიორი – გადაგვარება და გაუკუღმართებაა. და არა იმიტომ, რომ ის სიცოცხლის იმპულსის ნაცვლად სიცოცხლის განადგურების, მოსპობის იმპულსს ატარებს. ადამიანი, რომელიც შეპყრობილია მბრძანებლობის, ძალაუფლების ნებით, ტანჯავს და ამცირებს სხვებს – სადისტია.

სადისტური იმპულსების ძალა გამოხატულებას პოულობს არა მხოლოდ სექსუალურობაში, არამედ სხვა არასექსუალურ ლტოლვებშიც. ძლაუფლების წყურვილი, სიხარბე და ნარცისიზმი, ყველა ეს მისწრაფება გარკვეული ფორმით გამოვლინდება სექსუალურ ქმედებებში. არ არსებობს სფერო, რომელშიც იმაზე უკეთ გამოჩნდეს ადამიანის ხასიათი, როგორც სქესობრივ აქტში. ადამიანის სიყვარული, მისი სინაზე, სადიზმი ან მაზოხიზმი, სიძუნწე, ნარცისიზმი, ერთი სიტყვით, მისი ხასიათის ნებისმიერი თვისება, გამოხატულებას პოულობს სექსუალურ ქმედებებში. არასექსუალური სადისტური ქმედებები ვლინდება დაუცველი, უსუსური არსებების იძულებით დამორჩილებასა და ფიზიკური ტანჯვის მიყენებაში. მაგალითად, სამხედრო ტყვეები, მონები, ბავშვები, ავადმყოფები (განსაკუთრებით გონებასუსტები), პატიმრები, ყვავილები, ძაღლები – ყოველივე ეს შეიძლება სადისტური მოპყრობის საგანი გახდეს. ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული არასექსუალური სადიზმის გამოვლენაა ბავშვებისადმი სასტიკი დამოკიდებულება.

ზოგიერთი ინტენსიური ფორმით სადიზმი გამოვლენას იწყებს ბავშვობის ასაკში, როცა ბავშვი ჯერ კიდევ სუსტი და დაუცველია, მაგრამ ის უკვე ავლენს თავის ნებას, ეწინააღმდეგება უფროსებს და სურს ყველა იქცეოდეს მისი სურვილის შესაბამისად, მოითხოვს აბსოლუტურ მორჩილებას.

სულიერი სისასტიკე, ფსიქიკური სადიზმი, მეორე ადამიანის დამცირების სურვილი და წყენინება უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე ფიზიკური სადიზმი. სადიზმის აღნიშნული სახე, გარკვეულ-

წილად, რისკის ფაქტორის შემცველია, რადგან ეს სრულებით არ არის ის, რაც ფიზიკური ძალადობა. ეს „მხოლოდ“ სიტყვებია. მეორეს მხრივ, ასეთი გზით გამოწვეული სულიერი ტკივილი შეიძლება ფიზიკურ ტანჯვაზე ძლიერი იყოს, რადგან გაუაზრებელი ლაპარაკი იგივეა, რაც დაუფიქრებლად გასროლა. ამის მაგალითები მრავლად იცის ჩვენმა ცხოვრებამ და მათ ჩამოთვლას არ შევუდგებით. ერთს დავამატებთ მხოლოდ, თალმუდში წერია – „დამცირება მოწმის თანხლებით მკვლელობის ტოლფასია“. სადიზმის გულისგულს შეადგენს სწრაფვა გამოავლინოს აბსოლუტური ბატონობა დაუცველ არსებებზე, აღიჭურვოს აბსოლუტური ძალაუფლებით, მიაყენოს მავანს ტკივილი, დაამციროს სხვები. ის, ვინც რაღაც ფორმით ფლობს ცოცხალ არსებას, მას თავის საკუთრებად, ქონებად თვლის, ხოლო თვითონ მისი ბატონი ხდება. ზოგჯერ სუსტზე ძალადობა შეიძლება მიმართული იყოს სუსტი არსების სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში საუბარი შეიძლება „კეთილ“ სადიზმზე, მაგრამ, ჩვეულებრივ, სადიზმი – ბოროტთვისებიანია. ცოცხალი არსების აბსოლუტური ფლობა ანადგურებს მის პიროვნებას, არ აძლევს მას ნორმალური განვითარების საშუალებას. ალბერტ კამიუს „კალიგულა“ უკიდურესი სადიზმის მაგალითებს გვიჩვენებს, რომელიც ყოვლისშემძლეობისა და ყველაფრისნებადართულობის მისწრაფების გამოხატულებაა. კალიგულა, რომელმაც, რაღაც გარემოებების წყალობით, განუსაზღვრელი ძალაუფლება მოიპოვა, სულ უფრო და უფრო ივსება ხელისუფლების წყურვილით. ის ცხოვრობს სენატორების ცოლებთან და სიამოვნებას განიცდის მათი ქმრების დამცირებით, რომლებიც იძულებული არიან კმაყოფილი გამომეტყველება შეინარჩუნონ... რამდენიმე მათგანს კალიგულა კლავს კიდეც, მაგრამ მას ეს ძალაუფლებაც არ ჰყოფნის. ის უკმაყოფილოა, მას აბსოლუტური ბატონობა სურს. კამიუ კალიგულას ცხოვრებისეულ კრედოს მისივე სიტყვებით წარმოგვიჩენს – „მე მსურს მთვარე“!

მარტივად შეიძლება ითქვას, რომ კალიგულა სულელია, მაგრამ მისი უჭკუობა – ეს არის ცხოვრების ფორმა. იგი ემსახურება ყოვლის ფლობის ილუზიას, რომელიც ადამიანური არსებობის საზღვრებს სცილდება. ძალაუფლების გარეშე ის არარაობაა, საცოდავი, ძაბუნი მარტოსულია. რა თქმა, უნდა კალიგულა გამონაკლისი შემთხვევაა.

მხოლოდ ცოტას თუ ხვდება წილად შანსი მოიპოვოს ძალაუფლება, როცა მისი ყველას სჯერა გარშემო, რომ ეს ძალაუფლება უსაზღვროა. ისტორიამ იცის ასეთი შემთხვევები. წარმატებული ბედის შემთხვევაში ასეთი ადამიანები სამხედრო მეთაურები და მსხვილი სახელმწიფო მოღვაწენი ხდებიან, ხოლო ისინი, ვისაც ბედი არ წყალობთ, ჩვეულებრივ დამნაშავეებად ან შეშლილებად იწოდებიან.

„სადიზმი – ეს არის ერთ-ერთი შესაძლებელი პასუხი კითხვაზე, როგორ გავხდეთ ადამიანი, როცა რეალიზაციის სხვა საშუალებებს მოკლებულნი ვართ“ – აღნიშნავს ე. ფრომი. მეორე არსების წინაშე აბსოლუტური ძალაუფლების შეგრძნება, საკუთარი ყოვლისშემძლეობის გრძნობა ამ არსებებთან ურთიერთობისას, ბადებს ნებისმიერი ექსისტენციალური დაბრკოლების გადალახვის ილუზიას. განსაკუთრებით ეს ხდება მაშინ, თუ ადამიანს რეალურ ცხოვრებაში არ გააჩნია აღმაფრენა. სადიზმი ეს არის უძლურების გადაქცევა ყოვლისშემძლეობის ილუზიად.

სადისტს სურს ცხოვრების გამგებელი გახდეს და ამიტომაც მისთვის მთავარია მსხვერპლი „ცოცხალი“ დარჩეს. სწორედ ეს განასხვავებს მას ნეკროფილ-დესტრუქციული ადამიანისაგან. სადისტებისაგან განსხვავებით, ნეკროფილები ისწრაფვიან გაანადგურონ თავისი მსხვერპლი, მოაშთონ თავად სიცოცხლე. სადისტი არასდროს ღებულობს სიამოვნებას ძლიერთან ჩხუბის დროს, ერთადერთი, თუ დაჭრის მას, ვინაიდან მოცემული სიტუაცია მას მტერზე ბატონობის ილუზიას არ აღუძრავს. „სადისტური ხასიათისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ერთი – „აღგზნებული ვნება“ და ღირსეული აღტაცება – ძალაუფლება. ის აღმერთებს ძლევამოსილებას და ემორჩილება მას. ამავე დროს ეზიზღება სუსტი, რომელსაც არ შეუძლია თავდაცვა“.

სადისტურ ხასიათს ეშინია ყველაფერი იმისა, რაც არასაიმედოა და რაც არ შეიძლება წინასწარ განიჭვრიტოს, ე. ი. რაც მოულოდნელია. ასეთი მოვლენები მისგან არასტანდარტულ მოქმედებებს და გადაწყვეტილებებს მოითხოვს. სიყვარულში ყოველთვის რისკი მოიაზრება, ამიტომ ის დამფრთხალი და შეშინებული გაურბის მას. თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ სადისტს „უყვარდეს“, ოღონდ „უყვარდეს“ თავისი ბატონობის ქვეშ. სადისტური ხასიათი ყოველთვის დაკავშირებულია

ქსენოფობიასა და ნეოფობიასთან. ქსენოფობია – ეს არის პათოლოგიური შიში ყველა უცნობის წინაშე, ხოლო ნეოფობია – შიში ყველაფერი ახლის მიმართ. სადისტს ყველაფერი ახალი აღუძრავს ინტერესს, მაგრამ ამავე დროს იწვევს შიშს, ეჭვს და უარყოფას, ვინაიდან ეს მისგან მოითხოვს არაორდინალურ გადაწყვეტილებას, ცოცხალ ადამიანურ რეაქციას, რასაც მოკლებულია სადისტი. კიდევ ერთი სერიოზული ელემენტი სადიზმის სინდრომში არის სიმხდალე. ადამიანის სადისტად ქცევის ერთ-ერთი მიზეზია თავის შეგრძნება უსუსურ, ხელმოცარულ ადამიანად. ამ ნაკლის კომპენსირებას ის სხვა ადამიანებზე ძალაუფლების მოპოვებით აღწევს, გაშმაგებით ეხარბება სხვებზე ბატონობას, როცა კი ამის საშუალება ეძლევა. ამდენად, როგორც სადისტს, ასევე მაზოხისტს სხვა ადამიანი ესაჭიროება, რომელიც, თუ შეიძლება ითქვას, „შეავსებს“ მას. სადისტი თვითონვე „შეიმატებს“ სხვა ადამიანს, მაზოხისტი კი – თავად შეერწყმება სხვას. სადისტური და მაზოხისტური მიდრეკილებები, ყველაზე თვალნათლად ბიუროკრატიულ სისტემაში წარმოჩინდება. აქ ყოველი ადამიანი კონტროლს ახორციელებს საკუთარ ქვეშემრდომებზე, ხოლო თავად იმართება თავისი უფროსის მიერ. ბიუროკრატს სძულს, ეზიზღება თანამდებობრივად თავისზე ქვემოთ მდგომნი. ამავე დროს იგი აღფრთოვანებულია, ეთაყვანება და მონური შიშით შეჰყურებს თავისზე მაღლა მდგომთ, რადგან მათში საკუთარ იდეალს ხედავს განხორციელებული სახით. საკმარისია, დააკვირდე ასეთი ბიუროკრატის სახის გამომეტყველებას, მოისმინო მისი ხმა, როდესაც ის, ვთქვათ, სულ რაღაც ორიოდე წუთის დაგვიანებისათვის მკაცრად კიცხავს და ამცირებს თავის ქვეშემრდომს, რომ მივხვდე, როგორ ტკებება იგი თავისი ძალაუფლებით, სხვებზე ბატონობით. სხვათა უღელქვეშ თვინიერად თავგაყოფილი, სხვათაგან ძალმომრეობისა და დამცირების თვინიერად ამტანი კაცი, ერთბაშად ულმობელი მტარვალისა და სადისტის როლში წარმოსდგება ხოლმე, როცა ვინმეს მასზე უძალოსა და დაბლა მდგომს მოიხელთებს.

ადამიანის ამ ფსიქოლოგიურ თავისებურებას ეხება თომას მანის მოთხრობა „ტობიას მინდერნიკელი“. მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, ვინმე ტობიას მინდერნიკელი იმ ზომამდე შეგუებული იყო საკუთარ უსუსურობასა და უძლურობას, რომ ყველასაგან, მათ შორის ბავშვებისაგანაც, ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად იტანდა

შეურაცხყოფასა და დამცირებას. ერთხელ ქუჩაში მისი ყურადღება პატარა ძაღლმა მიიპყრო, კუდის გამალებული ქნევით რომ ელაქუცებოდა პატრონს, რომელსაც იგი გასაყიდად გამოეყვანა. ტობიასმა ძაღლი შეიძინა, სახლში წაიყვანა და შეუდგა... ძაღლზე ბატონობით ტკბობას; იმით, რომ ბრძანებას გასცემდა და ძაღლიც ასრულებდა მის ბრძანებას, თანაც კუდს აქიცინებდა და ჩექმებსაც ულოკავდა; საშინლად განრისხდა და უმოწყალოდ სცემა ძაღლი, როცა ეს უკანასკნელი მის ნებას არ დაემორჩილა; ვერაფრით შეურიგდა იმ აზრს, ძაღლი დროდადრო რომ თავნებობდა, ლაღობდა, თამაშობდა. ბოლოს, ეს რომ ვერ მოაშლევინა, გამხეცდა და დანით მოკლა პატარა „ქვეშევრდომი“.

ზემოთქმულიდან არ გამომდინარეობს, რომ ყველა ბიუროკრატი სადისტია. ამას მხოლოდ ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს. ამავდროულად საჭიროა დავძინოთ, რომ ძალაუფლება, რომლის დახმარებით ერთი ჯგუფი ავიწროებს და ექსპლუატაციას უწევს მეორე ჯგუფს, ხშირად ხელს უწყობს სადისტური მიდრეკილებების ჩამოყალიბებას. სადიზმი შეიძლება აღიკვეთოს იმ შემთხვევაში, როცა თავიდან იქნება აცილებული საზოგადოების ერთი ნაწილის მეორეზე ბატონობის შესაძლებლობა, იქნება ეს რასობრივი, რელიგიური თუ სქესობრივი უმცირესობის სახით.

ჩვენ სინამდვილეში ხშირია ფაქტები, როცა საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საგამოფენო დარბაზებში, რეკლამებსა და აბრებზე გამოსახულ ადამიანს მოხეული აქვს ყური, გახვრეტილი აქვს შუბლი, ამოჩიჩქნილი აქვს თვალი და ა. შ. ეს ერთი შეხედვით უწყინარი გართობა, სერიოზული ფსიქიკური მანკიერების, ადამიანის გაუკუღმართებული ბუნებისა და ხასიათის გამოხატულებაა.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფაქტორები განაპირობებენ სადიზმის წარმოშობას, მეტად რთულია. საჭიროა თავდაპირველად გავარკვიოთ დამოკიდებულება პიროვნებასა და გარე სამყაროს შორის, მაგრამ ეს იოლი არ არის. ინდივიდის ხასიათი განისაზღვრება ინდივიდუალური ფაქტორებით: გენეტიკური მონაცემებით, ნიჭით, შესაძლებლობებით, ოჯახური სიტუაციით და სხვა მთელი რიგი საგანგებო ვითარებით, რომელსაც ადგილი აქვს პიროვნების ცხოვრებაში. გაცილებით რთულია დავადგინოთ გარემომცველი სამყაროს ფაქტორი, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს პიროვნების ფორმირების საქმეში.

საკონტროლო კითხვები

რას ნიშნავს „თავისუფლებიდან გაქცევა“ ? გააანალიზეთ სარტრის მოსაზრება – „ადამიანი დაწყევლილია თავისუფლებით“.

რა განაპირობებს ადამიანის მოთხოვნილებას იცხოვროს ილუზორულ, გამოგონილ სინამდვილეში?

რა უდევს საფუძვლად „ტექნიკურ გაუცხოებას“ ?

როგორ ესმის გასეტს „ისტორიული კრიზისისა“ და „მასების“ ცნებები?

გასეტის მიხედვით, რა საერთო ნიშან-თვისებები ახასიათებთ „მასის ადამიანებს“ ?

როგორ ესმის ლებონს ცნება – „ფსიქოლოგიური მასა“?

ლებონის მიხედვით, რა განაპირობებს ადამიანის ცვალებადობას ბრბოში?

რა ტიპიური თვისებებით ახასიათებს ლებონი „მასის ადამიანს“ ?

ბრბოს ტარდისეული კლასიფიკაცია : ტიპები და სახეები.

რა არის „პიროვნება“ ? „მასა“ ? „ბრბო“ ?

ფროიდის მიხედვით, რომელი ინსტინქტები მართავენ ცხოვრებას?

რა არის აგრესია? სადიზმი? მაზოხიზმი?

XX საუკუნე და ახალი ტექნოლოგიები

ბიოეთიკა

XX საუკუნის დასაწყისში გამოთქმულმა მოსაზრებამ – ფილოსოფიამ დაკარგა ყველა თავისი სამფლობელო და მეფე ლირის მდგომარეობაში აღმოჩნდაო – მე-2 ათასწლეულის დასასრულს განსხვავებული დატვირთვა შეიძინა. არსებობს თვალსაზრისი, რომ ფუნდამენტურმა ფილოსოფიამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა. ეს გარკვეული აზრით სწორია: მრავალმა ფილოსოფიურმა იდეამ, მიმართულებამ არ გაამართლა, ზოგი მოძველდა, ზოგიც ღრმა კრიზისს განიცდის, მაგრამ ფილოსოფია თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით, როგორც „სიბრძნის სიყვარული“, როგორც ჭეშმარიტების ძიების საშუალება, როგორც ადამიანის სულის მოთხოვნილება და ბოლოს, როგორც მსოფლმხედველობის განსაკუთრებული ტიპი იარსებებს, ვიდრე არსებობს ადამიანი. ამაზე მეტყველებს ფილოსოფიური ცოდნის ის ახალი მიმართულებები, რომლებიც წარმოიშვნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეული სფეროების, კონკრეტული მეცნიერებებისადმი ფილოსოფიური მეთოდების გამოყენების შედეგად – ბუნების ფილოსოფია, სამართლის, მეცნიერების, ისტორიის, პოლიტიკის, რელიგიის, ხელოვნების ფილოსოფია, გლობალურ პრობლემათა ფილოსოფია და სხვა. მათი უმრავლესობა, ძირითადად, XX საუკუნის მონაპოვარია და ფილოსოფიის უახლეს ისტორიასთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთ ასეთ დარგს ბიოეთიკა („სიცოცხლის ეთიკა“) წარმოადგენს. იგი გასული საუკუნის დასასრულის დასავლური ცივილიზაციის ნაყოფია და, თავისი არსით, დისციპლინათაშორის ცოდნას განეკუთვნება. მას აქვს ბიოსამედიცინო, ფილოსოფიური, აქსიოლოგიური, ანთროპოლოგიური, სამართლებრივი და საღვთისმეტყველო ასპექტები. ბიოეთიკის შესასწავლი პრობლემები საკმაოდ საჭირბოროტო საკითხთა რიგს განეკუთვნება, არც თუ ისე შორს არის ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებიდან და მათი განხილვა უმწვავეს დისკუსიებს იწვევს. მისი ძირითადი ამოცანაა გადაჭრას სიკვდილ-სიცოცხლესთან, და არა მარტო ამ პრობლემასთან, დაკავშირებული მრავალფეროვანი,

ხშირად დრამატული სიტუაციები. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბიოეთიკის სფეროში მინიმალური ცოდნა ნებისმიერი ადამიანისათვის აუცილებელია.

ბიოეთიკის პრობლემები ძალიან ხშირად იურისპრუდენციას უკავშირდება. ადამიანთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება მჭიდროდაა გადაჯაჭვული მორალურ-ეთიკურ რეგულირებასთან. ერთი მხრივ, უმნიშვნელოვანესი მორალური ნორმები ჩვეულებრივ იურიდიულ ძალას იძენს და სამართლებრივი ნორმის სახით ყალიბდება, მათი დარღვევა კი არა თუ გარშემომყოფთა გაკიცხვას, არამედ კანონის წინაშე პასუხისმგებლობასაც იწვევს. მეორე მხრივ, საკანონმდებლო აქტები რეალურად მოქმედია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი მოწონებულია საზოგადოების მხრიდან და მის მორალურ შეგნებას შეესაბამება (ანუ კანონი იმდენად არის პროგრესული, რამდენადაც მორალურია).

არსებობს კიდევ ერთი სფერო, ღვთისმეტყველება, რომლის წარმომადგენლები ყველაზე დიდ ინტერესს იჩენენ ბიოეთიკის პრობლემებისადმი. ახალმა ბიოსამედიცინო ტექნოლოგიებმა ადამიანზე ზემოქმედების პრინციპულად ახალ დონეს მიაღწიეს – აღმოაჩინეს რა ადამიანის სიცოცხლის მართვის საზღვრების, მიზნების და საშუალებების პრობლემები. ბიომედიცინის სწრაფი განვითარების პირობებში სხვადასხვა რელიგიურ სისტემებს რიგ საკითხებთან მიმართებაში საკუთარი პოზიციების შემუშავება უხდებათ, მაგალითად, რა საზღვრებში შეიძლება ჩავატაროთ სიცოცხლის შემანარჩუნებელი მკურნალობა და როდის შევწყვიტოთ ის; შესაძლოა თუ არა ორგანოთა და ქსოვილების სახით გარდაცვლილი ადამიანის გამოყენება სხვა ადამიანების ჯანმრთელობის გაუმჯობესების ან სიცოცხლის გადარჩენისათვის; დასაშვებია თუ არა ინდივიდისათვის საკუთარი სიცოცხლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და სხვა. ცივილიზებული კაცობრიობის მთელი ისტორიისათვის ყოველთვის უდავო ჭეშმარიტებას მორალურ ღირებულებათა და რელიგიური შეხედულებების უშუალო კავშირი წარმოადგენდა. ამდენად, მეტად აქტუალურია კითხვა: გვაძლევს თუ არა მარლთმადიდებლობა პასუხებს თანამედროვე ბიოეთიკურ პრობლემატიკაზე? სამწუხაროდ, ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამ კითხვაზე არ

მოიპოვება. მართალია, არსებობს მართლმადიდებელი ღვთისმეტყველებისა და ექიმების მიერ დაწერილი წიგნები და სტატიები (ხელოვნურ განაყოფიერებაზე, აბორტზე, ტრანსპლანტაციაზე, გენურ ინჟინერიაზე და სხვ.), მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამ კუთხით არსებობს მართლმადიდებლური სწავლების დამუშავებული დოქტრინა. მართლმადიდებელი ეკლესია, განსხვავებით კათოლიკური ეკლესიისაგან, არ მიისწრაფვის „ქრისტიანული ბიოეთიკის“ სპეციალური კონცეფციის შექმნისაკენ. იგი განსაზღვრავს ძირითად ონტოლოგიურ ორიენტაციას, რომელიც ყოველთვის ორიენტირებულია მხოლოდ საიდუმლოებასა და შესაქმეზე და ამის საფუძველზე აყალიბებს ზედმიწევნით მისაღებ და ღირსეულ ზნეობრივ გადაწყვეტილებებს. აღსანიშნავია, რომ ბიოეთიკური პრობლემების რელიგიური გადაწყვეტა ყოველთვის არ ემთხვევა ამ პრობლემებისადმი ბიოეთიკის მიერ შემუშავებულ პოზიციას.

და ბოლოს, ფილოსოფიური ცოდნის სფერო, რომელსაც ბიოეთიკის პრობლემების მორალური რეგულირების გარდა, ბიოსამედიცინო მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით უწევს ისეთი უნივერსალური პრობლემების ხელახალი გააზრება, როგორიცაა რა არის ადამიანი?, როგორ განვსაზღვროთ ადამიანური პიროვნება და ადამიანური არსება? რა ითვლება ამ დროს განმსაზღვრელად – ადამიანის სხეულებრივი ბუნება, თუ მისი ცნობიერება? სად გადის ზღვარი ცოცხალ და არაცოცხალ ადამიანურ არსებას შორის?: სად იწყება და სად მთავრდება სიცოცხლე? რა არის სიკვდილი? როგორ მოვიქცეთ, როცა ადამიანი სოციალურად მკვდარია (ტვინის ქერქი შეუქცევადად არის დაზიანებული), ბიოლოგიურად კი მისი სიცოცხლე შენარჩუნებულია? საქმე რთულდება იმ გარემოებით, რომ დღეს ამ კითხვებზე პასუხი აღარ რჩება აბსტრაქტული აზროვნების სფეროში. ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, ყოველ კონკრეტულ ადამიანთან მიმართებაში, საჭირო ხდება კონკრეტული პასუხის, რეალური გადაწყვეტილების მიღება და კონკრეტული მოქმედებების განსაზღვრა.

ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში კაცობრიობის ცნობიერების უმთავრეს ღირებულებად პიროვნების მოქალაქეობრივი უფლებების დაცვა, ადამიანის თვითიდენტიფიკაციის პრობლემა იქცა.

ბიოეთიკა სწორედ ამ უფლებების რეალიზაციის საშუალებაა მედიცინაში და მისი შესწავლის ობიექტს ადამიანისა (პაციენტის) და მედიკოსის ურთიერთობის მორალური მხარე შეადგენს. ბიოეთიკის, როგორც მეცნიერების ორ უმთავრეს ფასეულობას პაციენტის სიცოცხლე და მისი ავტონომია წარმოადგენს, რაც მედიცინაში თავისუფალ არჩევანში გამოიხატება – თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავად მიიღოს გადაწყვეტილება ყველა საკითხზე, რომელიც მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ეხება და თავადვე აგოს პასუხი საკუთარი ცხოვრების ყველაზე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებზე.

ევთანაზია. ადამიანის ყოფიერების სასრულობის საკითხი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა. იგი თავისი არსით ფილოსოფიურ, მორალურ-რელიგიურ და სამართლებრივ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. ცნობილია, რომ მედიცინაში XX საუკუნის მე-2 ნახევრიდან მიმდინარე ცვლილებები და ახალი შესაძლებლობები, რომლებიც უახლესი ტექნოლოგიების დანერგვასთანაა დაკავშირებული, საშუალებას აძლევს მედიცინას, ერთი მხრივ, უმკურნალოს ადამიანს, მეორე მხრივ კი მართოს მისი სიცოცხლე. თანამედროვე მედიცინა ფლობს რეალურ შესაძლებლობებს, რომ „მისცეს“, „აჩუქოს“ ადამიანს სიცოცხლე (ხელოვნური განაყოფიერება), განსაზღვროს და შეცვალოს მისი თვისებრივი პარამეტრები (გენური ინჟინერია, ტრანსსექსუალური ქირურგია), „გადადოს“ სიკვდილის დრო (რეანიმაცია, ტრანსპლანტოლოგია, გერონტოლოგია), „შეამსუბუქოს“ და დააჩქაროს სიკვდილი (ევთანაზია) და სხვა. სწორედ აქ ჩნდება უამრავი ფილოსოფიური, მორალური და სამართლებრივი ხასიათის პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა ამა თუ იმ საზოგადოების ტრადიციების, კულტურული და სულიერი ღირებულებების საფუძველზე უნდა ხდებოდეს. უკეთ რომ გავერკვიოთ საკითხის არსში, ერთი დეტალიც უნდა გავითვალისწინოთ – თანამედროვე მედიცინის არსს (ტრანსპლანტოლოგია, რეანიმატოლოგია) ესადაგება ადამიანის, უპირველეს ყოვლისა, როგორც მოაზროვნე არსების სახე, რასაც, თავის მხრივ, სიკვდილის ახალი კრიტერიუმი – „ტვინის სიკვდილი“ შეესაბამება – თავის ტვინის მიერ აზროვნების, განსჯის, ადამიანებთან კონტაქტში შესვლის ფუნქციებისა და უნარის შეუსრულებლობა, ე.ი. „ტვინის

სიკვდილის“ კონსტანტაცია განსაზღვრავს ადამიანის, როგორც პიროვნების სიკვდილს, რომლის ფარგლებშიც დასაშვებია სიცოცხლე უჯრედულ დონეზე.

2000 წელი. ავტოკატასტროფის შედეგად საფრანგეთის პატარა პროვინციული ქალაქის საავადმყოფოს რეანიმატოლოგიურ განყოფილებაში მიიყვანეს მძიმედ დაშავებული 23 წლის ახალგაზრდა. მისი სასიცოცხლო ფუნქციები შეზღუდულია. ავადმყოფს დაკარგული აქვს მეტყველების უნარი, მხედველობა, დაზიანებულია ხერხემალი, არ შეუძლია მოძრაობა; შენარჩუნებული აქვს აზროვნება და ნაწილობრივ სმენა, ე.ი. თავის ტვინი შეუქცევადად არ არის დაზიანებული და ექიმებს უფლება არა აქვთ დასვან „ტვინის სიკვდილის“ დიაგნოზი და გამოუტანონ მას სასიკვდილო განაჩენი. მაგრამ ერთი რამ ცხადია – ეს ახალგაზრდა ჩვეულ, ნორმალურ ცხოვრებას ვერასოდეს დაუბრუნდება, თანამედროვე მედიცინას მისი შველა არ შეუძლია, ექიმებმა არ იციან რამდენ ხანს იცოცხლებს ასე ლოგინს მიჯაჭვული. ერთი წლის უიმედობის შემდეგ დედამ გადაწყვიტა თხოვნით მიემართა საფრანგეთის პრეზიდენტისათვის, რათა მისგან მიეღო ნებართვა შვილის ევთანაზიაზე. უარის მიღების შემდეგ (საფრანგეთში, ისევე როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ევთანაზია ლეგალიზებული არ არის) დედამ და შვილმა, საზოგადოებაზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით, ევთანაზიასა და საკუთარ განცდებზე წიგნის დაწერა განიზრახეს (შვილის თითების მოძრაობით დედა ხვდებოდა ამა თუ იმ ასოს სისწორეს და ამგვარად ადგენდა სიტყვებს), რომლის გამოსვლის შემდეგ საფრანგეთის საზოგადოება ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაიყო: ერთი მხარე, ითვალისწინებდა რა არსებულ ვითარებას, თანაუგრძნობდა დედაშვილის თვალსაზრისს, მეორე კი, კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმისა და მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, ეწინააღმდეგებოდა მათ გადაწყვეტილებას. საზოგადოებრივი აზრის ასეთმა ამხედრებამ არც ამჟამად მოახდინა ზეგავლენა პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე. ამის შემდეგ დედამ მიმართა უკიდურეს საშუალებას – მან სთხოვა ექიმს მისი შვილისათვის სისტემაში შეეყვანა ლეტალური აგენტი. დიდი წინააღმდეგობის შემდეგ ექიმი დათანხმდა დედის თხოვნას, მაგრამ სისტემაში შეყვანილი სასიკვდილო პრეპარატის

დოზა არ აღმოჩნდა საკმარისი. მაშინ დედამ მიიღო,მისი აზრით, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება – თავად გაზარდა პრეპარატის დოზა და საკუთარი ხელით შეიყვანა იგი შვილის ორგანიზმში. მიზეზი ერთია – მას არ შეეძლო მთელი სიცოცხლე ეყურებინა შვილის ტანჯვისა და უმწეობისათვის.

ეს პრობლემა ცნობილია ევთანაზიის სახელწოდებით. ტერმინი „ევთანაზია“ ბერძნული წარმოშობისაა და სიტყვა-სიტყვით „სასიამოვნო სიკვდილს“ ნიშნავს. სადღეისოდ, ევთანაზიაში მოიაზრება შეგნებული ქმედება ან უმოქმედება, რომელიც იწვევს განუკურნებელი სენით დაავადებული პაციენტის სიკვდილს, შედარებით სწრაფი და უმტკივნეულო გზით. მისი მიზანია შვება მოუტანოს და იხსნას ადამიანი აუტანელი და ხანგრძლივი ტკივილებისაგან განუკურნებელი დაავადებების დროს. ამიტომ მას ზოგჯერ „სასიამოვნო სიკვდილს“ უწოდებენ.

ევთანაზიის პრობლემა ახალი არ არის. კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე ეს პრობლემა, მეტნაკლებად განსხვავებული სახითა და სიმწვავით, ყოველთვის იდგა ადამიანების წინაშე. გარკვეული აზრით, ევთანაზიაზეა საუბარი პლატონის „სახელმწიფოში“, როდესაც იგი „არასრულფასოვან“ ადამიანებთან დამოკიდებულებაზე მსჯელობს იდეალური სახელმწიფოს აშენების დროს: „ სასამართლოც და ექიმებიც უნდა ზრუნავდნენ ადამიანებზე, რომლებიც სრულყოფილნი არიან სულითაც და ხორცითაც, ხოლო ვინც... სულითაც მანკიერია და ხორცითაც – უკურნებელი, ის უნდა მოკვდეს“. განსხვავებულ კონტექსტში, მაგრამ მაინც „ზედმეტი ადამიანების“ განადგურებაზე საუბრობს ნიცშეც. იგი ადამიანებს სულიერი სიძლიერის ნიშნით ყოფს – ერთის მხრივ, კეთილშობილი, შემოქმედი, თავისუფალი სულის, ძლიერი „მაღალი ადამიანები“, რომელთა რიცხვი საკმაოდ მცირეა და მეორე მხრივ, ადამიანთა უმრავლესობა – „პატარა ხალხი“, „ზედმეტი ადამიანები“, რომელთა არსებობაც კი, ნიცშეს აზრით, უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ზეკაცისათვის და სწორედ ამიტომაც უნდა განადგურდნენ ისინი და დედამიწა გათავისუფლდეს მათგან. ამ „ზედმეტი ადამიანების“ რიცხვს იგი აკუთვნებს უბრალო, რიგით ადამიანებს, ანუ მათ, ვინც არ არის დაჯილდოვებული შემოქმედებითი ნიჭით, ვისაც ძალა არ

შესწევს ამაღლდეს საკუთარ თავზე, ვისთვისაც ზეცა, ღმერთი უფრო ღირებულია, რადგან სწორედ იქ არის მათთვის იმედი, ხსნა, გამოსავალი, მიწიერი ტანჯვის დათმენისათვის ღირსეული საზღაური. მისი მტკიცებით, ასეთი, თითქოსდა აშკარა ანტიჰუმანიზმი, შეუფარავი მოწოდება სუსტებისა და ავადმყოფების მოსპობისაკენ, ისევ და ისევ ადამიანის სიყვარულითაა ნაკარნახები.

ყველასათვის ცნობილია ფაშისტური გერმანიის გამოცდილება არიული რასის სიწმინდისათვის გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლის დროსაც მხოლოდ 1938-39 წლებში შემუშავებული და განხორციელებული იყო „არასრულფასოვან“ პირთა მიმართ „ევთანაზიის პროგრამა“.

ამერიკის შეერთებულ შტატებში XX საუკუნის 30-იან წლებში არსებობდა საზოგადოება „ევთანაზია“, რომლის მიზანიც კანონების შეცვლასა და „დეფექტურების“ განადგურების ლეგალიზაციაში მდგომარეობდა. და, თუ გასული საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს მსოფლიო საზოგადოებრიობამ დაგმო ეს იდეები, დღეისათვის ისინი კვლავ ძალას იკრეფენ.

ცნობილია, რომ სამყარო ყოველთვის ორი ძირითადი საწყისის – სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის სარბიელად მოიაზრებოდა. XX საუკუნემ თავისი გადასახედიდან შეცვალა ღირებულებათა სისტემა და სიკეთისა და ბოროტების, სიკვდილ-სიცოცხლისა და სხვა უძირითადესი აქსიოლოგიური პრობლემების საკუთარი მიდგომა დაამკვიდრა. ჩვენი დროის ერთ-ერთი მახასიათებელია ცხოვრებისადმი პრაგმატისტული დამოკიდებულება. გარკვეული აზრით, ეს ცივილიზაციის მონაპოვარი და შედეგია, რომელსაც უამრავი სიკეთე მოაქვს ადამიანისათვის, მაგრამ სულიერების თვალსაზრისით გარკვეულწილად ცვლის მას – ადამიანი ბევრად უფრო პრაქტიკული, მიწიერი, მომხმარებლური ფსიქოლოგიის ხდება. ჩვენი ისტორიის არარელიგიურმა პერიოდმა იგი ღმერთს დააშორა (მ. ჰაიდეგერმა თანამედროვე კულტურის ძირითად ნიშნად სწორედ რომ „არარელიგიურობა“ გამოაცხადა), საკუთარი ინტერესებით შემოფარგლა და თავის თავში ჩაკეტა. სამყაროში დაკარგულობას, ცხოვრების საზრისის ძიებას კი, როგორც ვიცით, ადამიანი ახალ ღირებულებებამდე მიყავს, რომელში გარკვევაც ყოველთვის საოცრად რთული

და მტკივნეული პროცესია და ძველის უარყოფასა და ახლის დამკვიდრებას გულისხმობს.

თანამედროვე სამყაროში ისეთი მოვლენებისათვის, როგორიცაა ევთანაზია, დამკვიდრდა ტერმინი – „სიკვდილის კულტურა“, რაც გულისხმობს ინდივიდისაგან საკუთარი სიკვდილისადმი მაქსიმალურად ობიექტურ და რაციონალურ დამოკიდებულებას. ადამიანმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: როგორ სურს მას სიკვდილი; შესაბამის სიტუაციაში ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება; რამდენად ზედმიწევნით და ვინ უნდა შეასრულოს მისი ნება; სურს თუ არა მას სიკვდილის შემდგომი დონორობა და ა.შ. სწორედ ამ და მსგავსი პრობლემების გადაწყვეტის დროს ხდება ძველი და ახალი ღირებულებითი სისტემების ურთიერთდაპირისპირება. უფრო გასაგები რომ იყოს რაზეა საუბარი, დაწვრილებით განვიხილოთ შექმნილი ვითარება. თანამედროვე მედიცინის ახალი დარგები (რეანიმატოლოგია, ტრანსპლანტოლოგია, სამედიცინო გენეტიკა, ხელოვნური განაყოფიერება), აღწევენ რა ადამიანის სიცოცხლის მართვის ახალ სიმაღლეებს, უპირისპირდებიან ტრადიციულ ზნეობრივ-მსოფლმხედველობრივ პრინციპებს. მაგალითად, აქვს თუ არა რეანიმატოლოგს მორალური უფლება გაახანგრძლივოს კვდომის პროცესი ან განახორციელოს უიმედო მდგომარეობაში მყოფი პაციენტის ევთანაზია? რამდენად არის აუცილებელი ტრნსპლანტოლოგიის პრაქტიკისათვის „სამედიცინო მკვლელობის ორგანიზება“? ცხადია, ამ ვითარებაში ექიმი თავისუფლდება არა მარტო უძირითადესი სამედიცინო აკრძალვისაგან „არ ავნო“!, არამედ ზოგადსაკაცობრიო მორალური მცნებისაგან „არა კაც ჰკლა!“ ახალი მიდგომის გამამართლებელი პრინციპი – „მიზანი ამართლებს საშუალებას“, საბოლოო ჯამში, ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ექიმის ზნეობრივ თვითშეგნებაზე და დიდ საფრთხეს უქმნის მის ემოციურ-ფსიქიკურ მთლიანობას. ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, რა მოტივითა და მიზნითაც არ უნდა იყოს ეს გადაწყვეტილება განპირობებული (თუნდაც ნიცშესეული „ადამიანისადმი სიყვარულით, ან „ერის გაჯანსაღების მიზნით, ან თანამედროვე „გულმოწყალე“ ექიმის სურვილით, გაათავისუფლოს უკურნებელი სენით დაავადებული ავადმყოფი ტანჯვისაგან და საშუალება მისცეს მას უწვალებლად

შეუერთდეს მარადისობას), ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელია. ექიმის დამოკიდებულებაში პაციენტისადმი, მთლიანად მედიცინის ეთიკისა და ფილოსოფიის საფუძველში, ადამიანის სიცოცხლისადმი პატივისცემისა და მოწიწების გრძნობა ძევს, ანუ ექიმისათვის თითოეული პაციენტი უნდა იყოს ის ერთადერთი, რომლისთვისაც საჭიროა, უფრო მეტიც, ღირს მთელი თავისი სულიერი ძალების გაღება (მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი), წინააღმდეგ შემთხვევაში სამედიცინო მოღვაწეობა შეიძლება იყოს ზედმიწევნით მეცნიერული, მაგრამ იგი დაკარგავს საკუთრივ თავის არსს – ჰუმანურობასა და ზნეობრიობას.

საქართველოს ჯანდაცვის კანონმდებლობით სამედიცინო პერსონალის მეშვეობით ევთანაზიის განხორციელება აკრძალულია. აქტიური ევთანაზია (წინასწარგანზრახული ჩარევა პაციენტის სიცოცხლის შეწყვეტის მიზნით) ისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობით. პასიურ ევთანაზიას კი ჩვენს სინამდვილეში ამა თუ იმ ფორმით ხშირად აქვს ადგილი (მაგალითად, ავადმყოფი უარს აცხადებს მკურნალობაზე; არა აქვს მატერიალური საშუალება ჩაიტაროს საჭირო გამოკვლევები, მკურნალობა; ექიმი წყვეტს ან ზღუდავს უიმედო ავადმყოფის მკურნალობას; სტაციონარიდან ხდება უიმედო პაციენტის გამოწერა და ა.შ.).

ევთანაზიის ლეგალიზაციის მომხრეები თავის პოზიციას ადამიანის უფლებების გათვალისწინებით აყალიბებენ. მათი მოსაზრებით, ნებაყოფლობითი ევთანაზია ეყრდნობა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას – სიკვდილის უფლებას (თუ კი სიკვდილი ტანჯვისაგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალებაა). აქ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი და ეს ძალიან მნიშვნელოვანია – ევთანაზიის მომხრეები ცდილობენ გაათანაბრონ და ერთნაირი შინაარსობრივი დატვირთვა მისცენ ცნებებს – „მივცეთ სიკვდილის უფლება“ (პასიური ევთანაზია) და „დავეხმაროთ სიკვდილში“ (აქტიური ევთანაზია) და შეცდომაში შეყავთ საზოგადოება, თავაზობენ რა მცდარ დილემას: ან თქვენ ჰუმანურები ხართ, გიყვართ მოყვასი და შეგიძლიათ გადააბიჯოთ დაუშვებელის ზღვარს (ე.ი. მოკლათ), ან აბსტრაქტული დოგმები ბევრად ღირებულია თქვენთვის, ვიდრე უბრალო ადამიანური თანაგრძნობა და გულმოწყალე-

ბა, რადგან დაუფიქრებლად ახანგრძლივებთ იმ უაზრო ტანჯვა-წამებას, რომელსაც თავად ვერც კი აიტანდით. აი, მათი არგუმენტები:

*ადამიანს უნდა ჰქონდეს თვითგამორკვევის უფლება ანუ მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გააკეთოს არჩევანი – გააგრძელოს სიცოცხლე, თუ შეწყვიტოს ის.

*ადამიანი დაცული უნდა იყოს მტკივნეული და არაჰუმანური მკურნალობისაგან.

*ადამიანს აქვს უფლება იყოს ალტრუისტი – თავიდან ააცილოს ახლობლებს და ოჯახის წევრებს ტანჯვა, უაზრო ფინანსური ხარჯები და უშედეგო შრომა.

არსებობს ე.წ. „ეკონომიკური“ არგუმენტიც – უიმედო პაციენტთა მკურნალობა და მოვლა-პატრონობა საზოგადოებას მძიმე ტვირთად აწვება. ევთანაზიის დაკანონების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება რესურსების უფრო რაციონალურად და მიზნობრივად გამოყენება.

ევთანაზიის ლეგალიზაციის წინააღმდეგია საღად მოაზროვნე ადამიანთა დიდი უმრავლესობა (გამონაკლისს შეადგენს ჰოლანდია, ბელგია, მიჩიგანის შტატი, ქ.სიდნეი, ქ.დარვინი, სადაც ევთანაზია კანონით არ იკრძალება). ევთანაზიის მოწინააღმდეგეთა პოზიციის მართებულობა აშკარაა და ეჭვს არ უნდა იწვევდეს:

*ავადმყოფთა უმრავლესობის მხრიდან ნებაყოფლობითი სიკვდილის მოთხოვნა, ძირითადად, მოტივირებულია ძლიერი ტკივილებით, საკმარისია მოიხსნას ეს სიმპტომები და სიკვდილის მოთხოვნაც თავისთავად მოიხსნება.

*ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მედიცინაში და მისი განვითარების ტემპები მოწმობს, რომ ბევრი განუკურნებელი დაავადება დღეს ექვემდებარება მკურნალობას.

*ევთანაზიის ლეგალიზაცია კატეგორიულად მიუღებელია რელიგიური თვალსაზრისით. ყველა რელიგიური სისტემა ევთანაზიას განიხილავს, როგორც თვითმკვლელობის ან მკვლელობის ფორმას.

*ევთანაზია მიუღებელია ზნეობრივი თვალსაზრისით. ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლე განუმეორებელია და ექიმი ვალდებულია ყველა არსებული საშუალების გამოყენებით ბოლო წუთამდე იბ-

რძოლოს მისი გადარჩენისათვის. ეს ექიმის ზნეობრივი და პროფესიული მოვალეობაა.

*არ არის გამორიცხული, რომ საქმე გვქონდეს საექიმო შეცდომასთან.

*სავსებით შესაძლებელია ევთანაზია გამოყენებულ იქნას ბოროტი მიზნებისათვის (წინასწარ განზრახული მკვლელობა ან მკვლელობა ორგანოთა გადანერგვისათვის ნებართვის მიღების შემთხვევებში).

*თუ კი ოდესმე ევთანაზია იურიდიულად დაკანონდება, აუცილებლად დადგება მწვავე ეთიკური საკითხი – ვინ უნდა განახორციელოს იგი? ექიმმა? ასეთი მოსაზრება ვარაუდის დონეზეც კი მიუღებელია. ექიმისათვის პაციენტის მოკვლის დავალდებულება უზნეობაა და საზოგადოებრივი მორალის დაკნინებას და მედიცინისადმი ნდობის დაკარგვას გამოიწვევს.

ამიტომ თითოეულმა ჩვენთაგანმა აუცილებლად უნდა გააცნობიეროს, რომ ევთანაზია ანუ „სიკვდილის კულტურა“, არ არის მკვლელობის გამამართლებელი იდეების, შეხედულებების განსაკუთრებული ერთობლიობა. იგი აზროვნების, მენტალიტეტის სპეციფიკური ტიპია და ეფუძნება თავისუფლების იდეის მცდარ გაგებას. თავისუფლება, თავისთავად, სიკეთეა, მაგრამ იგი მხოლოდ მაშინ არ გადაიქცევა განუკითხაობად, როდესაც ჭეშმარიტებისაკენ მივყავართ.

ცხადია, ევთანაზიის ყოველი შემთხვევა ეთიკისა და სამართლის პოზიციებიდან უნდა შეფასდეს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კანონი იმდენადაა პროგრესული, რამდენადაც მორალურია. ამდენად, ევთანაზიის პრობლემის გადაჭრის დროს ეთიკური რეგულირების დონე უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე სამართლებრივი.

„ყველაზე უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ რომელიმე ერმა მიაღწია თავისი ზნეობრივი დაცემის უკიდურეს დონეს, იქნება ის დრო, როდესაც აბორტი გახდება ჩვეულებრივი და აბსოლუტურად მისაღები საქმე“.

რაფაელ ბელესტრინი
(XIX საუკუნის იტალიელი იურისტი)

აბორტის ეთიკური პრობლემები. ბიოეთიკის იმ მრავალი პრობლემიდან, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესსა და ვნებათაღელვას იწვევს, ერთ-ერთი ყველაზე მწვავე აბორტის საკითხია. მთელ მსოფლიოში საზოგადოებრივი აზრი მკვეთრად პოლარიზებულია. ძირითადი მორალური პრობლემები დაკავშირებულია ხელოვნურად გამოწვეულ აბორტთან. ამ სახის სამედიცინო ჩარევის მორალური ასპექტების სწორი გაგებისათვის აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ ორსულობა ქალის ორგანიზმში მიმდინარე ნორმალური ფიზიოლოგიური და, იმავდროულად, ახალი ადამიანის ბიოლოგიური ჩამოყალიბების პროცესია. ამიტომ, როდესაც „ნაკლები ბოროტების“ პრინციპით აბორტის პრაქტიკას ვუშვებთ, გააზრებული უნდა გვქონდეს, რომ, ერთი მხრივ, იგი სერიოზულ მორალურ და ფიზიკურ ტრავმას აყენებს ქალს და, მეორე მხრივ, წარმოადგენს უდიდეს ბოროტებას, რადგან წყვეტს ახალი ადამიანის უკვე დაწყებულ სიცოცხლეს. აბორტი (კონტრაცეპტივებთან ერთად), არ შეიძლება ჩაითვალოს ოჯახის დაგეგმვის ჩვეულებრივ საშუალებად. სამწუხაროდ, თანამედროვე საზოგადოებაში აბორტები გარდაუვალია.

საკმარისია პასუხი გავცეთ რამდენიმე კითხვას და თითოეული ჩვენგანის პოზიციაც ჩამოყალიბდება: 1) ცოცხალი მატერიის განვითარებისა და გარდაქმნის პროცესში სად, როდის, რომელ მომენტში შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ აქ და ახლა იწყება ადამიანი? აქედან გამომდინარე, ცოცხალი არსება, რომელიც ადრე მხოლოდ დედის სხეულის ნაწილი იყო, ამ მომენტიდან ხდება ერთ-ერთი ჩვენგანი, საზოგადოების წევრი, რომელსაც გარკვეული უფლებები აქვს, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლის უფლება? 2) მოცემულ შემთხვევაში აქვს თუ არა შეზღუდვა მცნებას „არა კაც ჰკლა?“ და თუ აქვს, რა სახის შეიძლება იყოს ეს შეზღუდვა? 3) როგორი მორალუ-

რი და სოციალური სტატუსი აქვთ იმ ცოცხალ არსებებს, რომლებიც ჯერ ადამიანურ არსებად არ არიან აღიარებულნი? მაგალითად, შეიძლება თუ არა მათი გამოყენება სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩასატარებლად? ან ნედლეულის სახით ფარმაკოლოგიურ და პარფიუმერულ მრეწველობაში? დასაშვებია თუ არა ტრანსპლანტაციისათვის სიცოცხლისუუნარო, მაგრამ ცოცხალი ნაყოფის გამოყენება თავისებური „ფერმის“ სახით ორგანოთა „დასამზადებლად“ და იმ ავადმყოფი ახალშობილების გადასარჩენად, რომელთაც გადარჩენის შანსი ჯერ კიდევ აქვთ?

ტრადიციულად ჩამოყალიბდა სამი ძირითადი პოზიცია: ლიბერალური, ზომიერი და კონსერვატული. ლიბერალური პოზიცია დაუბადებელ ნაყოფს „ადამიანურ არსებად“ არ აღიარებს და შესაბამისად მასზე არ ვრცელდება გარკვეული უფლებები, მათ შორის სიცოცხლის უფლება. ე.ი. ბუნებრივი მშობიარობის მომენტანდე ქალს სრული უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება აბორტის ჩატარების შესახებ, ექიმი კი ვალდებულია მოახდინოს ამ უფლების რეალიზაცია. ამრიგად, „ლიბერალებისათვის“ აბორტი არ წარმოადგენს მკვლელობას, უფრო მეტიც, აბორტზე უარის თქმის შემთხვევაში, მათი აზრით, ირღვევა დედის, როგორც ნაყოფის მესაკუთრის უფლებები. სამწუხაროდ, ჩვენი კანონმდებლობა აბორტთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია მსოფლიოში.

„ზომიერი“ თვალსაზრისის თანახმად, ჩანასახის გადაქცევა ადამიანურ არსებად ხორციელდება თანდათანობით – ორსულობის პირველი სამი თვის განმავლობაში ნაყოფის უფლებები მინიმალურია. ამ პერიოდში, ძირითადად, ითვალისწინებენ დედის სოციალურ და ეკონომიურ ინტერესებს. ბოლო სამი თვის პერიოდში ნაყოფის უფლებები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დედის უფლება – გაიკეთოს აბორტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ ერთ შემთხვევაში – როდესაც ქალის სიცოცხლეს უშუალოდ ემუქრება საფრთხე. ამ შემთხვევაში, აბორტი შესაძლებელია შეფასდეს როგორც „უდანაშაულო არსების მკვლელობა“ და მის გასამართლებლად საკმაოდ საფუძვლიანი არგუმენტებია საჭირო.

„კონსერვატორები“ ჩანასახს ჩასახვისთანავე სიცოცხლის უფლების მქონე პიროვნებად განიხილავენ. ამდენად, ამ თვალსაზრი-

სის მიხედვით, აბორტის მორალური გამართლება არ შეიძლება და ის, ერთმნიშვნელოვნად, განზრახ მკვლელობად ითვლება. არსებობს ე.წ. „ზომიერი კონსერვატორების“ თვალსაზრისიც, რომლის თანახმად, ქალს მინიჭებული აქვს აბორტის გაკეთების უფლება მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უშუალო საფრთხის არსებობის, ძალადობის ან ინცესტის შემთხვევებში.

რელიგიური თვალსაზრისი აბორტის პრობლემებთან დაკავშირებით ულტრაკონსერვატულ პოზიციას განეკუთვნება. ემბრიონის, როგორც ღირებულების გააზრება დაკავშირებულია ქრისტიანობის წარმოშობასთან. მართალია, ბიბლიაში სიტყვა „აბორტი“ ან მისი შესატყვისი სინონიმი არ გვხვდება, მაგრამ წმინდა წერილი მაინც გვაძლევს საშუალებას სრულიად ნათელი დასკვნები გავაკეთოთ ამ მომაკვდინებელი ცოდვის შესახებ. ბავშვების განადგურების თაობაზე სახარებაში ქცევის ორი მოდელია წარმოდგენილი – ჰეროდეს „ეთიკა“, რომელმაც ბეთლემში ორი წლისა და უფრო პატარა ასაკის ყველა ყრმა დახოცა და ის ნორმა, რომელიც გაგვისაზღვრა იესო ქრისტეს სიტყვებმა: „რაც კი გაუკეთეთ ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, მე გამიკეთეთ“ (მათ. 25.40). ამიტომ თვლის ეკლესია ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ყოველ შემთხვევას ღვთისმკვლელობის მომენტის შემცველად. სწორედ ამაშია აბორტის ყველაზე სიღრმისეული და დრამატული აზრი.

მოსკოველი დეკანოზი დიმიტრი სმირნოვი, აანალიზებს რა აბორტთან დაკავშირებულ მწვავე საკითხებს (რა საჭიროა სიღარიბისა და სიმახინჯეების გამრავლება? როგორ მოვიქცეთ, თუ ფეხმძიმედაა 13 წლის გოგონა? თუ დედისათვის ორსულობის გაგრძელება სიცოცხლესთან შეუთავსებელია და სხვა), არ ეთანხმება ხელოვნური აბორტის არანაირ გამართლებას და არცერთ შემთხვევაში არ უშვებს კომპრომისს: „ხომ შესაძლებელია დედა დაიღუპოს მშობიარობისას? თუ გოგონა გარყვნილია და ასე იქცევა, მან, ბუნებრივია, უნდა ატაროს თავისი ჯვარი, როგორც საკუთარი ქცევის შედეგი: ხშირად გაუპატიურებისას თვითონ დაზარალებულია დამნაშავე – გამომწვევი ჩაცმულობის, ქცევის, გაუფრთხილებლობის, უფროსებისათვის ანგარიშის გაუწევ-

ლობის გამო და ა.შ.“ აბორტი არღვევს ძველი აღთქმის ძირითად მცნებას – „არა კაც ჰკლა!“ და სახარებისეულ მცნებას სიყვარულის შესახებ.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციას აბორტთან დაკავშირებით კარგად გამოხატავს დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი: „ის, რაც ჩვენ თვალწინ დანაშაულებრივი დუმილის და აუღელვებლობის გამო ხდება, ისეთივე საშინელებაა, როგორც ბეთლემში უცოდველ ყრმათა მოწყვედა. უარესიც: იქ დედები მკერდით ეფარებოდნენ ჩვილებს, დღეს კი ამაზრზენი სიმშვიდით ეთათბირებიან და საზღაურსაც კი აძლევენ მათი შვილების მკვლელს. დედის წიაღში მოკლული არსების განადგურება ნათლობის მადლით განუბანელი სულის მკვლელობაა: ასეთი სული ბრმასავით გადადის მარადისობაში და თან წინაპართა ცოდვების ბეჭედი მიაქვს“.

თანამედროვე ბიოლოგიის, გენეტიკისა და ემბრიოლოგიის უახლესი მონაცემების თანახმად, ადამიანის სიცოცხლე იწყება არა დაბადებიდან, არამედ ჩასახვის მომენტიდანვე. პირველი უჯრედი უკვე განუმეორებელი პიროვნებაა და შეიცავს მთელ ინფორმაციას ადამიანის შესახებ: მის სქესს, სიმაღლეს, თმის ფერს, სახის ნაკვთების თავისებურებებს, სისხლის ჯგუფს, მიდრეკილებებს, ხასიათს, ნიჭს...

ჩასახვიდან რამდენიმე დღეში ყალიბდება შინაგანი (სასუნთქი, ნერვული და საჭმლის მომნელებელი) ორგანოები.

18 დღეში გული იწყებს ცემას.

21 დღეში იწყება საკუთარი სისხლის მიმოქცევა: ბავშვის სისხლი დედისას აღარ ერევა და შეიძლება სხვა ჯგუფისაც იყოს.

42 დღეში (7კვირა) ყალიბდება ხელები, ფეხები, თვალები, ცხვირი, ყურები. შესაძლებელია ტვინის ენცეფალოგრამის გადაღება.

8 კვირის ნაყოფი უკვე თითს წოვს; იგი გრძნობს ტკივილს.

10-11 კვირის არსებისათვის თითის ანაბეჭდების აღება შეიძლება. ბავშვი თვალებსაც ამოძრავებს, ენასაც. თუ სანაყოფე წყლებს დავატკბობთ, იგი უფრო ხშირად იწყებს ყლაპვას, ხოლო თუ სიმწარე შეერია, ყლაპვას წყვეტს.

11-12 კვირის ბავშვს ყველა ორგანო აქვს ჩამოყალიბებული. იგი რეაგირებს სინათლეზე, სითბოზე, ხმაურზე.

14 კვირის ბავშვის გული დღეში 24 ლიტრ სისხლს გადატუმბავს.

ის დედასთან ერთად იძინებს და იღვიძებს. თუ ძლიერ შუქს მივანათებთ, სახეს ხელებით იფარავს...

აბორტის საწინააღმდეგო პროპაგანდა და საგანმანათლებლო მუშაობა სახელმწიფოსა და საზოგადოების მოვალეობაა. საქართველოს კანონმდებლობით აბორტის რეკლამა აკრძალულია. განსაზღვრულ ვადაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში აბორტი ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით.

აივ ინფექცია/შიდსის ეთიკური პრობლემები. შიდსი (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი) ნელა პროგრესირებადი ინფექციური დაავადებაა. მას იწვევს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ). ის, ადამიანის ორგანიზმში შეჭრის შემდეგ აზიანებს ორგანიზმის იმუნურ (დამცველ) სისტემას და მწყობრიდან გამოჰყავს იგი, რის შედეგადაც ინფიცირებულ პირს ადვილად უჩნდება სხვადასხვა ინფექციური ან/და სიმსივნური დაავადება, რომელიც, როგორც წესი, სასიკვდილო შედეგით სრულდება.

თანამედროვე კლასიფიკაციით, აივ ინფექცია ეწოდება დაავადებას ვირუსით ინფიცირების მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო ტერმინით შიდსი აღინიშნება აივ ინფექციის ბოლო სტადია, როდესაც ავადმყოფს უვითარდება დაავადების გარკვეული კლინიკური ნიშნები და/ან იმუნური სისტემის მძიმე დაზიანება.

აივ-ის წარმოშობის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ შიდსის გამომწვევი ვირუსი დიდი ხანია არსებობს ცენტრალური და დასავლეთ აფრიკის ზოგიერთ რეგიონში, მაგრამ გლობალურად გავრცელდა მხოლოდ ბოლო პერიოდში, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო აფრიკიდან იაფფასიანი სისხლის ექსპორტმა ამერიკისა და ევროპის სისხლის ბანკებში.

ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად, აფრიკის კონტინენტზე მცხოვრები მაიმუნების ზოგიერთ სახეობაში (მწვანე მაიმუნები, მაკაკები) გავრცელებული იყო შიდსის ვირუსის წინამორბედი, რომელიც ადამიანისათვის საშიში არ იყო. გამორიცხული არ არის, რომ დროთა განმავლობაში, მუტაციის ან სხვა ფაქტორების

შედეგად, ვირუსს გადაელახა სახეობრივი ბარიერი და ადამიანებშიც გავრცელებულიყო. ამ ვერსიას ამყარებს ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ მაიმუნებში აღმოჩენილია ე.წ. მაიმუნის იმუნოდეფიციტის ვირუსი (მივ), რომელიც მათში შიდსის მსგავს დაავადებას იწვევს. გარდა ამისა, ადამიანისა და მაიმუნისაგან გამოყოფილი ვირუსები საკმაოდ გვანან ერთმანეთს გენეტიკური და ანტიგენური თვისებებით.

კიდევ ერთი ჰიპოთეზის მიხედვით, შიდსის ვირუსი, როგორც ბიოლოგიური იარაღი, ხელოვნურად არის შექმნილი ამერიკის სამხედრო დანიშნულების ლაბორატორიებში. ეს აზრი თავიდანვე მოკლებული იყო დამაჯერებლობას, ამჟამად კი სავსებით უარყოფილია.

შიდსი რეგისტრირებულია დედამიწის ხუთივე კონტინენტის 213 ქვეყანაში. ინფიცირებულთა 90% განვითარებად ქვეყნებზე მოდის. გაეროს შიდსის პროგრამის 2003 წლის მონაცემებით მსოფლიოში:

ეპიდემიის დაწყებიდან დღემდე ინფიცირებულია 37,8 მილიონი ადამიანი;

მათ შორის: მოზრდილი 35,7 მილიონი ადამიანი, ქალი – 17 მილიონი, ბავშვი 15 წლამდე – 2,1 მილიონი.

ეპიდემიის დაწყებიდან დღემდე გარდაიცვალა 20 მილიონი ადამიანი.

მხოლოდ 2003 წელს დაინფიცირდა 4,8 მილიონი ადამიანი.

მათ შორის: მოზრდილი 4,1 მილიონი, ბავშვი 15 წლამდე – 630000, გარდაიცვალა 2,9 მილიონი ადამიანი.

რამოდენიმე წლის წინ უცხოელი ექსპერტები, ჩვენ ქვეყანაში არსებული ფაქტორების გათვალისწინებით, გვაფრთხილებდნენ, რომ საქართველოს შიდსის ფართომასშტაბიანი ეპიდემია ემუქრებოდა. საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის შემთხვევათა სწრაფი ზრდის საფრთხე განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

- ნარკომანიის ფართო გავრცელება;
- საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, შიდსის თვალსაზრისით არსებული არასახარბიელო ეპიდსიტუაცია;
- მოსახლეობის მზარდი მიგრაცია;

- სამკურნალო პრეპარატების, სასტერილიზაციო თუ სადეზინ-ფექციო საშუალებათა ნაკლებობა;
- სამედიცინო პერსონალის არასაკმარისი უნარ-ჩვევები ინ-ფექციათა გადაცემის პროფილაქტიკის საკითხებთან დაკავ-შირებით;
- პრეზერვატივებზე ტრადიციულად დაბალი მოთხოვნილება ან მათი არასისტემატური მოხმარება;
- შიდსის შესახებ მოსახლეობის ცოდნის დაბალი დონე.

საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პირველი შემთხვევა გამოვლინდა 1989 წ. 1997 წელს ინფიცირებულთა რიცხვმა შეადგინა – 21, 1998 წ. – 25, 1999 წ. – 35, 2000 წ. – 79, 2001 წ. – 93, 2002 წ. – 95, 2003 წ. – 100, 2004 – 138, 2005 წ. – გამოვლენილი იყო კიდევ 90 ახალი შემთხვევა. მართალია, საქართველო ინარჩუნებს შიდსის გავრცელების დაბალ დონეს, მაგრამ ექსპერტთა აზრით, რადიკალური პრევენციული ზომების გაუტარებლობის შემთხვევაში, უკვე ახლო მომავალში მოსალოდნელია აივ/შიდსის შემთხვევათა სწრაფი მატება.

მართალია, აივ ინფექციას პათოგნომური კლინიკური ნიშნები არ გააჩნია, მაგრამ მაინც შეიძლება გამოიყოს სიმპტომებისა და დაავადებების ჯგუფი, რომელთა დროს, უპირველეს ყოვლისა, ეჭვი უნდა იქნას მიტანილი აივ ინფექცია/შიდსზე და, ალბათ, ეს ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს: არამოტივირებული ცხელება; საერთო სისუსტე; წონაში კლება სხეულის მასის 10%-ით და მეტით; ოფლიანობა; ლიმფური კვანძების გადიდება; ხშირი ფაღარათი; სხვადასხვა სახის გამონაყარი კანსა და ლორწოვან გარსებზე; თეთრი ფერის ნადები ენაზე; გახანგრძლივებული ფილტვების ანთება, რომელიც ცუდად ექვემდებარება ჩვეულებრივ ანტიბიოტიკურ თერაპიას; ნერვული სისტემის სხვადასხვა სახის დაზიანება და სხვა.

ამასთან ერთად, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას ეპიდემიოლოგიური მონაცემები (მაღალი რისკის ჯგუფი, აივ ინფიცირებულთან კონტაქტი და სხვ.).

აივ ინფექციის პროფილაქტიკის წამყვანი ელემენტებია:

- შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტებისაგან თავის არიდება ან უკიდურეს შემთხვევაში თავდაცვის საშუალებების გამოყენება;
- არატრადიციული სქესობრივი ურთერთობებისაგან თავის შეკავება;
- ნარკოტიკების მოხმარებაზე, უკიდურეს შემთხვევაში, საერთო შპრიცების გამოყენებაზე უარის თქმა;
- სისხლისა და სისხლის პროდუქტების აუცილებელი გამოკვლევა. შეუმოწმებელი სისხლის სასიცოცხლო ჩვენებით გადასხმის შემთხვევაში დონორის სისხლის აუცილებელი ტესტირება პროცედურის დამთავრებიდან პირველივე საათებში;
- ერთჯერადი სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენება, ხოლო მრავალჯერადის ხმარების დროს სტერილიზაციისა და დეზინფექციის წესების სრული დაცვა;
- ტატუირებისა და სამკაულების ტარების მიზნით სხეულის ნაწილების დაზიანებისაგან თავის შეკავება, ვინაიდან ეს პროცედურები ჩვენს სინამდვილეში ხშირად არასათანადოდ გასტერილებული იარაღებით ტარდება.

შიდსის მიმართ საზოგადოების ცნობიერებაში დამკვიდრებულია ე.წ. „შიდსოფობია“. ადამიანთა უმრავლესობის პირველი რეაქცია სიტყვაზე „შიდსი“, რა თქმა უნდა, არის შიში. შიში დაავადების, ტანჯვის, უიმედობის, სიკვდილის, აგრეთვე მედიცინისა და საზოგადოების უძლურების წინაშე.

თვით აივ-ით ინფიცირებულთა ცნობიერებაში, უპირველეს ყოვლისა, დომინირებს დისკრიმინაციის, სტიგმატიზაციის, სოციალური დევნის წინაშე შიში. როგორც ცნობილია, შიდსი თავდაპირველად, ძირითადად, ვრცელდებოდა ე.წ. „მარგინალურ სოციალურ ჯგუფებში“ – ჰომოსექსუალისტებს, ნარკომანებსა და მეძავებს შორის. იმდროინდელი საზოგადოების რეაქცია საკმაოდ მკაცრი და შეუწყნარებელი იყო. შიდსი შეფასებული იყო, როგორც „ღვთის რისხვის“, „ჰომოსექსუალიზმის ცოდვის“, „სპორტული

სექსის“, „სექსს ტურიზმის“ შედეგი. დასახელებული მარგინალური ჯგუფების მიმართ საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება ინერციით გადაეცემა აივ-ით დაავადებულ პირს და სასიკვდილოდ განწირულობის განცდას აღრმავებს ემოციური იზოლაცია და საზოგადოების მხრიდან მათ მიმართ არაკეთილმოსურნე, მტრული დამოკიდებულება.

მედიაში ხშირად ქვეყნდება მასალები შიდსით დაავადებულთა მიმართ გამოყენებული ძალადობის ფაქტების შესახებ: საცხოვრებელი ადგილებიდან განდევნა, მათ გარშემო „ემოციური ვაკუუმის“ შექმნა, სამსახურიდან, სასწავლებლიდან დათხოვნა. აღინიშნება საზოგადოების მკვეთრი აგრესია დაავადებულთა სამკურნალოდ გამოყოფილი მატერიალური სახსრების გამო (ბუენოს-აირესში შიდსით დაავადებულებს ჯაჭვით აბამდნენ საწოლზე; ამერიკის ერთ-ერთ ქალაქში მეზობლებმა გადაწვეს სახლი, სადაც აივ-ით ინფიცირებულთა სამბავშვიანი ოჯახი ცხოვრობდა; რუსეთის ქალაქ ელისტაში, სადაც საავადმყოფოს პირობებში ინფიცირებული სისხლითა და ინსტრუმენტებით დაავადნენ ბავშვები, ხალხმა ქვები დაუშინა ავტობუსს, რომლითაც ისინი გადაყავდათ).

ვაშინგტონში ცნობილმა ჟურნალისტმა, ინფიცირებულთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლის მიზნით, მიმართა ქიმწმენდას, საპარიკმახეროსა და სტომატოლოგიურ პოლიკლინიკას. იგი თავს აივ-ით ინფიცირებულად ასაღებდა. მან ყველგან კატეგორიული უარი მიიღო მომსახურებაზე. მსგავსი დამოკიდებულება არ შეესაბამება არა მარტო სამედიცინო ეთიკის და საერთოდ ეთიკის ნორმებს, არამედ კანონის მოთხოვნებსაც. პროფესიული სამედიცინო ეთიკის უხეშ დარღვევად ითვლება შიდსის დიაგნოზის გახმაურება, რის საფუძველზეც უხეშად ილახება პაციენტის უფლებები.

შიდსით დაავადებულთა დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლენა აკრძალულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიოეთიკური პრობლემების რეგულირების დროს რელიგიური პოზიცია არ ასრულებს გადამწყვეტ როლს, თუმცა თითქმის ყველა შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად, მაინც გათვალისწინებულია. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგა-

ნაც ადამიანის ყოფიერებაზე თანამედროვე ტექნოლოგიური ცივილიზაციის გავლენა იმდენად დიდი და შესამჩნევია, რომ საჭირო ხდება სიცოცხლის, სიკვდილის, ადამიანური ღირსებისა და თავისუფლების დაცვითი მექანიზმების შემუშავება. ისიც ფაქტია, რომ კაცობრიობის მთელი ისტორიისათვის ყოველთვის უდავო ჭეშმარიტებას მორალურ ღირებულებათა და რელიგიური შეხედულებების უშუალო კავშირი წარმოადგენდა. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მართლმადიდებლობის დამოკიდებულება სიცოცხლესთან დაკავშირებული ყველა პრობლემისადმი საერთო საეკლესიო სწავლებას ეფუძნება. ე.ი. მართლმადიდებელი ეკლესია არ მიისწრაფის „ქრისტიანული ბიოეთიკის“ სპეციალური კონცეფციის შექმნისაკენ. იგი ბიოეთიკის უძირითადესი პრობლემებისათვის განსაზღვრავს მხოლოდ ძირითად ონტოლოგიურ ორიენტაციას: სიკვდილის დადგომის კრიტერიუმად ადრე ითვლებოდა სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის შეუქცევადი გაჩერება, მაგრამ რეანიმაციული ტექნოლოგიების სრულყოფის საფუძველზე ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქციები შეიძლება ხელოვნურად შენარჩუნებულ იქნას ხანგრძლივი დროის მანძილზე. ამგვარად, სიკვდილის აქტი გარდაიქმნება კვდომის პროცესად. წმინდა წერილში სიკვდილი განმარტებულია, როგორც სულის განშორება სხეულთან (ფსალ. 145.4, ლუკ. 12,20). ასე რომ, სიცოცხლეზე შეიძლება ვილაპარაკოთ მანმადე, სანამ გრძელდება ორგანიზმის, როგორც მთლიანის ცხოველმოქმედება. ხელოვნური საშუალებებით სიცოცხლის გახანგრძლივება არ შეიძლება განიხილებოდეს მედიცინის სავალდებულო და ყველა შემხვევაში სასურველ ამოცანად. ღირსეული გარდაცვალების მართლმადიდებლური გაგება გულისხმობს მზადებას აღსასრულისათვის, რომელიც განიხილება, როგორც ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი. მამა მიხეილ ობუხოვი თვლის, რომ ტანჯვა, ტკივილი „საჭიროა ადამიანის მარადიული ცხოვრებისათვის მოსამზადებლად. ტანჯვას ძალა შესწევს გამოასწოროს ადამიანი, მიიყვანოს იგი მონანიებასთან მაშინ, როცა ყველაფერი სხვა უკვე არაქმედითია. ტანჯვა, განსაკუთრებით სიკვდილის წინა ტანჯვა, განწმენდს ადამიანს ცოდვებისაგან, თავმდაბალსა და მორჩილს ხდის მას. მაშინ კი რა ხდება, როცა ექიმი ავადმყოფს კლავს? სუ-

ლი მარადისობაში მოუმზადებელი მიდის, ხოლო თუკი ავადმყოფმა თავად გამოთქვა სიკვდილის სურვილი, მაშინ ეს თვითმკვლელობის ცოდვითაც მძიმდება“. „უფალი აკვდინებს და აცოცხლებს“ (I მეფ. 2.6), ამიტომ ეკლესიას, იცავს რა ღვთის მცნებას „არა კაც ჰკლა“ (გამ. 20.13), არ შეუძლია ზნეობრივად მისაღებად ჩათვალოს ამჟამად საერო საზოგადოებაში გავრცელებული ე.წ. ევთანაზიის ლეგალიზაციის, ანუ უიმედო ავადმყოფთა განზრახ მკვლელობის მცდელობები (მათ შორის საკუთარი სურვილით).

გმობს რა აბორტს, როგორც მომაკვდინებელ ცოდვას, ეკლესია ვერ ამართლებს მას ვერც იმ შემთხვევაში, როდესაც ჩასახული ადამიანური სიცოცხლის განადგურება სხვისი ჯანმრთელობისათვის სიკეთის მომტანი შეიძლება გახდეს (ე.წ. ფეტალური თერაპიის მეთოდების გამოყენება, რომლის საფუძველში დევს განვითარების სხვადასხვა სტადიაზე აბორტირებული ადამიანური ჩანასახის ორგანოებისა და ქსოვილების ამოღება და გამოყენება სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობის ან ორგანიზმის გაახალგაზრდავების მიზნით). ასეთი პრაქტიკა, თუნდაც მისი სადღეისოდ ჰიპოთეტური ეფექტურობა მეცნიერულად დასაბუთებული იყოს, გარდუვალად უწყობს ხელს აბორტების უფრო ფართოდ გავრცელებასა და კომერციალიზაციას, რაც თავისთავად უზნეობაა.

თანამედროვე ბიოეთიკის პრობლემებისადმი მიდგომა, რომელსაც მართლმადიდებლური კულტურის ტრადიციები და ღირებულებები განსაზღვრავს, მეტად მნიშვნელოვანი პოზიციაა. იგი ჩვენი გენოტიპისადმი ერთგულებაზე მიგვანიშნებს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მის გადარჩენასა და შენარჩუნებას, მითუმეტეს, რომ საქართველოში ქრისტიანობა არასოდეს ყოფილა მარტოოდენ რელიგია. იგი ცხოვრების და აზროვნების წესიც იყო. მედიცინის, ეთიკისა და რელიგიის კავშირის შეგნებულად თუ შეუგნებლად უგულვებელყოფა ნიშნავს თითოეული მათგანის, ადამიანური არსებობისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი სფეროების არსისა და დანიშნულების დამახინჯებას. მიზანი ერთი უნდა იყოს – მეცნიერებისა და ზნეობრიობის ორგანული კავშირი, რამეთუ ეს კავშირი დღეს თანამედროვე ცივილიზაციის გადარჩენის ერთ-ერთ არსებით პირობას წარმოადგენს.

საკონტროლო კითხვები

რა მოიაზრება ევთანაზიის ცნებაში?

შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა ევთანაზიის ლეგალიზება?

როდის იწყება სიცოცხლე – ჩასახვის მომენტიდან თუ დაბადებიდან?

აქვს თუ არა აბორტის შემთხვევაში შეზღუდვა მცნებას „არა კაც ჰკლა“ ?

დასაშვებია თუ არა ნაყოფის გამოყენება სამედიცინო ექსპერიმენტების ჩატარების მიზნით?

რა ფაქტორები განაპირობებს საქართველოში აივ ინფექცია / შიდსის შემთხვევათა ზრდას?

რა პროფილაქტიკური ზომებია მისაღები აივ ინფექცია / შიდსისაგან თავის დასაცავად?

თავი VII

ქართული ფილოსოფიის ისტორია (მოკლე ექსკურსი)

გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დიდი წარმომადგენლის ჰეგელის აზრით, უბედურია ერი, რომელსაც საკუთარი ფილოსოფიური აზროვნება არ გააჩნია. საბედნიეროდ, ეს გამონათქვამი ჩვენს ერზე არ ვრცელდება. ჩვენ გვაქვს ძველი, ახალი და უახლესი ფილოსოფია, რომელიც დიდად არ ჩამოუვარდება ევროპულს.

ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის სისტემური კვლევა-ძიება, მეცნიერული შესწავლა ჩვენი საუკუნის პირველივე წლებიდან იწყება და ორ ეტაპს მოიცავს. პირველი ეტაპი ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის სახელთანაა დაკავშირებული, ხოლო მეორე ეტაპი - შალვა ნუცუბიძის გამოკვლევებთან. შ. ნუცუბიძის მრავალწლიანი და მრავალმხრივი ძიება ქართული ფილოსოფიის ისტორიაში შეჯამდა ფუნდამენტური გამოკვლევის ორტომეულში „ქართული ფილოსოფიის ისტორია„ (ტომი I 1956; ტომი II 1958, თბილისი). ის მოიცავს ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიას ძველი დროიდან დაწყებული **სოლომონ დოდაშვილის** (XIX ს.) მოღვაწეობით დამთავრებული.

ძველი და შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია. ისტორიულ საქართველოში ფილოსოფიური აზრის შემსწავლელი ცენტრის არსებობის შესახებ წერილობითი წყაროები IV საუკუნიდან მოგვეპოვება. ამის შესახებ გვაუწყებენ ბერძნული წყაროები, კერძოდ ცნობილი რიტორი და ფილოსოფოსი თემისტიოსი. ამ ცნობის თანახმად IV საუკუნეში კოლხეთში არსებულა ფილოსოფიური განათლების კერა, რომელსაც ისეთი ავტორიტეტი და სახელი მოუხვეჭია, რომ ფილოსოფიური ცოდნის შესაძენად აქ სხვადასხვა ქვეყნებიდანაც კი ჩამოდიოდნენ. კოლხეთის სკოლაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ბერძნულ (პლატონი, არისტოტელე და სხვათა) ფილოსოფიურ იდეებს.

კოლხეთის რიტორიკულ სკოლასთან დაკავშირებულია IV საუკუნის გამოჩენილი მოღვაწის **ბაკურის** სახელი, რომლის შესახებაც

ცნობილ ნეოპლატონიკოსს **ლიბანიოსს** (დაახლ. 314 – 393წწ.) უთქვამს: „სულით ბრწყინავსო“. ბერძნული წყაროები ბაკურს წარმოაჩენენ არა მარტო როგორც მხედართმთავარს, არამედ როგორც ფილოსოფოსს.

შუა საუკუნეების გამოჩენილი მოაზროვნე **პეტრე იბერი,** ერის კაცობაში მურვანი (411 – 491წწ.), ქართლის სამეფო საგვარეულოს შთამომავალი იყო. 12 წლის მურვანი თავის მასწავლებელ იოანე ლაზთან და 50-მდე თანმხლებთან ერთად მძევლად გააგზავნეს კონსტანტინეპოლს საიმპერატორო კარზე. მიუხედავად იმისა რომ მან იქ დიდ წარმატებებს მიაღწია, საბოლოოდ ბერის ცხოვრება არჩია, მოგვიანებით კი მარუმის ეპისკოპოსის კათედრა დაიკავა.

პეტრე იბერის სახელით მეცნიერება კიდევ უფრო მეტად მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ნუცუბიძე – ჰონიგმანის კონცეფციის თანახმად, იგი მიჩნეული იქნა ე. წ. არეოპაგიტული წიგნების ნამდვილ ავტორად. სუკუნეების განმავლობაში აღნიშნული თხზულებები შეცდომით მიეწერებოდა I საუკუნის ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს დიონისე არეოპაგელს. შუა საუკუნეებში ამ ავტორთან დაკავშირებით ეჭვი გაჩნდა, რის გამოც დიონისე არეოპაგელი მოიხსენიებოდა როგორც „ფსევდო“ (ყალბი). მეცნიერებაში არეოპაგიტული წიგნების არაერთი სავარაუდო ავტორი იყო წამოყენებული, მაგრამ საბოლოოდ ეს თვალსაზრისები არ მართლდებოდა.

1942 წელს შალვა ნუცუბიძემ გამოაქვეყნა ნაშრომი, სადაც სათანადო არგუმენტების მოშველიებით დაასაბუთა, რომ არეოპაგიტული წიგნების ნამდვილი ავტორია პეტრე იბერი. 1952 წელს, შალვა ნუცუბიძისაგან დამოუკიდებლად, ამავე აზრამდე მივიდა ცნობილი ბელგიელი ორიენტალისტი ერნსტ ჰონიგმანი. ეს თვალსაზრისი მეცნიერებაში ნუცუბიძე – ჰონიგმანის კონცეფციის სახელითაა ცნობილი. მას თავის დროზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დღეისათვის ამ კონცეფციას ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები.

ქრისტიანობის გავრცელებასა და განმტკიცებასთან ერთად, ფართოვდებოდა ქართული სამყაროს კავშირები ქრისტიანულ ქვეყნებთან. ამ დროს, ერთი მხრივ, ადგილი აქვს ქართველთა საზღვარგარეთის ქრისტიანულ ცენტრებში გამგზავრებას და იქ საქმი-

ანობას, მეორე მხრივ, ჩვენში ქრისტიან მოღვაწეთა შემოსვლას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცნობილ „სირიელ მამათა“ მოსვლას ისტორიულ საქართველოში VI საუკუნის მეორე ნახევარში. მათ საფუძველი ჩაუყარეს აქტიურ სამონასტრო ცხოვრებას და მრავალმხრივი მოღვაწეობა გააჩაღეს. „სირიელ მამათაგან“ ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით დავით გარეჯელსა და აბიბოს ნეკრესელს.

დავით გარეჯელი ქრისტიანული ღვთისმეტყველების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მასთან ღმერთი გაგებულია, როგორც სამყაროს შემოქმედი, შემქმნელი, რომელიც ყველაფრის მიზეზი და გამგებელია. დავით გარეჯელის შემოქმედებაში შეინიშნება ანტიკური ფილოსოფიური თვალსაზრისის გავლენა, კერძოდ პლატონის მოძღვრება ამქვეყნიური სინამდვილის წარმავლობაზე.

აბიბოს ნეკრესელი, როგორც ირკვევა, კარგად იცნობდა ძველი დროის ბერძენი ფილოსოფოსის ემპედოკლეს (487 – 424წწ.) ოთხი ელემენტის (მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი) თეორიას და მას იყენებდა ქრისტიანული მსოფლმხედველობის დასაცავად. კერძოდ, სპარსელ მარზპანთან საუბრისას აბიბოს ნეკრესელი ეყრდნობა ზემოხსენებულ თვალსაზრისს და ცდილობს თეორიულად დაასაბუთოს, რომ ცეცხლი, ისე როგორც წყალი, არის მხოლოდ მასალა, რისგანაც ღმერთი ქმნის სამყაროს.

ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში მოჰყვა როგორც ორიგინალური მწერლობის განვითარება, ისე საფუძვლიანი მთარგმნელობითი საქმიანობის გააქტიურება. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და „სიბრძნე ბალაჰვარისას“ ქართული რედაქცია.

გიორგი მერჩულემ თავის ნაწარმოებში აღწერა VIII – X საუკუნეების ცნობილი ქართველი ქრისტიანი მოღვაწის – გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება და მოღვეწეობა. თხზულებაში წარმოჩენილია ავტორის ფილოსოფიური იდეებიც, კერძოდ მოცემულია მიწიერისა და ზეციერის დაპირისპირების თვალსაზრისი, სადაც გიორგი მერჩულე მიწიერთან შედარებით ზეციერს ანიჭებს უპირატესობას. გიორგი მერჩულეს ეს აზრი გავრცელებული აქვს ადამიანზეც, რო-

მელიც შედგება სულისა და სხეულისაგან. სხეული წარმავალია, ხოლო სული მარადიული და ეკუთვნის ღვთაებრივ სამყაროს.

„სიბრძნე ბალაჰვარისას“ უცნობი ავტორისათვის აზროვნების უპირველესი საკითხია ღმერთისა და ადამიანის, ზეციურისა და მიწიერის რაობის განსაზღვრა, მათი ურთიერთობის საკითხი. მისი აზრით, ღმერთი ადამიანისა და მთელი სამყაროს შემოქმედია, ხოლო ადამიანი ღვთის მიერ შექმნილი არსება და ხატია, რომელიც არცა ჰგავს შემოქმედს. ადამიანი, ღვთის მსგავსად, სულიერია, ე.ი. უკვდავი, მაგრამ, ამავე დროს, ფიზიკურად მოკვდავია.

ფართოდ გაშლილი ეკლესია-მონასტრების მშენებლობით ყალიბდებოდა ქართული სასულიერო, კულტურული და ფილოსოფიური კერები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ (ათონის ივერთა მონასტერი, შუა მთა ანტიოქიაში, პეტრიწონის მონასტერი...), სადაც სამეცნიერო და მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდნენ გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები, იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე, გიორგი მცირე და სხვები.

ქართველ სწავლულთა მეცადინეობას უკვალოდ არ ჩაუვლია. ამის საფუძველზე საქართველომ XI – XII საუკუნეებში სახელმწიფოებრივ აღმავლობასთან ერთად, კულტურის განსაკუთრებულ სიმაღლეებს მიაღწია, რაც საბოლოოდ რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შექმნით დაგვირგვინდა. ეს ქმნილება რენესანსულ ძეგლადაა მიჩნეული.

რენესანსი ფრანგული სიტყვაა და ქართულად აღორძინებას ნიშნავს, რაც გულისხმობს უკვე არსებულის აღდგენა-განახლებას. ამ აღდგენა-განახლებაში გათვალისწინებულია იმ ეპოქის თავისებურებანი, რომელშიც მიმდინარეობს ეს პროცესი. რენესანსის ცნებაში მოცემული აღდგენა-განახლების შინაარსი, უპირველესად, გულისხმობს ადამიანისადმი ანტიკური დამოკიდებულების აღდგენას – ადამიანი დაყენებულია სამყაროს ცენტრში, ამქვეყნიურ სინამდვილეს ღირებულება ენიჭება. რენესანსი ასევე გულისხმობს ქალაქური ცხოვრების განსაკუთრებულ დონეს, სახელმწიფო და სამართლებრივი ინსტიტუტების დემოკრატიულობას, რელიგიის სათანადო პოზიციას. XI – XII საუკუნეების საქართველოში ყველა პირობა იყო შექმნილი რენესანსული კულტურის ჩამოყალიბები-

სათვის. ყველაზე მნიშვნელოვნად ამ დროისათვის ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა ქართველთა მხრიდან „საფილოსოფიო მწერლობის დაწაფება“, განსაკუთრებით კი ნეოპლატონური ფილოსოფიის შეთვისება. ბერძნულ ფილოსოფიასთან ერთად ქართველებმა გაიცნეს მათი წარმართული პოეზიაც. „ერთი სიტყვით, ქართველობამ ელინური შემოქმედების ნიმუშები იგემა და დაეწაფა ცხოველმყოფელ ელინიზმს, რომლის ღრმამ და საფუძვლიანმა შესწავლამ დასავლეთ ევროპაში ეგრეთწოდებული „რენესანსი“ წარმოშვა. საქართველოში ეს მოძრაობა XII საუკუნეში დაიწყო, მაგრამ მისი დასრულება მონღოლთა შემოსვლამ შეაფერხა“ (ივანე ჯავახიშვილი).

ივანე ჯავახიშვილისაგან განსხვავებით, შალვა ნუცუბიძეს მიაჩნდა, რომ საქართველოში იყო სრულყოფილი, დასრულებული რენესანსი. შ. ნუცუბიძის აზრით, რენესანსის ერთ-ერთი მსოფლმხედველობრივი საფუძველია არეოპაგიტული მოძღვრება, სადაც ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა (ნეოპლატონიზმის სახით) „გადარგულია ქრისტიანობის საფუძველზე“. ამ გზით კი შენარჩუნებული იქნა რენესანსისათვის აუცილებელი იდეები და პრინციპები: ღმერთისა და სამყაროს ერთიანობა, ღმერთიდან (პირველმიზეზიდან) არსებათა აუცილებლობით გამომდინარეობა და შემდეგ ამავე აუცილებლობით არსებათა ღმერთშივე უკუდაბრუნება, ადამიანის გაღმერთების შესაძლებლობა, იერარქიის პრინციპი, სიკეთის აბსოლუტურობის აღიარება და ბოროტების შემთხვევითად მიჩნევა.

ქართული რენესანსის სათავეებთან დგას XI – XII საუკუნეების გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე იოანე პერტიწი. მან განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში, სადაც მისი მასწავლებელი იყო ცნობილი ბიზანტიელი ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი **იოანე იტალი.** თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იოანე იტალი მეორე ცნობილ ბიზანტიელ ფილოსოფოსთან მიქაელ ფსელოსთან ერთად ითვლება რენესანსული ყაიდის მოაზროვნედ, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ: საქართველოში დაბრუნებული იოანე პეტრიწი უკვე გამსჭვალული იყო რენესანსული მსოფლმხედველობით. ამასთან პეტრიწს საქართველოში დახვდა ნეოპლატონიზმის ათვისების ტრადიცია. ამის დასტურია ცნობილი მთარგმნელისა

და მოაზროვნის ეფრემ მცირეს მიერ ბერძნულიდან ქართულ ენაზე გადმოღებული არეოპაგიტული წიგნები. ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი იყვნენ სწორედ ის მოაზროვნეები, რომლებმაც სათავე დაუდეს ფილოსოფიური აზრის აღმავლობას საქართველოში.

ეფრემ მცირე (XI ს.) სავარაუდოდ სამცხედან უნდა ყოფილიყო, მას განათლება კონსტანტინოპოლში მიუღია, შემდეგ გადასახლებულა ანტიოქიაში შავ მთაზე და მთელი ცხოვრება იქ გაუტარებია. ძალიან დიდია ეფრემ მცირეს წვლილი ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შემოტანაში, მის ქართულ აზროვნებაში დანერგვასა და ფილოსოფიური ძეგლების თარგმნის საქმეში. უპირველესად ამ კუთხით აღსანიშნავია ეფრემ მცირეს მიერ ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი არეოპაგიტული თხზულებანი და იოანე დამასკელის „ცოდნის წყარო“.

იოანე პეტრიწი (XI – XII სს.) ქართული ფილოსოფიური აზრის გამოჩენილი წარმომადგენელია. მისი დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. როგორც უკვე აღინიშნა, იოანე პეტრიწს განათლება მიუღია კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში. აქ იოანე პეტრიწს საფუძვლიანად შეუსწავლია ბერძნული ენა, ფილოსოფია და ღვთისმეტყველება. დაახლოებით 1083 წლიდან იგი გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ დაარსებულ პეტრიწონის მონასტერში მოღვაწეობს (ბულგარეთი).

იოანე პეტრიწის მოღვაწეობის ბოლო პერიოდი გელათის აკადემიასთანაა დაკავშირებული, სადაც ის მიწვეული იქნა დავით აღმაშენებელის მიერ. აქ მან დაასრულა თავისი მრავალმხრივი მთარგმნელობითი და ორიგინალური ფილოსოფიური საქმიანობა: ბერძნულიდან ქართულად თარგმნა არისტოტელეს ორი შრომა, ნემესიოს ემესელის ეთიკური თხზულება – „ბუნებისათვის კაცისა“ და პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის პირველსაფუძვლები“. იოანე პეტრიწმა ვრცელი განმარტებები დაუთმო პროკლეს აღნიშნულ შრომას, რაც მის ორიგინალურ ფილოსოფიურ თხზულებას წარმოადგენს. სწორედ ამ განმარტებების საფუძველზე შეიძლება მსჯელობა პეტრიწის ფილოსოფიური შეხედულებების შესაფასებლად.

იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობის მთლიანობაში განხილვა

ცხადს ხდის მისი ფილოსოფიური თვალსაზრისის ნეოპლატონურ ხასიათს. პეტრიწი მიჰყვება ნეოპლატონიკოსებს, მაგრამ ის მათი პასიური მიმდევარი როდია. ერთი ამ პრობლემათაგანი, რომელიც პეტრიწს ნეოპლატონური ფილოსოფიიდან აქვს აღებული, მაგრამ მასზე თავისი ორიგინალური თვალსაზრისი აქვს ჩამოყალიბებული, არის ტრიადის საკითხი.

პეტრიწი ამოცანად ისახავს პირველი ერთის ანუ პირველმიზეზის დადგენას. ერთი რომ გავიგოთ, ამისათვის საჭიროა დავიცვათ მისი სიწმინდე. ერთი მხოლოდ მარტივი შეიძლება იყოს. ამიტომ გონება, სული, ცა შეუძლებელია იყოს ერთი, ვინაიდან ყველა ესენი რთულნი არიან, მაშინ როცა პირველი ერთი მხოლოდ მარტივი („უზადო“) შეიძლება იყოს. პირველმიზეზი (ღმერთი) თანმიმდევრობით წარმოშობს მთელ არსს, რომელიც რანგობრივად განლაგებულ საფეხურთა ერთიანობას წარმოადგენს და თითოეული მათგანის მნიშვნელობა პირველმიზეზთან სიახლოვე-დაშორებით განისაზღვრება.

იოანე პეტრიწი განიხილავს შემეცნების ორ გზას – სულის მეშვეობით და გონების მეშვეობით. სულის შემეცნება თანდათანობით მიმდინარეობს, წარმოადგენს განსჯას და შესაცნობი საგნის სხვადასხვა მხარის შედარება-განსხვავების შედეგს. ამის საპირისპიროდ გონებით შემეცნებისას უშუალოდ ხდება საგნის მოცვა. ამ დროს შემეცნების საგანი თვით გონებაშია მოცემული, ისე როგორც მზესთან ერთად მოცემულია მისი სახეები, ისე გონებასთანაა მისი შემეცნების საგანი. გონებით შემეცნება შემეცნების მაღალი დონეა და მის საგანს იერარქიულად განლაგებული არსის უმაღლესი საფეხური წარმოადგენს. გონება წინამავალია სულის და უფრო სრულყოფილია მასთან შედარებით.

პეტრიწი იზიარებს და მისდევს არისტოტელეს ცნობილ შეხედულებას არსისა და შემეცნების მიმართებაზე: ის, რაც პირველია ონტოლოგიურად (პირველადობის აზრით), უკანასკნელია გნოსეოლოგიურად (შემეცნების აზრით) და პირიქით.

არსენ იყალთოელი (XI – XII სს.) იოანე პეტრიწის თანამედროვეა და მასთან ერთად სწავლობდა კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში, შემდგომ მოღვაწეობდა ანტიოქიაში – შავ მთაზე. სა-

ქართველოში დაბრუნების შემდეგ არსენ იყალთოელი ჯერ გელათში იყო, შემდგომ კი შიო მღვიმესა და იყალთოს მონასტერში, სადაც დაარსა აკადემია. არსენ იყალთოელის ფილოსოფიურ შეხედულებებზე ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებია გამოთქმული. ერთ შემთხვევაში იგი მიჩნეულია კონსერვატული აზროვნების მოღვაწედ და ქრისტიანული ორთოდოქსიის ისეთ დამცველად, რომელიც ებრძოდა ნეოპლატონურ ფილოსოფიას (იოანე პეტრიწის სახით). მეორე შემთხვევაში, იოანე პეტრიწსა და არსენ იყალთოელს შორის ვერავითარ დაპირისპირებას ვერ ხედავენ.

არსენ იყალთოელის თხზულებათაგან ცნობილია მისი „დოგმატიკონი“, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა შრომებით შედგენილ დიდი მოცულობის კომპედიუმს (შემოკლებით გადმოცემა). მასში შესულია ანასტასია სინელის „წინამძღვარი“, იოანე დამასკელის „ცოდნის წყარო“, თეოდორე აბაკურის ტრაქტატები, რომელიც მიმართული იყო იუდაიზმის, ისლამის და სხვადასხვა ქრისტიანული ერესების წინააღმდეგ. „დოგმატიკონში“ სხვა შრომებიცაა შესული. ფილოსოფიური თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატარა ზომის ფილოსოფიურ-რელიგიური ტრაქტატი –„პირმშოისათვის“, რომელიც ცნობილ ბიზანტიელ ფილოსოფოსს მიქაელ ფსელოსს უნდა ეკუთვნოდეს.

მასში განხილულია „პირველის“ საკითხი, რაც შუა საუკუნეების აზროვნებისათვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო. საუბარი ეხება მოძღვრებას პირველსაწყისზე, ღმერთზე. თავისი შინაარსის მიხედვით, ეს ტრაქტატი იოანე პეტრიწის თვალსაზრისის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. ტრაქტატში გატარებულია ის ძირითადი აზრი, რომ შემქმნელსა (ღმერთისა) და შექმნილს (ხილული სინამდვილის არსებები) შორის უფსკრულია და მათი გაერთიანება შეუძლებელია.

ახალი დროის ქართული ფილოსოფია

XI – XII საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას დაცემის პერიოდი მოჰყვა. ეს გამოწვეული იყო დამპყრობთა მრავალრიცხოვანი შემოსევებით. ამ დროისათვის ქართველ კაცს ლამის მხოლოდ ყოფნა – არყოფნისათვის უხდებოდა ბრძოლა. ეს იყო უპირველესი მიზეზი იმისა, რომ იოანე პეტრიწის, ეფრემ მცირესა და არსენ იყალთოელის მიერ საქართველოში დამკვიდრებული ფილოსოფიური ტრადიცია ფაქტობრივად დიდი ხნის განმავლობაში აღარ გაგრძელებულა და, ბუნებრივია, აღარც განვითარებულა.

ამის მიუხედავად, საქართველოსთვის ამ მძიმე ეპოქაში, ეპიზოდურად გამოკრთის ხოლმე ფილოსოფიური აზროვნების დამადასტურებელი ელემენტები. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ასწლოვანი ისტორიის ანონიმი ავტორის, ჟამთააღმწერელის (XIV ს.) მოღვაწეობა, რომლის შემოქმედების საგანსაც საქართველოს პოლიტიკური სინამდვილის ფილოსოფიური ახსნა წარმოადგენს.

როდესაც წმინდა ფილოსოფიური საქმიანობა ჩამკვდარია, ამ დროს, არც თუ იშვიათად, ფილოსოფიური პრობლემატიკის დამუშავება შეიმჩნევა კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მიერ. საქართველოში ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის (1658 – 1725 წწ.) შემოქმედება.

ამ დიდი მოღვაწის წვლილი ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებაში უპირველესად ქართულ სააზროვნო სინამდვილეში ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შემოტანითა და მათი ახლებური გააზრებით გამოიხატება. სულხან – საბა ორბელიანის ლექსიკონში, ფილოსოფიური ტერმინების და ცნებების განმარტებისას, კარგად ჩანს ავტორის მჭიდრო კავშირი ქართული ფილოსოფიის წარსულთან. ის უხვად იყენებს მასალებს ქართველ მოაზროვნეთა (იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი) შემოქმედებიდან.

შ. ნუცუბიძე სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლს ქართული ფილოსოფიის წინაშე იმაში ხედავდა, რომ მან „ჟამთა ვითარებათა უჩინო ქმნილი“ ქართული აზროვნების ტრადიციები და ძეგლები იგავ-არა-

კებისა და ცალკე ტერმინების ახსნით ნაწილობრივ მაინც გააცოცხლა და ამით შემდეგი თაობების მიერ მათ შესწავლას შეუწყო ხელი.

შედარებით სასიკეთო შემობრუნება ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში ხდება XVIII საუკუნის დასარულსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ამ მხრივ დიდად იღვწოდნენ ანტონ ბაგრატიონი, ალექსანდრე ამილახვარი, იონა ხელაშვილი, იოანე ბატონიშვილი, სოლომონ დოდაშვილი.

ანტონ ბაგრატიონი (ანტონ I, ერისკაცობაში თეიმურაზი – 1720 – 1788 წწ.), საქართველოს კათოლიკოსი, მრავალმხრივი მოღვაწე იყო. ფილოსოფიის პოზიციიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი – „სპეკალი“, სადაც განხილულია პლატონის, არისტოტელეს, გრიგოლ ნოსელის, პროკლეს, იოანე დამასკელის, იოანე პეტრიწის და სხვათა ფილოსოფიურ – თეოლოგიური შეხედულებები.

ანტონ ბაგრატიონი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართველ მოაზროვნეთა შეხედულებებს. მაგალითად, იგი თავის „მზა მეტყველებაში“ დიდ ადგილს უთმობს რუსთაველს, პეტრიწს, ჩახრუხაძეს, სულხან-საბა ორბელიანს. ანტონ ბაგრატიონმა თარგმნა პორფირიუსის, ბაუმაისტერის, ვოლფის, ლაიბნიცის, სვიმონ ჯულფელისა და სხვათა ფილოსოფიური თხზულებანი. ამ თარგმანებს თანდართული აქვს ანტონისეული კომენტარები.

ანტონ ბაგრატიონის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მისი თავდადებული მოღვაწეობა ფილოსოფიური ტრადიციების აღდგენისათვის და, ამ მიზნით, ევროპულ აზროვნებაზე ორიენტაციის აღება.

ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში მოღვაწე ძმების, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII შვილების – **იოანე** (1778 – 1830 წწ.) და **დავით** (1756 – 1819 წწ.) **ბატონიშვილების** მეცნიერულ საქმიანობას. იოანე ბატონიშვილმა დაწერა ენციკლოპედიური ხასიათის ნაწარმოები „კალმასობა“, რომელშიც ცოდნის თითქმის ყველა დარგია წარმოდგენილი, მათ შორის ფილოსოფია. დავით ბატონიშვილი მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა, მასვე ეკუთვნის ორიგინალური ხასიათის შრომა – „შემოკლებული ფიზიკა“, რომელშიც ფილოსოფიური საკითხებიც არის განხილული.

ალექსანდრე ამილახვარს (1750 – 1802 წწ.) ეკუთვნის ნაშრომი – „ბრძენი აღმოსავლეთისა“, სადაც იგი სახელმწიფოს მოწყობის ევროპულ მოდელს უჭერს მხარს. თხზულებიდან ირკვევა, რომ ავტორი კარგად იცნობდა ფრანგი განმანათლებლების იდეებს და თანაუგრძნობდა მათ.

იოანე ხელაშვილმა (1772 – 1837 წწ.) 1812 წელს დაამთავრა პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სასულიერო აკადემია და სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა ამ ქალაქში. მას ბევრი ნაშრომი დარჩა ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში (გამოქვეყნდა მისი „34 შეკითხვის წიგნი“, თბილისი, 1967). იონა ხელაშვილი დიდ დახმარებას უწევდა პეტერბურგის ქართველობას. მისი მეცენატობით გამოქვეყნდა სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკა“.

განსახილველი პერიოდის მოაზროვნეთა შორის გამორჩეული წარმომადგენელია **სოლომონ დოდაშვილი** (1805 – 1836 წწ.). მისი პიროვნებით ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში ახალი ეპოქა იწყება. მან კარგად გაიცნო და შეისწავლა ახალი დროის ევროპული ფილოსოფია, რის საფუძველზეც დაწერა „ლოგიკის“ კურსი და რუსულ ენაზე გამოაქვეყნა პეტერბურგში (1827 წ.). ამ წიგნს დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ იმ დროის ცნობილი რუსი სწავლულები. „ლოგიკის“ კურსი თავისი შესავალით და მისი ავტორის ჩანაფიქრით ფილოსოფიის სრული კურსის შექმნის შესახებ, ნათელს ხდის, რომ ს. დოდაშვილი საფუძვლიანად იყო ნაზიარები ევროპულ მეცნიერების მიღწევებს და მან აღადგინა ფილოსოფიური აზროვნების ტრადიციები საქართველოში. აღსანიშნავია აგრეთვე ს. დოდაშვილის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ლიტერატურული მოღვაწეობა. მანვე ქართული კულტურის ფილოსოფიური ანალიზის პირველი და საინტერესო ცდა განახორციელა.

ს. დოდაშვილის „ლოგიკის“ შესავალი ნაწილიდან ირკვევა, რომ მის ავტორს ფილოსოფიის სრული კურსის შექმნაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ, ობიექტური მიზეზების გამო, ეს დიდი ჩანაფიქრი ვერ განახორციელა და მის ფილოსოფიურ შეხედულებებზე, არსებითად „ლოგიკისა“ და „ლოგიკის მეთოდოლოგიისათვის“ მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ.

ს. დოდაშვილს საფუძვლიანად აქვს გაშუქებული ფილოსოფი-

ის საგანი და მისი ამოცანა. ჭეშმარიტი ფილოსოფიის მისაღწევად, მისი აზრით, აუცილებელია ცრურწმენისაგან გათავისუფლება. შემდეგ ავტორი ადგენს ფილოსოფიის შესწავლის ობიექტს და ანსხვავებს მას კერძო მეცნიერების შესწავლის ობიექტისაგან. ფილოსოფია განსაკუთრებული მეცნიერებაა და ისეთ ცოდნას გვაძლევს, რომელსაც სხვა მეცნიერებები ვერ იძლევა.

ფილოსოფიური კვლევა-ძიების აუცილებელ პირობად ს. დოდაშვილს მიაჩნია: განყენება, შეცნობა და გაგება თავისთავისა. ამასთან, ფილოსოფიაში შემმეცნებელი პირი და შემეცნების უმთავრესი საგანი ადამიანია. სწორედ ამით განსხვავდება ფილოსოფია სხვა შემეცნებისაგან. აღნიშნულის საფუძველზე ს. დოდაშვილი ასე განმარტავს ფილოსოფიის საგანს: „ფილოსოფია არის მეცნიერება მთელი ჩვენი მოქმედების უკანასკნელი საფუძვლების შესახებ; მასში უნდა ვეძიოთ და ვიპოვოთ ჩვენი შემეცნების და მოქმედების ისეთი მიზეზები, რომელთაც შეუძლით, მეტად თუ ნაკლებად დააკმაყოფილონ ადამიანის გონება“.

ს. დოდაშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში გარდა „ლოგიკისა“ აღსანიშნავია მისი შრომები: „ლოგიკის მეთოდოლოგიისათვის“, „რიტორიკა“, „მოკლე განხილვა ქართული ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, „მოკლე ფილოსოფია, შედგენილნი ძალნი საზღვრებითნი და განყოფილებათა მისთა“.

ს. დოდაშვილი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა და ბევრი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. მისი ნაადრევი დაღუპვის მიზეზი ის იყო, რომ იგი, როგორც 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი იდეური ხელმძღვანელი, გაასამართლეს და შორეულ ვიატკაში გადაასახლეს. იქაურ მძიმე კლიმატს ს. დოდაშვილის ისედაც ავადმყოფმა ორგანიზმმა ვერ გაუძლო და გარდაიცვალა.

ქართული ფილოსოფიური აზრის მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწისა და მეცნიერის, იმერეთის ეპისკოპოსის – **გაბრიელის** – ერისკაცობაში **გერასიმე ქიქოძე** (1825 – 1896 წწ.) გამოკვლევა „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (პეტერბურგი, 1858 წ.), რომელიც დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც ითარგმნა და გამოქვეყნდა ქართულად (1993 წ.). ასევე დიდი აღიარება ჰპოვა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებმა,

რომლებიც არაერთგზის გამოიცა, ბოლოს 1990 წელს ორ ტომად. ქადაგებებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ავტორის მოსაზრებანი ადამიანის დანიშნულებაზე, სადაც ვხვდებით მეცნიერებისა და რწმენის ერთმანეთთან დაკავშირების ცდას. ქადაგებების დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი ქართულად გამოქვეყნებისთანავე, მალე ითარგმნა და გამოიცა რუსულ და ინგლისურ ენებზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ფილოსოფიური აზრის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები არიან: **ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი წერეთელი, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ანტონ ფურცელაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი.** მათგან არჩილ ჯორჯაძე და მიხაკო წერეთელი ფილოსოფოსები იყვნენ, ხოლო ვარლამ ჩერქეზიშვილის ბევრი სტატია ფილოსოფიური პრობლემატიკისადმია მიძღვნილი.

ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846 – 1925 წწ.) ქართველ ანარქისტთა ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისთვის მიუღებელი იყო პროლეტარიატის დიქტატურა, რადგანაც, მისი აზრით, ეს არ იქნებოდა უმრავლესობის ნამდვილი ბატონობა უმცირესობაზე და საბოლოოდ არ იქნებოდა მიმართული ექსპლუატაციის მოსპობისაკენ.

ვ. ჩერქეზიშვილის აზრით, არცერთი გაბატონებული კლასი, მათ შორის პროლეტარიატი, თავისი ნებით არ დათმობს თავის გაბატონებულ მდგომარეობას, გამომდინარე აქედან, არც თავისი თავის წინააღმდეგ წავა. ამიტომაც ვ. ჩერქეზიშვილი ყოველგვარი სახელმწიფო წყობის წინააღმდეგი იყო და მათ გაუქმებას მოითხოვდა. სწორედ ამის შემდეგ და ამის საფუძველზე, მისი აზრით, შეიძლება დამყარდეს თავისუფალი თემების, თავისუფალი ასოციაციების ფედერაციული კავშირი. ვ. ჩერქეზიშვილს საზოგადოების მმართველობის მხოლოდ ასეთი ფორმა მიაჩნდა მისაღებად, სადაც ადამიანს შეეძლო ნორმალურად ეცხოვრა.

არჩილ ჯორჯაძე (1872 – 1913 წწ.) ახალი დროის გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე იყო, რომელმაც, მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, მდიდარი და მრავალმხრივი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

მის სიცოცხლეშივე გამოიცა თხზულებათა ოთხი ტომი და მის მიერვე მომზადებული იყო V ტომი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ა. ჯორჯაძის ის თხზულებები, რომლებიც ქართველი ხალხის წარმოშობას, განვითარებას და რაობას ეხება. მისი შრომებიდან ცხადად მოსჩანს, რომ ის კარგად და საფუძვლიანად იცნობდა ქართველი ერის წარმოშობა-განვითარების ძირითად ტენდენციებს, რაც მას საშუალებას აძლევდა ანგარიშსაწევი პროგნოზები გაეკეთებინა ჩვენი ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით.

ა. ჯორჯაძის შემოქმედების არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეა პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელიც ეხება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, ქართველი ინტელიგენციის ისტორიას, ფილოსოფიისა და რელიგიის მიმართებას და სხვა. ფილოსოფიურ შრომებთან ერთად ა. ჯორჯაძის პუბლიცისტურმა მემკვიდრეობამ დიდი გავლენა მოახდინა XX საუკუნის დასაწყისის ქართული კრიტიკული და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე.

მიხაკო წერეთელი (1878 – 1965 წწ.). გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე, რომელმაც თავისი ცხოვრების ძირითადი ნაწილი საზღვარგარეთ გაატარა. იგი მრავალმხრივი მოღვაწე იყო (ასტროლოგი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი). მ. წერეთლის შრომების უმრავლესობა საზღვარგარეთაა გამოცემული. ჩვენში მას განსაკუთრებული აღიარება მოუტანა 1910 წელს თბილისში გამოცემულმა გამოკვლევამ „ერი და კაცობრიობა“.

„ერი და კაცობრიობა“ უმნიშვნელოვანესი სოციოლოგიური გამოკვლევაა, სადაც მკვლევარი თანმიმდევრულად იხილავს საზოგადოების არსს, კაცობრიობის ცნებას, ერისა და საზოგადოების მიმართებას, ხალხს, ერსა და სახელმწიფოს. ამ ნაშრომში კრიტიკულადაა განხილული იმდროინდელი თეორიები ერის შესახებ.

გამოკვლევის დასასრულს მ. წერეთელი აანალიზებს ქართველი ერის ცნებას, განიხილავს მას ისტორიულ განვითარებაში და დასასრულს აკეთებს დასკვნას, რომლის თანახმადაც ქართველი ერი იყო, არის და იქნება როგორც „განსაზღვრული, კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, რომელსაც ისეთივე უფლება აქვს სიცოცხლისა, როგორც ყველას, დიდსა თუ პატარას, ბრწყინვალესა თუ დაქვეითებულსა“.

XX საუკუნის ქართული ფილოსოფია

XX საუკუნის ქართველი ფილოსოფოსების მეცნიერულ კვლევას დიდი დაღი დაასვა საბჭოური რეჟიმის ზეწოლამ. ამას ისიც დაერთო, რომ ბევრი მათგანი ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მიუხედავად ამისა, მათ მაინც შეძლეს საკუთარი ფილოსოფიური შეხედულებების ჩამოყალიბება.

XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის განვითარება, ძირითადად, დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნასთან (1918 წ.), სადაც მალე ჩამოყალიბდა „პეტრიწის სახელობის ფილოსოფიური საზოგადოება"; ამას მოჰყვა შ. ნუცუბიძის ფილოსოფიური სემინარები. ყველაფერმა კი განაპირობა ქართული ფილოსოფიური აზროვნების განსაკუთრებული აღმავლობა, რაც უპირველესად დაკავშირებულია შალვა ნუცუბიძის, დიმიტრი უზნაძის, სერგი დანელიას, მოსე გოგიბერიძის, კიტა მეგრელიძის, კონსტანტინე კაპანელის, კონსტანტინე ბაქრაძისა და სავლე წერეთლის სახელებთან.

შ. ნუცუბიძეს (1888 – 1969 წწ.) დიდი აღიარება მოუტანა ჯერ კიდევ 1913 წელს რუსულად გამოქვეყნებულმა გამოკვლევამ „ბოლცანო და მეცნიერების თეორია". თბილისის უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ, შ. ნუცუბიძე, როგორც ერთ-ერთი დამაარსებელი უნივერსიტეტისა, აქტიურ ფილოსოფიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. სულ მალე თბილისში ქვეყნდება მისი სამი შრომა: „ფილოსოფიის შესავალი", „ალეთოლოგიის საფუძვლები" და „ლოგიკა", რომლებშიც ძირითადად გადმოცემულია შ. ნუცუბიძის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ძირითადი მიმართულება. „ალეთოლოგიის საფუძლებში" შ. ნუცუბიძემ შეიმუშავა საკუთარი თეორია ჭეშმარიტების პრობლემაზე (ალეთოლოგია ბერძნულად ნიშნავს მოძღვრებას ჭეშმარიტებაზე). ამ თეორიის ჩამოყალიბება განაპირობა კანტისა და კანტიანური ფილოსოფიის იმ გადაუჭრელმა პრობლემამ, რასაც ტრანსცენდენტურისა და იმანენტურის (შემეცნების ობიექტისა და შემმეცნებელი სუბიექტის) დამოკიდებულებასთან იყო დაკავშირებული. ამ დამოკიდებულებას „ჩატეხილი ხიდის" პრობლემა ეწოდება, რომლის მიხედვითაც სუბიექტი ვერა-

სოდეს გავა თავისი იმანენტური შესაძლებლობიდან და ვერ დაადგენს ტრანსცენდენტურის შესახებ ჭეშმარიტებას.

შ. ნუცუბიძის თეორიის მიხედვით, არსებობს „ჭეშმარიტება თავისთავად“, რომელიც პირობაა „ჭეშმარიტებისა ჩვენთვის“, ხოლო მეორეს მხრივ, ჩვენთვის ჭეშმარიტება თვით არის პირობა „ჭეშმარიტებისა თავისთავად“. ამით შემეცნების ობიექტი და შემმეცნებელი სუბიექტი ერთიმეორეს ემთხვევა და ჩატეხილი ხიდის პრობლემა იხსნება. ფილოსოფიაში ყოველთვის არსებობს სადაო პრობლემები, რომელზეც ერთიანი აზრის მიღება შეუძლებელია. სწორედ ასეთ საკითხს განეკუთვნება ჭეშმარიტების პრობლემა ფილოსოფიაში, რომელზეც თავისი გაბედული პოზიცია ჩამოაყალიბა იმ დროს სრულიად ახალგაზრდა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ.

შ. ნუცუბიძე რამდენიმე წლით საზღვარგარეთ მიემგზავრება, სადაც გერმანულ ენაზე აქვეყნებს ორ უმნიშვნელოვანეს გამოკვლევას: „ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა“ (1926 წ.) და „ფილოსოფია და სიბრძნე“ (1931 წ.). ამ შრომებში დიდი ინტერესით შეხვდნენ ევროპელი მეცნიერები.

მნიშვნელოვანია შ. ნუცუბიძის ღვაწლი ხელოვნების თეორიის პრობლემების დამუშავებაში, რომლებიც გადმოცემულია მის ნაშრომში – „ხელოვნების თეორია, მონისტური ესთეტიკის საფუძვლები“ (ნაწ. I, თბ. 1920 წ.). თავისი შემოქმედების მეორე პერიოდი შ. ნუცუბიძემ მთლიანად ქართული კულტურის პრობლემების კვლევა-ძიებას მიუძღვნა. ამ პერიოდში წამოაყენა მან აღმოსავლური რენესანსის თეორია, პეტრე იბერისა და ფსევდოდიონისე არეოპაგელის იდენტობის კონცეფცია და ჩამოაყალიბა ქართველოლოგიის ახალი დარგი – ქართული ფილოსოფიის ისტორია.

გამოჩენილ ქართველ ფსიქოლოგს, განწყობის თეორიის ფუძემდებელს – **დიმიტრი უზნაძეს** (1886 – 1950 წწ.) დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ფილოსოფიური აზრის გაღრმავება-განვითარებაში. მისი შრომები – „ვლ. სოლოვიოვი – მისი შემეცნების თეორია და მეტაფიზიკა“ (ჰალე, 1909 წ.), „რა არის შემეცნების თეორია?“, „ომის ფილოსოფია“ და განსაკუთრებით მონოგრაფიული გამოკვლევა – „ანრი ბერგსონი“ (თბ. 1920 წ.) უახლესი დროის ქართული ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი შენაძენია. დ. უზნაძეს ეკუთვნის აგრეთვე

გამოკვლევები: „ნ. ბარათაშვილის ლირის მოტივები„, „ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება“, „განდგომილობის პრობლემა ი. ჭავჭავაძის „განდეგილში“ და სხვა. ეს ნაშრომები, ფაქტობრივად, წარმოადგენდა ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის ფილოსოფიური პოზიციიდან განხილვის ერთ-ერთ პირველ და წარმატებულ ცდას.

ძალიან დიდი როლი ითამაშა დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიამ თანამედროვე ფილოსოფიის მნიშვნელოვანი პრობლემების ახსნის საქმეში. ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკის კანონზომიერების კვლევის შედეგები, რომელიც დიმიტრი უზნაძემ ზოგადი და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლებში ჩამოაყალიბა, დასაყრდენს იძლევა აიხსნას მრავალი ფილოსოფიური პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია, როგორც გნოსეოლოგიურ, ასევე აქსიოლოგიურ საკითხებთან. დავასახელებთ რამდენიმე საკითხს: რა ობიექტური და სუბიექტური მოტივები იწვევენ პიროვნების აქტივობას? რა არის ამ აქტივობის საზრისი, ანუ რა არის ადამიანის სიცოცხლის აზრი და ცხოვრების მიზანი? სუბიექტის აქტივობის პროცესში არაცნობიერი ფაქტორია გადამწყვეტი, თუ ცნობიერი ფაქტორი? და სხვა.

ამ პრობლემის კვლევას დიდი ყურადღება დაუთმო აწ განსვენებულმა ქართველმა ფილოსოფოსმა, პროფესორმა აპოლონ შეროზიამ, რომელიც მის ორტომეულში აისახა. ა. შეროზიას ინიციატივით და ხელმძღვანელობით თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემებზე, სადაც ცენტრალური ადგილი დაეთმო დ. უზნაძის განწყობის თეორიას. სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ მსოფლიოს გამოჩენილი ფსიქოლოგები და ფილოსოფოსები. მისი მასალები რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე დაიბეჭდა ოთხ ტომად (1978 წ.). დ. უზნაძის განწყობის თეორია უფრო ღრმა ფილოსოფიურ შესწავლას და გააზრებას საჭიროებს.

სერგი დანელიას (1887 – 1963 წწ.) სახელთანაა დაკავშირებული ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული კვლევის დაწყება საქართველოში. ამ მხრივ საყურადღებოა შრომები: „ანტიკური ფილოსოფია სოკრატემდე“ (1925 წ.), „ქსენოფონე კოლოფონელის ფილოსოფია“

(1925 წ.) და „სოკრატეს ფილოსოფია“ (1930 წ.). საფუძვლიან შრომებს წარმოადგენენ მისი გამოკვლევები ატომისტურ ფილოსოფიაზე, კანტის ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე. ს. დანელიას ეკუთვნის არისტოტელეს „პოეტიკის“ ქართული თარგმანი და მასზე დართული ვრცელი შესავალი წერილი. მანვე ქართულად თარგმნა დეკარტის „მეტაფიზიკური განაზრებანი“. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, „გამოკვლევები მსოფლიო და რუსული ლიტერატურის კლასიკაზე“ და ა. შ.

სერგი დანელიას ფილოსოფიური ნაშრომები გამოირჩევა ღრმა ანალიზით და დამაჯერებლობით. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი „სოკრატეს ფილოსოფია“. ყველასათვის ცნობილია, რომ თავად სოკრატეს წერილობით არაფერი დაუტოვებია. მის შესახებ ფილოსოფოსები მსჯელობენ მისი მოწაფეების ქსენოფანტეს, პლატონის და არისტოტელეს თხზულებების მიხედვით. სწორედ მათ შრომებშია სოკრატეს ფილოსოფიური შეხედულებები ჩამოყალიბებული, მაგრამ მათი ნააზრევი ზოგიერთ საკითხში ერთიმეორეს არ ემთხვევა. ამის გამო, ფილოსოფიის ისტორიის მკვლევარნი განსხვავებულ შეხედულებებს გამოთქვამენ სოკრატეს პიროვნებაზე და მის ფილოსოფიაზე. სერგი დანელია ღრმად აანალიზებს ყველა პოზიციას, იძლევა მათ შეფასებას და აყალიბებს საკუთარ აზრს სოკრატეს პიროვნებაზე და მის ფილოსოფიურ შეხედულებებზე. შეფასების კრიტერიუმად მას სოკრატეს ცხოვრება და მისი ბედი მიაჩნია. აქედან გამომდინარე მეცნიერი ასკვნის, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სოკრატე და როგორი იყო ის.

მოსე გოგიბერიძის (1897 – 1951 წწ.) უმნიშვნელოვანეს ფილოსოფიურ შრომებს წარმოადგენენ „აინშტაინის რელატიურობის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები“ (1924 წ.), „შემეცნების აქსიომატური დასაბამი“ (1926 წ.), „შემეცნების საგნის პრობლემა“ (1928 წ.) და სხვა. აღნიშნულ შრომებში მოსე გოგიბერიძემ შეიმუშავა საკუთარი ფილოსოფიური შეხედულება უსასრულო სამყაროს სასრულო ლოგიკური მეთოდებით შემეცნების შესახებ და მას აქსიომატური მეთოდი უწოდა. აქ მთავარი ყურადღება ეთმობა ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ყოფიერების არსის სტრუქტურის გააზრების და ადამიანის აზროვნების რაობას, რითაც მან უნდა გა-

მოხატოს ყოფიერების უსასრულობა. ამასთანავე, მ. გოგიბერიძე ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ქართული კულტურის ნიმუშების („ვეფხისტყაოსანი“, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“, ზაქარია ფალიაშვილის მუსიკის და სხვა) ფილოსოფიური ანალიზი მოგვცა.

ქართული ფილოსოფიური და სოციოლოგიური აზრის განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვის **კიტა მეგრელიძეს** (1900 – 1944 წწ.). მან, სრულიად ახალგაზრდამ, მოამზადა საფუძვლიანი გამოკვლევა – „აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები“, რომლის გამოცემაც თავის დროზე შეჩერებულ იქნა და დღის სინათლე თითქმის 30 წლის შემდეგ იხილა.

ადამიანის აზროვნების სპეციფიკის გასაგებად მან აირჩია სოციალური გარემოს ყოველმხრივი გააზრება. კ. მეგრელიძე იკვლევს არა მხოლოდ ქართული აზროვნების სოციალურ პრობლემებს, არამედ ის სწავლობს აზროვნების სოციალურ ბუნებას ფართო მნიშვნელობით. მას მიაჩნია, რომ აზროვნების შესწავლა უნდა მოხდეს კომპლექსურად. ამ მიზნით, ის ემყარება ენათმეცნიერების, ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიის, ლოგიკის, ეთნოლოგიის და სხვა მეცნიერებათა გამოკვლევებს. მისთვის კრიტიკის ობიექტია ისეთი ცალმხრივი ფილოსოფიური სისტემები, როგორიცაა ნატურალიზმი, ემპირიზმი, რაციონალიზმი, რომლებიც აზროვნებას შეისწავლიან რომელიმე კუთხით და ივიწყებენ მის მთლიანობით ბუნებას. მეგრელიძის კვლევის ძირითადი მეთოდია ისტორიზმი, რომლითაც ის ადგენს აზროვნების უწყვეტობის კავშირს მატერიალურ და სულიერ კულტურასთან მიმართებაში.

კონსტანტინე კაპანელის (1989 – 1952 წწ.) ნაშრომში „ტანჯვის იდეა და ზეკაცის პოეზია ქართულ ლიტერატურაში“ განხილულია ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას პოეზია. წიგნში „ქართული კულტურის გენეზისი“ კაპანელმა სცადა ქართული კულტურის გააზრება სოციოლოგიის პრინციპების გამოყენებით.

კ. კაპანელმა შეიმუშავა ორგანოტროპიზმის თეორია, რომელზეც დიდი გავლენა იქონია ნიცშეს მოძღვრებამ და ბიოლოგისტურმა სოციოლოგიამ. მისი მსოფლმხედველობა სიცოცხლის ფილოსოფიის ირაციონალისტურ პრინციპებზეა დამყარებული, რომელიც უარყოფს ისტორიის საზრისს. კ. კაპანელის აზრით, ისტორიას

საზრისი არ აქვს იმის გამო, რომ მას არა აქვს გონიერი მიზნისაკენ მიმართულება, არა აქვს კანონზომიერება და ამდენად ის პროგრესულიც ვერ იქნება, რასაც რაციონალიზმი პროგრესს უწოდებს, ის კ. კაპანელს რეგრესად მიაჩნია. მისი აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი სოციალური და მორალური წესები და კანონები ზღუდავენ ადამიანის სასიცოცხლო იმპულსების გამოვლენას და თავისუფლებას ართმევენ ინდივიდის შემოქმედებას. ინდივიდის და პიროვნების თავისუფლება კი მდგომარეობს მისი ბიოლოგიური იმპულსების (ბიოლოგიური სიამოვნების) შეუზღუდველ განხორციელებაში. ამიტომ იდეები ადამიანისათვის სხვა არაფერია, თუ არა ბიოლოგიური ინსტინქტების გაგრძელება არსებობისათვის ბრძოლაში. ორგანოტროპიზმის დედაარსი სწორედ იმაშია, რომ უჩვენოს კულტურისა და ცივილიზაციის უარყოფითი გავლენა ადამიანის თავისუფლებაზე. სიცოცხლის ფილოსოფიის ეს საჭირბოროტო საკითხი წარმოადგენს თანამედროვე ექსისტენციალიზმის ცენტრალურ პრობლემას.

კოტე ბაქრაძემ (1900 – 1970 წწ.) – ფილოსოფიური განათლება გერმანიაში მიიღო. ის ლექციებს ისმენდა, მოგვიანებით კი მუშაობდა გამოჩენილ ფილოსოფოსებთან: ჰუსერლთან, რიკერტთან, ჰაიდეგერთან. მისი კვლევის ძირითადი სფერო იყო ფილოსოფიის ისტორია, ლოგიკა, შემეცნების თეორია. კ. ბაქრაძეს დიდი წვლილი მიუძღვის გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ისტორიის, დიალექტიკის თეორიისა და მასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებაში. მისი შრომები – „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში“ (1920 წ.) და „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“ (1936 წ.) იმთავითვე ცხარე კამათის საგანი გახდა, შემდგომ კი კლასიკურ გამოკვლევებად იქნა მიჩნეული.

თავის ფუნდამენტურ გამოკვლევებში კოტე ბაქრაძემ საფუძვლიანად დაამუშავა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის კორიფეების კანტის, ფიხტეს, შელინგის და ჰეგელის ფილოსოფია და საკუთარი კონცეფცია შექმნა. კერძოდ, მან ჩამოაყალიბა დიალექტიკური მეთოდის მემკვიდრეობითი განვითარების იდეა, რომელიც კანტიდან იწყება და ჰეგელის დიალექტიკით მთავრდება. კ. ბაქრაძემ გააკრიტიკა ის მოაზროვნეები, რომლებიც ვერ ხედავდნენ იგი-

ვეობას გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენლებში და იზოლირებულ სისტემებად განიხილავდნენ მათ.

კოტე ბაქრაძე იყო თანამედროვე ფილოსოფიის ძირითადი მიმდინარეობების – ნეოკანტიანელობის, ფენომენოლოგიის, პრაგმატიზმის, ექსისტენციალიზმის საფუძვლიანი მკვლევარი. ამასთან ერთად, ის იყო ლოგიკის სახელმძღვანელოს ავტორი. მოღვაწეობის ბოლო წლებში კ. ბაქრაძემ გამოაქვეყნა: „ახალი ფილოსოფიის ისტორია"(1969 წ.), რომელშიც არაერთი საკითხი მეტად საინტერესოდ გაიაზრა.

დიალექტიკის თეორიის პრობლემების კვლევას დიდი ღვაწლი დასდო **სავლე წერეთელმა** (1907 – 1966 წწ.). მისი მრავალწლიანი ძიების შედეგს წარმოადგენს ფუნდამენტური გამოკვლევა – „დიალექტიკური ლოგიკა" (1970 წ.). მანამდე მან გამოაქვეყნა დიალექტიკის თეორიის პრობლემებისადმი მიძღვნილი არაერთი ნაშრომი, რომელთაგან აღსანიშნავია: „დასაბუთების საწყისი" (1963 წ.) და „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ" (1965 წ.). ს. წერეთელმა განავითარა ორიგინალური თეორია უსასრულო დასკვნის შესახებ. ამ თეორიის ძირითადი არსი შემდეგია: უსასრულო დასკვნა აზრის უმაღლესი ფორმაა, ის საპირისპირო აზრების ერთიანობაა ანუ თვითდადგენაა შინაგანი უარყოფის გზით. ეს დიალექტიკური მეთოდი წინააღმდეგობის ურთიერთობის მეთოდია, რომელზე უმაღლესიც შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია წინააღმდეგობის ერთიანობის უარყოფა. ასეთი რამ ფორმალურ ლოგიკაში გამორიცხულია, რადგან მისი ძირითადი კანონია წინააღმდეგობის შეუძლებლობა. აქ არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს საგანზე ვამტკიცოთ ორი საპირისპირო გამომრიცხავი აზრი.

პარალელურად ს. წერეთელი ინტენსიურად მუშაობდა ანტიკური ფილოსოფიის პრობლემებზე, რაც შეჯამდა მის ნაშრომში „ანტიკური ფილოსოფიის ისტორია" (1968 წ.).

XX-ის 60-იანი წლებიდან საქართველოში ინტენსიური შესწავლის საგანი ხდება ადამიანის ფილოსოფიური პრობლემები. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა **ანგია ბოჭორიშვილმა** (1902 – 1982 წწ.). მისი უშუალო ინიციატივით ფილოსოფიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილება.

ა. ბოჭორიშვილი ავტორია „ფსიქოლოგიის პრინციპული საფუძვლების“ სამტომეულისა, სადაც ფსიქოლოგიის ფილოსოფიური პრობლემებია განხილული. მანვე არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა კანტის ესთეტიკას, ჰუსერლის ფენომენოლოგიას და დასავლეთის სხვა გამოჩენილი მოაზროვნეთა შემოქმედებას.

ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის შესწავლაში შ. ნუცუბიძის ტრადიციები გააგრძელა **შალვა ხიდაშელმა** (1910 – 1994 წწ.). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წვლილი ადრეული პერიოდის (ძველი დროიდან რუსთაველის ეპოქის ჩათვლით) ქართული ფილოსოფიის საკვანძო საკითხების დამუშავებაში, რაც თავმოყრილია მის ფუნდამენტურ ნაშრომში – „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ (1988 წ.). შ. ხიდაშელის შრომები ყურადღებას იმსახურებს იმითაც, რომ მათში ადრეული პერიოდის ქართული ფილოსოფია განხილული და შეფასებულია აქსიოლოგიის პოზიციიდან.

შ. ხიდაშელმა გააღრმავა და განავითარა შ. ნუცუბიძის ქართული რენესანსის კონცეფცია, საფუძვლიანად გამოიკვლია რენესანსის ფილოსოფიური საფუძვლის საკითხი, რომელსაც მიუძღვნა სპეციალური შრომები („რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები“, „ნეოპლატონიზმის თეორია რუსთველოლოგიაში“).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართველ ფილოსოფოსთა მიღწევები ლოგიკის მეცნიერების პრობლემების დამუშავებაში, რასაც საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 50-იანი წლების საბჭოთა კავშირში სწორედ ქართველმა ლოგიკოსებმა წამოიწყეს დისკუსია ლოგიკის აქტუალურ საკითხებზე, რომლებსაც საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა. კოტე ბაქრაძესა და სავლე წერეთელთან ერთად ფორმალური, დიალექტიკური და მათემატიკური ლოგიკის პრობლემების დამუშავებაში მნიშველოვანი წვლილი შეიტანეს **გრიგოლ კალანდარიშვილმა** (1906 – 1965 წწ.**), ლევან გოკიელმა** (1901 – 1975 წწ.) და **ზურაბ მიქელაძემ** (1916 – 1993 წწ.).

თამაზ ბუაჩიძე (1930 – 2001 წწ.) – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი; საქართველოს ფილოსოფიური საზოგადოების თავმჯდომარე; ჟურნალ „მაცნეს“ ფილოსოფიის სერიის მთავარი რედაქტორი;

თ. ბუაჩიძე შესანიშნავი პედაგოგი და მოაზროვნე იყო. მისი აუდიტორია, როგორც წესი, ვერ იტევდა ლექციებზე დასწრების მსურველებს.

თ. ბუაჩიძის სამეცნიერო ინტერესების ცენტრში ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები იდგა, რასაც არაერთი მონოგრაფია მიუძღვნა („თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან"; „სიცოცხლის ფილოსოფია"). ურთულესი ფილოსოფიური პრობლემების ღრმა და ნათელი ხედვისა და დამაჯერებელი გადაწყვეტის შესანიშნავმა უნარმა თ. ბუაჩიძე დიდი ხნის წინ აქცია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან და საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერად.

ვახტანგ ერქომაიშვილი (1932 – 2001 წწ.) – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული ფილოსოფიის კათედრის გამგე, ფილოსოფიის ისტორიისა და ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემების მკვლევარი, ფილოსოფოსთა და სოციოლოგთა არაერთი თაობის აღმზრდელი. მისი ძირითადი შრომებია: „ჭეშმარიტების შესახებ ნეოპოზიტივისტურ შეხედულებათა კრიტიკა", „ჯონ სმიტის თეორია მნიშვნელობის შესახებ", „ემპირიზმი და აბსტრაქციის პრობლემა", „ენა და მეტყველება", „ადამიანის თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის პრობლემა", „ფილოსოფიის ტრაგედია", „ბედისწერის თეორია და მისი უარყოფითი შედეგები", „ადამიანი მეცნიერულ–ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში", „სამოქალაქო საზოგადოება", „კოტე ბაქრაძის ფილოსოფიური შეხედულებანი", „ერი და იდეოლოგია" და სხვა.

აღნიშნული გამოკვლევები დაწერილია შესანიშნავი ქართულით. გამოირჩევა სისადავით, პრობლემის არსისა და მისი ისტორიის ახლებური, სიღრმისეული გააზრებით.

აღსანიშნავია ვ. ერქომაიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი ლექციები ხასიათდებოდა პრობლემის სრულყოფილი გარჩევით და ანალიზის სიცხადით. მან არაერთი პიროვნება აზიარა ფილოსოფიურ მეცნიერებას და დაეხმარა მას ცხოვრების გზის არჩევაში.

მერაბ მამარდაშვილი (1930 – 1991 წწ.) – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. გარკვეული პერიოდი მუშაობდა ჟურნალ „ვოპროსი ფილოსოფიის" (მოსკოვი), ჟურნალ „პრობლემი მირა ი სოციალიზმას" (პრაღა) რედაქციებში, აგრეთვე მოსკოვის სამეცნიერო – კვლევით ინსტიტუტში.

1980 წელს მერაბ მამარდაშვილი გადმოდის თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. ოფიციალური ხელისუფლების მიერ დევნილი, შევიწროებული მოაზროვნე, რომლის წიგნებს არ ბეჭდავდნენ და ლექციების წაკითხვის ნებას არ აძლევდნენ, ვერ აიძულეს წასულიყო საზღვარგარეთ ემიგრაციაში.

საკვანძო პრობლემა, რომელიც აერთიანებს მ. მამარდაშვილის საკმაოდ მრავალმხრივ ფილოსოფიურ მოღვაწეობას, ცნობიერების, აზროვნების ფილოსოფიური პრობლემაა. ამ პრობლემის ორიგინალური ხედვის წყალობით მ. მამარდაშვილმა თავისი წვლილი შეიტანა საზოგადოდ თეორიული ფილოსოფიის, მეცნიერების მეთოდოლოგიის, ისტორიისა და სოციალური ფოლოსოფიის, კულტურისა და ადამიანის ფილოსოფიის, ესთეტიკის, ფილოსოფიის ისტორიის საკითხთა კვლევაში.

მერაბ მამარდაშვილის ძირითად ნაშრომთა ნუსხა ასეთია: „სიმბოლო და კულტურა (მეტაფიზიკური მსჯელობა ცნობიერებაზე, სიმბოლიკასა და ენაზე)“ (იერუსალიმი, 1982); „რაციონალობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები“ (თბილისი, 1984); „აზროვნების ფორმები და შინაარსი (შემეცნების ფორმათა ჰეგელისეული მოძღვრების კრიტიკა)“ (მოსკოვი, 1968).

მ. მამარდაშვილი თავის კვლევაში ძირითადად ეყრდნობა კლასიკურ ტრადიციას – განსაკუთრებით პლატონის, დეკარტის, კანტის ნააზრევს. ამ სამი ფილოსოფოსის კონცეფციათა განხილვას მან მიუძღვნა ფუნდამენტური ნაშრომები „ანტიკური ფილოსოფია“, „კარტეზიანული განაზრებანი“ და „კანტიანური ვარიაციები“.

მ. მამარდაშვილი ფილოსოფიის ურთულეს საკითხებზე ფიქრობდა, მაგრამ მისთვის ფილოსოფია ცხოვრებისაგან გაქცევის საშუალება კი არ იყო, არამედ ცხოვრების ორიენტირების ძიება. ამიტომაც თვალსაჩინო მკვლევარი სანიმუშო მოქალაქეც ბრძანდებოდა. მისმა მეცნიერულმა მოღვაწეობამ ფართო საერთაშორისო აღიარება ჰპოვა.

ნიკო ჭავჭავაძე (1923 – 1997 წწ.) – ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კო-

რესპონდენტი. 30 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახ. ფილოსოფიის ინსტიტუტს საქართველოში. მისი ხელშეწყობითა და თაოსნობით განვითარდა ფილოსოფიური ანთროპოლოგია, კულტურის ფილოსოფია, აქსიოლოგია. ნ. ჭავჭავაძის გარშემო გაერთიანდა ახალგაზრდა, პროგრესულად მოაზროვნე ფილოსოფოსთა თაობა, რომელსაც შემდგომ „ახალი ფილოსოფიური ტალღის“ სახელით მოიხსენიებდნენ არა მხოლოდ იმდროინდელ საბჭოთა სამეცნიერო წრეებში, არამედ უცხოეთშიც. ეს იყო მთელი ეპოქა, რომელმაც დატოვა „კვალი ნათელი“.

მისი ძირითადი შრომებია: „ესთეტიკის საკითხები“, „ესთეტიკური საგნის ბუნებისათვის“, „კულტურა და ღირებულებები“.

კლასიკური თანამედროვე ფილოსოფიის, ლოგიკის, ეთიკისა და ესთეტიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა და კულტურის ფილოსოფიის პრობლემების დამუშავებაში თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდათ ბოლო ხანებში გარდაცვლილ ქართველ ფილოსოფოსებს: აპოლონ შეროზიას, ზურაბ კაკაბაძეს, ალექსანდრე ფრანგიშვილს, ვაჟა გოგობერიშვილს, დავით გეგეშიძეს, არჩილ ბეგიაშვილს, ავთანდილ პოპიაშვილს, ედუარდ კოდუას და სხვებს. მათი შემოქმედების შესწავლა და ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში მათი ადგილის დადგენა, მომავლის საქმეა. ფილოსოფიის სხვადასხვა პრობლემებს სწავლობენ და დღესაც ნაყოფიერად იღწვიან ღვაწლმოსილი მეცნიერები: გურამ თევზაძე, სერგი ავალიანი, მერი ჭელიძე, ნაპო კვარაცხელია და სხვა.

დანართი

(საკითხავი მასალა)

„მოკვდი, რათა არ სცოდო“!

ნეტარი ავგუსტინე

კაცობრიობის სულიერ – გონითი გამოცდილება გვიდასტურებს, რომ სიცოცხლის ცნება სხვადასხვანაირად ესმოდათ. პირველი ბერძენი ფილოსოფოსები ბუნებას, მთელ პლასტიკურ კოსმოსს გაცოცხლებულად წარმოიდგენდნენ. მათ სწორედ სიცოცხლე მიაჩნდათ სამყაროს შინაგანი აქტივობისა და თვითმოქმედების პრინციპად. ბუნების აღმნიშვნელი სიტყვა „ფიუსის“ ხომ იმას ნიშნავს, რაც გარედან ჩარევის გარეშე, საკუთარი თავიდან აღმოცენდება და ამოიზრდება. მოგვიანებით სიცოცხლის ასეთ კოსმიურ-უნივერსალურ გაგებას „ჰილოძოიზმი“ ეწოდა.

სხვაგვარად ესმის სიცოცხლე თანამედროვე ბიოლოგიის მეცნიერებას. სიცოცხლე აქ არაცოცხალ სამყაროსთან დაპირისპირებაში მოიაზრება. ყველაზე ზოგადი განსაზღვრებით, სიცოცხლე არის ინდივიდის შინაგანი თვითაქტივობა არსებობისა და თვითგადარჩენისათვის, რაც, უპირველეს ყოვლისა, გარემოსთან ნივთიერებათა ცვლისა და გამრავლების პროცესში გამოიხატება. მაშინ, როდესაც არაცოცხალი სამყარო ინერტულია (ეს ძირითადი პრინციპი თავის დროზე ნიუტონმა ჩამოაყალიბა), სიცოცხლე თავისი ბუნებით ანტიინერტულია.

არაცოცხალ ბუნებას, ფიზიკურ სხეულთა სამყაროს, გარეგანი ინერციის პრინციპი განაგებს, ხოლო სიცოცხლეს შინაგანი თვითაქტივობის პრინციპი მართავს და განსაზღვრავს.

სიცოცხლის ასეთი განსაზღვრა სიკვდილის შესატყვის გაგებას გულისხმობს. რა არის სიკვდილი? იგი არის სიცოცხლის შეწყვეტა. ყოველი ინდივიდის არსებობა გაჩენასა და მოსპობას, დაბადებასა და გარდაცვალებას შორის არის მოქცეული. სიკვდილი არ არის რაღაც დამოუკიდებელი, თვითმყოფადი არსი, როგორც ამას ფოლკლორული ცნობიერება წარმოიდგენს. იგი სიცოცხლის განუ-

ყოფელი ნაწილია, თანაც ყველაზე მნიშვნელოვანი და დამაგვირგვინებელი ნაწილი. ამაოდ იმშვიდებენ თავს ეპიკურელები, სიკვდილი და სიცოცხლე არასდროს შეხვდებიან ერთმანეთსო. აბა, როგორ შეხვდებიან ისინი ერთმანეთს, როცა მუდამ ერთად არიან.

სულ სხვანაირად განიცდება სიკვდილი ადამიანური ცნობიერების დონეზე. საშინელებაა არა თვითონ სიკვდილი, როგორც სიცოცხლის შეწყვეტის ბიოლოგიური ფაქტი, არამედ მასზე დაფიქრება და მისი ექსისტენციალური განცდა. ადამიანები ერიდებიან სიკვდილზე საუბარს. ისინი ცხოვრების ყოველდღიურ ფუსფუსში ჩართულნი, საგულდაგულოდ ივიწყებენ და ჩქმალავენ მას.

ერთი მხრივ, სამყაროს არსზე დაფიქრება ჩვენს გაოგნებასა და გაკვირვებას იწვევს, რაც პლატონსა და არისტოტელეს ფილოსოფოსობის დასაბამად მიაჩნდათ, მეორე მხრივ, სამყაროში ადამიანის ბედზე, მის მეტაფიზიკურ მდგომარეობაზე ფიქრი სასოწარკვეთასა და იმედგაცრუებაში გვაგდებს. შეიძლება ითქვას, რომ რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნება საკუთრივ ამ გაკვირვება-სასოწარკვეთამ წარმოშვა. კანტსაც ხომ ეს ორი რამ ანცვიფრებდა: „ვარსკვლავიებით მოჭედილი ცა ჩვენს ზევით და მორალური კანონი ჩვენში“.

ფილოსოფიის თვალთახედვაში ადამიანის სიცოცხლე დიდად სამწუხარო და ტრაგიკულ გაუგებრობად გამოიყურება. შემაძრწუნებელია და თავზარდამცემი იმაზე დაფიქრება, რომ ადამიანური ინდივიდები სიკვდილისათვის იბადებიან. ადამიანი სიკვდილზე მიმართული ყოფნაა (ჰაიდეგერი). სიცოცხლე იმთავითვე სასიკვდილო სენითაა დაავადებული (კირკეგორი). ყველაზე საშინელი ის არის, რომ ამ უაზრობასა და აბსურდს, ჰეგელის სიტყვებით, ცუდ უსასრულობას, ბოლო არ უჩანს. მართლაც, სიკვდილი ადამიანის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ხდომილებაა, რომლის გარეშე ეს ცხოვრება არ ჩაითვლება დასრულებულად. ამიტომაც ითქმის: ადამიანი აღესრულაო.

მაგრამ ეს სიკვდილის მხოლოდ ერთი ასპექტია. მას შეიძლება სხვა მხრიდანაც შევხედოთ, რომელსაც მისი პოზიტიური მხარე შეიძლება ვუწოდოთ. სიკვდილის ფენომენის ამგვარ განხილვას პლატონმა ჩაუყარა საფუძველი, როცა ფილოსოფია სიკვდილისათვის მზადებად გამოაცხადა და ამით მის დიდ შემეცნებით და მორალურ

დანიშნულებაზე მიუთითა. საკუთარ იდეათა თეორიასა და აგრეთვე პითაგორელთა მოძღვრებაზე დაყრდნობით, პლატონი ქმნის გრანდიოზულ მითს სულის უკვდავებისა და მარადიულობის შესახებ.

პლატონს სიკვდილი ესმის როგორც სულის გაყრა სხეულისაგან და ამით მის უნიკალურ, შემეცნებით ღირებულებაზე მიუთითებს. „ფედონში“ იგი წერს: „ძნელად სავალ ბილიკს მივუყვებით ჩვენ ძიებისას და ვიდრე სხეულისგან არ განვძარცულვართ, ვიდრე სული არ გაჰყრია ამ ბოროტებას, მთელი სისრულით ვერასოდეს მივწვდებით მას, რასაც ვესწრაფვით, ვერასოდეს მივწვდებით ჭეშმარიტებას, ვინაიდან სული ყველაზე კარგად აზროვნებს მაშინ, როცა არაფერი ამღვრევს მას, არც სმენა, არც მზერა, არც ტკივილი, არც სიხარული, როცა იძარცვის და, შეძლებისამებრ, თავისუფლდება სხეულისაგან და თავის თავში ოდენ შთენილი მიიქცევა არსებულის ჭვრეტად“. პლატონი სხეულს სულის საპყრობილეს უწოდებს და რა უნდა იყოს სიკვდილზე უფრო დიდი სიკეთე, რომელიც ამ საპყრობილისაგან გვათავისუფლებს, იდეათა ჭეშმარიტ სამყაროს ჭვრეტად მიგვაქცევს და ამით უმაღლეს სიბრძნესა და სიკეთეს გვაზიარებს.

სიკვდილის მორალური ღირებულება და ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ ის სიცოცხლის შეზღუდვას, სასიცოცხლო ინსტინქტების ალაგმვას და მაშასადამე, გარკვეული აზრით, მის უარყოფა-გადალახვას გულისხმობს. ბუდას მოძღვრებიდან გამომდინარე, შოპენჰაუერი მას სიცოცხლის ნების უარყოფას უწოდებს. სწორედ აქ შეიძლება დავინახოთ მორალის შინაგანი კავშირი სიკვდილის ფენომენთან. მორალური შეზღუდვის გარეშე სიცოცხლე აუტანელი გახდებოდა და თვითდინებაზე მიშვებული, იგი თავის თავს მოსპობდა. სიცოცხლე ადამიანურ დონეზე იმით განსხვავდება ყველა სხვა დანარჩენისაგან, რომ მას სულიერების შარავანდედი ადგას, სულიერებისა, რომლის ბირთვს ზნეობა შეადგენს. ყველა ეთიკურ-რელიგიური მოძღვრება ამიტომაც შეიცავს ასკეზას გარკვეულ ელემენტს.

ჩვეულებრივ ადამიანები ვერ ხედავენ შინაგან კავშირს სიკვდილსა და ზნეობას შორის. ისინი, ათასგვარი საცდურით მოხიბლულნი და მოჯადოებულნი, საგულდაგულოდ ცდილობენ ზნეობის ხმის ჩახშობას და სიკვდილის დავიწყებას. სამწუხაროდ, სიკვდილის

ცნობიერებამ ამიტომაც ვერ მოახდინა ჯეროვანი ზეგავლენა ადამიანის ზნეობრივ სრულყოფაზე. მან ელემენტარული სამართლიანობაც კი ვერ დაამყარა ადამიანთა სოციალური თანაცხოვრების სფეროში. სამართლიანობა ხომ საზოგადოების შემადგენელ ინდივიდთა გარკვეულ წონასწორობასა და თანასწორობას გულისხმობს. მან ჯუნგლის კანონები სოციალურ სფეროზე გადმოიტანა და მას საბაზრო ეკონიმიკასა და თავისუფალ კონკურენციას უწოდებს.

ფილოსოფიის ერთ-ერთი დანიშნულება ისიც არის, რომ საქმეში ჩაძირულ და ცხოვრების მოწყობით გართულ ადამიანებს რომის ერთ-ერთი იმპერატორივით ხშირად შეახსენოს სიკვდილი: „მომენტო მორი“.

საკაცობრიო კულტურის მთელი გამოცდილება იმას გვკარნახობს, რომ კაცთა მოდგმის ყველაზე დიდი ქმნილება ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანია. ცივილიზაციას მხოლოდ იმდენად აქვს ღირებულება, რამდენადაც იგი ადამიანის ზნეობრივი სრულქმნის ამ დიდ მიზანს ემსახურება. ადამიანი ზნეობრივი არსებააო, ამბობენ, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: ადამიანი ზნეობრივ არსებად ყოფნის მხოლოდ შესაძლებლობაა. მას ჯერ კიდევ სინამდვილედ არ უქცევია ეს შესაძლებლობა. ადამიანმა მთელი თავისი არსებობითა და ზნეობრივი ცხოვრების წესით უნდა დაადასტუროს ამ შესაძლებლობის ნამდვილობა, რაც ამასთანავე სიკვდილ-სიცოცხლის მიღმა გასვლასა და სულიერ-გონით სამყაროში დამკვიდრების წინაპირობა იქნება.

ნაპო კვარაცხელია

„ფილოსოფოსობა სასიკვდილოდ მზადებას ნიშნავს“

ციცერონი

მთელი ამქვეყნიური სიბრძნის, მთელი ჩვენი ბჭობისა და მსჯელობის საბოლოო დანიშნულება ის გახლავთ, რომ ვისწავლოთ, რო-

გორ დავაღწიოთ თავი სიკვდილის შიშს. მართლაც, ყველა ერთხმად აღიარებს იმ აზრს, რომ ჩვენი საბოლოო მიზანი ამ შიშის დათრგუნვა და ბედნიერებაა. ჩვენი ცხოვრების გზის საბოლოო წერტილი, უკიდურესი ზღვარი არის სიკვდილი. თუკი ის თავზარს გვცემს, როგორღა შევძლებთ იმას, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ციებ – ცხელებიანივით არ ვცახცახებდეთ? უბირი კაცი გამოსავალს იმაში ეძებს, რომ ცდილობს საერთოდ არ იფიქროს სიკვდილზე, მაგრამ, სისულელეა, ასე დაივსო თვალი.

გასაკვირი არაა, რომ ამისთანა ადამიანი ხშირად ებმება მახეში. ჭირის დღესავით უფრთხის იმას, რომ თავის სახელთან არ გააიგივოს სიკვდილი. ბევრი მათგანი ამ სიტყვის გაგონებაზე ისევე ისახავს პირჯვარს, თითქოს ეშმაკის სახელისათვის მოეკრას ყური, და რაკი ანდერძში აუცილებელია სიკვდილის ხსენება, ნუ მოელით, რომ ვინმეს აზრად მოუვა მისი შედგენა, სანამ ექიმი საბოლოო განაჩენს არ გამოუტანს.

რაკი ეს სიტყვა ყურს სჭრიდა რომაელებს და მისი წარმოთქმისას რაღაც ავისმომასწავებელი ელანდებოდათ, ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ან შეერბილებინათ, ან შეეცვალათ იგი: ნაცვლად იმისა, რომ ეთქვათ „მოკვდაო“, ამბობდნენ – „სიცოცხლე დაასრულაო“ ან „სიცოცხლეს გამოესალმაო“. რაკი აქ ისმოდა „სიცოცხლე“, თუნდაც დასრულებული და გარდასული, ისინი ცოტათი მაინც ინუგეშებდნენ თავს. აქედანვე წარმოსდგებოდა ჩვენებური გამოთქმა „წერილი წაიღო“.

სიკვდილი ერთმანეთისაგან არ ასხვავებს ჯეელსა და ბებერს. ყველა ისე ემშვიდობება სიცოცხლეს, თითქოს ეს-ესაა შემოედგას ფეხი ამქვეყნად. ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ შეუძლებელია თვით ყველაზე მიხრწნილ ბერიკაცსაც კი, არ მიეცეს იმედი, ერთ ოც წელიწადს კიდევ ვიცოცხლებო.

გიჯობთ კარგად დაუკვირდეთ ყველაფერს, რაც გარს გარტყია და დაეკითხო შენსავე გამოცდილებას: შენ უფრო დიდხანს ცოცხლობ, ვიდრე საერთოდ ცოცხლობენ კაცნი. დაუკვირდი შენს ნაცნობებს და დაინახავ, რომ მათ შორის შედარებით ცოტამ მიაღწია შენს ასაკს. ჩამოწერე იმათი სია, ვინც შესძლო სახელი მოეხვეჭა ამქვეყნად და დარწმუნდები, რომ უმრავლესობა ოცდათხუთმეტ წელსაც

კი ვერ ეწია. გონება და ღვთისმოსაობა გვიწესებს, რომ ადამიანური ცხოვრების ნიმუშად იესო ქრისტეს ცხოვრებას ვთვლიდეთ, მაგრამ მან ოცდაცამეტი წლისამ დაასრულა სიცოცხლე. ყველაზე დიდი ადამიანი – ამჯერად იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი, ალექსანდრე მაკედონელი, იმავე ხნისა გარდაიცვალა. მერედა რა ვერაგია სიკვდილი, ალალივით რომ ჩამოგიქროლებს, ღმერთმა იცის საიდან და რომელი მხრიდან. რა საზარელია ეს სიკვდილი, ეს შეცხადება, მრისხანება თუ სასოწარკვეთა – რა თავზარდამცემია ეს თავსდატეხილი უბედურება. არადა საჭირო იყო ადრევე ეფიქრათ ამაზე, რადგანაც ყველაზე მძიმე კაეშანიც კი ვერ გვიფარავს მისგან. ბოლოს და ბოლოს ვისწავლოთ, როგორ შევეგებოთ მას წარბშეუხრელად.

ჩამოვაშოროთ მას იდუმალების საბურველი, დავუკვირდეთ და თანდათან გავუშინაურდეთ მას. დღესასწაულზე, განცხრომაში, ქორწილში, ლხინში, ყოველთვის ჩაგვესმოდეს ხმა, ჩვენს მწარე ხვედრს რომ მოგვაგონებს. მთელის არსებით ნურასოდეს მივეცემით შვებას და ლხენას და დრო და დრო მაინც გაგვახსენდეს, რომ ხანმოკლეა ჩვენი სიხარული და რამდენი მოულოდნელი უბედურება ემუქრება ჩვენს არსებობას. ასე იქცეოდნენ ეგვიპტელები, რომლებსაც დღესასწაულის დროს, საუცხოო საჭმელ-სასმელთან ერთად, დარბაზში შემოჰქონდათ მუმია, რათა სიკვდილი შეეხსენებინათ სტუმრებისათვის. „წარმოიდგინე, რომ უკანასკნელად გინათებს ყოველი დღე და ნეტარებად მიითვლი თითოეულ წამს, რომელსაც უკვე აღარ ელოდი“ – ჰორაციუსი.

არ ვიცით, სად გვისაფრდება სიკვდილი. მაშ, მოდით, ყველგან ველოდოთ მას. სიკვდილზე ფიქრი თავისუფლებაზე ფიქრს ნიშნავს; ვინც მიეჩვია სიკვდილს, მონობას გადაეჩვია. სიცოცხლეში არავითარი ბოროტება აღარ არსებობს მისთვის, ვინც შეიცნო, რომ სიცოცხლესთან გამოთხოვება სულაც არ არის ბოროტება. რაკინ სიკვდილი გარდაუვალია, განა სულ ერთი არ არის, როდის მოვკვდებით? ხომ სიბრიყვეა ტანჯვა-წამება იმ ქვეყნად გადასვლის გამო, სადაც აღარ არსებობს არავითარი ტანჯვა-წამება?

ჩვენს დაბადებასთან ერთად დაიბადა ჩვენთვის მთელი სამყარო და ზუსტად ასევე, მთელი სამყარო ჩვენს სიკვდილთან ერთად

მოკვდება ჩვენთვის. ამიტომაც ტირილი იმის გამო, რომ ასი წლის შემდეგ აღარ ვიქნებით, სიბრიყვეა. სიკვდილი ახალი სიცოცხლის დასაბამია, ასევე ვტიროდით, ასევე ვიტანჯებოდით და ასევე ვიძარცვავდით ჩვენს ძველ გარსს თუ სამოსელს ამ ქვეყნად მოსვლისას. არყოფნისათვის აღარც ხანგრძლივობა არსებობს და აღარც ხანმოკლეობა. არისტოტელე გადმოგვცემს, რომ მდინარე ჰიპანისის პირას ბინადრობენ პაწაწკინტელა ცხოველები, რომლებიც მხოლოდ ერთ დღეს ცოცხლობენ. ზოგი დილის 8 საათზე კვდება და ისინი ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან, ხოლო საღამოს 5 საათამდე თუ მიატანს, უკვე მიხრწნილები იხოცებიან. მერედა ვის არ მოჰგვრიდა დამცინავ ღიმილს იმის მტკიცება, თითქოს ზოგიერთი ამ ცხოველთაგანი ბედნიერი იყოს, ზოგი კი უბედური მათი სიცოცხლის ხანგრძლივობის შესაბამისად?

თქვენი სიკვდილი სამყაროსეული წესრიგის ერთი ნაწილია, ეს არის სამყაროს სიცოცხლის ნაწილი. გაჩენის დღიდანვე თქვენ ისევე იწყებთ სიკვდილს, როგორც სიცოცხლეს. და თუ თქვენ იხილეთ მხოლოდ ერთი დღე, უკვე იხილეთ ყველაფერი. ერთი დღე ყველა სხვა დღის სწორია. სიცოცხლის ხანგრძლივობა დღეგრძელობით კი არ იზომება, არამედ იმით, თუ როგორ მოიხმარეთ იგი. ზოგმა დიდხანს იცოცხლა, მაგრამ ცოტა იცხოვრა. სიცოცხლის ხანგრძლივობა თქვენი ხანდაზმულობით კი არ განისაზღვრება, არამედ თქვენივე ნებით. განა ყველაფერი არ ბარბაცებს თქვენს ირგვლივ, როდესაც წაბარბაცდებით? განა ყველაფერი თქვენთან ერთად არ ბერდება? ათასი კაცი, ათასი სხვა არსება კვდება იმავე წამს, როცა თქვენ კვდებით. რა აზრი აქვს უკან დახევას იმის წინაშე, რასაც ვერსად წაუხვალ, ვერსადად გაექცევი!

თქვენ იცით, რომ მრავალმა კაცმა სიკვდილის წყალობით დიდ უბედურებას დააღწია თავი, მაგრამ თუ გსმენიათ, რომ სიკვდილის შემდეგ უბედური ყოფილიყოს კაცი? დიდი მიამიტობაა იმის გმობა, რაც პირადად არ განგიცდიათ და არც სხვისი გამოცდილებით იცით. მაშ, რატომღა ვგმობთ ან მე და ან შენ ბედისწერას?

ყველა დღე სიკვდილისაკენ მიგვიძღვის და მხოლოდ უკანასკნელს მივყავართ მასთან.

მიშელ მონტენი „ცდები“

იგავნი სოლომონისა
(ფრაგმენტები)

- იგავები სოლომონისა, დავითის ძისა, იერუსალიმის მეფისა.
- სიბრძნისა და შეგონების გასაგებად, გონიერი ნათქვამების შესაგნებად.
- ჭკუის, სიმართლის, სამართლის და სიწრფელის შეგონების მისაღებად.
- ბრიყვთათვის გამჭრიახობის, ყრმისათვის ცოდნისა და გონიერების მისანიჭებლად.
- გაიგონოს ბრძენმა და სიბრძნე შეემატოს, მცოდნემ შეიძინოს თავგზიანობა.
- რომ მიხვდეს იგავს და ანდაზას, ბრძენთა ნათქვამებს და მათ არაკებს.
- უფლის შიში ცოდნის სათავეა. სიბრძნე და შეგონება ბრიყვებს არ უყვართ.
- თუ სიბრძნე შევიდა შენს გულში და ცოდნა ეტკბო შენს სულს,
- გონიერება დაგიფარავს და შეგნება დაგიცავს,
- რომ გიხსნას ბოროტების გზიდან, თვალმაქცი კაცისაგან,
- სწორი გზის დამტოვებელთაგან, ბნელი გზით მოარულთაგან.
- ბედნიერია ის კაცი, ვინც ჰპოვა სიბრძნე და ვინც გონიერება შეიძინა!
- რადგან მისი შეძენა სჯობს ვერცხლის შეძენას და მისი მოსავალი – ხალას ოქროს.
- მარგალიტზე უფრო ძვირფასია და შენგან სანატრელი არაფერი შეედრება მას.
- მისი გზები ნეტარების გზებია და ყოველი მისი ბილიკი სიმრთელეა.
- იგი უკვდავების ხეა მათთვის, ვინც მას მოეჭიდება. ნეტარნი არიან მისი მფლობელნი.
- უფალმა სიბრძნით დააფუძნა ქვეყანა, გონიერებით გაამტკიცა ცამყარი.
- ნუ დაუკავებ, ვინც ღირსია, კეთილ საქმეს, თუკი შეგიძლია ამის გაკეთება.
- ნუ ეტყვი შენს ახლობელს: წადი, ხვალ მოდი და მოგცემო, თუ მისაცემელი თანა გაქვს.
- ავს ნუ დაუპირებ შენს ახლობელს, როცა ის იმედიანად ცხოვრობს შენთან.
- ნურავის გაუმართავ დავას უმიზეზოდ, თუ ავი არ გაუკეთებია შენთვის.

- ნუ გშურს მოძალადისა, ნუ აირჩევ მის გზას.
- რადგან სიბილწეა უფლისათვის მზაკვრობა და ალალმართლებისკენაა მისი საიდუმლო თათბირი.
- აჰა, ექვსი რამ უფლის საძულველი, და აჰა, შვიდი სიბილწე მის თვალში:
- ამპარტავანი თვალები, ცრუ ენა, უბრალო სისხლის მღვრელი ხელები,
- ავისმზრახველი გული, საბოროტოდ მარდი ფეხები,
- ტყუილების აღმომსუნთქველი, ცრუ მოწმე და ძმათა შორის შუღლის მთესველი.
- ნეტარია კაცი, მე რომ მისმენს, ჩემს კარებთან ფხიზლობს დღენიადაგ და ჩემი კარის წყრთილებს იცავს.
- ვინაიდან ჩემმა მპოვნელმა სიცოცხლე ჰპოვა და უფლისაგან მადლს მოიხვეჭს.
- ბრძენი შვილი მამას ახარებს და უგუნური შვილი დედის დარდია.
- გონიერის ბაგეებში სიბრძნე იპოვება, ჭკუათხელის ზურგზე კი ჯოხი.
- შეგონების დამმარხველი სიცოცხლის გზას ადგას, დარიგების უკუმგდებელი გზააბნეული დაეხეტება.
- ბევრი ლაპარაკისას ცოდვა აუცდენელია, საკუთარი ბაგეების ამლაგმავი გონიერია.
- უგუნურის ხალისი ავის ქმნაშია, ხოლო გონიერი კაცისა – სიბრძნეში.
- რაც ბოროტეულს აშინებს, სწორედ ის შეემთხვევა, მართალს კი სასურველი მიეცემა.
- არავის არგებს სიმდიდრე რისხვის დღეს, სიმართლე კი იხსნის სიკვდილისაგან.
- გულწრფელებს თავისი სიმართლე იხსნის, მზაკვარნი კი თავიანთივე სიხარბით დატყვევდებიან.
- ჭკუათხელი თავის ახლობლებს აწყენინებს, გონიერი კაცი კი დადუმებულია.
- ბრიყვს თავისი გზა სწორედ ეჩვენება ბრძენი კი რჩევის გამგონეა.
- ბრიყვი წამში ამხელს თავის გაბრაზებას, გონიერი კი მალავს წყენას.
- გესლიანი ენა მახვილივით ჩხვლეტს, ბრძენკაცის ენა კი მკურნალია.
- საზრიანი კაცი ცოდნას მალავს, უმეცართა გული კი სისულელეს როშავს.
- სადარდებელი კაცის გულს აღონებს, კეთილი სიტყვა კი ახალისებს.

- მხოლოდ ამპარტავნობა წარმოშობს შუღლს, მოთათბირეებთან კი სიბრძნეა.
- ქარით მოტანილი სიმდიდრე ცოტავდება, ხელით შემგროვებელი კი აბევრებს.
- ბრძენკაცებთან მოსიარულე თავად დაბრძენდება, ბრიყვთა მეგობარი კი გაუბედურდება.
- ვინც შვილისთვის წკეპლას არ იმეტებს, მისი მტერია; ხოლო მოყვარული ჭკუას ასწავლის.
- სულელს ყველა სიტყვისა სჯერა, საზრიანი კი საკუთარ ნაბიჯს უკვირდება.
- თავისი ახლობლის მოძულე ცოდვილია, ღარიბ-ღატაკთა მწყალობელი კი ნეტარია.
- ღარიბის მჩაგვრელი თავის შემოქმედს შეურაცხყოფს, მათხოვრის მწყალობელი კი უფლის მადიდებელია.
- მშვიდი პასუხი გულიწყრომას აცხრობს, საწყენი სიტყვა კი რისხვას იწვევს.
- ქატაფშუტას არ უყვარს თავისი მამხლებელი, იგი ბრძენკაცებთან არ წავა.
- გონიერი გული ცოდნას დაეძებს, ბრიყვთა პირი კი სისულელით საზდოობს.
- უფლის მოშიშებით მცირეს ქონა უმჯობესია, ვიდრე დიდძალი განძი მოუსვენრობაში.
- უკეთესია მწვანილეული საზრდო და სიყვარული, ვიდრე ნასუქი ხარი და სიძულვილი.
- ფიცხი კაცი ცილობას ტეხს, სულგრძელი კი დავას აცხრობს.
- თათბირის გარეშე ჩანაფიქრი იფუშება, მრავალი მრჩევლის შემწეობით კი ხორციელდება.
- კაცის სიხარული მის ბაგეთა პასუხშია; რა კარგია დროულად ნათქვამი სიტყვა!
- შეგონების აბუჩად ამგდები საკუთარი თავის მოძულეა, მხილების გამგონე კი გონებას იხვეჭს.
- გულის ზრახვები კაცს ეკუთვნის, ენის პასუხი კი უფლისგან მოდის.
- კაცის ყოველი გზა სუფთაა მის თვალში, სულთა ამწონი კი უფალია.

- ყველა გულზვიადი სიბილწეა უფლის წინაშე: გჯეროდეს, დაუსჯელი ვერ გადარჩება.
- უკეთესია მცირედი, ოღონდ სიმართლით, ვიდრე დიდძალი მოგება უსამართლობით.
- კაცის გული თავის გზებს გეგმავს, მის ნაბიჯებს კი უფალი წარმართავს.
- სიბრძნის შეძენა ოქროზე უკეთესია, ჭკუის მოხვეჭა ვერცხლზე – უმჯობესი.
  მართალთა გზა-კვალი ბოროტებას გვერდს უქცევს; ვინც თავის გზას აკვირდება, თავის სულს იცავს.
- დაღუპვას წინ უსწრებს ამპარტავნება, დაცემას – ქედმაღლობა.
- ვინც თვალებს ჭუტავს, უკუღმართს ფიქრობს; ვინც ბაგეებს კუმავს, სიავისთვის მზად არის.
- წილს უბიდან ყრიან, მაგრამ ყოველი განაჩენი უფლისგან მოდის.
- ერთი ლუკმა ხმელი პური სიმშვიდეში უკეთესია, ვიდრე საკლავით სავსე სახლი უთანხმოებაში.
- მოხუცთა გვირგვინი შვილთა შვილებია, შვილთა დიდება კი მათი მამებია.
- დანაშაულის დამვიწყებელი სიყვარულის მძებნელია, ამბის შემხსენებელი კი მეგობარს იშორებს.
- გონიერზე დატუქსვა უფრო სჭრის, ვიდრე უმეცარზე ასი დარტყმა.
- სიკეთის წილ ბოროტის მიმგებს სახლში უბედურება არ გამოელევა.
- ბოროტეულის გამამართლებელი და მართლის გამამტყუნებელი – ორივე სიბილწეა უფლის თვალში.
- ამ ფულს რა უნდა უმეცრის ხელში? სიბრძნის შესაძენად ხომ ჭკუა არა აქვს?
- ბრიყვი შვილი მშობლის სადარდებელია და ვერც უკუღმართის მამა გაიხარებს.
- ბრიყვი შვილი მამის დარდია და დედის ნაღველი.
- მცოდნე კაცი სიტყვაძუნწია და გონების კაცი დიდსულოვანია.
- მდუმარე სულელიც კი ბრძნად ითვლება, ხოლო პირმოკუმული – ჭკვიანად.
- თავკერძა კაცი თავის გულისთქმას არის აყოლილი და ყოველგვარი სიბრძნის წინააღმდეგ ჯანყდება.

- ბრიყვი ცოდნას არ ესწრაფვის, საკუთარი ფიქრის გამხელა სურს.
- ბოროტეულს სიძულვილი მოყვება, ლანძღვა-გინებას კი – სირცხვილი. მოუთმენლად პასუხის გაცემა სიბრიყვეა და სირცხვილი.
- ზარმაცს უბეში აქვს ხელი ჩამალული და პირთან მიტანა ეზარება.
- ჭორიკანა კაცი საიდუმლოს გამტეხია, პირმორღვეულს ახლოს ნუ გაეკარები.
- დედ-მამის მაგინებელს უკუნეთ ღამეში ჩაუქრება ლამპარი.
- ნუ იტყვი, ბოროტებას სანაცვლოს მივაგებო, უფალს მიენდე და ის გიშველის.
- ვინ იტყვის: სუფთა გული მაქვს და ცოდვისაგან განვიწმიდეო?
- ჭაბუკთა დიდება მათი ჯანია, მოხუცთა პატივი კი – ჭაღარა.
- ქედმაღლობა და დიდგულობა – ბოროტეულთა ლამპარი – ცოდვაა.
- მუყაითის ზრახვები სიუხვეს აჩენს, ხოლო მოჩქარისა – სიდუხჭირეს.
- ვინც ღატაკთა კვნესის წამყრუებელია, თავადაც იყვირებს, მაგრამ არ იქნება შეწყნარებული.
- რჩეული სახელი დიდძალ ქონებაზე უკეთესია, კეთილი მადლი კი – ვერცხლზე და ოქროზე.
- გონიერი ხედავს ბოროტებას და თავს არიდებს, სულელნი კი ჯიქურ მიდიან და ისჯებიან.
- ყმაწვილი მისი გზის დასაწყისშივე გაწვრთენი და სიბერეშიც კი არ გადაუხვევს მას.
- კურთხეული იქნება გულმოწყალე, რადგან ღარიბს თავისი პურიდან გაიკითხავს.
- ღარიბს ნუ წაართმევ, რადგან ღარიბია იგი; ბეჩავს კარიბჭესთან ნუ დაჩაგრავ.
- დიდკაცთან პურის საჭმელად რომ დაჯდები, დაკვირვებით იყავი:
- ყელზე დანა მიიბჯინე, თუ მსუნაგი ხარ.
- ნუ ინდომებ მის ნუგბარ საჭმელებს, მაცდური პურია იგი.
- რადგან როგორც იქცევა, ისე არ ფიქრობს; ჭამე და სვიო, გეუბნება, მაგრამ შენთან არ არის მისი გული.
- შეჭმულ ლუკმას უკან ამოანთხევ და მადლობის სიტყვებს ფუჭად დახარჯავ.
- ბრიყვს ყურში ნურაფერს ეტყვი, რადგან მას სძულს შენი გონივრული სიტყვები.

- ნუ შეცვლი ძველ მიჯნას და ობლების ყანაში ნუ შეხვალ;
- რადგან ძლიერია მათი მფარველი, ის დაიცავს მათ საქმეს შენს წინააღმდეგ.
- ნუ ხარობ შენი მტრის დაცემით და მისი წაბორძიკებით ნუ ილხენს შენი გული.
- ნუ იტყვი როგორც მომექცა, ისე მოვექცევიო, თავისი საქმისაებრ მივაგებო.
- თუ თაფლი იპოვე, იმდენი ჭამე, რამდენიც შეგერგება, რომ არ გატყვრე და უკან არ ამოანთხიო.
- მეზობლის სახლში ხშირად ნუ ივლი, რომ არ მობეზრდე და არ შეგიძულოს.
- თუ შენი მტერი მშიერია, პური აჭამე; თუ სწყურია, წყალი ასვი.
- რაღა უგალავნო ქალაქი და რაღა კაცი, რომელიც თავის თავს ვერ პატრონობს.
- ბრიყვს მისი სირეგვენისებრ ნუ უპასუხებ, რომ თავად მისი მსგავსი არ გახდე.
- რაღა ძაღლის ყურებში ჩაფრენილი კაცი და რაღა სხვის კამათში ჩარეული.
- ორმოს გამთხრელი შიგ თვითონ ჩავარდება, ქვა მის მსროლელს დაუბრუნდება.
- სხვამ შეგაქოს და არა შენმა პირმა, უცხომ დ არა შენმა ბაგეებმა.
- მეგობრისგან ჭრილობა ერთგულების ნიშანია, მტერი კი კოცნით აგავსებს.

ეკლესიასტე

თავი პირველი

1. სიტყვანი ეკლესიასტესი, ძისა დავითისა, იერუსალიმის მეფისა.ამაოება ამაოებათა, თქვა ეკლესიასტემ, ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა.
2. ადამიანს რას ჰმატებს შრომა, რომელსაც იგი მზის ქვეშ ეწევა?
3. თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე.
4. აღმოსდგება მზე და ჩადის იგი, უბრუნდება თავის ადგილს და კვლავ იქიდან ამობრწყინდება.
5. სამხრეთისაკენ მიჰქრის ქარი, გაბრუნდება ჩრდილოეთისკენ; ბრუნავს, ბრუნავს, მიჰქრის ქარი და უბრუნდება ისევ თავის წრეს.ყველა მდინარე ზღვებისაკენ მიედინება, ზღვა კი მაინც არ აღივსება; მდინარენი საითკენაც მიედინებოდნენ, კვლავაც იქითკენ მიედინებიან.
6. უძლურია ყოველი სიტყვა, არ ძალუძს კაცს ყოველივეს თქმა; თვალი ხედვით ვერ გაძღება, ყური სმენით ვერ აღივსება.
7. რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი.
8. ნახავენ რასმე და იტყვიან: აჰა, ახალი. ესეც ყოფილა ჩვენს წინარე საუკუნეში.
9. არ დარჩენილა ხსოვნა იმათი, ვინც წინათ იყო; და მომდევნოთაც, ვინც იქნებიან, არ გაიხსენებს მათი მომყოლი.
10. მე, ეკლესიასტე, მეფე ვიყავ ისრაელისა იერუსალიმში.
11. ვიწყე კვლევა გულმოდგინებით, გონებით განსჯა ყოველივესი, რაიც მომხდარა ცისქვეშეთში; ეს მძიმე საქმე მიუჩინა უფალმა ადამის ძეთ სატანჯველად.
12. განვიცადე ყოველი საქმე, რაც კი მომხდარა მზისქვეშეთში; და აჰა, ვცანი – ამაო არის ყველაფერი და ქარის დევნა.
13. გამრუდებულს ვეღარ გამართავ, ხოლო ნაკლულს ვეღარაფრით ვეღარ შეავსებ.
14. ვუთხარი ჩემს თავს: აჰა, მოვიპოვე და განვიმრავლე ცოდნა ყოველთა უპირატესად, ვინც არსებულა ჩემს უწინარეს იერუსალიმში, და ეზიარა გონება ჩემი განუზომელ სიბრძნეს და ცოდნას.
15. როცა მივაპყარ გულისყური, შევიცან სიბრძნე, მეცნიერება, უმეცრება და სისულელე, მივხვდი – ამასაც არა აქვს აზრი.

16. რადგან, როცა დიდია სიბრძნე, დარდიც დიდია; მრავლის შეცნობა ადამიანს წუხილს უმრავლებს.

თავი მეორე

1. ვუთხარი ჩემს თავს: მოდი, გამოვცდი მხიარულებას და მივეცემი სიამეთა – და, აჰა, ესეც ამაოება ყოფილა მხოლოდ.
2. მივხვდი, გართობა ფუჭი საქმეა; მხიარულება რის მაქნისია?
3. ვიფიქრე, ღვინით დამებანგა ჩემი სხეული, ხოლო გონებას სიბრძნით ეფხიზლა; დავდგომოდი გზას სიბრიყვისას, ვიდრე ვნახავდი, რა სიკეთეა კაცთათვის მასში, რასაც იქმნიან ცისქვეშეთში, სანამ ცოცხლობენ.
4. დიდი საქმე ჩავიდინე, ავიგე სახლნი, ჩავყარე ვაზი,
5. გავიშენე ჩემთვის ბაღები და წალკოტები, დავრგე ხეხილი ყოველგვარი,
6. წყალსატევები მოვაწყვე, რომ მოერწყათ ნორჩი ტევრები,
7. შევიძინე მონა-მხევალნი, და მრავლად მესხნენ სახლში სახლეულნი; მყავდა ცხვარ-ძროხა იმათზე მეტი, ვისაც ჩემს უწინ უმეფია იერუსალიმში.
8. დავაგროვე ოქრო და ვერცხლი, მეფეთა განძი ყოველი მხარის; გავიჩინე მგალობელნი, კაცნი და ქალნი, და სიამენი ხორციელნი, ულამაზეს ხარჭათა დასი.
9. განვიდიდე და გავმდიდრდი უმეტეს მათსა, ვინც ჩემს წინარე არსებულა იერუსალიმს; და სიბრძნე ჩემი მევე მეყუდნა.
10. არ უარვყავი არაფერი, რაც კი მომთხოვეს ჩემმა თვალებმა, არ დავაოკე გული ჩემი სიხარულისგან, რადგან ხარობდა ჩემი გული ჩემი ნაღვაწით. ეს ყოველივე იყო ხვედრი ჩემი შრომისა.
11. მერმე, როდესაც გადავხედე ყოველივეს, რაც კი შექმნა ჩემმა მარჯვენამ, და ყოველ საქმეს, ჩემს ნამოქმედარს, მივხვდი, ამაო რომ ყოფილა ეს ყველაფერი, ქარისნაბერი, და რომ არ არის სარგებელი ამ მზისქვესეთში.
12. რადგან რაღა ქმნას ადამიანმა, რომელიც მოვა შემდგომ მეფისა, რომელსაც უკვე ყველაფერი უქმნია ქვეყნად?
13. ოდეს ვიკვლიე, რა არის სიბრძნე ანუ სიბრიყვე და უმეცრება, ვნახე, რომ სიბრძნე სიბრიყვეზე უპირატესობს, ისევე როგორც ნათელი ბნელზე.

14. ბრძენი კაცი გონებითა ჭვრეტს, უგუნური კი ბნელში დავალს. და ვუწყი, მაინც მოწევნადი ერთი აქვს ყველას.
15. გულს ვუთხარ მაშინ: მეც უგუნურის ბედი მეწევა; მაშ, რადღა ვიყავ მე სხვაზე ბრძენი? და გულსავე ვუთხარ: ამაოება ყოფილა ესეც.
16. მარადიულად არ ეხსომებათ არც ბრძენკაცი, არც უგუნური; გაივლის ჟამი, ყველაფერი დაივიწყება. ვაგლახ, რომ კვდება ბრძენი კაცი უგუნურივით!
17. და შევიძულე მე ეს ცხოვრება, რადგან მემწარა ყველაფერი, რაც მზის ქვეშ ხდება, რადგან ყოველი ამაოა, ქარების დევნა.
18. და მოვიძულე ყოველივე ნაღვაწი ჩემი, რაც მიღვაწია ამ მზისქვეშეთში, და რაც სხვას უნდა დავუტოვო, ჩემს შემდგომ მოსულს.
19. არავინ უწყის, ვის შეხვდება ჩემი ნაღვაწი, ბრძენს თუ უგუნურს, რაიც სიბრძნით მომიღვაწია ამ მზისქვეშეთში? აჰა, კიდევ ამაოება.
20. და წარვუხოცე იმედი ჩემს თავს, რომ აღარაფერს მოველოდე იმ ღვაწლისაგან, რაც მზისქვეშეთში გამიწევია.
21. ნახავ კაცს, იღწვის, არ იშურებს სიბრძნეს და ცოდნას, მაგრამ ნაღვაწი სხვას ხვდება წილად, ვისაც არასდროს უღვაწნია ამ საქმისათვის. ამაოება არის ესეც და უდიდესი ბოროტება.
22. მაშ, რაღა რჩება ადამიანს შრომისა და ზრუნვის შედეგად, რომელსაც იგი მზის ქვეშ ეწევა?
23. დღენი მისნი სატანჯველია, საზრუნავი მისი – წუხილი, ღამითაც არ ისვენებს, შფოთავს გული. აჰა, კვლავ ამაოება.
24. კაცისათვის არაფერია იმაზე კარგი, რომ ჭამოს, სვას და დატკბეს თავისი ნაღვაწით. ეს გამოვცადე, რადგან ესეც ღმერთის ხელთაა.
25. ვინ ჭამს ანუ სვამს, ან განცხრომას ვინ მიეცემა მის გარეშე?
26. ვისაც ის ითნევს, მას მიანიჭებს სიბრძნეს ცოდნასა და სიხარულს; ხოლო ცოდვილს კი მოხვეჭისათვის საზრუნავს უჩენს, რათა ღვთის სათნოს დაუტოვოს ეს მონაგარი. ამაოება არის ესეც და ქარის დევნა.

თავი მესამე

1. ყოველივეს თავის დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში.
2. ჟამი შობისა და ჟამი სიკვდილისა; ჟამი დანერგვისა და ჟამი დანერგულის აღმოფხვრისა.
3. ჟამი მოკვდინებისა და ჟამი განკურნებისა; ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა.
4. ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა; ჟამი გლოვისა და ჟამი ლხინისა.
5. ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა; ჟამი მიჯნურთა პაემანისა და ჟამი მათი გაყრისა.
6. ჟამი პოვნისა და ჟამი დაკარგვისა; ჟამი შენახვისა და ჟამი გაფლანგვისა.
7. ჟამი დარღვევისა და ჟამი შეკერვისა; ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა.
8. ჟამი სიყვარულისა და ჟამი სიძულვილისა; ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა.
9. რას არგებს მაშვრალს შრომა მისი?
10. კიდევაც ვნახე საზრუნავი, რომელიც ღმერთმა მიუჩინა ადამის ძეთ მათ სატანჯველად.
11. მან ყველაფერი კეთილად შექმნა თავის დროისთვის, თვით იდუმალის შეცნობად აღძრა გონება კაცთა, ოღონდ ისე, რომ ვერ გაუგონ ღვთის ნამოქმედარს თავი და ბოლო.
12. ვუწყი, რადგან არაფერია კაცისათვის იმაზე კარგი, რომ გაიხაროს და ქმნას სიკეთე, ვიდრეღა ცოცხლობს.
13. თუ კაცსა ვისმე არ აკლდება სასმელ-საჭმელი და შრომისა წილ სიკეთეს ჰპოვებს, ეს მადლია, ღვთის ნაბოძები.
14. ვუწყი ისიც, რომ ყოველივე, ღვთის მიერ ქმნილი, იარსებებს უკუნისამდე; არც დამატება სჭირდება რამის, არც გამოკლება. ასე ქმნა ღმერთმა, მის წინაშე შიში რომ ჰქონდეთ.
15. რაიც ყოფილა, უკვე არის დიდი ხანია; და რაც იქნება, ის უკვე იყო. და აწ გარდასულს მხოლოდ ღმერთი გამოიძიებს.
16. კიდევ ვიხილე მზისქვეშეთში: განსჯის ადგილი დაეჭირა უკანონობას, მართლის ადგილი მტყუან კაცს ეპყრა.
17. მაშინ ვთქვი გულში: ღმერთი განსჯის მართალს და მტყუანს, როცა ყველაფერს და ყოველ საქმეს დაუდგება იქ თავის ჟამი.
18. და ვთქვი ჩემს გულში: ასე გამოცდის თურმე ღმერთი ადამის ძეთა, რათა დარწმუნდნენ, რომ თავისთავად პირუტყვები არიან მხოლოდ.

19. რადგან კაცის და პირუტყვის ხვედრი ერთია – ერთის სიკვდილი მეორისას ჰგავს და ყველას ერთი სული უდგას, კაცი პირუტყვზე ვერაფრით ვერ უპირატესობს, რადგან ყველაფერი ამაოა.
20. ყოველივე ერთ ადგილს მივა; ყველაფერი მიწისგანაა და ყველაფერი მიწად იქცევა.
21. რომელი იტყვის, რომ კაცთა სული ზევით მიილტვის, ხოლო პირუტყვის ქვევით ჩადის, ქვესკნელისკენ?
22. ვხედავ, კაცთათვის სხვა სიკეთე რომ არ ყოფილა, თუ არ იხარა თავის ნაღვაწით, რადგან ესაა მისი წილი ამ მზისქვეშეთში, ვინ დაანახვებს, რა მოხდება შემდგომად მისა?

თავი მეოთხე

1. კვლავაც ვხედავდი ძალადობას, რაც კი ხდებოდა ამ მზისქვეშეთში: აჰა,იღვრება ჩაგრულთა ცრემლი და მათ არავინ არ ანუგეშებს; მჩაგვრელთა ხელშია ძალა, არავინა ჰყავთ ნუგეშისმცემელი.
2. უფრო ბედნიერად შევრაცხე დიდი ხნის მკვდარნი მათზე, ვინც ჯერაც ცოცხლობენ კიდევ.
3. და ორთავეზე ბედნიერი მაინც ის არის, ვინც ჯერაც არ დაბადებულა და არ უხილავს ბოროტება, რაც მზის ქვეშ ხდება.
4. ისიცა ვნახე, რომ სიბეჯითე ყველა საქმეში მხოლოდ ერთურთის შურით არის გამოწვეული. ამაოება ყოფილა ესეც და ქარის დევნა.
5. ბრიყვს გულზე ხელი დაუკრეფია და თავის ხორცს ჭამს.
6. ერთი პეშვი სიმშვიდე სჯობს მთელ კალთა გარჯას და ფუჭ საზრუნავს.
7. კიდევ და კიდევ განვიცადე ამაოება ამ მზისქვეშეთში:
8. არსებობს კაცი მარტოხელა, არ ჰყავს არავინ, არც ძმა, არც შვილი, ხოლო მის შრომას ბოლო არ უჩანს და ვერ გაძღება მისი თვალი დოვლათის ხილვით. ვისთვისღა ვშრომობ და სიამეს რისთვის ვაკლებდი? ამაოება არის ესეც და ფუჭი საქმე.
9. მარტო ყოფნას სჯობს ორნი იყვნენ, რადგან კეთილად მიეზღვებათ მათ საშრომელში.
10. თუ დაეცნენ, ერთი მაინც წამოაყენებს თავის ამხანაგს. მაგრამ ვაი, მარტომყოფს, თუ დაეცა ვინღა უშველის?
11. თუ ორნი დაწვნენ, გათბებიან; მარტომყოფს კი რაღა გაათბობს!

12. თუ ერთს დასძლევს ვინმე, ორი ხომ გაუმკლავდება. მალე არ გაწყდება სამმაგი ძაფი.
13. ღატაკი, მაგრამ ბრძენი ყმაწვილი სჯობს მოხუცებულ და ბრიყვ მეფეს, რომელიც უკვე ვერას ისწავლის.
14. რადგან იგი საპყრობილედანაც გამოვა მეფედ, თუნდაც თავის სამეფოში უპოვრად იშვას.
15. ვიხილე: ყოველ მკვიდრს მზისქვეშეთში ყმაწვილი ახლავს, ეს მისი სხვაა, მის ნაცვლად დადგება.
16. არ უჩანს დასასრული ხალხს, ვინც მათ უწინარეს იყო, და არც შემდგომნი მოინატრებენ მათ. რადგან ესეც ამაოებაა და ქარის დევნა.
17. ფეხს ნუ აუჩქარებ ღვთის სახლისკენ მიმავალი; გაფრთხილდი, მსხვერპლი უგუნურთა მსგავსად არ შესწირო, რადგან არ უწყიან უკეთურებას რომ სჩადიან.

თავი მეხუთე

1. ნუ გისწრებს ენა და გული შენი ნუ გაჩქარის სიტყვის წარმოთქმას ღვთის წინაშე, რადგან ღმერთი ცაშია, შენ კი – მიწაზე. ამიტომ იკმარე ცოტა სიტყვები.
2. როგორც მრავლადაა სიზმარში ამბები, ისე მრავლსიტყვაა უგუნურის ნაუბარი.
3. თუ ღმერთს აღთქმას მისცემ, ნუ დააყოვნებ მის აღსრულებას, რადგან უპირონი არად ვარგანან. რასაც აღუთქვამ, აღუსრულე.
4. სჯობს არ აღუთქვა, ვიდრე აღთქმული არ აღუსრულო.
5. ნუ ათქმევინებ შენს ბაგეებს ისეთ სიტყვას, რომ ცოდვაში ჩაიგდო თავი; ნურც იმართლებ თავს ანგელოსის წინაშე, შევცდიო. რად უნდა განრისხდეს ღმერთი შენს ხმაზე და დაღუპოს შენი ხელით ქმნილი?
6. რადგან ბევრს სიზმრებს ბევრი ამაო სიტყვა ახლავს; შენ კი ღვთისა გეშინოდეს.
7. თუ სადმე ქვეყნად იხილავ ღატაკთა შევიწოებას და სამართლისა და ჭეშმარიტების შერყვნას, ნუ გაიკვირებ, რადგან მაღალს უთვალთვალებს მასზე მაღალი; ხოლო მათ ზემოთ კიდევ არის უფრო მაღალი.
8. უკეთესია ის ქვეყანა, სადაც მეფე ქვეყნისთვის იღწვის.
9. ფულის მოყვარული ფულით ვერ გაძღება, და არც სიმდიდრის მოყვარული თავის შემოსავლით. ესეც ამაოებაა.

10. ბევრ დოვლათს ბევრი მჭამელი ჰყავს; რაღა დარჩება პატრონს მისას? მხოლოდ ყურება.
11. ტკბილია ძილი მშრომელი კაცის, გინდ ცოტა ჭამოს, გინდა ბევრი; ხოლო სიმაძღრე ძილს უფრთხობს მდიდარს.
12. არის, მიხილავს მტანჯველი ბოროტება ამ მზისქვეშეთში: პატრონის საზიანოდ დამარხული სიმდიდრე.
13. დაიკარგება ეს სიმდიდრე უბედური შემთხვევის გამო და შვილი მისი ხელცარიელი დარჩება;
14. ისევ შიშველი გაბრუნდება, როგორც მოვიდა დედის მუცლიდან და ვეღარაფერს მოიხვეჭს შრომით.
15. ესეც მტანჯველი ბოროტებაა: როგორც მოვიდა, ისე რომ წავა. რა სიკეთეა, ფუჭად რომ შრომობს?
16. თან თავის დღეებს ბნელში ამოჭამს, დარდით, ტკივილით გულგასენილი.
17. აი, სად ვხედავ მე სიკეთეს, შესაფერ საქმეს: ჭამოს კაცმა, სვას და იხაროს თავისი ღვაწლით ამ მზისქვეშეთში დღენი მისნი, ღმერთმა რომ მისცა; რადგან ესაა მისი ხვედრი.
18. კაცს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შნოსაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით; ეს ყველაფერი ღვთის წყალობაა.
19. და რაკი ბევრს ვეღარაფერს გაიხსენებს კაცი თავის სიცოცხლეში, ღმერთი მისცემს მას გულის სიხარულს.

თავი მეექვსე

1. არის ბოროტება, რომელიც ვიხილე მზისქვეშეთში და მძიმეა იგი კაცთათვის.
2. მისცემს კაცს ღმერთი ქონებას, სიმდიდრეს და დიდებას, და აჰა, ყველაფერი აქვს, რაც კი ინატრა, მაგრამ ღმერთი არ მოახმარებს და სხვა, უცხო ვინმე, მოიხმარს. ამაოება არის ეს და უბედურება.
3. კიდევ რომ შვას კაცმა ასი შვილი და იცოცხლოს მრავალი წელი, მაგრამ ვერ იგემოს სიამე და საფლავიც აღარ ეღირსოს, ვიტყვი, უჯობდა დედის მუცელს მოწყვეტილიყო.
4. ფუჭად რომ მოვიდა და ბნელში წავიდა, ბნელში რომ დაინთქა სახელი მისი;
5. ვისაც მზე არ უნახავს და არც გაუგია, იმ კაცზე უფრო მოსვენებულია.

6. თუნდაც იცოცხლოს ორი ათას წელს და ვერაფერი სიკეთე ნახოს, რა ბედენაა, მაინც ყველა ერთ ადგილს მივა.
7. ადამიანის ყოველი შრომა პირისთვისაა, მაგრამ სულ არ აღივსება.
8. რადგან რა უპირატესობა აქვს ბრძენს უგუნურზე? ან და ღატაკს, რომელმაც იცის, როგორ გაუძლოს ცხოვრებას?
9. სჯობს თვალით ნახო, ვიდრე გულს აჰყვე – ამაოება არის ესეც და ქარის დევნა.
10. რაც კი არსებობს, ყოველივეს დიდი ხანია სახელი ჰქვია; არ არის კაცი, ესეც ცნობილია: ძლიერთან დავა კაცს არ შეუძლია.
11. ბევრი რამეა, ამაოებას რომ ამრავლებს; რა უპირატესობა აქვს კაცს?
12. რადგან ვინ უწყის, რა არის კარგი კაცისათვის მის ამაო წუთისოფელში, რომელსაც აჩრდილივით ატარებს? ვინ აუწყებს კაცს, რა მოხდება მის შემდეგ მზის ქვეშ.

თავი მეშვიდე

1. კარგი სახელი სჯობს ძვირფას ნელსაცხებელს, დღე სიკვდილისა – გაჩენის დღეს.
2. ტირილში წასვლა სჯობს ლხინში წასვლას, რადგან იქ არის ბოლო კაცისა; ცოცხალმა კაცმა ეს ყურად იღოს.
3. მწუხარება სჯობს სიცილს, რადგან სახის დაღვრემისას კეთილია გული.
4. ბრძენთა ფიქრები გლოვის სახლშია, უგუნურთა ფიქრები – მხიარულების სახლში.
5. სჯობს ბრძენისაგან კიცხვას ისმენდე, ვიდრე ბრიყვისაგან ქება-დიდებას.
6. რადგან ბრიყვთა სიცილი ქვაბის ქვეშ ფიჩხის ტკაცუნს ჰგავს; ამაოებაა ეს.
7. გაჭირვება ბრძენს გამოაჩენს, ხოლო ქრთამი რყვნის გულს კაცისას.
8. საქმის ბოლო სჯობს მის დასაწყისს; სულგრძელი კაცი სჯობს ამპარტავანს.
9. გულისწყრომად ნუ იჩქარი, რადგან გულისწყრომა უგუნურთა მკერდში ბუდობს.
10. ნუ იტყვი: წარსული დროება აწმყოს რად სჯობდაო, რადგან სიბრძნე არ ახლავს ამ კითხვას.
11. კარგია სიბრძნე და დოვლათი, დიდად სარგოა მზის მჭვრეტელთათვის.
12. სიბრძნეც დაიფარავს კაცს და ფულიც დაიფარავს, მაგრამ სიბრძნე უპირატესია; მის მფლობელს აცოცხლებს.

13. შეხედე ღვთის შექმნილს: ვინ გამართავს მისგან გამრუდებულს?
14. კეთილდღეობისას იბედნიერე, ძნელბედობისას ფრთხილად მოიქეცი! ესეც და ისიც ღმერთმა შექმნა ერთმანეთის საპირისპიროდ, რათა კაცმა მის უკან ვერაფერი შეიცნოს.
15. ბევრი რამ ვნახე ჩემს ამაო წუთისოფელში: მართალი იღუპება თავის სიმართლეში, ბოროტეული დღეგრძელობს თავის ბოროტებაში.
16. ნუ იქნები ზედმეტად მართალი და მეტისმეტად ნუ დაბრძენდები – რად გინდა რომ შეძრწუნდე?
17. მეტისმეტად ნუ იბოროტებ, არც გაბრიყვდე – რად გინდა, რომ უდროოდ მოკვდე?
18. უმჯობესია, ერთიც იყო და მეორეც, არც ერთი უარყო და არც მეორე; რადგან ღვთის მოშიში ყველაფრისგან თავს აღწევს.
19. სიბრძნე ბრძენისათვის ძალაა, ქალაქის ათ მბრძანებელზე აღმატებული.
20. არ იპოება ქვეყნად მართალი კაცი, რომელიც იქმოდეს კეთილ საქმეს და არ სცოდავდეს.
21. ყველა სიტყვას, რასაც ამბობენ, ყურს ნუ მიუგდებ, რათა არ გესმოდეს, შენი მონა როგორ გაგინებს.
22. რადგან ბევრჯერ გამოგიცდია, შენც რომ აგინებდი სხვებს.
23. ყოველივე ეს სიბრძნით გამოვიკვლიე; ვთქვი: ბრძენი ვარ-მეთქი, მაგრამ სიბრძნე შორსაა ჩემგან.
24. შორია, რაც იყო, და ღრმა არის, ღრმა, ვინ მიაგნებს?
25. გულს ვიდევ, შემეცნო, შემესწავლა, გამომეკვლია რა არის სიბრძნე და გონიერება, რათა მცოდნოდა, რომ უმეცრება ბოროტებაა.
26. მივხვდი, სიკვდილზე მწარეა დიაცი, მახე და ბადეა მისი გული, ბორკილებია ხელები მისი; ღვთის სათნო გადაურჩება, ხოლო ცოდვილი მისგან დატყვევდება.
27. აი, რას მივხვდი, თქვა ეკლესიასტემ: თანმიყოლებით უნდა მისდიო, რომ აზრს მიაგნო.
28. კიდევ ამას ეძიებდა გონება ჩემი, მაგრამ ვერ ვპოვე: ათასიდან ერთი მამაკაცი ვპოვე, მაგრამ მათ შორის ვერა ვპოვე ვერცერთი ქალი.
29. აჰა, ეს ვპოვე მხოლოდ: ღმერთმა წრფელი შექმნა კაცი, ისინი კი ზედმეტ თავსატეხს მრავლად იჩენენ.

თავი მერვე

1. ბრძენს ვინ შეედრება და ვინ შეიცნობს საგანთა ბუნებას? სიბრძნე ადამიანს სახეს უნათლებს და მისი სახის სიტლანქე იცვლება.
2. გეუბნები, ასრულებდე მეფის ბრძანებას, თუნდაც ღვთისადმი მიცემული ფიცის გამო.
3. ნუ ისწრაფვი მისგან წასვლას და ბოროტ საქმეს ნუ დაადგები, რადგან რასაც ისურვებს, ყველაფერს გააკეთებს.
4. ვინაიდან სიტყვა მეფისა კანონია; ვინ ჰკადრებს მას – რას აკეთებო?
5. ცნების შემნახველს ავი საქმე არ შეემთხვევა; ჟამსაც და წესსაც ბრძენკაცის გული გრძნობს.
6. ვინაიდან ყველაფერს ჟამი და წესი აქვს, ადამიანის უბედურება კი ის არის,
7. რომ მან არ იცის, რა მოხდება; ან ვინ ეტყვის მას, როგორ მოხდება?
8. არავის ძალუძს ქარის შეჩერება, ვერავინ განაგებს დღეს სიკვდილისას, ვერვის დაითხოვენ ბრძოლის ველიდან, ვერ იხსნის სიბოროტე მის პატრონს.
9. ეს ყველაფერი ვიხილე და დავაკვირდი ყველა საქმეს, რაც მზისქვეშეთში მომხდარა; და ის დროც ვნახე, როცა კაცი კაცზე მძლავრობდა თავისდა საზიანოდ.
10. კიდევაც ვნახე ბოროტეულნი და მარხულნი, ადრე რომ მოდიოდნენ წმიდა ადგილას და ბრუნდებოდნენ; დავიწყებულ იქნენ იმ ქალაქში, სადაც ამგვარად იქცეოდნენ. ესეც ამაოებაა.
11. რაკი სწრაფადვე არ ისჯება ბოროტი საქმე, ამიტომ ბედავს კაცი ბოროტების ჩადენას.
12. ცოდვილმა კაცმა ასჯერაც რომ ჩაიდინოს ბოროტი საქმე, მიეტევება; მე ისიც ვიცი, რომ მიეგებათ მადლი ღვთისმოსავთ, რომელთაც ეშინიათ ღვთისა.
13. არ მიეგებათ მადლი ბოროტეულთ და ლანდივით დღემოკლე იქნება ყველა, ვისაც ღვთისა არ ეშინია.
14. არის კიდევ ამაოება, ქვეყნად რომ ხდება: მართლებს ბოროტეულთა საქმეთაებრ მიეგებათ; და არიან ბოროტეულნი, რომელთაც მართალთა საქმეთაებრ მიეგებათ. ვთქვი: ესეც ამაოებაა.
15. და შევაქე მე მხიარულება, რადგან არ ყოფილა სხვა სიკეთე ადამიანისათვის მზისქვეშეთში, გარდა იმისა, რომ სვას, ჭამოს და იმხიარულოს; ეს ყოველივე ახლავს მას მის საშრომელში დღენი მისნი, ღმერთმა რომ უბოძა მზისქვეშეთში.

16. როცა გულს ვიდევ, შემეცნო სიბრძნე და მომეხილა ყოველი საქმე, რაც ქვეყნად ხდება, ჩემს თვალებს ძილი არ უნახავთ არც დღე, არც ღამე.
17. ვიხილე ღვთის ყოველი საქმე, რომ ვერ მიხვდება ადამიანი ვერაფერ საქმეს, რაც მზის ქვეშ ხდება; რაც უნდა დაშვრეს და იძიოს, ვერას მიხვდება; თუნდაც ბრძენკაცმა თქვას: მივხვდიო, ვერას მიხვდება.

თავი მეცხრე

1. ეს ყოველივე გულში ჩავიდევი და გამოვიკვლიე ეს ყველაფერი, რომ მართალნი, ბრძენნი და მათი ნამოქმედარნი ღვთის ხელთაა; არც სიყვარული, არც სიძულვილი არ უწყის კაცმა და არც სხვა რამე, რაც მის წინაა.
2. ერთი ხვედრი აქვს ყველას: მართალს და უკუღმართს, კეთილს და ბოროტს, სუფთას და მირეულს, მსხვერპლის შემწირველს და მსხვერპლის არშემწირველს, როგორც კეთილს, ისე ცოდვილს, როგორც მოფიცარს, ისე ფიცის მოშიშს.
3. უბედრებაა მზისქვეშეთში, რომ ყველას ერთი ხვედრი აქვს; ადამის ძეთა გულებიც აღსავსეა სიბოროტით და სიშლეგეა მათ გულებში, ვიდრე ცოცხლობენ; ამის შემდგომ კი მკვდრებში გადავლენ.
4. რადგან ცოცხლებში შერაცხილს კიდევ აქვს იმედი; რადგან ცოცხალი ძაღლი მკვდარი ლომის უმჯობესია.
5. რადგან ცოცხალმა იცის, რომ მოკვდება; მკვდრებმა კი არაფერი იციან და აღარც საზღაური მიეზღვებათ, რადგან მათი ხსოვნა დავიწყებას მიეცა.
6. წარხდა მათი სიძულვილიც, შურიც და ტრფობაც; აღარ ექნებათ აწ და მარადის წილი იმაში, რაც მზისქვეშ ხდება.
7. წადი, მხიარულად ჭამე შენი პური და გულის სიხარულით სვი შენი ღვინო, რაკი ღმერთმა მოგიწონა ნამოქმედარი.
8. მუდამ სპეტაკი გქონდეს სამოსელი და ზეთი არ მოაკლდეს თავს შენსას.
9. დატკბი სიცოცხლით ქალთან ერთად, რომელიც გიყვარს შენს წუთისოფელში, და რომელიც მოგცა ღმერთმა მზის ქვეშ შენს წუთისოფელში, რადგან ესაა შენი ხვედრი სიცოცხლეში და იმ შრომაში, რასაც შენ მზის ქვეშ ეწეოდი.
10. რისი კეთების ძალაც შესწევს შენს ხელებს, აკეთე; რადგან არც საქმე, არც საფიქრალი, ცოდნა, ან სიბრძნე არ გაგყვება შავეთში, სადაც მიდიხარ.

11. ისიც შევიტყვე ამ მზისქვეშეთში, რომ მკვირცხლთა ნებაზე არაა რბოლა, არც მამაცთა ნებაზეა ომი, არც ბრძენთა ნებაზეა პური, არც გონიერთა ნებაზეა სიმდიდრე, არც მცოდნეთ ნებაზეა მადლი; რადგან დრო და შემთხვევა განაგებს ყველაფერს.
12. რადგან ადამიანმა არ უწყის თავისი ჟამი; ავ ბადეში გახვეული თევზებივით და მახეში გაბმული ჩიტებივით იქნებიან შეპყრობილნი ადამის ძენი ავბედით ჟამს, რომელიც მოულოდნელად ეწევა მათ.
13. ეს სიბრძნეც შევიტყვე მზისქვეშეთში და საგულისხმოდ შევრაცხე იგი:
14. იყო ქალაქი მცირე და ხალხიც ცოტა; მოადგა ქალაქს დიდი მეფე, ალყა შემოარტყა და შემოაშენა დიდი სიმაგრეები.
15. აღმოჩნდა იქ კაცი ვინმე უპოვარი, მაგრამ ბრძენი და იხსნა ქალაქი თავისი სიბრძნით, მაგრამ უპოვარი იგი არავის აღარ გახსენებია.
16. ვთქვი: სიბრძნე ძალაზე უპირატესია, მაგრამ უპოვარის სიბრძნეს აბუჩად იგდებენ და მის სიტყვებს ყურს არავინ უგდებს.
17. ბრძენთა სიტყვები, წყნარად ნათქვამი, უმჯობესია, ვიდრე სულელთა მთავრის ყვირილი.
18. ბრძოლის საჭურველს სიბრძნე სჯობია, ერთი ცოდვილი კი ბევრ სიკეთეს დაღუპავს.

თავი მეათე

1. შხამიანი ბუზები აფუჭებენ და ალპობენ სურნელოვან ზეთს; მცირედი სიბრიყვე უფრო ძვირფასია ზოგჯერ, ვიდრე სიბრძნე და დიდება.
2. ბრძენს გული მარჯვნივ აქვს, ბრიყვს – მარცხნივ.
3. სადაც არ უნდა წავიდეს ბრიყვი, ბრიყვადვე რჩება, ყველას ეუბნება, რომ ბრიყვია.
4. თუ თავს დაგატყდა უფროსის რისხვა, შენს ადგილს ნუ მიატოვებ, რადგან თვინიერს დიდი ცოდვებიც მიეტევება.
5. არის სიბოროტე კიდევ, მზისქვეშ რომ ვიხილე: თითქოს მბრძანებლისაგან მომდინარე შეცდომა იყოს.
6. სიბრიყვე განდიდდა მეტად, ხოლო მდიდრები დაბლა სხედან.
7. ვნახე მონები ცხენებზე მსხდარნი, ხოლო მთავარნი მონებივით ფეხით მავალნი.
8. ორმოს გამთხრელი თავად ჩავარდება შიგ, ხოლო კედლის დამანგრეველს გველი დაშხამავს.

9. ვინც ქვებს მიათრევს, წელს ქვავე მოსწყვეტს; ხის გამჩეხავს ხევე დაასახიჩრებს.
10. ცული თუ დაგიჩლუნგდა და არ გალესე, ზედმეტი ძალა დაგადგება; ჭკუით უნდა წარმართო საქმე.
11. თუ შეულოცველს უკბინა გველმა, შემლოცველი ვეღარ უშველის.
12. ბრძენის სიტყვები მადლია, ბრიყვს კი მისი ბაგეები ღუპავს.
13. მისი სიტყვების დასაბამი სიბრიყვეა, ხოლო შედეგი – ავი სიშლეგე.
14. ბრიყვი მრავალსიტყვაა, მაგრამ არ უწყის კაცმა, რა მოხდება; ვინ აუწყებს, მის შემდგომ რა იქნება?
15. ბრიყვს დაჰქანცავს თავისი შრომა, რადგან მან არ იცის ქალაქისკენ მიმავალი გზა.
16. ვაი, შენდა, ქვეყანავ, ბავშვი რომ გიზის მეფედ, და შენი დიდებულები დილიდანვე რომ იწყებენ ჭამას!
17. ბედნიერი ხარ, ქვეყანავ, რომ შენი მეფე არავის ჰმონებს და შენი დიდებულები თავის დროზე რომ ჭამენ, ძალთა მოკრებად, არა სალხინოდ!
18. სიზარმაცისგან ჭერი ჩამოიქცევა, გულხელდაკრეფისაგან წყალი ჩამოვა სახლში.
19. სამხიარულოდ იმართება პურობა; ღვინო სიხარულით ავსებს სიცოცხლეს, ხოლო ფული ყველაფერზე პასუხს აგებს.
20. შენ ფიქრშიც კი ნუ აგინებ მეფეს, საწოლ ოთახშიაც ნუ აგინებ დიდებულს: რადგან ცის ფრინველი წაუღებს ამბავს და ფრთოსანი აუწყებს სიტყვას.

თავი მეთერთმეტე

1. წყალს გაატანე შენი პური, რადგან მრავალთა დღეთა შემდგომ კვლავ მოიძიებ.
2. მიეც ნაწილი ქონებისა შვიდს, რვასაც კი, რადგან არ იცი, რა უბედურება მოელის ქვეყანას.
3. როცა ღრუბელი აივსება, წვიმაც იწვიმებს ქვეყანაზე; თუ დაეცა ხე სამხრეთში ან ჩრდილოეთში, სადაც დაეცა, იქვე დარჩება.
4. ვინც ქარს აკვირდება, ვერ დათესავს; ვინც ღრუბლებს შესცქერის, ვერას მოიმკის.
5. როგორც არ უწყი გზა ქარისა და როგორ ისახება ძვლები სავსე მუ-

ცელში, ასევე არ უწყი საქმენი ღვთისა, რომელმაც ყოველივე შექმნა.

6. დილით თესე შენი თესლი და მწუხრისას ნუ დაისვენებს შენი ხელი; რადგან არ იცი, რომელი უფრო სასიკეთოა; იქნებ ორივე ერთნაირად კარგი გამოდგეს.
7. ტკბილია სინათლე და საამურია თვალთათვის მზის ჭვრეტა.
8. თუნდაც მრავალი წელი იცოცხლოს კაცმა და იმხიარულოს,ახსოვდეს, რომ მრავლად იქნება შავი დღეები; ყველაფერი, რაც მოვა, ამაოა.
9. იხარე, ყრმაო, ვიდრე ნორჩი ხარ; გაამოს შენმა გულმა სიყმაწვილეში, მიჰყევ შენს გულს და თვალთა მზერას, ოღონდ იცოდე, ყველაფრის ამის გამო სამსჯავროზე წარგადგენს ღმერთი.
10. უკუიყარე გულიდან დარდი და სხეულს არიდე უამური რამ, რადგან ბავშვობაც და სიყმაწვილეც ამაოა და წარმავალი.

თავი მეთორმეტე

1. გახსოვდეს შენი გამჩენი შენს საჭაბუკეში, ვიდრე დაგიდგებოდეს მწარე დღეები და გეწეოდეს წლები, რომლებზეც იტყვი, რაღაში მადგიან მე ისინიო?
2. ვიდრე დაბნელდებოდეს მზე, ნათელი და მთვარე და ვარსკვლავები, ვიდრე ღრუბლები კიდევ ჩანან წვიმის შემდეგ,
3. იმ დღემდე, ვიდრე დაფრთხებოდნენ სასახლის მცველნი და მეომარნი დაუძლურდებოდნენ, ვიდრე შეწყვეტდნენ სამუშაოს მეწისქვილე ქალები (რადგან მცირედნიღა დარჩებიან), ვიდრე ნათელი დააკლდებოდეთ სარკმლიდან მჭვრეტელთ,
4. ვიდრე დაიგმანებოდეს ქუჩის კარები, მიჩუმდებოდეს დოლაბის ხმაური, მიწყდებოდეს ფრინველთა ჟრიამული, დადუმდებოდეს ყოველი გალობა,
5. შეეშინდებოდეთ სიმაღლისაც და გზებზე შიში დაივანებდეს, აყვავდებოდეს ნუში, დამძიმდებოდეს კალია და დაცხრებოდეს ვნება, - როცა მიდის კაცი თავის საუკუნო სახლისაკენ და უკან მიჰყვებიან მოტირალნი,
6. ვიდრე გაწყდებოდეს ვერცხლის საბელი და გატყდებოდეს ოქროს ჭურჭელი, დაიმსხვრეოდეს დოქი წყაროსთან, ჩაეშვებოდეს ოწინარის ბორბალი ჭაში,
7. მიიქცეოდეს მტვერი მიწად, როგორც იყო, და სული დაუბრუნდებოდეს ღმერთს, რომელმაც შთაბერა.

8. ამაოება ამაოებათა, თქვა ეკლესიასტემ, ყოველივე ამაოა.
9. თავად ხომ ბრძენი იყო ეკლესიასტე, ხალხსაც შეასწავლა სიბრძნე. იკვლევდა, იძიებდა და თხზავდა იგავებს მრავალს.
10. ეძებდა ეკლესიასტე საჭირო სიტყვებს და წრფელად დაიწერა ჭეშმარიტი სიტყვები.
11. ბრძენთა სიტყვები წვერგამახული სოლებია, ჩაჭედილი ლურსმნებია. იგავთა კრებული ერთი მწყემსისგან შთაგონებული.
12. კიდევ გეტყვი, შვილო, ყურად იღე: ბევრი წიგნების წერას ბოლო არ ექნება და ზედმეტი ფიქრი სხეულს ადუნებს.
13. მოვისმინოთ ყველაფრის თავი და ბოლო: ღვთისა გეშინოდეს და დაიცავი მცნებანი მისნი, რადგან ეს არის კაცის თავი და თავი.
14. რადგან ყველა საქმეს სამსჯავროზე მიიტანს ღმერთი, ყოველივე დაფარულს, კეთილს თუ ბოროტს.

პლატონი. „ფედონი“
(ფრაგმენტები)

დიალოგი „ფედონი“ პლატონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თხზულებაა. პლატონური ფილოსოფიის კარდინალური მომენტების დასაბუთების გარდა (მოგონების თეორია, დაპირისპირებულთა თეორია, იდეათა თეორია და სხვა), „ფედონი“ მიზნად ისახავს სულის უკვდავების მტკიცებას. მიუხედავად მტკიცების არასაკმარისობისა, ეს ნაწარმოები მაინც რჩება პლატონის დიალექტიკური აზროვნებისა და მხატვრული ოსტატობის ბრწყინვალე ნიმუშად.

დიალოგში გადმოცემულია სოკრატესა და მისი მეგობრების მსჯელობა. აქ იკვანძება და ყალიბდება სოკრატეს ფილოსოფიური შეხედულება სიკვდილსა და სიცოცხლეზე, დაპირისპირებულთა ურთიერთობაზე, იდეებზე, მოგონებაზე და ა.შ. „ფედონის“ პრობლემატიკის შესავლად უნდა მივიჩნიოთ პლატონის მიერ ზოგიერთი ზოგადი საკითხის გარჩევა, როგორიცაა, მაგალითად:

1. რატომ წარმოადგენს სიცოცხლე ყველასათვის და ყოველთვის ერთადერთ და უცვლელ აუცილებლობას, მათთვისაც კი, ვისაც სიცოცხლეს სიკვდილი უჯობს?

2. რატომ არა აქვს იმ კაცს უფლება, ვისაც სიცოცხლეს სიკვდილი უჯობს, თვითონვე მოიკლას თავისი თავი, რატომ უნდა დაელოდოს სხვა მხსნელსა და კეთილისმყოფელს?

სოკრატე ამბობს: ეს აზრი, შესაძლოა, სისულელედ ეჩვენოს კაცს, მაგრამ მას თავისი გამართლებაც მოეძებნება. გავიხსენოთ მისტიურ მოძღვრებათა დიდი და ბუნდოვანი სიტყვები: მართალია, ამ ქვეყნად თითოეული ჩვენგანი დილეგშია გამოკეტილი, მაგრამ მაინც არ უნდა ვეცადოთ ამ დილეგიდან გაქცევას და თავის დაღწევას. ღმერთები ზრუნავენ ჩვენზე და ჩვენ, კაცნი, ღმერთებს ვეკუთვნით. სიშლეგეა კაცმა თავი მოიკლას მანამ, სანამ ამის აუცილებლიბას არ მოუვლენს ღმერთი. შენს ერთ მონათაგანს შენი ნება-სურვილის წინააღმდეგ რომ მოეკლა თავი, შენ, ალბათ, აღშფოთდებოდი და, დასჯა რომ შეგძლებოდა, დასჯიდი კიდეც. ამიტომ ადამიანი თავის შემოქმედს უნდა ელოდოს, სანამ ამის დროს არ მოუვლენს.

3. ფილოსოფოსისათვის ძნელი როდია ისურვო სიკვდილი. ისმის კითხვა: განა უაზრობა არაა, კაცთა შორის ყველაზე გონიერნი უდრტვინველად ეცლებოდნენ სიცოცხლეს?

– მე მწამს, რომ იქ ვიხილავ სხვა ბრძენსა და კეთილ ღვთაებებს, ვიხილავ აქ გარდაცვლილთა სულებს, რომელთაც ვერავინ შეედრება ცოცხალთა შორის. ეს რომ არ მწამდეს, ჩემის მხრივ დიდი შეცდომა იქნებოდა უდრტვინველად შევხვედროდი სიკვდილს. მე იმედი მაქვს, რომ კაცთათვის სიკვდილის შემდეგაც არსებობს რაღაც და ძველი გადმოცემისა არ იყოს, ეს რაღაც კეთილთათვის გაცილებით უკეთესია, ვიდრე ბოროტთათვის. როგორც ჩანს, კაცთათვის შეუმჩნეველი რჩება, რომ მთელი მისი სიცოცხლე, ვინც უანგაროდ ემსახურება ფილოსოფიას, სხვა არა არის რა, თუ არა სამზადისი კვდომისა და სიკვდილისათვის. თითქოს უცნაურია: მთელი სიცოცხლე სიკვდილისათვის ემზადებოდეს კაცი და მერე, როცა სიკვდილი თვითონ მოადგება კარზე, დრტვინვით ხვდებოდეს მას, რასაც ამდენ ხანს ნატრობდა და ესწრაფვოდა?

4. არის თუ არა, რაიმე სიკვდილი? – სხვა არა არის იგი, თუ არა სულის გაყრა სხეულთან? რას ნიშნავს იგი, თუ არა ცალცალკე არსებობას ერთურთს გაყრილი სულის და სხეულის? განა სწორედ ეს არაა სიკვდილი?

5. როდის წვდება სული ჭეშმარიტებას? გვიშლის თუ არა ხელს სხეული, როცა მას მწედ მოვუხმობთ ცოდნის შეძენისას? ჭეშმარიტია ის, რასაც ჩვენი მზერა გვაწვდის და ჩვენი სმენა, თუ მართალი არიან ისინი, რომლებიც გამუდმებით ჩაგვჩიჩინებენ: დანამდვილებით ვერას ვხედავთ, ვერას ვისმენთო! ჭეშმარიტს სული მაშინ წვდება უპირატესად, როცა აზროვნებს. ხოლო სული ყველაზე უკეთ აზროვნებს მაშინ, როცა არაფერი ამღვრევს მას, არც სმენა, არც მზერა, არც ტკივილი, არც სიხარული, როცა ინძარცვის და შეძლებისამებრ, თავისუფლდება სხეულისაგან და თავის თავში ოდენ შთენილი მიიქცევა არსებულის ჭვრეტად.

ძნელად სავალ ბილიკს მივსდევთ ჩვენი ძიებისას და ვიდრე სხეულისაგან არ განვძარცულვართ, ვიდრე სული არ გაჰყრია ამ ბოროტებას, მთელის სისრულით ვერასოდეს მივწვდებით მას, რასაც ვესწრაფვით, ვერასოდეს მივწვდებით ჭეშმარიტებას. მართლაც, სხეული უთვალავ დაბრკოლებას გვიქმნის ჩვენ, რადგან გვაიძულებს საზრდელი ვიძიოთ მისთვის, ხოლო თუ ამას ავადმყოფობაც დაერთო ზედ, სამუდამოდ ხელმოცარულნი ვრჩებით ჭეშმარიტებაზე მონადირენი. სწორედ სხეული

გვავსებს ვნებებით, სურვილებით, ძრწოლით, ათასგვარი მოჩვენებებით, ამაო და ფუჭი განცდებით, და არ ცდებიან, როცა ამბობენ, რომ სხეულის წყალობით, ერთხელაც ვერ ჩავფიქრებულვართ ჯეროვნად. ომები, ამბოხებები, ბრძოლები მხოლოდ სხეულისა და მისი ვნებებისაგან იღებს დასაბამს, რადგან ყოველი ომის მიზანი სიმდიდრის მოხვეჭაა, ხოლო სიმდიდრე ჩვენ გვჭირდება სხეულისათვის, რომელსაც მონის მორჩილებით ვემსახურებით. ამიტომ ვეღარ ვიცლით ფილოსოფიისათვის. და მაშინაც კი, როცა ამისათვის ვიცლით, სხეული მყისვე ეჩრება ჩვენს ძიებებში, გვამღვრევს, გვაღელვებს და გვაშორებს ჭეშმარიტებას. ან ვერასოდეს შევიძენთ ცოდნას, ანდა მხოლოდ მაშინ, სიკვდილის შემდეგ, როცა სხეულს დავშორდებით. ამრიგად, ყოველთვის, როცა იხილავ კაცს, რომელიც დრტვინვით ეგებება კარს მომდგარ სიკვდილს, ეს იქნება უტყუარი საბუთი იმისა, რომ შენ წინ სიბრძნის ტრფიალი კი არ დგას, არამედ სხეულის და არა მარტო სხეულის, ალბათ, სიმდიდრისაც და პატივისაც.

სიბრძნეა ერთადერთი ჭეშმარიტი მონეტა, რომელზედაც ყველაფერი უნდა გაიცვალოს. მხოლოდ სიბრძნით იყიდება და გაიყიდება ყოველი: სიმამაცე, თავდაჭერილობა, სამართლიანობა, მოკლედ რომ ვთქვათ, ჭეშმარიტი სათნოება განუყრელია სიბრძნისაგან.

6. მართლა ჰგიან მიცვალებულთა სულები ჰადესში, თუ არა ჰგიან? არსებობს ძველი გადმოცემა, რომელიც ამბობს, რომ აქედან წასულთა სულნი იქ აგრძელებენ არსებობას, და მერე უკანვე ბრუნდებიან, რათა მკვდართაგან აღდგნენ ცოცხალნი. და თუ ეს ასეა, თუ კაცნი სიკვდილის შემდეგ ახალი სიცოცხლისათვის იბადებიან, აქედან მხოლოდ ის შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ჩვენი სულნი ჰგიან ჰადესში, რადგან უკან ვეღარ მობრუნდებოდნენ, ჰადესში რომ არ აგრძელებდნენ არსებობას და თუ ვირწმუნებთ, რომ ცოცხალნი მკვდართაგან იბადებიან, მარტოოდენ ესეც იკმარებდა ჰადესში სულთა არსებობის დასამტკიცებლად.

მარტო კაცთაკენ ნუ კი მიმართავ მზერას, თუ გინდა უფრო ადვილად ირწმუნო ეგ, არამედ ყველა ცხოველისა და მცენარისაკენ. ერთი სიტყვით, ყველაფრისაკენ, რაც იბადება. ყველაფერი, რაც იბადება, თავისი მოპირისპირესაგან იბადება მხოლოდ და მხოლოდ. მაგალითად, მშვენიერს მახინჯი უპირისპირდება, სამართლიანს – უსამართლო, როცა რაიმე დიდი ხდება, იგულისხმება თუ არა, რომ ოდესღაც იგი პატარა იყო? – დიახ! ხოლო, როცა პატარავდება, იგულისხმება თუ არა, რომ იგი ოდესღაც დიდი

იყო? – დიახ! სიცოცხლეს უპირისპირდება თუ არა რაღაც, ისევე, როგორც ღვიძილს უპირისპირდება ძილი? – დიახ! რა არის ეს? – სიკვდილი. და რაკი უპირისპირდება, ცხადია, ერთი მეორესაგან იღებს დასაბამს. მათ შორისაც ძევს შუალედური ფენომენი, რომლითაც ერთი მეორეში გადადის. ძილისაგან ღვიძილი იღებს დასაბამს და ღვიძილისაგან ძილი. ცოცხალისაგან იბადება მკვდარი. მკვდრისაგან კი – ცოცხალი. ამრიგად, მკვდრისაგან იბადება ყველა სულდგმული, ყველა ცოცხალი. განა გარდაცვალებას მეორე დაბადება არ უნდა უპირისპირდებოდეს უთუოდ? თუ მაინც და მაინც აქ კოჭლობს ბუნება? – სიკვდილს აღდგომა ცვლის უთუოდ.

მაშასადამე, ცოცხალნი მკვდართაგან იბადებან, ისევე, როგორც ცოცხალთაგან – მკვდარნი. ეს კი სავსებით საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენი სულები სიკვდილის შემდეგაც არსებობენ სადღაც, საიდანაც ახალი სიცოცხლისათვის ბრუნდებიან უკან. რომ იყოს მხოლოდ დაძინება და მის საპირისპიროდ აღარ იყოს გამოღვიძება, მაშინ ყველაფერი დაემსგავსებოდა საღათას ძილით მოცულს. ყველაფერი რომ ერთდებოდეს და არ ითიშებოდეს, კოსმოსის ნაცვლად მივიღებდით ქაოსს. სიცოცხლესთან წილნაყარი ყველა არსი რომ კვდებოდეს მხოლოდ, მკვდარი კი აღარ დგებოდეს, განა დარჩებოდა ქვეყნად ცოცხალი?

სწავლა მოგონებაა მხოლოდ, სხვა არაფერი და თუ ეს ასეა, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის, რასაც ახლა ვიგონებთ, ოდესღაც უნდა გვცოდნოდა უკვე. ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, ჩვენს სულს რომ არ ეარსება სადმე, სხეულს შეიმოსდა სანამ კაცისას. ცოდნა დაბადებიდან თან დაგვყვება, მაგრამ ამ ცოდნას ერთხელ ზიარებულნი, ყოველი ახალი დაბადების შემდეგ თანდათან ვკარგავთ. იცისო, ამბობენ იმაზე, ვინც ფლობს ერთხელ შეძენილ ცოდნას და არ კარგავს მას. ხოლო რას ვუწოდებთ დავიწყებას? ერთხელ შეძენილი ცოდნის დაკარგვას.

მაშ, რა იქნება ე.წ. სწავლა, თუ არა ხელახლა შეძენა ოდესღაც ჩვენი კუთვნილი ცოდნისა. ამიტომ არ ვცდებით, თუ მოგონებას ვუწოდებთ მას.

საგანთა რომელი გვარი განიცდის გაფანტვას-განქარვებას? რომელი მათგანისათვის უნდა ვშიშობდეთ, ვაითუ დაიშალონო? და რომელ მათგანს ეკუთვნის სული? სწორედ ის საგნები განიცდიან დაშლას, რომელნიც შედგენილნი არიან. სულ შედგენილ ნაწილებად იშლებიან. ხოლო მარტივი საგნები, რომელთაც შემადგენელი ნაწილები არ გააჩნიათ, დაშლას როდი განიცდიან შედგენილი საგნების მსგავსად.

მარტივს ისეთ საგნებს ვუწოდებთ ჩვენ, რომელნიც მიწყივ იცვლებიან და არასოდეს არ არიან ერთი და იგივე.

მივიღოთ, რომ არსებობს საგანთა ორი წყვილი. ერთი – ხილულთა, მეორე – უხილავთა. ხილულნი არასოდეს არ არიან იგივენი, უცვლელნი; უხილავნი – უცვლელი და იგივენი არიან მუდამ. სხეული – ხილულთა გვარს ენათესავება, სული – უხილავთა (კაცთათვის უხილავთა მაინც). ერთად რომ შეჰკრა სული და სხეული, ბუნებამ სხეულს მონობა და მორჩილება არგუნა წილად; ხოლო სულს – ხელმწიფობა და მეუფება. ახლა ამ ორთაგან, რომელი ჰგავს ღვთაებრივს და რომელი მოკვდავს? ცხადია, ღვთაებრივს – სული, მოკვდავს – სხეული.

სული ყველაზე მეტად წააგავს ღვთაებრივს, უკვდავს, ერთსახოვანს, გონით საცნაურს, უშლელს, მარადის უცვლელსა და თავისთავადს; სხეული კი – კაცურს, მოკვდავს, მრავალსახოვანს, არა გონით – გრძნობით საცნაურს, შლადს, მიწყივ ცვლადსა და არათავისთავადს. განა შეიძლება ეჭვი შევიტანოთ ამაში. და თუ ეს ასეა, სხეულს დაშლა უწერია, ხოლო სულს – უშლელობა.

მაგრამ რას ვიტყვით, როცა სული შერყვნილი და შებილწული ეყრება სხეულს? ნივთიერი ბუნება ქვე-დამზიდველია. მძიმე, ხილული და მიწიერი, რაკი მის მიერ განწონილი სული სიმძიმის გავლენით უკან, ხილული სამყაროსაკენვე მოისწრაფვის, უხილავი სამყაროს და მისი მეუფის წინაშე წარდგომის შიშით შემკრთალი კვლავ ამ ქვეყნად მო-რა-იქცევა, როგორც ამბობენ სამარხთა და სამარის ქვათა ირგვლივ იწყებს ბორიალს, რომელთა შორიახლოს მართლა ხედავენ ხოლმე მწუხარე აჩრდილებს: ამ სახით გვეცხადებიან სულნი, წმინდად კი არ გაჰყრიან სხეულს, არამედ ხილულის უწმინდურებაც წარიტანეს თან და ამიტომ ხილულნი ხდებიან თავად. ეგ სულნი კეთილთა სულნი კი არ არიან, არამედ ბოროტთა სულნი, რომელთაც ყველა ძველი ბოროტებისთვის საფლავთა შორის ბორიალი ერგოთ სასჯელად და ბორიალობენ ეგ სულნი მანამ, სანამ მიწყივ მათი თანამდევი ნივთიერი ბუნების წყურვილით დევნილნი ახალ სხეულს არ შეიმოსენ. ხოლო შემოსვით, ბუნებრივია, იმ არსთა სხეულს შეიმოსენ, რომელთაც ზნით წააგავდნენ ძველ სიცოცხლეში. მათი სულები, ვინც უსამართლობა, ტირანია და ძარცვა-გლეჯა აირჩია, მგლებსა, ქორებსა და ბერებში გარდასახდებიან. აბა, სხვაგან სად წავლენ ისინი?

გედები სიკვდილის წინ მღერიან ხოლმე, მღერიან ისე ნაზად და წარ-

მტაცად, როგორც არასოდეს არ უმღერიათ და ეგ სიმღერა სიხარულის სიმღერაა. მათ ახარებთ ღვთაებისაკენ მოქცევა. ხოლო სიკვდილის შიშით შემკრთალნი კაცნი, ცილს წამებენ გედებს, როცა ამბობენ, რომ ეგ სიმღერა სიხარულისა კი არა, მწუხარებით შობილი სიმღერაა, რომლითაც ისინი საკუთარ სიკვდილს დასტირიან თითქოს! რატომ არ ესმით, ნეტა, რომ არც ერთი ფრინველი არ დაიწყებს სიმღერას მაშინ, როცა შია, როცა სცივა, ანდა რამ აწუხებს მას. რაკი წინასწარ ჭვრეტენ ისინი ჰადესის ყველა სიკეთეს, ამიტომ სიკვდილის დღეს უფრო ტკბილად მღერიან და უფრო ხარობენ, ვიდრე ოდესმე. ეს სიტყვები შეიძლებოდა ჰარმონიის, ლირისა და სიმების მიმართაც თქმულიყო, რადგან ცნობილი ლირის ჰარმონიაც უხილავთა, უსხეულო, ღვთაებრივი და მშვენიერი, ხოლო ლირა, სიმებითურთ, ნივთიერი, შედგენილი და მიწიერი სხეულია, მოკვდავის ნათესავი და თვისტომი. ჰოდა, თუ ვინმე დაამსხვრევს ლირას, ან მის სიმებს დაგლეჯს და დაწყვეტს, ამით ჰარმონია არ იღუპება და არსებობას განაგრძობს. ხე და სიმები უფრო უმალ იხრწნებიან, ვიდრე ჰარმონია. სულიც უპირატესად ან სახით წარმოგვიდგება ჩვენ.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

ანაქსიმანდრე – მილეთიდან, (ძვ. წ. 611 – 545) – იონელი ნატურფილოსოფოსი, თალესის მოწაფე და მიმდევარი. მისი წიგნი „ბუნების შესახებ“ წარმოადგენს ბერძნულ ენაზე შესრულებულ პირველ ფილოსოფიურ ნაშრომს. მან პირველმა დასვა კითხვა ყოველივე არსებულის „საწყისზე“ და განსაზღვრა იგი როგორც პრინციპი, აპეირონი. აპეირონი (ბერძ. განუსაზღვრელი) არის პირველსაწყისი, ბუნების უსასრულობა, რაღაც „ღვთაებრივი“. მისგან, გამოყოფის გზით წარმოიშვება სხვადასხვა საგნები.

ანაქსიმენე (ძვ.წ. 585 – 525) – იონელი ნატურფილოსოფოსი. მატერიალურ საწყისად თვლიდა ჰაერს, რომლისგანაც განმუხტვის შედეგად წარმოიქმნება ცეცხლი, შესქელების შედეგად – ქარი, ღრუბლები, წყალი, მიწა და ქვები.

არისტოტელე სტაგირიტი (ძვ. წ. 384\383 – 322\321) – ძველი ბერძნული აზროვნების მწვერვალი, ძველი დროის ენციკლოპედიური გონება, „ანტიკური ხანის ჰეგელი“. იგი დაიბადა ქ. სტაგირაში, ბერძნულ კოლონიაში. მამამისი – ნიკომახე ექიმი იყო და მეგობრობდა მაკედონიის მეფესთან ამნისტისთან, ფილიპე მაკედონელის მამასთან. მამამ შეასწავლა ბუნებისმეტყველება, რამაც დიდი მნიშვნელობა იქონია არისტოტელეს მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. 18 წლის არისტოტელე ჩავიდა ათენში და პლატონის სკოლაში შევიდა, სადაც 20 წლის განმავლობაში სწავლობდა. მას ძალიან უყვარდა თავისი მასწავლებელი, მაგრამ მისი საწინააღმდეგო თვალსაზრისი შეიმუშავა, შექმნა საკუთარი ფილოსოფიური მიმდინარეობა – არისტოტელიზმი. არისტოტელე ამბობდა: მიყვარს პლატონი, მაგრამ კიდევ უფრო მეტად მიყვარს ჭეშმარიტებაო!

342 წ. ფილიპე მაკედონელმა არისტოტელე მიიწვია შვილის, 13 წლის ალექსანდრეს აღმზრდელად. არისტოტელე მას ასწავლიდა 3 წელიწადს – გამეფებამდე. შემდეგ დაბრუნდა ათენში და დაარსა სკოლა – ლიცეუმი (ლიკეი), სადაც 15 წელი მოღვაწეობდა. გადმოცემის თანახმად, ამ ხნის განმავლობაში არისტოტელემ დაწერა 1000 თხზულება (მსმენელთა ჩანაწერები არისტოტელეს რედაქტორობით). ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ მას დევნა დაუწყეს – უღმერთობა დასწამეს და არისტოტელესავე თქმით, იმის შიშით, რომ ფილოსოფიის წინაშე მეორე ცოდვა არ ჩაედინათ (პირველი სოკრატეს მოწამვლა იყო), იგი გაიქცა ევბეაში, სადაც 322 წ. გარდაიცვალა.

არისტოტელეს თხზულებებს სამ ჯგუფად ყოფენ: 1) „გამოქვეყნებული შრომები“, დიალოგები, რომლებიც თურმე შეიცავდა შესანიშნავ აზრებს და დაწერილი იყო ბრწყინვალე ენით (ამ თხზულებათაგან არცერთი შემონახული არ არის); 2) კრებულები (ყველა დაიკარგა); 3) სასწავლო თხზულებები, რომელთა მხოლოდ მეექვსედი ნაწილია შემორჩენილი. არისტოტელეს თხზულებები ეხებოდა ცოდნის თითქმის ყველა დარგს, სახელდობრ, არისტოტელეს ეკუთვნის თხზულებები მეტაფიზიკაში, ფსიქოლოგიაში, ლოგიკაში, ეთიკაში, პოლიტიკაში, ესთეტიკაში, მეტეოროლოგიაში, ორგანული ბუნების შესწავლის დარგში, მათემატიკაში და სხვა.

არისტოტელეს შეხედულებებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა კაცობრიობის აზროვნების განვითარებაზე, განსაკუთრებით მისმა მეცნიერული დისციპლინების კლასიფიკაციის ფილოსოფიურმა სისტემამ, რომელიც ნაწილობრივ გადამუშავებული სახითაა შემონახული. ამ სისტემის საფუძველს წარმოადგენს ლოგიკა და მეტაფიზიკა. ფილოსოფიურ დისციპლინებს არისტოტელე მათი შინაარსის მიხედვით ყოფს თეორიულ (მათემატიკა, ფიზიკა და ფსიქოლოგია), პრაქტიკულ (ეთიკა, პოლიტიკა, ეკონომიკა) და პოეტიკურ (ტექნიკა, ესთეტიკა, რიტორიკა ან პედაგოგიკა) დისციპლინებად.

დემოკრიტე (ძვ.წ. 460/70 – გარდაცვალების წელი უცნობია. ზოგიერთი ვერსიის თანახმად, იცოცხლა 100 წელი) – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი – ატომისტი და სწავლული – ენციკლოპედისტი. დაიბადა ქ. აბდერაში შეძლებულ ოჯახში. იგი ბავშვობიდანვე დიდ სიყვარულს იჩენდა სწავლისადმი და კარგი განათლებაც მიიღო. დემოკრიტე თითქმის ყველა დიდი ფილოსოფოსის მოძღვრებას იცნობდა. მას ბევრი უმოგზაურია მეცნიერული მიზნით აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის ეგვიპტეშიც, სადაც მათ ცოდნას გაეცნო. მაგრამ ახალი ცოდნის მიღება ეგვიპტელებისაგან დემოკრიტეს არ შეეძლო, რადგან თვითონ მას თურმე მეტი ცოდნა ჰქონია დაგროვებული.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე დემოკრიტეს მრავალი თხზულება დაუწერია. ამ თხზულებებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ცალკეულმა ნაწყვეტებმა. არ დარჩენილა თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი პრობლემა იმდროინდელი მეცნიერებისა, რომელსაც ეს დიდი მოაზროვნე არ შეხებოდეს. ასტრონომია, ფიზიკა, ბოტანიკა, ზოოლოგია, ანთროპოლოგია, ესთეტიკა, ეთიკა – ყველა ამ დარგში დემოკრიტემ შე-

სანიშნავი გამოკვლევები დაუტოვა კაცობრიობას. მაგრამ მთავარი მაინც ატომიზმის თეორიაა, რომელიც საფუძვლად ედო ზემოჩამოთვლილ მეცნიერულ გამოკვლევებს.

ეპიკურე (ძვ.წ. 342/41 – 271/70) – ელინიზმის ეპოქის ბერძენი ფილოსოფოსი. დაიბადა სკოლის მასწავლებლის ღარიბ ოჯახში. ცამეტი წლისა დემოკრიტეს თხზულებებს გაეცნო და ფილოსოფიისადმი სიყვარული ცხოვრების ბოლომდე გაყვა. ოცდათექვსმეტი წლის ასაკში ათენში დააარსა საკუთარი სკოლა – „ეპიკურეს ბაღი“, რომლის შესასვლელში შემდეგი წარწერა იყო გაკეთებული: „სტუმარო, შენ აქ თავს კარგად იგრძნობ; აქ სიამოვნება – უმაღლესი სიკეთეა“. იგი ცდილობდა ადამიანებისათვის ცხოვრების პრაქტიკული სახელმძღვანელო მიეცა (ეთიკა): ბუნების შემეცნება თვითმიზანი არ არის. იგი ათავისუფლებს ადამიანს ცრურწმენების შიშისა და საერთოდ რელიგიისაგან, აგრეთვე ეხმარება მას დაძლიოს სიკვდილის წინაშე შიში. გათავისუფლება ადამიანის ბედნიერებისა და ნეტარებისთვის არის აუცილებელი, რომელთა არსს სიამოვნება წარმოადგენს. მაგრამ ეს უბრალო გრძნობადი სიამოვნება კი არ არის (თუმცა, თავისთავად, ნებისმიერი სიამოვნება კარგია), არამედ სულიერი სიამოვნებაა. იგი ბევრად მდგრადი ხასიათისაა, რადგან დამოკიდებული არ არის გარეგან დაბრკოლებებზე. ღმერთებისაგან ბოძებული გონების საფუძველზე, ჩვენი მისწრაფებები ერთმანეთს უნდა შევუხამოთ და დავამთხვიოთ (სიმეტრია), რაც სიამოვნებას გულისხმობს და თანაც მიიღწევა სიმშვიდე, აღუშფოთველობა (ატარაქსია). სწორედ მათშია ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა. საზოგადოებრიობისადმი (განსაკუთრებით, სახელმწიფოსა და კულტისადმი) ბრძენი ადამიანი მეგობრულად, თუმცა თავშეკავებულად უნდა იყოს განწყობილი.

ეპიკურემ შექმნა მოძღვრება სამართლიანობაზე, რომელსაც კონვენციონალიზმის პრინციპი უდევს საფუძვლად. სამართლიანობა წარმოიშვება და არსებობს მხოლოდ იქ, სადაც ადამიანებს შორის სახელშეკრულებლო ურთიერთობებია გაფორმებული. თუ ადამიანები თანხმდებიან, რომ ზიანს არ მიაყენებენ და იზრუნებენ ერთმანეთზე, შექმნიან უსაფრთხო გარემოს, სადაც თითოეული თავს დაცულად იგრძნობს, მაშინ ასეთი სახელმწიფო სამართლიანი იქნება. სამართლიანად მოწყობილი სახელმწიფოს ინდივიდები თავისუფალი არიან საქმიანობის სახის არჩევაში, დროის გატარებასა და პირად მისწრაფებებში, გულმიდრეკილებებსა და სიმპათიებ-

ში. ეს პირადი ცხოვრების სფეროა, რომელიც კეთილგონიერმა ადამიანმა სხეულებრივი და სულიერი სიამოვნებებით უნდა შეავსოს.

ეპიკურეს დევიზი იყო: „იცხოვრე განმარტოვებით!“

ეპიკურემ კაცობრიობას დაუტოვა კიდევ ერთი ცნობილი გამონათქვამი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ადამიანის სიკვდილის წინაშე შიშის დაძლევის ფილოსოფიურ დამშვიდებად იყო მიჩნეული: „ბოროტებათაგან უსაშინლესი – სიკვდილი – ჩვენ სრულიად არ გვეხება, რადგან, როცა ჩვენ ვართ, სიკვდილი არ არის, ხოლო როდესაც სიკვდილი არის, ჩვენ აღარ ვართ. ასე რომ, იგი სრულებით არ ეხება არც ცოცხლებს, არც მკვდრებს, რადგან პირველთათვის იგი არ არსებობს, მეორენი კი უკვე აღარ არსებობენ“.

თალესი მილეთელი (ძვ.წ. 635 – 545) – ფილოსოფოსთუხუცესი. იგი თელიდების წარჩინებულ გვარს ეკუთვნოდა. მას ბევრი უმოგზაურია ეგვიპტეში და მათემატიკური ცოდნა დაუგროვებია; საინჟინრო სამუშაოებსაც ასრულებდა: მას ხიდი გაუყვანია ჰალისზე. დიდი სახელი ჰქონდა თალესს თანამედროვეთა შორის, როგორც პოლიტიკოსსაც; ასტრონომიაშიც ერკვეოდა: სცოდნია, რომ მზის დაბნელება პერიოდულად ხდება და ამდენად მისი წინასწარმეტყველება შესაძლებელია; რომ წელიწადი 365 დღეს შეცავს და რომ თვეში 30 დღეა. მასვე გამოუყვია ე.წ. მცირე დათვის ვარსკვლავთა წყობა. ცნობილია მისი გეომეტრიული თეორემებიც. მაგრამ მისი შემოქმედებითი ნიჭი უფრო აშკარად ფილოსოფიაში მოსჩანს. თალესი პირველი ბერძენი ფილოსოფოსია და ევროპული ფილოსოფიის ისტორიაც მისით იწყება. სწორედ მან დასვა პირველი ფილოსოფიური კითხვა: რა არის ყოველივე და რისგან შედგება იგი? თალესი მოვლენათა და საგანთა მრავალფეროვნების პირველსაწყისად თვლიდა წყალს.

ლებონი გუსტავი (1841 –1931 წწ.) – ფრანგი ექიმი, ანთროპოლოგი, სოციოლოგი, არქეოლოგი, პუბლიცისტი. დამნაშავეობის მასობრივი ფორმების ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ლებონმა შემოიტანა და დაამკვიდრა ცნება „ფსიქოლოგიური ბრბო“, რაც სულაც არ ნიშნავს ერთ ადგილზე მრავალი ადამიანის ერთდროულად ყოფნას. მან ჩამოაყალიბა „ბრბოს სულიერი ერთობის კანონი“: ფსიქიკის აქტივიზირებული არაცნობიერი რეზერვები ბრბოს შემადგენელ ინდივიდებს გადასცემენ მასასთან განსაკუთრებული ემოციურ-კომუნიკაციური ერთიანობის, შერწყმულობის შეგრძნებას. ინდივიდუალური „მე“ ფსიქოლოგიურად ითქვიფება მასობრივ „ჩვენ“-ში და ნებისმიერ ქმედებაზე

კარგავს პირადი პასუხისმგებლობის გრძნობას. ლებონის აზრით, ბრბოს დესტრუქციული ეფექტებისათვის ყველაზე ხელსაყრელი დრო სოციალურ-ისტორიული კრიზისების მშფოთვარე პერიოდია.

ნიცშე ფრიდრიხი (1844 –1900 წწ.) – გერმანელი ფილოსოფოსი, მწერალი, პოეტი, ესეისტი. ნიცშე წარმოშობით სასულიერო პირთა ოჯახიდან იყო. ბავშვობიდანვე სუსტი ჯანმრთელობით, არაკომუნიკაბელობითა და მორიდებულობით გამოირჩეოდა. ეს კომპლესები რომ დაეძლია, სხვებთან ზედმეტად თვითდაჯერებულად და ამპარტავნულად ეჭირა თავი. 1888 წ. ნიცშეს დამბლა დაეცა. სიგიჟემ კი საბოლოოდ დაუსვა წერტილი მის საუნივერსიტეტო პროფესორის კარიერას. ნიცშე მარტოობისათვის განწირული პიროვნება გახლდათ. იგი მთელი არსებით გატაცებული იყო მის მიერვე შექმნილი იდეალური ადამიანის – ზეკაცის სახით და გამოგონილ, ილუზორულ, არარეალურ სამყაროში იმკვიდრებდა თავს, რამაც, საბოლოო ჯამში, თვითგაღმერთებამდე მიიყვანა. თავის ყველაზე ცნობილ ნაწარმოებს „ასე ამბობდა ზარატუსტრა“ (ქვესათაურით – „წიგნი ყველასათვის და არავისთვის“) ნიცშე მიიჩნევდა კაცობრიობის ყველაზე სიღრმისეულ და მნიშვნელოვან წიგნად და საკუთარ თავს ზარატუსტრასთან აიგივებდა. იგი მოწადინებული იყო შეექმნა ახალი ადამიანის, ზეკაცის იდეალი, რომლის მიზანიც ყოველივე ავადმყოფურის, ყალბის, სიცოცხლისადმი მტრულად განწყობილის განადგურება იქნებოდა.

ნიცშეანელობის მეტაფიზიკური ლეიტმოტივი შეიძლება ასე წარმოჩინდეს: ყოველივე არსებული, მათ შორის ადამიანური შემეცნება, მხოლოდ ძალაუფლებისადმი სწრაფვის გამოვლენის ფორმაა; არავითარი აბსოლუტური ყოფიერება არ არსებობს: ყოფიერება ახლის ქმნადობაა და არა მისი განუწყვეტელი წარმოშობის პროცესი, იგი მხოლოდ „მარადიული წრებრუნვაა“ ყოველივე იმისა, რაც წარსულში მრავალჯერ გამეორებულა („ყოფიერების მარადიული ქვიშის საათი კვლავ გადატრიალებულია“); იდენტური, უცვლელი „მე“ ისეთივე ფიქციაა, როგორც ჭეშმარიტი ყოფიერება.

თანამედროვე ექსისტენციალური ფილოსოფიისათვის მეტად მნიშვნელოვანია ნიცშეს შემდეგი მოსაზრება: „ადამიანმა, რომელსაც არ სურს ბრბოსთან შერწყმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაძლიოს სიზარმაცე და მიყვეს თავის სინდისის ხმას: „იყავი რაც ხარ, შეინარჩუნე შენი თავი. ყველაფერი, რაზეც ახლა ფიქრობ და აკეთებ, რისკენაც მიისწრაფი – შენ არ ხარ!“ წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ შაბლონურად მოაზროვნე მანეკენი იქნები.

ნიცშესთან სიმშვიდეს ვერ მოიძიებ, მის ფილოსოფიაში არ არის არც საბოლოო ჭეშმარიტება, არც სარწმუნო დებულებები... ნიცშეს სწორად გაიგებს მხოლოდ ის, ვინც წინასწარ უკვე მიიღო საფუძვლიანი თეორიული განათლება, ვინც შეითვისა აზროვნების სირთულე და სიზუსტე, ვინც ჯიუტი და თავისნათქვამაა. იფილოსოფოსო ნიცშესთან ერთად, ნიშნავს გამუდმებით მის მოწინააღდეგედ დაიმკვიდრო თავი (კარლ იასპერსი).

ორტეგა –ი- გასეტი ხოსე (1883 –1955 წწ.) – ესპანელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, კულტუროლოგი, ჟურნალისტი. მისი ფილოსოფიურ-სოციოლოგიური შეხედულებები ექსისტენციალისტების თვალსაზრისის მსგავსია და ნაწილობრივ ნიცშეს ცალკეულ იდეებსაც ეხმიანებიან. გასეტმა წამოაყენა ვიტალური საწყისიდან (ადამიანთა ცხოველმოქმედი ენერგია) სახელმწიფოს ირაციონალური წარმოშობის ნეორომანტიკული კონცეფცია, ხოლო ცივილიზაციების ისტორიას განიხილავდა, როგორც ორ ძირითად ვიტალურ რითმს (ასაკობრივსა და სექსუალურს) დაქვემდებარებულ პროცესს.

პლატონი (ძვ.წ. 427 – 347) – ანტიკური სამყაროს უდიდესი მოაზროვნე. დაიბადა ათენში, ძველი ტრადიციების მქონე არისტოკრატიულ ოჯახში. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება გახლდათ: წერდა ლექსებსა და დრამებს, სწავლობდა მუსიკასა და ფერწერას, მონაწილეობდა და იმარჯვებდა ოლიმპიურ თამაშებში. ოცი წლის ასაკში ფილოსოფიამ გაიტაცა და სოკრატეს მოწაფე გახდა. მაგრამ ბედი მას პირად ტრაგედიას, გამოცდას უმზადებდა – სასამართლო, ციხე, განაჩენის აღსრულება და უმძიმესი სულიერი ტკივილი. ეს მისი მასწავლებლის, სოკრატეს სასამართლო, პატიმრობა და სიკვდილით დასჯა იყო, რომელიც მისთვის უფრო მეტს წარმოადგენდა, ვიდრე მასწავლებელი – სულიერი მამა, შემდგომში კი, მისი „**Alter ego**“ დიალოგებში. სოკრატეს სიკვდილისთანავე პლატონი ტოვებს ათენს და დიდი ხნის შემდეგ განახლებული, სხვა ადამიანის სახით უბრუნდება მშობლიურ ქალაქს. მან მთელი თავისი ინტელექტუალური და სულიერი შესაძლობლობები მიმართა უკვდავი, მარადიული იდეების, უპირველეს ყოვლისა, უმაღლესი სამართლიანობის იდეის, ზეგრძნობადი სამყაროს არსებობის დასასაბუთებლად. სოკრატესათვის სიკვდილი სხვა სამყაროში, სიცოცხლის სხვა ფორმაში გადასვლას ნიშნავდა. ეს მოსაზრება ამოსავალი დებულება გახდა პლატონისათვის – სამყარო, რომელშიც ადამიანი არსებობს სულიერად და არა ხორციელად, მთავარია. ის რეალობა კი, სადაც უდანაშაულო ბრძენი ადამიანებისათვის სასიკვდილო განა-

ჩენი გამოაქვთ, არ შეიძლება იყოს ერთადერთი, ჭეშმარიტი, უმთავრესი. ამდენად, აუცილებლად უნდა არსებობდეს სხვა, უმაღლესი, იდეალური სამყარო, რომელშიც სამართლიანობა კი არ იბღალება, არამედ სუფევს.

პლატონის ფილოსოფიისათვის დიალოგის ფორმაა დამახასიათებელი, რომლებშიც გადმოცემულია მისი შეხედულებები ყოფიერების დრამატიზმზე, აღმოუფხვრელ ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებსა და ადამიანის მარად მშფოთვარე სულზე, რომელსაც ჭეშმარიტება და სამართლიანობა სწყურია. პლატონმა საკუთარი თავი სოკრატესთან გააიგივა და მისგან თავისი ფილოსოფიური ორეული შექმნა. საინტერესოა, რომ დიალოგებში პლატონისეული სოკრატე არასოდეს გვევლინება ორაკულის როლში. იგი ყოველთვის საბოლოო სიტყვას, ანუ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, ავტორს ან საკუთარ თავს კი არ უტოვებს, არამედ დიალოგის მკითხველს – დღევანდელს, ხვალინდელს, მომავალს. ამაშია მისი ჭეშმარიტი ფილოსოფიური სიდიადე. თავისი დიალოგებით პლატონმა შთამომავლობას ორი სახელის მქონე ერთი მოაზროვნის სწავლება დაუტოვა – სოკრატე-პლატონი. მან თავის თავზე ღმერთების უფლებამოსილება აიღო: მასწავლებელი უკვდავებას აზიარა.

სენეკა (ძვ.წ. 4 – 65) – ძველი რომაელი ფილოსოფოსი, პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე. კეთილშობილი პატრიციების შთამომავალი; მიიღო კარგი ფილოსოფიური და იურიდიული განათლება; დაჯილდოვებული იყო ორატორული ნიჭით; სტოიციზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი; იმპერატორ ნერონის აღმზრდელი, რომელმაც მოგვიანებით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა თავის მასწავლებელს.

სენეკას მიხედვით, ფილოსოფია ცხოვრების ზნეობრივ-რელიგიურ სახელმძღვანელოს წარმოადგენს. ადამიანი ზნეობრივად სუსტი და ნაკლოვანი არსებაა. ამდენად, იგი ზნეობრივი თვალსაზრისით საკმაოდ მომთხოვნი უნდა იყოს საკუთარი თავისადმი, ხოლო მოყვასისადმი იჩენდეს გონივრულ შემწყნარებლობას და არა სიბრალულს. უმაღლესი სათნოება, სენეკას აზრით, საკუთარი თავისადმი ერთგულებაა.

სენეკას თხზულებებმა და თავად ფილოსოფოსის პიროვნებამ განაპირობა სტოიციზმის მნიშვნელოვანი გავლენა რომის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაზე, იურიდიულ სფეროსა და სახელმწიფოს მართვის სისტემაზე.

სოკრატე (ძვ.წ. 470 – 399) – გამოჩენილი ბერძენი მოაზროვნე. დაიბადა ათენში, ქვისმთლელ-სკულპტორისა და ბებია ქალის ოჯახში. თავიდან

მამის პროფესიას მისდევდა, მაგრამ ორმოცი წლისამ ფილოსოფიისადმი დაუოკებელი სწრაფვა და სიყვარული გამოიჩინა და ყოველივე სხვამ მისთვის აზრი დაკარგა. სოკრატე დიდ დროს ათენის ინტელექტუალებთან საუბარ-დისპუტებში ატარებდა. სხვებისაგან განსხვავებით მას თანდაყოლილი გამჭრიახი გონება, არაჩვეულებრივი ორატორული ნიჭი და მკვეთრად გამოხატული შემეცნებითი ინტერესები გამოარჩევდა. „მე ღმერთებმა ჩამაყენეს მწყობრში და ფილოსოფიით დაკავება მარგუნეს ხვედრად, რათა სხვები და საკუთარი თავი გამოვცადო“ – ასე ამბობდა თავის თავზე. ზეპირსიტყვიერი, ცოცხალი ფილოსოფოსობა იყო მისი ჭეშმარიტი ცხოვრებისეული დანიშნულება. სოკრატემ, ირონიულმა და პრინციპულმა მოკამათემ, დაუნდობელმა ისეთი ადამიანური მანკიერებებისადმი, როგორიცაა პირფერობა, ფარისევლობა, ორპირობა, ყეყეჩობა, ანგარება, ათენის მკვიდრთა შორის ბევრი მტერი შეიძინა. სამმა მათგანმა სასამართლოში დააბეზღა სოკრატე და ღმერთების გმობა და ახალგაზრდობის შერყვნა დასდო ბრალად. ხუთასი ნაფიცი მსაჯულისაგან შემდგარმა ათენის სასამართლომ კენჭისყრის საფუძველზე სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ფილოსოფოსს. სოკრატემ თვითონ აღასრულა ეს განაჩენი.

თავად სოკრატეში, როგორც კონკრეტულ ემპირიულ ადამიანში (ჩვეულებრივი ათენელი, მსუქანი, მელოტი, პაჭუა ცხვირით, ოჯახური პრობლემებით დამძიმებული) შინაგანად არსებობდა მეტაფიზიკური „მე“, რომელსაც იგი „დაიმონს“, ანუ შინაგან ხმას უწოდებდა. იგი ყოველთვის ემორჩილებოდა და ითვალისწინებდა „დაიმონის“ რჩევებს. ოდესღაც, შინაგანმა ხმამ სოკრატეს ურჩია, თავი შეეკავებინა პოლიტიკური მოღვაწეობისაგან – უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანი წინ ვერ აღუდგება „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ ნებას, ვერ გადაურჩება მათ რისხვას, როცა დაუფარავად ამხელს მათ არაკანონიერ ქმედებებსა და უსამართლობას. მხოლოდ თავისუფალ კერძო პირს შესწევს ძალა იბრძოლოს სიკეთისათვის. მხოლოდ ასეთ ადამიანს შეუძლია შეინარჩუნოს სულიერი თავისუფლება და ჭეშმარიტების ძიების შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ფილოსოფოსი აღარ არის ბრძენი. პოლიტიკურ ცხოვრებაში მთელი არსებით ჩაფლული ადამიანის სული გარეგან ზემოქმედებას განიცდის და დეფორმირდება. კარგავს რა თავისუფლებას, სული უმაღლეს რეალობასთან კავშირსაც კარგავს. ძილ-ღვიძილის მდგომარეობაში ვარდება. აქედან თავის დაღწევა კი პრაქტიკულად შეუძლებელია. სოკრატე ძალიან აფასებდა თავისუფალი მოაზ-

როვნის სტატუსს, რომლის სულიერი „მე“ ყოველთვის სიფხიზლის მდგომარეობაში იმყოფება, ყოველთვის მზადაა ყველაზე რთული ფილოსოფიური პრობლემების ინტელექტუალური წვდომისა და დაძლევისათვის.

ტარდი გაბრიელი (1843 –1904 წწ.) – ფრანგი სოციოლოგი, ფსიქოლოგი, კრიმინალისტი. იგი თვლიდა, რომ სოციალური ცხოვრების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ინიციატივა (სიახლეები) და მიბაძვა (მოდა და ტრადიციები). ტარდმა დიდი წვლილი შეიტანა ბრბოს ფსიქოსოციალური თეორიის დამუშავებაში.

ფროიდი ზიგმუნდი (1856 –1939 წწ.) – ავსტრიელი ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი; ფსიქოანალიზის ფუძემდებელი, რომელსაც თავიდან ავითარებდა, როგორც ისტერიის სხვადასხვა ფორმების მკურნალობის ფსიქოთერაპიულ მეთოდს, შემდეგ კი, როგორც მოძღვრებას არაცნობიერის საკუთარი კანონზომიერებებისა და მოქმედებების შესახებ, განსაკუთრებით ლტოლვის, ინსტინქტების სფეროში. ფროიდი თავის ყველაზე დიდ მიღწევად თვლიდა არაცნობიერი ფსიქიკური პროცესების აღმოჩენასა და ზრდასრული ადამიანის ფსიქოლოგიის ბავშვობის პერიოდის მოვლენებით ახსნისა და წვდომის მეთოდოლოგიის შემუშავებას.

ფროიდის მოძღვრებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ინდივიდის ფსიქოსექსუალური განვითარების თეორიას. ფროიდის თანახმად, არაცნობიერის საფუძველს სექსუალური ინსტინქტები (ლიბიდო) წარმოადგენს, რომლებიც ადამიანის ფსიქიკური მოქმედებების უმრავლესობას განაპირობებენ და ხასიათდებიან ინსტინქტებთან დაკავშირებული ორი ცნებით: კომპლექსით და სუბლიმაციით (ლათ. ამაღლება, განდიდება. ფროიდთან: გამოძევებული სქესობრივი ლტოლვის გარდასახვა სულიერ მოღვაწეობაში, უმეტესად რელიგიის, მეტაფიზიკის ან ხელოვნების სფეროში).

ფრომი ერიხი (1900–1980 წწ.) – ებრაული წარმოშობის გერმანელი ფსიქოლოგი, სოციოლოგი, ფილოსოფოსი. სხვადასხვა დროს გატაცებული იყო მარქსიზმით, ბუდიზმით, ფსიქოანალიზით.

მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში ფრომს აინტერესებდა და იკვლევდა ბოროტების ანთროპოლოგიურ საფუძვლებს. როგორც ძველი დროის მოაზროვნეები, ფრომიც ბოროტებას სიცოცხლის ერთ-ერთ შემადგენელ გამოვლინებად მიიჩნევდა. სიცოცხლისათვის დამახასიათებელია, როგორც სრულყოფილება და ჰარმონია, ასევე ნაკლოვანება და დისჰარმონია. მართალია, იგი იზიარებდა კლასიკური ფი-

ლოსოფიის მიერ შემუშავებულ მეტაფიზიკურ და ეთიკურ წანამძღვრებს ბოროტების წარმოშობისა და მისი საფუძვლების თაობაზე, მაგრამ მაინც თავისი საკუთარი გზით სიარული არჩია. ფრომი იკვლევდა ადამიანთა სოციალური ქცევის დესტრუქციული ფორმების ანთროპოლოგიურ, ფსიქიკურ და სოციალურ – ფსიქოლოგიურ საწყისებს. თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ადამიანური დესტრუქციულობის ანატომია“ ფრომმა საფუძვლიანად გამოიკვლია აგრესიულობის პრობლემები.

შპენგლერი ოსუალდი (1880 –1936 წწ.) – გერმანელი მოაზროვნე. მოღვაწეობდა სოციალური ფილოსოფიისა და კულტურის ფილოსოფიის სფეროებში. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაშრომი, ფილოსოფიური ბესტსელერი „ევროპის ჩასვენება“ გამოქვეყნდა 1922 წელს. წიგნში განხილულია სახელმწიფოების, კულტურებისა და ცივილიზაციების ისტორიული ბედის კონცეფცია და გამოირჩევა არგუმენტაციისა და საბოლოო დასკვნების ექსტრავაგანტური სტილით.

შპენგლერის ისტორიულ-ფილოსოფიური სისტემა იზიარებს და ემორჩილება ბიბლიური ეკლესიასტის ლაკონურ გამონათქვამს – „ყველაფერი ამაოებაა“.

ძენონი ელეელი (ძვ. წ. დაახ. 490 –430 წწ.) – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, რომელმაც პირველმა გამოიყენა ირიბი დამტკიცების ხერხი. ამის გამო უწოდეს მას „დიალექტიკის შემქმნელი“. ცნობილი გახდა თავისი პარადოქსებით – აპორიებით, რომელთა მიზანს მოძრაობის შეუძლებლობის დამტკიცება წარმოადგენდა („აქილევსი“, „ისარი,“ “დიქოტომია“). ძენონი განთქმული იყო არა მარტო ფილოსოფიით, არამედ პოლიტიკური მოღვაწეობითაც. იგი მონაწილეობდა ერთ პოლიტიკურ შეთქმულებაში ტირანი ნეარხის წინააღმდეგ. შეთქმულება უდროოდ გამოაშკარავებულა და ძენონიც შეუპყრიათ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ძენონი სასტიკად უწამებიათ, მას თავისი მეგობრები არ გაუცია.

სახელმძღვანელოში გამოყენებულ ფილოსოფიურ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი

ადეკვატური – (ლათ. მიტოლებული) – შესაბამისი, თანაზომიერი, შემთანმხმებლური. წარმოდგენა საგნის ადეკვატურია, თუ იგი მას შეესატყვისება, თუ კი იგი „სწორია“.

ავანტიურა სოციალური – „გუბრისტიული მოტივაციის“ (ბერძ. კადნიერი, შეტევითი, თავხედური საწყისი, რომლის საფუძველზეც მიზნის მისაღწევად არაფერს თაკილობენ) ცნობიერების ტყვეობაში მყოფი მრავალი ადამიანის მიერ განხორციელებული გრანდიოზული სოციალური ღონისძიება.

ავანტიურიზმი – ინდივიდებისა და ჯგუფების მოქმედებების სოციალური პრაქტიკა, რომელიც სცილდება და არღვევს საზოგადოდ მიღებულ, ჩვეულ ყოფით, აგრეთვე სოციალურ, მორალურ, სამართლებრივ ნორმებს. მიჩნეულია, რომ პიროვნების ავანტიურისტული ქცევის საფუძველი პრაგმატული ინტერესებია, მაგრამ უფრო ხშირად, იგი განპირობებულია მძაფრი შეგრძნებებისა და განცდების მოთხოვნილებით. ავანტიურისტული ქცევა შეიძლება იყოს, როგორც კონსტრუქციული, ასევე ასოციალური, ანორმალური, დესტრუქციული ხასიათის.

აბსოლუტი – (ლათ. უპირობო) – მარადიული, უსასრულო, სრულყოფილი, უცვლელი, დამოუკიდებელი აბსოლუტური გონი ანუ ღმერთი.

აბსოლუტური სული – ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემაში – აბსოლუტური ცოდნისაკენ სულის აღმავალი განვითარების საბოლოო რგოლი. თავის განვითარების ეტაპებზე აბსოლუტურ იდეას სული სწვდება: ა) ხელოვნებაში – ჭვრეტისა და გრძნობების მეშვეობით, ბ) რელიგიაში - ემოციური განცდებით, გ) ფილოსოფიაში ადეკვატურად აყალიბებს იდეას, როგორც თვითშემეცნებულ ცნებას. ამგვარად, აქტუალიზებული აბსოლუტური სული ხდება გონიერი, თავისუფალი და უსასრულოდ თვითშემოქმედი.

აბსურდული – (ლათ. ხელოვნურად, ყალბად ჟღერადი) – უაზრო, უგუნური, შეუსაბამო, წინააღმდეგობრივი. დავიყვანოთ აბსურდამდე, ნიშნავს დავასაბუთოთ მტკიცების შინაგანი წინააღმდეგობრიობა.

აბულია – (ბერძ.) – მოქმედებათა ფსიქიური რეგულაციის პათოლოგიური დარღვევა; უნებისყოფობა, გაუბედაობა.

აგნოზია – (ბერძ.) – უვიცობა, უცოდინარობა. სოკრატეს თანახმად – საწყისი; სტოიკოსების მიხედვით – ფილოსოფოსობის შედეგი.

აბსტრაქცია – (ლათ. განყენება) – შემეცნებითი ოპერაცია, შემეცნების ფორმა, რომელიც მდგომარეობს საგანთა თვისებების და მიმართებების აზროვნებით გამოყოფაში, გამოცალკევებასა და შემდეგ განზოგადებაში.

აგნოსტიციზმი – (ბერძ. ცოდნის უარყოფა) – მოძღვრება, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოფს სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას. შემეცნების შეუძლებლობის მიზეზად მიიჩნევს ადამიანის შემმეცნებელი უნარების ნაკლოვანებას და შეზღუდულობას.

ავტოკრატია – (ბერძ. თვითმპყრობელობა) – ერთმმართველობა; მმართველობის ფორმა, რომელიც გულისხმობს ერთი პირის განუსაზღვრელ უკონტროლო სრულუფლებიანობას.

ავტონომია – (ბერძ. საკუთარი კანონზომიერება) – საუბრობენ ორგანული სიცოცხლის ავტონომიაზე არაორგანულთან მიმართებაში; აზროვნების ავტონომიაზე ყოფიერებასთან მიმართებაში; ეთიკურ ავტონომიაზე და სხვა.

ავტორიტარიზმი – (ლათ. გავლენა, ძალაუფლება):

1.არასამართლებრივი ხასიათის პოლიტიკური რეჟიმი;

2. ძალაუფლება, რომელიც თავის ფუნქციებს მოქალაქეთა ბუნებითი უფლებების სისტემატური დარღვევის გზით ახორციელებს;

3. ცნობიერების ორიენტაცია, რომელიც მიმართულია მართვის იძულებით-ძალადობრივი მეთოდების აღიარებაზე. ავტორიტარული ცნობიერება არის სახელმწიფოებრივი მართვის ავტორიტარული მოდელის მიერ წარმოშობილი მთავარი სოციალური პროდუქტი. მისთვის დამახასიათებელია: აზროვნების ტიპი, რომელიც, როგორც წესი, სცილდება ზნეობრივ-სამართლებრივი კატეგორიების საზღვრებს; სახელმწიფო ხელისუფლების უკრიტიკო დამოკიდებულება არასამართლებრივი აქციებისადმი; ავტოკრატული მმართველობის სუბიექტებისადმი მაამებლური, მლიქვნელური მორჩილება.

ავტორიტეტი – მნიშვნელობა ან გავლენა, რომელიც შეიძლება ჰქონდეთ ადამიანებს, საგნებს, ნივთებს და რომელიც არ საჭირო-

ებს ამ გავლენისა თუ მნიშვნელობის მუდმივ დასაბუთებას, მის რეალურად დამტკიცებას. იმისდა მიხედვით, თუ რომელი სფერო აქვთ მხედველობაში, საუბრობენ რელიგიურ, პოლიტიკურ, სამეცნიერო და ა. შ. ავტორიტეტზე.

ავტორიტარულ-პოლიტიკური სახელმწიფო – არასამართლებრივი სახელმწიფოს ტიპი, რომლის ფარგლებშიც მართლწესრიგი ემყარება არა განათლებულ, ცივილიზებული მოქალაქეების განვითარებულ მართლშეგნებას, არამედ ხელისუფლების სიფხიზლეს, მის გადაჭარბებულ, აკვიატებულ სწრაფვას ხელქვეითების მეურვეობისადმი და ზედამხედველობის ფუნქციების ზედმიწევნით შესრულებას. ავტორიტარულ-პოლიტიკური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია ადმინისტრირების მრავალსაფეხურობა. ამასთან ერთად, უფლებისმქონე აქციების აბსოლუტური უმრავლესობა ატარებს ზეკანონიერ ხასიათს და დასაშვებად ითვლება მოქალაქეთა ბუნებითი უფლებებისა და თავისუფლებების სისტემატური უგულვებელყოფა. სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული მიზნები ხალხის კეთილდღეობის, მისი მატერიალური უზრუნველყოფის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და ა. შ. შესახებ, აშკარად ეწინააღმდეგება ინდივიდებისადმი (როგორც კონტროლის ობიექტებისადმი და არა როგორც სამართლის სუბიექტებისადმი) ყოველდღიურ პრაქტიკაში დამკვიდრებულ დამოკიდებულებას.

ათეიზმი – (ბერძ. ღმერთის უარყოფა) – ფილოსოფიური თეორია, რომელიც უარყოფს ზებუნებრივ ღვთაებრივ ძალებს და ღმერთის არსებობას. აქედან გამომდინარე, ის უგულვებელყოფს ყოველგვარ რელიგიას და ყველაფრის საფუძველს მატერიალურ სუბსტანციაში ხედავს.

ანთროპოლოგია – (ბერძ. ანთროპოს – ადამიანი, ლოგოს – მოძღვრება) – მოძღვრება ადამიანის წარმოშობასა და ევოლუციაზე.

1. საბუნებისმეტყველო და სამედიცინო ანთროპოლოგია განსაზღვრავს ადამიანის ადგილს ცოცხალ არსებათა სამყაროში და სწავლობს მის სხეულებრივ ორგანიზაციას, რითაც იგი განსხვავდება სხვა ცოცხალი არსებებისაგან. მას განეკუთვნება ანატომია, ფიზიოლოგია, მოძღვრება რასების შესახებ და სხვა.

2. ფილოსოფიური ანთროპოლოგია – ფილოსოფიური კონცეფცია, რომელიც მთელი სისრულით მოიცავს რეალურ ადამიანურ არსებობას, განსაზღვრავს ადამიანის ადგილსა და მის დამოკიდებულებას გარემომცველი სამყარისადმი. ადამიანის რაობის გააზრებისათვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კულტურის ისტორის შესწავლას.

ანთროპოლოგია სამართლის – ცოდნის სფერო, სადაც გაშუქებულია ადამიანის სამართლებრივ რეალობასთან მიმართების ძირითადი პრობლემები: ა) ადამიანის როლი სამართლებრივი რეალობის ჩამოყალიბებაში; ბ) ადამიანის ადგილი სამართლებრივ რეალობაში; გ) სამართლებრივი რეალობის არსებობა ადამიანში; დ) ადამიანის აქტივობის დესტრუქციული ფორმები, რომლებიც ანგრევენ და შლიან სამართლებრივ რეალობას ადამიანის გარშემო და თავად მასში. ანთროპოლოგიური მიდგომის კონტექსტში ადამიანი და სამართალი წარმოადგენენ ურთიერთკრეატიული თვისებების მქონე მხარეებს: ადამიანი ქმნის სამართლებრივ რეალობას, სამართალი კი მონაწილეობს ჭეშმარიტად ადამიანური არსებობის ფორმების დაფუძნებაში, რომლებიც შეესაბამებიან და პასუხობენ ცივილიზებულობის კრიტერიუმებს. ორმხრივი ძალისხმევის შედეგად იქმნება ერთიანი სოციალურ-სამართლებრივი ანთროპოსფერო, რომელიც გამყარებულია სიმბოლური, ნორმატიული, ღირებულებითი, აზრობრივი კავშირებით. სამართლის ანთროპოლოგია აკონკრეტებს ზოგადფილოსოფიურ კითხვას ადამიანის რაობაზე: რას წარმოადგენს იურიდიული ადამიანი და სახელმწიფოებრივი ადამიანი? რას წარმოადგენს კანონმორჩილი ადამიანი და ადამიანი დამნაშავე? და ა. შ. მას აინტერესებს ის ანთროპოგენური საფუძვლები, რომლებიც აიძულებენ ადამიანს დაიცვას ან დაარღვიოს სამართლის ნორმები.

ანთროპომორფიზმი – (ბერძ.) – ადამიანური თვისებების გადატანა უსულო საგნებზე, ღმერთის ცნებაზე ან ბუნებაზე.

ანთროპოცენტრიზმი – (ბერძ.) – შეხედულება, რომლის თანახმად ადამიანი არის სამყაროს ცენტრი და მასში მიმდინარე ყველა მოვლენის მიზანი.

ალქიმია – (ლათ.) – მეცნიერებამდელი მიმართულება ქიმიაში. ალქიმიკოსების მთავარი მიზანი იყო ე. წ. „ფილოსოფიური ქვის“

მოპოვება. „ფილოსოფიური ქვის“ ძირითად თვისებად ითვლებოდა არაკეთილშობილი მეტალების გარდაქმნა ოქროდ და ვერცხლად. ალქიმიკოსები „ფილოსოფიურ ქვას“ მიაწერდნენ მრავალ სამკურნალო თვისებას – დაავადებათა განკურნებას, ახალგაზრდობის დაბრუნებას, სიცოცხლის უსასრულოდ გახანგრძლივებას და სხვა.

ალტერნატივა – (ფრანგ. – ორიდან ერთი) – ორი, ურთიერთგამომრიცხავი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობა; ემყარება მოთხოვნას – მიიღე გადაწყვეტილება და აირჩიე ორიდან ერთი.

ალტრუიზმი – (ლათ. სხვა) – ზნეობრივი პრინციპი, რომელიც გულისხმობს სხვა ადამიანებისადმი უანგარო მსახურებას, მზადყოფნას გაიღოს თავი მსხვერპლად მათი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. საწინააღნდეგო ცნებაა ეგოიზმი.

ამბივალენტობა – (ლათ.) – გრძნობადი განცდების გაორება, რაც გამოიხტება შემდეგში – ერთი და იგივე ობიექტი ადამიანში ერთდროულად ორ ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობას იწვევს. მაგალითად, სიმპათია და ანტიპათია, სიყვარული და სიძულვილი, სიამოვნება და უსიამოვნება.

ამნეზია – (ბერძ.) – მეხსიერების ნაწილობრივ მოშლა ან მთლიანად დაკარგვა.

ანალიზი – (ბერძ. დანაწევრება, დაშლა) – ლოგიკაში ცნებითი (აზრობრივი) დაშლა ერთიანობისა – სიმრავლეებად, მთლიანის – მის ნაწილებად. ანალიზის აქტს ეწოდება ანალიზირება, ხოლო ანალიზის ჩატარების ხერხს – ანალიტიკური მეთოდი. საპირისპირო ცნებაა სინთეზი.

ანალიტიკური მსჯელობა – მსჯელობა, რომლის ჭეშმარიტება დგინდება წმინდა ლოგიკური ანალიზის გზით.

ანალოგია – (ბერძ. მსგავსება) – მიმართებათა მსგავსება, ტოლობა. აგრეთვე, შედარების გზით შემეცნება. შესადარებელ საგნებს შორის აუცილებლად უნდა არსებობდეს, როგორც განსხვავება, ასევე მსგავსებაც. ის, რაც შედარების საფუძვლად გვაქვს აღებული, ბევრად უფრო კარგად უნდა იყოს ჩვენთვის ცნობილი, ვიდრე ის, რაც მას უნდა შევადაროთ.

ანამნეზისი – (ბერძ. მოგონება) – პლატონის თანახმად, შემეცნება – რამდენადაც ყოველი შემეცნება არის სულის მოგონება იდეების შესახებ, რომლებსაც იგი განჭვრეტდა სხეულთან შეერთებამდე.

ანარქია – (ბერძ. უხელისუფლეობა) – მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება საზოგადოება ხელისუფლების გაუქმების პირობებში. ანარქიზმი – მოძღვრება საზოგადოებაზე, რომლის მიზანს წარმოადგენს ადამიანის გათავისუფლება პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ძალაუფლების ყოველგვარი სახესხვაობისაგან. აღიარებს მხოლოდ ცალკეული პიროვნების ნებას, სხვა ნებისმიერ ავტორიტეტსა და სახელმწიფოებრივ წყობას უარყოფს.

ანიმიზმი – (ლათ. ანიმა – სული) – რელიგიური რწმენა სულების არსებობაზე და მათ ძალებზე, რომლის მიხედვითაც ბუნების ყველა საგანშია სული და ის დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე. არსებობდა პირველყოფილ, პრიმიტიულ საზოგადოებაში.

ანომალია – (ბერძ). – ნორმიდან, საერთო კანონზომიერებიდან გადახვევა.

ანორმატული ქცევა – ინდივიდის სოციალური ქმედება, რომელიც არ შეესაბამება ცივილიზებული საზოგადოების სტერეოტიპებს, სცილდება და არ ემთხვევა ეტიკეტის, კულტურის, მორალის, სამართლის საზოგადოდ მიღებულ ნორმებს და ამდენად, როგორც წესი, განაპირობებს საზოგადოებრივი ცნობიერების უარყოფით რეაქციას. საზოგადოებაში ადამიანების ვიტალური, სოციალური და სულიერი აქტივობის ყველა გამოვლინება რეგულირდება, ძლიერდება ან პირიქით, შეფერხებულია სოციალური ნორმებისა და ღირებულებების საფუძველზე, რომელთა მიზანი და დანიშნულებაა სუბიექტის აღმშენებლური მოღვაწეობის სტიმულირება და მათი დესტრუქციული მისწრაფებებისა და ძალისხმევის ბლოკირება. იმ შემთხვევაში, როცა ბლოკირების, შეფერხების, დამუხრუჭების ფუნქციები შედეგს ვერ აღწევს, ხოლო ადამიანთა ქცევები და მოქმედებები არღვევს და სცილდება ნორმატიულ ჩარჩოებს, წარმოიქმნება ანორმატიული ქცევის ფენომენი. ნორმატიული ქცევა უზრუნველყოფს სოციალური სისტემის სტაბილურობას, მდგრადობას, ანორმატიული ქცევის გამოვლენის მიზანს კი წარმოადგენს სისტემის ცვალებადობის უზრუნველყოფა.

ანტაგონიზმი – (ბერძ. ერთმანეთთან ბრძოლა) – წინააღმდეგობა, რომელიც ხასიათდება მტრული ძალების შეურიგებელი ბრძოლით.

ანტითეზისი – (ბერძ. დაპირისპირება) – ლოგიკაში თეზისის საპირისპირო მსჯელობა.

ანტიკურობა – (ლათ. ძველი) – ძველი ბერძნული და რომაული კლასიკური ეპოქა.

ანტინომია – (ბერძ. წინააღმდეგობა) – ორი წინაარმდეგობრივი მსჯელობა, სადაც უპირატესობა არცერთს არ ენიჭება, არამედ ისინი თანაბარდასაბუთებადი მსჯელობებია. ერთის უარყოფით მეორე საბუთდება და პირიქით. დებულებათა შორის ყოველ მათგანს აქვ ს კანონიერი ძალა.

აპეირონი – (ბერძ. განუსაზღვრელი) – ანაქსიმანდრეს მიხედვით, უსასრულო, უფორმო პირველსაწყისი, რომლისგანაც შედგება ყველა საგანი. პლატონთან და პითაგორელებთან – მატერიის სინონიმი.

აპერცეფცია – (ლათ.) – ლოგიკაში, შემეცნების თეორიაში იგივეა, რაც გაცნობიერებული აღქმა.

აპოლოგია – (ბერძ. დაცვა) – დასაცავი სიტყვა. სოკრატეს მიერ სასამართლოს წინაშე წარმოთქმული სიტყვა. აგრეთვე, პლატონისა და ქსენოფანტეს ამ სიტყვისადმი მიძღვნილი თხზულებები.

აპორია – (ბერძ.) – გამოუვალი მდგომარეობა, პრობლემის გადაჭრის შეუძლებლობა, ვინაიდან თავად საგანში ან გამოყენებულ ცნებებში არსებობს წინააღმდეგობა.

აპრიორი – (ლათ. წინამდებარე, წინამორბედი) – ცოდნა, რომელიც წინ უსწრებს ცდას და მისგან დამოუკიდებელია. აპრიორული ეწოდება შეხედულებას, რომლის სისწორის დამტკიცება ან უარყოფა ცდის მეშვეობით შეუძლებელია.

აპოსტერიორი – (ლათ. მომდევნოდან, შემდგომიდან) – შემეცნების თეორიის ცნება. აპოსტერიული ეწოდება ცდის საფუძველზე აღქმიდან მიღებულ ცოდნას. საწინააღმდეგო ცნებაა აპრიორი.

არგუმენტი – (ლათ. საბუთი, მოსაზრება) – დამტკიცება, მისი ის ნაწილი, რომელსაც მტკიცების უტყუარობა, უეჭველობა ეყრდნობა. არგუმენტირება – დამტკიცება, დასაბუთება.

არგუმენტაცია – დასაბუთების მოტანა.

არტეფაქტი იურიდიული – (ლათ. ხელოვნურად გაკეთებული) – ცნება, რომელიც აღნიშნავს სამართლებრივ რეალობაში ჩართული ადამიანის მონაწილეობით შექმნილ მეორად, ხელოვნურ ფაქტებსა და ფორმებს. თუ კი იურიდიული ფაქტი ემპირიულ-თეორიული გზით გამოვლენილი მთლიანობაა და მოიცავს ინფორმაციას სამართლებრივი რეალობის შიგნით არსებულ კონკრეტულ სუბიექტურ ურთიერთობებზე, იურიდიული არტეფაქტი არის გენეტიკურად მეორადი კულტურული რეალობა, რომელიც თავისი შემეცნებითღირებულებითი ფუნქციების საფუძველზე იძლევა ინფორმაციას სამართლებრივ ურთიერთობების არსებით თვისებებზე.

არხე – (ბერძ. საწყისი) – პირველსაწყისი, პრინციპი.

არხეტიპი – (ბერძ. საწყისი სახე) – პირველსახე, საწყისი ფორმა, ნიმუში.

ასკეტიზმი – (ბერძ. რაიმეში მოვარჯიშე) – თავდაპირველად ათლეტების შეჯიბრებისათვის მომზადება; შემდგომში – სათნო ცხოვრებისაკენ სწრაფვა და ცოდვებთან და მავნე ჩვევებთან ბრძოლა. ქრისტიანული ასკეტიზმი – ლოცვაში, მარხვაში, სხეულის განწმენდაში მოღვაწე ადამიანის ცხოვრება.

ასოციალური – (ბერძ.) – საზოგადოების მიმართ შინაგანად გულგრილი და გარეგნულად პასიური ადამიანი.

ატრიბუტი – (ლათ. გამოყოფა, ბოძება) – თვისება, ნიშანი, არსებითი ნიშან-თვისება.

აფექტი – (ლათ. სულიერი მღელვარება, გაშმაგება, გახელება) – ხანმოკლე ემოციური მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება გრძნობების ავადმყოფური აღგზნებით, აზროვნებისა და მისი ზემოქმედების ძლიერი დაქვეითებით.

აქსიოლოგია – (ბერძ. აქსი – ღირებულება, ლოგოს – მოძღვრება) – ფილოსოფიური მოძღვრება ღირებულებებზე. ღირებულებებში იგულისხმება იდეები, იდეალები, შეხედულებები, პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ადამიანთა ცხოვრების წესს. აქ იგულისხმება ზნეობრივი, სამართლებრივი, პოლიტიკური, რელიგიური, მეცნიერული, მხატვრული (ხელოვნების) და სხვა იდეები, იდეალები და პრინციპები, რომელთაც ღირებულება აქვთ საზოგადოებისა და პიროვნებისათვის.

ბიბლია – (ბერძ. წიგნები) – ქრისტიანობის წმინდა წერილი ღვთის გამოცხადებაზე, სამყაროზე და ადამიანზე, კაცობრიობასა და მის მომავალზე, მის საბოლოო ბედ-იღბალზე. შედგება ორი ნაწილისაგან – „ძველი აღთქმა“ (51 წიგნი) და „ახალი აღთქმა“ (27 წიგნი) და წარმოადგენს ერთ მთლიანობას. ბიბლია შვიდასამდე ენაზე და დიალექტზეა თარგმნილი. ქართულ ენაზე არსებობს ძველი და ახალი აღთქმის უძველესი თარგმანები და მოგვიანო რედაქციები (ხანმეტი და საბაწმინდური VII-VIII სს., ადიშური - 897წ., ჯრუჭ-პარხლის –X ს., ოშკური - 987 წ., ათონური - X-XI სს., ირუსალიმური – XI ს., გელათური - XII ს., მცხეთური - XVII–XVIII სს., ბაქარისეული – 1743 წ., 1884 წ.).

ბოროტება – ფილოსოფიურ-ეთიკური კატეგორია, რომელიც ადამიანთა სოციალურ სინამდვილეში აღნიშნავს ყოველივე არამართებულის ვნების მომტან და საშიშ ფორმებს. ბოროტება, როგორც ონტოლოგემა არსებობს სამი ძირითადი იპოსტასის სახით: 1. მეტაფიზიკური, 2. რელიგიური და 3. ნატურალისტური. ბოროტება, როგორც სიკეთის ანტითეზა, წარმოადგენს იმ სოციოგენური ფენომენების კვალიფიცირების ზოგადშემფასებლურ კატეგორიას, რომლებიც ადამიანური არსებობის უმნიშვნელოვანეს ღირებულებებსა და ფასეულობებს ნგრევით და განადგურებით ემუქრება.

ბუნებითი სამართალი – ფილოსოფიურ – სამართლებრივი და იურიდიული აზროვნების ერთ-ერთი წამყვანი პარადიგმა, რომელიც ეყრდნობა კოსმოსში, ბუნებასა და საზოგადოებაში გაბატონებულ ერთიან ნორმატიულ – ღირებულებით პრინციპებს და შესაძლებლობა აქვს გახდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონდებულებათა სამართლიანობის საზომი. ბუნებითი სამართალი (ჩვეულებითი სამართლის დაუწერელი წესებისა და ტრადიციების სახით) წარმოიშობა კაცობრიობის ცივილიზაციისა და კულტურის გაჩენასთან ერთად. მისი მოთხოვნები წარმოდგენილია მითებში, რელიგიურ და მორალურ ნორმატივებში. მოგვიანებით, ფილოსოფიის წარმოშობასთან ერთად, ისინი იღებენ ონტოლოგიურ და მეტაფიზიკურ დასაბუთებას.

გაუცხოება – ადამიანის ისეთი მდგომარეობა, როდესაც მასზე ბატონობს გარეგანი სოციალური ფაქტორი, რომელიც ადამიანს

ართმევს შინაგან თავისუფლებას. ეს წარმოშობს განსხვავებას მოქმედების მიზანსა და შედეგს შორის, რის გამოც ადამიანი პესიმისტურ და ნიჰილისტურ განწყობაში ვარდება და გამოსავალის პოვნა უძნელდება.

დეტერმინიზმი – (ლათ. განსაზღვრა) – შეხედულება სამყაროს კანონზომიერების შესახებ, რომლის მიხედვითაც სამყაროში ყველაფერი მიზეზ-შედეგობრივი კავშირით არის განპირობებული, დეტერმინირებული. ამიტომ სამყაროში არ არსებობს არავითარი უმიზეზო მოვლენა ანუ შემთხვევითობა. შემთხვევითობა მხოლოდ სუბიექტური არცოდნის გამო მოიხმარება მეცნიერებაში, თორემ თავისთავად სამყაროში არავითარი შემთხვევითობა არ არსებობს. სამყაროს მხოლოდ მკაცრი აუცილებლობა და მიზეზობრიობა მართავს.

დედუქცია – (ლათ. გამოყვანა) – ზოგადიდან კონკრეტულის გამოყვანა;

დედუქციური მეთოდი – აზროვნების მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ზოგადი მსჯელობიდან გამოგვყავს კერძო დებულებები.

დეიზმი – (ლათ.) – რწმენის ფორმა, რომელიც წარმოიშვა განმანათლებლობის ეპოქაში (განსაკუთრებით დამახასიათებელია ინგლისისათვის). დეიზმის თანახმად, მართალია, ღმერთი სამყაროს პირველმიზეზია, მაგრამ შექმნის შემდეგ სამყარო მისი მონაწილეობის გარეშე ვითარდება; არც სასწაულებს, არც ღვთის შვილის მოვლინებას დედამიწაზე, კავშირი არა აქვთ სამყაროს განვითარებასთან.

დეკადენტობა – (ფრ. გახრწნა, დაკნინება, დაცემა) – ცნება, რომელიც ხშირად იხმარება ფილოსოფიის ისტორიაში კულტურებისა და სხვადასხვა ერების ისტორიის აყვავებისა და დაკნინების პერიოდების განხილვის დროს.

დეკალოგი – ბიბლიური ათი მცნების ზოგადი დასახელება.

დემიურგი – (ბერძ.) – პლატონის ფილოსოფიაში: სამყაროს შემქმნელი ღვთაება

დემოკრატია – (ბერძ. ხალხის ძალაუფლება) – სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს ხალხს და მის წარმომადგენლებს უშუალოდ განახორციელონ მმართველობითი ფუნქციები.

დეპრესია – (ლათ. დათრგუნვა) – დათრგუნული სულიერი მდგომარეობა.

დესპოტიზმი – სახელმწიფო მმართველობის არასამართლებრივი ფორმა, რომლის დროსაც ხელისუფლების მხრიდან სასტიკად და სისტემატურად ირღვევა მოქალაქეთა ბუნებითი უფლებები, ილახება პიროვნების ღირსება და ითრგუნება მისი თავისუფალი ნება.

დესტრუქციულობა – ე. ფრომის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ცენტრალური ცნება. აღნიშნავს ზოგიერთი ადამიანის ნგრევითი პროცესებისადმი მისწრაფებასა და მიდრეკილებას.

დეფინიცია – (ლათ. შეზღუდვა) – ცნების განსაზღვრა მისი თვისებების ჩამოთვლის გზით.

დიდაქტიკა – (ბერძ. გაწრთვნის, განსწავლის ხელოვნება ან მეცნიერება) – განსწავლის თეორია.

დისონანსი – (ლათ. სხვადასხვახმოვანობა, არაკეთილხმოვანი, შეუწყობელი) – არაკეთილხმოვანება, უთანხმოება.

დოგმა – (ბერძ. აზრი) – ფილოსოფიური თეზისი, რომლის ჭეშმარიტება საფუძვლად ედება ამა თუ იმ ფილოსოფიურ სისტემას; აგრეთვე, ქრისტიანული რწმენის დოგმატი – საეკლესიო კანონი, რომელიც შეცვლას არ ექვემდებარება.

დოქტრინა – (ლათ. სწავლება) – სისტემატიზირებული ფილოსოფიური, პოლიტიკური ან იდეოლოგიური მოძღვრება, კონცეფცია, პრინციპების ერთობლიობა.

დიალექტიკა – (ბერძ. ვსაუბრობ, ვმსჯელობ) – მოძღვრება განვითარების შესახებ. ძველ საბერძნეთში მასში კამათის ხელოვნება იგულისხმებოდა. კამათი მიჩნეული იყო აზროვნების განვითარების საშუალებად, რომლითაც ჭეშმარიტება მიიღწეოდა. ჰეგელმა დიალექტიკა აბსოლუტური გონის თვითშემეცნების მეთოდად გამოაცხადა. ჰეგელის მიხედვით აზროვნების დიალექტიკა წარმოადგენს შემეცნების აღმავალ პროცესს, რომლითაც ადამიანი აბსოლუტური გონის შემეცნებისაკენ მიისწრაფვის.

დუალიზმი – (ლათ. ორი) – ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც მატერიალურ და სულიერ სუბსტანციებს მიიჩნევს თანაბარმნიშვნელოვან საწყისებად, რომლის მიხედვითაც ვერც სულისაგან წარმოიშო-

ბა მატერია და ვერც მატერია წარმოშობს სულს, არამედ ისინი აბსოლუტურად განსხვავებული ცნებებია.

ეგოიზმი – (ლათ) – თავისთავის მოყვარულობა, თავმოთნეობა. ქცევა, რომელიც სრულად შემოიფარგლება და განისაზღვრება საკუთარი „მე“- ს ინტერესებით – საკუთარი სარგებელი, გამორჩენა, საკუთარი ინტერესების სხვა ადამიანის ინტერესებზე მაღლა დაყენება. საწინააღმდეგო ცნებაა ალტრუიზმი.

ეგოცენტრიზმი – სამყაროსადმი დამოკიდებულების ფორმა, რომელიც ხასიათდება საკუთარ ინდივიდუალურ „მე“-ზე ყურადღების აქცენტირებით.

ევთანაზია – (ბერძ. კარგი სიკვდილი) – „კარგი, სასიამოვნო სოკვდილი“. პირველად ეს ტერმინი გამოიყენა ბეკონმა. იგი ევთანაზიაში მსუბუქ, უმტკივნეულო, ბედნიერ სიკვდილს გულისხმობდა. მეცნიერულ ტერმინოლოგიაში დამკვიდრდა XX ს. მე-2 ნახევრიდან და აღნიშნავს შეგნებულ ქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც იწვევს განუკურნებელი სენით დაავადებული პაციენტის სიკვდილს, შედარებით სწრაფი და უმტკივნეულო გზით. მისი მიზანია შვება მოუტანოს და იხსნას ადამიანი მტანჯველი ტკივილებისაგან.

ეთიკა – (ბერძ. ჩვეულება) - ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც შეისწავლის ადამიანის მორალს, ადამიანის ზნეობრივი ქცევის ნორმებს და ღირებულებებს. ეთიკა არის აქსიოლოგიური თეორია, რომელიც ყურადღების ცენტრში აყენებს იმ პრინციპებისა და ღირებულებების კვლევას, რაც საფუძვლად უდევს ადამიანთა ცხოვრების წესს. აქ საქმე ეხება იმ იდეებსა და იდეალებს, რისთვისაც ადამიანი ახორციელებს თავის აქტიურ მოქმედებას და აზრს აძლევს სიცოცხლეს.

ეთიკური თეოლოგია – (აგრეთვე, მორალური თეოლოგია) – გვხვდება კანტის „პრაქტიკული გონების კრიტიკაში“. კანტის თანახმად, ზნეობრივი კანონის არსებობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მოქმედებების, ქცევების მორალურობას, უკვე წარმოადგენს ღმერთის, როგორც ამ კანონის პირველშემოქმედისა და მისი გარანტის, არსებობის დასაბუთებას.

ეკლექტიკა – (ბერძ. არჩევის უნარი; ის ვინც ირჩევს) – განსხვავებული ხასიათის შეხედულებების, იდეების, პრინციპების ან თეორიების შეერთება. ეკლექტიკი ეწოდება პიროვნებას, რომელიც

თავად არ ქმნის ერთიან პრინციპზე დაფუძნებულ საკუთარ ფილოსოფიურ სისტემას და არ იზიარებს რომელიმე ერთი ფილოსოფოსის შეხედულებებს, არამედ სხვადასხვა სისტემებიდან სესხულობს მისთვის მისაღებ, სწორ იდეებს და აერთიანებს მათ.

ელიტა – (ფრ. საუკეთესო, რჩეული) – სოციოლოგიაში საზოგადოების მაღალი, პრივილეგირებული ფენა, რომელიც ახორციელებს მართვის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ფუნქციებს.

ემანაცია – (ლათ. გამოსვლა, გამოდინება) – მთლიანიდან, ერთიანიდან გამოდინება, გამოსხივება. ნეოპლატონიზმისა და გნოსტიციზმის თანახმად, სამყარო არის ღვთის ემანაცია, რომელიც იმავდროულად უცვლელი რჩება.

ემპირიზმი – (ბერძ. ცდა) – ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც გრძნობად ცდას ცოდნის ერთადერთ წყაროდ მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ ყოველგვარი ცოდნა საბუთდება ცდაში და ცდის საშუალებით; არ არსებობს არავითარი თანდაყოლილი ზოგადი იდეები ადამიანის ცნობიერებაში, არამედ ცნობიერების შინაარსი მთლიანად შეგრძნებებით მიღებული ცოდნით განისაზღვრება. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები არიან: ბერკლი, იუმი, ავენარიუსი, ლოკი და სხვები.

ესთეტიკა – (ბერძ. მგრძნობელი) – მოძღვრება მშვენიერების შესახებ. ეს არის ხელოვნების თეორია, რომელიც იკვლევს მხატვრულ სახეებში გადმოცემულ ისეთ ღირებულებებს, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის მხსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ესთეტიკა მსჯელობს და აფასებს ხელოვნების ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა მშვენიერება, სილამაზე, ამაღლებული, ტრაგიკული, კომიკური და სხვა.

ეპისტომოლოგია სამართლებრივი – (ბერძ.) – დისციპლინათშორისი თეორიული სფერო, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია მეთოდოლოგიური პრობლემები სამართლის ბუნებაზე, სტრუქტურასა და ფუნქციებზე.

ექსისტენცია – (ლათ. არსებობა) - ადამიანური არსებობის წესი. ეს ტერმინი იხმარება ექსისტენციალიზმში და წარმოადგენს ადამიანური „მე“-ს სულიერ საწყისს, რომლის წყალობითაც ადამიანი არის განუმეორებელი პიროვნება, პერსონა.

ექსისტენციალები – ადამიანური არსებობის საშუალებები, ადამიანური ყოფიერების კატეგორიები (არსებობა სამყაროში, შიში, ზრუნვა, სიყვარული, გაგება, მარტოობა და სხვა).

ექსისტენციალიზმი – ფილოსოფიური მოძღვრება ადამიანური არსებობის შესახებ; ჩამოყალიბდა XX საუკუნეში. მისი ძირითადი წარმომადგენლები არიან: იასპერსი, ბერდიაევი, ჰაიდეგერი, სარტრი, კამიუ, და სხვ. ექსისტენციალიზმი არის ირაციონალისტური ფილოსოფია, ის არ იზიარებს და აკრიტიკებს ყოველგვარ რაციონალიზმს და მიაჩნია, რომ ფილოსოფიამ უნდა იკვლიოს მხოლოდ ადამიანი და მასთან დაკავშირებული პრობლემები. ფილოსოფიამ ხელი უნდა აიღოს მთელი სამყაროს შესწავლაზე, რასაც ტრადიციული ფილოსოფია აკეთებდა და მიზნად უნდა დაისახოს ადამიანის სულიერი სამყაროს წვდომა. ექსისტენციალიზმის მიხედვით, სულიერი სამყაროს წვდომა და მისი ექსისტენციალური ფენომენების გაგება შეუძლებელია რაციონალური მეთოდებით; მათი აზრით, ასეთი წვდომის ფუნქციას მხოლოდ ემოციონალური ინტუიცია და ემოციონალური განცდა ასრულებს. შიშისა და სასოწარკვეთის განცდის მომენტში ადამიანი გაცილებით მეტს იგებს მისი ყოფიერების შესახებ, ვიდრე ხანგრძლივი ლოგიკური გააზრების საშუალებით. ამდენად, ადამიანს სიცოცხლის არსი მხოლოდ განცდაში ეძლევა; ასევე განცდის საშუალებით ხდება გასაგები ექსისტენციები და ღირებულებები, რითაც ადამიანი ხელმძღვანელობს გადაწყვეტილების მიღებაში. ექსისტენციალიზმი ეჭვქვეშ აყენებს სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს და საერთოდ მეცნიერების როლს საზოგადოებრივი ისტორიის განვითარებაში. მათი აზრით, სწორედ ტექნიკურმა პროგრესმა წარმოშვა პიროვნების გაუცხოების პრობლემა, რამაც გამოიწვია ადამიანთა პიროვნული ღირსებების ნიველირება, სტანდარტიზაცია და თავისუფლების დაკარგვა.

ვერიფიკაცია – (ლათ. ჭეშმარიტების დამტკიცება) – ლოგიკური პოზიტივიზმის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი, რომლის თანახმად, სამყაროს შესახებ ყოველი მტკიცების ჭეშმარიტება, საბოლოო ანგარიშით, უნდა დადგენილ იქნეს გრძნობად მონაცემებთან მისი შედარების გზით. ამდენად შემეცნება არ უნდა გასცდეს გრძნობადი ცდის საზღვრებს, შემეცნება უნდა შემოიფარგლოს ცდიდან

მიღებული ცოდნის ლოგიკური ანალიზით. დებულება, რომელიც ცდაში არ მოწმდება, მცდარია.

ვირტუალური – (ლათ. ძალა, უნარი) – შემძლე.

ვიტალური – ადამიანის ცხოველმოქმედი ენერგია.

ვოლუნტარიზმი – (ლათ. ნება) – ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს ობიექტური კანონებისა და ადამიანის გონების როლს საზოგადოების ისტორიაში. ისტორიის მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს ღვთაებრივ ან დიდ პიროვნებათა ნებას. სწორედ ამიტომ ეწოდება მას ნებისყოფის ანუ ვოლუნტარიზმის თეორია. ვოლუნტარიზმი არის ირაციონალისტური თეორია. მისი ძირითადი წარმომადგენლები არიან: შოპენჰაუერი, ჰარტმანი, ნიცშე და სხვ.

ვულგარული მატერიალიზმი – (ლათ. უბრალო) - XIX ს. ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც ბუნების მეცნიერული მონაცემებით ცდილობდა ადამიანის და მისი ცნობიერების ახსნას. ისინი მატერიალურ სინამდვილეს და ცნობიერებას ერთიმეორესთან აიგივებდნენ, ცნობიერებას ფიზიოლოგიური პროცესებით ხსნიდნენ. მისი წარმომადგენლები არიან: ფოგტი, მოლეშოტი, ბიუხნერი და სხვა.

ზარატუსტრა – (დაახ. ძვ. წ. X-VI სს.) – ძველი ირანული რელიგიის ქურუმი და რეფორმატორი. მის სწავლებას გადმოსცემს ამ რელიგიის წმინდა წიგნი „ავესტა“.

ზნეობრიობა – ნორმატიული დადგენილებების სისტემა, რომელიც იცავს ადამიანური არსებობის უნივერსალურ ღირებულებებს – სიცოცხლე, თავისუფლება, ღირსება და სხვა.

თალმუდი – (ძვ. ებრ. შესწავლა) – იუდაიზმის რელიგიურ-ეთიკური და სამართლებრივი დებულებების კრებული.

თეზა, თეზისი – (ბერძ. ფუძემდებლური დებულება) – მტკიცებულება, დებულება. ლოგიკაში – მტკიცებულება, რომელიც დამტკიცებას მოითხოვს.

თეიზმი – (ბერძ. ღმერთი) – რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, აღიარებს პიროვნული ღმერთის არსებობას, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ყველა მატერიალურ და სულიერ პროცესსზე. ამიტომ ყოველივე, რაც სამყაროში ხდება, ღმერთის ჩანაფიქრის განხორციელებას წარმოადგენს.

თეოგონია – (ბერძ.) – ღმერთების დაბადება; მითი ღმერთების წარმოშობაზე.

თეოკრატია – (ბერძ.) – სახელმწიფოს მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც საერო პოლიტიკური ძალაუფლება სასულიერო პირთა ხელშია.

თეოსოფია – (ბერძ.) – ღვთაებრივი სიბრძნე; უშუალო ჭვრეტით მიღწეული უმაღლესი ცოდნა ღმერთისა და ღვთაებრივი შესაქმის საიდუმლოების შესახებ.

თეოლოგია – რელიგიური მოძღვრება ანუ ღვთისმეტყველება, რომელიც ამა თუ იმ რელიგიის სარწმუნოების პრინციპებისა და დოგმების სისტემატიზაციას ახდენს. ქრისტიანული თეოლოგია ეყრდნობა ბიბლიას, საეკლესიო კრებების დადგენილებებს და „ეკლესიის მამების“ მოძღვრებას.

იდეალი – (ბერძ. სახე, ხატი) – ადამიანის ან საზოგადოების უმაღლესი მიზანი, რომელიც აზრს აძლევს ადამიანის და საზოგადოების შემოქმედებით აქტივობას. იდეალი არის ის უმაღლესი ღირებულება, რომლისთვისაც ადამიანი ყველაფერს სწირავს, თვით სიცოცხლესაც კი. იდეალის ცნება სხვა მნიშვნელობითაც იხმარება. მაგალითად, როდესაც ადამიანი რაიმეს შეფასებას ახდენს (იდეალური ადამიანი, იდეალური ქანდაკება, იდეალური მუსიკა და ა.შ.), იდეალური შეფარდებითი მნიშვნელობის ცნებას გამოხატავს, რადგან შეფასება სუბიექტურ გემოვნებაზეა დამოკიდებული.

იდეალიზმი – ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც მატერიალურთან შედარებით სულიერების უპირატესობას ამტკიცებს; იდეები პირველადი და მარადიულია, ხოლო მატერიალური საგნები მეორადი და წარმავალი. ეს იყო პლატონის ფილოსოფიის ამოსავალი პრინციპი, რომელიც განავითარეს დეკარტმა, ლაიბნიცმა, ჰეგელმა... ობიექტური იდეალიზმის გარდა, არსებობს სუბიექტური იდეალიზმის თეორიაც, რომელიც მატერიალურთან მიმართებაში ობიექტური იდეების ნაცვლად, შეგრძნებებისა და აღქმების უპირატესობას ასაბუთებს. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლებთა (ბერკლი, იუმი, ავენარიუსი) აზრით, მატერიალური სინამდვილე სუბიექტური შეგრძნებებით განისაზღვრება.

იდენტურობა – (ლათ. – იგივე) – იგივეობრიობა, სრული დამთხვევა.

იდეოლოგია – პოლიტიკური, სამართლებრივი, ზნეობრივი, რელიგიური შეხედულებების სისტემა, რომელსაც ესა თუ ის ფილოსოფია ან პოლიტიკური ორგანიზაცია აყალიბებს საზოგადოების მომავლის, მისი მართვისა და ცხოვრების წესის შესახებ.

იმანენტური – (ლათ. ნიშანდობლივი) – შინაგანად დამახასიათებელი თვისება (კანონზომიერება). გნოსეოლოგიაში ეს ტერმინი გამოიყენება სუბიექტის შინაგანი კანონზომიერების აღმნიშვნელად. ამ ტერმინს კანტი იყენებს ტრანსცენდენტურის (ის რაც სუბიექტის გარეთ არის და არ მოიაზრება) საპირისპირო მნიშვნელობით. კანტმა თავისი ფილოსოფია სწორედ იმანენტურის კანონზომიერების შესწავლას მიუძღვნა. იმანენტური ცნების ირგვლივ ყველა დროის ფილოსოფიაში იყო კამათი, რაც დღესაც გრძელდება, რადგან ის ფენომენოლოგიური ფილოსოფიის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს.

იმატერიალური – (ლათ.) – არასაგნობრივი, არასხეულებრივი, სულიერი.

იმორალიზმი – მორალის პრინციპებისა და მოთხოვნების აუცილებლობის უარყოფა.

იმპერატივი – (ლათ.) – მოთხოვნა, ბრძანება, კანონი.

ინდეტერმინიზმი – დეტერმინიზმის საპირისპიროდ ამტკიცებს, რომ სამყაროში ობიექტურად არ არსებობს მიზეზობრიობისა და აუცილებლობის კანონი, არამედ სამყაროში გაბატონებულია მხოლოდ შემთხვევითობა და ალბათობა. ინდეტერმინიზმი განსაკუთრებით თანამედროვე კვანტური ფიზიკის მონაცემებს ემყარება, სადაც მიზეზობრიობის კლასიკური გაგება ძალას კარგავს. კლასიკურ ფიზიკაში მიღებული იყო, რომ ერთი და იგივე მოვლენა, ერთსა და იმავე პირობებში, ერთსა და იმავე შედეგს იძლევა. ხოლო კვანტურმა ფიზიკამ დაადგინა, რომ მიკრო ნაწილაკი ამ კანონს არ ემორჩილება და მოქმედებს არაერთმნიშვნელოვნად, არამედ უსასრულოდ მრავალი შესაძლებელი მიმართულებით. მოგვიანებით გაირკვა, რომ მიკრო სინამდვილეს აქვს ალბათური სტატისტიკური მიზეზობრიობა.

ინტუიცია – (ლათ. დაჟინებით მზერა) – უშუალო შემეცნების არაცნობიერი უნარი. არსებობს ინტუიციის სხვადასხვა ფორმები: გრძნობადი, ინტელექტუალური, ემოციონალური და მისტიკური. გრძნობადი ინტუიცია გრძნობად-კონკრეტულ სინამდვილეს ეხება, ინტელექტუალური – ზოგად ცნებებს, ემოციონალური – სუბიექტურ განცდებს, ხოლო მისტიკური – ღმერთის შემეცნებას ახორციელებს.

ინტუიტივიზმი – ფილოსოფიური თეორია, რომელიც შემეცნებაში უპირატესობას ანიჭებს ინტუიციას და ამტკიცებს, რომ ადამიანის შემოქმედებითი აქტივობა და სასიცოცხლო სწრაფვა მხოლოდ ინტუიციური არაცნობიერი ალღოს საფუძველზე მიმდინარეობს, რომ ადამიანის სიცოცხლის უსასრულო სწრაფვის შემეცნება და წვდომა მხოლოდ ინტუიციით ხდება. რაც შეეხება ინტელექტს, მას მხოლოდ მატერიალური საგნების შემეცნება შეუძლია და მეტი არაფერი. მათი აზრით, ინტელექტი და საერთოდ მეცნიერება, ხელს უშლის და წინ ეღობება ნამდვილი სიცოცხლის განხორციელებას.

ინტუიტიური მეთოდი – შემეცნებით საშუალებათა ერთობლიობა, რომელიც ეყრდნობა მატერიისა და სულის, სუბიექტისა და ობიექტის, ცნობიერისა და არაცნობიერის ერთიანობის იდეას და აღიარებს ადამიანის სულის მიერ ერთიანი სამყაროსა და მისი ცალკეული ნაწილების, მათ შორის, სამართლებრივი რეალობის არსის, უშუალო, არარაციონალური წვდომის სტრატეგიას.

ინფანტილური – (ლათ.) – ბავშვური.

ინფანტილიზმი – ბავშვობის ეტაპზე ფიზიკური და გონებრივ-სულიერი განვითარების შეფერხება.

ინცესტი – (ლათ. – ბიწიერი, მანკიერი) – სისხლის აღრევა, სისხლის ნათესავთა შორის სექსუალური კავშირი.

ირაციონალიზმი – (ლათ. არაგონიერი) – ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც შემეცნების ძირითად უნარად ინტუიციას მიიჩნევს, ხოლო ადამიანის აზროვნების როლს შემეცნებაში უმნიშვნელოდ თვლის. ირაციონალიზმის მიხედვით, ადამიანის გონება უძლურია ჩაწვდეს სამყაროს საიდუმლოებას და განსაკუთრებით ადამიანის სიცოცხლის კანონზომიერებას.

კათარსისი – (ბერძ. – განწმენდა) – ემოციური განმუხტვა; სულის მისტიკური განწმენდა.

კანიბალიზმი – კაციჭამიაობა; ცნობილია კანიბალიზმის რამდენიმე სახესხვაობა:

1. ნეკროფაგია – უბედური შემთხვევების, ავადმყოფობის, სიბერის შედეგად გარდაცვლილი ადამიანების ხორცის ჭამა;

2. ეგზოკანიბალიზმი – მტრების, ტყვეების, აგრეთვე ადამიანებზე მიზანმიმართული ნადირობის მსხვერპლთა ხორცის გამოყენება საკვებში;

3. ენდოკანიბალიზმი – ნათესავების, რიტუალური მსხვერპლისა და მოხუცებულ თვისტომთა ხორცის ჭამა.

კატეგორია – (ბერძ. გამოთქმა, მტკიცება) – ცოდნის ფორმა, რომელშიც გამოითქმება სინამდვილის სხვადასხვა კავშირები, მიმართულებები, თვისებები და კანონზომიერებანი. განასხვავებენ უნივერსალურ და სპეციფიკურ კატეგორიებს.

კატეგორიები ფილოსოფიურ – სამართლებრივი, ფილოსოფიურ – იურიდიული დისკურსის მნიშვნელოვანი შინაარსობრივ-აზრობრივი დატვირთვის მქონე საკვანძო ცნებები, რომლებიც მაქსიმალური აქტივობით მონაწილეობენ სამართლის სუბიექტის ფილოსოფიური თვითშეგნების ანალიტიკურ მოღვაწეობაში. მათ რიცხვს განეკუთვნება ისეთი ცნებები, როგორიცაა ნორმა, კანონი, სამართლიანობა, ბუნებითი და პოზიტიური სამართალი, თავისუფლება, ძალაუფლება, მართლმსაჯულება, დანაშაული, სასჯელი, სამართლებრივი ურთიერთობები, სოციალურ-სამართლებრივი წინააღმდეგობები, სოციალური წესრიგი და სხვა.

კანონი – ერთიანი სისტემის ელემენტებსა და თვისებებს შორის ობიექტური ხასიათის მდგრადი, არსებითი კავშირი.

კანონიკური სამართალი – რელიგიური და იურიდიული ნორმების სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა საეკლესიო კანონების საფუძველზე.

კატეგორიული იმპერატივი – კანტის „პრაქტიკული გონების კრიტიკის“ გამოქვეყნების შემდეგ იმპერატივი განიხილება, როგორც საყოველთაოდ მნიშვნელოვანი ზნეობრივი დადგენილება (მაქსიმის – პირადი პრინციპის – საწინააღმდეგოდ); წესი, რომელიც ვალდებულებას გამოხატავს (ობიექტური დავალდებულება – მოიქეცი ასე და არა სხვაგვარად). ჰიპოთეტური იმპერატივი მოქმედებს მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში; კატეგორიული იმპერატივი

გულისხმობს უპირობო ვალდებულებას. იგი ადგენს ქცევის აუცილებელ ფორმასა და პრინციპს.

კაუზალობა – მიზეზობრიობა, მიზეზისა და შედეგის კანონზომიერი კავშირი.

კოლიზია – (ლათ.) – დაპირისპირებული ძალების, მისწრაფებების, შეხედულებების, ინტერესების შეჯახება.

კონსესუსი მორალურ – სამართლებრივი – (ლათ. შეთანხმებულობა) – სოციალური წინააღმდეგობის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც გულისხმობს მხარეთა მზადყოფნას პოზიციების ურთიერთშეთანხმებისა და კომპრომისებისაკენ.

კონფლიქტოლოგია სამართლებრივი (იურიდიული) – თეორიული დისციპლინა, რომლის საგანს წარმოადგენს სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში სუბიექტებს შორის არსებული და ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ მართლშეგნებაში ფესვგადგმული მოტივაციური კონფლიქტები.

კოსმოგონია – (ბერძ. სამყაროს შექმნა) – სამყაროს შექმნისა და განვითარების მეცნიერებამდელი მითოსურ-რელიგიური მოძღვრება.

კოსმოლოგია – (ბერძ. მოძღვრება სამყაროს შესახებ) – კოსმოგონიის საფუძველზე კოსმოსის, სამყაროს ფილოსოფიურ – მეცნიერული განხილვა.

კოსმოსი – (ბერძ. სამყარო) – მოწესრიგებულ ერთიანობად მოაზრებული სამყარო (ქაოსის საწინააღმდეგო); თავდაპირველად, იგივე იყო, რაც წესრიგი, მოწყობა; სამყაროს კოსმოსი პირველად პითაგორამ უწოდა, მიაქცია რა ყურადღება მასში გამეფებულ წესრიგსა და ჰარმონიას.

კრეატულობა – რაღაც ახლის გაკეთების ან ახლებურად შექმნის უნარი; პრობლემის ახლებურად გადაწყვეტა, ახალი მეთოდი ან ინსტრუმენტი.

კრეაციონიზმი – რელიგიური კონცეფცია, რომლის თანახმად ყოველივე არსებული წარმოადგენს ღვთაებრივი შემოქმედების შედეგს.

კრიმინალური ცნობიერება – ფსიქიკურ-ნებელობითი, მენტალური თვისებების ერთობლიობა, რომელიც ინდივიდს საშუალებას აძლევს საზოგადოდ მიღებულ მორალურ-სამართლებრივ ღირებულებათა სისტემას არა მარტო დაუპირისპიროს ალტერნატიული

ნორმები, არამედ, ამ უკანასკნელზე დაყრდნობით, ჩაიდინოს მართლსაწინააღმდეგო, სოციალურად საშიში ქმედება.

ლეგიტიმობა – (ლათ. კანონიერი, დაკანონებული) – სახელმწიფო ხელისუფლების კანონიერების აღმნიშვნელი პრინციპი, რომელიც უფლებამოსილს ხდის მის არსებობას და ანიჭებს მის სუბიექტებს სახელმწიფოს მართვის კანონიერ უფლებას.

ლიბერალიზმი – (ლათ. თავისუფლებას ნაზიარები) – სოციალურ – ფილოსოფიური, პოლიტიკური და სამართლებრივი იდეების ერთიანობა, რომელთა მიზანია პიროვნების, მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფო დიქტატისაგან.

ლოგოსი – (ბერძ.) – სიტყვა, მოძღვრება, კანონი, აზრი.

მანტიკა – (ბერძ. წინასწარმეტყველი) – წინასწარმეტყველების ხელოვნება, მაგალითად, ასტროლოგია, ქირომანტია (ხელზე მკითხაობა), ბანქოთი მკითხაობა, სიზმრების ახსნა და სხვა.

მატერია – (ლათ. ნივთიერი) – მატერიალისტური ფილოსოფიის ძირითადი ცნება, რომლის მიხედვითაც მატერია წარმოადგენს სამყაროს სუბსტანციას (საწყისს), რომელიც არ წარმოშობილა და არ ისპობა, მარადიულად მოძრაობს დროში და სივრცეში, განიცდის განვითარებას და ამ განვითარების პროცესში წარმოიშობა ყველაფერი ამ სამყაროში. თვით ადამიანიც თავისი ცნობიერებით, მატერიის განვითარების შედეგს წარმოადგენს. ამდენად, ცნობიერება მაღალგანვითარებული მატერიის ანუ ადამიანის ტვინის გამოვლენაა და არ არსებობს არავითარი ცნობიერება და არავითარი იდეები მატერიის გარეშე.

მატერიალიზმი – ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც უპირისპირდება იდეალიზმს და სამყაროს საწყისად მატერიას მიიჩნევს. არსებობს მატერიალიზმის ისტორიული ფორმები: ძველი ბერძნული გულუბრყვილო მატერიალიზმი, მექანისტური და მეტაფიზიკური, ვულგარული და დიალექტიკური მატერიალიზმი.

მეთოდი – (ბერძ. გზა, კვლევა) – გარკვეული მიზნის მიღწევის საშუალება, სინამდვილის პრაქტიკული ან თეორიული ათვისების ხერხების ან ოპერაციების ერთობლიობა. სამეცნიერო სფეროში – საშუალება, რომლის მეშვეობითაც მკვლევარი საკუთარი ჰიპოთეზის საფუძველზე იმეცნებს მისთვის საინტერესო საგანს (პრობლემას).

მენტალობა – (ლათ.) – ადამიანის, გარკვეული ჯგუფის აზროვნების წესი, საერთო სულიერი განწყობა.

მოვალეობა – პიროვნებისადმი მიმართული მორალური ან სამართლებრივი ჯერარსის კონკრეტული ფორმა. იგი გამოხატავს კონკრეტულ სოციალურ პირობებსა და სიტუაციაში ცალკეული ინდივიდის, ადამიანთა ჯგუფის, კლასის, ხალხის მიერ შინაგანად მიღებულ და გაცნობიერებულ ზნეობრივ ვალდებულებებს. მოვალეობა არსებობს საზოგადოების, სახელმწიფოს, უახლოესი სოციალური გარემოცვის (ნათესავების, მეგობრების, კოლეგების და ა.შ.) წინაშე, აგრეთვე, საკუთარი თავის წინაშე. ნორმატიული რეალობის პირობებში განასხვავებენ დამავალდებულებელი ზემოქმედების ორ მექანიზმს – გარეგანი, რომელიც სათანადო ქცევას განაპირობებს იძულების საფუძველზე და შინაგანი, რომლის საფუძველია მოტივაციური სურვილი, მოთხოვნილება. პირველი, მეტწილად, დამახასიათებელია სამართლებრივი რეგულირების მექანიზმებისათვის, მეორე – მორალურისათვის.

მოტივაცია – (ლათ. შეგულიანება, წაქეზება) – გარკვეული ქცევებისა და მოქმედებების მიმართ შინაგანი სურვილების (მოტივების) წარმოშობისა და გამოვლენის ფსიქოდინამიკა.

მეტაფიზიკა – ფილოსოფიაში ეს ცნება ორი მნიშვნელობით იხმარება: მეტაფიზიკა, როგორც ფილოსოფიის სინონიმი და მეტაფიზიკა, როგორც ერთ-ერთი მეთოდის აღმნიშვნელი. ეს ტერმინი პირველად გამოიყენეს არისტოტელეს „პირველი ფილოსოფიის მიმართ“. იმის გამო, რომ ამ შრომას სათაური არ აღმოაჩნდა და იდო არისტოტელეს შრომის „ფიზიკის“ შემდეგ, მას უწოდეს მეტაფიზიკა, ე. ი. ის, რაც ფიზიკის მიღმაა. დროთა განმავლობაში ამ ტერმინმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. იგი აღნიშნავს ყველა ფილოსოფიურ მოძღვრებას ყოფიერებისა და შემეცნების საწყისებზე.

მისტიციზმი – (ბერძ. საიდუმლო) – რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულება, რომელიც რწმენას ემყარება და მიზნად ისახავს ღმერთთან მიახლოებას და ურთიერთობას. ღმერთთან მიახლოების საშუალებად მას ექსტაზურ მდგომარეობაში ყოფნა და ინტუიციური ჭვრეტა მიაჩნია, რომელშიც ქრება სუბიექტად და ობიექტად დაყოფა და ადამიანი ერწყმის სულიერ პირველსაწყისს ანუ ღმერთს.

მონიზმი – (ბერძ. ერთი) – ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ყოველი არსებულის საფუძვლად აცხადებს ერთ საწყისს. მატერიალიზმი ასეთ საწყისად მატერიას მიიჩნევს, ხოლო იდეალიზმი ღმერთს.

მონოთეიზმი – (ბერძ. ერთი) – ერთღმერთიანობა, რომელიც უარყოფს მითოლოგიურ მრავალღმერთიანობას ანუ პოლითეიზმს და სამყაროს შემქმნელად და ყველაფრის საფუძვლად ერთ ღმერთს აღიარებს. მონითეიტური რელიგიებია: იუდაიზმი, ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი.

მუზაგეტი – (ბერძ.) **–** მუზების წინამძღოლი; აპოლონის მეტსახელი. აღნიშნავს მუზებისა და ხელოვნების მფარველს.

ნეგაცია – (ლათ.) – მთლიანად სუბიექტის ან მისი პრედიკატის უარყოფა (მაგალითად, ანტითეზისი არის თეზისის ნეგაცია).

ნეოთომიზმი – კათოლოკური ეკლესიის ოფიციალური ფილოსოფია, რომელიც შუა საუკუნეების რელიგიური მოაზროვნის თომა აქვინელის თეოლოგიას ემყარება. მისი წარმომადგენლები არიან: მარიტენი, ჟილსონი, ბოხენსკი და სხვები. ნეოთომიზმი არის ობიექტურ-იდეალისტური ფილოსოფია, რომელიც პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიას რელიგიურ მოძღვრებასთან ათავსებს.

ნეოკანტიანელობა – ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც გერმანიაში წარმოიშვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ნეოკანტიანურმა ფილოსოფიამ წამოაყენა ლოზუნგი: „უკან კანტისაკენ“. ნეოკანტიანური ფილოსოფია ძირითადად ჩამოყალიბდა ორ - მარბურგის (კოჰენი, ნატროპი, კასირერი და სხვა) და ფრაიბურგის (ვინდელბანდი, რიკერტი და სხვა) სკოლად. ამ ფილოსოფიის კვლევის ამოცანას წარმოადგენს კანტის ტრანსცენდენტალური სუბიექტის ახლებურად გააზრება. მათ კანტის ფილოსოფიიდან ამოიღეს „ნივთი თავისთავადის“ ცნება და ამით ტრანსცენდენტალურ სუბიექტს შეუზღუდავი ასპარეზი მისცეს. ამდენად სუბიექტის იმანენტურ სინამდვილეში ტრანსცენდენტალურ სუბიექტს მოუაზრებელი არაფერი რჩება. ბადენის სკოლის წარმომადგენლებმა ბუნება და საზოგადოება ორ განსხვავებულ სინამდვილედ მიიჩნიეს. მათი აზრით, ბუნებაში მოქმედებს კანონები და კანონზომიერება, ხოლო საზოგადოებაში არავითარი ობიექტური კანონები არ არსებობს.

ამდენად, საზოგადოების პროცესების შემეცნება და მომავლის განსაზღვრა შეუძლებელია.

ნეოპლატონიზმი – რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც III საუკუნეში ჩამოაყალიბა პლოტინმა, ხოლო უფრო მაღალ დონეზე განავითარა პროკლემ. ნეოპლატონიზმი ემყარება პლატონის ფილოსოფიას, მაგრამ მისგან განსხვავებით აყალიბებს სულიერი პირველსაწყისიდან მთელი მატერიალური სამყაროს ემანაციას (გამოსხივებას). ემანაციის ყველაზე დაბალ საფეხურს ამქვეყნიური სამყაროს იერარქიაში არაცოცხალი მატერია წარმოადგენს, ხოლო მაღალს – ადამიანი. ყველაფერი, რაც სულიერი საწყისიდან (ღმერთიდან) გამოსხივდება, შემდეგში ისევ სულიერი საწყისისაკენ მიისწრაფვის. ეს არის სწრაფვა უმაღლესი სიკეთისაკენ, უმაღლესი სინათლისაკენ ანუ ღმერთისაკენ. ნეოპლატონიზმის მიხედვით, ადამიანს ექსტაზის (ძლიერი განცდის) გზით შეუძლია ღმერთთან მისვლა და შემეცნება. ნეოპლატონიზმის თეორია XI საუკუნეში განავითარა ქართველმა ფილოსოფოსმა იოანე პეტრიწმა.

ნეოპოზიტივიზმი – XX საუკუნის ფილოსოფია, რომელიც ექსისტენციალიზმისაგან განსხვავებით, ფილოსოფიის საგნად მიიჩნევს მეცნიერული თეორიების ლოგიკურ და სინტაქსურ ანალიზს. მისთვის მიუღებელია მეტაფიზიკური და მსოფლმხედველობრივი პრობლემების კვლევა.

ნიჰილიზმი – (ლათ. არარსი) – თვალსაზრისი, რომელიც ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს და უარყოფს წარსულისა და თანამედროვეობის ზნე-ჩვეულებებს, ღირებულებებს და კულტურას. ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ნიცშეს ფილოსოფია, რომელმაც უარყო ტრადიციული მორალი და მის ნაცვლად „ზეკაცის თეორია“ იქადაგა.

ნომინალიზმი – (ლათ. სახელი) – მიმართულება შუა საუკუნეების ფილოსოფიაში, რომელიც ერთეული საგნების სახელწოდებად ზოგად ცნებებს მიიჩნევდა. ნომინალისტები ამტკიცებდნენ, რომ რეალურად არსებობენ მხოლოდ ერთეული საგნები, ხოლო ზოგადი ცნებები შექმნილია აზროვნების მიერ და მათ რეალური არსებობის საფუძველი არ გააჩნიათ.

ნორმა – (ლათ. წესი, ნიმუში) – სოციალური ქცევის მტკიცე ფორმულა, რომელიც ადამიანთა უმრავლესობის მიერ საყოველთაო ნიმუშად არის აღიარებული. ნორმა მოწოდებულია მოაწესრიგოს ადამიანთა შორის ურთიერთობები, აამაღლოს საზოგადოებრივი ცხოვრების ხარისხი, განსაზღვროს სოციოკულტურული სივრცის საზღვრები, რომლის ფარგლებშიც ადამიანს შეუძლია იცხოვროს ცივილიზებული სუბიექტისათვის შესაფერისი პრაქტიკული და სულიერი ცხოვრებით.

ნორმები სამართლის – სოციალური რეგულატორები, რომლებიც აიძულებენ ადამიანებს მათი საზოგადოებრივი აქტივობის ყველა გამოვლენა მიუსადაგონ სახელმწიფოსა და მთელი ცივილიზებული სამყაროს მოთხოვნებს. სამართლის ნორმების მიზანია ცივილიზებული თანაცხოვრების საფუძვლებისათვის საშიში, დესტრუქციული მუხტის მქონე აქტივობის ფორმების ბლოკირება. სამართლის ნორმები ავალდებულებენ ინდივიდს გამოასწორონ ან შეცვალონ თავისი სოციალური ქცევა, მრავალი სამოქმედო ვარიანტიდან უპირატესობა მიანიჭონ და აირჩიონ იურიდიული კრიტერიუმების შესაბამისი ქცევის სანიმუშო მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების წონასწორობასა და დინამიურ მდგომარეობას.

ნოუმენი – (ბერძ.) – აზრის, გონების ობიექტი.

ონტოლოგია – (ბერძ. არსებული) – მოძღვრება სამყაროს არსის შესახებ. სამყაროს არსში იგულისხმება როგორც საზოგადოებრივი, ასევე თვითონ ადამიანის პიროვნული ყოფიერებაც. ონტოლოგიის ცენტრალურ საგანს წარმოადგენს სუბსტანციის პრობლემა. აქედან გამომდინარე, ყველა ფილოსოფია თავისებურად წყვეტს სამყაროს კანონზომიერების საკითხს. ონტოლოგიურ პრობლემებზე საერთოდ უარს ამბობს ნეოპოზიტივისტური ფილოსოფია. ამდენად, თუ ტრადიციული ონტოლოგიური სისტემები, ძირითადად, სამყაროს სუბსტანციისა და კანონზომიერების პრობლემებს იკვლევდნენ, თანამედროვე ფილოსოფიაში ონტოლოგიურმა კვლევამ ადამიანში გადმოინაცვლა. კვლევის ობიექტი გახდა თვითონ ადამიანი, მისი შემმეცნებელი უნარები, ემოციები, განცდები და საერთოდ სულიერი ფენომენები.

პანთეიზმი – (ბერძ. „პან“ – ყველაფერი, „თეოს“-ღმერთი) – ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ღმერთი წარმოადგენს უპიროვნო საწყისს, რომელიც ბუნების მიღმა კი არ არსებობს, არამედ მასთან გაიგივებულია. სპინოზას მიხედვით, ღმერთი თვითონ ბუნებაშია, ის შემოქმედი და მწარმოებელი ბუნებაა, ხოლო ყველაფერი დანარჩენი წარმოებულ ბუნებას განეკუთნება.

პარადიგმა – (ბერძ. მაგალითი, ნიმუში):

1. ანტიკურ ფილოსოფიაში ცნება, რომელიც ახასიათებს სულიერი და რეალური სამყაროს ურთიერთდამოკიდებულებას;

2. საკვლევი ამოცანების ნიმუშად მიჩნეული თეორია (ან პრობლემის დაყენების მოდელი).

პერცეფცია – (ლათ.) – აღქმა, როგორც აქტი.

პიროვნების სამართლებრივი ცნობიერება – ინდივიდუალური სულიერი თვისებების ერთობლიობა, რომლიც უზრუნველყოფს სუბიექტის ორიენტაციას სამართლებრივ რეალობაში. ეს თავისებური „მართვის პულტია“, რომელშიც თავს იყრის ორივე მხრიდან, ცივილიზებული სისტემიდან და თავად სუბიექტისაგან, მოწოდებული ინფორმაცია. მართლცნობიერების ამოცანაა მოძებნოს ორივე მხრის მისწრაფებათა შეთანხმებისათვის საჭირო საშუალებები, შეარბილოს წინააღმდეგობები, წინასწარ განჭვრიტოს და თავიდან აიცილოს მოსალოდნელი კონფლიქტები, შეიმუშაოს შესაძლო კომპრომისების ვარიანტები, შემდეგ კი ჩამოაყალიბოს დირექტივები, გასცეს ბრძანებები იურიდიული კრიტერიუმების შესაბამის გარკვეულ სოციალურ მოქმედებებზე.

პიროვნების მართლცნობიერება ვლინდება ორი ფორმით – ჰეტერონომიური და ავტონომიური. პირველის თანახმად, სამართლის ნორმები გარედან თავს მოხვეული და საკმაოდ მტრულია ადამიანისათვის. ადამიანი ვალდებულია იხელმძღვანელოს თავს მოხვეული ნიმუშებით, რომლებიც მის ინტერესებს არ შეესაბამება. ამდენად, იგი იძულებულია შეეგუოს ამ მოთხოვნებს. ავტონომიური მართლცნობიერებაც ასევე ხელმძღვანელობს ცივილიზებული სისტემის მოთხოვნებით, მაგრამ ეს ნორმატივები იმდენად ღრმად არის ინტეგრირებული ინდივიდუალურ „მე “-ში, რომ სუბიექტი მათ საკმაოდ ხშირად საკუთარ ნორმებად მიიჩნევს. ამდე-

ნად, მისთვის ნორმატივების შესრულება შინაგანი თავისუფლების გამოხატვის აქტია.

პლურალიზმი – (ლათ. მრავლობითი):

1. პოზიცია, რომლის თანახმად, არსებობს ცოდნის მრავალი დამოუკიდებელი და ერთმანეთისაგან განსხვავებული საწყისი, საფუძველი და ფორმა;

2. ფილოსოფიური თეორია, რომელიც სამყაროს მრავალ საწყისს აღიარებს. ამ მრავალ საწყისში იგულისხმება აბსოლუტურად განუყოფელი და იზოლირებული ან მატერიალური ნაწილაკები და ატომები (დემოკრიტე), ან იდეალური საწყისები (ლაიბნიცი). პლურალიზმი, გნოსეოლოგიის თვალსაზრისით, ნიშნავს ისეთ თეორიას, რომელიც ჭეშმარიტებათა სიმრავლეს აღიარებს. მაგალითად: ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პროტაგორა ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტება იმდენია, რამდენი ადამიანიცაა.

პნევმა – (ბერძ. სუნთქვა, შესუნთქული ჰაერი, მოგვიანებით – სული) – სული; სასიცოცხლო ძალა. თეოლოგიაში სული წმინდა.

პოლითეიზმი – (ბერძ.) – მრავალღმერთანობა.

პოლიტიკური დანაშაული – მართლსაწინააღმდეგო მეთოდებისა და საშუალებათა გამოყენებით ჩადენილი სოციალური ქმედება, რომლის მიზანია არსებული პოლიტიკური წყობის დაცვა (კრიმინალურ-ტირანული სახელმწიფოს პირობებში), ან შეცვლა (ცივილიზებული საზოგადოებრივი სისტემის პირობებში). პოლიტიკურ დანაშაულთა რიგს განეკუთვნება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აქციები, რომლებიც ძირს უთხრიან მის კონსტიტუციურ საფუძვლებს და თავდაცვისუნარიანობას; სახელმწიფოებრივი ღალატი; პოლიტიკური შეთქმულებები; შპიონაჟი სხვა სახელმწიფოების სასარგებლოდ; სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტის წევრების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკურად მოტივირებული დანაშაული.

არსებობს პოლიტიკური დანაშაულის სხვა სახეც – იმ პირთა მოღვაწეობა, რომლებმაც შექმნეს კრიმინალური სახელმწიფოებრივი სისტემა, მოახდინეს ხელისუფლების უზურპირება, სისტემატურად მიმართავენ რეპრესიებს მოქალაქეთა წინააღმდეგ, არღვევენ მათ უფლებებსა და თავისუფლებებს.

პრედიკატი – ის, რაც გამოითქმის სუბიექტზე.

პოზიტივიზმი – (ლათ. დადებითი) – ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც დაუპირისპირდა ყოველგვარ მეტაფიზიკურ ფილოსოფიას, ბრალი დასდო მათ, რომ ისინი მსჯელობენ ისეთ საკითხებზე, რაც არაფრის მომცემი და უსარგებლოა. პოზიტივიზმის მიხედვით, ფილოსოფიამ უნდა იკვლიოს ის, რაც დადებითი და პოზიტიურია და რაც ამავე დროს სასარგებლოა. ამიტომ ფილოსოფიამ უარი უნდა თქვას გონების უსარგებლო მეტაფიზიკურ მანიპულაციებზე და მიზნად დაისახოს იმის შესწავლა და ანალიზი, რაც ცდაში აქვს მოცემული მეცნიერებას. პოზიტივიზმის განვითარებაში გამოყოფენ სამ ეტაპს: პირველი ეტაპის წარმომადგენლებია: კონტი, მილი, სპენსერი, მეორე ეტაპისა – მახი და ავენარიუსი, ხოლო მესამე პოზიტივიზმს ნეოპოზიტივიზმი წარმოადგენს (შლიკი, კარნაპი, რასელი, ვიდგენშტეინი, ფრანკი და სხვა).

პრაგმატიზმი – (ბერძ. საქმე, მოქმედება) – ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც პოზიტივიზმის ნაირსახეობას წარმოადგენს. პოზიტივიზმის მსგავსად, პრაგმატიზმიც მხოლოდ ცდას ემყარება და უარყოფს ყოველგვარ მეტაფიზიკას. პრაგმატიზმი ცოდნის შინაარსს მისი პრაქტიკული შედეგებით განსაზღვრავს. მათი აზრით, ჭეშმარიტი არის ის, „რაც უკვე მუშაობს“ ჩვენთვის, რაც ყველაზე უკეთ შეესაბამება ცხოვრების ყოველ ნაწილს და სუბიექტურ ინტერესებს აკმაყოფილებს. პრაგმატიზმის ძირითადი წარმომადგენლები არიან ჯემსი, პირსი, დიუი და სხვა.

პროვიდენციალიზმი – (ლათ.) – განგება.

რაციონალიზმი – (ლათ. გონიერი) – ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც საყოველთაობა და აუცილებლობა ვერ გამოიყვანება ცდიდან და მისი განზოგადოებიდან, არამედ ისინი უნდა მოიძებნოს მხოლოდ გონებაში. რაციონალიზმის მიხედვით, საყოველთაო და ზოგადი იდეები ადამიანს გონებაში თანდაყოლილი აქვს. ამ იდეებს ადამიანი მხოლოდ ლოგიკური აზროვნებით და ინტელექტუალური ინტუიციით წვდება. რაც შეეხება გრძნობად შემეცნებას, ის ჭეშმარიტებას ვერასოდეს დაადგენს. ე. ი. ცოდნის და ჭეშმარიტების მიღების ერთადერთ უნარად, რაციონალიზმში გონებაა მიჩნეული. რაციონალისტურ ფილოსოფიას სხვადასხვა ფორმით აყალიბებდნენ პლატონი, დეკარტე, სპინოზა, კანტი, ჰეგელი და სხვები.

რეალობა – (ძვ. ლათ. საგნობრივი, არსებული) – სინამდვილეში არსებული. რეალურობა მიეწერება ყოველივე იმას, რაც შეიძლება წარმოიშვას ან წარმოიშვა დროში, რაც არსებობს და წარმავალია.

რეალობა სამართლებრივი – ლოკალური ან მსოფლიო ცივილიზაციის სოციალურ სივრცეში არსებული სამართლის უკლებლივ ყველა ფენომენის ერთობლიობა. განასხვავებენ სამართლებრივი რეალობის ორ ფორმას – ობიექტურს და სუბიექტურს. ობიექტურ რეალობაში მოიაზრება სამართლებრივი ურთიერთობები და სოციალური ინსტიტუტები. სუბიექტურ რეალობაში – ინდივიდუალური მართლშეგნების ნორმატიულ–ღირებულებითი, მოტივაციურ –ორიენტირებადი სტრუქტურები.

რეგრესი – (ლათ.) – უკუსვლა, უკან დაბრუნება.

რეგრესია კრიმინალური – ინსტინქტების, აფექტებისა და ვნებების დომინირებადი ზემოქმედებით განპირობებული ქცევითი სტრატეგია. აფექტები და ვნებები საკმაოდ აქტიურად ერევიან ინდივიდის სავარაუდო მოქმედებათა ლოგიკაში, მთლიანად იმორჩილებენ ადამიანის ნებას და საშიშს ხდიან მას საზოგადოებისათვის. მათ ძალა შესწევთ შეცვალონ ადამიანის ცნობიერება; მნიშვნელოვნად შეასუსტონ კრიტიკის უნარი; დროებით ან ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გააუფასურონ მორალისა და სამართლის ნორმები; ხელი შეუწყონ სხვადასხვა სახის სამართალდარღვევებისა და დანაშაულის ჩადენას.

რეპრესიულობა – ძალოვანი ინსტიტუტების სოციალური პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს ადამიანის წინააღმდეგ არასამართლებრივი იძულებისა და ძალადობის სხვადასხვა ფორმების (სხეულებრივი, სოციალური, სულიერი) სისტემატურ გამოყენებას. რეპრესია შეიძლება იყოს კეროვანი ან სისტემატური ხასიათის. სისტემატური რეპრესიების სუბიექტებია დესპოტურ-ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში მოქმედი ძალოვანი სტრუქტურები და მათზე დაქვემდებარებული ორგანოები.

რელატივიზმი – (ლათ, შეფარდებითი) – ფილოსოფიური თეორია, რომელიც უარყოფს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას და მთელი მეცნიერული ცოდნა დაჰყავს შეფარდებითზე. მათი აზრით, ცოდნა შეფარდებითია, არა მხოლოდ იმ გაგებით, რომ ადამიანს არ შეუძ-

ლია ჩაწვდეს სამყაროს აბსოლუტურ მთლიანობას, არამედ იმიტომ, რომ არ არსებობს სამყაროში ობიექტური აუცილებლობა და საყოველთაობა, რის გამოც არ შეიძლება ცოდნა მის შესახებ აუცილებლობის და საყოველთაობის მატარებელი იყოს.

რეფლექსია – (ლათ. უკან მიმართვა) – თვითდაკვირვება საკუთარ აზრებზე, განცდებზე და ემოციებზე, რომლითაც ადამიანი ახდენს სულიერი სამყაროს ფენომენების თვითშემეცნებას. შემეცნების ასეთ მეთოდს იყენებს ფენომენოლოგიური ფილოსოფია.

რიტორიკა – (ბერძ.) – ორატორული ხელოვნება.

სამართალდარღვევა – საზოგადოებრივად საშიში სოციალური ქმედება, რომელიც არღვევს სახელმწიფოს მიერ სამართლებრივ კოდექსებში დაფიქსირებულ ნორმებს და მიმართულია ცივილიზებული თანაცხოვრების საფუძვლების ნგრევისაკენ.

სამართლებრივი სახელმწიფო – საზოგადოების მართვის მიკროსოციალური მექანიზმი, რომელიც სამართლის სისტემას საშუალებას აძლევს თვითნებობის ნებისმიერი ფორმის გამოვლენისაგან დაიცვას მოქალაქეები, მათი სიცოცხლე, თავისუფლება, საკუთრება და პირადი ღირსება.

სამოქალაქო საზოგადოება – ინდივიდებს შორის ბუნებრივად ჩამოყალიბებული სოციალური ურთიერთობების მრავალგანზომილებიანი, თვითორგანიზებადი სისტემა, სადაც თითოეული ადამიანი წარმოადგენს განსაკუთრებული ცხოვრებისეული მიზნების მქონე პირს და არა სახელმწიფოს ქვეშევრდომს.

სახელმწიფო – წესრიგის დაცვისაკენ მიმართული გიგანტური მაკროინსტიტუტი, სოციოგენური ძალოვანი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს მთელ საზოგადოებრივ ორგანიზმს და ახორციელებს მართვის, შინაგანი და გარეგანი დესტრუქციების საშიშროებისაგან თავდაცვის, დაბალანსებულ–დინამიური მდგომარეობის უზრუნველყოფისა და შენარჩუნების ფუნქციებს. ამ ამოცანათა გადაჭრისათვის სახელმწიფოს ხელშია სპეციალური საშუალებები – ძალაუფლებისა და მართვის ორგანოების სისტემა, იძულების აპარატი, არმია, პოლიცია, სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები.

სიკეთე – ეთიკური კატეგორია; ძრითადი მორალური ღირებულება; თავისთავად წარმოადგენს ზნეობრივ ფასეულობას. სიკეთე

არ შეიძლება განვიხილოთ „სიკეთედ რაღაცასთან მიმართებაში“. იგი არ შეიძლება იყოს „უმაღლესი სიკეთე“ ან რაღაც შესადარებელი სიდიდე. სიკეთე ყოველთვის უბრალო პოზიტიურობაა. ეთიკურად ღირებულია (ანუ სიკეთეა) იმ ადამიანის საქციელი, რომელიც ნებისმიერ კონკრეტულ სიტუაციაში ყოველთვის სიკეთეს ირჩევს.

სენსუალიზმი – (ლათ. გრძნობა, შეგრძნება) – გნოსეოლოგიური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც შემეცნების ერთადერთ წყაროს შეგრძნებები წარმოადგენს. არსებობს მატერიალისტური და იდეალისტური სენსუალიზმი. მატერიალისტური სენსუალიზმის მიხედვით, შეგრძნებები არის ობიექტური სინამდვილის ასახვა. ხოლო იდეალისტური სენსუალიზმის მიხედვით, ობიექტურ სინამდვილეს თვითონ სუბიექტური შეგრძნებები განსაზღვრავენ. ამიტომ ცოდნას მხოლოდ შეგრძნებათა კომბინაცია წარმოადგენს.

სკეპტიციზმი – (ბერძ. განხილვა) – ფილოსოფიური კონცეფცია, რომელსაც ეჭვი შეაქვს ცოდნის ჭეშმარიტებაში და ყოველგვარი ცოდნა მხოლოდ შეფარდებითზე დაჰყავს. სკეპტიციზმი წარმოიშვა ძვ. საბერძნეთში (ძვ, წ. IV ს.). მისი წარმომადგენლები იყვნენ პირონი, არქეზილა, ენეზიდემი, სექსტ ემპირიკოსი და სხვა.

სუბსტანცია – (ლათ. არსება) – სამყაროს საწყისი, საფუძველი, რაც ყველაფერს განსაზღვრავს და რაზეც დამოკიდებულია ყველაფერი, რომელიც მარადიულია, არ წარმოიშობა და არ ისპობა, რომელიც ყოველგვარი მოძრაობის მიზეზიც არის და მიზანიც. სუბსტანციის ეს დახასიათება პირობითია, რადგან სუბსტანცია განუსაზღვრელი არსია და მისი ცნებებით განსაზღვრა ამოუწურავია. სუბსტანციის ცნება სხვადასხვა ფილოსოფიურ სისტემებში განსხვავებულია, მაგრამ ყველა აღიარებს, რომ ის არის ყველაფრის საფუძველი და პირველმიზეზი. ფილოსოფიური დავა არსებობს მხოლოდ იმაზე, მატერიალურია ის თუ იდეალური, ერთია თუ მრავალი. ვინც მიიჩნევს, რომ სამყაროს სუბსტანცია მატერიალურია, მატერიალისტი ეწოდება; ვინც მიიჩნევს, რომ სამყაროს სუბსტანცია არის აბსოლუტური იდეა ან ღმერთი, იდეალისტია. ფილოსოფოსთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ სამყაროს ერთი სუბსტანცია აქვს. ასეთ შეხედულებას მონიზმი ეწოდება. არსებობს იდეალისტური მონიზმი და მატერიალისტური მონიზმი. ვინც აღიარებს, რომ სამყაროს

ორი საწყისი აქვს, დუალისტია. მათთვის მატერია და სული თანაბარ საწყისებადაა გამოცხადებული (დეკარტე). ვინც სამყაროს მრავალ საწყისს აღიარებს, პლურალისტი ეწოდება.

სქოლასტიკა – (ბერძ. სასკოლო) – შუა საუკუნეების რელიგიური ფილოსოფია (სასკოლო ფილოსოფია), რომლის წარმომადგენლები ცდილობდნენ ქრისტიანული რწმენისათვის რაციონალური დასაბუთება მიეცათ და მოეხდინათ მისი სისტემატიზაცია. სქოლასტიკის ფილოსოფიურ ბაზისს წარმოადგენდა პლატონის, არისტოტელეს და ნეოპლატონიზმის მიმდევართა ფილოსოფია. შუა საუკუნეების დიდ სქოლასტიკოსებად ითვლებიან ერიუგენა, კენტერბერიელი, თომა აქვინელი და სხვები.

ტაბუ – რელიგიური აკრძალვა. თანამ. – აკრძალული საგნები, აზრები.

ტავტოლოგია – (ბერძ. ილაპარაკე იგივეზე) – რაიმე გამოთქმის ზედმეტი, უსარგებლო, ზოგჯერ საჭირო გამეორება.

ტენდენცია – (ლათ. რაღაცისადმი მისწრაფება) – რაიმე მოვლენის განვითარების მიმართულება, სურვილი, მისწრაფება, მიზანი.

ტერმინი – (ლათ. ზღვარი) – ცნება; ცნების გამომხატველი სიტყვა; ლოგიკაში – მსჯელობის (სუბიექტი და პრედიკატი) ან სილოგიზმის შემადგენელი ელემენტი.

ტელეოლოგია – (ბერძ. მიზანი) – რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება სამყაროში ადამიანისაგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზნებისა და მიზანშეწონილობის არსებობის შესახებ. ტელეოლოგიურ მოძღვრებას იცავს ყველა ფილოსოფია, რომელიც სამყაროს საწყისად უძრავ და უცვლელ ღმერთს აღიარებს. ეს ეხება პლატონის, არისტოტელეს, ნეოპლატონიზმს, სქოლასტიკას, ჰეგელის და სხვათა ფილოსოფიას. ყველა ეს ფილოსოფია უშვებს წინასწარი უცვლელი მიზნის ცნებას, რომლისკენაც ყველაფერი მიისწრაფვის და ვერ აცდება ამ გზას. ასეთი გაგება აუცილებლობით მიდის ფატალიზმის აღიარებამდე, რომლის მიხედვითაც ყველაფერი ბედისწერას ექვემდებარება. ღმერთის არსებობას არც სიცოცხლის ფილოსოფია და არც რელიგიური ექსისტენციალიზმი უარყოფს, მაგრამ ისინი უარყოფენ აბსოლუტურად უცვლელი მიზნის ანუ ღმერთის არსებობას. მათი აზრით, ღმერთი თვითონ არის

აბსოლუტური ქმნადობა და ამის გამო ადამიანებსაც ეძლევათ თავისუფალი შემოქმედების საშუალება. ამ გაგებით, ადამიანის სიცოცხლე და ცხოვრების მიზანი არ არის მკაცრ გარდაუვალ ჩარჩოებში მოქცეული.

ტექნოკრატია – (ბერძ.) – ტექნიკის ბატონობა; საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც სოციალურ ცხოვრებაში ტექნიკას ანიჭებს განმსაზღვრელ როლს და თვლის, რომ მხოლოდ ინდუსტრიალიზაციას შეუძლია რაციონალურად მოაწესრიგოს და სრულყოს საზოგადოებისა და პიროვნების ცხოვრება. ადამიანი, ხშირ შემთხვევაში, განიხილება როგორც „მანქანის მონა“.

ტოლერანტობა – (ლათ. მოთმინება):

1. განსხვავებული შეხედულებების, პოზიციების, ზნე – ჩვეულებებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება;

2. ორგანიზმის უნარი შეეგუოს და გადაიტანოს გარემოს ამა თუ იმ არახელსაყრელი ფაქტორის ზემოქმედება.

ტოტალიტარიზმი – (ლათ. მთლიანი, სრული) – საზოგადოებრივ – პოლიტიკური წყობა, რომელიც ხასიათდება ავტორიტარული სახელმწიფოს ყოვლისმომცველი ჩარევით საზოგადოებისა და ცალკეული პიროვნების ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. მაგალითად, ტოტალიტარული ხასიათისაა ბონაპარტისტული, ფაშისტური, სოციალისტური რეჟიმები. მათი დამახასიათებელი ნიშნებია – ხელისუფლების უსაზღვრო უფლებამოსილება, დემოკრატიული ინსტიტუტების აკრძალვა, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ლიკვიდაცია, ერთპარტიული სისტემა, ეკონომიკის მილიტარიზაცია, რეპრესიები ოპოზიციისა და სხვაგვარად მოაზროვნეების მიმართ და სხვა.

ტრანსცენდენტალური – (ლათ. გადაბიჯება) – აღნიშნავს აპრიორულ, ე. ი. ცდამდე არსებულ ცნობიერებას, რომელიც თავისი საყოველთაობით და აუცილებლობით განსაზღვრავს გარე სინამდვილეს. კანტის ფილოსოფიაში წმინდა აზრის ფორმის ტრანსცენდენტალური ცნობიერება ანუ სუბიექტი არსებობს ემპირიული სუბიექტის სიღრმეში და არ არის დამოკიდებული ემპირიულ სუბიექტზე. პირიქით, ემპირიული სუბიექტის თეორიული მოღვაწეობა ნიშნავს ტრანსცენდენტალურ სუბიექტამდე ამაღლებას.

ტრანსცენდენტური – იმანენტურის საპირისპირო. აღნიშნავს იმას, რაც ცნობიერებისა და შემეცნების საზღვრებს მიღმაა. ამ ტერმინს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აგნოსტიციზმში, რომლის მიხედვითაც ტრანსცენდენტური ნიშნავს სუბიექტისათვის მიუწვდომელს, შეუმეცნებადს „ნივთს თავისთავადს“ (კანტი). თუ ადამიანი შეეცდება შემეცნების მიზნით გავიდეს იმანენტური სფეროდან ტრანსცენდენტურში, ის ვერავითარ ჭეშმარიტებას ვერ დაადგენს, არამედ აღმოჩნდება გადაუჭრელი პრობლემების ანუ ანტინომიების წინაშე.

უნივერსალური – (ლათ. ზოგადი) – საყოველთაო, ყველაფრისმომცველი, მრავალმხრივი.

უნივერსუმი – ერთიანი სამყარო, „სამყარო, როგორც მთელი“.

ფატალიზმი – (ლათ. საბედისწერო) – რელიგიურ-ფილოსოფიური რწმენა ბედის გარდაუვალობის შესახებ, რომლის მიხედვითაც სამყაროში ყველაფერი განგების ძალით არის განსაზღვრული; რაც მოხდა, რაც ხდება და რაც უნდა მოხდეს ყველაფერი წინასწარაა დაგენილი ღმერთის მიერ. ეს ეხება მთელ ბუნებას, ადამიანს და საზოგადოების ისტორიას. ასეთი გაგებით, ადამიანის თავისუფლება მხოლოდ მოჩვენებითია, რადგან ადამიანის ყოველგვარ მოქმედებას და გადაწყვეტილების მიღებას ზებუნებრივი ღვთაებრივი ძალები განსაზღვრავენ. ამდენად, მოღვაწეობის პროცესში ადამიანის შინაგანი თავისუფლების როლი აბსოლუტურად გამორიცხულია, ყოველგვარი მოქმედება მხოლოდ გარეგანი განგების ძალით სრულდება.

ფატუმი – (ლათ.) – ბედი, ბუნების ბრმა აუცილებლობა.

ფენომენი – (ბერძ. მოვლენილი) – ცდაში, გრძნობად შემეცნებაში მოცემული მოვლენა.

ფენომენოლოგია – ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ფილოსოფიის უპირველეს ამოცანად სულიერი ფენომენების თვითშემეცნებას აცხადებს. კვლევის მეთოდად იყენებს რედუქციას, რომელიც ინდუქციური მეთოდის საპირისპიროა. ინდუქციური მეთოდი მიზეზებიდან შედეგების ძიებას ემსახურება, ხოლო რედუქციული მეთოდი – შედეგებიდან მიზეზების ძიებაზე გადასვლას ნიშნავს. ინდუქციისაგან განსხვავებით, საქმე ეხება არა წინსვლას, არამედ

უკუსვლას, უკან დაბრუნებას, ადამიანის მოქმედებიდან და ემოციური განცდებიდან მათი გამომწვევი მიზეზების ძიებას. ფენომენოლოგიური შემეცნების მიზანია გაიგოს და დაადგინოს ის სულიერი ღირებულებები, რის საფუძველზეც ქმნის ადამიანი სულიერ კულტურას, რადგან სულიერი ღირებულებები ანუ ექსისტენციური ფენომენები, წარმოადგენენ ადამიანის ცხოვრების წესისა და ადამიანად ყოფნის საფუძვლებს. სულის ფენომენოლოგიური გამოკვლევები მოცემული აქვს ლოკს, იუმს, კანტს, ჰეგელს, ექსისტენციალიზმისა და სხვა ფილოსოფიური თეორიების წარმომადგენლებს.

ფობია – (ბერძ. შიში) – შიშის აკვიატებული მდგომარეობა.

ფსიქოანალიზური მეთოდი – ზ. ფროიდისა და მისი მიმდევრების მიერ შემუშავებული შემეცნებით საშუალებათა სისტემა; მისი გამოყენებით, პიროვნების ნორმატიულ ქცევებში რაციონალურ, გაცნობიერებულ მამოძრავებელ მოტივებთან ერთად, შესაძლებელია აღმოჩნდეს სიღრმისეული, ქვეცნობიერი მოტივები, რომლებიც ხშირად განაპირობებენ ინდივიდის ნორმატიულ-ღირებულებით ორიენტაციასა და მის პრაქტიკულ მოქმედებებს.

ფსიქოლოგია სამართლის – პრობლემათა კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მართლშეგნების ფსიქიკური მდგომარეობის ჩამოყალიბებასა და სამართლებრივ ურთიერთობათა ფუნქციონირების მოტივაციურ უზრუნველყოფასთან.

ქარიზმა – (ბერძ. მადლი, ღვთის საჩუქარი) – ღვთის წყალობად აღქმული არაჩვეულებრივი შესაძლებლობები ან განსაკუთრებული ნიჭიერება.

ქარიზმატული პიროვნება – ცნება, რომელიც იხმარებოდა ქრისტიანულ (კათოლიკურ) თეოლოგიაში და აღნიშნავდა გამორჩეული, განსაკუთრებული თვისებებით (ღვთაებრივი მადლის გადმოსვლის საფუძველზე) დაჯილდოებულ ადამიანს. სოციალურ თეორიაში ამ ცნების გამოყენება XIX ს-ში დაიწყეს გერმანელმა სოციოლოგებმა ე. ტრელჩმა და მ. ვებერმა.

ქარიზმატულობა ამბივალენტურია და თავის თავში შეიცავს როგორც კოლოსალურ აღმშენებლურ პოტენციალს, ასევე უზარმაზარ დამანგრეველ ენერგიას. პირველ შემთხვევაში იგი ვლინდება

როგორც ღვთისრჩეულობის ნათელი მადლი, როგორც შემოქმედებითი გენია (მოსე, სოლომონი, პერიკლე, ბუდა, ქრისტე, მუჰამედი, ლუთერი, განდი და სხვა), მეორეში, როგორც ბოროტი გენია (ჩინგისხანი, ივანე მრისხანე, ჰიტლერი, ლენინი, სტალინი და სხვა). ამასთან ერთად, არსებობენ ცნობილი ადამიანები, რომელთა ქარიზმას ერთმნიშვნელოვნად ვერ მიაკუთნებ ვერც ნათელ და ვერც ბნელ ძალებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოჩენილი მხედარმთავრებია, რომელთა მოღვაწეობას ერთდროულად კონსტრუქციული და დესტრუქციული შედეგები ჰქონდა (მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, ნაპოლეონი და სხვა).

ქვეცნობიერი – წარმოდგენათა კონცეპტუალური კომპლექსი ადამიანის ფსიქიკის იმ სფეროების შესახებ, სადაც განლაგებულია ინდივიდის სულიერ-პრაქტიკული ცხოვრების განსაკუთრებული ფსიქიკური მოცემულობები – ინსტინქტური, ემოციონალურ-გრძნობადი, ინტუიტიური და სხვა შრეები, რომლებიც სცილდებიან გონებისა და განსჯის საზღვრებს და არ ექვემდებარებიან რაციონალურ ახსნას.

ქსენოფობია – (ბერძ. უცხოს შიში) – უცხოების (სხვა რასის, განსხვავებული რელიგიური შეხედულებების, უცხოელების, ლტოლვილების, იმიგრანტების და ა. შ.) მიმართ მტრული, შიშსა და სიძულვილთან შეზავებული დამოკიდებულება.

ღირებულებები – მატერიალური და სულიერი რეალობები, რომლებიც საშუალებას აძლევენ ადამიანებს დაიკმაყოფილონ სურვილები, მოთხოვნილებები, ოცნებები, იმედი და საჭიროებენ გარკვეულ ძალისხმევას მათი მიღწევის, დაფუძნებისა და დაცვისათვის.

ღირებულებითი ორიენტაციები – პიროვნების შინაგანი სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტები, რომლებიც გამყარებულია ინდივიდის ცხოვრებისეული გამოცდილებით, მისი განცდების ერთობლიობით და რომელთა საფუძველზეც პიროვნებას შეუძლია გამიჯნოს ერთმანეთისაგან, მისი მოსაზრებით, არსებითი არაარსებითისაგან, მნიშვნელოვანი უმნიშვნელოსაგან. ჩამოყალიბებული, ფესვგადგმული ღირებულებითი ორიენტაციების ერთობლიობა აყალიბებს პიროვნების მყარ პოზიციას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს გარკვეული ტიპის ქცევებისა და მოღვაწეობის

მემკვიდრეობითობას, მიმართულებას აძლევს ინტერესებს, მოთხოვნილებებსა და მიზნებს და მოტივირებულს ხდის მათ. ასეთი მიზნები შეიძლება იყოს: ა) ცხოვრებისეული ღირებულებები – სიყვარული, მეგობრობა, ოჯახი, ზრუნვა შთამომავლობაზე, ადამიანური ურთიერთობები; ბ) ცივილიზაციის ღირებულებები – მატერიალური კეთილდღეობა, კარიერა, ძალაუფლება, ტექნიკური მიღწევების ფლობა, პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების გარანტირებული უსაფრთხოება და სხვა; გ) კულტურული ღირებულებები – შემოქმედება, თავისუფლება, როგორც სულიერი მოღვაწეობის საშუალება, ტრადიციები და სხვა.

ღირსება – აღიარება, რომელსაც გარემოცვა მიაგებს პიროვნებას მისი ინდივიდუალური თვისებებისა და სულიერი ღირებულებების საფუძველზე (პატივისცემა); აღიარების ის ფორმა, რომელსაც ადამიანი განიცდის საკუთარი თავისადმი, როგორც პიროვნებისადმი (საკუთარი ღირსების გრძნობა) ან რომელსაც იგი, მისი მოსაზრებით, იმსახურებს თავისი სოციალური წრის ადამიანებისაგან (დიდებისმოყვარეობა, პატივმოყვარეობა).

შურისძიება – მსხვერპლის ან მისი ახლობლის მხრიდან, ჩადენილი დანაშაულის, მიყენებული ზიანისათვის დამნაშავის დასჯის მართლსაწინააღმდეგო (თვითნებური) აქცია. წარმოადგენს „მისაგებელი სამართლიანობის“ პრინციპის ერთ-ერთ ყველაზე არქაულ ფორმას, ადამიანთა შორის ურთიერთობათა რეგულაციის საშუალებას. ჩამოყალიბდა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობამდე. ახასიათებდა ისტორიული განვითარების სახელმწიფომდელ სტადიაზე მყოფ ყველა ერს. შურისძიების ყველაზე რადიკალური ფორმაა სისხლის აღება.

ცოდნა – სინამდვილის აღქმის პრაქტიკით შემოწმებული შედეგი, მისი სწორი ასახვა ადამიანის აზროვნებაში; სუბიექტური და ობიექტური თვალსაზრისით, სწორი წვდომის ფორმებისა და გამოცდილების ფლობა, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი ხდება ცოდნის გამომხატველი მსჯელობებისა და ჭეშმარიტი დასკვნების ჩამოყალიბება.

ცივილიზაცია – (ლათ. სამოქალაქო) – ხელოვნური, ანთროპოგენური, მრავალმიზნობრივი სოციალური მეგასისტემა, რომელიც

მიისწრაფვის გაწონასწორებულ-დინამიური მდგომარეობისაკენ, ხასიათდება თვითრეგულაციისა და თვითსრულყოფის უნარით და მუდმივი ძალისხმევით, შეასუსტოს და შეაჩეროს არსებული დესტრუქციები და ქაოსის საშიშროება.

ცინიზმი – საყოველთაოდ მიღებული სოციოკულტურული ნორმებისა და ღირებულებების მიმართ დემონსტრატიული ტოტალური ნეგატივიზმის პოზიცია. ცნება „ცინიზმი“-ს წარმოშობა დაკავშირებულია ძველი ბერძენი ფილოსოფოს-ცინიკების სახელთან, რომლებიც ცნობილი იყვნენ ცივილიზაციისა და კულტურის მიღწევებთან თავისი უარყოფითი დამოკიდებულებით.

ძალადობა – მსხვერპლზე ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების საშუალებით განხორციელებული არასამართლებრივი იძულება. მსხვერპლი შეიძლება იყოს ცალკეული იდივიდი, ადამიანთა მცირერიცხოვანი ან დიდი ჯგუფი, მთელი ერი. ძალადობა გულისხმობს სუბიექტებისათვის მათი ბუნებითი უფლებების (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ადამიანური ღირსების, თვითგამორკვევის და სხვა) ჩამორთმევას. ძალადობის სუბიექტები შეიძლება გახდნენ ცალკეული პიროვნებები, სისხლის სამართლის დამნაშავეები, პოლიტიკური რადიკალები, აგრეთვე სახელისუფლო სტრუქტურები და მათზე დაქვემდებარებული დამსჯელი ორგანოები. განასხვავებენ სპორადული (ცალკეული დანაშაული, ტერორისტული აქტები) და სისტემური (ტოტალიტარული რეჟიმების მიერ განხორციელებული მასობრივი რეპრესიები) ხასიათის ძალადობას.

წანამძღვარი – ის, რაც სხვის პირობას წარმოადგენს.

წესი – (ლათ.) - ობიექტური აზრით, ცნებების საშუალებით ჩამოყალიბებული (მაგრამ ჯერ კიდევ შეუმეცნებელი, როგორც კანონზომიერად არსებული) ყოფიერების, მოვლენის ან მოქმედების თანაზომიერება, ერთგვაროვნება. სუბიექტური მოსაზრებით, ხშირად გამოიყენება მითითებების მნიშვნელობით (მაგალითად, რომელიმე სახელისუფლებო ორგანოს ან პირის მითითება). წესის ცნებასთან დაკავშირებულია ე. წ. გამონაკლისები (ანუ ისეთი წესები, რომლებიც კანონის ცნებას არ ემთხვევიან, მაგალითად, „ზნეობრიობის ოქროს წესი“).

წესი დასკვნის – განსაზღვრავს წანამძღვრებიდან შედეგზე გადასვლას; უფრო ზუსტად, ადგენს შესაბამისობას გამონათქვამების გარკვეულ ერთობლიობას (ფორმულებს), რომელთაც წანამძღვრები ეწოდებათ და ერთ განსაზღვრულ გამონათქვამს (ფორმულას) შორის, რომელსაც ამ წანამძღვრებიდან გამოყვანილი შედეგი ეწოდება.

ჭეშმარიტება – შემმეცნებელი სუბიექტის მიერ სინამდვილის საგნებისა და მოვლენების სწორი, ადეკვატერი ასახვა.

ხასიათი – ადამიანის ქცევის განსაკუთრებულობა, რომელიც ვლინდება მის მანერებში, ქცევებსა და აზრთა წყობაში. იგი წარმოადგენს პიროვნების ფსიქიკური მდგრადობისა და ზნეობრივი პოზიციის საფუძველს.

ჯეროვანი (სათანადო) – მორალურ-სამართლებრივი ცნობიერების ნორმატიულ-ღირებულებითი კატეგორია, რომელიც აღნიშნავს 1) რელიგიური მცნებების, რწმენის მოთხოვნების ფორმით წარმოდგენილ ღმერთის მითითებებს; 2) სხვადასხვა სახის საზოგადოებების კორპორაციული ინტერესებით ნაკარნახებ გარეგან მორალურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ მოთხოვნებს; 3) სუბიექტურად მოტივირებულ, პიროვნულ იმპერატივებს – მოვალეობის გრძნობა, პასუხისმგებლობის გაცნობიერება და სხვა.

ჰეტერონომია – (ბერძ. ჰეტერო – სხვა, უცხო, ნომია – კანონი) – პიროვნების მორალური და კანონმორჩილი ქცევის განპირობებულობა გარეგანი მიზეზებით და არა შინაგანი მოთხოვნებითა და თავისუფალი ნებით.

ჰილოძოიზმი – (ლათ. ჰილ – ნივთიერება, ძოე – სიცოცხლე) - ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც მთელ მატერიალურ სამყაროს განსულიერებულად წარმოიდგენს. ასეთ აზრს იცავდნენ ძველი ბერძენი მატერიალისტები (ჰერაკლიტე, ანაქსაგორა და სხვები). ამ თეორიის მიხედვით, ბუნება ცოცხალი სინამდვილეა და თავის თავს თვითონ აწარმოებს; მას არ სჭირდება გარეგანი ღვთაებრივი ძალების მოშველიება ბუნების მოძრაობის ასახსნელად, არამედ ბუნება თვითონ არის ღმერთი; ღმერთი ბუნებაშია და ის განაგებს ბუნების ქმნადობას.

ჰიპოთეტური – (ბერძ. საფუძველი) – პირობითი, სავარაუდო; მსჯელობა ჰიპოთეტურია, თუ მეორე დებულების არსებობა გან-

პირობებულია პირველი დებულების არსებობით. მაგალითად, თუ არის **A**, იქნება **B**-ც.

ჰუმანიზმი – (ლათ. ადამიანური) – ისტორიულად ცვალებად შეხედულებათა სისტემა, რომელიც აღიარებს ადამიანის, როგორც პიროვნების ღირებულებას, მის უფლებებს თავისუფლებაზე, ბედნიერებაზე, საკუთარი შესაძლებლობების განვითარებასა და რეალიზაციაზე; ადამიანის სიკეთესა და კეთილდღეობას თვლის სოციალური ინსტიტუტების შეფასების კრიტერიუმად, ხოლო თანასწორობის, სამართლიანობის, ადამიანურობის პრინციპებს მიიჩნევს ადამიანური ურთიერთობების სასურველ ნორმად. ვიწრო გაგებით, აღორძინების ეპოქის კულტურული მოძრაობა.

ლიტერატურა

1. ავრელიუს მარკუს. ფიქრები, თბ., 1972.
2. ათეიზმის ფილოსოფიური პრობლემები. თბ., 1989.
3. ბიბლია. თბ., 1989.
4. ბერიძე ია. მასისა და ბრბოს განსხვავების პრობლემა ფილოსოფიაში, თბ., 1997.
5. ბერიძე ია. დესტრუქცია და ადამიანური ყოფიერების კრიზისი, დისერტაცია, თბ., 2002.
6. გეგეშიძე დავითი. სიკვდილის აპოლოგია. თბ; 1999.
7. გელოვანი აკაკი. მითოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1983.
8. გომართელი ა. ქართული სიმბოლისტური პროზა. თბ., 1997.
9. დანელია სერგი. ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები. თბ., 1983.
10. ერქომაიშვილი ვახტანგ. ფილოსოფია. თბ., 1993.
11. თევზაძე გურამი. XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია. თბ., 2002.
12. კაკაბაძე ზურაბი. ფილოსოფიური საუბრები. თბ; 1988.
13. კაკაბაძე ზურაბი. ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება. თბ; 1979.
14. კანტი ი. წმ. გონების კრიტიკა. თბ., 1979.
15. კანტი ი. რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში. თბ., 1984.
16. კვარაცხელია ნაპო. ადამიანი და მეტაფიზიკა. თბ., 2005.
17. კუნი ნ.ა. ძველი საბერძნეთის მითები და ლეგენდები. თბ., 1965
18. მამარდაშვილი მერაბი. „საუბრები ფილოსოფიაზე“. მეცნიერება. თბ., 1992.
19. მამულაშვილი ბელა. ბიოეთიკა. თბ., 2004.
20. მონტენი მ. ფიქრები. 1992.
21. მჭედლიშვილი ლ., ივანიძე ნ. ლოგიკა. თბ., 1997.
22. ნიცშე ფ. „ასე იტყოდა ზარატუსტრა“. თბ., 1984.
23. პოპიაშვილი ა. ინდივიდის პრობლემა ს. კირკეგორისა და ფ. ნიცშეს ფილოსოფიაში. თბ., 1988
24. პასკალი ბ. აზრები. თბ. 1981.
25. რეხვიაშვილი ტ., ჭიაურელი ვ. ფილოსოფია. თბ., 2006.

26. სირაძე რ. სახისმეტყველება. თბ., 1982.
27. ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები. საქ. მეცნ. აკადემია, ფილ. ინსტ. ტ I-II თბ., 1970.
28. ქსენოფონტი. მოგონებები სოკრატეზე. სოკრატეს აპოლოგია. თბ., 1973
29. წერეთელი სავლე. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში. ტ. I. ანტიკური ფილოსოფია. თბ., 1973.
30. ხიდაშელი შალვა. ქართული ფილოსოფიის ისტორია. თბ., 1988
31. ჰაიდეგერი მ. ყოფიერება და დრო. გერმანულიდან თარგმნა გურამ თევზაძემ. თბ., 1989.
32. ჰანთიგტონი ს. „ცივილიზაციათა შეხლა“. თბ., 1999.
33. XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია. თბ; 1970.
34. Академия наук СССР Институт философии. „Буржуазная философская антропология XX века“. М. 1986.
35. Бердяев Н.А.. „О значении человека“. М., 1993
36. Бердяев Н.А. „Человек и машина“. Вопросы философии. №2, 1969.
37. Биоэтика: проблемы и перспективы. Под ред. А.П.Огурцова. М., 2003.
38. Биомедицинская этика. Под ред. В.И. Покровского. М., 1997.
39. Гейден Г. „Критика немецкой геополитики“. М., 1960.
40. Григорьева Г. „Японская художественная традиция“. М., 1979.
41. Григогян „Человек, его положение и призвание в современном обществе“. М. 1973.
42. Достоевский Ф.М. „Братья Карамазовы“. В двух томах. М., 1972.
43. Какабадзе З. „Человек как философская проблема“. Тб., 1970.
44. Каннети Э. „Человек нашего столетия“. М., 1990.
45. Кант Е. Сочинения. М., 1965.
46. Кон Н. „Открытие „Я“. М., 1978.
47. Кодуа Э. „Современное немарксистское мышление о сущности философии“. Тб., 1990.

48. „Логос“ - философско-литературный журнал. №2, 1991.
49. Лебон Г. „Психология народов и масс“. СПБ, 1896.
50. Маркс К., Энгельс Ф. Сочинения. т.42.
51. Ницше Ф. Антихрист. В сб., „Сумерки Богов“. М., 1998.
52. Ортега-и-Гассет Х. „Человек и люди“. М., 1991.
53. Ортега-и-Гассет Х. „Почему мы вновь пришли к философии?“. Сборник. М., 1991.
54. Проблема человека в западной философии. М., 1989.
55. Руткевич. „От Фрейда к Хейдеггеру“. М., 1985.
56. Силуянова И.В. Биоэтика в России: ценности и законы. М., 2002.
57. „С чего начинается личность?“. Под общ. ред. Р.И. Косолапова. М., 1984.
58. Тадеуш М., Ярошевский. „Личность и общество“. М., 1973.
59. Тард Г. „Личность и толпа“. СПБ. 1903.
60. Фейербах Л. Избранные философские произведения. М., 1956.
61. Философский энциклопедический словарь. М., 1983.
62. Фихте И. Т. „Название человека“. СПБ. 1913.
63. Фромм Э. „Душа человека“. М., 1992.
64. Фромм Э. „Иметь или быть?“. М.. 1986.
65. Фромм Э. „Анатомия деструктивности“. М., 1994.
66. Человек. Мыслители прошлого и настоящего о его жизни, смерти и бессмертии. М., 1991.
67. Шварц Т. „От Шопенгауэра к Хейдеггеру“. М., 1964.
68. Юнг К. „Архетип и символ“. М., 1991.
69. Jaspers K. Pholosophie Bd. I. Berlin. 1956.